ალექსანდრ სოლჟენიცინი

ივან დენისოვიჩის ერთი დღე

მოთხრობები

რუსულიდან თარგმნეს

რევაზ თვარაძემ

და

ვახტანგ პაიკიძემ

გამომცემლობა ინტელექტი

თბილისი

ნობელის პრემიის ლაურეატები

საგამომცემლო პროექტის ავტორი

კახმეგ კუდავა

© რ. თვარაძე, ვ. პაიკიძე, 2005.
© გამომცემლობა „ინტელექტი“, 2005.

ივან დენისოვიჩის ერთი დღე

დილის ხუთ საათზე, როგორც ყოველთვის, ადგომის ზარი დარეკეს — შტაბის ბარაკთან ჩამოკიდებულ რელსს ჩაქუჩი შემოჰკრეს. ზარის ხმამ ძლივს გამოატანა ორი თითის სისქეზე ყინულმოდებულ მინებში და მალევე მიჩუმდა: ციოდა და ზედამხედველს ბევრი რეკვის თავი არ ჰქონდა.

მიწყდა ზარის ხმა, სარკმელს იქით კი ისევე ბნელოდა, როგორც ღამღამობით, როცა შუხოვი პარაშას მიაკითხავდა ხოლმე. მხოლოდ სამი ყვითელი ფანარი გამოკრთოდა სარკმელში — ორი ზონაში და ერთიც ბანაკის შიგნით ანთებული.

რატომღაც არავინ ჩანდა ბარაკის კარის გამღები, არც იმის ხმა ისმოდა, რომ მორიგეები შემოსულიყვნენ პარაშის გასატანად.

შუხოვი არასოდეს აგვიანებდა ადგომას, დილის ზარს უმალ აჰყვებოდა ხოლმე. სამუშაოზე გაყვანამდე საათნახევარი მაინც რჩებოდა საკუთარი, მოსაცლელი დრო, ხოლო ვინც ბანაკის ცხოვრებას იცნობს, ისიც კარგად იცის, რომ ამ დროის განმავლობაში ყოველთვის შეიძლება ცოტა რამის შოვნა: შეიძლება ვინმეს ძველი სარჩულიდან სახელთათმანე შალითა შეუკერო, რომელიმე მდიდარ პატიმარს მშრალი თექურები საწოლშივე მიაწოდო, რათა ფეხშიშველას აღარ მოუხდეს ტანტალი და ფეხსამოსის გროვიდან სათავისოს შერჩევა; ისიც შეიძლება, საწყობებს ჩამოუარო, ვისაც რა დასჭირდება — მოემსახურო, ოთახი გამოუგავო ან რამე მიურბენინო; ან კიდევ სასადილოში შეხვიდე, მაგიდებზე დარჩენილი ჯამები მოაგროვო და ჭურჭლის სარეცხ ოთახში შეუტანო. ორ-სამ ლუკმას არც იქ დაიშურებენ. ოღონდ სასადილოში ბევრი მეტოქე გამოგიჩნდება და გასაქანს არ მოგცემენ. უმთავრესი კი მაინც ისაა, რომ, თუ ჯამში რამეს წააწყდი ჩარჩენილს, გული ვერ გაგიძლებს, ჯამების ლოკვას მიჰყოფ ხელს. ხოლო შუხოვს კარგად ახსოვს თავისი პირველი ბრიგადირის კუზიომინის სიტყვები. ბანაკის ბებერი მგელი იყო კუზიომი-

ნი, ცხრაას ორმოცდასამში პატიმრობის თორმეტი წელი შესრულებოდა უკვე, და ერთხელ, მოტიტვლებულ ნაკაფში ცეცხლის პირას რომ ისხდნენ, თავის ცვლას — ფრონტიდან ახალჩამოყვანილებს ასე დაარიგა ჭკუა:

— აქ, ბიჭებო, ტაიგის კანონებია. მაგრამ ხალხი აქაც ახერხებს ცხოვრებას. ბანაკში ის ილუპება, ვინც ჯამების ლოკვას იწყებს, ვინც სანიტნაწილის იმედითაა და ვინც ნათლიასთან — ოპერრწმუნებულთან დაძვრება, რომ ხალხს უბოზოს.

ოპერრწმუნებულის ამბავი, რაღა თქმა უნდა, ცოტათი გადაამეტა. იმათ კი იციან საკუთარი ტყავის გადარჩენა, ოღონდ სხვისი სისხლის ხარჯზე.

შუხოვი ზარის ჩამორეკვისთანავე დგებოდა მუდამ, მაგრამ დღეს წელი ვერ აიტანა. წუხანდელს აქეთ ვერ გრძნობდა თავს კარგად, აურჟოლებდა თუ სახსრებში ამტვრევდა. ვერც ღამით გათბა. ძილში ხან ის ეჩვენებოდა — ნამდვილად ავადმყოფობა მომერიაო, ხანაც ცოტათი შვებას იგრძნობდა თითქოს. გულით არ უნდოდა გათენებულიყო.

მაგრამ დილამ მაინც მოატანა.

ვერ გათბა. ან რა გაათბობდა. ფანჯარას ყინულის ქერქი შემოჰკვრია, კედლებზეც, პირაპირისა და ჭერის გასწვრივ, ჭირხლი ობობას ქსელივით მოდებულა.

შუხოვი არ დგებოდა. იწვა ვაგონკის ზედა საწოლზე, თავზე საბანი და ბუშლატი წაეხურა, ფეხები სათბურის ამოკეცილ სახელოში ჰქონდა წაყოფილი. ვერ ხედავდა, მაგრამ ხმაურზე ატყობდა, რა ხდებოდა ბარაკში და მისი ბრიგადის სამყოფელ კუთხეში. აი, მორიგეებმა დერეფანში მძიმე ნაბიჯებით ჩაატარეს ერთი რვავედროიანი პარაშა. ვითომ — ინვალიდები არიან, იოლ სამუშაოს ვაკეთებინებთო! კარგი ბიჭი ხარ და ისე წაიღო პარაშა, არაფერი გადმოგეღვაროს. აი, 75-ე ბრიგადაში საშრობიდან თექურების შეკვრა შემოაგდეს. აი, ჩვენსაშიაც (თექურების შრობა დღეს ჩვენც გვიწევდა). ბრიგადირი და მისი თანაშემწე ხმის გაუღებლად იცვამენ, საწოლები კი ჭრიალებს. ახლა ბრიგადირის თანაშემწე პურის საჭრელს მიაშურებს, ბრიგადირი — შტაბის ბარაკს — საგეგმო-საწარმოო ნაწილს.

ოღონდ საგეგმო-საწარმოში კვლავინდებურად განმწესებლებს კი არ მიადგება, — შუხოვს გაახსენდა: დღეს მათი ბედი წყდება — 104-ე ბრიგადას უპირებენ სახელოსნოს მშენებლობიდან გადაამსერონ ახალ ობიექტზე — „სოცქალაქში". ის სოცქალაქი ერთი მოტყაული და თოვლით გადანამქრული ველია. ვიდრე სხვა რამე საქმეს შეუდგებოდნენ, იმ ველზე ორმოები უნდა ამოთხარონ, ბოძები დაასვან და ისევ სათავისოდ ეკლიანი მავთულები გადაჭიმონ — გაქცევით რომ ველარსად გაიქცნენ. მერე მშენებლობის დაწყებაც შეიძლება.

ნაღდი ამბავია — იმ ველზე ბარე ერთ თვეს ძვლებს ვერსად გაითბობ კაცი — გადახურული არაფერი მოიძებნება. ცეცხლსაც ვერ დაანთებ — ცეცხლს ხომ უნდა შეუკეთო რამე! მიდექი და არჭე ბოძები.

ბრიგადირი შეფიქრიანებულია, საქმის მოსაგვარებლად მიდის. თავის მაგივრად სხვა რომელიმე დედალი ბრიგადა უნდა გაჭედოს. რასაკვირველია, ხელცარიელს კაციშვილი ყურს არ ათხოვებს. უფროს განმწესებელს ნახევარ კილო ლორს აახლებს. იქნება ერთი კილოც მიართვას.

ცდით არაფერი დაშავდება. ხომ არ ესინჯა სანიტნაწილში ერთი დღით სამუშაოდან გათავისუფლებულიყო? მთელი სხეული მოეშალა და ესაა.

ისიც საკითხავია — დღეს რომელი ზედამხედველი მორიგეობს?

გაახსენდა: ივანი მორიგეობს, ხმელ-ხმელი, ანოწილი, შავთვალა სერჟანტი. ერთი შეხედვით ნამდვილი საფრთხობელაა, მაგრამ ახლოს რომ გაიცნეს, ყველა ზედამხედველზე დამყოლი გამოდგა: არც კარცერში სვამს ვინმეს, არც უფროსებთან მიათრევს. ასე რომ, ცოტა ხანს შეიძლება იწვეს კაცი, ჯერ მეცხრე ბარაკი ნავიდეს სასადილოში.

ვაგონკა შეინძრა და აქანავდა. ორნი ერთად დგებოდნენ: ზემოთ — შუხოვის მეზობელი ბაპტისტი ალიოშკა, ქვემოთ — ბუინოვსკი, მეორე რანგის კაპიტან-ყოფილი.

ბებერმა მორიგეებმა ორივე პარაშა გაიტანეს და ახლა იმაზე წაიკიდნენ, მდუღარეზე რომელი წასულიყო. დედაკაცებივით მია-

ცივდნენ და ლანძღეს ერთმანეთი. მე-20 ბრიგადაში რომ ელექტროშემდუღებელია, იმან ულრიალა:

— ეი, ქაჯებო! — და ნაბდის ჩექმა გაუქანა. — შეგარიგებთ მე თქვენ!

თექურა ბოძს მოხვდა და ყრუ ხმა გაიღო. დაჩუმდნენ მოჩხუბარნი.

მეზობელი ბრიგადის კუთხიდან ბრიგადირის თანაშემწის ჩუმი ხმა აღწევდა:

— ვასილ ფედორიჩ! სასურსათოში ისევ იმამაძაღლეს: ცხრაასგრამიანი ნაჭერი ოთხი იყო და სამი შექნილა, რომელს დავაკლო?

ეს ხმადაბლა თქვა ბრიგადირის თანაშემწემ, მაგრამ, რაღა თქმა უნდა, მთელმა იმ ბრიგადამ გაიგონა და გაიტრუნა: საღამოს ვიღაცას ჩამოაჭრიან.

შუხოვი კი ისევ ინვა ნახერხის დატკეპნილ ლეიბზე. აჯობებდა, ორში ერთი მომხდარიყო — ან სიცხეს აეწია, ან ტანში ტეხვას გაევლო, თორემ აღარც ერთი იყო და აღარც მეორე.

ვიდრე ბაპტისტი ჩურჩულით ლოცულობდა, გარედან ბუინოვსკი შემობრუნდა და თითქოს თავისთვის თქვა ნიშნის მოგებით:

— აბა, დაუდექით, წითელფლოტელებო! ნაღდი ოცდაათი გრადუსია!

მაშინ შუხოვმა გული დააჯერა — სანიტნაწილში უნდა წავიდეო.

და იმავე წამს ვიღაცის უფლებამოსილმა ხელმა სათბური და საბანი ერთად გადახადა. შუხოვმა სახიდან ბუშლატი გადაიძრო, წამოიწია. მის ქვემოთ თათარი იდგა. ხმელ-ხმელი ზედამხედველის თავი ვაგონკის ზედა თაროს უსწორდებოდა.

ესე იგი, რიგგარეშე ყოფილა მორიგედ და მოჰპარვია.

— შჩ-რვაას ორმოცდათოთხმეტი! — ამოიკითხა თათარმა შავ ბუშლატს მიკერებულ თეთრ ნაჭერზე. — სამი დღის კარცერი სამუშაოზე გაყვანით!

და გაისმა თუ არა მისი თავისებური ყრუ ხმა, უცბად აწრიალდა მთელი ჩაბნელებული ბარაკი, სადაც ნათურები სანახევროდ არც კი ენთო, სადაც ორასი კაცი ინვა ბაღლინჯოებით გამოვსებულ ორ-

მოცდაათ ვაგონკაზე. ვინც მანამდე არ ამდგარიყო, ახლა საჩქაროდ ჩაცმას შეუდგა.

— რისი გულისთვის, მოქალაქე უფროსო? — ხმა მოისაწყლა შუხოვმა.

სამუშაოზე რაკი გაჰყავხართ, უკვე სანახევროდ აღარცაა კარცერი: ცხელ კერძსაც მიიღებ და დაფიქრების დროც არ გექნება. ნამდვილი კარცერი მაშინაა, როცა სამუშაოზე გაუყვანლად ისჯები.

— ზარის ხმაზე არ ადექი, ხომ? წამო კომენდატურაში, — ზანტად განუმარტა თათარმა, რადგან მასაც, შუხოვსაც და სხვებსაც კარგად ესმოდათ, რატომ ითქვა კარცერი.

თათრის უბალნო, მოთელილ სახეზე არაფერი გამოხატულა. მეორე მცონარას მოსაძებნად შეტრიალდა ზედამხედველი. მაგრამ უკვე ყველა ჩაცმას შესდგომოდა — ვინ ნახევრად ბნელში და ვინ ნათურის ქვეშ, ვინ ვაგონკის პირველ სართულზე და ვინ მეორეზე — ზოგი ფეხებს უყრიდა დაბამბულ, მარცხენა მუხლისთავთან ნომერდაკერებულ შარვალში, ზოგს უკეე ჩაეცვა და გასასვლელისკენ მიიჩქაროდა, რათა გარეთ დაეცადა, ვიდრე თათარი იქაურობას გაეცლებოდა.

სხვა რამის გამო, დამსახურებისამებრ რომ მიესაჯათ შუხოვისთვის კარცერი, გული ასერიგად აღარ დასწყდებოდა, საწყენი ის იყო, ნიადაგ პირველთაგანი დგებოდა დილდილობით. მაგრამ იცოდა, თათარს თავისას ვერ გადაათქმევინებდა. ამიტომ უფრო პირის მოსაწმენდად ჭუჭყუნებდა და ამასობაში ტანზე იცვამდა. დაბამბული შარვალი ამოიკრა (მარცხენა მუხლისთავს ზემოთ ამ შარვალსაც ჰქონდა მიკერებული ძველისძველი ჭუჭყიანი ნაჭერი, რომელზეც შავი, უკვე ფერგადასული საღებავით ეწერა ნომერი შჩ-854), სათბური ჩაიცვა (სათბურს ორი ნომერი ჰქონდა მიკერებული — ერთი წინ და ერთიც უკან, ზურგზე). ძირს შექუჩულ გროვაში თავისი თექურა ჩექმები ამოარჩია, ქუდი დაიხურა (ქუდსაც ისეთივე ნომრიანი ნაჭერი ეკერა) და თათარს გაჰყვა.

მთელი 104-ე ბრიგადა ხედავდა, როგორ მიჰყავდათ შუხოვი, მაგრამ ხმა არავის გაულია: რის მაქნისი იყო რაიმეს თქმა, ან რა უნდა ეთქვათ? ბრიგადირს შეეძლო ცოტათი წასარჩლებოდა, მაგრამ

იქ არსად იყო. შუხოვმაც არავის არაფერი უთხრა, თათრის განაწყენებას მოერიდა. საუზმეს შეუნახავენ, ამდენს მოიფიქრებენ.

ასე გავიდნენ ორივენი.

ნისლიანმა ყინვამ სუნთქვა შეუკრა. შორეული კუთხის კოშკურებიდან ორი დიდი პროჟექტორი ჯვარედინად ეცემოდა ბანაკის არეს. ზონაშიც და შიგნითაც იმდენი ნათურა ენთო, ვარსკვლავები აღარ იხილვებოდა.

თექურების თოვლზე ჭრაჭუნით მიმორბოდნენ ტუსაღები — ვინ ჩეჩმისკენ, ვინ საწყობისკენ, ზოგი ამანათების საწყობში მიიჩქაროდა, ზოგიც — ინდივიდუალურ სამზარეულოში ბურღულის ჩასაბარებლად. თავი ყველას მხრებში ჩაერგო, ბუშლატებში მჭიდროდ გახვეულიყვნენ. და ყოველი მათგანი სიცივეს აეტანა — იმდენად ყინვა არ ანუხებდათ, რამდენადაც იმის ფიქრი, რომ მთელი დღე ასეთ ყინვაში უნდა ყოფილიყვნენ. თავის ძველ მაზარაში გახვეული თათარი კი დინჯად მიალაჯებდა, თითქოს სულაც არ იყო შემცივნული.

ჩაუარეს ბანაკის შიდაციხეს შემოვლებულ ხის მესერს, ჩაუარეს ეკლიან მავთულს, რომლითაც პურის საცხობი პატიმრებისგან იყო დაცული; ჩაუარეს შტაბის ბარაკის კუთხეს, სადაც მსხვილ მავთულზე ერთიანად ჭირხლმოდებული რელსი ეკიდა; ჩაუარეს ბოძს, სადაც ასევე დაჭირხლული თერმომეტრი ეკიდა მყუდროში, რათა სინდიყი ერთობ დაბლა არ ჩამოვარდნილიყო. შუხოვმა მოიმედე თვალი შეავლო თერმომეტრის რძესავით თეთრ მილს: ორმოცდაერთი გრადუსი რომ ეჩვენებინა, სამუშაოდ აღარ გარეკავდნენ. მაგრამ დღეს ორმოცამდეც ვერ დასულიყო.

შტაბის ბარაკში, ზედამხედველთა ოთახში შევიდნენ. როგორც შუხოვმაც იაზრა გზადაგზა, იქ ცხადი შეიქნა, რომ მისთვის კარცერი არ მიუსჯიათ — ზედამხედველთა ოთახში იატაკი იყო მოსარეცხი და მეტი არაფერი. თათარმა გამოუცხადა — დანაშაული მიპატიებიაო, და იატაკის მორეცხვა უბრძანა.

ზედამხედველთა ოთახში იატაკის მორეცხვა ევალებოდა სპეციალურ პატიმარს — შტაბის ბარაკის მორიგეს, რომელიც ბანაკს გარეთ არ გაჰყავდა. მაგრამ მას შტაბის ბარაკში უკვე დიდი ხანი ჰქონდა მოთეული, მაიორის კაბინეტშიც შეეძლო შესვლა, რეჟიმის

უფროსთანაც და ოპერთანაც. მათ ემსახურებოდა, ზოგჯერ ისეთ რამესაც მოჰკრავდა ყურს, რაც ზედამხედველებმაც არ იცოდნენ, ამიტომ ეს ერთი ხანია აზრად მოუვიდა — აღარ შემშვენის უბრალო ზედამხედველებს იატაკი ვურეცხოო. ამათაც ერთხელ უხმეს, მეორედ, მერე მიზეზს მიხვდნენ და ამ საქმეზე მუშა ხალხის მოდენას მიჰყვეს ხელი.

საზედამხედველოში ღუმელი ღუღუნებდა. ბინძური გიმნასტურების ამარა ორი ზედამხედველი შაშს თამაშობდა, მესამეს ქამარშემოჭერილი ტყაპუჭისა და თექურების გაუხდელად მისძინებოდა ვიწრო სკამლოგინზე. კუთხეში ვედრო იდგა, შიგ ჩვარი იყო ჩაგდებული.

შუხოვმა გაიხარა და გამომშვიდობებისას თათარს უთხრა:

— გმადლობთ, მოქალაქე უფროსო! აწი აღარასოდეს დავაგვიანებ ადგომას.

კანონი აქ მარტივია: სამუშაოს მორჩები და წახვალ ახლა, რაკი სამუშაო მისცეს, შუხოვს თითქოს აღარც ამტვრევდა ტანში. ვედრო აიღო და უხელთათმანომ (სიჩქარეში ბალიშქვეშ დარჩენოდა), ჭისკენ გასწია.

საგეგმო-საწარმოო ნაწილში ნამყოფი რამდენიმე ბრიგადირი ბოძთან შეჯგუფულიყო. მათგან უფრო ახალგაზრდა, საბჭოთა კავშირის ყოფილი გმირი, ბოძზე ამძვრალიყო და თერმომეტრს ჭირხლს აცლიდა.

— შენ ოღონდ იქით ისუნთქე, თორემ აიწევს.

— აიწევს არა... ნასუნთქი არ მოქმედებს ამაზე.

შუხოვის ბრიგადირი ტიურინი მათ შორის არ ჩანდა. შუხოვმა ვედრო დადგა, ხელები სახელოებში შემალა და ცნობისწადილმორეული შეჩერდა.

ბოძზე ამძვრალმა ხრინწიანი ხმით თქვა:

— ოცდაშვიდნახევარია ეს დალუპული.

ერთხელაც დახედა თერმომეტრს გულის დასაჯერებლად და ჩამოხტა.

— მოშლილია, ძმაო, ურევს ხოლმე, — თქვა ვიღაცამ. — სწორ თერმომეტრს აქ დაგიკიდებენ?

ბრიგადირები ნავიდ-ნამოვიდნენ. შუხოვი ჭისკენ გაიქცა. ყურებიანი ქუდი ნიკაპთან არ შეეკრა და ყინვა უჭერდა.

ჭის გვიმს სქელი ყინული შემოჰკვროდა, ისე რომ, ვედრო ძლივს გაეტია. თოკიც მარგილივით გაშეშებულიყო.

ყინვამ ლამის წაალა ხელები. ორთქლადენილი ვედრო საზედამხედველოში შეარბენინა და ხელები შიგ ჩაყო. სითბო იგრძნო.

თათარი აღარსად ჩანდა, ოღონდ სამის ნაცვლად ოთხი ზედამხედველი დაუხვდა მაინც. შაშის თამაშსა და ძილზე ხელი აეღოთ და დაობდნენ — იანვარში ბურღულს რამდენ-რამდენს დაგვირიგებენო (ახალშენში პროდუქტების ნაკლებობა იყო და ზედამხედველებს, თუმცა ბარათები კარგა ხნის გაუქმებული იყო, ცოტ-ცოტა რაღაც ფასდაკლებით ეძლეოდათ).

— კარი მიხურე, შე დამპალო, გვიბერავს! — გამოხედა ერთ-ერთმა.

არ ივარგებდა, ამ დილაუთენიასვე რომ დასველებოდა ნაბდის ჩექმები. არადა, ბარაკშიაც რომ მიბრუნებულიყო, გამოსაცვლელი არაფერი მოეძევებოდა. აქ ჯდომის რვა წლის მანძილზე ფეხსაცმლის მიღების მრავალნაირი წესი გაიცნო შუხოვმა: ზოგჯერ სულაც უთექურებოდ უხდებოდათ გამოზამთრება; ხან ყელიან ფეხსაცმელს თვალითაც არ შეახედებდნენ, მარტო ქალამნებს აძლევდნენ და რეზინის ფეხსაცმელს. ამ ბოლო ხანებში ფეხსაცმლის საქმე ვითომ ცოტათი გამოკეთდა: შუხოვმა ოქტომბერში მიიღო (იმიტომ მიიღო, რომ ბრიგადირის თანაშემწესთან ერთად საწყობში შეეკრა) ზორბა, მაგარცხვირიანი ფეხსაცმელი. ფეხი შიგ ისე გემრიელად ეჯდა, ორი თბილი ფეხსახვევის ადგილი კიდევ რჩებოდა. ერთი პირობა მაყარივით იარა, სულ ქუსლებს დააბაკუნებდა. დეკემბერში კიდევ თექურებმა მოუსწრო და აშენდა კაცი. მერე ვიღაც ოხერმა ბუღალტერიაში უფროსს უჩურჩულა: თექურები მიღებით მიიღონ, მაგრამ ფეხსაცმელი უკანვე ჩაგვაბარონო. ვითომ — რა წესი იქნება, პატიმარს ორი წყვილი ერთად რომ ჰქონდესო! შუხოვს არჩევანმა მოუნია: ან მთელი ზამთარი იმ ტყავის ფეხსაცმელში უნდა გაეტარებინა, ან თექურებს დასჯერებოდა, თოვლ-ჭყაპშიაც იმით ევლო და ფეხ-

საცმელი დაებრუნებინა. მერე რანაირად უვლიდა, სოლიდოლით არბილებდა! ახალთახალი ფეხსაცმელი იყო! რვა წლის განმავლობაში გული ისე არაფერზე დასწყვეტია როგორც იმ ფეხსაცმელზე. ერთ გროვად მოაქუჩეს, გაზაფხულზე ვინღა მიგასუნინებს!

ახლა შუხოვმა ასე ამჯობინა: თექურებიდან მარჯვედ ამოძვრა, ჩექმები კუთხეში დატოვა, ფეხსახვევებიც შიგ ჩააგდო (იატაკზე კოვზმა მოიღო წკრიალი, ხომ ისე ჩქარა გამოეწყო საკარცეროდ, კოვზი მაინც არ დავიწყებია!), ფეხშიშველმა ჩვარი მოიმარჯვა და წყალი ზედამხედველთა თექურებისკენ მიუშვა.

— ნელა, შე ქეციანო! — იყვირა ერთმა და ფეხები სკამზე შემოაწყო.

— ბრინჯიო? ბრინჯი სხვა ნორმით მოგვდის, ბრინჯს ნუ უყურებ შენ!

— რაა, შე გამოთაყვანებულო, ამდენი წყალი? იატაკს ასე ვინ რეცხავს.

— ისე ვერ მოირეცხება, მოქალაქე უფროსო! ჭუჭყი გასჯდომია...

— ის მაინც არ გინახავს როდისმე, შენი დედაკაცი როგორ რეცხავდა იატაკს, ღორო?

შუხოვი ნელში გაიმართა. ხელში ჩვარი ეჭირა და ჩვარს წყალი ჩამოსწურწურებდა, ალალად გაიღიმა და ნაკლული კბილები გამოაჩინა. კბილები უსტ-იუმში დასძვრა სურავანდისგან, ორმოცდასამში, როცა ისე იყო მიჯანდაგებული, სისხა გასდიოდა, გასავათებული კუჭი საჭმელს არაფერს იკარებდა. ახლა იმ დროიდან მარტო ჩლიფინილა შემორჩა.

— ჩემი დედაკაცი, მოქალაქე უფროსო, ორმოცდაერთში დამატოვებინეს. აღარც მაგონდება, ქალად როგორი ქალი იყო.

— აი, ასე რეცხავენ ესენი... არაფრის გაკეთება არ იციან და ხელის განძრევაც არ უნდათ... მაგათ რომ ეძლევათ, იმ პურის საღირალიც არ არიან. ნეხვი უნდა აჭამო მაგათ.

— ან რა ფეხებად უნდა ყოველდღე მორეცხვა? ნესტი დგას ისედაც. გამიგონე, რვაას ორმოცდათოთხმეტო, შენ ასე ქენი — ცოტა წაუსვ-წამოუსვი, სისველე რომ იყოს, იმდენი და დაიკარგე აქედან.

— ბრინჯიო! შენ ბრინჯსა და ბურღულს ნუკი აურევ!

შუხოვი მარჯვედ იყო.

მუშაობა ჯოხივითაა — ორი ბოლო აქვს: თუ მართლა კაცისთვის მუშაობ, ხარისხიანად უნდა აკეთო, თუ შტერებისთვის — თვალში ნაცრის შეყრაც კმარა...

სხვანაირად დიდი ხანია ყველას სული ამოსძვრებოდა.

შუხოვმა იატაკს მოუსვა, რომ მშრალი არსად დარჩენილიყო, გაუწურავი ჩვარი ღუმელს უკან მიაგდო, თექურები ჩაიცვა და სასადილოსაკენ გასწია.

სანიტნანილში შევლაც უნდა მოესწრო, ტანში ისევ ამტვრევდა. ისიც საფიქრებელი იყო, სასადილოს წინ ზედამხედველებს არ გადაჰყროდა: ბანაკის უფროსის ფიცხელი ბრძანება იყო გამოცემული — ბრიგადებს ჩამორჩენილნი დაეჭირათ და კარცერში ჩაესვათ.

სასადილოს წინ — საკვირველი ამბავია — ხალხი არ ირეოდა, რიგი არ იდგა. შებრძანდი!

შიგნით აბანოსავით ორთქლი იდგა — კარებიდან შემოსული ყინვისა და ბალანდის ორთქლი. ბრიგადები მაგიდებს შემოსხდომოდნენ ან გასასვლელში გაჭედილიყვნენ და ადგილის დაცლას ელოდებოდნენ. ყოველი ბრიგადიდან ორი-სამი კაცი სივიწროვეში ყვირილით გზას მიიკვლევდა. ხის სინებით ბალანდა და ფაფა მიჰქონდათ და მაგიდებზე დასადგმელ ადგილს ეძებდნენ. მაინც არაფერი ეყურება ამ ჩერჩეტს. ესეც შენ, სინი მოგაფეთეს! თავისუფალი ხელით კისერში მოჩანთე, მოჩანთე მაგას! სწორია! ნუ გაჩერებულხარ გასასვლელში და თვალებს ნუ აცეცებ — სად რა ატლიკო.

ეგერ მაგიდასთან, ყმაწვილი კაცი ჯერ ჭამას არ შესდგომია — პირჯვარს იწერს. ეტყობა, დასავლეთ უკრაინელია, თანაც არიფი.

აბა, რუსებს ისიც აღარ ახსოვთ, რომელი ხელით უნდა პირჯვარს გადაწერა.

სასადილოში ცივა. ქუდმოუხდელად ჭამენ, მაგრამ არ ჩქარობენ. შავი კომბოსტოს ფოთლებში გულმოდგინედ ეძებენ წვრილი თევზის ნახარშს და ძვლებს მაგიდაზევე აფურთხებენ. როცა ძვლები ბლომად დაგროვდება, ახალი ბრიგადის მოსვლისას ვინმე ხელს წამოუს-

ვამს და ძირს გადაუძახებს. მერე იატაკზე გააქვს იმ ძვლებს ლიწინ-ლიწინი.

ძვლების პირდაპირ იატაკზე გადმოფურთხება უწესობად ითვლება.

შუა ბარაკს ორ რიგად მიუყვებოდა სვეტები იყო თუ საბიჯგები. და ერთ ასეთ სვეტთან შუხოვის ბრიგადის ნევრი ფეტიუკოვი იჯდა, მის საუზმეს დარაჯობდა. ბრიგადაში ერთი უკანასკნელთაგანი იყო ფეტიუკოვი, შუხოვზე უარესი. გარეგნულად მთელი ბრიგადა ერთნაირია, ყველას შავი ბუშლატი აცვია და ზედაც ნომერი აქვს მიკერებული. მაგრამ შიგნით ყველა თანასწორი როდია — საფეხურებივით მისდევენ ერთიმეორეს. ბუინოვსკი შენს ჯამს დარაჯად არ დაუდგება, და არც შუხოვი მოჰკიდებს ხელს ყოველნაირ საქმეს, ზოგიერთ რამეს კიდეც ითაკილებს.

ფეტიუკოვმა შენიშნა შუხოვი, ამოიოხრა და ადგილი დაუთმო.

— სულ გაცივდა. უკვე შეჭმას ვაპირებდი, ვიფიქრე — კარცერშია-მეთქი.

თქვა და აღარ დაუცდია. იცოდა — შუხოვი არაფერს დაუტოვებდა, ორივე ჯამს მოასუფთავებდა.

შუხოვმა თექურიდან კოვზი დააძრო. ძვირად უჭირდა ეს კოვზი, მის მოუშორებლად მოიარა მთელი ჩრდილოეთი. თავად ჩამოასხა ალუმინის მავთულისაგან. ზედ ტვიფარიც ჰქონდა: „უსტ-იუმა, 1944“.

მერე გადაპარსული თავიდან ქუდი მოიხდა, — რაც უნდა სიცივე ყოფილიყო, თავის თავს ნებას არასოდეს მისცემდა ქუდმოუხდელს ეჭამა, — გაცივებულ ბალანდას მოურია და სწრაფად შეამოწმა, თუ რა მოხვედრილიყო მის ჯამში. ასე, საშუალოდ ეწილადებინათ. არც სავსე ქვაბიდან დაუსხამთ, მაგრამ არც ნაძირალა მიუციათ. ფეტიუკოვს ისიც ეყოფა, რომ დარაჯობაში მისი ჯამიდან კარტოფილი ამოუცანცლავს.

ბალანდას ის მაინც აქვს კარგი, რომ ცხელია ხოლმე, მაგრამ ახლა შუხოვს სულ გაცივებული შეხვდა. მაინც ნელა, გულდასმით შეუდგა ჭამას. სასადილოში თავზე სახლი რომ გენგრეოდეს, მაინც არ უნდა აჩქარდე. თუ ძილს არ ჩავაგდებთ, პატიმარი საკუთარი

თავისთვის დილით საუზმეზე ათ წუთს, სადილად ხუთ წუთს და ვახშმადაც ხუთიოდე წუთს ცხოვრობს მხოლოდ.

დღეები დღეებს მისდევდა, მაგრამ ბალანდა არ იცვლებოდა, ოღონდ საკითხავი იყო — რომელ ბოსტნეულს მოიმარაგებდნენ საზამთროდ. შარშან დამწნილებული სტაფილო მოზიდეს მხოლოდ და სექტემბრიდან ივნისამდე სტაფილოიანი ბალანდა კეთდებოდა. წელს შავი კომბოსტოა მოტანილი. ყველაზე მაძღრად პატიმარი ივნისშია: ყოველგვარი ბოსტნეული თავდება და ბურღულით ცვლიან. ყველაზე უარესია ივლისი.

— ჭინჭარს ხარშავენ.

იმ ნვრილი თევზისა მეტწილად ძვლები ხვდებოდა. ხორცი ჩახარშულა, ჩაქლეულა, თავსა და კუდსღა შერჩენილი, თევზის ხერხემალზე შუხოვს არც ხორცის ნამცეცი შეურჩენია და არც ქერცლი. მაინც ღეჭავდა, ძვლებს წუწნიდა და მერე მაგიდაზე აფურთხებდა. რანაირი თევზიც უნდა ყოფილიყო, ყველაფერს ჭამდა შუხოვი: ლაყუჩებსაც, კუდსაც. თვალებსაც ჭამდა, თუ თავის ადგილზე იყო შერჩენილი. მაგრამ თუ ჩაიხარშებოდა და ჯამში ცალკე დაცურავდა თევზის დიდრონი თვალები, მაშინ პირს არ აკარებდა. ამის გამო სხვები დასცინოდნენ.

დღეს ეკონომია გააკეთა შუხოვმა. ბარაკში არ შეუვლია და თავისი ულუფა არ მიუღია. ამიტომ ახლა უპუროდ ჭამდა. მერე მარტო პურს მიადგება, ასე უფრო მაძღრისიცაა.

მეორე თავად მაგარას ფაფა გაეკეთებინათ. ციცი ფაფა ისე გასქელებულიყო, შუხოვი ნაჭერ-ნაჭერ იღებდა ჯამიდან. მაგას ცივს კი არა, ცხელსაც არა აქვს არც გემო და არც ნაყოფიერება: ბალახია და მეტი არაფერი, ოღონდ მოყვითალო, ფეტვის ბურღულს ჩამოჰგავს. ვიღაცას აზრად მოუვიდა ბურღულის მაგივრობა გაეწევინებინა. ამბობენ, ჩინელებისგან გადმოიღესო. მოხარშული სამას გრამს იწონის და მორჩა: ფაფაა თუ არაა, მაინც ფაფად საღდება.

შუხოვმა კოვზი გალოკა, თექურაში თავის ადგილას ჩაიდვა, ქუდი დაიხურა და სანიტნაწილისკენ გასწია.

ბანაკის ნათურებით ვარსკვლავებმიმქრალი ზეცა ისევ ბნელს მოეცვა. ორი პროუექტორი ისევ ისე ფართო ნაკადებად ეფინებოდა

ზონას. ამ განსაკუთრებულ ბანაკს რომ აშენებდნენ, დაცვას ჯერ კიდევ ჰქონდა შემორჩენილი უამრავი საფრონტო მანათობელი მაშხალა. სინათლის ჩაქრობისთანავე აისროდნენ ბანაკის თავზე თეთრ, მწვანე, ნითელ მაშხალებს, ნამდვილი ომი გეგონებოდა. მერე მოეშვნენ მაშხალების სროლას. ძვირი თუ უჯდებოდათ.

ისეთივე ღამე იყო, როგორც წამოდგომისას, მაგრამ ნაცადი თვალი სხვადასხვა წვრილმანი ნიშნის მიხედვით ადვილად შეამჩნევდა, რომ მალე სამუშაოზე გაყვანის ზარს ჩამოჰკრავდნენ. ჩოლოხას თანაშემწე (სასადილოს მორიგემ — ჩოლოხამ თანაშემწეც გაიჩინა) გაემართა მეექვსე — ინვალიდთა ბარაკის საუზმეზე დასაძახებლად. ინვალიდები ბანაკს გარეთ არ გაჰყავდათ. კულტურულ-სააღმზრდელო ნაწილისკენ წაჩანჩალდა მოხუცი წვეროსანი მხატვარი. ფუნჯზე და საღებავზე წავიდა, ნომრების საწერად. აჩქარებულმა თათარმა განიერი ნაბიჯებით გადაჭრა სამწკრივო ხაზი შტაბის ბარაკის მხარეს. საერთოდ, გარეთ ხალხი შეთხელდა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყველა შეყუჟულა და თბება უკანასკნელ ტკბილ წუთებში.

შუხოვი მარდად დაემალა თათარს ბარაკის კუთხის უკან: მეორედ რომ გადაჰყროდა, ისევ მოხვდებოდა. საერთოდ, მუდამ ფხიზლად უნდა იყო კაცი, უნდა შეეცადო, რომელიმე ზედამხედველმა მარტო არასდროს ჩაგავლოს, მხოლოდ ჯგუფში მიმავალს გხედავდეს. იქნებ კაცს ეძებს სამუშაოზე გასაგზავნად? იქნებ გულის ჯავრი აწუხებს და ვერავიზე ამოუყრია? ხომ ნაიკითხეს ბარაკ-ბარაკ ბრძანება — ზედამხედველთან შეხვედრისას ხუთ ნაბიჯზე უნდა მოიხადო ქუდი და, რომ ჩაუვლი, ორი ნაბიჯის მერე შეგიძლია დაიხურო. ზოგი ზედამხედველია, ბრმასავით მოდის, ფეხებზე ჰკიდია შენი ქუდი, მაგრამ ისეთებიც არიან, დიდად სიამოვნებთ ეს ამბავი. რამდენი ჩაჯდა კარცერში ამ ქუდის გამო! არა, კუთხის უკან მოცდა სჯობს ნამდვილად.

თათარმა ჩაიარა და ის იყო შუხოვი სანიტნაწილისკენ აპირებდა გაქცევას, რომ გაახსენდა: ამ დილით დათქმული ჰქონდა შეხვედრა მეშვიდე ბარაკელ გრძელ ლატვიელთან, — ორი ჭიქა შინაური თუთუნი უნდა ეყიდა მისგან. შუხოვი კი საქმეებს გადაჰყვა და გულ-

იდან გადაუვარდა ეს ამბავი. გრძელმა ლატვიელმა ამანათი წუხელ მიიღო, ხვალ ის თუთუნი, შესაძლოა, აღარ ექნეს და უცადე მერე მთელი თვე ახალ ამანათს. კარგი თუთუნი ჩამოსდის ლატვიელს — ზომიერად მაგარი და სურნელოვანი, მოწაბლისფრო.

გული დასნყდა შუხოვს, შეყოვნდა — მეშვიდე ბარაკისკენ ხომ არ გავუხვიოო, მაგრამ სანიტნაწილი აქვე იყო და მისკენ გაცუნცულდა. ფეხქვეშ თოვლი ჭრაჭუნებდა.

სანიტნაწილის დერეფანი კვლავინდებურად ისე ქათქათებდა, კაცს იატაკზე ფეხის დადგმა შეგეშინდებოდა. კედლებიც თეთრად ბრიალებდა, ავეჯიც თეთრი იდგა.

ყველა კაბინეტის კარი დაკეტილი დაუხვდა. ექიმები ჯერ ლოგინიდანაც არ იქნებოდნენ ამდგარი. სამორიგეოში ფერშალი აღმოჩნდა — ჭაბუკი კოლია ვდოვუშკინი. სპეტაკი ხალათით მოსილი სუფთა მაგიდას მისჯდომოდა და რაღაცას წერდა.

მეტი არავინ იყო.

შუხოვმა ქუდი მოუხადა, ისევე, როგორც უფროსების წინაშე აკეთებდა. პატიმართა ჩვეულებაა — სადაც არ მართებთ, იქ ჩაიჭყიტონ. შუხოვმაც უმალ შენიშნა, რომ ნიკოლაი სწორ-სწორ ბნკარებს ავლებდა ქაღალდზე, თანაც ყოველ ბნკარს ზუსტად ერთიმეორის ქვეშ მთავრული ასოებით იწყებდა. რასაკვირველია, შუხოვი მაშინვე მიხვდა, რომ ეს სამსახურის სამუშაო კი არა, წასაიმასქნებელი საქმე იყო. მაგრამ ეს ამბავი მას არ ეკითხებოდა.

— იცით, ნიკოლაი სემიონიჩ... მე, მგონი... ავად უნდა ვიყო... — ხათრიანად ჩაილაპარაკა შუხოვმა.

ვდოვუშკინმა დიდრონი, მშვიდი თვალები მოსნყვიტა სამუშაოს. მას თეთრი ჩაჩი ეხურა, თეთრი ხალათი ეცვა და არც ნომერი უჩანდა სადმე.

— მერე რაღა ასე გვიან მოხვედი? წუხელის ვერ მომაკითხე? ხომ იცი, დილაობით მიღება არაა? გათავისუფლებულთა სია უკვე საგეგმო-სანარმოშია.

შუხოვმა იცოდა ეს ყოველივე. ისიც იცოდა, რომ გათავისუფლება არც საღამოთია უფრო იოლი საქმე.

— ხომ იცი, კოლია... ეს დაღუპული საღამოსვე, როცა საჭიროა, მაშინ არ აგტკივდება...

— რა ეს? მაინც რა გტკივა?

— კაცმა რომ თქვას, თითქოს არც არაფერი მტკივა, მაგრამ ვერ ვარ კარგად.

შუხოვი იმათგანი არ იყო, ვინც სანიტნაწილს აეკიდება ხოლმე. ეს იცოდა ვდოვუშკინმა. მაგრამ მას უფლება ჰქონდა დილაობით ორი კაცი გაეთავისუფლებინა: ეს ორი კაცი მან უკვე გაათავისუფლა. მაგიდაზე, მომწვანო ფერდაკრული მინის ქვეშ ჩანერილი იყო ის ორი კაცი და მათ ქვემოთ ხაზი იყო გავლებული.

— ადრევე უნდა შეგეწუხებინა თავი. რაღა ზედ სამუშაოზე გაყვანის წინ მომაკითხე? აჰა!

ვდოვუშკინმა მინის ქილიდან თერმომეტრი ამოიღო, ხსნარი შეაწმინდა და შუხოვს გაუწოდა.

შუხოვი კედელთან ჩამოჯდა სკამლოგინზე, ზედ კიდეში ჩამოჯდა, თავს ძლივს იმაგრებდა, რომ სკამლოგინთან ერთად არ აყირავებულიყო. ასეთი უხერხული ადგილი განზრახ კი არ შეურჩევია, უნებურად დაადასტურა — სანიტნაწილში ყოფნა მეუცხოება და აქ მხოლოდ მცირე სათხოვარმა მომიყვანაო.

ვდოვუშკინმა განაგრძო.

სანიტნაწილი ბანაკის უშორეს, ყველაზე მიყრუებულ კუთხეში იყო მოთავსებული. არავითარი ხმა აქამდე არ აღწევდა. კედლის საათიც კი არ წიკწიკებდა. პატიმრებს საათის ტარება ეკრძალებათ, მათ მაგივრად დროს უფროსები ანგარიშობენ. თაგვებიც კი არსად ფხაჭუნებდნენ, საგანგებოდ მოყვანილმა კატამ მუსრი გაავლო, თუკი სადმე თაგვი მოიძევებოდა.

საუცხოო რამე იყო ასეთ დაწკრიალებულ ოთახში, ასეთ სიწყნარესა და სინათლეში ხუთი წუთის უქმად გატარება. შუხოვმა ყველა კედელი მოათვალიერა, მაგრამ ზედ ვერაფერი აღმოაჩინა. მერე თავის სათბურს დახედა — მკერდზე ნომერი გაცრეცილა, უნდა გააახლებინოს, თორემ ჩაავლებენ. თავისუფალი ხელით წვერიც მოისინჯა — გვარიანად წამოზრდილა, იმ აბანოს მერე ეზრდება, ათი დღე იქნება უკვე. რას უშლის. ერთ სამ დღეში ისევ აბანავებენ

და მაშინ გაიპარსავს. რად უნდა საპარიკმახეროს რიგში მოცდენა, ვის აწონებს თავს?

მერე, ვდოვუშკინის ქათქათა ჩაჩის ცქერაში, შუხოვს გაახსენდა სანიტბატალიონი მდინარე ლოვატის პირას. გაახსენდა, როგორ მივიდა იქ ყბადაზიანებული და — სულელი მისი თავი! — საკუთარი ნებით დაუბრუნდა ნაწილს. ბარე ხუთ დღეს კი შეეძლო წოლილიყო.

ახლა ოცნებობს: ნეტავი ერთი-ორი კვირით ავად გახადა, ოღონდ ისე, რომ სასიკვდილო არ იყოს და არც ოპერაცია დასჭირდეს, მხოლოდ საავადმყოფოში დააწვინონ. მგონი, სამ კვირას იწვებოდა გაუნძრევლად. რა უშავს, ცარიელ ბულიონზე ამყოფონ.

მაგრამ შუხოვს გაახსენდა — ახლა საავადმყოფოშიაც არ დაგაცლიან წოლას. რომელიღაც ეტაპს ახალი ექიმი ჩამოჰყოლია — სტეპან გრიგორიჩი, ერთი დამთხვეული ვიღაცა. თავად სულ წრიალებს და არც ავადმყოფობს აძლევს მოსვენებას, ვისაც სიარული შეუძლია, ყველას სამუშაოზე მიერეკება: საავადმყოფოს ეზოში მესერს აკეთებინებს, კვლებს აყვანინებს, კლუბებისთვის მიწას აზიდვინებს, ზამთრობით კიდევ თოვლს ახვეტინებს. ავადმყოფობის პირველი წამალი მუშაობააო.

ნამეტანი გარჯა ცხენსაც მოკლავს. ის უნდა ესმოდეს კაცს. ერთი კედლის ამოყვანაზე დაეტყავებინა ხელები! ჭკუაზე მოვიდოდა.

ვდოვუშკინი საწერს არ ეშვებოდა. მართლა წასაიმასქნებელ საქმეს იყო მიმდგარი, ოღონდ შუხოვს ამ საქმისა არაფერი გაეგებოდა. იჯდა კოლია და იწერდა გუშინდელ შეთხზულ ლექსს, შეპირებული იყო — დღეს სტეპან გრიგორიჩისთვის უნდა ეჩვენებინა, სწორედ იმ ექიმისთვის, შრომითი თერაპიის დამცველად რომ მოევლინა ბანაკს.

ასეთი ამბები მხოლოდ ბანაკში თუ მოხდება: სტეპან გრიგორიჩმა ურჩია ვდოვუშკინს — თავი ფერშლად გამოაცხადეო, მერე აიყვანა კიდეც ფერშლად. ვდოვუშკინიც მიდგა და გავარჯიშდა ვენის შიგნით ნემსების კეთებაში. სავარჯიშოდ ჰყავდა უბირი პატიმრები, რომლებიც ვერაფრით წარმოიდგენდნენ, რომ ფერშალი შეიძლება მართლა ფერშალი არც კი იყოს. ისე კოლია ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტი გახლდათ, მეორე კურსზე დაპატიმრებული.

სტეპან გრიგორიჩს ეწადა, კოლიას ციხეში დაეწერა ის, რის დაწერაც თავისუფლებაში არ დასცალდა.

შემოყინულ ორმაგ მინებში ზარის ხმამ ძლივს გამოატანა. შუხოვმა ამოიოხრა და წამოდგა. ტანში ისევ ამტვრევდა, მაგრამ, ეტყობა, დღეს ათესვას ვერ მოახერხებდა. ვდოვუშკინმა თერმომეტრი ჩამოართვა და დახედა.

— ხომ ხედავ, არც აქეთაა და არც იქით, ოცდაჩვიდმეტი და ორია. ოცდათვრამეტი რომ ყოფილიყო, ვერავინ იტყოდა რამეს. არ შემიძლია შენი გათავისუფლება. შენი ნებით დარჩი, თუ გინდა. ექიმი შეგამოწმებთ და ავადმყოფებს ის გაათავისუფლებს, კარგად მყოფებს კიდევ უარს მოახსენებს და შიდა ციხეში გაგზავნის. სჯობია წახვიდე სამუშაოდ.

შუხოვმა არაფერი უპასუხა, თავიც არ დაუქნევია, ქუდი ჩამოიფხატა და გამოვიდა.

მაძღარს მშიერიც მაძღარი ეგონაო.

ყინვა უჭერდა. ნისლიანი ყინვა შემოეგზნო და ხველება დაანყებინა. ყინვა ოცდაშვიდ გრადუსს აღწევდა, შუხოვს ოცდაჩვიდმეტი ჰქონდა. ახლა მთელი საქმე ის იყო, ვინ ვის აჯობებდა.

ბარაკისკენ გაუჩქარა შუხოვმა. სამნკრივო ხაზი ცარიელი იყო და ბანაკიც გამოცარიელებულს ჰგავდა. ის ხანმოკლე წუთი იდგა, როცა იმედი აღარაფრისაა, მაგრამ თავს იტყუებენ — არა, არ გაგვიყვანენო სამუშაოზე. ბადრაგა თბილ ყაზარმებში ჩამსხდარა. ძილმორეულებს თავები შაშხანებზე ჩამოუდვიათ. იმათაც არაფრად ეპრიანებათ ასეთ ყინვაში კოშკურებზე ფეხების ბაკუნი. გუშაგები მთავარ საგუშაგოზე ღუმელს უკეთებენ. საზედამხედველოში ზედამხედველნი ჩხრეკის ნინ უკანასკნელ პაპიროსს ექაჩებიან. პატიმრებს მთელი თავისი ავლადიდება უკვე ტანზე შემოუბლარდნიათ, ყველა თოკი შემოუჭერიათ, სახე რომ არ გაეყინოთ, ნიკაპიდან დაწყებული თვალებამდე ჩვრები შემოუხვევიათ, ჩექმებგაუხდელად საწოლებზე მიგდებულად და თვალდახუჭულნი გატრუნულან, ვიდრე ბრიგადირი დაიძახებდეს: „ადე-ექ!“

მთელ მეცხრე ბარაკთან ერთად 104-ე ბრიგადაც თვლემდა. მხოლოდ ბრიგადირის თანაშემწეს პავლოს ფანქარი აეღო. ტუჩებს აც-

მაცუნებდა და რაღაცას ანგარიგობდა. ზედა საწოლზე კი შუხოვის მეზობელი, დაბანილ-დასუფთავებული ბაპტისტი ალიოშკა კითხულობდა უბის წიგნაკს, რომელშიც ნახევარი სახარება ჰქონდა გადაწერილი.

შუხოვი სწრაფად შემოიჭრა ბარაკში, მაგრამ ჩქამიც არ გაუღია, ბრიგადირის თანაშემწის საწოლს მიაშურა.

პავლომ თავი ასწია.

— არ ჩაგაჯინეს, ივან დენისიჩ? ცოცხალი ხართ?

დასავლეთ უკრაინელი იყო პავლო და იქაურად უქცევდა.

მაგიდიდან შუხოვის ულუფა აიღო და გაუწოდა. პურის ნაჭერზე შაქრის ფხვნილი წამობორცულიყო.

ძალიან ჩქარობდა შუხოვი, მაგრამ მაინც როგორც რიგი და წესი იყო, ისე შეეპასუხა (ბრიგადირის თანაშემწეც უფროსად გეკუთვნის, მასზე მეტიც კია დამოკიდებული, ვიდრე ბანაკის უფროსზე). ისე ჩქარობდა, პურზე დაყრილი შაქრის ფხვნილი ტუჩებში მოიქცია. ენითაც ალოკა, თან ფიცხლად თავის საწოლზე აძვრა და სწორება დაუწყო, ოღონდ პურის ნაჭერს თვალი კარგად შეავლო და ხელში აწონ-დაწონა — გამოვა თუ არაო კუთვნილი ხუთას ორმოცდაათი გრამი? ციხეებსა და ბარაკებში ერთი და ორი ათასი არ მიულია ამგვარი ულუფა შუხოვს, და, თუმცა სასწორით არც ერთი არ შეუმოწმებია, როგორც მოკრძალებულ კაცს — არც ყვირილი და ჭოჭის მიცემა გაუბედავს, მაგრამ ყველა პატიმრის მსგავსად შუხოვიც დიდი ხანია მიმხვდარი იყო, რომ ნამუსიანად მწონავს პურის საჭრელში არ გაეძლებოდა. ყოველ ულუფას აკლია, ოღონდ რამდენი აკლია, ბევრი? ამიტომაა, რომ ყოველდღე უყურებ და თავს იიმედებ — იქნებ დღეს არც ისე მოუტყუებივართ? იქნებ ჩემსას არც არაფერი დააკლეს?

— ოცამდე გრამი დაუკლიათ, — დაასკვნა შუხოვმა და პური ორად გატეხა. ერთი ნახევარი უბეში ჩაიდვა, სათბურს ქვეშ, სადაც საგანგებო გულჯიბე ჰქონდა დაკერებული (ფაბრიკაში პატიმრის სათბურებს უჯიბოს კერავენ). მეორე, საუზმეზე დაზოგილი ნახევარი უნდოდა აქვე შეეჭამა, მაგრამ სიჩქარეში თქვლეფას ჭამა არ ეთქმის, უქმად დაიკარგება და ვერ დაგანაყრებს. განჯინაში შენახ-

ვა დააპირა, მაგრამ ესეც გადაიფიქრა: მოაგონდა, რომ მორიგეები უკვე ორჯერ სცემეს ქურდობისთვის. დიდია მათი ბარაკი, გასასვლელ ეზოსავითაა.

ამიტომ პური ხელიდან არ გაუშვა ისე გაიძრო თექურები, იმდენი იმარჯვა, ფეხსახვევებიც და კოვზიც შიგვე ჩატოვა, ფეხშიშველი საწოლზე აძვრა, ლეიბში ხვრელი გააფართოვა, და იქ, ნახერხში შემალა თავისი ულუფის ნახევარი. ქუდი მოიხადა, იქიდან ნემსი და ძაფი ამოაძვრინა (ესენიც ღრმად ჰქონდა ჩამალული, რადგან ჩხრეკის დროს ქუდებსაც სინჯავენ. ერთხელ ზედამხედველს ნემსი ეჩხვლიტა და გულმოსულმა შუხოვს კინაღამ თავი გაუტეხა). ამონემსა, ამონემსა და ხვრელი დაფარა. ამასობაში შაქარი ჩაუდნა პირში. შუხოვი უკიდურესად დაძაბული იყო — აი, საცაა აღრიალდება კარებში განმწესებელი. მისი თითები მარჯვედ მოძრაობდა, ხოლო აზრი საქმეს წინ უსწრებდა და მოსახდენს ვარაუდობდა.

ბაპტისტი სახარებას კითხულობდა, ოღონდ მარტო თავისთვის კი არა, სიტყვების გარჩევა შეიძლება (იქნება განზრახ შვრებოდა ასე, შუხოვს რომ გაეგონა — ბაპტისტებს უყვართ აგიტაციის განევა):

— „ნუმცა ვის თქვენგანსა ევნების, ვითარცა კაცის მკვლელსა, გინა მპარავსა, გინა ძვირის მოქმედსა, გინა ვითარცა უცხოისა განმგესა. ხოლო უკეთუ ვითარცა ქრისტიანესა, ნუ ჰრცხვენინ, არამედ ადიდებდინ ღმერთსა ამით ნაწილითა".

ერთ რამეში მართლა ყოჩაღია ალიოშკა: ამ თავის წიგნაკს კედლის ხვრელში ისე მარჯვედ მალავს, ჯერჯერობით ვერც ერთი ჩხრეკის დროს ვერ უპოვნეს.

შუხოვმა ისევე სწრაფად ბუშლატა კადონზე ჩამოჰკიდა, ლეიბქვეშიდან ხელთათმანები გამოაძრო, ერთი წყვილი დახეული ფეხსახვევი, თოკი და ჩვარი გამოაყოლა, ნახერხიანი ლეიბი შეასწორა, საბანი მრგვლად შემოკეცა, ბალიში თავის ადგილას მიაგდო, მერე ძირს ჩამოვიდა და ფეხზე ჩაცმას შეუდგა. ჯერ ახალი, კარგი ფეხსახვევები დაიხვია, მერე ზემოდან — ძველები.

ამასობაში ბრიგადირიც წამოდგა და დაიძახა:

— ასმეოთხე, მორჩი ღამისთევას, გამოდი-ი!

და ერთბაშად მთელი ბრიგადა — თვლემდა ვინმე თუ არ თვლემდა — წამოიმართა და მთქნარებ-მთქნარებით გასასვლელისკენ წაჩაქჩაქდა. ბრიგადირი ცხრამეტი წელიწადი ზის, სამუშაოზე ერთი წუთითაც ადრე არ გაიყვანს ხალხს. რაკი თქვა — გამოდითო, — დრო ყოფილა. და ვიდრე ბრიგადელები მძიმე ნაბიჯებით, ხმის გაუღებლად მიჰყვებოდნენ ჯერ დერეფანში, მერე წინკარსა და კართანაში, ხოლო მეოცის ბრიგადირმა ტიურინის მიბაძვით თვითონაც დაიძახა — გამოდითო, — შუხოვმა მოასწრო თექურების ჩაცმა, სათბურზე ბუშლატის მოგდება და წელზე თოკის მჭიდროდ შემოჭერა (თუ ვინმეს ტყავის ქამარი ჰქონდა, ჩამოართვეს. — განსაკუთრებულ ბანაკში ქამარი აკრძალულია).

ასე მოასწრო ყველაფერი და წინკარში თავის ჩამორჩენილ ბრიგადელებსაც დაეწია -- მათი ნომრებიანი ზურგები ის იყო კარებში გადიოდა. რაც კი მოეძევებოდათ, ყველაფერი ტანთ ჩაეცვათ და ასე დამსხვილებულნი დაწალიკებით მიჩანჩალებდნენ სამწკრივო ხაზისკენ. მძიმედ მიაბიჯებდნენ და მიჭრაჭუნებდნენ.

ჯერ ისევ ბნელოდა, თუმცა აღმოსავლეთით ცა უკვე მომწვანოდ შეფერილიყო. და აღმოსავლეთიდანვე უბერავდა სუსხიანი ნიავი.

აი, ამ წუთზე უმწარესი არც ერთი არაა — დილით რომ სამუშაოზე გადიხარ. მშიერი გადიხარ მთელი დღით ამ სიბნელეში, ყინვაში. ენა ჩაგივარდება, დალაპარაკების თავიც აღარ გექნება.

სამწკრივო ხაზთან უმცროსი განმწესებელი დაფაცურებდა.

— აბა, ტიურინ, რამდენ ხანს უნდა გიცადოთ, ისევ მოზოზინობ?

უმცროსი განმწესებლისა შუხოვს თუ ეშინია, თორემ ტიურინს არა. ტყუილუბრალოდ ხმაც არ გაუცია, თავისთვის ჩუმად მიალაჯებს. უკან ბრიგადა მისდევს თოვლში: ჭრა-ჭრუ, ჭრა-ჭრუ.

ხოლო ის ერთი კილო ლორი, როგორც ჩანს, აახლა იმიტომ, რომ 104-ე ისევ თავის მწკრივში ჩადგა, ეს მეზობელ ბრიგადებზე ეტყობა. სოცქალაქში ვინმე უფრო ღარიბს და შტერს უკრავენ თავს. ჰოჰო, რას გაყინავს დღეს იქაურობას: ოცდაშვიდი და ზედაც ქარის ქროლა, არც თავშესაფარია სადმე და არც გასათბობელი!

ბრიგადირს ლორი ბლომად სჭირდება. საგეგმო-საწარმოშიც უნდა მიართვას, საკუთარ კუჭზეც უნდა იფიქროს. თავად ამანათებს არ ღებულობს, მაგრამ უცხიმოდ კი არ ზის! ვინც მიიღებს ბრიგადაში, მაშინვე ძღვენს აახლებს.

სხვაგვარად არავის გაეძლება.

უფროსი განმწესებელი დაფაზე აღნიშნავს:

— ტიურინ, დღეს შენებიდან ერთი ავადაა, ოცდასამი გამოდის, არა?

— ოცდასამი, — ემოწმება ტიურინი, ვინ აკლიათ? პანტელეევი აკლიათ. მერედა ვითომ ავადაა?

და ბრიგადას იმავე წამს ჩურჩულმა დაურბინა: ის ძაღლისშვილი პანტელეევი ისევ ბანაკში დარჩა. არც ავადაა და არც არაფერი, ოპერმა დატოვა, ისევ უბოზებს ვინმეზე.

დღისით დაუბრკოლებლად გამოუძახებენ, თუ გინდა სამ საათსაც გააჩერებენ თავისთან, ვერც ვერავინ ნახავს და ვერც შეიტყობს.

ისე კი სანიტნაწილის ხაზით ტოვებენ...

მთელი სამწკრივო ხაზი გადაშავებული იყო ბუშლატებით და მის გასწვრივ ბრიგადები ნელ-ნელა მიიწევდნენ წინ. შუხოვს გაახსენდა, რომ სათბურზე ნომრის განახლება უნდოდა, ხაზი გადაჭრა და იქით მიაშურა, სადაც მხატვრის წინ ორი–სამი პატიმარი რიგში ჩამდგარიყო. შუხოვიც მათთან დადგა. პატიმრისთვის ნომერი უბედურებაა და მეტი არაფერი; ზედამხედველი შორიდანვე გიცნობს ნომრით, ბადრაგაც ჩაგიწერს, ხოლო თუ დროულად არ გააახლებინე მხატვარს, კარცერში ჩაგსვამენ — ნომერზე რატომ არ ზრუნავო.

სამი მხატვარია ბანაკში. უფროსებისთვის სურათებს ხატავენ უფასოდ. გარდა ამისა, სამუშაოზე ხალხის გაყვანას ესწრებიან ნომრების საწერად. დღეს ჭაღარანწერიანი მოხუცი გამოსულა. როცა ვინმეს ქუდზე ნომერს აწერს ფუნჯით, თითქოს ხუცესი მირონს აცხებდეს.

წაუსვ-წამოუსვამს ფუნჯს და ხელებზე იორთქლავს. თხელი ნაქსოვი ხელთათმანი აცვია, ხელი ეყინება, ციფრები ვეღარ გამოყავს.

მხატვარმა განუახლა სათბურზე „შჩ-854“. შუხოვს ბუშლატი აღარ შეუკრავს — ჩხრეკის ადგილამდე შორს აღარ იყო, თოკით ხელში დაეწია თავის ბრიგადას. დაეწია და უმალ შენიშნა: მისივე ბრიგადის ნევრი ცეზარი ეწეოდა, თანაც ჩიბუხს კი არა, — სიგარეტს. ეს იმას ნიშნავდა, შუხოვსაც შეეძლო ეხეირა. მაგრამ შუხოვს პირდაპირ არ უთხოვია, ცეზარს ამოუდგა და გვერდულად გაჰყურებდა.

თითქოს სხვაგან იყურებოდა გულგრილად, მაგრამ ხედავდა, ყოველი ნაფაზის შემდეგ (ცეზარი ნელა ეწეოდა, დაფიქრებული) როგორ ინაცვლებდა ადგილს ნითელი ფერფლის რგოლი, სიგარეტს ამოკლებდა და მუნდშტუკისკენ მიცოცავდა.

ფეტიუკოვიც მოიძურნა და ცეზარს პირში მიაჩერდა თვალანთებული.

შუხოვს აღარც თამბაქო ჰქონდა და საღამომდე აღარც სადმე ეგულებოდა მისი შოვნა, ერთიანად დაიძაბა ნამწვის მომლოდინე: სიგარეტის ეს ნარჩენი ახლა, მგონი, თავისუფლებაზე ძვირად ულირდა, მაგრამ ისე როგორ წახდებოდა, ფეტიუკოვივით პირში შესჩერებოდა.

ყველა ერის ნარევია ცეზარი: ვერ გაიგებ — ბერძენია, ბოშა თუ ებრაელი. ჯერ ისევ ახალგაზრდა კინოფილმს იღებდა, მაგრამ ისე ჩააჯინეს, დამთავრება არ დასცალდა. შავი, ხშირი ულვაშები აქვს. აქ იმიტომ არ მოპარსეს, რომ საქმეში, ბარათზე ასეა გადაღებული.

— ცეზარ მარკოვიჩ! — ვეღარ გაუძლო ფეტიუკოვმა. — ერთხელ მომაქაჩინეთ, რა!

სიხარბისა და ნდომისაგან სახე უთრთოდა.

... ცეზარმა შავ თვალებზე სანახევროდ ჩამოფარებული ქუთუთოები ამართა და ფეტიუკოვს შეხედა. ჩიბუხის ხმარებას სწორედ იმიტომ მოუხშირა, რომ ნევის დროს ხელი არ შეეშალათ, მოქაჩვა არ ეთხოვათ. გაწყვეტილი აზრი ენანებოდა, თამბაქო კი არა. იმიტომ ენეოდა, რომ ძლიერი აზრი აღეძრა და რამეს ჩასნვდომოდა. მაგრამ, როგორც კი სიგარეტს მოუკიდებდა, რამდენიმე წყვილ თვალში ერთბაშად გამოკრთებოდა: „დამიტოვე!“

ცეზარი შუხოვს მიუბრუნდა:

— გამომართვი, ივან დენისიჩ!

და ქარვის მოკლე მუნდშტუკს ცერით გამოაძრო ნამწვი.

შუხოვი შეტოკდა (კიდეც ასე ელოდა — ცეზარი თვითონვე შემომთავაზებსო), ცალი ხელით სასწრაფოდ ართმევდა სიგარეტის ნარჩენს, მეორეს კი ქვეშ მოაყოლებდა, რომ არ დავარდნოდა. არ სწყინდა, რომ ცეზარს გული არ მიუდიოდა მუნდშტუკით დაეტოვებინა ნამწვი (ზოგს სუფთა აქვს პირი და ზოგს ტურტლიანი), თითებიც ლამის პაპიროსის ცეცხლში ჩასწვოდა, მაგრამ არ ეწვოდა, ისე ჰქონდა გახეხეშებული, მთავარი ის იყო, ფარჩაგ ფეტიუკოვს დაუჭოჭა და ახლა ბოლს მანამდე ექაჩებოდა, ვიდრე ცეცხლმა ტუჩები არ დაუწვა. მ-მ-მ-მ! ბოლმა მშიერ სხეულს დაუარა, ფეხებსაც მისწვდა და თავსაც.

ის იყო ეს ნეტარება ტანში ჩაელვარა, რომ გუგუნად გაისმა:

— ქვედა პერანგებს ართმევენ!..

ასე მიდის პატიმრის მთელი ცხოვრება, შუხოვი შეეჩვია: სულ დადარაჯებული უნდა იყო, რომ ყელში არავინ გწვდეს.

პერანგები რატომ? პერანგები ხომ თავად უფროსმა დაარიგა?! არა, რაღაც სხვა ამბავია...

მათ წინ კიდევ ორ ბრიგადას უნდა გაევლო ჩხრეკა. მთელმა ასმეოთხემ დაინახა: რეჟიმის უფროსი ლეიტენანტი ვოლკოვოი მოიჭრა და ზედამხედველებს რაღაც შეუყვირა. და ზედამხედველები, მანამდე რომ სასხვათაშორისოდ სინჯავდნენ, ახლა მგლებივით დაერივნენ პატიმრებს, ხოლო მათმა ზემდეგმა დაიძახა:

— პერანგები შეიხსენი-ით!

ამბობენ, პატიმრებსა და ზედამხედველებს კი არა, ვოლკოვოისა ბანაკის უფროსსაც ეშინიაო. მართლა მგელს ჰგავს ვოლკოვოი, ჩაშავებულია, აწონილი, მოქურუხებული და სწრაფად მიმოქრის ხოლმე ბანაკში. უეცრად ბარაკის კუთხიდან გამოტყვრება: „აქ რას შექუჩებულხართ?“ ვერსად გაექცევი. ადრე მათრახსაც ატარებდა, მკლავის სიმსხო დაწნულ მათრახს, ტყავისას. ამბობენ, ციხეში იმ მათრახით სცემდაო პატიმრებს. ან კიდევ, ტუსაღები საღამოს შემოწმებისას ბარაკთან თავს რომ მოიყრიდნენ, უკნიდან წამოეპარებოდა და კისერში გადაუჭერდა: „მწკრივში რატომ არ დგახარ, შე დამპალო?“ დამდუღრებულებივით დაიფანტებოდნენ შეჯგუფულნი,

მათრახდაკრული კისერში ხელს წაივლებდა, სისხლს უჩუმრად მოიწმენდდა, კიდევ ციხეში არ გამგზავნოსო.

ამ ბოლო ხანებში რაღაც უმათრახოდ დადის.

როცა ყინავდა, უბრალო ჩხრეკაზე დილით მაინც არ იჩენდნენ დიდ სიმკაცრეს: პატიმარი ბუშლატს შეიხსნიდა და კალთებს გასწევდა. ასე მიდიოდნენ ხუთ-ხუთნი და მათ შესახვედრად ხუთი ზედამხედველი იდგა. თოკშემოჭერილ სათბურზე ხელს მოუფათურებდნენ, მარჯვენა მუხლზე ერთადერთ ნებადართულ ჯიბეს მოუსინჯავდნენ ხელთათმანების გაუხდელად და, თუკი რაიმე ისეთი მოხვდებოდათ ხელში, იმ წუთშივე კი არ ამოართმევდნენ, ზარმაცად შეეკითხებოდნენ — ეს რა არისო.

დილით რა უნდა უპოვნო პატიმარს? დანა? დანები ბანაკიდან კი არ გააქვთ, აქეთ შემოაპარებენ ხოლმე. დილით ის უნდა შეამოწმო, საჭმელს ხომ არ მიიყოლებს, ასე სამ კილომდე, მერე გაქცევა რომ შეეძლოს. დრო იყო, ამ პურის — სადილად ნაღებული ორასგრამიანი ნაჭრისა ისე ეშინოდათ, ბრძანება გასცეს: ყოველმა ბრიგადამ ხის ჩემოდანი გაიკეთოს და ბრიგადის კუთვნილი პური იმ ჩემოდნით ზიდოსო, ბანაკიდან გასვლისას ყოველ პატიმარს ჩამოერთვასო პურის ნაჭერი. კაცი ვერ გაიგებს, რის გამორჩენას ფიქრობდნენ ამ ამბით. ეტყობა, უფრო ხალხის გაწვალება უნდოდათ: ერთი საზრუნავი გემატებოდა — მოკბეჩდი იმ შენს ულუფას, დაიმახსოვრებდი, ჩემოდანში შეინახავდი, ნაჭრები კი მაინც ყველა ერთმანეთს ჰგავდა, ერთი პურისა იყო; წახვიდოდი და მთელი გზა ფიქრი გაწვალებდა — ჩემს ნაჭერს ხომ არ შემიცვლიანო, მერე ამის გამო ერთმანეთს ნაეკიდებოდით და ზოგჯერ საქმე ჩხუბითაც გათავდებოდა, ოღონდ ერთხელ სამრეწველო ზონიდან სამნი გაიქცნენ მანქანით და ერთი ისეთი პურის ჩემოდანიც თან წაიძღვანეს. მაშინ ჭკუას მოეგნენ უფროსები და ის ჩემოდნები ხელიერთპირად დაჩეხეს — ისევ ყველამ თავ-თავისი პური ატაროსო.

დილით კიდევ ისაა შესამოწმებელი, პატიმრის ტანსაცმელქვეშ სამოქალაქო ხომ არავის ჩაუცვამს. მაგრამ სამოქალაქო ნივთები ხომ უკვე დიდი ხანია ერთიანად ჩამოართვეს და ისიც უთხრეს —

ვადის გასვლამდე აღარ დაგიბრუნებთო. ხოლო პატიმრობის ვადა ამ ბანაკში ჯერ არავის გასვლია.

ისიც შესამოწმებელია — წერილები ხომ არ მიაქვს თან, რათა ვინმე აზატს გადასცეს და გააგზავნინოს? ოღონდ წერილის ძებნაში ყველა ცალ-ცალკე რომ ჩხრიკო, სადილამდე არ გათავდება ეს წილადობილა.

მაგრამ ვოლკოვოიმ რაღაცის ძებნა ბრძანა და ზედამხედველებმა მყისვე წაიძრეს ხელთათმანები; სათბურებსა და პერანგებს ახსნევინებენ (იქ ინახავდა ყოველი პატიმარი ბარაკიდან ნამოყოლილ სითბოს) და ეძებენ, ამოწმებენ — წესდება ხომ არავინ დაარღვია, ზედმეტი ხომ არაფერი ჩაიცვა. პატიმრისთვის დაწესებულია ორი პერანგი — ქვედა და ზედა. დანარჩენი გახადეთ! ასე გადასცეს პატიმრებმა მწკრივიდან მწკრივს ვოლკოვოის ბრძანება. იმ ბრიგადების ბედი, ადრე რომ ჩაიარეს! ზოგი უკვე ჭიშკარსაც გასცილებია. დანარჩენებმა გული უნდა გაიღეღონ და, ვისაც ზედმეტი რამე აცვია, ამ ყინვაშივე უნდა გაიხადოს!

ასე მიჰყვნენ, მაგრამ საქმე აერდაერიათ: ჭიშკართან გასასვლელი დაცარიელდა, ბადრაგა საგუშაგოდან ღრიალს მოჰყვა — მიდი! გამოუშვი! და ვოლკოვოიმ ასმეოთხეს რისხვა წყალობად შეუცვალა: ჩაიწერეთ, ვისაც რა აქვს ზედმეტი, საღამოს თვითონვე ჩააბარონ საწყობს და განმარტებითი ბარათიც დაურთონ — რატომ დაგვიმალაო.

შუხოვს კი ყველაფერი სახელმწიფო აცვია, აჰა, ნახე — სულ ეგაა! მაგრამ ცეზარს თივთიკის პერანგი ჩაუწერეს, ბუინოვსკის — რაღაც ჟილეტი. ბუინოვსკი ავარდა და დავარდა. თავის ნაღმოსნებსაა შეჩვეული, ბანაკში ჯერ სამი თვეც არ შესრულებია:

— თქვენ უფლება არა გაქვთ, ხალხს ყინვაში ტანზე გაახდევინოთ! თქვენ სისხლის სამართლის კოდექსის მეცხრე მუხლი არ იცით?!

იციან, იციან. ეს შენ არ იცი, ძმობილო, ჯერჯერობით.

— თქვენ საბჭოთა ადამიანები არა ხართ! — მისციებია კაპიტანი. — კომუნისტები არა ხართ!

კოდექსის ამბავი ვოლკოვოიმ როგორც იყო მოითმინა, მაგრამ ამაზე საავდრო ღრუბელივით მოიქუფრა:

— ათი დღე სასტიკი კარცერი!

ხოლო ზემდეგს ხმადაბლა გადაულაპარაკა:

— საღამოს გააფორმე.

დილდილობით არ უყვართ კარცერში ჩასმა: მუშახელი აკლდებათ. დღისით ოფლი მოიდინოს, საღამოს უკრავენ თავს.

ციხეც აქვეა, ხაზის მარცხენა მხარეს — ქვის შენობაა, ორფრთიანი. მეორე მხარე შემოდგომაზე მიაშენეს — ერთში ვეღარ ეტეოდნენ დასჯილნი. თვრამეტსაკნიანი ციხეა და საკნები კიდევ დატიხრულია თითო კაცისთვის. მთელი ბანაკი ხითაა ნაგები, მხოლოდ ციხეა ქვისა.

სიცივემ პერანგქვეშ შეატანა, ახლა ვეღარ გამოდენი. სულ ტყუილუბრალოდ იფუთნებოდნენ პატიმრები.

ზურგის ტეხვამაც გული გაუწვრილა შუხოვს. ახლა საავადმყოფოს სანოლზე მიაგდო და დააძინა! მეტი არაფერი უნდა. ოღონდ საბანი მისცა მძიმე.

დგანან ჭიშკართან პატიმრები, იკრავენ და იბნევენ ტანსაცმელს, გარედან კი ბადრაგა მოსძახის:

— მიდი! გამოუშვი!

აქეთ განმწესებელი ჯიკაობს:

— მიდი! მიდი!

პირველი ჭიშკარი. ზონისწინა არე. მეორე ჭიშკარი. საგუშაგოსთან ორმხრივი მოაჯირია.

— დადექ! — ყვირის გუშაგი. — ცხვრის ფარასავით ნუ მოდიხართ! ხუთ-ხუთი მოეწყეთ!

უკვე თენდებოდა. საგუშაგოს იქით ცეცხლი ქრებოდა. სამუშაოზე გაყვანის წინ ბადრაგა მუდამ ცეცხლს ანთებდა ხოლმე — კიდეც თბებიან და პატიმრებსაც უკეთ ითვლიან.

ერთი გუშაგი ხმამაღლა ითვლის:

— პირველი! მეორე! მესამე!

ხუთეულები გამოეყოფიან და ცალ-ცალკე მიაბიჯებენ, ისე რომ, გინდა უკნიდან შეგიხედია, გინდა წინიდან: ხუთი თავია, ხუთი ზურგი, ათი ფეხი.

მეორე გუშაგი — მეკონტროლე, მომდევნო მოაჯირთან ხმის გაუღებლად დგას და ამოწმებს — სწორადაა დათვლილი თუ არა.

ლეიტენანტიც დგას და თვალს ადევნებს.

ეს ბანაკის ხალხია.

ადამიანი ოქროზე ძვირად ფასობს. მავთულს გადაღმა ერთი კაციც რომ დაგაკლდეს, თავად მოგიწევს მისი ადგილის დაჭერა.

ისევ შენივთდა ბრიგადა.

ახლა ბადრაგას სერჟანტი ითვლის:

— პირველი! მეორე! მესამე!

ისევ გამოეყოფიან ხუთ-ხუთნი და მიაბიჯებენ.

გადაღმა მხრიდან გუშაგთა უფროსის მოადგილეც ამოწმებს კიდევ.

და კიდევ ლეიტენანტი.

ეს მცველთა რაზმია.

შეცდომა არასგზით არ შეიძლება, ერთ ზედმეტ კაცზეც რომ მოუწერო ხელი, თავად მოგიწევს მისი შეცვლა.

მცველები კი, ღმერთმა მოგცეს, იმდენია!

თბოელექტროცენტრალის კოლონას ნახევარრკალად შემოერტყენ, ავტომატები მოიმარჯვეს, ზედ სახეში გაღერებენ, მეძაღლეებიც აქ არიან რუხი ნაგაზებითურთ. ერთმა ნაგაზმა კბილები დაკრიჭა, თითქოს დასცინისო პატიმრებს. მცველებს მოკლე ქურქები აცვიათ, მხოლოდ ექვსი მათგანია ტყაპუჭში, ტყაპუჭი ყველას არა აქვს, ვისაც კოშკურაზე უწევს ასვლა, ის იცვამს.

მცველებმა ბრიგადები შერწყეს და თბოელექტროცენტრალის კოლონა ერთხელ კიდევ გადათვალეს ხუთეულებად.

— მზის ამოსვლის ხანს ყველაზე მაგარი ყინვა იცის! — განმარტავს ბუინოვსკი. — იმიტომ, რომ ეს არის ღამის სიცივის უკანასკნელი წერტილი.

საერთოდ, კაპიტანს უყვარს, როცა რაიმეს განმარტავს. რომელი წელი გინდა თქვი და რომელი დღე, — ხელად გამოგითვლის, როგორი მთვარეა — ახალი თუ ძველი.

თვალსა და ხელს შუა მისავათდა კაპიტანი, ლოყები ჩაუცვივდა. მაინც მხნედაა.

ბანაკს გადაღმა ნიავი უბერავდა და შუხოვის მრავალ ჭირგამოვლილ სახესაც კი მაგრად კბენდა ყინვა. მიხვდა შუხოვი, რომ თბოელექტროცენტრალამდე ეს პირქარი არ ჩადგებოდა და გადაწყვიტა სახეზე ჩვარი შემოეხვია. როგორც მრავალ სხვა პატიმარს, მასაც მუდამ თან დაჰქონდა პირქარის დროს ასაფარებელი ჩვარი, რომელსაც ორი გრძელი ზორტი ჰქონდა მიკერებული. პატიმრებმა დაასკვნეს, რომ ასეთი ჩვრები ცოტ-ცოტას შველოდათ. შუხოვმა თვალებამდე აიხვია სახე, ზორტები ყურებქვეშ გაიტარა და კეფაზე შეიბნია. მერე კეფა ქუდის გადანაკეცით დაიფარა და ბუშლატის საყელო აინია. ქუდის ნინა გადანაკეცი შუბლზე ჩამოიფხატა. ასე რომ, თვალებიღა დარჩა დაუფარავი. ბუშლატზეც თოკი მაგრად შემოიჭირა. ახლა ყველაფერი მოგვარდა, ოღონდ ხელთათმანები ვერა აქვს სანაქებო და ხელები უკვე გაეთოშა. ხელების ხეხვასა და ერთმანეთზე ტყაპუნს მოჰყვა, რადგან იცოდა — მთელი გზის გავლა ზურგზე ხელებშემოწყობილს მოუწევდა.

რაზმის უფროსმა პატიმრებს სანიადაგო და მობეზრებული „ლოცვა“ წაუკითხა:

— ყურადღება, პატიმრებო! მსვლელობის დროს მკაცრი წესრიგი უნდა დაიცვათ! არ უნდა ჩამორჩეთ, ფეხი არ ააჩქაროთ, ხუთეულიდან ხუთეულში არ გადახვიდეთ, არ ილაპარაკოთ, თვალების აქეთ-იქით ცეცება არ დაიწყოთ. ხელები მხოლოდ ზურგზე გქონდეთ დაწყობილი! მარცხნივ გადადგამთ ნაბიჯს თუ მარჯვნივ, გაქცევად გეთვლებათ და მცველები გაუფრთხილებლად ცეცხლს გაგიხსნიან! მეწინავე, ნაბიჯით იარ!

ორი წინა მცველი გზას გაუდგა. კოლონაც შეირხა და მხრების ქანაობით დაიძრა. კოლონის მარჯვნივ და მარცხნივ ოც-ოც ნაბიჯზე, ერთმანეთისგან ათი-ათი ნაბიჯის მიყოლებით მიემართებოდნენ ავტომატმომარჯვებული მცველები.

ერთი კვირა იქნებოდა, აღარ დაეთოვა, გზა გატკეპნილი იყო, დაწეული, ბანაკს თავი დაუარეს და ნიავმა გეზად წამოუბერა სახეში. ზურგზე ხელებშემოწყობილნი, თავჩაქინდრულნი მიაბიჯებდნენ, როგორც დასაფლავებაზე მიმავალთ სჩვევიათ. მიდიხარ და შენს წინ ორი-სამი წყვილი ფეხისა და დატკეპნილი ნაკვალევის მეტს

ვერაფერს ხედავ. დროდადრო რომელიმე მცველი დაიძახებს: „ი-ორმოცდარვა! ხელები უკან!“ —„ბ-ხუთას ორო! ფეხი ააჩქარე!“ — მერე იმათაც მოუკლეს ძახილს: ქარი სახეში სცემთ და თვალს კარგად ვეღარ აყოლებენ კოლონას. მაგათ ჩვრებით ახვევაც ეკრძალებათ. ვერაფერიშვილი სამსახური აქვთ...

როცა უფრო თბილა, პატიმრები განუწყვეტლივ მისაუბრობენ — რამდენიც უნდა უყვირო, არ დაგიდევენ. მაგრამ დღეს ყველანი მობუზულან, ყოველი მათგანი წინმავალის ზურგს უკან იკუჭება. ყველანი თავ-თავის საფიქრალს მისცემიან.

პატიმრისა ფიქრიც არ არის ლაღი. იმას უბრუნდება ნიადაგ, იმას ჩაჰკირკიტებს: ლეიბში გადამალულ პურს ხომ ვერ მიაგნებენ? საღამოს სანიტნაწილი გამათავისუფლებს თუ არა? ჩააჯენენ თუ არ ჩააჯენენ კაპიტანს? ცეზარმა როგორღა მოახერხა თბილი საცვლის ხელზე მიღება? ალბათ, პირადი ნივთების სანყობში შეკერა ვინმე, აბა, როგორ?

იმის გამო, რომ უპუროდ ისაუზმა და თანაც ყველაფერი გაციებული შეჭამა, შუხოვი მაძღრად ვერ იყო. სტომაქს რომ არ შეეწუხებინა და საჭმელი არ მოეთხოვა, ბანაკზე ფიქრს დაეხსნა, იმის ფიქრი დაიწყო, რომ მალე შინაურებისთვის ბარათი უნდა მიეწერა.

კოლონამ ჩაუარა პატიმრების მიერ აგებულ ხის დასამუშავებელ სახელოსნოს, საცხოვრებელ კვარტალს (ბარაკები პატიმრებმა ააშენეს, მაგრამ ახლა შიგ თავისუფალი ხალხი ცხოვრობს), ახალ კლუბს (ესეც პატიმრების ნახელავია, საძირკვლიდან დაწყებული და კედლის მოხატულობით გათავებული, ხოლო კინოს სანახავად მოქალაქეები დადიან), ჩაუარა და ტრამალზე გავიდა. აღმოსავლეთით მონაბერ ქარს და შენითლებულ ცისკიდურს გაუპირისპირდა. თოვლს დაეფარა თვალსანიერი. უდაბურ ტრამალზე ერთი ხეც არსად იდგა.

ახალი, ორმოცდათერთმეტი წელი დაიწყო და ამ წელს შუხოვს ორი წერილის უფლება ჰქონდა. უკანასკნელი ბარათი ივლისში გაგზავნა და პასუხი ოქტომბერში მიიღო. უსტ-იუმში სხვაგვარი წესი იყო. გინდაც ყოველ თვეს მიგეწერა, ოღონდ ესაა წერილში რა უნდა

მისწერო? ამიტომ მაშინაც ახლანდელზე ხშირად არ სწერდა შინაურებს.

ორმოცდაერთი წლის ოცდასამ ივნისს წამოვიდა შინიდან შუხოვი. კვირას ნაწირვებს ხალხი პოლომნიდან დაბრუნდა და — ომიაო. პოლომნაში ფოსტას შეუტყვია, ტემგენიოეოში კი ომამდე რადიო არავის ჰქონია. აბა, ახლა ყოველ ქოხში რადიოს ხაზია თურმე გაყვანილი.

ახლა წერილის მიწერა იმას ემგვანება, უძირო მორევში კენჭების სროლა რომ დაინყო. რაც დაინთქება, იმისას ვეღარაფერს შეიტყობ. იმას ხომ არ მისწერ — ამა და ამ ბრიგადაში ვმუშაობ და ანდრეი პროკოფიევიჩ ტიურინიოა ჩემი ბრიგადირი. ახლა ლატვიელ კილგასთან მეტი აქვს სალაპარაკო, ვიდრე შინაურებთან.

ისინიც წელიწადში ორჯერ მოიწერებიან და ვერაფერს გაუგებ იმათ ცხოვრებას. კოლექტივის თავმჯდომარე ახალიაო. ყოველ წელს ახალი არაა? კოლმეურნეობა გაამსხვილესო. ადრეც გაუმსხვილებიათ და მერე ისევ დაუქუცმაცებიათ. კიდევ ის, რომ ვინც შრომადღეების ნორმას არ ასრულებს, ბოსტნები თხუთმეტ მეასედზე დაუყვანეს, ზოგს კი სულაც ჩამოაჭრეს, საზღვარი სახლთან გაუტარესო.

ერთი რამ ვერაფრით გაუგია შუხოვს: ცოლი სწერს, რაც ომი დამთავრდა, კოლმეურნეობას ერთი სული არ შემატებიაო. ბიჭები და ქალიშვილები, ვინც როგორ მოახერხებს, ყველანი ან ქარხნის მუშები ხდებიან, ან ტორფის საბადოებზე მიდიანო. გლეხკაცების ნახევარი ომიდან აღარ დაბრუნებულა, ვინც ჩამოაღწია, ისინიც კოლმეურნეობას არაფრად აგდებენ, შინ ცხოვრობენ, მაგრამ სამუშაოს გარე-გარე ეძებენ თურმე. კაცებიდან კოლმეურნეობას ორიღა შერჩენია: ბრიგადირი ზახარ ვასილიჩი და ოთხმოცს გადაბიჯებული ხურო ტიხონი, რომელსაც ამ ცოტა ხნის წინათ ცოლი შეურთავს და შვილებიც გაუჩენია უკვე. ხოლო კოლმეურნეობა იმ დედაკაცების ამარააო, ჯერ კიდევ ოცდაათ წელს რომ დაიწყეს მუშაობა.

აი, ეს ვერ გაუგია შუხოვს: შინ ცხოვრობენ და გარე-გარე მუშაობენო. ერთპიროვნულ ცხოვრებასაც მოსწრებია შუხოვი და საკოლმეურნეოსაც, მაგრამ იმას ვერაფრით შეეგუება, რომ გლეხკა-

ცი საკუთარ სოფელში ხელს არ ანძრევდეს. ვითომ ხელობაზე სიარული დაიწყეს? მერე თიბვით ვინღა თიბავს?

შენსობას რომ იყო, იმ ხელობას დიდი ხანია აღარავინ მისდევსო, — უპასუხა ცოლმა. მათი კუთხე ხუროებით რომ იყო ქებული, ახლა თურმე აღარც სახუროოდ დადიან სადმე, აღარც ვაზის კალათებს წნავენ, — ეგენი აღარავის სჭირდებაო. ოღონდ ახალი ხელობა გაჩნდაო, სახალისო საქმე — ხალიჩების მოხატვა. ვიღაცას ჯარიდან ტრაფარეტები ჩამოუტანია და მას აქეთ მიჰყოლიან და მიჰყოლიან, ამ საქმის ოსტატები — მღებავები გამრავლებულან. არსად ირიცხებიან თურმე, არც მუშაობენ სადმე, ოღონდ თიბვის დროს და მოსავლის აღებისას ერთ თვეს კოლმეურნეობას ნაეხმარებიან, სამაგიეროდ კოლმეურნეობიდან თერთმეტ თვეზე ცნობას იღებენ — ესა და ეს კოლმეურნე გათავისუფლებულია თავისი საქმეების მოსაგვარებლად და მასზე გადასახადის ნარჩენები არ ირიცხებაო. მიდიმოდიან თურმე მთელ ქვეყანაზე, დროის მოსაგებად თვითმფრინავითაც კი მგზავრობენ ხოლმე, ათასებს ხვეტავენ და სულ იმ ხალიჩების ხატვაში არიან, ხუთი თუმანი ღირებულა თითო ხალიჩის მოხატვა ძველ ზენარზე, რომელიც კი არ დაენანებათ და გამოუტანენ. თითქოს საათი უნდა, მეტი დრო არაო იმ ხალიჩას. მის ცოლსაც დიდი იმედი ჰქონია — ჩამოვა ივანი და ასეთივე მხატვარი გახდებაო. მაშინ სიღარიბესაც თავს დავაღწევთ, თორემ ლამის სული ამომძვრესო. შვილებსაც ტექნიკუმში მივაბარებთ და ძველი დამპალი ქოხის ნაცვლად ახალს ჩავდგამთო. ყველა მღებავს ახალი სახლი აუშენებია თავისთვის, რკინიგზის ახლოს წინანდებურად ხუთი ახალი სახლი კი აღარ დგას — ოცდახუთიო.

ის იყო, მაშინ ცოლს მისწერა — მხატვარი როგორ უნდა გავხდე, როცა ჩემს დღეში არაფერი დამიხატავსო? ან როგორია ის ჯადო ხალიჩები, ზედ რა ახატიაო? ცოლმა უპასუხა — მარტო რეგვენი ვერ შეძლებსო იმ ხალიჩის მოხატვას: დაადევი ტრაფარეტი და უსვი ფუნჯი ნახვრეტებზე, მეტი არაფერიაო. სამნაირი ხალიჩა ყოფილა: ერთი „ტროიკა“ — ლამაზად დარახტული ცხენები ჰუსარის ოფიცერს მიაქროლებენ, მეორე „ირემი“, მესამე კი სპარსული ყაიდისა. სხვა რამე ნახატი არ ყოფილა, მაგრამ ხალხი ამისაც მადლიერია და ხელ-

იდან სტაცებენ თურმე. იმიტომ, რომ ნამდვილი ხალიჩა ხუთი თუმანი კი არა — ათასები ღირსო.

ერთი თვალი მაინც მოეკრა შუხოვს იმ ხალიჩებისთვის!..

ბანაკებსა და ციხეებში გადაეჩვია შუხოვი იმის ვარაუდს, სახვალიოდ რა იქნებოდა და საგაისოდ რა, ან ოჯახი რით უნდა შეენახა. მის ნაცვლად უფროსები ფიქრობენ ყველაფერზე. თითქოს უფრო იოლიცაა ასე ცხოვრება. ორი ზამთარი და ორი ზაფხული კიდევ უწევს ჯდომა, საფიქრალი არ გაუჩინეს იმ ხალიჩებმა!..

იოლი, ხვავიანი შემოსავალი კი ჩანს. ისიც საწყენია, შენებურებს რომ ჩამორჩე... მაგრამ გული არ უზამდა შუხოვს იმ საქმისთვის ხელი მოეკიდებინა. საიმისოდ დაურიდებელი უნდა იყო, ვიღაცის თავის მოქონვა უნდა შეგეძლოს. შუხოვი კი ორმოცი წელია დადის ამ ქვეყანაზე, კბილები სანახევროდ აღარ შერჩა, ლამის გამელოტდეს კაცი, და არც არავისთვის შეუძლევია, არც თავად აუღია როდისმე. და ბანაკშიაც ვერ შეეჩვია ამ ამბავს.

იოლად ხელში მოგდებულ ფულს არც ბარაქა აქვს და არც იმას გაფიქრებინებს — აი, გავისარჯე და ფული ვიშოვნეო. მართალს ამბობდნენ ბერიკაცები — ქარის მოტანილს ქარი წაიღებსო. ჯერ ისევ შემძლე აქვს მარჯვენა შუხოვს, არ უღალატებს. ნუთუ ვერც დურგლის სამუშაოს იშოვნის, როცა გაათავისუფლებენ, ვერც მეღუმელისას და ვერც მეთუნუქისას?

მხოლოდ, როგორც უფლებააყრილი, თუ არც არსად მიიღეს, არც შინ დაბრუნების ნება დართეს, მაშინ შეიძლება ხალიჩებსაც მოჰკიდოს ხელი.

ამასობაში კოლონა ფართოდ გაშლილი ობიექტის საგუშაგოს მიადგა და შეჩერდა. მანამდე კი, ზონის კუთხესთან მისვლისთანავე, ორი ტყაპუჭიანი მცველი გამოეყო და შორეული კოშკურებისკენ გაემართა. ვიდრე გუშაგნი ყველა კოშკურაზე არ ავლენ, შიგნით არავის შეუშვებენ, მხარზე ავტომატგადაკიდებულმა უფროსმა საგუშაგოსკენ გასწია. საგუშაგოდან კი ბოლი ბოლქვა-ბოლქვა ამოდის შეუჩერებლად: აზატი დარაჯი იქ მთელ ღამეს ათევს, ფიცრები ან ცემენტი რომ არავინ გაზიდოს.

მავთულიანი ჭიშკრის, მთელი სამშენებლო ზონის და მეორე მხარეს გადაჭიმული მავთულის გადაღმა დიდი, მეწამული მზე ამოდის ნისლში. შუხოვის გვერდით მდგარი ალიოშა მზეს უჭვრეტს და უხარია, პირზე ღიმილი გადაჰფენია. ლოყები ჩაცვენილი აქვს, თავისი ულუფით ცხოვრობს, სხვას ვერაფერს შოულობს — რაღა ახარებს? კვირადღეობით სხვა ბაპტისტებს მოძებნის ხოლმე და ეჩურჩულება. აინუნშიაც არ აგდებენ, ბანაკში რომ არიან.

სახეზე აკრული ჩვარი გზაში ნასუნთქით ერთიანად დასველებულა, ალაგ-ალაგ ყინვაც მოსდებია, ყინულის ქერქივით შექნილა. შუხოვმა სახიდან ყელზე ჩამოიგდო და ქარს ზურგი შეაქცია. მაინცდამაინც არსად გასჯდომია სიცივე, ოღონდ ცუდ ხელთათმანებში ხელები გაეთოშა და მარცხენა ფეხის თითები გაუშეშდა: მარცხენა ჩექმა დანაწვავი, ორჯერ დაკერებული აცვია.

წელშიც და ზურგშიც მხრებამდე ტეხავს და ამტვრევს. როგორღა უნდა იმუშაოს?

მიიხედა და ბრიგადირს წაანყდა, უკანა ხუთეულში რომ მიდიოდა. მხარბეჭიანი კაცია ბრიგადირი, ფართოსახიანი. წარბშეკრული დამდგარა.

ბანაკში ბრიგადირი ყველაფერია. კარგი ბრიგადირი მეორე სიცოცხლეს გაჩუქებს, ცუდი — სამარეში ჩაგაწვენს. ტიურინს ჯერ კიდევ უსტ-იჟმში იცნობდა შუხოვი, ოღონდ იქ სხვა ბრიგადაში მუშაობდა. როცა უსტ-იჟმის საერთო ბანაკიდან ორმოცდამეთვრამეტე მუხლიანები საკატორღო ბანაკში გამოამწესეს, აქ ტიურინმა აიყვანა შუხოვი. ბანაკის უფროსთან, საგეგმო-საწარმოო ნაწილთან, სამუშაოთა მწარმოებელთან თუ ინჟინრებთან შუხოვს არაფერი ესაქმება: ყველგან მისი ბრიგადირი გაუმაგრდება. მკერდი მაგარი აქვს ბრიგადირს. სამაგიეროდ წარბს შეატოკებს თუ თითით მიგანიშნებს რამეს, — გავარდი და აკეთე საქმე. ვინც გინდა, ის გააცურე ბანაკში, ოღონდ ანდრეი პროკოფიევიჩს ნურასოდეს მოატყუებ და ცოცხალი დარჩები.

ძალიან უნდა შუხოვს შეეკითხოს ბრიგადირს — იქვე ვიმუშავებთ, სადაც გუშინ ვიყავით, თუ სხვაგან გადავინაცვლებთო. უნდა, მაგრამ მისი მაღალი აზრის გაფანტვისა ეკრძალება. ეს-ესაა სოცქალაქს

გადაარჩინა ბრიგადა, ახლა, ალბათ, პროცენტებზე ფიქრობს, იმათზეა დამოკიდებული მომდევნო ხუთი დღის ულუფა.

ბრიგადირს ნაყვავილარი სახე აქვს. დამდგარა ქარის საპირისპიროდ და წარბსაც არ იხრის, სახის კანი მუხის ქერქივით გახდომია.

პატიმრები ხელებს ატყაპუნებენ, ბაკუნობენ. მსუსხავი ქარი უბერავს. ექვსივე კოშკურაზე უკვე ასულან გუშაგები, ჯერ მაინც არ უშვებენ ზონაში, ფრთხილობენ.

ესეც ასე! გუშაგთა უფროსი და მეკონტროლე სადარაჯოდან გამოვიდნენ, ჭიშკრის ორსავე მხარეს გაჩერდნენ და ჭიშკარიც გაიღო.

— ხუთეულებად მოეწყე-ეთ! პირველი! მეორე!

თითქოს პარადზე ყოფილიყვნენ პატიმრები, ისე დაიძრნენ, ლამის სამწყობრო ნაბიჯი აიღეს. როგორმე შეაღწიონ ზონაში და იქ იციან თავისი საქმე.

სადარაჯოს იქით კანტორის ჯიხურებია, კანტორასთან სამუშაოთა მწარმოებელი დამდარა, ბრიგადირებს უყრის თავს. ათისთავიც იქით მიდის, ჩათლახი, თვითონ პატიმარია, მაგრამ სხვებს მაინც უძაღლებს ცხოვრებას.

რვა საათია, ცხრის ხუთი წუთი (ეს-ესაა ენერგომატარებელმა დაიყვირა). უფროსებს იმის ეშინიათ, პატიმრებმა დრო არ დაკარგონ, ცეცხლზე მისაფიცხებლად არსად წავიდ-წამოვიდნენ. მაგრამ პატიმრის დღეს რა ჩამოლევს, დრო ყველაფრისათვის ეყოფათ. ზონაში შესულნი ნაფოტ-ნაფოტ აგროვებენ ცეცხლის შესაკეთებელს და სოროებში მიძვრებიან.

ტიურინმა თანაშემწე პავლო კანტორაში გაიყოლა. ცეზარმაც იქით შეუხვია. მდიდარია ცეზარი, თვეში ორ-ორჯერ ამანათი მოსდის. ვისაც საჭირო იყო, ყველას ათოხლა და მნორმავის თანაშემწედ მოეწყო კანტორაში.

დანარჩენმა ასმეოთხემ მაშინვე უგანა და აითესა.

ბურუსში წითელმა მზემ გამოხედა მოცარიელებულ ზონას: სად ასანყობი სახლის ფარები მიუნამქრია, სად კედლის ამოყვანა დაუწყიათ და საძირკველზევე მიუტოვებიათ, სად ექსკავატორის გატეხილი სახელური მიუგდიათ, სად — ციცხვი, რკინის ხარა-ხურა, სად

თხრილები უკეთებიათ, ორმოები უთხრიათ. გადახურულში ავტოსარემონტო სახელოსნოებია, ბორცვზე კი თბოელექტროცენტრალია დაწყებული და მეორე სართულამდე აყვანილი.

ყველანი მიიმალ-მოიმალნენ. მხოლოდ კოშკურებზე დგას ექვსი გუშაგი და კანტორასთანაა დიდი ფუსფუსი. აი, ესაა საჩვენო წუთი! ამბობენ, უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი სულ იმის ძახილშია — ყოველ ბრიგადას განწესება წინა საღამოს უნდა ვაძლიოო, მაგრამ ჯერჯერობით საქმისათვის თავი ვერაფრით მოუბამთ. იმიტომ, რომ საღამოდან დილამდე ყველაფერი თავდაყირა შეექნებათ ხოლმე.

საჩვენო წუთია-მეთქი! ვიდრე უფროსები თავიანთ საქმეს გაარკვევენ, თავი შეაფარე, სადაც კი უფრო თბილა, ჩამოჯექი, სული მოითქვი, მერეც გეყოფა წელში გაწყვეტა. კარგი იქნება, ღუმელთან რომ მოხვდებოდე, — ფეხსახვევს პირს შეუცვლიდი და ცოტას შეათბობდი კიდეც. მაშინ ფეხები მთელ დღეს თბილად გექნება, ულუმელოდაც არაფერი გიშავს.

ასმეოთხე ბრიგადა შეეფარა ავტოსარემონტოების დიდ დარბაზს, სადაც შემოდგომაზევე ჩასვეს მინები და სადაც 38-ე ბრიგადა ბეტონის ფილებს ასხამს. ზოგი ფილა ყალიბში დევს, სხვები აუყუდებიათ. იქით არმატურაა ბადეებში. ჭერი მაღალია და იატაკიც მიწისაა. აქ სითბოს რა გააჩერებს! მაგრამ მაინც ათბობენ ამ დარბაზს, ნახშირს არ ზოგავენ: იმისთვის კი არა, პატიმრებმა სული მოიბრუნონო, იმისთვის, რომ ფილები უკეთ გამაგრდეს, თერმომეტრიც კი კიდია და კვირადღესაც, თუ ბანაკი რაიმე მიზეზის გამო სამუშაოდ არ გამოიყვანეს, აზატი მუშა უკეთებს ღუმელს.

ოცდამეთვრამეტე, რასაკვირველია, გარეშეთაგან ღუმელს არავის აკარებს. თავად შემოსხდომიან და ფეხსახვევებს იშრობენ. ეგ არაფერი, ჩვენ კუთხეშიც კარგად მოვყუჩდებით.

დაბამბული, უკვე ათას ადგილას ნაჯდომი შარვლით ხის ყალიბის კიდეზე ჩამოჯდა შუხოვი, ზურგი კედელს მიაყრდნო. და როცა გადაიხარა, ბუშლატი და სათბური დაეჭიმა და მკერდის მარცხენა მხარეს, ზედ გულთან რაღაც მაგარი მიეჭირა. გულის ჯიბეში ჩადებული პურის ყუა იყო, დილანდელი თან წამოღებული ულუფის ნახევარი. სამუშაოდ წამოსვლისას მუდამ ამდენი მოჰქონდა და სადი-

ლობამდე პირს არ აკარებდა, ოღონდ სხვა დროს იმ ერთ-ნახევარს საუზმეზე ჭამდა ხოლმე, დღეს კი არ შეუჭამია. და მიხვდა შუხოვი, ვერაფერიც ვერ გამოუზოგია: ახლა სითბოში საღერღელი აეშალა და იმ პურის შეჭმა მოუნდა. სადილამდე ხუთი საათია, რა გააძლებინებს.

ზურგი რომ ტეხავდა, ახლა ფეხებზე გადაუვიდა და მოუსავდა. ეჰ, ერთი ღუმელთან დააჯინა და!..

შუხოვმა ხელთათმანები მუხლებზე დაიწყო, ბუშლატი შეიხსნა. თოშმოდებული ჩვარი ყელიდან ჩამოიგდო, მიკეცა-მოკეცა და ჯიბეში ჩაიდვა. მერე თეთრ ნაჭერში გახვეული პური ამოაძვრინა, ნაჭერი დაიფინა, ერთი ნამცეციც რომ არსად გადავარდნოდა, და ცოტ-ცოტაობით კბეჩა და ღეჭვა დაიწყო. ის პური ორ ჩასაცმელქვეშ ატარა, საკუთარი სითბოთი ათბობდა, და ამიტომ სულაც არ დამზრალიყო.

ბანაკებში შუხოვს არაერთხელ გახსენებია, როგორ ჭამდნენ ძველად სოფელში: კარტოფილს ტაფობით შეექცეოდნენ, ფაფას — ქვაბობით, მანამდე კიდევ ხორცს — დიდ-დიდ ნაჭრობით. ბანაკებში მიხვდა შუხოვი, რომ არ იქცეოდნენ სწორად. საჭმელი ისე უნდა ჭამო, იმის მეტზე არაფერზე ფიქრობდე. აი, ასე, ახლა რომ იდებ პირში პატარ-პატარა ლუკმებს და ენითაც ურევ, ლოყებითაც იწუწნი, და ისეთი სურნელოვანი გეჩვენება ეს შავი, ცომი პური. რას ჭამს შუხოვი რვა წელიწადია, უკვე მეცხრე დაიწყო? არაფერს! ხომ მაინც უდგას სული?

ასე ელოლიავებოდა შუხოვი თავის ორას გრამს. მის გვერდით კი მთელ 104-ეს მოეკალათებინა.

ორი ესტონელი ორ ღვიძლ ძმასავით მიმჯდარიყო ბეტონის დაბალ ფილაზე და ერთი მუნდშტუკით რიგრიგობით ეწეოდა სიგარეტის ნახევარს. ორივე ბობრი იყო, ორივე მაღალი და ხმელ-ხმელი, ორივე გრძელცხვირა და დიდთვალება. ისე იყვნენ ერთმანეთს მიწებებულნი, თითქოს უერთმანეთოდ ჰაერი არ ეყოფოდათ სასუნთქად. ბრიგადირი ერთიმეორეს არასოდეს აშორებდა. საჭმელსაც სწორედ იყოფდნენ და ძილითაც ერთად ეძინათ ვაგონის ზედა საწოლებზე. და როცა კოლონაში იდგნენ, ან სამუშაოზე გაყვანას ელოდნენ, ან ლოგინში წვებოდნენ, — სულ მუსაიფობდნენ დაბალ ხმაზე, დინ-

ჯად, ისე ძმები სულაც არ ყოფილან. მხოლოდ აქ, ასმეოთხეში გაიცნეს ერთიმეორე. ერთზე ამბობდნენ — მეთევზეაო, ზღვისპირეთის მკვიდრი. მეორე გასაბჭოების წლებში უასაკო ყოფილა და მშობლებს შვეციაში ნაუყვანიათ. მერე, რომ წამოზრდილა, სხვის უკითხავად ესტონეთში დაბრუნებულა ინსტიტუტის დასამთავრებლად.

ხომ ამბობენ, ეროვნება არაფერს ნიშნავს. ყოველ ერს ჰყავსო უკეთურები. რამდენი ესტონელი ნახა შუხოვმა, მაგრამ ცუდი არც ერთი არ გამომდგარა.

ყველანი ჩამომსხდარიყვნენ — ვინ ფილებზე, ვინ ყალიბზე და ვინ კიდევ პირდაპირ მიწაზე. დილაადრიანად ენა არავის უბრუნდება სალაპარაკოდ, ყველანი თავ-თავის საფიქრალს მისცემიან და სხედან უჩუმრად. წუპაკ ფეტიკოვს სადღაც-სადღაც ნამწვავები შეუგროვებია (თუკი მოიხელთა, საფურთხებლიდანაც არ შეიზიზღებს ამოღებას), ახლა ხსნის, დაუწვავ თუთუნს ქაღალდის ნაკუწზე აგროვებს. ფეტიუკოვს შინ სამი შვილი დარჩენია, მაგრამ ჩააჯინეს თუ არა, სამივემ იუარა მისი შვილობა; ცოლი კიდევ გათხოვილა. ასე რომ, შეწევნას არვისგან მოელის. ბიუნოვსკიმ უყურა-უყურა და შეუღრინა:

— რას მოგიხვეტია ეგ ოხრობა? ათაშანგი გამოგაყრის ტუჩებზე! დაეხსენ.

მეორე რანგის კაპიტანი ბრძანების გაცემასაა დაჩვეული, ყველას ისე ელაპარაკება, თითქოს განკარგულებას აძლევდეს.

მაგრამ ფეტიუკოვი არაფრით არაა დამოკიდებული — ამანათები არც კაპიტანს მოსდის. სანახევროდ უკბილო პირით შუღლიანად გაიცინა და უთხრა:

— მოითმინე, კაპიტანო, რვა წელს რომ იჯდები, შენც დაიწყებ ნამწვავების გროვებას. შენზე უკადრისი ხალხიც მოსულა ბანაკში.

ფეტიუკოვი თავის საზომით ზომავს, თორემ კაპიტანმა იქნება კიდეც გაუძლოს...

— რაო, რაო? — ვერ გაიგონა ყურნაკლულმა სენკა კლევშინმა. ეგონა, იმაზე ლაპარაკობენ, ამ დილას რომ ბუინოვსკი ჩავარდაო. — არ უნდა გეშუხურა! — თავი მწუხარედ გადააქნია. — ისე მოგვარდებოდა ყველაფერი.

სენკა კლევშინი ჩუმი, საწყალი კაცია. ცალი ყური ორმოცდაერთ-შივე გასკდომია. მერე ტყვედ ჩავარდნილა, გამოქცეულა, დაუჭერ-იათ და ბუჰენვალდში უკრავთ მისთვის თავი. იქ სიკვდილს რაღაც სასნაულით გადარჩენია, ახლაც უდრტვინველად იხდის სასჯელს. ვინც ბრექას არ მოიშლის, დაიღუპებაო, იცის ხოლმე თქმა.

ნამდვილად ასეა. გირჩევნია მოიდრიკო, თორემ, თუ გაძალიან-დი, წელში გადაგტეხენ.

ალექსეის სახე ხელებში ჩაუმალავს, ჩუმადაა. ლოცულობს.

გაათავა შუხოვმა პური, ოღონდ ქერქის ერთი მომრგვალებული ნაჭერი დაიტოვა. იმიტომ, რომ ვერც ერთი კოვზით ისე პირწმინდად ვერ მოასუფთავებ ჯამს, როგორც პურის ქერქით. ეს ნაჭერი ისევ თეთრ ჩვარში გაახვია, სათბურის შიდა ჯიბეში ჩაიდვა, შეიბნია და მოემზადა — ახლა გაგზავნონ სამუშაოზე. ისე კი აჯობებდა არ აჩ-ქარებულიყვნენ.

ოცდამეთვრამეტე ბრიგადის ხალხი ამოიმართა და დაიფანტა: ვინ დულაბის საკეთებელს მიაშურა, ვინ არმატურას, ან კიდევ წყალ-ზე ნავიდა.

მაგრამ არც ტიურინი აკითხავდა თავის ბრიგადას, არც მისი თანაშემწე პავლო, და, თუმცა ჯერ ოციოდე წუთს თუ გაევლო, რაც ასმეოთხე უქმად იჯდა, მაგრამ ზამთრის სამუშაო დღე, შემოკლე-ბული, ექვს საათამდე იანგარიშებოდა. ასე რომ, ყველას დიდ ბედ-ნიერებად მიაჩნდა ამსიგრძე დასვენება, თითქოს აღარც კი რჩებო-და ბევრი დრო საღამომდე.

— ეჰ, ქარბუქი აღარ ყოფილა დიდი ხანია! — ოხრავს ღაჟღაჟა, ნაპატივები კილგასი. — ზამთარი გადის და ერთი ქარბუქიც არ ყოფილა! ეს რა ზამთარია?!

— ჰო... ქარბუქი... ქარბუქი... — ოხვრითვე პასუხობს ბრიგადა.

აქ რომ ქარბუქი ამოვარდება, არამცთუ სამუშაოზე არ გაჰყავთ პატიმრები, ბარაკიდან გამოშვებისაც ეშინიათ: ბარაკიდან სასადილო-მდე ბაწარი თუ არ გაჭიმე, გზასაც ვერ გაიგნებ. ჩაიყინება თოვლში პატიმარი და გათავდა. რომ გაიქცეს? იყო შემთხვევები. ქარბუქის დროს წვრილ-წვრილად აყრის თოვლს, მაგრამ ისეთ ნამქერებად იზვინება, იტყვი — დაუპრესიათო. სწორედ მავთულის თავზე გადა-

ვლებულ ამგვარ ნამქერებს მიჰყვებოდნენ გაქცეულნი. თუმცა შორს ვერც ერთი ვერ წავიდა.

კაცმა რომ თქვას, ქარბუქს ხეირი არაფერი მოჰყვება: სხედან, პატიმრები ჩამწყვდეულში, ნახშირი დროულად ველარ მოაქვთ, ქარმოძალებულ ბარაკში სითბო აღარ ჩერდება; ველარც ფქვილს აწვდიან ბანაკს — უპუროდ რჩებიან; გაიხედავ და სამზარეულოშიც ვერაფრისთვის მოუბამთ თავი. და რამდენიც უნდა უბეროს ქარბუქმა, სამი დღე იქნება თუ მთელი კვირა, — იმ დღეებს გამოსასვლელ დღეებად უთვლიან და იმდენ კვირადღეს ზედიზედ სამუშაოდ მიერეკებიან.

ხომ ასეა, მაგრამ მაინც უყვართ პატიმრებს ქარბუქი და სულ მის ნატვრაში არიან. როგორც კი ცოტა იმძლავრებს ქარი, ცას შეაჩერდებიან: მასალა როგორმე, მასალაო!

ვითომ — თოვლიო.

იმიტომ, რომ ქარახვეტი ნამდვილ ქარბუქად არასდროს არ იქცევა.

რომელიღაცა გაძვრა და 38-ე ბრიგადის ღუმელს მიეფიცხა, მაგრამ მაშინვე გამოამსერეს იქიდან.

ამასობაში ტიურინიც შემოვიდა. მოღუშული იყო. ბრიგადელებმა იაზრეს: რაღაც უნდა დაეწყოთ, თანაც სასწრაფოდ.

— ასე-ე, — მიმოიხედა ტიურინმა. — ყველა აქაა, ასმეოთხე?

იკითხა, ოღონდ არ შეუმოწმებია, არც გადაუთვლია, რადგან ტიურინს ვერავინ წაუვიდოდა სადმე. ფიცხლად შეუდგა სამუშაოზე ხალხის გამწესებას. ორი ესტონელი, კლევშინი და გოპჩიკი გააგზავნა — აქვე ახლოს დულაბის დიდი ყუთია, თბოელექტროცენტრალში წაიღეთო. ამით ცხადი შეიქმნა, რომ ბრიგადა დაუმთავრებელ, გასულ შემოდგომაზე მიტოვებულ თბოელექტროცენტრალში გადავიდოდა სამუშაოდ. კიდევ ორი იქით გაუშვა, სადაც პავლო ხელსაწყოებს ღებულობდა. ოთხს დაავალა თოვლი ეწმინდათ თბოელექტროცენტრალთან, სამანქანო დარბაზის შესასვლელთან, სამანქანო დარბაზშიც და კიბეებზეც. კიდევ ორს უბრძანა იმ დარბაზში ღუმელი დაენთოთ, ნახშირიც შეეკეთებინათ და ფიცრებიც აეწიათ სადმე და დაეჩეხათ. ერთს ცემენტი უნდა ეზიდა მარხილით, ორს წყალი, სხვა

ორს — სილა, ერთს კიდევ ის სილა თოვლისგან გაეწმინდა და ძალაყინით დაეფშვნა. ეს ყველაფერი რომ მოათავა, დაუსაქმებელი დარჩნენ შუხოვი და კილგასი — ბრიგადის საუკეთესო ოსტატები. ბრიგადირმა ისინი გაიხმო და უთხრა:

— აი, რა გითხრათ, ყმაწვილებო (ხნით მათზე უფროსი არ იყო, მაგრამ ამგვარი ჩვეულება ჰქონდა — „ყმაწვილებო"), ნასადილევს მეორე სართულზე წიდა-ბლოკებით კედლების აყვანას შეუდგებით, შემოდგომაზე მეექვსე ბრიგადამ რომ მიატოვა, იმ ადგილას. ახლა სამანქანო დარბაზია გასათბობი. სამი დიდი ფანჯარაა. რამეთი უნდა დაგმანოთ. ხალხს კიდევ მოგახმართ, ოღონდ მოისაზრეთ, რით შეიძლება დაგმანვა. სამანქანო დარბაზში დულაბიც უნდა ვაკეთოთ და ძვლებიც იქ უნდა გავითბოთ, თუ ვერ გავათბეთ ის დარბაზი, ძაღლებივით ამოგვძვრება სული, გამიგეთ?

იქნებ კიდევ ეთქვა რამე, მაგრამ გოპჩიკმა მოირბინა, გოჭივით დაბრანულმა თექვსმეტი წლის ყმაწვილმა და შესჩივლა — სხვა ბრიგადა სადულაბე ყუთს არ გვატანს, გვეჩხუბებიანო და ტიურინმაც იქით გაუტია.

შუხოვმა და კილგასმა ერთიმეორეს გადახედეს. უკვე ჰევრჯერ იყვნენ ერთად ნამუშევარი და ერთიმეორეს პატივს სცემდნენ, როგორც კარგ ხუროსა და კარგ კალატოზს. ადვილი საქმე არ იყო ამ ცარიელა თოვლში ფანჯრების დასაგმანი მასალის შოვნა. მაგრამ კილგასმა თქვა:

— ვანია! — ასაწყობი სახლები რომ არის, ერთი ადგილი მეგულება, ტოლის დიდი გრაგნილი დევს. მე თვითონ დავმალე. წავიდეთ?

კილგასი ლატვიელია, მაგრამ მშობლიურ ენასავით იცის რუსული, — მის მეზობლად სტაროვერული სოფელი ყოფილა, ბავშვობიდანვე უსწავლია. სულ ორი წელია, რაც ბანაკშია, მაგრამ უკვე ყველაფრის აზრზეა. ვერაფერში აჭმევ. იოჰანი ჰქვია კილგასს, შუხოვი ვანიას ეძახის.

გადაწყვიტეს ტოლზე წასვლა, ოღონდ მანამდე შუხოვმა ავტოსარემონტო კორპუსის მშენებლობაზე შეირბინა თავისი ქაფჩის წამოსაღებად. ქაფჩა კალატოზისთვის დიდი რამეა, მით უფრო, თუ მსუბუქად სახმარიცაა, მაგრამ ყოველ ობიექტზე ამგვარი წესია დადგე-

ნილი: ხელსაწყოს დილით ღებულობ და საღამოთი აბარებ. და სახვალიოდ როგორ იარაღს იშოვნი, უკვე იღბალზეა დამოკიდებული. მაგრამ შუხოვმა ერთხელ მეინსტრუმენტეს აჭამა და საუკეთესო ქაფჩა შეირჩინა. ახლა ყოველ საღამოს მალავს ქაფჩას, დილით კი, საკალატოზო სამუშაომ თუ მოუწია, მიაკითხავს ხოლმე. რაღა თქმა უნდა, ასმეოთხისთვის დღეს სოცქალაქში რომ ეკრათ თავი, შუხოვი ისევ უქაფჩოდ დარჩებოდა. ახლა პატარა ქვა გადააბრუნა, ნახვრეტში თითები შეყო და ამოაძვრინა.

შუხოვი და კილგასი ავტოსარემონტოდან გამოვიდნენ და ასაწყობი სახლებისკენ გაემართნენ. ხშირ ორთქლად ამოდიოდა მათი ნასუნთქი. მზემ უკვე აინია, მაგრამ უსხივებოდ ანათებდა, მის აქეთ-იქით კი ნისლი თითქოს სვეტებად ამართულიყო.

— სვეტები ხომ არაა? — მიანიშნა შუხოვმა.

— სვეტები რას გვიშლის, — ჩაეცინა კილგასს, — შენ ისა თქვი, სვეტიდან სვეტზე ეკლიანი მავთული არ გადაჭიმონ.

კილგასი სიტყვას არ იტყვის, რომ არ იხუმროს. სამაგიეროდ მთელ ბრიგადას უყვარს. ბანაკში მყოფი სხვა ლატვიელები ხომ როგორ პატივს სცემენ! ერთი კია, ნორმალურად იკვებება კილგასი, თვეში ორ-ორ ამანათს ღებულობს, ისეა დაბრანული, თითქოს ბანაკში არც ყოფილიყოს. რატომ არ იხუმრებს, რა!

უშველებელია მათი ობიექტის ზონა, როდის-როდის გახვალ ბოლოში. გზად 82-ე ბრიგადის ბიჭებს გადაეყარნენ. ისევ ორმოების თხრაზე დაუყენებიათ. ორმოები პატარ-პატარა უნდა: ორმოცდაათი ორმოცდაათზე და სიღრმეც ორმოცდაათი. მაგრამ აქაური მიწა ზაფხულშიაც ქვასავითაა, ახლა კი ყინვისგანაც დამზრალია. მიდი და თხარე, თუ ბიჭი ხარ! დასცხებენ წერაქვს — იქვე ირეკლავს, ნაპერწკლები სცვივა, მიწა კი არც იჩიჩქნება. დადგომიან ბიჭები თავ-თავიანთ ორმოებს თავზე, ახლომახლო ისეთი არაფერია, გათბობა შეიძლებოდეს, სამუშაო ადგილიდან მოშორების უფლება კი არა აქვთ. მიიხედ-მოიხედავენ და ისევ წერაქვს წამოავლებენ ხელს. იმის ამარა არიან დარჩენილი, იმან უნდა გაათბოს.

მათ შორის ერთი ნაცნობი ვიატკელი დაინახა შუხოვმა და რჩევა მისცა:

— ყოველი ორმოს თავზე ცეცხლი უნდა დაგენთოთ, მინისმთხრელებო, ცოტათი გალღვებოდა მიწა.

— ნებას არ გვრთავენ, — ამოიხვნეშა ვიატკელმა, — შეშას არ გვაძლევენ.

— უნდა მოიძიოთ.

კილგასმა მხოლოდ გადააფურთხა.

— ერთი მითხარი, ვანია, ჩვენს უფროსებს რომ ჭკუა ჰქონოდათ, ხალხს ასეთ ყინვაში წერაქვების საბლაყუნოდ დააყენებდნენ?

კიდევ რამდენჯერმე გაურკვევლად შეიკურთხა კილგასმა და დადუმდა. ყინვაში ბევრს ვერ ილაპარაკებ. ასე იარეს და იმ ადგილს მიადგნენ, სადაც ასაწყობი სახლების ფარები იყო თოვლქვეშ ჩაფლული.

უყვარს შუხოვს კილგასთან მუშაობა. მხოლოდ ერთი აქვს კილგასს ცუდი, რომ არ ეწევა და მის ამანათებში თამბაქო არ არის ხოლმე.

მართლა დაკვირვებული კაცია კილგასი: ერთი ფიცარი გადანიეს, მეორე და ქვეშ ტოლის გრაგნილი დაუხვდათ.

ამოიღეს. ახლა საქმე ისაა, როგორ წაიღონ? კოშკურებიდან რომ დაინახავენ, ეგ არაფერი: გუშაგებს მხოლოდ იმის დარდი აქვთ, არსაით გაიქცნენ პატიმრები, თორემ სამუშაო ზონის შიგნით თუნდაც ყველაფერი დაუნაფოტებიათ, არას ინაღვლებენ. ბანაკის ზედამხედველი რომ შემოეყაროთ, ეგეც არაფერი: თვითონაც იმის ფიქრშია, თავის ქონებას რა შემატოს. მუშებსაც ფეხებზე ჰკიდიათ ეს ასაწყობი სახლები, ბრიგადირებსაც. მხოლოდ სამუშაოთა მწარმოებელი ზრუნავს ამ სახლებზე, ისა და პატიმართაგან რომ ათისთავია, და კიდევ აყლაყუდა შკუროპატენკო. მხოლოდ იმისთვის უწერენ ნარდად, რომ ასაწყობ სახლებს დარაჯობს პატიმართაგან. აი, ეს შკუროპატენკოა სწორედ ყველაზე საშიში, შეიძლება ჩაავლოს ამ მოტრიალებულ ველზე.

— იცი, რა გითხრა, ვანია, ასე წაღება არ იქნება, — მოისაზრა შუხოვმა. — მოდი, მივიყუდოთ, ხელი მოვხვიოთ და ზედ გადაფარებულებმა მსუბუქად ვიაროთ. შორიდან ვერ გაარჩევენ.

კარგად მოისაზრა შუხოვმა. გრაგნილი ძნელი ხელმოსავლებია. ამიტომ ხელში კი არ აიღეს, ორთაშუა მოიქციეს, თითქოს მესამე კაცი ყოფილიყოს, მჭიდროდ მიეკრნენ და გასწიეს, გარეშე თვალი იმას თუ დაინახავს, რომ ერთმანეთს აკრული ორი კაცი მიაბიჯებს.

— სულ ერთია, მერე სამუშაოთა მწარმოებელი დაინახავს ფანჯრებზე ამ ტოლს და მიხვდება, — თქვა შუხოვმა.

— მერე ჩვენ რა შუაში ვართ? — გაიოცა კილგასმა. — მოვედით თბოელექტროცენტრალში და ასევე დაგვიხვდა, ხომ აღარ ჩამოვგლეჯდით-თქო, ვეტყვით.

ესეც მართალია.

თითები ისე გაუშეშდა ცუდ ხელთათმანში, ვეღარც კი გრძნობს. მარცხენა ჩექმა კი ჯერჯერობით მაგრადაა. მთავარია თექურები. ხელები მუშაობის დროსაც გაუთბება.

უკვალავ თოვლში იარეს. ხელსაწყოების ფარდულიდან მარხილის ნაკვალევი მიუყვებოდა თბოელექტროცენტრალისკენ. ეტყობა, ცემენტი გაუტარებიათ.

თბოელექტროცენტრალი ბორცვზე დგას. მის გადაღმა ზონაც თავდება. დიდი ხანია აღარავინ ყოფილა აქ, ყველა მისადგომი თოვლს გადაუგლესია. მით უფრო მკვეთრად აჩნია მარხილის ღრმა ნაკვალევი — ჩვენებს ჩაუვლიათ. უკვე მიმდგარან და ნიჩბებით სამანქანო გზას წმენდენ თბოელექტროცენტრალთან.

უკეთესი იქნებოდა, ამწე რომ მუშაობდეს. მაგრამ მოტორი გადამწვარა და მას მერე, მგონი, აღარ შეუკეთებიათ. ესე იგი მეორე სართულზე ისევ საკუთარი ზურგით უნდა თრიქონ ყველაფერი.

ორ თვეს რუხი ჩონჩხივით იდგა თოვლში ჩაფლული თბოელექტროცენტრალი. მაგრამ, აი, მოვიდა 104-ე. ნეტა სული მაინც რაში უდგიათ? — გამოცარიელებულ მუცლებზე ბრეზენტის ქამრები შემოუჭერიათ; ყინვა ხეთქავს ყველაფერს; არც თბილი ოთახია სადმე და არც ცეცხლის პინწკალი. და მაინც — 104-ე მოვიდა და სიცოცხლე ისევ დამკვიდრდა.

სამანქანო დარბაზის შესასვლელთან დუღაბის ყუთი გაჭედილა. ძველი იყო ის ყუთი, არც ეგონა შუხოვს მთელს თუ მოათრევდნენ აქამდე. ბრიგადირმა ერთი შეიკურთხა, როგორც რიგი და წესია,

მაგრამ მასაც რა ექნა — დამნაშავე არავინ იყო. ამასობაში კილგასმა და შუხოვმაც მოაღწიეს ტოლიანად. გაიხარა ბრიგადირმა და მაშინვე დასაქმა ხალხი: შუხოვს ღუმელისთვის მილი უნდა მოერგო, რათა ჩქარა გაეჩაღებინათ, კილგასს ორი ესტონელი უნდა დაეხმარებინა და ყუთი შეეკეთებინა, ხოლო სენკა კლევშინს ნაჯახი აეღო და ტოლის დასაკრავი გრძელ-გრძელი ლარტყები დაეჭრა, რადგან ტოლი ორჯერ უფრო ვიწრო გამოდგა ფანჯარაზე. თამასები სადღა უნდა იშოვნონ? სამუშაოთა მწარმოებელი გასათბობი ოთახისთვის ფიცრებს ხომ არ გამოუწერს! მიმოიხედა ბრიგადირმა. სხვებმაც მიმოიხედეს. მეტი გზა არაა, მეორე სართულზე მიდგმულ კიბეს მოაჯირად დაყოლებული ორიოდე ფიცარი უნდა ააძრონ. თვალმარჯვედ იარე და კისერს აღარ მოიტეხ; აბა რა ვქნათ?

კაცი იფიქრებს, რატომ უნდა წყდებოდეს წელში პატიმარი ათ წელინადს? არ მინდაო, თქვას და მორჩა. როგორმე დღე გაიყვანოს და მერე ღამე მისია.

მაგრამ ასე არ გამოვა. ამისთვისაა მოგონილი ბრიგადა. თან ისეთი ბრიგადა კი არა, როგორიც გარეთაა, სადაც ივან ივანიჩს ცალკე ეძლევა ხელფასი, პეტრე პეტროვიჩს კიდევ ცალკე. ბანაკში ბრიგადა ისეა მონყობილი, უფროსებმა კი არ უნდა ამუშაონ პატიმრები, პატიმრებმა უნდა აიძულონ ერთიმეორე. აქ ასეა: ან ყველანი დამატებითს მიიღებთ, ან არადა ყველას სულიც გაგძრომიათ. შენ არ მუშაობ, ჩათლახო, და შენი გულისთვის მე უნდა ვიშიმშილო? მიდი, მიდი, ხელი გაანძრიე!

მით უმეტეს, თუ ისეთ ყოფაში მოხვდი, როგორშიც ახლა, ბევრს ვერ ინებივრებ. გინდა თუ არ გინდა, გაინძერი, საკუთარ ტყავში გამოძვერი. თუ ორ საათში გასათბობი ოთახი არ გავიკეთეთ, ყველას მოგვეხაზება.

პავლოს ხელსაწყოები უკვე მოუტანია, მიდექით და დაინაწილეთ. რამდენიმე საკვამური მილიცაა. მართალია, თუნუქის საჭრელი არაფერი იშოვნება, მაგრამ საზეინკლო ჩაქუჩია ერთი და ნაჯახი. როგორმე იოლად გავალთ.

შუხოვი ხელებს ერთმანეთს უტყაპუნებს და საკვამურ მილებს აერთებს; ისევ უტყაპუნებს და ისევ აერთებს (ქაფჩა იქვე ახლოს

გადამალა. მისიანები არიან ბრიგადაში, მაგრამ შეიძლება შეუცვალონ, თუნდაც იმავე კილგასმა).

თითქოს ცოცხით გამოეხვეტოთ ყველა აზრი მისი თავიდან. აღარაფერს აღარ იგონებდა და არც არაფრის გამო ზრუნავდა, იმასღა ფიქრობდა — თუნუქის მილები როგორ ვაკონინო და თავი ისე როგორ გავაყოფინო, არ აბოლდესო. გოპჩიკი მავთულის საძებნელად გაგზავნა — ფანჯარასთან მილის დამაგრება მოუხდებოდა.

კუთხეში კიდევ არის ერთი მომცრო, აგურის საკვამურიანი ღუმელი. რკინის ქურა უყენია. გაახურებენ და ზედ სილას აშრობენ. ის ღუმელი უკვე დაუგუზგუზებიათ, ახლა მეორე რანგის კაპიტანი და ფეტიუკოვი სილას ეზიდებიან და ზედ აყრიან. სილის თრაქვას დიდი ჭკუა არ სჭირდება. ამიტომ ბრიგადირი ამ სამუშაოს ყოფილ თანამდებობის ხალხს აკეთებინებს. წუპაკი ფეტიუკოვი რომელილაც კანტორაში დიდი კაცი ყოფილა. მანქანით დაქრიალებდა თურმე.

პირველ ხანებში ფეტიუკოვი დაჩაგვრასაც უპირებდა კაპიტანს, წაეყოყლოჩინა. მაგრამ კაპიტანმა ერთი მოჩანთა კბილებში და ამაზე მორიგდნენ.

ის იყო ბიჭები სილიან ღუმელს მიაწყდნენ მისაფიცხებლად, ბრიგადირმა გააფრთხილა:

— მოგაფეთებთ ახლა რომელილაცას! ჯერ საქმე!

დაშინებულმა ძაღლმაო... მხეცურად ყინავს, მაგრამ ბრიგადირი უფრო გულმხეცია... ისევ სამუშაოს მიეტანენ ბიჭები.

ბრიგადირი პავლოს ეუბნება ჩუმად:

— შენ აქ დარჩი, თვალი მაგრად გეჭიროს. მე საპროცენტოს დასახურავად ვარ წასასვლელი.

პროცენტებზე მეტია დამოკიდებული, ვიდრე თავად მუშაობაზე. ჭკვიანი ბრიგადირი პროცენტებს ანვება. პროცენტები გვაჭმევს პურს. რაც არ გაკეთებულა, დაამტკიცე — გაკეთებულია-თქო; რაშიც ცოტას გიხდიან, ისე გაჩარხე — მეტი მოგცენ. დიდი გამჭრიახობა მართებს ბრიგადირს. ბლატიც უნდა ჰქონდეს მნორმავებთან. ისინიც უნდა მოთაფლოს.

ისე, კაცმა რომ თქვას, ვის სჭირდება ამდენი პროცენტები? ბანაკს სჭირდება. ამ პროცენტებითაა, რომ მშენებლობიდან ათასებს

ქაჩავს ზედმეტად და თავის ლეიტენანტებს პრემიებს რომ უწერს. იმ შენს ვოლკოვოის უწერს მათრახის ქნევისთვის და შენც საღამოს ორას გრამ პურს კიდევ გარგუნებს. სიცოცხლედ გიღირს ის ორასი გრამი.

ორი ვედრო წყალი მოიტანეს. წყალს გზაში ყინული გადაჰკროდა. პავლომ დაასკვნა — გარედან ზიდვა არც ღირს. აქვე თოვლს გავადნობთო. ვედროები ღუმელზე შემოდგეს.

გოპჩიკმა ალუმინის ახალთახალი მავთული მოათრია, ის მავთული, ელექტრიკოსები სადენებს რომ ჭიმავენ, შუხოვს ეუბნება:

— ივან დენისიჩ, კარგი საკოვზე მავთულია. მასწავლით კოვზის ჩამოსხმას?

უყვარს ეს ცუღლუტი გოპჩიკი ივანს (საკუთარი ვაჟი უწლოვანი მოუკვდა, შინ ორი შეღერებული ქალიშვილი უზის). ბენდერელებისთვის ტყეში რძე დაჰქონდა თურმე, იმიტომ ჩაუჯენიათ გოპჩიკი. დიდს რომ მისცემდნენ, იმდენი მიუსაჯეს. ისე — მოსიყვარულე ბოჩოლაა, ყველას ელაციცება. კაი შებერტყილიცაა: თავის ამანათებს მარტოდმარტო თოხლავს, ზოგჯერ ღამღამობითაც ილუკმება.

სულერთია, ყველას მაინც ვერ გააძღებ და.

საკოვზე მავთული ჩამოჭრეს. კუთხეში გადამალეს. ორი ფიცარი კიბესთან ააყუდა შუხოვმა მილის ჩამოსაკიდებლად. გოპჩიკი ციყვივით მარჯვედ აცოცდა, ლურსმანი მიაჭედა, მავთული ჩამოაცვა და მილქვეშ ამოატარა. შუხოვმა არ დაიზარა, მილს მუხლი მაღლა ააშვერინა: დღეს უქარო ამინდია, მაგრამ ხვალ შეიძლება ამოვარდეს და ბოლი არ უნდა შემოაბრუნოს ღუმელში. უნდა გესმოდეს, რომ ამ ღუმელს ისევ შენთვის იმზადებ.

სენკა კლევშინს გრძელ-გრძელი ლარტყები დაუჭრია. ესენიც გოპჩიკს მიაჭედებინეს. დაძვრება ეს ეშმაკის ფეხი და ჩამოსძახის ზემოდან.

მზემ წამოინია, ნისლი გაფანტა და ალისფრად აციაგდა დარბაზში. ამასობაში ნაპარავი შეშით ღუმელიც დაანთეს. გაიხარა ხალხმა.

— იანვარში დათვი მზეს თბობილობდაო, — თქვა შუხოვმა.

კილგასი სადუღაბე ყუთის შეკვრას მორჩა, ერთიც შემოუკაკუნა ნაჯახი და დაიძახა:

— გესმის, პავლო, ამ სამუშაოში ბრიგადირისგან ასი მანეთი მერგება, ნაკლებს ხელს არ მოვკიდებ, იცოდე!

პავლო იცინის:

— ას გრამს მიიღებ.

— პროკურორი დაგიმატებს! — გაიძახის ზემოდან გოპჩიკი.

— ნუ იზამთ, ნუ იზამთ! — იყვირა შუხოვმა (ტოლს ბრუნდედ დაუპირეს გაჭრა).

უჩვენა, როგორც უნდა დაეჭრათ.

თუნუქის ღუმელს ბევრი მიეტანა. პავლომ გამორეკა. კილგასს სხვები მიაშველა და უბრძანა, დულაბის ზემოთ საზიდად ვარცლი გაეკეთებინათ. სილის მზიდავებს ერთი-ორი კაცი მიუმატა. ზემოთაც აგზავნა თოვლისგან ფიცარნაგებისა და თვით კედლის გასაწმენდად. და კიდევ ერთს დაავალა შემთბარი სილა ქურიდან სადუღაბე ყუთში ჩაეყარა.

გარეთ მოტორის თუხთუხი გაისმა — წიდა ბლოკების მოზიდვა დაუწყიათ, მანქანა მოდის თოვლში. ახლა იქ გავარდა პავლო, ხელების ქნევით უჩვენებდა, სადაც უნდა დაეცალათ მანქანა.

ერთი პირი ტოლი უკვე ააკრეს, მეორეც. ტოლი რას დაგიფარავს? ქალალდი ქალალდია. მაგრამ მაინც თითქოს გამთლიანდა კედელი. დარბაზშიც უფრო ჩამობნელდა. მიტომაა, რომ ღუმელს შუქი მოემატა.

ალიოშამ ნახშირი მოიტანა. ზოგი უყვირის — ჩაყარე, ზოგი — არ ჩაყაროო! სანამ შეშაა, ცოტას გავთბებითო. დადგა და აღარ იცის, ვის გაუგონოს.

ფეტიუკოვი ღუმელთან მოკალათებულა და თექურებს ზედ ცეცხლზე უფიცხებს ის გამოტვინებული. კაპიტანმა ქეჩოში ხელი წაავლო და ისევ წაათრია:

— სილაა საზიდავი, შე დამპალო!

მეორე რანგის კაპიტანი ბანაკის სამუშაოს საზღვაოსგან არ არჩევს: ეტყვიან — გააკეთეო, მიდგება და აკეთებს. ამ ბოლო ხანს ძალიან ჩამოიბერტყა კაპიტანი, მაგრამ უღელს მაინც ეწევა.

დიდხანს მოუნდნენ თუ ცოტა ხანს, სამივე ფანჯარა ამოგმანეს ტოლით. ახლა სინათლე კარებშიღა შემოდის. სიცივეც იქიდანაა.

პავლომ ბრძანა კარის ზედა ნაწილიც აეჭედებინათ, ისე რომ, თავ-მოხრილ კაცს შემოსვლა შეძლებოდა. ააჭედეს.

ამასობაში სამი გზობა მოზიდეს წიდა-ბლოკები. ახლა საქმე ისაა, უამწეოდ როგორ აიტანონ მეორე სართულზე?

— კალატოზებო, ნამოდით, ვნახოთ — მიუხმო პავლომ.

საპატიო საქმეა. შუხოვი და კილგასი პავლოს აჰყვნენ. კიბე ისე-დაც ვიწრო იყო და სენკამ მოაჯირიც მოაცილა; კედელს აკრულმა უნდა იარო, რომ არ გადავარდე. კიდევ ისაა ცუდი, რომ საფეხურებს თოვლი მიჰყინვია, მოუმრგვალებია, ფეხის მოკიდება ჭირს. როგორ უნდა ათრიონ დუღაბი?

გახედეს, სადაც კედელი იყო ამოსაყვანი. აქ უკვე ნიჩბიანები მოსულან და თოვლს წმენდენ. საჭირო შეიქნება ძველ ნაშენებს ყინული ნაჯახით აამტვრიონ და ცოცხით გადახვეტონ.

მოათვალიერეს, საიდან შეიძლებოდა წიდა-ბლოკების მიწოდება. ძირს ჩაიხედეს. გადაწყვიტეს: კიბეზე თრევას აჯობებს ქვემოთ ოთხი კაცი გაამწკრივონ წიდა-ბლოკების აი, იმ ფიცარნაგამდე მისაწოდე-ბლად, იქ კიდევ ორი სხვა დააყენონ და ორიც ზედა სართულზე. მაინც უფრო ჩქარა წავა საქმე.

ზემოთ ქარი ძლიერი არაა, მაგრამ მაინც უბერავს. არც მუშაობის დროს მოგეშვება. ოღონდ დაწყებულ კედელს რომ ამოეფარები, არა უშავს, ცოტათი დაგთბება.

შუხოვმა ცას ახედა და გაშტერდა: ცა მოკრიალებულა, მზე სა-შუადღეოზე ასულა. საკვირველი ამბავია: მუშაობისას ვერაფერს გაიგებ, როგორ გადის დრო. რამდენჯერ დაკვირვებია შუხოვი: ბა-ნაკში დღეები ისე გაიქროლებს, თვალს ვერ მოატან, ხოლო გადასახ-ლების ვადას მაინც არაფერი აკლდება, ერთ ადგილზეა მუდამ.

ისევ დაბლა ჩავიდნენ. იქ ყველანი უკვე ღუმელს შემოსხდო-მოდნენ, მხოლოდ კაპიტანი და ფეტიუკოვი ეზიდებოდნენ სილას. გული მოუვიდა პავლოს, რვა კაცი ერთად გაყარა წიდა-ბლოკებზე, ორს უბრძანა ყუთში ცემენტი ჩაეყარათ და სილაში მშრალად აერი-ათ, ერთი წყალზე გაგზავნა, მეორე — ნახშირზე. კილგასმა თავის ჯგუფს მიმართა:

— აბა, ბიჭებო, მოვათავოთ ბარემ!

— მეც ამათ მივეხმარები, — შუხოვი იქით ეხვეწება პავლოს — დამსაქმეო.

— მიეხმარე, — თავს აქნევს პავლო.

ბაკი მოიტანეს სადუღაბე ნყლის გასათბობად. ვიღაცას უთქვამს — უკვე თორმეტი საათიაო.

— ნამდვილად იქნება, — დაადასტურა შუხოვმა. — მზე უკვე საშუადღეოზეა.

— საშუადღეოზე თუა, თორმეტი კი არა, პირველი ყოფილა, — გამოეხმაურა კაპიტანი.

— ვითომ რატომ? — გაოცდა შუხოვი. — ჩვენმა მამებმაც ასე იცოდნენ და პაპებმაც: ყველაზე მაღლა მზე სადილობისას დგას.

— პაპებმა კი იცოდნენ! — მოუჭრა კაპიტანყოფილმა — მას შემდეგ დეკრეტი გამოვიდა და მზე ყველაზე მაღლა პირველ საათზე დგას.

— ვისი დეკრეტი?

— საბჭოთა ხელისუფლების.

კაპიტანი ისევ სილაზე წავიდა, თუმცა შუხოვი მაინც არ აპირებდა შეკამათებას. ვითომ მზეც ამათ დეკრეტებს ემორჩილება?

კიდევ თალეს და აკაკუნეს. ოთხი ვარცლი გამოაკოპიტეს.

კმარა, ჩამოვჯდეთ და გავთბეთ ცოტა, — მიმართა პავლომ კალატოზებს. — ნასადილევს თქვენც კედლის ამოყვანაზე იმუშავებთ, სენკა, დასხედით!

და ვალმოხდილები ღუმელს მიუსხდნენ. სულ ერთია, სადილობამდე კედლის ამოყვანას ვეღარ დაიწყებენ, დუღაბის ახლავე დამზადება კი არ ღირს, მაინც გაიყინება.

ნახშირი ნელ-ნელა გავარვარდა, ახლა ხვავიანად იცხუნება. მაგრამ სითბოს ცეცხლის პირას თუ იგრძნობ, დანარჩენი დარბაზი ისევ ისე გაყინულია.

ხელთათმანები წაიძრეს, ღუმელზე ხელებს აფიცხებენ ოთხივენი.

მაგრამ ფეხი, თუ ზედ რამე გაცვია, ცეცხლს არ უნდა გააკარო. უნდა იცოდე ეს ამბავი. თუ ფეხსაცმელებში ხარ, ტყავი ერთიანად დაგისკდება, თექურებს კიდევ ოხშივარი აუვა, ნესტი გაუჯდება და

არც ფეხს მიემატება სითბო. თუ გაბრიყვდი და უფრო ახლოს მიიტანე ცეცხლთან, სულაც დაგეწვება თექურები. ასე გახვრეტილი ჩექმით ივლი გაზაფხულამდე, ახლებს არავინ მოგართმევს.

— შუხოვს რა უჭირს! — კილგასმა დაიწყო. — შუხოვს ცალი ფეხი უკვე საკუთარ სახლში უდგას.

— აგე, ის შიშველი ფეხი, — მოაძახა ვილაცამ. გაიცინეს (შუხოვს მარცხენა დამწვარი თექურა გაუხდია და ფეხსახვევს ითბობს).

— შუხოვს ვადა გაუდის.

თავად კილგასს ოცდახუთი აქვს. ერთი პირობა იღბლიანი დრო იყო: ყველას თანაბრად კრეჭდნენ — ათ-ათს აძლევდნენ. ორმოცდაცხრიდან კი დრო შეიცვალა — ყველას განურჩევლად ოცდახუთს აკრავენ. ათ წელიწადს კიდევ გაძლებს კაცი ცოცხალი, მაგრამ აბა მიდი და ოცდახუთს გაუძელი!

შუხოვს თან სიამოვნებს, ყველანი მასზე რომ უთითებენ — მაგას ვადა გაუდისო, მაგრამ თავად მაინცდამაინც არ სჯერა ეს ამბავი. ომის დროს ვისაც ვადა გაუვიდა, ყველანი განსაკუთრებულ განკარგულებამდე დატოვეს, ორმოცდაექვს წლამდე. კაცს სამი წელი რომ ჰქონდა მისჯილი, ხუთ წელს ზედმეტად ჯდომა მოუწია. კანონს საითაც გინდა, იქით გამოაბამ ყურს. ათ წელს მოათავებ და გეტყვიან — აჰა, კიდევ ათიო, ან თავისუფალ გადასახლებაში დაგტოვებენ.

მაგრამ ზოგჯერ რომ დაუფიქრდები, გული გადაგიქანდება: მაინც ხომ გადის სასჯელის ვადა, საცაა მიიწურება... ღმერთო! ნუთუ ეღირსება თავის ფეხით ბანაკიდან გასვლას?

ოღონდ ამგვარი რამეების ხმამაღლა თქმა ბანაკის ძველ მკვიდრს არ შეშვენის. და შუხოვი კილგასს მიუბრუნდა:

— შენ შენს ოცდახუთს ნუ ანგარიშობ. ოცდახუთს მოგიწევს თუ არ მოგინევს, ეგ ჯერ არავინ იცის. მე რვა წელიწადი ნაღდი შევასრულე.

ასეთ დღეში ცხოვრობ კაცი. იმის დროც აღარ გრჩება, რომ დაუფიქრდე: როგორ ჩაგსვეს? ან როგორ გახვალ აქედან?

[illegible]ის მიხედვით ისეა მიჩნეული, რომ შუხოვი სამშობლოს ღალატისთვის ჩასვეს; თვითონაც ამგვარი ჩვენება მისცა — მართალია, [illegible] იმიტომ ჩავბარდი, რომ სამშობლოს ღალატი მქონდა

გულში, იქიდან კი იმიტომ დავბრუნდი, რომ გერმანელთა დაზვერვის დავალება შემესრულებინაო. რა დავალება იყო ის დავალება, ვერც თვითონ შუხოვმა მოიგონა და ვერც გამომძიებელმა. ამიტომ აიღეს და ასევე დატოვეს — დავალებაო.

შუხოვმა უბრალოდ იანგარიშა: თუ ხელს არ მოაწერ, სულ ერთია, არ გაცოცხლებენ, მოაწერ და ცოტა ხანს მაინც იბოგინებ ამ ქვეყანაზე. აიღო და მოაწერა.

სინამდვილეში საქმე ასე იყო: ორმოცდაორი წლის თებერვალში ჩრდილო-დასავლეთის ფრონტზე მთელი მათი არმია ალყაში მოექცა. თვითმფრინავები საჭმელს არაფერს უყრიდნენ და არც იყო სადმე ის თვითმფრინავები. ისე წახდნენ, დახოცილ ცხენებს ჩლიქებს ათლიდნენ, წყალში ალბობდნენ და ჭამდნენ. აღარც ვაზნები ჰქონდათ. ტყე-ტყე მობორიალეებს გერმანელები უსაფრდებოდნენ და ატყვევებდნენ. ერთ ასეთ ჯგუფში შუხოვიც მოხვდა. ორ-სამ დღეს ტყვედ იყო იმავე ტყეში, მერე ხუთნი ერთად გამოიქცნენ. ტყეებსა და ჭაობებში იფხოტიალეს, რაღაც სასწაულით ისევ თავისიანებთან მოხვდნენ. ოღონდ ორი მათგანი მეავტომატემ ადგილზევე დააწვინა, მესამე ბევრგან იყო დაჭრილი და გზადაგზა სისხლიდან დაიცალა. მხოლოდ ორმა გამოაღწია; ჭკუა რომ ჰქონოდათ, იტყოდნენ — ტყეში დავეხეტებოდითო, და ხმასაც არავინ გასცემდა. იმათ კი აიღეს და განაცხადეს — ტყვეობიდან გამოვიპარეთო. ტყვეობიდანო? თქვენი დედა ასე და ისე! ხუთნი რომ ყოფილიყვნენ, იქნებ ჩვენებანი შეეწამებინათ, იქნებ კიდეც დაეჯერებინათ მათი. მაგრამ ორს არ დაუჯერეს: შეთქმულან ეს წყეულები, ვითომ გამოვიქეციოთ.

სენკა კლევშინს ჩაესმა — ტყვეობიდან გამოქცევაზე ლაპარაკობენო, და ხმამაღლა თქვა:

— ტყვეობიდან სამჯერ ვარ გამოქცეული. სამივეჯერ დამიჭირეს.

სენკა მეტწილად დუმს: სხვათა ნათქვამი არ ეყურება და ამიტომ საუბარშიც არ ერევა ხოლმე. სენკას ამბავი მარტო ის იციან, რომ ბუჰენვალდში მჯდარა, იქ საიდუმლო ორგანიზაციის წევრი ყოფილა, ზონაში იარაღი უზიდავს აჯანყების მოსანყობად. კიდევ ის, რომ გერმანელებს ზურგზე გაკრული ხელებით ჩამოუკიდიათ და ჯოხებით უცემიათ.

— შენ რომ იჯექი რვა წელიწადს, რომელ ბანაკებში იჯექი? — კილგასი ეუბნება შუხოვს. — საერთოში იჯექი. ქალებთან ერთად ბრძანდებოდით, ნომრებს არ ატარებდით. აბა, საკატორღოში გაძელი რვა წელიწადს! ჯერ არავის გაუძლია.

— ქალებთანო? — მორებთან ვიყავით, ქალებთან კი არა...

ცეცხლს თვალი გაუსწორა შუხოვმა და გაახსენდა ჩრდილოეთში გატარებული შვიდი წელიწადი, მოაგონდა, როგორ ათრევდა და აცურებდა სამ წელიწადს ტარისა და საშპალე მორებს. ისიც გაახსენდა, ასევე რომ ისხდნენ ცეცხლის გარშემო, ოღონდ ღამით, დღისით კი არა. ბანაკის უფროსს წესად ჰქონდა შემოღებული: იმ ბრიგადას, რომელიც დღის ნორმას ვერ შეასრულებდა, ღამითაც უნდა ემუშავა.

ნაშუაღამევს თუ მიაღწევდნენ ბანაკამდე და დილით ისევ ტყისკენ მიერეკებოდნენ.

— ა-არა, ძმაო... აქ უფრო წყნარად ვართ, მე მგონი, — ნაიჩლიფინა მან. — აქ საჭმელი განაღდებული გაქვს. შეასრულე თუ ვერ შეასრულე — მიბრუნდი შენთვის ზონაში. ზედმეტი ასი გრამის იმედიც არ გეკარგება. აქ კაცს გაეძლება. განსაკუთრებულია და იყოს განსაკუთრებული. ნომრები რა, გვიშავებენ რამეს? ნომრები ადვილი სატარებელია.

— წყნარად ვართო?! — ფეტიუკოვი ასისინდა (შესვენებამ მოატანა და ყველანი ღუმელს შემოხვევიან). — ხალხს ლოგინში ჭრიან ყელს! — წყნარად ვართო!..

— ხალხს კი არა — ბოზებს! — პავლომ თითი შემართა, ფეტიუკოვს ემუქრება.

მართალი კია, რაღაც სიახლე დაიწყო ბანაკში. ორი ნაღდი მოენე საწოლშივე მიასაღეს ადგომის დროს. მერე ერთი უბრალო ტუსაღიც მიაყოლეს — ალბათ, ადგილი შეეშალათ. ერთი მოენე კიდევ გაიქცა, უფროსებს შეაფარა თავი და იქ ციხეში გადამალეს. საკვირველია... საერთო ბანაკებში ამგვარი რამ არ მომხდარა. არც აქ ხდებოდა დღემდე...

უცებ ენერგომატარებლის საყვირი აგუგუნდა. მაშინვე მთელი ძალით კი არ აგუგუნებულა, ჯერ რაღაც ხრინნიანი ხმა გამოსცა, თითქოს ყელი ჩაიწმინდაო.

შუადღე დამდგარა! სადილის შესვენებაა!

ეჰ, დააგვიანეს! ადრევე უნდა მისულიყვნენ სასადილოში, რიგი დაეკავებინათ. თერთმეტი ბრიგადაა ობიექტზე, სასადილო კი ორის მეტს ვერ იტევს.

ბრიგადირი ჯერაც არსად ჩანს. პავლომ იქ მყოფთ თვალი მოავლო და გადაწყვიტა:

— შუხოვ, გოპჩიკ, გამომყევით! კილგას, როგორც კი გოპჩიკს გამოვგზავნი, ბრიგადა წამოიყვანე!

მათი ადგილები ღუმელთან მაშინვე დაიკავეს, შემოეხვივნენ იმ ღუმელს, თითქოს ქალი ყოფილიყოს, ყველანი მოსახვევნად ეტანებიან.

— მორჩი ღამისთევას! — ყვირიან ბიჭები, — მოვწიოთ!

თან ერთმანეთს უყურებენ — ვინ მოწევსო. მაგრამ მოწევით არავინ წევს, ან თამბაქო არ მოეძევებათ, ან ინახავენ, გამოჩენა არ უნდათ.

პავლო და შუხოვი გარეთ გამოვიდნენ. გოპჩიკიც უკან მოკუნტრუშობს.

— დამთბარა, — უმალ შეატყო შუხოვმა. — თვრამეტ გრადუსზე მეტი არ იქნება. კარგი სამუშაო ამინდია.

წიდა-ბლოკებს გახედეს — ბიჭებს ფიცარნაგზე ბლომად დაუხვავებიათ, ნანილი მეორე სართულზეც ყრია უკვე.

მზესაც ახედა შუხოვმა, დეკრეტის თაობაზე კაპიტნის ნათქვამი შეამონმა.

გაშლილზე მაინც იკბინება ქარი — არ დაგავიწყდეს, იანვარიაო.

წარმოების სამზარეულო ერთი პატარა ხუხულაა, ღუმელის ირგვლივ ყავრით შეკოლიკებული და დაჟანგულ თუნუქშემოვლებული. ეს ხუხულა შიგნით ორადაა გადატიხრული — იქით სამზარეულოა, აქეთ სასადილო. იატაკი არც სამზარეულოში დაუგიათ და არც სასადილოში. თავის დროზე მიწა ფეხით რომ დატკეპნეს, ისევე ოღროჩოღრო დარჩენილა. სამზარეულო ერთი ოთხკუთხედი ღუმელია და შიგ ქვაბია ჩატანებული.

სამზარეულოში ორნი მუშაობენ — მზარეული და სანინსტრუქტორი. დილით, ბანაკიდან გამოსვლისას მზარეული ბურღულს

ჩაიბარებს. თითოზე ალბათ, ასე, ორმოცდაათი გრამი მოუნევს, ბრიგადაზე — ერთი კილო, მთელ ობიექტზე კი ფუთზე ცოტათი ნაკლები გამოდის. იმ ბურღულიანი ტომრის სამ კილომეტრზე თრაქვით მზარეული თავს არ შეინუხებს — ხელის ბიჭს წამოაღებინებს. თავად ნელის მოწყვეტას ის ურჩევნია, იმ ხელის ბიჭს ზედმეტი პორცია მისცეს მუშების ხარჯზე. წყალია მოსატანი, შეშაა მოსაზიდავი თუ ღუმელი გასახურებელი — არც ამ საქმეს გადააკვდება მზარეული, ამასაც მუშა ხალხი და ჯანდაგები აკეთებენ. მათაც უნილადებს თითო პორციას, სხვისი რა ენაღვლება. ისიც დაწესებულია — პატიმრები სასადილოდან არსად გავიდნენ, აქვე ჭამონო. ჯამებიც ბანაკიდან უნდა ათრიონ (ობიექტზე არ დაიტოვება, აზატები აწაპნიან). ამიტომ ორმოცდაათამდე ჯამი თან მოაქვთ, აქვე მიყოლებით რეცხავენ და შიგ ისევ საჭმელს ასხამენ (ჯამების წამომღებსაც ერთი პორცია ზედმეტი ეძლევა). სასადილოდან ჯამები რომ არ გაიყოლონ, ამასაც თვალი სჭირდება, ერთ ხელის ბიჭს საამისოდ აყენებენ კარებში. მაგრამ ამან რაც უნდა უდარაჯოს, მაინც გააქვთ — ღმერთმა იცის, მოდარაჯეს იყაბულებენ თუ ჩუმად აპარებენ, რომ ვინმე უნდა გააგზავნო მთელი ობიექტის შემოსავლელად, რათა ჭუჭყიანი ჯამები შეაგროვოს და ისევ სამზარეულოში მოზიდოს. ერთსაც პორცია უნდა და მეორესაც.

თავად მზარეული მხოლოდ იმას აკეთებს, რომ ბურღულსა და მარილს ქვაბში გადაუძახებს და მერე ცხიმის განაწილებას შეუდგება — ნაწილს ქვაბში მიუშვებს, ნაწილს თავისთვის იტოვებს (კარგი ცხიმი პატიმრებამდე ვერ აღწევს, ცუდი კი ერთიანად ქვაბში მიდის, ამიტომ პატიმრებს ის ურჩევნიათ, საწყობმა ცუდი ცხიმი გასცეს). ჰო, მზარეული კიდევ ფაფას ურევს, როცა მოიცლის, ხოლო სანინსტრუქტორი ამასაც არ აკეთებს: ზის თავისთვის და თვალს ადევნებს. ფაფა რომ გამზადდება, სანინსტრუქტორს მიერთმევა და ჭამოს, რამდენიც უნდა. კიდეც შეექცევა. ამ დროს მორიგე ბრიგადირი გამოცხადდება, — მორიგე ბრიგადირი ყოველდღე იცვლება, — ამან ვითომ უნდა გასინჯოს და შეამოწმოს, შეიძლება თუ არა ამ ფაფით მუშა ხალხის დაპურება. მორიგე ბრიგადირს ორმაგი პორცია ეძლევა.

ამასობაში სადილობაც მოატანს. ბრიგადირები რიგში ჩადგებიან და მზარეული მათ ჯამებს აწვდის სარკმელში. იმ ჯამების ფსკერი ფაფითაა დაფარული და რამდენია შიგ შენი კუთვნილი ბურღული — ამას ვერც იკითხავ და ვერც შეამოწმებ, იკითხავ და ბურთს ჩაგჩრიან პირში.

მოტიტვლებულ ტრამალზე ქარი გაწივის. ქარი ზაფხულობით ხორშაკია და ზამთრობით სუსხიანი. იმ ტრამალზე არასოდეს გახარებულა რამე და მით უმეტეს ოთხ მავთულს შუა არაფრისგან არაფერია. პური ხარობს მხოლოდ პურის საჭრელში, შვრია — პროდუქტების საწყობში. და გინდაც წელში გაწყდე მუშაობით, გინდათ მუცლით იხოხო, მიწას საზრდელს ვერაფერს გამოსძალავ, იმაზე მეტს ვერ მიიღებ, რასაც უფროსები გამოგიწერენ. იმასაც ვერ მიიღებ მზარეულისა და ხელის ბიჭების შემყურე. აქაც იპარავენ, ზონაშიაც იპარავენ, მანამდე კიდევ საწყობში იპარავენ. და ვინც იპარავს, ისინი წერაქვს არ ურტყამენ მიწას. შენ კი ურტყი და რასაც გაძლევენ, იმას დასჯერდი. მიიღე და მოეცალე სარკმელს, ვინც ვის მოიხელთებს, იმას ატყავებს.

პავლო, შუხოვი და გოპჩიკი სასადილოში შევიდნენ. აქ ერთიმეორეს აზის ხალხი. ზურგებს იქით არც მომცრო მაგიდები ჩანს და აღარც სკამები. უმეტესობა დამდგარი ჭამს. 82-ე ბრიგადამ, რომელიც ნაშუადღევამდე ყინვაში ორმოებს თხრიდა, საყვირისთანავე პირველმა დაიკავა ადგილები. ახლა ეგენი ნასადილევსაც არ დაიძრებიან — სხვაგან სად უნდა გათბნენ? სხვები მიმდგარან და აგინებენ, მაგრამ ისინი ყურსაც არ იბერტყავენ — ყინვაში ყოფნას ყველაფერი ურჩევნიათ.

პავლომ და შუხოვმა მუჯლუგუნებით გაიკვლიეს გზა. კარგ დროს მოსულან: ერთი ბრიგადა სადილს ღებულობს და რიგს ერთიღა ელოდება. იმათი ბრიგადირის თანაშემწეები მისდგომიან სარკმელს. ესე იგი დანარჩენები ჩვენს შემდეგ იქნებიან.

— ჯამები! ჯამები! — გამოსძახის სარკმელში მზარეული და აქეთ-იქიდან უკვე აჩეჩებენ ჯამებს; შუხოვიც აგროვებს და აწვდის — ზედმეტი ულუფის იმედით კი არა, საქმის დასაჩქარებლად.

ტიხარს იქით ხელის ბიჭები ჯამებს რეცხავენ. ესეც ფაფის ხათრით კეთდება.

პავლოს წინ მდგარი ბრიგადირის თანაშემწე მიღებას შეუდგა და პავლომ თავებს ზემოთ გადასძახა:

— გოპჩიკ!

— აქა ვარ! — ისმის კარებში. თიკანივით ნვრილი, კიკინა ხმა აქვს გოპჩიკს.

— ბრიგადას დაუძახე.

გავარდა გოპჩიკი.

მთავარი ისაა, დღეს კარგი ფაფა მოუდულებიათ, ყველაზე უკეთესი — შვრიის ფაფა. იშვიათად ამზადებენ ხოლმე. მეტწილად მაგარას იძლევიან დღეში ორჯერ, ან კიდევ ფქვილის ნახარშს.

რამდენი შვრია შეუჭმევია შუხოვს ცხენებისთვის — რას იფიქრებდა, როდისმე ერთი მუჭა შვრია შეექნებოდა სანატრელი!

— ჯამები, ჯამები! — გამოსძახიან სარკმელში.

104-ის რიგიც დგება. წინა ბრიგადირის თანაშემწემ თავის ჯამში ორმაგი ულუფა — „საბრიგადირო" მიიღო და სარკმელს მოსცილდა.

ესეც მუშა ხალხის ხარჯზე ხდება და დამშლელი არავინაა. ყოველ ბრიგადირს ასეთი პორცია ეძლევა. მერე მისი ნებაა — უნდა თავად შეჭამს და უნდა თანაშემწეს დაუთმობს. ტიურინი პავლოს აძლევს ხოლმე.

შუხოვი საქმეს შეუდგა: მაგიდიდან ორი ჯანდაგი წამოაგდო, ერთ პატიმარს ძმურად სთხოვა — ადექიო, და მაგიდის კიდე მოასუფთავა. ამ ადგილას ერთიმეორეზე მიდგმული თორმეტი ჯამი უნდა დაეტიოს, ამ თორმეტს მეორე სართულად ექვსი ჯამი დაედგმება და იმათ ზემოთ — კიდევ ორი. ახლა პავლოს ჯამები უნდა გამოართვას. მასთან ერთად ითვალოს და თან თვალი ეჭიროს — ვინმე გარეშემ ჯამი არ ააცალოს, ან იდაყვი არ გაჰკრას და არ გადმოაყირავოს. აქვე, გვერდზე, სკამებს შუა ხალხი მიძვრებ-მოძვრება, სადილობს. თვალი უნდა ადევნოს: რომ ჭამენ, თავისას ჭამენ? თუ ჩვენსაში ჩამოჰყვეს ცხვირი?

— ორი! ოთხი! ექვსი! — ითვლის სარკმელს იქით მზარეული. ერთბაშად ორ-ორს აწვდის ორ ხელში. ასე ურჩევნია, თითო-თითო რომ ითვალოს, შეიძლება ანგარიში აერიოს.

— ორი, ოთხი, ექვსი, — ჩუმი ხმით იმეორებს სარკმელში პავლო. იმეორებს და შუხოვს ორ-ორ თასს აწვდის, შუხოვი კი მაგიდაზე ამწკრივებს. შუხოვი ხმამაღლა არაფერს იმეორებს, მაგრამ მათზე უფრო გულდასმით ითვლის.

— რვა, ათი.

რატომ არ მოჰყავს გოპჩიკს ბრიგადა?

— თორმეტი, თოთხმეტი... — თვლა გრძელდება.

მაგრამ სამზარეულოში ჯამები შემოაკლდათ. პავლოს თავისა და მხრის იქით ხედავს შუხოვი: მზარეულის ორმა ხელმა ორი ჯამი დახლზე შემოდგა და თითქოს შეფიქრიანებული გაშეშდა. ეტყობა, მზარეულმა თავი მიიბრუნა და ჭურჭლის მრეცხავებს ლანძღავს. ამასობაში აქედან ცარიელი ჯამების გროვა მიაჩეჩეს. მზარეულმა დახლზე დადგმულ ჯამებს ხელი უშვა და ცარიელების უკან გადაწოდებას შეუდგა.

შუხოვმა თავისი ჯამები მაგიდაზე მიატოვა, გრძელ სკამს გადაალაჯა, ორივე ჯამი დაითრია და, თითქოს მზარეულის კი არა — პავლოს გასაგონად, არც ისე ხმამაღლა გაიმეორა:

— თოთხმეტი.

— ხელი! — სად მიგაქვს? — აღრიალდა მზარეული.

— ჩვენია, ჩვენი, — გამოესარჩლა პავლო.

— თქვენი რომაა, ანგარიშს ნუ მირევთ!

— თოთხმეტია, — მხრები აიჩეჩა პავლომ. თავად იმას არ იზამდა, რომ მზარეულისთვის ჯამები აეწია, როგორც ბრიგადირის თანაშემწეს ავტორიტეტი უნდა შეენახა, მაგრამ ამჯერად შუხოვის შემდეგ გაიმეორა; საქმე საქმეზე რომ მიმდგარიყო, მასვე გადმოაბრალებდა.

— „თოთხმეტი“ უკვე ვთქვი! — ჯავრობს მზარეული.

— მერე რა, რომ თქვი? თქვი და არ მოგიცია, ხელი შეაჩერე! — აყვირდა შუხოვი. — მიდი, დათვალე, არ გჯერა? აგერ, მაგიდაზეა ყველა!

შუხოვი მზარეულს უყვიროდა, მაგრამ თან ისიც შეამჩნია — ორი ესტონელი მათკენ გზას მოიკვლევდა. უმალ ორივე ჯამი იმათ შეაჩეჩა. ისიც მოასწრო, რომ მაგიდასთან მიბრუნებულიყო, მოასწრო შეემოწმებინა, რომ ყველაფერი ადგილზე იყო. მეზობლებმა ვერაფრის ანევა ვერ მოახერხეს, თუმცა თავისუფლად კი შეეძლოთ.

სარკმელში მზარეულის წითელი სიფათი გამოჩნდა.

— სადაა ჯამები? — მკაცრად იკითხა მან.

— აჰა, ჯამები! — უყვიროდა შუხოვი. — ერთი ჩამოდექი, ჩემო ძმაო! — ხელი ჰკრა ვიღაცას. — აი, ორი! — მეორე სართულის ორი ჯამი ზევით ასწია. — ეგერ კიდევ ოთხ-ოთხი სამ მნკრივად! დათვალე!

— ვითომ ბრიგადა არ მოსულა? — უნდობლად იჭვრიტებოდა მზარეული სარკმლის ვიწრო არეში. სარკმელი კი სწორედ იმიტომ იყო ვიწრო, სასადილოს მხრიდან ქვაბში ვერავის ჩაეჭყიტა — შიგ რამდენი დარჩაო.

— არა, ბრიგადა ჯერ არ მოსულა, — თავი გადააქნია პავლომ.

— თუ არ მოსულა და ჯამებს რაღა ეშმაკად აცდენთ? — გაცოფდა მზარეული.

— ეგერ, ეგე ბრიგადა! — იყვირა შუხოვმა.

და ამ დროს ყველამ გაიგონა, როგორ ბობოქრობდა კარებში ბუინოვსკი, თითქოს კაპიტნის ბოგურაზე მდგარიყოს:

— რას შექუჩებულხართ? მოათავეთ ჭამა და გამოეტიეთ! სხვებსაც აცალეთ!

მზარეულმა ერთიც ჩაიბურტყუნა. წელში გაიმართა და სარკმელში ისევ გამოჩნდა მისი ხელები.

— თექვსმეტი, თვრამეტი...

და ბოლო ორმაგიც რომ დაასხა:

— ოცდასამი. მორჩა! შემდეგი!

ბრიგადის წევრებმა გზა გამოიკვლიეს და პავლო შეუდგა მათთვის ჯამების მიწოდებას. ზოგიერთებს სუფრასთან მსხდომთა თავებს ზემოდან აწვდიდა, მეორე მაგიდაზე.

ზაფხულში ყოველ მერხზე ხუთ-ხუთი კაცი მოთავსდებოდა, მაგრამ ახლა ისე სქლად იყვნენ ჩაცმულნი, ოთხ-ოთხნი ძლივს ეტეოდნენ, ისიც კოვზის ხმარება უძნელდებოდათ.

იმის ფიქრში, რომ აწეული ორი პორციიდან ერთი მაინც მე შემხვდებაო, შუხოვმა დაუყოვნებლივ ხელი მიჰყო თავის ნამდვილ ულუფას. ჩექმიდან კოვზი „უსტ-იუმა 1944“ ამოაძრო, ქუდი მოიხადა, მარცხენა უბეში ამოიდო და ფაფას კიდეებიდან მიჰყვა.

საჭირო იყო ეს წუთი მთლიანად საჭმლისკენ მიემართა; იმ ფაფის თხელი ფენა ფსკერიდან თანდათანობით უნდა აეცალა, პირში ჩაედვა და საგულდაგულოდ დაეღეჭა. მაგრამ აჩქარებაც მართებდა, რათა პავლოს დაენახა — შუხოვმა უკვე დაამთავრაო, და მეორე ფაფა მიეცა. გარდა ამისა, ესტონელებთან ერთად მოსულმა ფეტიუკოვმა შენიშნა, როგორ აწიეს ორი ფაფა. ახლა პავლოს პირდაპირ გაჩერებულა, ფეხზე მდგარი ჭამს და ოთხ გაუნაწილებელ ულუფას უთვალთვალებს. ამით სურს პავლოს ანიშნოს — თუ მთელი არა, ნახევარი პორცია მაინც მეც მერგებაო.

მაგრამ ახალგაზრდა პავლო მშვიდად შეექცევა თავის ორმაგ ულუფას და სახეზე ვერაფერს შეატყობ — ამჩნევს თუ არა, ვინ უდგას გვერდში, და ახსოვს თუ არა, რომ ორი პორცია ზედმეტია აღებული?

შუხოვმა ფაფა მოათავა. იმის გამო, რომ სტომაქი ერთბაშად ორი ულუფისთვის შეამზადა, ერთმა შვრიამ კვლავინდებურად ვერ გააძღო. გულის ჯიბე მოიქექა, თეთრ ჩვარში გახვეული დაუმზრალი პურის ყუა ამოიღო და ჯამის მოსუფთავებას შეუდგა. პურის ქერქზე დაგროვილ ფაფას ენით ლოკავდა და მერე ხელახლა უსვამდა. ბოლოს ჯამი გარეცხილივით მოსუფთავდა, ოდნავღა შერჩა ფაფის ფერი. ჯამი შემგროვებელს გადაანოდა და ერთ წუთს ისე იჯდა ქუდმოხდილი.

მართალია, ჯამები შუხოვმა ასნია, მაგრამ მათი პატრონი ბრიგადირის თანაშემწეა.

პავლომ ცოტა ხანს კიდევ ალოდინა, ვიდრე თავის ჯამს მოასუფთავებდა. ოღონდ არ მოუტლეკია, კოვზი გალოკა მხოლოდ. მერე კოვზი შეინახა, პირჯვარი გადაიწერა და ოთხიდან ორ ჯამს ხელი შეავლო, — სივიწროვეში მიჩოჩება არ ეხერხებოდა, — თითქოს შუხოვს აძლევდა.

— ივან დენისოვიჩ, ერთი თქვენთვის და ერთი ცეზარს წაუღეთ.

შუხოვს ახსოვდა, რომ ერთი ჯამი ცეზარისთვის უნდა წაეღო კანტორაში (ცეზარი თვითონ ისე არ დამცირდებოდა, სასადილოში ევლო, — არც აქ და არც ბანაკში), ახსოვდა, მაგრამ, როცა პავლომ ერთბაშად ორ ჯამს შეავლო ხელი, შუხოვს გული გადაუქანდა — ორივე ზედმეტ ულუფას ხომ არ მაძლევსო პავლო? მერე გულმა ისევ ძველებურად იწყო ფეთქვა.

მყისვე მიჰყო ხელი თავის კანონიერ ნადავლს, გულდაგულ შეუდგა ჭამას, ისე რომ, ვეღარც კი გრძნობდა, როგორ უჯიკავებდნენ ზურგში ახლადშემომატებული ბრიგადის წევრები. მხოლოდ იმის დარდი ჰქონდა — მეორე ფაფა ფეტიუკოვს არ მისცენო. წუწკობას ყოველთვის მოახერხებს ფეტიუკოვი, მაგრამ ჯამების აწევას ვერაფრით გაბედავდა.

... მათ გვერდით კი ჩამომჯდარიყო მეორე რანგის კაპიტანი ბუინოვსკი, დიდი ხანია თავისი ფაფა მოემთავრებინა, არც იცოდა, თუ ბრიგადაში ზედმეტი ჯამები იყო და არც უცუცქურებდა — რამდენი ულუფა დარჩაო ბრიგადირის თანაშემწეს. ოღონდ გამთბარიყო, მოთენთილიყო და ყინვაში გასვლის ან ცივ დარბაზში მიბრუნების თავი აღარ ჰქონდა. ისევე ხელს უშლიდა ახალმოსულ ბრიგადებს და ისევე დაეკავებინა ახლა სხვისი ადგილი, როგორც იმათ, ვისაც ამ ხუთიოდე წუთის წინ თავისი ფოლადის ხმით აქედან მიერეკებოდა. დიდი ხანი არ იყო, რაც ბუინოვსკი ბანაკში მოიყვანეს, რაც საერთო სამუშაოზე გაამწესეს. მან არ იცოდა, რომ ამდაგვარი წუთები მისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, რომ ეს ნუთები მზვაობარ ოფიცერს აქცევდნენ ზანტ და ფრთხილ პატიმრად, რომელიც მხოლოდ ამ სიზანტის წყალობით თუ გაუძლებდა მისჯილ ოცდახუთ წელიწადს.

ბუინოვსკის უკვე ხელს ჰკრავდნენ და უყვიროდნენ — ადგილი გაათავისუფლეო.

— კაპიტანო! ო, კაპიტანო!

ბუინოვსკი ახალგაღვიძებულივით შეკრთა და მიმოიხედა.

პავლომ ფაფა გაუწოდა, ისე რომ, არც უკითხავს — გინდა თუ არაო.

ბუინოვსკიმ ნარბები აწკიპა. მისი თვალები ფაფას ისე დაშტერებოდა, როგორც არნახულ სასწაულს.

— აიღეთ, აიღეთ, — დაამშვიდა პავლომ, უკანასკნელი დარჩენილი ჯამი ბრიგადირისთვის გაიძღოლა და გავიდა.

... დამნაშავე კაცის ღიმილმა შეძრა კაპიტნის დამსკდარი ბაგეები. და კაპიტანი, რომელსაც ევროპის ირგვლივაც ეცურა და ჩრდილოეთის დიდი გზაც გადაელახა, ბედნიერი შეუდგა შვრიის თხელი, უცხიმო ფაფის — შვრიისა და წყლის — ჭამას.

... ფეტიუკოვმა გულბოროტად შეხედა ჯერ შუხოვს, მერე ბუინოვსკის და იქაურობას გაეცალა.

შუხოვის აზრით კი, სწორი იყო კაპიტანს რომ მისცეს. დრო მოვა, კაპიტანიც ისწავლის, როგორ უნდა ცხოვრება, ჯერჯერობით კი არ იცის.

ერთი იმედი კიდევ უღვივოდა შუხოვს გულში — იქნებ ცეზარმაც დამითმოსო თავისი ფაფა. მაგრამ ალბათ არ მისცემდა, რადგან უკვე ორი კვირა გადიოდა, ამანათი არ მიეღო.

როცა მეორე ჯამის ძირიც მოასუფთავა, შუხოვმა ბოლოს პურის ქერქიც შეჭამა. მერე ცეზარის გაცივებულ ფაფას ხელი მოავლო და წავიდა.

— კანტორაში მიმაქვს! — ხელი ჰკრა კარებში ჩამდგარ მოდარაჯეს, რომელსაც არ უნდოდა ჯამიანად გაეტარებინა.

კანტორა საგუშაგოს ახლოს ძელურ ქოხში იყო. საკვამურიდან ბოლი ბოლქვა-ბოლქვა ამოდიოდა დილანდელივით. ღუმელს უკეთებდა მორიგე, იგივე შიკრიკი. ამ მორიგეს ხანდახან რაღაცას გამოუწერენ ხოლმე, ხოლო ნაფოტები და პინწკლები კანტორისთვის არ ენანებათ.

შუხოვმა დერეფნის კარი ააჭრიალა, მერე მეორე, ძენძაკრული კარი გამოაღო, ყინვიანი ორთქლის ბუღი შეიყოლა და უმალვე მიიხურა (იჩქარა, რომ არავის შემოეყვირა: „ეი, ლობიო, კარი დახურე!“).

ისე მოეჩვენა, კანტორაში აბანოსავით ცხელოდა. ყინულჩამომდნარ სარკმელში მზე მხიარულად ციმციმებდა, ისე უკეთურად კი არა, როგორც იქ, თბოელექტროცენტრალის მეორე სართულზე. და მზის სხივებში ცეზარის ჩიბუხის ბოლიც ისე იფინებოდა, როგორც

ეკლესიაში საკმეველი. ხოლო ღუმელი ისე გაევარვარებინათ ამ წყეულებს, გამჭვირვალე შექნილიყო. საკვამური მილებიც წითლად ღვიოდა.

ასეთ სითბოში ერთი რომ მიჯდე, მაშინვე ჩაგეძინება.

კანტორაში ორი ოთახია. მეორე, სამუშაოთა მწარმოებლის ოთახის კარი ღრიჭედ დარჩენილა და იქედან სამუშაოთა მწარმოებლის მჭექარე ხმა გამოისმის:

— ხელფასის ფონდი და საშენ მასალათა ფონდი გადახარჯული გვაქვს. ძვირად ღირებულ ფიცრებს, ასაწყობ ფარებზე რომ აღარაფერი ვთქვა, თქვენი პატიმრები შეშად ჩეხავენ და ცეცხლს უკეთებენ, თქვენ კიდევ ვერაფერს ამჩნევთ. ამას წინათ პატიმრებმა საწყობთან ცემენტი ძლიერ ქარში გადმოტვირთეს და მერე ათ მეტრზე კიდევ ხელით ზიდეს. საწყობის გარშემო მთელ მოედანზე კოჭებამდე ცემენტი ეყარა. მუშები რომ წავიდნენ, შავები კი აღარ იყვნენ, ნაცრისფერი ედოთ. რამდენი დანაკარგია?

სამუშაოთა მწარმოებელი, ეტყობა, თათბირს ატარებს ათისთავებთან.

შემოსასვლელთან, კუთხეში მოთენთილი მორიგე ჩამომჯდარა. იქით შკუროპატენკო, ბ-219, სარკმელს უყურყუტებს, ახლაც მისჩერებია — ასაწყობ სახლებს ხომ არ იპარავენო. ოლონდ ტოლი ხელიდან გაგიძვრა, ბიძიკო.

ორი ბუღალტერი (ისინიც პატიმრები) ღუმელზე პურს ხუხავს. რომ არ დაეწვათ, მავთულის ბადე გაუკეთებიათ.

თავის მაგიდასთან გაშხლართული ცეზარი ჩიბუხს წევს. შუხოვისკენ ზურგით დამჯდარა, ვერ ხედავს.

მის პირდაპირ ზის ხ-123, ოცწელმისჯილი კატორღელი, ჩაფსკვნილი ბერიკაცი. ფაფას შეექცევა.

— არა, ბატონო, — ნება-ნება, რბილად ამბობს ცეზარი. — ობიექტურობა მოითხოვს ვაღიაროთ, რომ ეიზენშტეინი გენიალურია. „იოან მრისხანე" გენიალური არაა? ნიღბოსანი ოპრიჩნიკების როკვა! სცენა ტაძარში!

— ტაკიმასხარობაა! — პირთან მიტანილი კოვზი გაშეშებია და ჯავრობს ხ-123. — იმდენი ხელოვნებაა, რომ უკვე აღარცაა ხე-

ლოვნება. პილპილი და ხაშხაშია არსობის პურის ნაცვლად! და მერე უსაზიზღრესი პოლიტიკური იდეა — ერთპიროვნული ტირანიის გამართლება. რუსეთის ინტელიგენციის სამი თაობის ხსოვნა აბუჩადაა აგდებული! (უგრძნობელი პირით ჭამს ფაფას, არაფერი შეერგება).

— კი, მაგრამ სხვაგვარად ვინ გამოაშვებინებდა?..

— აჰ, გამოაშვებინებდა?!. მაშინ ნულარ ამბობთ — გენიოსიაო! თქვით, მლიქვნელია-თქო, ძაღლურ დაკვეთას ასრულებდა-თქო. გენიოსები თავიანთ აზრებს ტირანის გემოვნებას არ უფარდებენ!

— ჰმ, ჰმ, — ჩაახველა შუხოვმა. ერიდებოდა — ნასნავლ ხალხს საუბარი არ შევაწყვეტინოო. მაგრამ აქ ტყუილუბრალოდ დგომაც არაფერს არგებდა.

ცეზარი შემობრუნდა, ხელი ჯამისაკენ გამოიწოდა. შუხოვისთვის არც შეუხედავს, თითქოს ფაფა თავისით მოცურებულიყოს ჰაერში, და ისევ თავისას მოჰყვა:

— მაგრამ ხელოვნება არის „როგორ" და არა „რა".

წამოიქაჩა ხ-123 და ხელის კიდე დასცხო და დასცხო მაგიდას:

— არა! ჯანდაბაში წასულა თქვენი „როგორ", თუკი კეთილ გრძნობებს არ აღმიძრავს!

შუხოვი ზუსტად იმდენ ხანს დაყოვნდა ფაფის გადაცემის შემდეგ, რამდენსაც ზრდილობა მოითხოვდა. ელოდებოდა — ხომ არ მომაწევინებსო ცეზარი. მაგრამ ცეზარს აღარც გახსენებია, რომ იგი აქვე, მის ზურგს უკან იდგა.

შუხოვი გამობრუნდა და წყნარად გამოვიდა.

არა უშავს, არც ისე ძალიან ცივა გარეთ. დღეს დაჩქარდება კედლის ამოყვანა.

ბილიკს გამოყოლილმა შუხოვმა თოვლზე დაგდებული ფოლადის ნაჭერი შენიშნა, ლიანდაგის ნამტვრევი. მართალია, ის ნაჭერი არაფრად ესაჭიროებოდა, მაგრამ წინასწარ ვერ იტყვი — როდის რა დაგჭირდება. დასწვდა და შარვლის ჯიბეში ჩაიდო. თბოელექტროცენტრალში დამალავს სადმე. თავშენახული კაცი მდიდარს სჯობია.

მშენებლობაზე მისვლისთანავე გადამალული ქაფჩა ამოაძვრინა და თოკის ქამარში გაირჭო. მერე სადუღაბეში შევიდა.

მზეზე ნასიარულევს მოეჩვენა, რომ იქაურობა სულ ჩამობნელებულიყო. ვერც სითბო იგრძნო მაინცდამაინც. თითქოს მეტი ნესტი იდგა, ვიდრე გარეთ.

შუხოვის მიერ დადგმულ მრგვალ ღუმელს და მეორე — სილის საშრობ ღუმელს მისეოდა ყველა. ვისაც ადგილი არ ჰყოფნიდა, სადუღაბე ყუთის კიდეზე მოეკალათებინა. ბრიგადირი ზედ ღუმელთან მიმჯდარიყო, ფაფას შეექცეოდა. ფაფა პავლოს შეეთბო ღუმელზე.

ფუჩუნებენ ბიჭები. გახარებულნი ჩანან. შუხოვსაც ეუბნებიან ჩუმად — ბრიგადირმა საპროცენტო კარგად დახურაო. კარგ გუნებაზე მობრუნებულა.

როგორი სამუშაო მოიგდო ხელში ბრიგადირმა, ეს მისი ჭკუის საქმეა. აი, დღეს ნაშუადღევამდე რა გააკეთეს? არაფერი. ღუმელის დადგმას არავინ გაგინაღდებს, არც გასათბობი ოთახის მოწყობას: ეგენი თავისთვის გაიკეთეს, წარმოებისთვის კი არა. მაგრამ იმ განწესში რამე ხომ უნდა ჩაიწეროს! იქნებ ცეზარმაც ცოტათი ხელი წაუკრას — ტყუილად კი არ ექცევა პატივით ბრიგადირი.

„კარგად დახურა“ იმას ნიშნავს, რომ ახლა ხუთ დღეს კარგ ულუფას მიიღებენ. ისე, კაცმა რომ თქვას, მარტო ოთხ დღეს, ხუთს კი არა! ხუთი დღიდან ერთს უფროსები იხვილიფებენ, მთელი ბანაკი საგარანტიოზე გაჰყავთ — უკეთესნიც და ყველაზე უარესნიც. თითქოს არავის უნდა სწყინდეს ეს ამბავი, ხომ ყველას თანაბრად უნაწილებენ! მაგრამ რაც იზოგება, ჩვენი მუცლის ხარჯზე რომ იზოგება! არა უშავს, პატიმრის სტომაქი ყველაფერს ითმენს: როგორმე დღეს გავძლოთ და ხვალ სულს მოვითქვამთ. მთელი ბანაკი ამ ოცნებით იძინებს.

ისე კი, რომ დაუფიქრდე, გამოდის, რომ ხუთ დღეს ვმუშაობთ და საჭმელს ოთხ დღეს ვჭამთ მხოლოდ.

ბრიგადა მიყუჩებულია. ვისაც მოსაწევი აქვს, უჩუმრად ექაჩება. შეყუჟულან ბნელში და ცეცხლს დასცქერიან. თითქოს ერთი დიდი ოჯახი ყოფილიყოს. ყურს უგდებენ, როგორ მოუთხრობს თავის ამბავს ბრიგადირი ორ-სამ კაცს. ბრიგადირი სიტყვაძუნწი კაცია. ეტყობა, ხასიათზეა, რაკი მოყოლა დაიწყო.

ვერც ანდრეი პროკოფიჩი შესჩვევია ქუდმოუხდელად ჭამას. უქუდობა ხანს მატებს. თმა მასაც სხვებსავით მოკლედ აქვს შეკრეჭილი, მაგრამ ღუმელის ცეცხლზეც ჩანს, რამდენი თეთრი შერევია უკვე.

— მე ასმეთაურის დანახვაზეც მაზანზარებდა და უცებ — პოლკის უფროსთანო! „წითელარმიელი ტიურინი-მეთქი, თქვენი განკარგულების თანახმად...“ მომაჩერდა დაფანჩულ ზარბებქვეშიდან: სახელი და მამის სახელიო? მოვახსენე. „დაბადების წელი?“ მოვახსენე. მაშინ რა, ოცდაათში მამლაყინნა ვიყავი — ოცდაორი წლის ბიჭი. „აბა, ტიურინ, როგორ მსახურობ?“ — „ვემსახურები მშრომელ ხალხს-მეთქი!“ ადუღდა და რა ადუღდა! ორივე მუშტი დასცხო მაგიდას. „მშრომელ ხალხს ვემსახურებიო? მერე ვინ ხარ შენ, შე, მამაძაღლო?!“ ერთიანად გამბურძგლა ტანში, მაგრამ თავი გავიმაგრე: „მეტყვიამფრქვევე მსროლელი, პირველი ნომერი, საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების წარჩინე...“ — „რომელი პირველი ნომერი, შე, აყროლებულო? მამა რომ კულაკი გყავს, ეგ არაფერი? აგერ, ქაღალდი შენი სოფლიდან! მამა კულაკი გყოლია და მიმალულხარ, არა? მეორე წელია გეძებენ თურმე!“ ფერი დაეკარგე, ხმას არ ვიღებდი. ნელინადი იყო, შინაურებისთვის არ მიმეწერა, კვალს არ მოაგნონ-მეთქი. არ ვიცოდი, ცოცხლები იყვნენ თუ მკვდრები, და იმათაც არაფერი იცოდნენ ჩემი. „რა სინდისმა მოგცა მუშურ-გლეხური ხელისუფლების მოტყუება?!“ — ისე ღრიალებდა, ოთხივე შპალი ზანზარებდა. ვიფიქრე — გამლახავს-მეთქი. არა, არ უცემია. ბრძანებას მოაწერა ხელი — ექვს საათში აქაურობას მოაშორეთო... ნოემბერი იდგა. საზამთრო, რაც მეცვა, გამაძრეს, საზაფხულო ტანსაცმელი მომიგდეს, ძველმანი წინდები და გაქუცული მაზარა. გორსალა ვიყავი, თურმე შემეძლო არ ჩამებარებინა... ასეთი უბედური ცნობაც მომცეს ხელზე: „გაძევებულია წითელი არმიის რიგებიდან, როგორც კულაკის შვილი“. იმ ცნობით სამუშაოზე მოწყობის მეტი არაფერი მაკლდა! სახლამდე ოთხი დღის გზა მედვა. რკინიგზის ლიტერი არ გამოუწერიათ, არც საგზლად მოუციათ რამე. უკანასკნელად მასადილეს და გამომაბუნძულეს.

... სხვათა შორის ოცდათვრამეტში ჩემს ყოფილ ოცმეთაურს კოტლასში შევხვდი. იმისთვისაც ათი მიეცათ. იმისგან გავიგე: ის პოლკის უფროსიც და ის ასმეთაურიც ოცდაჩვიდმეტში დაუხვრეტიათ. ვინ იყო გამკითხავი — პროლეტარები იყვნენ თუ კულაკები, ჰქონდათ სინდისი თუ არა ჰქონდათ... მაშინ პირჯვარი გადავიწერე და ვთქვი: „მაინც ყოფილხარ, გამჩენო, ზეცაში. ბევრის მოთმენა შეგიძლია, მაგრამ განჩინებაც ძალიან იცი“.

ორი ჯამი ფაფის მერე შუხოვი კვდებოდა, ისე უნდოდა მოწევა. და იმის იმედით — ლატვიელისგან ორ ჭიქა თუთუნს ვიყიდი და მაშინ ჩავასესხებო, ესტონელ მეთევზეს ჩუმად უთხრა:

— გესმის, ეინო, ერთი გახვევა მასესხე ხვალამდე. პირს არ გიშლი, ხომ იცი.

ეინომ ჯიქურ შეხედა შუხოვს თვალებში, მერე თავის ძმობილს გადახედა აუჩქარებლად. ამათ ხომ ყველაფერი სანახევროდ აქვთ, უერთმანეთოდ ფინჩხასაც არ გაიმეტებენ. ერთიმეორეს რაღაც გადაულაპარაკეს და ეინომ ვარდისფერყაითნიანი ქისა ამოაძვრინა, იქიდან ფაბრიკის თამბაქო ამოიღო, შუხოვს ხელისგულზე დაუყარა, მერე თვალით გაზომა და კიდევ ცოტაოდენი დაუმატა. სნორედ ერთი გახვევა გამოვიდოდა, მეტი არა.

გაზეთის ქაღალდი თან ჰქონდა შუხოვს, მოხია იმ ქაღალდს, თუთუნი გაახვია, ბრიგადირის ფეხებთან ჩამოვარდნილ ნაკვერჩხალს დასწვდა, — და მოქაჩა! მოქაჩა! მთელ სხეულს დაუარა. თითქოს შეათრო კიდეც და გააბრუა.

ის იყო გააბოლა, რომ დარბაზის მეორე კუთხიდან მწვანე თვალებმა შემოანათა. ფეტიუკოვი იყო. იქნებ კიდეც დაეტოვებინა იმ წუპაკისთვის, მაგრამ დღეს ფეტიუკოვმა ადრეც იშოვნა ნამწვი. ის აჯობებს, სენკა კლევშინს დაუტოვოს. სენკას არაფერი ესმის, რასაც ბრიგადირი ყვება, მიმჯდარა ბეჩავი ცეცხლთან და თავი გვერდზე გადაუგდია.

ბრიგადირის ნაყვავილარ სახეს ცეცხლის ალი ანათებს. თავის ამბავს ისე გულშეუძვრელად ყვება, თითქოს სხვისას მოუთხრობდეს:

— რაც რამე გამაჩნდა, ჩალის ფასად მივასაღე, იმ ფულით ორი პური ვიყიდე ხელზე, მაშინ უკვე ბარათები იყო შემოღებული. ერთი პირობა ვიფიქრე — საბარგო მატარებლებით ვიმგზავრებ-მეთქი, მაგრამ ამის წინააღმდეგაც მაგარი კანონები იყო გამოშვებული. არა და ბილეთები ვიღას ახსოვდა, ფულითაც ვერ იშოვნიდი, უფულოდ კი არა. მარტო წიგნაკებითა და მივლინების მოწმობებით იძლეოდნენ. ბაქანზეც არავის ატარებდნენ: კარებში მილიცია იდგა, სადგურის ორივე მხარეს გზაზე მცველები დადიოდნენ. მზე ჩასვლაზე იყო, გუბეები იყინებოდა. სად უნდა გამეთია ღამე? ქვის მესერზე ავძვერი, ჩემი პურებიანად გადავხტი და ბაქნის ჩეჩმას ვეცი. ცოტა შევიცადე — არავინ გამომკიდებია. გამოვედი, ვითომ მგზავრი ვყოფილიყავი, სალდათი. სწორედ ვლადივოსტოკი-მოსკოვი იყო ჩამომდგარი. მდუღარეზე თავ-პირს ამტვრევდნენ, ერთმანეთს კარდალებს ურტყამდნენ თავში. გავიხედე — ერთი ლურჯ ზედაწელიანი ქალიშვილი წრიალებს იქვე, ორლიტრიანი ჩაიდანი დაუკავებია, მაგრამ მდუღარეს ვერ ეკარება. ერთი ბენვა ფეხების პატრონია, ან დამდუღრავენ, ან გაჭყლეტენ უეჭველად. „აჰა-მეთქი, პურები, ახლავე გიშოვნი მდუღარეს!“ სანამ გავავსებდი, მატარებელი დაიძრა. იმ გოგოს პურები დაუჭერია და ტირის, აღარ იცის, პურებს რა უქნას, თორემ ჩაიდანს სიხარულით შემატოვებდა. „გაიქეცი-მეთქი, ვუყვირე, გაიქეცი, მეც ახლავე მოგყვები-მეთქი!“ გაიქცა და მეც გავეკიდე. დავეწიე, ცალი ხელით საფეხურზე შევახტუნე. მატარებელმა გარეკა! მეც შევახტი. კონდუქტორმა არც თითებზე დამარტყა რამე, არც გულში უკრავს ხელი: ვაგონში სხვა სალდათებიც ყოფილიყვნენ და ემათში ავერიე.

შუხოვმა სენკას მუჯლუგუნი გაჰკრა: აჰა, დაგიტოვე და მოწიეო. თავისი ხის მუნდშტუკიანად მისცა — მოწიოს, არ უნდა ამას ამბავი. სენკამ, იმ დამთხვეულმა, მსახიობივით ცალი ხელი მკერდზე მიიდო და თავი მდაბლად დაუკრა. რა უნდა ელაპარაკო გამოყრუებულს!..

ყვება ბრიგადირი:

— ექვსი გოგო მოდიოდა დახურულ კუპეში, ლენინგრადელი სტუდენტები იყვნენ, პრაქტიკაზე ნამყოფი. რაფაზე კარაქი და რაღაც-რაღაცები დაელაგებინათ, კავებზე პლაშჩები ირწეოდა, ჩე-

მოდნები შალითებში ჩაეწიკწიკებინათ. ვილაპარაკეთ, ვიცინეთ, ჩაი გეახელით. თქვენო, მკითხეს, რომელი ვაგონიდან ხართო? ერთი ამოვიხვნეშე და გავუტყდი: იმ ვაგონიდან ვარ, გოგოებო, რომ თქვენ კარგად იყავით და ჩემი საქმე წასულია-მეთქი...

დარბაზში სიჩუმეა, ღუმელი ღუღუნებს.

— ივიშვიშეს, ითათბირეს, იწრიალეს. ბოლოს მაინც მესამე თაროზე ამაძვრინეს და პლაშჩებით დამფარეს. მაშინ კონდუქტორებს უშიშროების ხალხი ახლდა. ბილეთს ვინ დაეძებდა, თავი უნდა გადაერჩინათ. ნოვოსიბირსკამდე ასე ნამალევად ჩამიყვანეს... სხვათა შორის იმ გოგოებიდან ერთს მერე პეჩორაზე გადავუხადე მადლობა. ოცდათხუთმეტში კიროვის ნაკადში მოხვედრილიყო, საერთო სამუშაოებზე სძვრებოდა სული. სამკერვალოში მოვაწყე.

— დუღაბს ხომ არ მივმდგარიყავით? — ჩურჩულით ეკითხება ბრიგადირს პავლო.

არ ესმის ბრიგადირს.

— შინ ბოსტან-ბოსტან მივიპარე ღამით. მამაჩემი უკვე წაეყვანათ, დედა და ბავშვები საეტაპოდ იყვნენ გამზადებული. ჩემს შესახებ უკვე დეპეშა მოსულიყო და სოფსაბჭო მეძებდა წასაყვანად. შუქი ჩავაქრეთ და კედელთან მივიყუჟეთ იატაკზე, თორემ სოფელ-სოფელ აქტივისტები დადიოდნენ და ფანჯრებში იყურებოდნენ. იმავე ღამეს უმცროსი ძმა ნავიყოლე და თბილ მხარეში ნავედი — ფრუნზეში. ან ძმა რით უნდა მერჩინა, ან თავი როგორ უნდა გამეტანა? ფრუნზეში ქვაბი დაედგათ, ასფალტს ადუღებდნენ. გარშემო ვიგინდარა ხალხი მოგროვილიყო. მეც მივუჯექი: „ბატონო უნიფხოებო! აიყვანეთ ჩემი ძმა მოწაფედ და ასწავლეთ — როგორ უნდა-მეთქი ცხოვრება!" აიყვანეს... აფსუს, მეც ბლატიანებს მივკედლებოდი!..

— ძმა მერე აღარ შეგხვედრიათ? — შეეკითხა კაპიტანი.

ტიურინმა დაამთქნარა.

— არა, აღარ შემხვედრია. — ერთიც დაამთქნარა და თქვა: — აბა, ნუ დამიღონდით, ბიჭებო! აქაც მოვახერხებთ ცხოვრებას. ვინც დუღაბი უნდა აკეთოს, დაიწყეთ, საყვირს ნუ ელოდებით.

აი, ესაა ბრიგადა. უფროსი სამუშაო დროსაც ვერ დაძრავს მუშაკაცს, ბრიგადირი კი შესვენებაზეც რომ გეტყვის — იმუშავეო, უნდა იმუშაო, იმიტომ რომ პურს ბრიგადირი გვაჭმევს. თანაც ტყუილ-უბრალოდ არც გაგრჯის რამეზე.

დულაბის კეთება რომ საყვირის მერე დაიწყონ, ხომ მოცდნენ კალატოზები?

შუხოვმა ამოიოხრა და წამოდგა.

— წავედი ყინულის სამტვრევად.

ყინულისთვის ნაჯახი და ცოცხი წაიღო, სამუშაოდ — ჩაქუჩი, ლარტყა, ზონარი და შვეული.

ღაჟღაჟა კილგასმა შუხოვს გამოხედა და დაიჭყანა, ვითომ — ბრიგადირზე ადრე რას მირბიხარო. მაგრამ კილგასს ხომ იმის სადარდელი არ აწუხებს, ბრიგადა რით უნდა გამოიკვებოს. თუ გინდა ორას-ორასი გრამი პური დააკელი — ამანათებით გაიტანს თავს.

მაგრამ მაინც წამოდგა. ამდენი კი ესმის — შენი გულისთვის ბრიგადა არ უნდა დააბრკოლო.

— მოიცა, ვანია, მეც წამოვალ! — ხმა დააწია.

ოღონდაც, ოღონდაც, სქელო. საშენოდაც რომ გიხდებოდეს მუშაობა, უფრო ადრეც წამოხტებოდი.

(კიდევ იმიტომაც აჩქარდა შუხოვი, რომ კილგასისათვის შვეულის აღება დაესწრო; შვეული ერთი აქვთ ბრიგადაში).

პავლო ბრიგადირს შეეკითხა:

— კედელზე სამი იმუშავებს? ერთიც ხომ არ დაგვეყენებინა? დულაბი რომ არ გაცივდეს. ბრიგადირი შეიჭმუხნა, დაფიქრდა.

— მეოთხე კაცად მე თავად დავდგები, პავლო. შენ აქ დულაბს მიხედე. ყუთი დიდია, ექვსი კაცი დააყენე და ასე ქენით: ერთ-ნახევარში რომ გამზადებული დულაბის ამოცლას დაიწყებთ, მეორე-ნახევარში ახალი აკეთეთ. ისე რომ, ერთი წუთითაც არ დაგვასვენოთ!

— ეჰ! — წამოხტა პავლო. ახალგაზრდა კაცია, სისხლი უდუღს, ბანაკებში თრევით ჯერ არ მოტეხილა. — კედლის ამოყვანაზე თუ თქვენ იმუშავებთ, დულაბს მე თვითონ მივდგები! ვნახოთ, ვინ აჯობოს! სადაა ნიჩაბი?

აი, ესაა ბრიგადა! პავლო ტყიდან უშენდა ტყვიას და რაიონებს ღამღამობით ესხმოდა თავს. აქ სამუშაოზე თითქოს ფეხი უნდა აეთრია. მაგრამ ბრიგადირისთვის კეთება სხვა ამბავია!

შუხოვი და კილგასი ზემოთ ავიდნენ. უკნიდან მოესმათ — სენკაც მოჭრაჭუნებს კიბეზე. მიმხვდარა ყრუ, რაც ხდებოდა.

მეორე სართულზე კედლის ამოყვანა დაუწყიათ და აღარ გაუგრძელებიათ: გარშემო სამ-სამი წყება, ალაგ-ალაგ ცოტაც მიუმატებიათ და ეგაა. ყველაზე ხვავიანი მაშინ გამოდის მუშაობა, როცა უფიცარნაგოდ დგახარ კედელთან, მუხლის სიმაღლეს რომ ასცდება და მკერდამდე ავა.

ისე, რაც აქ ფიცარნაგები და ჯოჯგინები იყო ადრე, სულ პატიმრებს დაუტაციათ: ან სხვაგან გაუყოლებიათ, ან დაუწვავთ, ოღონდ კი სხვა ბრიგადებს არ დარჩენოდა. ახლა, საქმეს თუ კაცურად მიხედავ, ჯოჯგინები ხვალვე უნდა იშოვო, თორემ მუშაობა შეფერხდება.

მაღლიდან შორს სწვდება თვალი: ირგვლივ ერთიანად გადათოვლილი, უკაცრიელი ზონაც ჩანს (პატიმრები სადღაც-სადღაც შეყუჟულან, თბებიან, ვიდრე საყვირი აგუგუნდებოდეს), შავ-შავი კოშკურებიცა და ეკლიანი მავთულის ღობის ნაწვეტილი ბოძებიც. მზე ისე კაშკაშებს, კაცს თვალის გახელა გაგიჭირდება.

შორიახლო ენერგომატარებელიც მოჩანს. ბოლავს და ჭვარტლავს იქაურობას. მძიმე-მძიმედ დაიწყო ქშენა. საყვირის აგუგუნებამდე მუდამ ამგვარად ახრიალდება ხოლმე: აი, აგუგუნდა კიდეც. ბევრი ვერაფერი მოასწრეს საყვირამდე.

— ეი, სტახანოველო! ეგ შვეული ცოტა მარდად იხმარე! — აჩქარებს კილგასი.

— ერთი შენს კედელს შეხედე, რამდენი ყინული ადევს! ვითომ საღამომდე მორჩები მომტვრევას? ქაფჩა მაინც არ წამოგელო ტყუილუბრალოდ, — ქირქილებს შუხოვიც.

კედლებთან ისევე აპირებდნენ ჩარიგებას, როგორც სადილობამდე დათქვეს, მაგრამ ბრიგადირმა ამოსძახა:

ეი, ბიჭებო, დულაბი ყუთებში რომ არ გაგვეყინოს, ორ-ორნი დავდგეთ. შუხოვ! შენ კლევშინი დაიყენე გვერდით, მე კილგასთან

ერთად ვიქნები. მანამდე გოპჩიკი ჩემ მაგივრად კედელს განმენდს კილგასთან ერთად.

შუხოვმა და კილგასმა ერთმანეთს გადახედეს. მართალია, ასე მეტ ხვავს დაატანენ.

წამოავლეს ნაჯახებს ხელი.

და მერე ვეღარც შორეულ სივრცეს ხედავდა შუხოვი, ვერც თოვლზე მობრჭყვიალე მზეს და ვეღარც გასათბობლებიდან ზონაში გამოფენილ ტუსაღებს, რომელთაგან ზოგი დილიდან მოუთავებელი ორმოების თხრას შესდგომოდა, ზოგი არმატურას ამაგრებდა და ზოგი კიდევ ნივნივებს მიათრევდა. ხედავდა მხოლოდ თავის კედელს — მარცხნივ საფეხურებად აყოლებულს, ქამრის სიმაღლეზე ამოყვანილს, — მარჯვენა კუთხემდე, სადაც მისი და კილგასის კედლები ერთდებოდა. სენკას უჩვენა, სად უნდა ემტვრია ყინული, და თავადაც მუყაითად მიეტანა ხან ცულის პირით და ხანაც ყუით, ისე რომ, ყინულის ნამუსრევი შორს იფანტებოდა და სახეშიაც სცემდა. ძალიან მარჯვედ იყო, ოღონდ ფიქრით სულ სხვა რამეზე ფიქრობდა. მისი ფიქრიცა და მისი მზერაც ყინულქვეშ გაწოლილ, ორი წიდა-ბლოკის სისქეზე ამოყვანილ ფასადის კედელს მისციებოდა. ადრე ამ ადგილას ვიღაც უცნობ კალატოზს უმუშავია და იმ კალატოზს ან არ სცოდნია თავისი საქმე, ან კიდევ „ნაუხალტურებია". ახლა შუხოვი ეთვისებოდა ამ ცუდად ნაგებ კედელს. აი, აქ ჩაქანებული ადგილია. ამ ჩაქანებას ერთი ხელის მოსმით ვერ გაასწორებს, ორი-სამი წყება უნდა ამოაშენოს და ყოველ წყებაზე დულაბი უფრო სქლად დაადოს. აგერ კიდევ გამობურცულა კედელი — ამის გასწორება ორი წყების ამოყვანაში შეიძლება. უჩინარი მიჯნა გაავლო შუხოვმა კედელზე — საფეხურებად წყობილი მარცხენა მხრიდან ამ მიჯნამდე თავად უნდა ემუშავა, იქით კი სენკა მიჰყვებოდა კილგასამდე. ისიც ივარაუდა — იმ კუთხეში კილგასს გული ვერ გაუძლებს, ცოტცოტას სენკას მაგივრადაც ამოაშენებს და შეღავათი მომეცემაო. ჰოდა, ვიდრე ისინი იმ კუთხეში იჩალიჩებენ, აქეთ შუხოვი კედლის ნახევარზე მეტს დაუტრიალდება და ჩვენი წყვილი აღარ ჩამორჩება. თვალით მოინიშნა — სად რამდენი წიდა-ბლოკი უნდა დაეწყო და, როგორც კი

წიდა-ბლოკის მტვირთავებმა ამოაღწიეს, მაშინვე ქამანდა მოსდო ალიოშას:

— აქეთ მოიტა! აგერ დამიყარე! აგერაც!

სენკას ჯერაც არ მოემთავრებინა ყინულის მტვრევა, შუხოვმა კი ორივე ხელი სტაცა ფოლადის მავთულის ცოცხს და გაუსვ-გამოუსვა კედელს, წიდა-ბლოკების ზედა მწკრივი გადაწმინდა.

ბრიგადირიც ამოვიდა და, ვიდრე შუხოვი ცოცხს ექაჩებოდა, კუთხეში ლარტყა ააჭედა. შუხოვა და კილგასს ლარტყები კარგა ხნის აჭედებული ჰქონდათ.

— ეჰეი! — ამოსძახის პავლო. — მანდ ცოცხალი ხართ ვინმე? დულაბი არ გჭირდებათ?

დასცეცხლა შუხოვს: ჯერ ზონარიც არ დაუჭიმია! ოფლმა დაასხა. გადაწყვიტა — ერთსა და ორ ფენაზე კი არ დავჭიმავ ზონარს, პირდაპირ სამ ფენაზე, მარაგად რომ მექნესო; თანაც, სენკას რომ გაუადვილდეს, გარეთა წყების ნაწილს მის მაგივრადაც მივყვებიო.

ზედა წარბაზე ზონარს ჭიმავდა და თან სენკას უხსნიდა და ანიშნებდა — აი, აქედან აქამდე უნდა იმუშაოო. მიუხვდა სმენადახშული, ტუჩი მოიკვნიტა, თვალები დაქაჩა და ბრიგადირის მხარეს მიანიშნა, ვითომ — დავტრიალდეთ, არ ჩამოვრჩეთო! თან ეცინება.

კიბეზე უკვე დულაბი ამოაქვთ. ოთხმა წყვილმა უნდა ზიდოს დულაბი. ბრიგადირმა გადაწყვიტა კალატოზებთან სადულაბე ყუთები არ დაედგათ — გადატან-გადმოტანაში გაიყინებაო. პირდაპირ ჯალამბარს დგამენ, იქიდან ორ-ორი კალატოზი იღებს და კედელზე ასხამს. ამასობაში მტვირთავები ტყუილუბრალოდ რომ არ გაიყინონ, წიდა-ბლოკების მომწოდებლებს ეხმარებიან. მათს ჯალამბარს რომ გაცლიან, ისევ სადულაბესკენ უნდა მოუსვან, ქვევიდან კი ახალი დულაბი მოაშველონ. დაბლა მტვირთავებმა შეყინული დულაბი ცეცხლზე უნდა გაალღონ და, რასაც მოასწრებენ, თვითონაც შეითბონ ძვლები.

ორი ჯალამბარი ერთბაშად ამოიტანეს — კილგასის კედლისთვისაც და შუხოვისთვისაც. დულაბი თბილია და არცაა თბილი, მაგრამ ყინვაში მაინც ოხშივარი ასდის. ქაფჩით კედელზე რომ დაატყეპებ, ერთი თუ შეყოვნდი, ხელადვე შეიყინება. მერე ჩაქუჩით თუ

მოამტვრევ, თორემ ქაფჩით ვერა. წიდა-ბლოკის დადებაც თუ ცოტა გვერდულად მოგივიდა, უმალ გამაგრდება და ასევე მოღრეცილი დარჩება. მაშინ იმ წიდა-ბლოკის შესაქანჯალებლად და დუღაბის მოსაცილებლად ცულის ყუა უნდა იხმარო.

მაგრამ შუხოვს არაფერი ეშლება. წიდა-ბლოკები ყველა ერთნაირი კი არაა — ზოგს კუთხე აქვს ჩამომტვრეული, ზოგს გვერდი აქვს შეჭყლეტილი და ზოგიც კორძიანია. შუხოვი ყველაფერს ამჩნევს და იმასაც გრძნობს, რომელ გვერდზე სურს წამოწოლა ამ წიდა-ბლოკს, ან კედლის რომელი ადგილი ელოდება მის დადებას.

ოხშივარადენილ დუღაბს ქაფჩას წამოუსვამს და სწორედ იმ ადგილზე ისვრის, ისვრის და იმასაც იმახსოვრებს, ქვედა ნაწიბური სად მოექცა (მერე იმ ნაწიბურზე ზედა წიდა-ბლოკის შუაწელი უნდა მოახვედროს როგორმე). დუღაბს ზუსტად იმდენს ადებს, რამდენიც ერთ წიდა-ბლოკს სჭირდება. დუღაბის დასხმისნთანავე წიდა-ბლოკების გროვიდან ერთ-ერთს ხელს წამოუსვამს (ოღონდ ფრთხილობს კიდეც, თორემ წიდა-ბლოკებმა ხელთათმანის გაგლეჯაც იცის). მერე ქაფჩით დუღაბს მოასწორებს და ზედ წიდა-ბლოკს ადებს. დაადებს თუ არა, მაშინვე უნდა გაასწოროს, ქაფჩა შემოჰკრას, რათა გარეკედელი სწორად მიდიოდეს, ზუსტად ზონარს მიჰყვებოდეს და წიდა-ბლოკი არსად გამოიზნიქოს. ამას რომ მორჩება, წიდა-ბლოკი უკვე მაგრადაა მიყინული.

ახლა წიდა-ბლოკის კიდიდან დუღაბი რო გამოიჭყლიტება, საჩქაროდ ქაფჩით უნდა ჩამოამტვრიო, კედელს უნდა მოაშორო (ზაფხულობით ეს ნარჩენი დუღაბი მომდევნო აგურს ხმარდება, მაგრამ ახლა ნურას უკაცრავად!) და ისევ ქვედა ნაწიბურებს დაუკვირდე — ზოგჯერ იქ მთელი წიდა-ბლოკი კი არ დევს. სულერთიანად დაფშვნილია, — მერე ისევ დუღაბი უნდა დაასხან მარცხენა გვერდს უფრო ბლომად მიატანო, წიდა-ბლოკიც უბრალოდ კი არ უნდა დაადო, — მარჯვნიდან მარცხნივ უნდა მიუმარჯვო და ზედმეტი დუღაბი გამოჭყლიტო. თვალით მოზომე ზონარის სისწორეზე, თვალით მოზომე წიდა-ბლოკის სიბრტყეზე დადება. მიეყინა უკვე. მიდი! შემდეგი!

გახურდა მუშაობა. ორ ფენას რომ დავაწყობთ და ძველ ნაცოდვილარსაც გავასწორებთ, მერე უფრო გაიოლდება საქმე. მანამ კი ფხიზლად უნდა ვიყოთ.

მიეძალა და მიეძალა გარეთა ფენას სენკას შესახვედრად. იქით კუთხეში კიდევ სენკა ბრიგადირს გამოშორდა, შუხოვისკენ გამოუყვა.

მტვირთავებს ანიშნა შუხოვმა — დულაბი, დულაბი მომაშველეთ, არ დამაბრკოლოთო! ისეთი მუშაობა გახურდა, კაცს ოფლის მონმენდის დროც აღარ დაგრჩება.

სენკა მოუახლოვდა, დულაბს უკვე ერთი ყუთიდან იღებენ და ფხეკენ.

— დულაბი! — ღრიალებს შუხოვი.

— მოვიდა! — ამოსძახის პავლო.

ყუთი მოიტანეს. ისიც დაცალეს, რაც კი თხელი იყო, იხმარეს. აბა რაც კედლებს მიჰყინვია, ის თქვენ თვითონ ჩამოფხიკეთ! ქერქი თუ მოედო, ისევ თქვენვე მოგიხდებათ ზევით-ქვევით თრაქვა. მიდი! შემდეგი!

შუხოვი და სხვა კალატოზები ყინვას ვეღარც გრძნობდნენ. სნრაფად, გულდადებულად მუშაობისგან ჯერ პირველმა სიმხურვალემ დაუარა, იმ სიმხურვალემ, რომელიც ბუშლატის, სათბურის, ზედა და ქვედა პერანგის ქვეშ შეგაოფლიანებს. მაგრამ წუთითაც არ შეჩერებულან, სულის მოუთქმელად ამოჰყავდათ კედელი. და ერთ საათში უკვე მეორე სიმხურვალეც იგრძნეს, რომლისგანაც ოფლმა შეშრობა იცის. უმთავრესი ის იყო, ფეხები არ ეყინებოდათ, სხვა რამე კი, თუნდაც სუსხიანი ნიავი, მუშაობაში ხელს არ უშლიდა. მხოლოდ კლევშინი იყო, ფეხს ფეხზე რომ ურტყამდა: იმ უბედურს ორმოცდაექვსი ნომერი აქვს ფეხი და მისთვის ცალ-ცალი, ვიწრო თექურები შეურჩევიათ.

დროდადრო ბრიგადირი დაიძახებს: „დულაბი-ი!“ და შუხოვიც უმალ აყვირდება: „დულაბი-ი!“ ვინც მარჯვედ მუშაობს, მეზობლებისთვის ისიც თითქოს ბრიგადირი ხდება. შუხოვი იმ წყვილს არ უნდა ჩამორჩეს. მისი ღვიძლი ძმა რომ იყოს დულაბის მომტანი, ახლა იმასაც დაუზოგავად არბენინებდა.

ნასადილევს ბუინოვსკის ფეტიუკოვთან ერთად დაჰქონდა დუღაბი. კიბე ციცაბოცაა და ძნელი სავალიც. პირველ ხანს მაინცდამაინც მარჯვედ ვერ იყო. შუხოვი შეაგულიანებდა ხოლმე:

— დაუჩქარე, კაპიტანო! კაპიტანო, წიდა-ბლოკები!

ოლონდ ეს იყო: ყოველ გზობაზე კაპიტანს სიმკვირცხლე ემატებოდა, ხოლო ფეტიუკოვს უფროდაუფრო წყდებოდა ნელი. მოდის ის ძაღლისშვილი, ჯალამბარს გადახრის და დუღაბს ღვრის, უფრო მსუბუქი საზიდავი რომ იყოს.

ადგა შუხოვი ერთი მოჩანთა ზურგში:

— უ, შე დამპალო! დირექტორი რომ იყავი, მაშინ ხომ მაგრად თხოვდი მუშებს?

— ბრიგადირო! — აყვირდა კაპიტანი. — კაცთან დამაყენე! ამ ტ... წიანთან აღარ ვივლი!

შეუნაცვლა ბრიგადირმა: ფეტიუკოვმა წიდა-ბლოკები უნდა ისროლოს ქვემოდან. თანაც ისე დააყენა, ცალკე შეიძლებოდა დათვლა — რამდენ წიდა-ბლოკს ამოისვრის. კაპტანს ალიოშკა მიუჩინა. ალიოშკა თვინიერი პიჭია, ვისაც უნდა, ის გაეუფროსება.

— ავრალია, დოყლაპია! — მისციებია კაპიტანი. — ხომ ხედავ, როგორ მიდის კედელი!

ალიოშკა მოკრძალებით იღიმება:

— თუ ასაჩქარებელია, ავჩქარდეთ. როგორც თქვენ იტყვით...

და დაუყვნენ ქვემოთ.

თვინიერი კაცი ოქროა ბრიგადაში.

ბრიგადირი ვიღაცას ჩასძახის. ერთი წიდა-ბლოკებიანი მანქანა კიდევ მოსულა. ჯერ იყო და ნახევარ წელიწადს არც ერთი არ გამოჩენილა, ახლაა და მოაწყდნენ აქეთ. მანამდე თუ იმუშავება, ვიდრე წიდა-ბლოკებს ეზიდებიან. პირველი დღეა. მერე ხშირად მოუნევთ მოცდენა, ხვავს ვერ დაატანენ.

რაღაცას კიდევ ილანძღება ბრიგადირი, ამწეს თაობაზე უყვირის. ძალიან უნდა შუხოვს გაიგოს — რა ხდება, მაგრამ არ სცალია: კედელი აქვს გასასწორებელი. ბიჭები ამოვიდნენ და იმათ უამბეს: ამწყობი მოსულა ამწეს მოტორის შესაკეთებლად და სამუშაოთა მწარ-

მოებელიც მოჰყოლია. ამწყობი ჩალიჩობს რაღაცას და სამუშაოთა მწარმოებელი თვალს ადევნებსო.

ასეა დაწესებული: ერთი მუშაობს, მეორე თვალს ადევნებს.

ამწე რომ შეეკეთებინათ, წიდა-ბლოკებსაც იმით ამოზიდავდნენ და დუღაბსაც.

ის იყო შუხოვი მესამე წყებას გამოუყვა (კილგასმაც მესამე დაინყო), რომ კიბეზე გამოჩნდა კიდევ ერთი მზირი, კიდევ ერთი უფროსი — მშენებელთა ათისთავი დერი. მოსკოველი ბრძანდებოდა. ამბობენ, სამინისტროში მუშაობდაო.

კილგასთან ახლოს იდგა შუხოვი, დერზე მიანიშნა:

— ა-ა! — განიშორა კილგასმა. — უფროსებთან მე საერთოდ არაფერი მესაქმება. კიბიდან თუ გადავარდა, მაშინ დამიძახე.

ახლა კალატოზებს უკან დაუდგება და თვალის დევნებას დაუწყებს. ყველაზე მეტად სწორედ ეს მოთვალთვალენი სძულს შუხოვს. ამ ღორს ინჟინრად უნდა გაძრომა. ერთხელ უჩვენა შუხოვს — აგურები ასე უნდა დააწყოო, და შუხოვი მაშინ სიცილით მოკვდა. აი, ასე, ჩვენებურად ერთი სახლი ააშენე შენი ხელით, მაშინ გახდები ინჟინერი.

ტემგენიოვოში ქვის სახლები არ ჰქონიათ. ხის ქოხები ედგათ. სკოლის შენობაც ძელური იყო. ნაკრძალიდან ექვსი საჟენი ხე-ტყე მოზიდეს და იმით ააშენეს. მაგრამ ბანაკში კალატოზი შეიქნა საჭირო და შუხოვმაც კალატოზობა დაიწყო. ვისაც ორი-სამი ხელობა ეხერხება, ის ათსაც მოერევა.

არა, არ გადაყირავებულა დერი კიბიდან, მხოლოდ ერთხელ წაიფორხილა. ლამის სირბილით ამოიჭრა მაღლა.

— ტიუ-რინ! — ყვირის თვალებგადმოქაჩული. — ტიუ-რინ!

მის უკან კიბეზე პავლო ამორბის ნიჩბით ხელში.

დერსაც ჩვეულებრივი ბუშლატი აცვია, ოღონდ ახალთახალი, სუფთა ბუშლატი. მშვენიერი ტყავის ქუდი ხურავს. ზედ სხვებსავით ნომერი აკერია: ბ-731.

— ჰო! — ქაფჩით ხელში გაეგება ტიურინი. ქუდი გვერდზე მოქცევია ბრიგადირს, ცალ თვალზე ჩამოფხატვია.

რაღაც უჩვეულო ხდება. ამბის გაუგებლობაც არ იქნება, მაგრამ დუღაბსაც რომ ვერ გააცივებს! კედელი აჰყავს შუხოვს, აჰყავს და ყური იქით უჭირავს.

— შენ რაებს სჩადიხარ! — იდორბლება დერი. — ამაზე კარცერს არ გაკმარებენ, იცოდე, სისხლის სამართლის საქმეა. ტიურინ! მესამე გადასახლებას მოგისჯიან!

ახლაღა დასცეცხლა შუხოვს. კილგასს გადახედა. ისიც მიმხვდარა, რაც ამბავი ტრიალებს. ტოლი! ტოლი დაინახა ფანჯრებზე!

თავის თავს არ ნაღვლობს შუხოვი, ბრიგადირი არ გაყიდის. ბრიგადირის ბედი აწუხებს. ჩვენთვის მამაა ბრიგადირი, იმათ კი არაფრად ულირთ მისი გაფუჭება. ჩრდილოეთში ამგვარი რამისთვის მეორე გადასახლებას იოლად მიუსჯიდნენ ხოლმე.

ჰო, როგორ მოექცა ბრიგადირს სახე! ქაფჩა რომ ძირს დაახეთქა და დერისკენ ნაბიჯი რომ გადადგა! დერმა მიმოიხედა — პავლო ნიჩაბს იმარჯვებს ხელში.

ჰოო, ნიჩაბი ტყუილად არ გამოუყოლებია...

სენკაც ყურნაკლულია, მაგრამ ისიც მიხვდა: დოინჯშემოყრილი წაადგა თავზე. მერე რა ჯანიანია ეს შეჩვენებული!

დერს თვალები აცაბაცა წაუვიდა, გუნება წაუხდა, გასაძრომს დაუწყო ძებნა.

ბრიგადირი დერისკენ გადაიხარა და ჩუმი ხმით ეუბნება:

— ის დრო წავიდა, თქვენ რომ სასჯელს მადებდით, წურბელებო! ერთი სიტყვა დაგცდენია და გაგაქრობ, იცოდე!

სულ კანკალებს ბრიგადირი, ცახცახებს და ვერ დაწყნარებულა.

პავლომაც ლამის შეჭამოს თვალებით დერი, ლამის შეჭამოს.

— რას ამბობთ, ბიჭებო, როგორ გეკადრებათ, — ფერდაკარგული დერი კიბეს გამოშორდა.

ბრიგადირს მეტი აღარაფერი უთქვამს, ქუდი შეისწორა, ქაფჩას დასწვდა და თავის კედელს მიუბრუნდა.

ნიჩბიანი პავლოც კიბეზე დაეშვა.

ნეელა დაეშვა...

- დერს დარჩენისაც ეშინია და ძირს ჩასვლისაც. კილგასის ზურგს ამოეფარა და გაჩერდა.

კილგასი კიდევ ისე მუშაობს, გეგონება აფთიაქში წამალს ნონისო: ექიმი კაცია და არსად ეჩქარება. დერისკენ ზურგშექცეული დგას, თითქოს სულაც არ დაენახოს.

ბრიგადირისკენ მიილურსება დერი. ნეტავ სად გამქრალა მისი მედიდურობა?

— სამუშაოთა მწარმოებელს რაღა ვუთხრა, ტიურინ?

— რა უთხრათ და — ასე იყო-თქო. მოვედით და ასე დაგვხვდა-თქო.

ცოტა ხანს კიდევ იდგა დერი. შეატყო — აღარ მომკლავენო, ჩუმად გაიარ-გამოიარა ჯიბეებში ხელებჩაწყობილმა.

— ე, შჩ-რვაას ორმოცდათოთხმეტო, — წაიდუდღუნა. — დუღაბი თხლად რატომ დაადე?

ვიღაცაზე ხომ უნდა ამოიყაროს ჯავრი! შუხოვს ვერც კედლის სისწორეს დაუწუნებს და ვერც ნაწიბურებს, აიღო და დუღაბის გამო მოდგა.

— ბოდიში, მაგრამ ახლა რომ სქლად დავადო, გაზაფხულზე ეს შენობა ღვარად დადინდება, — წაიჩლიფინა შუხოვმა, ოლონდ დაცინვაც ერია მის ნათქვამში.

— შენ კალატოზი ხარ და გაიგონე, რასაც ათისთავი გეუბნება! — შეიჭმუხნა დერი და ლოყები დაბერა. ასეთი ჩვეულება ჰქონდა.

— კი, ბატონო, სადღაც-სადღაც იქნება მართლა თხლადაა დადებული, უფრო სქლადაც შეიძლებოდა, მაგრამ ეს მაშინ, ზამთარი რომ არ იყოს და კაცურ პირობებში უხდებოდეთ მუშაობა. ხალხიც ხომ უნდა შეიცოდო. გამომუშავებაა საჭირო. მაგრამ რა უნდა ელაპარაკო, როცა კაცს არ ესმის!

დერი უჩუმრად დაუყვა კიბეს.

— თქვენ ამნის საქმე მომიგვარეთ! — მიადევნა ბრიგადირმა. — ვირები ვართ თუ რა — მეორე სართულზე ვთრაქავთ ნიდა-ბლოკებს!

— მერე ხომ გინაღდებენ მანდ აზიდვას, — თვინიერად პასუხობს კიბიდან დერი.

— ურიკებით? აბა, ამოაგორეთ ურიკა მაგ კიბეზე! ჯალამბრებით გამინაღდეთ!

— მე რა, მენანება? ბუღალტერია არ იზამს ჯალამბრებით.

— ბულალტერია! მთელი ბრიგადა იმაზე მიყენია, რომ ოთხ კალატოზს ემსახურონ. რამდენი უნდა გამოვიმუშავო?

ყვირის ბრიგადირი და თან შეუსვენებლად მუშაობს.

— დულაბი-ი! — ჩასძახის ქვემოთ.

— დულაბი-ი! — იმეორებს შუხოვიც. მესამე ნყებაზე ყველაფერი გაასწორეს. მეოთხეზე გარეკვაც შეიძლება. ზონარი ერთი ნყებით მაღლა უნდა აეწია, მაგრამ ასეც არაფერი უშავს, ერთ ნყებას უზონროდაც მივყვებით.

დაადგა დერი თოვლიან ველს. კანტორაში მიდის გასათბობად. ალბათ ვერაა გუნებაზე. მაგრამ ცოტა უნდა ეფიქრა კიდეც, როცა ტიურინისთანა მგელს დაეტაკა. ასეთ ბრიგადირებს თუ არ ნაეკიდა, თავის შესაწუხებელი არაფერი ექნება: მუშაობით ნელის მონყვეტას არავინ სთხოვს, ულუფა კარგი ეძლევა, ცალკე ოთახში ცხოვრობს — მეტი რაღა უნდა? არა, მაინცდამაინც სიბრძნე უნდა გადმოღვაროს.

ქვემოდან ამოვიდნენ და თქვეს: სამუშაოთა მწარმოებელიც ნავიდა და ამწყობიც — ამწეს არაფერი ეშველებაო.

მიდექი და თრიქე!

რამდენი წარმოება უნახავს შუხოვს. ის ტექნიკა ან თვითონ იმტვრევა, ან კიდევ პატიმრები ამტვრევენ. ხის სათრეველსაც ასე ამტვრევდნენ: ვითომ — დავისვენოთო. მაგრამ ძელი ძელზე მაინც უნდა მიგეწყო. ვინ ამოგასუნთქებდა!

— ნიდა-ბლოკები! ნიდა-ბლოკები! — ყვირის გახურებული ბრიგადირი. ყვირის და დედას უტრიალებს — ამომგდებია თუ ამომტანი.

— პავლო კითხულობს — დულაბს რა ვუყოთო? — იძახიან ქვემოდან.

— გააზავეთ, რა უნდა უყოთ!

— გაზავებულსო? ნახევარი ყუთია...

— მაშინ ერთიც დაუმატეთ!

დულს აქაურობა. მეხუთე ნყება მიაყოლეს. ჯერ იყო და პირველ ნყებას ნელში გადრეკილები ადგნენ თავზე, ახლა მკერდამდე ამოიმართა კედელი. ისე, რატომ არ უნდა გარეკონ — არც სარკმლებია საჭირო და არც კარები, ორი ყრუ კედელია შესაკრავი და ნიდა-

ბლოკებიც სამყოფად აქვთ. ზონარი მაღლა უნდა აეწიათ, მაგრამ ამის დრო აღარაა.

— ოთხმოცდამეორე ხელსაწყოების ჩასაბარებლად წავიდა, — მოახსენებს გოპჩიკი.

ბრიგადირმა მხოლოდ თვალები გადაუბრიალა.

— შენ შენს საქმეს მიხედე, ლანირაკო, აგურებს ნუ აგვიანებ!

მოიხედა შუხოვმა. მზე მართლა ჩასავალსაა. წითლად ჩადის, ლეგა ნისლში იმალება. ისე, მაგრად კი იმუშავეს. ახლა, რაკი მეხუთე წყებას მიჰყვნენ, ბარემ უნდა დაამთავრონ კიდეც, აჟურში მოიყვანონ.

მტვირთავები აქელებულ ცხენებს ჰგვანან უკვე. კაპიტანს ნაცრისფერიც კი დაედო. გინდა ასე თქვი და გინდა ისე, კაცი ორმოცსაა მიტანებული.

სიცივემ მოუჭირა. ხელები მოძრაობს, მაგრამ ცუდი ხელთათმანების გამო თითებში მაინც წაუდგა. მარცხენა თექურასაც მიეძალა ყინვა. აბაკუნებს და აბაკუნებს შუხოვი იმ ფეხს.

ახლა კედელზე დახრა აღარ სჭირდება, სამაგიეროდ წიდა-ბლოკების მაღლა აწევამ და დულაბმა გაწყვიტა წელში.

— ბიჭებო! ბიჭებო! — შუხოვი გაიძახის, — იქნება კედელზე დამიწყოთ წიდა-ბლოკები, კედელზე!

კაპიტანს ბარემ უნდა, მაგრამ ძალა არ ჰყოფნის, შეუჩვეველია. ალიოშკა კი:

— კარგი, ივან დენისიჩ, მიჩვენეთ, სად დავაწყო.

რაც უნდა თხოვო ალიოშკას, უარს არაფერზე გეტყვის. ამქვეყნად ყველანი მისნაირები რომ იყვნენ, შუხოვიც ისეთი გახდებოდა. თუკი გთხოვთ კაცი, რატომ არ უნდა შეეწიო? ამაში სწორი არიან ეგენი.

უკვე მთელ ზონაში გარკვევით ისმის: ზარს რეკენ. შაბაშ! ეჰ, ზედმეტი მოუვიდათ!..

— მოიტა დულაბი, მოიტა! — ყვირის ბრიგადირი.

იქ ახალი ყუთი ეს-ესაა აუვსიათ. მეტი გზა აღარაა, უნდა განაგრძონ საქმე: თუ არ დაცალეს, ხვალ ის ყუთი აღარაფრად გამოდგება. დულაბი ჩაიკირება და წერაქვითაც ვერ ამოამტვრევ.

— აბა, არ დავარდეთ, ბიჭებო! — გაჰყვირის შუხოვი.

კილგასს გული მოუვიდა. არ უყვარს ავრალები. მაგრამ ისიც მირეკავს, მეტი რა ჯანი აქვს.

ქვემოდან პავლომაც ამოირბინა ქაფჩით ხელში. ისიც კედელს მიადგა. ხუთნი მუშაობენ.

ახლა ხარვეზების ამოვსებას თუ მოასწრებენ. თვალით მოსინჯავს შუხოვი, რომელი აგური უფრო გამოადგება, და ალიოშას ჩაქუჩს აჩეჩებს:

— აჰა, დამიმტვრიე, დამიმტვრიე ჩქარა!

ნაუცბათევი კარგი ვერ გამოვა. ახლა, როცა ყველანი ფაცურობენ, შუხოვი აღარ ჩქარობს, კედელს თვალს ავლებს. სენკა მარცხნივ გადმოაგდო, თავად მარჯვენა მხარეს, მთავარ კუთხეს მიაშურა. თუ ახლა რამე ხარვეზი დარჩათ, წასულია საქმე. ხვალ შუადღემდე მაინც მოუნდებიან იმის შეთავებას.

— დაიცა! — პავლო აგურს მოაშორა, თავად მიადგა და აკეთებს. იმ კუთხიდან კი თვალი ჰკიდა, რომ სენკას თითქოს გაზნექილი გამოუდის კედელი. ახლა იქით გავარდა, ორი აგური მიაშველა.

კაპიტანმა კარგი ერთგული ცხენივით ამოათრია ჯალამბარი.

— კიდევ! — გასძახა შუხოვმა. — ორი კიდევ მჭირდება!..

მთლად მისავათდა ბუინოვსკი, მაინც ირჯება. შუხოვსაც ჰყავდა ერთი ასეთი ცხენი. მის ხელში მოვლა არ დაჰკლებია, მაგრამ სხვებს რომ ჩაუვარდა, სიქა გააცალეს. მერე გასატყავებელი შეიქნა.

მზის ზედა ნიბოც მინას მიეფარა. ახლა უგოპჩიკოდაც ცხადი შეიქნა: არამცთუ ხელსაწყოები ჩააბარა ყველა ბრიგადამ, საგუშაგოსაც გუნდ-გუნდად მიესივნენ უკვე (ზარის დარეკვისთანავე არავინ გამოდის, ვინაა სულელი ყინვაში იძაგძაგოს! ყველანი სხედან და თბებიან. მაგრამ დგება ისეთი წუთი, როცა ბრიგადირები მოილაპარაკებენ და ყველა ბრიგადა ერთად გამოცვივდება; ბრიგადირები თუ არ შეითქვნენ, ეს პატიმრები ისეთი უჯიათი ხალხია, ერთმანეთის შემყურენი შუაღამემდე ფეხს არ მოიცვლიან).

ბოლოს ბრიგადირიც გონს მოეგო, მიხვდა, რომ ნამეტანი მოუვიდათ დაგვიანება. საწყობში ალბათ სულ დედას უტრიალებენ.

— ეჰ, ჯანდაბას! — ყვირის. — მტვირთავებო, დაბლა ჩადით, დიდი ყუთი გადმოცალეთ და, რაც იქნეს, აგე, იმ ორმოში გადაუძა-

ხეთ და თოვლი წააყარეთ, რომ აღარ ჩანდეს. შენ, პავლო, ორი კაცი ნაიყოლე, ხელსაწყოები მოკრიფეთ და ჩააბარეთ. ამ სამ ქაფჩას გოპჩიკის ხელით მოგაწევ, აი, ამ ორ უკანასკნელ ჯალამბარს დავცლით და...

მისცვივდნენ სამუშაოს. შუხოვს ჩაქუჩიც ჩამოართვეს და ზონარიც ჩამოუხსნეს. მტვირთავი იყო თუ წიდა-ბლოკის ამომგდები, ყველანი დაბლა დაეშვენ, აქ აღარაფერი ესაქმებათ. ზემოთ სამი კალატოზი დარჩა — კილგასი, კლევშინი და შუხოვი. ბრიგადირი მიდიმოდის და ანგარიშობს, რამდენი უმუშავიათ. კმაყოფილია.

— გვარიანად ამოვიყვანეთ, ა? ნაშუადღევს მერე, უამწეოდ და უჩემფეხებოდ.

ხედავს შუხოვი — კილგასს ცოტაღა დარჩენია დუღაბი. ბრიგადირის ამბავი აწუხებს — ქაფჩების გულისთვის არ გამოლანძღონო.

გესმით, ბიჭებო? ქაფჩები გოპჩიკს მიანიეთ, ჩემი ჩათვლილი არაა, არ უნდა ჩაბარება.

გაეცინა ბრიგადირს:

— არა ხან შენ ციხიდან გასაშვები, უშენოდ რაღა ეშველება ციხეს?

შუხოვსაც ეცინება. ისევ ტრიალებს.

კილგასმა ქაფჩები წაიღო. სენკა წიდა-ბლოკებს აწვდის შუხოვს. კილგასისეული დუღაბი აქეთა ვარცლში გადმოცალეს.

გოპჩიკმა პავლოს დასანევად გაქუსლა. მთელი 104-ე გზას გაუყვა უბრიგადიროდ. დიდი ძალაა ბრიგადირი, მაგრამ ბადრაგა მისი მომრევიცაა. დაგვიანებულებს ჩაინერენ და კარცერში უკრავენ თავს.

საგუშაგოსთან ჩამოღამდა. ყველანი იქ შეკრებილან. მგონი, ბადრაგაც გამოფენილა და ითვლიან უკვე.

(გასვლისას ორ-ორჯერ ითვლიან ხოლმე: ჯერ ჭიშკრის გაღებამდე, რათა დარწმუნდნენ — გაღება შეიძლებაო. მერე — ღია ჭიშკარში გავლისას. თუ მოეჩვენათ... რაღაც შეგვეშალაო, ჭიშკარს გადაღმაც ითვლიან).

— ჯანდაბას მაგ დუღაბი! — გადაუძახე კედლიდან და ეგაა!

— წადი, წადი, ბრიგადირო! იქ უფრო საჭირო ხარ ახლა! — (ისე ბრიგადირს ანდრეი პროკოფიევიჩს უწოდებს შუხოვი, მაგრამ ახლა

თავისი მუშაობით გაუტოლდა. არა, იმას კი არ ფიქრობს, — აი, ბრიგადირს გავუტოლდიო, — ალღოთი უფრო გრძნობს, რომ ასეა) და კიბეზე განიერი ნაბიჯით ჩამავალ ბრიგადირს ხუმრობით მიადევნა: — რა ოხრობაა ასეთი მოკლე სამუშაო დღე? გუნებიერად დაიწყებ თუ არა მუშაობას, მაშინვე თავდება!

ისა და ყურნაკლული დარჩნენ. ბევრს ვერაფერს დაელაპარაკები, მაგრამ არც არის საჭირო ლაპარაკი: ისედაც ყველაზე ჭკვიანია, უთქმელად ესმის ყველაფერი.

დასცხო დულაბი! დასცხო წიდა-ბლოკი. შეათვალიერა. დულაბი. წიდა-ბლოკი. დულაბი. წიდა-ბლოკი...

ხომ ბრიგადირმაც თქვა — ჯანდაბას დულაბიო, კედლიდან გადაუძახე და გავიქცეთო. მაგრამ შუხოვი ამგვარი ხასიათის კაცია და ბანაკში ყოფნის რვა წლის მანძილზე ვერაფრით ვერ გადააჩვიეს: უქმად დაკარგული ყველაფერი ენანება — დროცა და შრომაც.

დულაბი! წიდა-ბლოკი! დულაბი! წიდა-ბლოკი!

— მორჩა, მაგის დედაც! — გაიძახის სენკა. — წავედით!

ჯალამბარს ხელი წამოუსვა და კიბეზე დაეშვა...

შუხოვი კი, ახლა ბადრაგამ ძაღლებიც რომ მოუსიოს, თავისას მაინც ვერ მოიშლის: უკან დაიხია, კედელი იქიდან შეათვალიერა; თითქოს არა უშავს. მერე მიირბინა, გადაღმა მხარეს გახედ-გამოხედა. ეჰ, ვატერპასი აქვს, თვალი კი არა! სწორადაა ამოყვანილი. ჯერ ისევ შემძლე აქვს მარჯვენა.

დაქანდა კიბეზე.

სენკა სადულაბედან გავარდნილა და ბორცვისკენ გარბის.

— ჰო, რაღას უყურებ! მოუბრუნდა შუხოვოს.

— გავარდი! მეც მოვდივარ! — ხელს უქნევს შუხოვი.

სადულაბეში შევარდა. ქაფჩის ასე უხეიროდ მიტოვება არ შეიძლება. იქნებ შუხოვი ხვალ სულაც არ გამოვიდეს სამუშაოდ, იქნებ ბრიგადას სოცქალაქში უკრან თავი, იქნებ ბარე ნახევარ წელიწადს ვეღარ მოხვდეს აქეთ, — მერედა ქაფჩა უნდა დაიკარგოს?

სადულაბეში ღუმელები ჩამქრალა. ბნელა. ეშინია შუხოვს. იმის კი არ ეშინია, სიბნელე რომაა, ყველანი რომ წავიდნენ, იმის დარდი

აქვს, — საგუშაგოსთან მარტო შუხოვი დააკლდება და ბადრაგა განგაშს ასტეხს.

მაინც მიიხედ-მოიხედა, კუთხეში მოზრდილი ქვა დაინახა, გადაბრუნა, ქაფჩა შემალა და ისევ ქვა წააფარა. აგრე!

ახლა სენკას უნდა დაეწიოს! სენკა ასიოდე ნაბიჯზე გაჩერებულა და ფეხს აღარ იცვლის. გასაჭირში მარტო არასოდეს დაგტოვებს კლევშინი. თუ ჩავარდნაა, ორივენი ჩავარდებით.

ერთად გაიქცევენ დაბალი და ახმახი. ერთნახევარი თავით მაღალია სენკა შუხოვზე და გვარიანი როკი თავი აქვს.

ხომ არიან ასეთი უქნარები, სტადიონზე რომ თავისი ნებით დარბიან და დაჭენაობენ! ერთი აქ უნდა გააქციო ისინი — მთელი დღის ნამუშევარი, წელში ჯერაც გაუმართავი, სველი ხელთათმანები უნდა ჩააცვა და მოქცეული თექურები! უნდა ჩააცვა და მიუშვა ამ ყინვაში!

გახელებული ძაღლებივით გაიხვითქნენ და ოფლად გაიღვარნენ. მხოლოდ ქოშინი ისმის მათი.

ეს კია, რომ ბრიგადირი საგუშაგოსთანაა და აუხსნიდა, რაც მოხდა ალბათ.

პირდაპირ შექუჩული ხალხისკენ გარბიან. გული უსკდებათ.

უამრავი ხორხი ერთად აყაყანდა. აგინებენ, აღარაფერი შეურჩინეს. მოდი და ნუ გაგისკდება გული, ხუთასი კაცი ერთად რომ აგიღრიალდება!

მაგრამ მთავარი მაინც ისაა, ბადრაგა რას იტყვის?

არა, ბადრაგა ხმას არ იღებს. ბრიგადირიც აქვეა, უკანასკნელ რიგში დგას. ეტყობა, აუხსნია, თავის თავზე დაუბრალებია.

პატიმრები კი ღრიალებენ, იგინებიან. ისე ღრიალებენ, სენკამაც ბევრი რამე გაიგონა. სული მოიბრუნა და იმ სიმაღლიდან ერთი ისეთი დასჭექა! მისი დღე და მოსწრება ჩუმადაა, ხმას არ იღებს და ახლა აბდღვინდა! მუშტები შემართა, ახლა ეცემა ვიღაცას. მიყუჩდნენ პატიმრები. ვიღაც-ვიღაცებს კიდეც ეცინებათ:

— ეი, ასმეოთხელებო! გაიძახიან. — არ ყოფილა ყრუ ეგ თქვენი აყლაყუდა, ჩვენ შესამოწმებლად ავყვირდით.

ყველანი იცინიან. ბადრაგასაც ეცინება.

— ხუთ-ხუთი მოეწყეთ!

ოღონდ ჭიშკარს არ აღებენ. თავის თავს ვერ ენდობიან. პატიმრების გროვას უკან დაახევინეს (ყველანი შტერებივით ჭიშკარს იყვნენ მიმწყდარნი, თითქოს ამით დაჩქარდებოდა საქმე).

— ხუთ-ხუთი მოეწყე-ეთ! პირველი! მეორე! მესამე!..

რომელ ხუთეულსაც დაასახელებენ, რამდენიმე მეტრზე წინ გააბიჯებს ის ხუთეული.

სული მოითქვა შუხოვმა და მიმოიხედა; ღმერთო, მთვარე ამონითლებულიყო უკვე. ცოტათი ნაკლულიც შექნილა. გუშინ ამ დროს ბევრად მაღლა იდგა.

შუხოვს უხარია, ყველაფერი რომ კარგად დამთავრდა, კაპიტანს მუჯლუგუნს ჰკრავს და ეუბნება:

— გესმის, კაპიტანო, რაო, რას ამბობს თქვენი მეცნიერება, სად მიდის დალეული მთვარე?

— სად მიდისო? რა უმეცრებაა! არსად არ მიდის, უბრალოდ არ ჩანს.

შუხოვი თავს აქნევს, იცინის:

— თუკი არ ჩანს, რა იცი, არის მართლა თუ არა?

— აბა, შენი ჭკუით, ყოველთვე ახალი მთვარე ჩნდება? — უკვირს კაპიტანს.

— მერე რაა საკვირველი? გაიხედავ და დღე არ გავა, ხალხი არ დაიბადოს, და მთვარე რომ ოთხ კვირაში ერთხელ იბადებოდეს, არ შეიძლება?

— ფუი! — გადააფურთხა კაპიტანმა. — ასეთი შტერი მატროსი ჯერ არ შემხვედრია. აბა, სად მიდის ძველი?

— ჰოდა, ხომ გეკითხები — სად მიდის-მეთქი? — კბილები გამოაჩინა შუხოვმა.

— ჰო, სად მიდის?

შუხოვმა ამოიხვნეშა და გაანდო:

— ჩვენში ასე ამბობდნენ: ძველ მთვარეს ღმერთი ვარსკვლავებად ფშვნისო.

— ქაჯები! — ეცინება კაპიტანს. — ასეთი რამე არ გამიგონია. შენ რა, შუხოვ, მორწმუნე ხარ?

— აბა, არა? — გაიოცა შუხოვმა. — რომ დაიჭექებს — ნუ ირწმუნებ, თუ გინდა!

— მერე რატომ იქცევა ღმერთი აგრე?

— როგორ?

— მთვარეს რომ ვარსკვლავებად ფშვნის, რატომ ფშვნის?

— რა ძნელი გამოსაცნობი ეგ არის! — მხრები აიჩეჩა შუხოვმა. — დროდადრო ხომ ცვივა ვარსკვლავები, შევსება ხომ უნდა?

— შებრუნდით, თქვენი დედა... — ბადრაგა ღრიალებს. — მოეწყეთ!

მათი რიგიც მოსულა. მეხუთე ასეულის მეთორმეტე ხუთეულმა ჩაიარა და ბოლოში ორნი დარჩენილან — ბუინოვსკი და შუხოვი.

ბადრაგა შეჩქვიფებულია, აღსარიცხავ დაფებს უტრიალებენ. აკლიათ! თვლა მაინც იცოდნენ ოჯახქორებმა!

ოთხას სამოცდაორი გადათვალეს. არა, ოთხას სამოცდასამი უნდა იყოსო!

ხელახლა უკან დაახევინეს (ისევ მისწყდომოდნენ ჭიშკარს!) — და:

— ხუთ-ხუთი მოეწყე-ეთ! პირველი! მეორე!

ეს გადათვლა-გადმოთვლა იმიტომაა უბედურება, რომ უკვე საკუთარ დროს აკარგვინებს პატიმრებს. მერეა და სანამ ტრამალს გაივლი და ჩხრეკის წინ რიგს დაელოდები! ყველა ობიექტი გაქუსლავს ხოლმე, ერთიმეორის გადასწრებაშია, რომ ჩხრეკა სხვებზე ადრე გაიაროს და, მაშასადამე, ბანაკშიც სხვებზე ადრე შერგოს თავი. რომელი ობიექტიც პირველი მივა ბანაკში, იმ დღეს ისაა ბატონ-პატრონი: სასადილოც მის მოლოდინშია, ამანათებზეც პირველია, ნივთების მისაბარებელ საკანშიც, ინდივიდუალურ სამზარეულოშიც, კულტ-სააღმზრდელო ნაწილშიც, სანიტნაწილშიც, საპარიკმახეროშიც და აბანოშიც — ყველგან პირველია.

ზოგჯერ ბადრაგას ჩვენზე მეტადაც ეჩქარება ხალხი ჩააბაროს და თავის ბანაკში მიბრუნდეს. არც სალდათები დადიან თავის ნებაზე: საქმე ბევრი აქვთ და დრო ცოტა.

ეჩქარებათ, მაგრამ სათვალავი აერიათ.

ბოლო ხუთეულების გატარება რომ დაიწყეს, შუხოვს მოეჩვენა — უკანასკნელ მწკრივში სამნი დავრჩებითო, მაგრამ არა, მაინც ორნი დარჩნენ.

გადამთვლელებმა დაფებიანად მცველთა რაზმის უფროსს მიაშურეს. ითათბირეს. რაზმის უფროსი ყვირის:

— ას მეოთხის ბრიგადირო!

ტიურინმა ნახევარი ნაბიჯი წადგა:

— აქ ვარ.

— თბოელექტროცენტრალში არავინ დაგრჩენია? დაფიქრდი.

— არავინ.

— კარგად იფიქრე, თავს წაგაცლი, იცოდე!

— არა-მეთქი, ნამდვილად ვამბობ.

თან პავლოსკენ გააპარა თვალი — სადუღაბეში ხომ არავის ჩაეძინაო.

— ბრიგადებად მოეწყე-ეთ! — ყვირის რაზმის უფროსი.

პატიმრები კი ხუთეულებად იდგნენ. ვინც სად მოხვედრილიყო. აჩოჩქოლდნენ, აყაყანდნენ. აქეთ გაპყვირიან: „სამოცდამეთექვსმეტე — ჩემკენ!“ იქით „მეცამეტე — მოგროვდით!“ იქით კიდევ: „ოცდამეთორმეტე“!

ხოლო ას მეოთხელები ყველაზე უკან იდგნენ და იქვე შეიკრიბნენ. ხედავს შუხოვი: ყველანი ხელცარიელნი მისულან, მუშაობაში ისე დავიწყებიათ ყველაფერი, რომ ნაფოტებიც არ შეუგროვებიათ. მხოლოდ ორს წამოუღია პატარ-პატარა კონები.

ეს თავშესაქცევი ამბავი ყოველდღე მეორდება: სამუშაოს დამთავრების წინ პატიმრები ნაფოტებს, პინწკლებს, ყავრის ნამტვრევებს აგროვებენ, ჭინჭის ზონრით ან ბაწრის ნაგლეჯით კონებად კრავენ და თან მოაქვთ. პირველი გამოჭერა საგუშაგოსთან ხდება. სამუშაოთა მწარმოებელი ან რომელიმე ათისთავი, თუკი მოგახელთა, მაშინვე გიბრძანებს — დააგდეო (მილიონები წყალს გაატანეს და ახლა ნაფოტებზე ფიქრობენ ამოქაჩვას). მაგრამ პატიმრები თავისას ვარაუდობენ: ყოველმა ბრიგადამ თითო ბღუჯაც რომ შეიყოლოს, ბარაკს სითბო მიემატება. თორემ მორიგეებს თითო ღუმელზე ათიოდე კილოგრამ ნახშირის მტვერს არგუნებენ ხოლმე

და იმის შემყურე ძვლები ვერ გაგითბება. ამიტომ ასე იქცევიან: პინნკლებს მოკლე-მოკლე დაამტვრევენ, ბუშლატქვეშ შემალავენ და სამუშაოთა მწარმოებელს გვერდს მშვიდობიანად აუვლიან ხოლმე.

მცველთა რაზმს რაც შეეხება, ობიექტზე არასდროს არ დაგატოვებინებს შეშას: მათაც სჭირდებათ შეშა, წაძღვანების უფლება კი არა აქვთ. ერთი, რომ მუნდირის ღირსება უნდა დაიცვან, მეორეა და, ხელში ავტომატები უჭირავთ ჩვენდა სასჯელად. ოღონდ, ბანაკს რომ მიგვაყენებენ, ბადრაგა მაშინ გასცემს ბრძანებას: „ამ მწკრივიდან ამა და ამ მწკრივამდე შეშა აგერ დაყარეთ!" ეს კია, რომ ნამუსიანად იღებენ: ბანაკის ზედამხედველებსაც უნდა დარჩეთ შეშა და თავად პატიმრებსაც, თორემ სულაც აღარ წამოიძღოლებენ და ეგაა.

ასე გამოდის: ყოველმა პატიმარმა ყოველდღე უნდა ზიდოს შეშა. ვერ იტყვის, როდის შეიყოლებს ბანაკში და როდის წაართმევენ.

ვიდრე შუხოვი თვალებს აცეცებდა — სადმე ნაფოტები ხომ არ არისო ახლომახლო, ბრიგადირმა ყველა გადათვალა და რაზმის უფროსს მოახსენა:

— ას მეოთხის ხალხი ყველა აქაა.

ცეზარიც აქვეა, კანტორელებიდან თავისიანებს შემოერთებია. ჩიბუხში ნითელი ცეცხლი უღვივის, შავ ულვაშზე ჭირხლი მოსდებია.

— როგორ არის საქმეები? — კაპიტანს ეკითხება.

გამთბარი გაყინულისას რას გაიგებს. ფუჭი კითხვაა — როგორ არის საქმეებიო.

— როგორ იქნება? — მხრებს იჩეჩს კაპიტანი. — იმდენი ვიმუშავეთ, წელში ძლივს გავიმართე.

ვითომ — სჯობია, იმდენი მოიფიქრო, მომაწევინოო.

მოსაწევსაც აძლევს ცეზარი. მთელ ბრიგადაში მარტო კაპიტანთანაა შეწყობილი, სხვა არავინ ჰყავს გულის მოზიარე.

— ოცდამეთორმეტეში კაცი აკლიათ! ოცდამეთორმეტეში! — გაჰყვირიან ყველანი.

ოცდამეთორმეტის ბრიგადირის თანაშემწემ და მასთან კიდევ ერთმა ავტოსარემონტოებისკენ გაქუსლეს საძებრად. პატიმრებს შორის კი: ვინ ვის? რა მოხდაო? — კითხულობენ.

შუხოვამდისაც მოატანა ამბავმა: შავ-შავი მოლდაველი გამქრალა. რომელი მოლდაველიო? ის ხომ არა, რომ ამბობენ — რუმინელების ჯაშუში იყოო, ნამდვილი ჯაშუში.

ჯაშუში ხუთ-ხუთია თითო ბრიგადაში, მაგრამ ესენი მოგონილი ჯაშუშებია. საქმეში ჯაშუშებად გადიან, ისე კი უბრალო ნატყვევრები არიან. შუხოვიც მასეთივე ჯაშუშია.

ის მოლდაველი კი ნამდვილიაო.

მცველთა რაზმის უფროსმა სიას რომ ჩახედა, ერთიანად ჩაშავდა. ჯაშუში თუ გაექცათ, რაზმის უფროსს რა დღე დაადგება?

მთელი ამდენი ხალხი, იმათ შორის შუხოვიც, ბოლმაზეა მოსული. ვინ ოხერია, ვინაა ის ვიღაც გველის წიწილი, ის დამპალი, ის მურტალი და მუქთამჭამელი? უკვე ჩამოღამდა, ამ სინათლეს რომ ხედავ — მთვარისაა, ვარსკვლავებიც გამოჩნდა აგერ-ეგერ, ყინვა უჭერს, და ის ძაღლისშვილი სადღაც დაკარგულა! რაო ვითომ, მუშაობა არ გეყო, შე ქეციანო? სამუშაო დღე გეცოტავა გათენებიდან დაღამებამდე? მოიცა, პროკურორი მოგიმატებს!

შუხოვსაც ეუცხოვა — ვინ უნდა იყოს, ისე იმუშაოს, ზარის ხმაც ვერ გაიგონოს?

სულ დაავიწყდა, რომ ეს-ესაა თვითონაც ასე მუშაობდა და გული ეთანაღრებოდა — საგუშაგოსკენ რა ადრე-ადრე მივდივართო! ახლა სხვებთან ერთად იყინებოდა, სხვებთან ერთად მძვინვარებდა. იმ მოლდაველს კიდევ ნახევარ საათს რომ გაეჩერებინა ეს ხალხი, მგონი ნაკუწ-ნაკუწ დაეგლიჯათ, თუკი მოიხელთებდნენ.

ყინვა მოეძალა. ადგილზე არავინ აღარ დგას — ან ბაკუნობენ, ან ორ ნაბიჯს წინ და ორსაც უკან მიდი-მოდიან.

ბჭობენ: შეძლებდა თუ ვერაო გაქცევას მოლდაველი? დღისით თუ გაიპარა, ეგ კიდევ არა უშავს, მაგრამ თუ ჩაიმალა სადმე და იმას ელოდება — კოშკურებიდან გუშაგებს წაიყვანენო, ვერ ეღირსება. თუ მავთულქვეშ, სადაც გაცოცდა, კვალი არ დარჩენილა, სამ დღე-ღამესაც რომ ეძებონ ზონაში და ვერ მიაგნონ, კოშკურებს არ მოშორდებიან. სამი დღე-ღამე კი არა, ერთ კვირასაც არსად წავლენ. ასეთია მათი წესდება, ძველმა პატიმრებმა კი იციან ეს ამბავი. საერთოდ, თუკი ვინმე გაიქცა, მორჩა მცველების საქმე — უჭმელ-უს-

მელებსა და უძილოებს დაარბენინებენ აქეთ-იქით. ზოგჯერ ისე გადაირევიან, გაქცეული ცოცხლად აღარც კი მოჰყავთ.

ცეზარი კაპიტანს მისციებია:

— მაგალითად, გახსოვთ, პენსნე რომ გემსართავს ჩამოეკიდება?

— და-ა... — კაპიტანი თუთუნს ეწევა.

— ან კიდევ ეტლი რომ კიბეზე მიგორავს და მიგორავს.

— დიახ... ოღონდ მეზღვაურთა ცხოვრება ცოტათი თამაშს კი ჰგავს მაგ ფილმში.

— იცით, რა არის? ჩვენ განებივრებულნი ვართ თანამედროვე გადაღების ტექნიკით...

— ხორცზეც იმოდენა მატლები დაცოცავენ. დავიჯერო, იყო იმხელები?

— საქმე ისაა, უფრო პატარებს კინოში ვერ გადაიღებენ!

— მე მგონი, ის ხორცი რომ ჩვენთან მოეტანათ ბანაკში იმ თევზის მაგივრად და ასევე გაურეცხავად ქვაბში გადაეშვათ, მაშინვე...

— ა-ა-ა! — აღრიალდნენ პატიმრები.

— უ-უ-უ!

დაინახეს: ავტოსარემონტოებიდან სამი კაცი გამოვარდა, მაშ, მოლდაველი იქ ყოფილა.

— უ-უ-უ! — გაჰკივიან ჭიშკართან მდგარნი.

ხოლო იმ სამმა უფრო ახლოს რომ მოირბინა:

— ქეცი-ანო-ო! დამ-პალო-ო! უნამუსო-ო! ძაღლისშვილო-ო! ჩათლახო-ო!

და შუხოვიც გაჰკივის:

— ქეცი-ანო-ო!

ხუმრობა საქმე ხომ არაა, ხუთას კაცს ნახევარ საათზე მეტი დააკარგვინა!

თავი მხრებში ჩაურგავს, ღვლიპივით მოიცურცლება.

— დადექ! — ყვირის მცველი და იწერს: — კ-ოთხას სამოცი. სად იყავი?

მერე მიუახლოვდა და კონდახით კარაბინი შეატრიალა.

ზოგიერთი ისევ გაჰყვირის:

— ვირიშვილო! მაიმუნო! აყროლებულო!

სხვები კი, რომ დაინახეს, სერჟანტმა კარაბინი შეატრიალაო, მიყუჩდნენ.

მოლდაველს თავი ჩაუკიდია, ხმას არ იღებს, უკან-უკან იხევს შემკრთალი.ოცდამეთორმეტის ბრიგადირის თანაშემწე წინ წამოდგა:

— ბათქაშის ხარაჩოებზე ამძვრალა ეგ დამპალი, მე მემალებოდა, მერე გამთბარა და ჩასძინებია.

კისერში წამოადო, კეფაშიც უთაქა და უთაქა!

მაგრად მოჩანთა, ოღონდ სერჟანტსაც გამოარიდა თავისი მუჯლუგუნებით.

მოლდაველი შებარბაცდა, ამ დროს იმავე ოცდამეთორმეტელთაგან მადიარი გამოქანდა და ამოჰკრა პანღური!

შენ აქ ის ნუ გგონია, ჯაშუშად რომ დადიოდი! ჯაშუშობას რეგვენიც მოახერხებს. ჯაშუშის ცხოვრება ნაღდია და სახალისო. შენ თუ ბიჭი ხარ, კატორღელთა ბანაკში საერთო სამუშაოებში ათ წელს გაძელი!

სერჟანტმა კარაბინი დაუშვა.

მცველთა რაზმის უფროსი ყვირის.

— ჭიშკარს მოეცალე-ეთ! ხუთ-ხუთად მოეწყეთ!

ისევ გადათვლას აპირებენ ძაღლისშვილები! რაღა გადათვლა უნდა, როცა ისედაც ყველაფერი ცხადია? აყაყანდნენ პატიმრები, მოლდაველზე დაგროვილი მთელი ბოღმა ბადრაგას უმისამართეს. ყაყანებენ და ჭიშკარს არ ეცლებიან.

— რაო-ო? — აღრიალდა რაზმის უფროსი. — თოვლზე დასმა მოგინდათ? ახლავე დაგაჯენთ! დილამდე ასე გაგაჩერებთ!

რა გგონია — მართლა დაგვაჯენს! რამდენჯერ დავუჯენივართ. გვაწვენდნენ კიდეც. „დაწექ! სასროლად მოემზადეთ!“ ამგვარი რამეებიც მომხდარა, იციან პატიმრებმა. და ჭიშკრიდან ნელ-ნელა უკან დაიხიეს.

— უკან! უკან! — კიდევ ეძალება ბადრაგა.

— მართლადა რას მისციებიხართ მაგ ჭიშკარს, თქვე შტერებო? — ჯავრობენ წინმდგომებზე უკანანი და მათ მონოლაზე იხევენ.

— ხუთ-ხუთი მოეწყე-ეთ! პირველი! მეორე! მესამე!

ამასობაში მთვარემ კარგად გამოაშუქა. დაწმენდილა, სინითლე გადასცლია. გვარიანად ამოწეულა კიდეც! ნავიდა ხელიდან საღამო! ჯანდაბას მოლდაველის თავი! ჯანდაბას ასეთი სიცოცხლე!

წინანი, ვინც უკვე გადათვალეს, შემობრუნდნენ, თითის წვერებზე დგებიან და უყურებენ — უკანასკნელ ხუთეულში ორი კაცი დარჩება თუ სამი. ამაზე ახლა მთელი სიცოცხლეა დამოკიდებული.

შუხოვს ისე მოეჩვენა — ბოლო ხუთეულში ოთხნი ვრჩებითო. შიშით გული გადაუქანდა: ახლა ზედმეტი გამოდის! ხელახლა გადათვლიან! თურმე ის წუწკი ფეტიუკოვი კაპიტნის ნამწვს უცუცქურებდა, ამაზე დაყოვნებულა, თავის ხუთეულში დროზე არ ჩამდგარა და ისე გამოვიდა, თითქოს ზედმეტი ყოფილიყოს.

ბოღმამორეულმა რაზმის უფროსის თანაშემწემ ერთი მოჩანთა კისერში ფეტიუკოვს.

ასე მოუხდება!

ბოლო მწკრივში სამი კაცია. მადლობა ღმერთს, სწორად გამოვიდა!

— ჭიშკარს მოეცალე-ეთ! — ისევ ყვირიან მცველები.

მაგრამ ამჯერად პატიმრები არაფერს ამბობენ. ხედავენ: საგუშაგოდან სალდათები გამოდიან და ჭიშკრის გადაღმა მხრიდან ალყას არტყამენ.

ესე იგი გაშვებას აპირებენ.

სამოქალაქო ათისთავები არსად ჩანან, არც მათი სამუშაოთა მნარმოებელი. შეშას მიიყოლებენ ბიჭები.

გააღეს ჭიშკარი. გადაღმა რაზმის უფროსი და მეკონტროლე ისევ ითვლიან:

— პირველი! მეორე! მესამე!..

აქაც თუ სწორად გამოვიდა, კოშკურებიდან გუშაგებს მოხსნიან.

შენ ისა თქვი, შორეული კოშკურებიდან რამხელა გზაა გამოსავლელი! უკანასკნელ პატიმარს ზონიდან რომ გაიყვანენ და ანგარიში სწორი გამოუვათ, მაშინღა დაურეკავენ ტელეფონით ყველა კოშკურას: ჩამოდითო! თუ მცველთა რაზმის უფროსი გონიერი კაცია, ხალხს მაშინვე დაძრავს, რადგან იცის, რომ პატიმარი ახლა ვერსად გაიქცე-

ვა და თანაც კოშკურებიდან ჩამოსულები გზა-გზა წამოენევიან. ხოლო რეგვენი იმის შიშშია, მცველები არ მეყოფიანო, დგას და ელოდება.

დღევანდელი რაზმის უფროსიც ერთი იმ რეგვენთაგანია. ესეც გუშაგების მოსვლას უცდის.

მთელ დღეს ყინვაში იყვნენ პატიმრები, ერთიანად გაითოშნენ. წასასვლელად რომ გაემზადენ, მერეც მთელ საათს მოუხდათ ერთ ადგილზე დგომა. და მაინც ისე ყინვა არ კლავთ, როგორც ბოღმა და ჯავრი: წავიდა ხელიდან საღამო! აწი ზონაში ვერაფერს ვეღარ მოასწრებენ.

— მაინც საიდან იცით ასე კარგად ინგლისის ფლოტის ამბები? — კითხულობენ წინა ხუთეულში.

— სიმართლე გითხრათ, თითქმის მთელ თვეს ვცხოვრობდი ინგლისურ კრეისერზე, საკუთარი კაიუტაც მქონდა. საზღვაო ბადრაგას ვახლდი, კავშირგაბმულობის ოფიცრად. მერე, წარმოიდგინეთ, ომი რომ დამთავრდა, ინგლისელმა ადმირალმა რაღაც ეშმაკად სამახსოვრო საჩუქარი გამომიგზავნა. „მადლობის ნიშნად". მიკვირს და თან გახსენებაც მეზარება!..

საოცარია. საოცარია, რომ შეხედავ: უდაბური ტრამალი, მიტოვებული ზონა, მთვარის შუქზე აბრჭყვიალებული თოვლი; მცველები უკვე თავ-თავის ადგილებზე დამდგარან — ერთიმეორეს ათ-ათი ნაბიჯის დაცილებით, იარაღი მოუმარჯვებიათ; პატიმრების ლეგა ჯოგი და — ასეთსავე ბუშლატში — შჩ-311-კაცი, რომელმაც ოქროს სამხრეების გარეშე ცხოვრება რა იყო, არ იცოდა, ინგლისელ ადმირალს ეამფსონებოდა, ახლა კი ჯალამბრებს დაათრევს ფეტიუკოვთან ერთად.

კაცს გინდა აქეთ უზამ პირს და გინდა იქით.

როგორც იქნა, აიბარგნენ მცველები. ლოცვა აღარ უთქვამთ, პირდაპირ:

— ნაბიჯით იარ-რ! ფეხი ააჩქარეთ!

არა, ბატონო, ვერ მოგართვეს ფეხის აჩქარება! ყველა ობიექტს ჩამოვრჩით, სადღა გვეჩქარება. პატიმრები პირის შეუთქმელად მიხ-

ვდნენ ყოველივეს: თქვენ ხომ გვაწვალეთ და გვაცდევინეთ, ახლა ჩვენც გაცდევინებთ. გასათბობად ალბათ თქვენც მიგეჩქარებათ...

— ნაბიჯს მოუმატეთ! — ყვირის რაზმის უფროსი. — წინმავალო, ნაბიჯს მოუმატე!

„ნაბიჯს მოუმატე" — შენმა მზემ! ზომიერი ნაბიჯით, თავჩაქინდრულნი მიდიან პატიმრები, როგორც დასაფლავებაზე მიმავალთ სჩვევიათ. აწი აღარაფერი გვაქვს დასაკარგი, სულ ერთია, ყველაზე ბოლოს მივალთ ბანაკში. არ გინდოდა კაცურად მოგვქცეოდი და ახლა ღრიალით გასკდი თუ გინდა.

იყვირა, იყვირა რაზმის უფროსმა — ნაბიჯს მოუმატეთო, — და მიხვდა: მეტს არ აჩქარდებოდნენ პატიმრები. არა და ვერც ესვრი: ხუთ-ხუთნი მიდიან, დამწკრივებულნი, შეწყობილად. ვერაფრით აიძულებს რაზმის უფროსი, რომ ნაბიჯს მოუმატონ (დილდილობით პატიმრებს ის თუ შველის, რომ სამუშაოსკენ ტაატით მიდიან. ჩქარა-ჩქარა ვინც დარბის, ბოლომდე ვერ გაატანს — გასავათდება და დავარდება).

ასე ზომიერად და ბეჯითად გაუყვნენ. მიჭრაჭუნებენ თავისთვის თოვლში. ზოგი ჩუმჩუმად მისაუბრობს, ზოგი ისე მიაბიჯებს, მოიგონა შუხოვმა — დილით რაღაც საქმე დამრჩაო მოსაგვარებელი. იფიქრა, იფიქრა და გაახსენდა: სანიტნაწილი! საკვირველია ღმერთმანი, მუშაობაში სულ დავიწყებია სანიტნაწილი.

სწორედ ახლაა მიღება სანიტნაწილში. თუ არ ივახშმა, კიდევ მოასწრებს შერბენას. მაგრამ, მგონი, აღარც კი ტეხავს უკვე. სიცხესაც არ გაუსინჯავენ... ტყუილად დროის დაკარგვაა! უექიმებოდაც განიკურნება. ეგ ექიმები კუბოში ჩაგაწვენენ.

სანიტნაწილის დარდი აღარ ჰქონდა, იმის ფიქრში იყო — ვახშამს რა შეიძლება წავუმატოო. იმედად ისღა რჩებოდა, იქნებ ცეზარს ამანათი მოუვიდესო; კარგა ხანია, აღარ მიუღია.

და უცებ პატიმართა კოლონას რაღაც შეუჯდა თითქოს: აქანავდა, ნაბიჯი აურია, გაიქცა, აგუგუნდა, აგუგუნდა — და, აი, უკანმავალი ხუთეულები და მათ შორის შუხოვიც წინმავლებს ვეღარც მიჰყვებიან, ფეხის აჩქარება უხდებათ. რამდენიმე ნაბიჯს გადადგამენ და ისევ გაქცევა უხდებათ.

როცა უკანა მწკრივები ბორცვს გადაადგნენ, შუხოვმაც დაინახა: შორს ტრამალზე, მათგან მარჯვნივ, კიდევ ერთი კოლონა მოდიოდა ირიბად. ეტყობა, იმათაც დაგვინახეს და გამოქუსლეს.

მხოლოდ მექანიკური ქარხნისა შეიძლებოდა ყოფილიყო ის კოლონა. სამასამდე კაცი მოდიოდა. როგორც ჩანს, იმათაც არ გაუმართლათ, ისინიც შეუჩერებიათ. ისინი რაღაზე? იმათ ზოგჯერ სამუშაოს გამოც შეაჩერებენ ხოლმე: თუ რომელიმე მანქანის გარემონტება ვერ მოასწრეს. იმათ რა, მთელ დღეს სითბოში სხედან.

აბა, ვინ ვის გადაასწრებს! მირბიან ბიჭები, მიექანებიან. ბადრაგაც გამოთოხარიკდა, მხოლოდ რაზმის უფროსი დაიძახებს ხოლმე:

— ნუ გაიშლებით! უკანებო, ფეხი ააჩქარეთ! ააჩქარეთ!

შენც ერთი რა გაღრიალებს? არ ვაჩქარებთ თუ?

ვინც რას ამბობდა და ვინც რას ფიქრობდა, ყველაფერი დაივიწყეს, მთელ კოლონას ერთი საზრუნავიღა დარჩა:

— მივასწროთ! ვაჯობოთ!

და ყოველივე ისე აირდაირია, რომ ბადრაგა ახლა პატიმართა მტერი კი აღარაა, მეგობარია. მტერი ისაა, მეორე კოლონა.

ყველანი უცბად გახალისდნენ და ბოლმაც გაუქარვდათ.

— მიდი, მიდი! — წინმავალთ მისძახიან უკანანი.

ჩვენი კოლონა ქუჩას შეეფინა, მექანიკური ქარხნისა კი საცხოვრებელ კვარტალს მიეფარა. ახლა დაფარული დოღი გაიმართა.

აქ ჩვენს კოლონას სირბილი გაუადვილდა. მცველებიც ისე აღარ მოფორხილობენ. აი, აქ უნდა გადავასწროთ!

იმიტომაცაა საჭირო მექანიკური ქარხნის მუშების გასწრება, რომ ბანაკის საგუშაგოსთან მათ განსაკუთრებით დიდხანს ჩხრეკენ ხოლმე. იმ ხნიდან მოყოლებული, რაც ბანაკში ხალხის დაკვლა დაიწყეს, უფროსები ფიქრობენ, რომ დანებს მექანიკურ ქარხანაში აკეთებენ და იქიდან ეზიდებიანო. ამიტომ ბანაკში შეშვებამდე იქაურ მუშებს განსაკუთრებით ჩხრეკენ ხოლმე. გვიანი შემოდგომა იყო, მიწა უკვე დაეზრა, იმათ კი მაინც უყვიროდნენ:

— გაიძრეთ ფეხზე! ფეხსაცმელი ხელში დაიჭირეთ!

ასე ფეხშიშველებს ჩხრეკდნენ.

ახლაც, ყინვაა თუ არაა ყინვა, ალალბედზე მიადგებიან:

— აბა, მარჯვენა ჩექმა გაიხადე! შენ მარცხენა გაიძრე!

პატიმარი თექურას გაიხდის და, ვიდრე ცალ ფეხზე ასკინკილაობს, ის თექურა უნდა დააპირქვავოს და ფეხსახვევიც დაბერტყოს — დანა არ შემაქვსო.

არ იცის, მართალია თუ არა, მაგრამ შუხოვმა ასეთ ამბავსაც მოჰკრა ყური: მექანიკური ქარხნის ბიჭებს ჯერ კიდევ ზაფხულში ორი ფრენბურთის ბოძი მოუტანიათ და ყველა დანა იმ ბოძებში ყოფილა ჩამალული. თითოში ათ-ათი გრძელი დანა იყოო. ახლა ხან აქ პოულობენ იმ დანებს და ხან იქ.

ასე ძუნძულ-ძუნძულით ახალ კლუბს გასცდნენ, საცხოვრებელ კვარტალსაც ჩაუარეს, ხის დასამუშავებელ სახელოსნოსაც და ბანაკის საგუშაგოს დაუპირისპირდნენ.

— უ-უჰ! — ერთად ამოსკდა მთელ კოლონას.

სწორედ ამ გზის შესაყარს უმიზნებდნენ. მეორე კოლონა ას ორმოცდაათიოდე მეტრით ჩამორჩენილა მარჯვნივ.

ახლა მშვიდად გაალაჯეს. ყველას უხარია. კურდღლის სიხარულია: ვითომ — ბაყაყები ჩვენზე ჯაბანნი არიანო.

აჰა ბანაკიც. რაც დილას დატოვეს, ახლაც ისაა: სიბნელე, ზონაში მესერ-მესერ გაყოლებული ნათურები, რომლებიც საგუშაგოსთან განსაკუთრებით ბევრია, მთელი საჩხრეკი მოედანი დღესავითაა განათლებული.

მაგრამ საგუშაგოსთან მისულნი არ იყვნენ, რომ:

— დადექ! — ყვირის რაზმის უფროსის თანაშემწე. მერე თავის ავტომატს სალდათს აჩეჩებს და კოლონას უახლოვდება (ავტომატიანად მოახლოების უფლება არა აქვს). — ყველამ, ვინც მარჯვნივ დგას და ხელში შეშა უჭირავს, შეშა მარჯვნივ დაყაროს!

ისე შეშა დაუფარავად მოჰქონდათ, ყველას დასანახად. ერთი კონა გადავარდა, მეორე და მესამეც მიჰყვა. ზოგიერთმა შეშის შემალვა დააპირა, მაგრამ მეზობლები შეუწყრნენ:

— შენი გულისთვის სხვებსაც წაართმევენ! შენი ნებით დააგდე!

ვინაა პატიმრის უმთავრესი მტერი? მეორე პატიმარი. პატიმრები რომ ერთმანეთს არ ბრიდავდნენ — ე-ეჰ!

— ია-არ! — ყვირის რაზმის უფროსის თანაშემწე.

და დაიძრნენ საგუშაგოსკენ.

საგუშაგო ხუთი გზის შესაყარია. ერთი საათის წინ ყველა ობიექტი აქ იყო შეყრილი. ამ ხუთივე გზის გაყოლებით ქუჩები რომ გაშენდეს, ამ საგუშაგოსა და საჩხრეკის ადგილას მომავალში ქალაქის მთავარი მოედანი იქნება. და ისევე, როგორც ახლა ყოველი მხრიდან ობიექტები მოედინებიან, მაშინ დემონსტრაციები შეერთდება.

ზედამხედველები უკვე საგუშაგოებში შეყუჟულიყვნენ გასათბობად. ახლა გამოდიან, გზის გარდიგარდმო მწკრივდებიან.

— შეიხსენით ბუშლატები! სათბურები შეიხსენი-ით!

თან ხელებს შლიან, მოხვევნას გიპირებენ მჩხრეკელნი. გვერდებზეც ხელებს გიტყაპუნებენ. ერთი სიტყვით, ყოველივე დილანდელივით ხდება.

ახლა აღარ გვეშინია ტანისამოსის შეხსნისა — შინისკენ მივდივართ.

ყველა ასე ამბობს — შინისკენო.

დღე ისე გაივლის, ვერც კი მოიცლი, რომ სხვა „შინ" მოგაგონდეს.

კოლონის პირველ მწკრივებს უკვე ჩხრეკდნენ, როცა შუხოვი ცეზართან მივიდა და უთხრა:

— ცეზარ მარკოვიჩ! აქედან პირდაპირ საამანათოში გავიქცევი და რიგს დაგიჭერთ.

ჩამონაკვთული შავი ულვაშები, ახლა ქვედა მხრიდან ჭირხლით შეთეთრებული ულვაშები შუხოვისკენ შემოაბრუნა ცეზარმა:

— ღირს კია, ივან დენისიჩ? იქნება არც მომსვლია ამანათი.

— რა უშავს მერე? ათ წუთს დაგელოდებით და, თუ არ მოხვედით, უკანვე წამოვალ.

(თავად ასე ფიქრობს: თუ ცეზარი არა, იქნება სხვა ვინმე გამოჩნდეს მსურველი და იმას მივყიდიო რიგს).

ეტყობა, მონატრებია ცეზარს ამანათი:

— კარგი, ივან დენისიჩ, გავარდი და დამიკავე რიგი. ათ წუთს მიცადე, მეტს არა.

ამასობაში მათი ჩხრეკის რიგიც მოახლოვდა. შუხოვს დღეს დასამალი არაფერი აქვს, გულარხეინად მიდის. ბუშლატი აუჩქარებლად შეიხსნა და სათბურზეც მოიცილა ბრეზენტის ქამარი.

და, თუმცა აკრძალული თან არაფერი მოჰქონდა, რვა წელინადს ნიადაგ დადარაჯებულად ცხოვრება ჩვეულებად ქცეოდა შუხოვს. ამიტომ ხელი მაინც ჩაიყო მუხლისთავზე დაკერებულ ჯიბეში, რათა გული კიდევ ერთხელ დაეჯერებინა — ცარიელიაო.

მაგრამ ჯიბეში ფოლადის ნაჭერი აღმოჩნდა, ლიანდაგის ნამტვრევი, რომელიც დღეს ზონაში იპოვნა და რომლის ბანაკში წამოღება არც უფიქრია.

არ უფიქრია წამოღება, მაგრამ, რაკი აქამდე მოჰყვა, ახლა გადაგდება ძალიან ენანებოდა. ამ ფოლადიდან პატარა დანა გამოიჭრება — გინდა სახარაზო და გინდა თერძის სახმარი.

იმთავითვე რომ სდომებოდა ამ ნაჭრის ბანაკში შეტანა, იმასაც მოიფიქრებდა, როგორ დაემალა. ახლა კი მის წინ ორიოდე მწკრივიღა იყო დარჩენილი და ამ ორიდან ერთი გამოეყო კიდეც კოლონას და მჩხრეკელებისკენ გაემართა.

ახლა ელვის უსწრაფესად უნდა გადაეწყვიტა: ან წინა ხუთეულს უნდა ამოფარებოდა და შეუმჩნევლად თოვლში ჩაეგდო ის ფოლადი (იქ კვალს კი მიაგნებდნენ, მაგრამ ვერ გაიგებდნენ, ვისი იყო), ან კიდევ თან უნდა წაეღო!

იმ ფოლადის ნაჭრისთვის, თუკი დანად მიიჩნევდნენ, შეეძლოთ ათი დღის კარცერი მიეცათ.

მაგრამ სახარაზო დანა შემოსავალი იქნებოდა. პურს აჭმევდა!

ენანებოდა გადაგდება.

აიღო და ხელთათმანში ჩამალა.

ამასობაში ბრძანება გასცეს — მომდევნო ხუთეული წამოვიდესო.

და ამ გაჩახჩახებულ სინათლეში სამნიღა დარჩნენ: სენკა, შუხოვი და ერთი ოცდამეთორმეტელთაგანი, წეღან რომ მოლდაველის საძებრად გაიქცა.

იმის წყალობით, რომ ისინი სამნი დარჩნენ, ხოლო მათ პირდაპირ ხუთი ზედამხედველი იდგა, შუხოვს შეეძლო ემარჯვა და აერჩია — მისი შემხვედრი ორი ზედამხედველიდან რომელთან მისულიყო. შუხოვმა ღაჟღაჟა ჭაბუკი კი არ აირჩია, ჭაღარა ბერიკაცს მიმართა. რა თქმა უნდა, მოხუცი უფრო გამოცდილი იქნებოდა და, რომ მოესურვებინა, იმ ნამალევ ფოლადის ნაჭერს ადვილად უპოვნიდა. მა-

გრამ სწორედ იმიტომ, რომ უკვე მოხუცებული იყო, თავისი ხელობა ჭირის დღესავით მოძულებული უნდა ჰქონოდა.

ამასობაში შუხოვმა ორივე ხელთათმანი — ფოლადის ნაჭრიანიც და ცარიელიც — წაიძრო, ცალ ხელში დაიჭირა (ცარიელი წინა მხარეს მოაქცია), ქამარიც იმავე ხელში აითოკა, სათბური ერთიანად გადაიღელა, ბუშლატისა და სათბურის კალთები მჩხრეკელის თვალის საამებლად აიკეცა და აიფრიალა (არასოდეს ასე მლიქვნელურად არ იქცეოდა, მაგრამ ახლა უნდოდა ეჩვენებინა — აჰა, რაც ვარ, ესა ვარ, თუ გნებავს, გამჩხრიკეო!) — და ბრძანებისთანავე ჭაღარას მიაშურა.

ჭაღარა ზედამხედველმა გვერდებსა და ზურგზე ხელი მოუთათუნა, მუხლისთავთან დაკერებულ ჯიბესაც წაჰკრა, დარწმუნდა, რომ იქ არაფერი იყო, სათბურისა და ბუშლატის კალთები მოუსინჯა, და საბოლოოდ, გულის დასაჯერებლად, წინ წამოშვერილი ცარიელი ხელთათმანიც ჩაბღუჯა.

ზედამხედველმა რომ იმ ცარიელს ხელი წაავლო, შუხოვს გული შეეკუმშა. ერთი ასეთი ხელის წავლებაც და გათავებული იყო საქმე — კარცერი, დღეში სამასი გრამი და ცხელი კერძი მხოლოდ მესამე-მესამე დღეს. მაშინვე წარმოიდგინა, როგორ დასუსტდებოდა, როგორ დაიმშეოდა კარცერში და რარიგად გაუძნელდებოდა მერე ხელახლა შეწყობოდა ახლანდელ გასაძლის ცხოვრებას, როცა არც მაძღარია, მაგრამ არც შიმშილით დაოსებული.

და იმავე წამს გულმხურვალე ლოცვა აღავლინა: „ღმერთო! მიშველე! კარცერს გადამარჩინე!“

ეს ყოველივე გაიფიქრა, ვიდრე ზედამხედველი პირველ ხელთათმანს მოსინჯავდა და მეორეს წაეტანებოდა (იმ ხელთათმანებს ორივეს ერთად მოსინჯავდა, შუხოვს რომ ცალ-ცალად დაეჭირა ორ ხელში და ერთში არ მოექცია). მაგრამ ამ დროს მჩხრეკელთა უფროსის ხმაც გაისმა:

— მიდი, მექანიკური ქარხანა გამოუშვი!

და ჭაღარა ზედამხედველმა, ნაცვლად იმისა, რომ ის მეორე, ფოლადის ნაჭრიანი მოესინჯა, ხელი ჩაიქნია — გაიარეო. და გაატარა.

შუხოვი თავისიანების დასანევად გაიქცა. მისიანები უკვე ხუთ-ხუთად დამწკრივებულიყვნენ ორ გრძელ ძელურ კადონს შუა, რომელიც ცხენის საბმურს ჰგავდა და კოლონის შესარეკ ბაკად იყო თითქოს გამზადებული. მიფრინავდა, კი არ მირბოდა შუხოვი. მადლობის ლოცვაც არ აღუვლენია, ჯერ ერთი, არ ეცალა და, მეორეც, აღარ იყო საჭირო.

მათი კოლონის მომყოლი ბადრაგა ახლა გვერდზე გადგა და მექანიკური ქარხნის კოლონას გზა დაუცალა. მათი კოლონის მიერ ჩხრეკამდე დაყრილი შეშა მცველებს თავისთვის მოეგროვებინათ, ხოლო ჩხრეკის დროს ზედამხედველისგან ჩამორთმეული შეშა საგუშაგოსთან იყო დახვავებული. მთვარე მაღლა-მაღლა მიიწევდა, ყინვა ეძალებოდა ნათელ ღამეს.

მცველთა რაზმის უფროსი, რომელიც საგუშაგოსკენ გაემართა, რათა ოთხასსამოცდასამი სულის ჩაბარებაზე ხელწერილი აეღო, ვოლკოვოის თანაშემწეს მოეთათბირა რაღაცაზე. თანაშემწემ დაიყვირა:

— კ-ოთხას სამოცი!

კოლონის შუაგულში შეყუჟულმა მოლდაველმა ამოიოხრა და წინ ნამოდგა. თავი ისევ ჩაექინდრა და მხრებში ჩაერგო.

— მოდი აქ! — დაუძახა თანაშემწემ.

ხელები ზურგზე დაიწყე და აქ გაჩერდიო — უბრძანეს.

ესე იგი გაქცევის ცდად ჩაუთვლიან და შიდაციხეში შეამწყვდევენ.

ბაკის ორივე მხარეს ორი გუშაგი დადგა, სამი კაცის სიმაღლე ალაყაფის კარი ნელ-ნელა გაიღო და გაისმა ბრძანება:

— ხუთ-ხუთი მოეწყე-ეთ! („ჭიშკარს მოეცალეთ" აქ არ არის საჭირო: ყველა ჭიშკარი ზონის შიგნით იღება, რათა პატიმრებმა ვერ შეძლონ ძალით მისი გაღება, თუნდაც რომ ყველანი ზედ ერთად მიაწყდნენ). პირველი! მეორე! მესამე!..

საღამოს ამ გადათვლის დროს არის სწორედ პატიმარი ყველაზე უფრო გათოშილი და დამშეული და ერთი ჯამი წყალწყალა ცხელი კერძი მისთვის ახლა იგივეა, რაც წვიმა ნაგვალავზე — სულმოუთქმელად ამოცლის და ამოასუფთავებს. ის ჯამი ახლა თავისუ-

ფლებასაც ურჩევნია და სიცოცხლესაც, მთელ წინანდელ სიცოცხლესაც და მომავალსაც.

ბანაკის ჭიშკარში შემავალი პატიმრები ლაშქრობიდან მობრუნებული მხედრებივით გულოვანნი და შემართულნი არიან — გზა-ა!

შტაბის ბარაკის მუქთამჭამელს ჭიშკარში შემოზვინული პატიმრების დანახვაზე თავზარი ეცემა ხოლმე.

დილის შვიდის ნახევრიდან მოყოლებული, როცა სამუშაოზე გაყვანის ზარი ირეკება, ამ გადათვლის მერე პირველად იქცევა თავისუფალ კაცად პატიმარი. გაიარეს დიდი ჭიშკარი, ზონისწინა პატარა ჭიშკარსაც გასცდნენ, სამწკრივო ხაზთან დაყოლებული ღობეც მოათავეს. ახლა ვისაც საით უნდა, იქით წავიდეს!

ვისაც საით უნდა, მაგრამ ბრიგადირებს კი განმწესებული ექაჩება:

— ბრიგადირებო! საგეგმო-საწარმოში!

შუხოვმა შიდაციხესა და ბარაკებს ჩაუქროლა და საამანათოში შევარდა. ხოლო ცეზარი დინჯად და ღირსეულად იქით გაემართა, სადაც უკვე უამრავი ხალხი მისწყდომოდა ბოძს, რომელზედაც ფანერის დაფა იყო აკრული და ზედ ქიმიური ფანქრით ეწერა იმათი გვარები, ვისაც დღეს ამანათი მოსვლოდა.

ბანაკში ქაღალდზე იშვიათად წერენ რამეს, მეტწილად ფანერს ხმარობენ, როგორღაც უფრო მაგარია და საიმედო ფანერზე დაწერილი. განმწესებელიც ასეთ დაფებზე ანგარიშობს კაცის თავებს. სახვალიოდ დღევანდელ დაწერილს ჩამოფხეკს და ხელახლა დააწერს. იზოგება მასალა.

ზონაში დარჩენილნი ამგვარადაც ნაბიჭვრობენ: დაფაზე წაიკითხავენ, ამანათი ვის მოსვლია, მერე პატრონს სამწკრივო ხაზთანვე შეეგებებიან და მის ნომერს ეტყვიან. ბევრია თუ ცოტა, ასეთებს ერთ სიგარეტს მაინც არგუნებენ ხოლმე.

ბარაკისთვის რაღაც მიუშენებიათ და ამ მინაშენს ზედ კიდევ ტამბური აქვს აკრული. ესაა საამანათო. ტამბურს კარი არა აქვს შებმული, სიცივე თქრიალ-თქრიალით შედის, მაგრამ შიგნით მაინც უფრო თბილა თითქოს, რაც უნდა იყოს, გადახურულია.

ტამბურში კედლის გასწვრივ რიგი გაჭიმულიყო, რიგი დაიკავა შუხოვმა. წინ თხუთმეტამდე კაცი იდგა. რიგის მოწევამდე საათზე მეტი დრო უნდა, სწორედ ძილის ზარი მოატანს იმ დროისთვის. ისინი, ვინც სიის სანახავად წავიდნენ თბოელექტროცენტრალის კოლონიდან, შუხოვის შემდეგ იქნებიან. მექანიკური ქარხნის მუშებიც. იმათ მეორედ მოუხდებათ ამანათისთვის მოსვლა ხვალ დილით.

თოფრებით და ტომსიკებით დგანან რიგში. იქ, კარებს უკან (თავად შუხოვს ამ ბანაკში არც ერთხელ არ მიუღია ამანათი, მაგრამ სხვების ნათქვამით იცის), ამანათის ყუთს პატარა ნაჯახით ხსნიან, მერე ზედამხედველი ყველაფერს თავისი ხელით იღებს და გულდასმით სინჯავს. ზოგ რამეს გაჭრის, ზოგს გადატეხავს, ხელში შეატრიალებს თუ გადაყრ-გადმოყრის. თუ რამე სითხე აღმოჩნდა მინისა და თუნუქის ქილებში, თავს მოხსნის და გადმოგისხამს, გინდა ხელი შეუშვირე და გინდა დახვეული პირსახოცი. ქილებს არ ატანენ პატიმრებს, რაღაცის ეშინიათ. ქადა თუ აღმოჩნდა, ან სხვა რამე ნუგბარი, თუნდაც ძეხვი ან თევზეული, ზედამხედველი მოკბეჩს კიდეც (ხოლო თუ ჭოჭის მიცემას დააპირებ, მაშინვე შარს მოგდებს — ეს აკრძალულიაო, ხოლო რაც აკრძალულია, იმას არც მოგცემს. ამიტომ ამანათის მიმღებმა, ზედამხედველით დაწყებული, ვიღაც-ვიღაცებს უნდა აძლიოს, აძლიოს და აძლიოს). ამანათის ჩხრეკას რომ მორჩებიან, ყუთს მაინც არ მოგცემენ; მიდექი და ჩაყარე ყველაფერი თოფრაში, ან თუნდაც ბუშლატის კალთაში გაახვიე და გაეცალე აქაურობას. შემდეგი! ზოგიერთს ისე ააჩქარებენ, რამე დარჩება კიდეც დახლზე. იმას ნუღარ მიაკითხავ. აღარაა.

დიდი ხნის წინათ, ჯერ კიდევ უსტ-იუმში შუხოვმა ერთი-ორჯერ მიიღო ამანათი. მაგრამ თავადვე მისწერა ცოლს — მაინც ტყუილუბრალოდ იკარგება, ნუ მიგზავნი, ბავშვებს ნუ აკლებო.

თუმცა თავისუფლებაში შუხოვს მთელი ოჯახის გამოკვება უფრო უადვილდებოდა, ვიდრე აქ მხოლოდ საკუთარი თავისა, მაგრამ იცოდა, რადაც უჯდებოდათ შინაურებს ის ამანათები და ისიც იცოდა, რომ ათ წელიწადს ვერ შეძლებდნენ გზავნას. ამიტომ უამანათობა ამჯობინა.

ხომ ასე ამჯობინა, მაგრამ, როცა ვინმე ბრიგადაში ან იქვე, მის ბარაკში ამანათს მიიღებდა (ესე იგი თითქმის ყოველ დღე), წუხდა, რომ მისი არ იყო ის ამანათი. და, თუმცა ცოლს სასტიკად აუკრძალა — სააღდგომოდაც კი არაფერი გამომიგზავნოო, თუმცა იმ ბოძსაც შეძლებული მეზობლის ხათრით თუ მიაკითხავდა ხოლმე, მაინც ზოგჯერ ელოდა რატომღაც — აი, მოირბენენ და მომაძახებენ — რატომ არ აკითხავ, შუხოვ, ამანათი მოგსვლიაო.

მაგრამ არავინ მოდიოდა და არ უძახდა.

სულ უფრო იშვიათად და იშვიათად ჩნდებოდა მიზეზი თავისი ტემგენიოვოს და მშობლიური სახლის მოსაგონებლად... აქაური ცხოვრება დილიდან საღამომდე ილაჯს ართმევდა და უქმი მოგონებების დროს არ უტოვებდა.

ახლა, როცა იმათ შორის იყო ჩამდგარი, ვინც შიგნეულს იიმედებდა — აი, საცაა კბილებს ლორს ჩავასობთ, პურზე კარაქს წავუსვამთ ან ტოლჩას შაქრით დავატკბობთო, შუხოვს ერთი სურვილი ასულდგმულებდა: სასადილოში თავის ბრიგადასთან ერთად შესულიყო და ჯერ ისევ ცხელი ბალანდა შეეჭამა. ცივი ბალანდა ცხელის ნახევარიც არ ღირდა.

თუ ცეზარის გვარი სიაში არ აღმოჩნდაო, ვარაუდობდა, ცეზარი კარგა ხანია ბარაკშია შესული და იბანსო. ხოლო თუ ცეზარიც ეწერა, ახლა უკვე თოფრებსა და პლასტმასის ტოლჩებს უნდა აგროვებდეს. ამიტომ შეჰპირდა შუხოვი — ათ წუთს დაგელოდებიო.

რიგში მდგარმა შუხოვმა ახალ ამბავსაც მოჰკრა ყური: არც ამ კვირაში იქნება კვირადღე, ისევ შეხვილიფებას აპირებენო. ამას ელოდა კიდეც, სხვებიც ამასვე ელოდნენ: თვეში ხუთი კვირადღე თუ უწევს, სამს გაძლევენ, ორჯერ კი სამუშაოზე გიკრავენ თავს. ხომ მოელოდა ამ ამბავს, მაგრამ, რომ გაიგონა, გული შეეკუმშა. კვირადღეზე გული ვის არ დასწყდება? თუმცა სწორს ამბობენ რიგში მდგარნი: არც ზონაში გახეირებენ დასვენების დღეს, რამეს მოიგონებენ — ან აბანოს მიშენებაზე გამუშავებენ, ან გადასაღობ კედელს აგაყვანინებენ, ან კიდევ ეზოს განმენდინებენ. ისიც საქმეა — ლეიბების გამოცვლა და დაბერტყვა. უნივაგონკებზე ბაღლინჯოებია მუსრგასავლები. შესაძლოა ბარათების მიხედვით პიროვნება-

თა შემონმებაც მოიგონონ ან კიდევ ინვენტარიზაცია: მთელი შენი ბარგი-ბარხანით ეზოში უნდა გამოხვიდე და ნახევარი დღე იქ ჯდომაში გაატარო.

ყველაზე მეტად ალბათ მაშინ უკვდებათ ხოლმე გული, როცა პატიმარს ნასაუზმევს სძინავს.

ნელ-ნელა, მაგრამ მაინც მიიწევდა რიგი წინ. პარიკმახერი, ერთი ბუღალტერი და ერთიც კულტ-სააღმზრდელოს თანამშრომელი რიგგარეშე შემოვიდნენ. არავისთვის უკითხავთ რამე, წინმდგომს ხელი ჰკრეს და თავად მიადგნენ დახლს. მაგრამ ესენი ბანაკის ნელმაგარი მუქთამჭამელები, ზონაში ჩამსხდარი უპირველესი არამზადები იყვნენ და არა საწყალობელი პატიმრები. ამ ხალხს პატიმრები ნეხვზე უარესად მიიჩნევდნენ (მათაც მსგავსი შეხედულება ჰქონდათ პატიმრებზე), მაგრამ მათთან დავას აზრი არ ჰქონდა: მუქთამჭამელებს ერთიმეორესთან და აგრეთვე ზედამხედველთანაც პირი აქვთ შეკრული.

მაინც შუხოვის წინ ათი კაცი კიდევ იდგა. უკან შვიდი ჩამდგარიყო. კარის ჭრიალში ცეზარმა შემოალაჯა. თავი მოიდრიკა და ისე შემოვიდა თავისი ახალი, შინიდან გამოგზავნილი ბეწვის ქუდიანად. (ესეც შენი ქუდი. ცეზარმა ვიღაცას ათოხლა და ახალთახალი, პენიანი ქუდის ტარების ნება დართეს. სხვებს კი გაცვეთილი ფრონტული ქუდებიც წააგლიჯეს და აქაური დაურიგეს).

ცეზარმა შუხოვს გაულიმა და მაშინვე გადაესკვნა ერთ ვინმე სათვალიან ჯეელს, მანამდე რომ სულ გაზეთს ჩაჰკირკიტებდა:

— ა-ა! პიოტრ მიხალიჩ!

და ვარდებივით გადაეფურჩქნენ ერთმანეთს. იმ ჯეელმა:

— ახალთახალი „საღამოს მოსკოვი" მაქვს, ნახეთ! ბანდეროლით გამომიგზავნეს.

— რას მეუბნებით?! — და ცეზარმაც იმ გაზეთში ჩარგო ცხვირი. ჭერზე დაკიდებული ნათურა კი ძლივს ბუუტავს, როგორ უნდა გაარჩიონ ის ნვრილად ნაბეჭდი?

— უშესანიშნავესი რეცენზიაა ზავადსკის პრემიერაზე!..

ეს მოსკოველები მეძებრებივით შორიდანვე იყნოსავენ ხოლმე ერთიმეორეს. მერე შეიყრებიან და სუნავენ და სუნავენ თავისე-

ბურად. თან მიაყრიან სხაპასხუპით, გეგონება — ვინ მეტ სიტყვას იტყვისო. და როცა ასე რატრატებენ, რუსულ სიტყვებს იშვიათად თუ გამოურევენ, გინდა მათთვის მოგისმენია და გინდა ლატვიელებ-ის ან რუმინელებისთვის.

მაგრამ ცეზარს ყველა თოფრა და ტომსიკა ხელში უჭირავს.

— მაშინ მე... ცეზარ მარკოვიჩ... — ჩლიფინებს შუხოვი. — იქნებ წავსულიყავი?

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, — ცეზარმა შავი ულვაშები გაზეთს მოსწყვიტა. — ესე იგი, ვის უკან ვდგავარ? ჩემს შემდეგ ვინაა?

შუხოვმა განუმარტა, ვინ ვის შემდეგ იდგა, მერე აღარ დაელო-და, ვიდრე ცეზარს თავად მოაგონდებოდა ვახშმის ამბავი, იქით შეეკითხა:

— ვახშამი მოგიტანოთ?

(ესე იგი — სასადილოდან ბარაკში ქვაბით თუ წამოგიღოთო. საჭმლის გამოტანა არასგზით არ შეიძლება, მრავალი ბრძანება გამო-იცა ამის თაობაზე. ვისაც მოახელთებენ, საჭმელს მიწაზე ულვრიან, კარცერშიაც სვამენ. მაინც არაფერი შველის, მაინც დააქვთ და არც მოეშვებიან ამ ამბავს, რადგან, ვისაც საქმე აქვს, ის ბრიგადასთან ერთად სასადილოში მოხვედრას ვერასდროს ვერ მოასწრებს).

მოგიტანოთ თუ არაო, შეეკითხა ცეზარს, თავისთვის კი გაიფიქრა: „ნუთუ ისე გაწუწკდები, რომ ვახშამი არ მიწყალობო? ფაფა ხომ არაა, ნყალწყალა ბალანდაა და მეტი არაფერი!..“

— არა, არა, — გაიღიმა ცეზარმა, — ვახშამი შენ შეჭამე, ივან დენისიჩ!

ამასღა ელოდა შუხოვი! ახლა ჩიტივით გამოფრთხიალდა საამა-ნათოდან და მოუსვა და მოუსვა ზონაში.

თავქუდმოგლეჯილი მირბი-მორბიან პატიმრები! ერთი პირობა ბანაკის უფროსმა ასეთი ბრძანებაც გამოსცა: არც ერთი პატიმარი ზონაში მარტო მიმავალი არ დავინახოო, სადაც კი შეიძლება, მთელი ბრიგადა მწყობრში ჩამდგარი წაიყვანეთო. სადაც მთელი ბრიგადის წაყვანა არ ხერხდება, — ვთქვათ, სანიტნაწილში ან საპირფარეშო-ში, — ჯგუფებად მოაწყეთ ოთხი-ხუთი კაცი, იმ ჯგუფს თავისი

უფროსი დაუნიშნეთ, თავისი ხალხი, სადაც საჭიროა სამწყობრო ნაბიჯით წაიყვანოს, იქ დაელოდოს და უკანაც მწყობრად მოაბრუნოსო.

ძალიან დაანვა უფროსი იმ თავის ბრძანებას. ურჩობა ვერავინ გაუბედა. ზედამხედველნი მარტოდ მიმავალთ იჭერდნენ, ნომრებსაც ინერდნენ, ციხეშიაც მიათრევდნენ — მაინც არაფერმა უშველა, გაცუდდა ბრძანება. შეუმჩნევლად გაცუდდა, ისევე როგორც მრავალი ფიცხელი ბრძანება გაცუდებულა. ვთქვათ, თავადვე გამოუძახეს კაცს ოპერთან — თან რაზმს ხომ ვერ გააყოლებენ? ანდა, ვთქვათ, შენ საწყობში მიგეჩქარება შენივე პროდუქტების მისაღებად, მე რა მენაღვლება, რატომ უნდა გამოგყვე? იმას კიდევ კულტ-სააღმზრდელო ნაწილში მოესურვა გაზეთების წაკითხვა, ვინ გიჟი აემგზავრება? ამას თექურები მიაქვს დასაკერებლად, ის საშრობში მიდის, ის კიდევ უბრალოდ ერთი ბარაკიდან მეორეში (თუმცა ბარაკ-ბარაკ სიარული ყველაზე მეტადაა აკრძალული!) — როგორ გინდა ყველა დააკავო?

იმ ბრძანებით ბანაკის უფროსს სურდა დარჩენილი თავისუფლებაც წაერთმია, მაგრამ არაფერი გამოუვიდა გაბერილს.

გაჩქარებულმა შუხოვმა ნინ შემოხვედრილ ზედამხედველს ყოველი შემთხვევისთვის ქუდი ცოტაზე მოუხადა და ბარაკში შევარდა. იქ აყალმაყალი დაუხვდა: დღისით ვიღაცისთვის პური აუნევიათ. მორიგეებს უყვირიან, მორიგეებიც ქაქანებენ, 104-ე კუთხე კი დაცარიელებულია.

შუხოვს სასიკეთოდ ის საღამო მიაჩნია, როცა ზონაში დაბრუნებულს ლეიბები აყრილ-დაყრილი არ დაუხვდება, ესე იგი, როცა დღისით ჩხრეკა არ მოუხდენიათ.

თავისი საწოლისკენ გავარდა შუხოვი, თან გზადაგზა ბუშლატი გაიხადა. ბუშლატი ზევით შეაგდო, ფოლადის ნაჭრიანი ხელთათმანიც იმას მიაყოლა. მერე ლეიბის სიღრმე ხელით მოსინჯა — დილანდელი პური ადგილზე დაუხვდა! გაუხარდა, რომ ჩაკერებული დატოვა.

მერე გარეთ გავარდა, სასადილოსკენ!

სასადილოს ისე მიატანა, ზედამხედველი არ გადაპყრია. მხოლოდ პატიმრები ხვდებოდნენ, მოდიოდნენ და ულუფის თაობაზე მოკამათობდნენ.

გარეთ მთვარის შუქს ყველაფერი გაუჩახჩახებია. ფანრები ყველგან მიმქრალი ჩანს, ბარაკებიდან შავ-შავი ჩრდილები დაცემულა. სასადილოში ოთხსაფეხურიანი პარმაღიდან უნდა შეხვიდე. ახლა ის პარმაღიც ჩრდილში მოქცეულა. ოღონდ მის თავზე ფანარი ირწევა აქეთ-იქით.

ბანაკის უფროსს ერთი ასეთი მკაცრი ბრძანებაც ჰქონდა გაცემული: ბრიგადებმა სასადილოში ორ-ორ კაცად დამწკრივებულებმა იარონო. შემდეგ: სასადილოს რომ მიადგებიან, პარმაღზე არ ავიდნენ, ხუთ-ხუთად დაეწყონ და დაელოდონ, ვიდრე სასადილოს მორიგე არ შეუშვებსო.

სასადილოს მორიგეობას არავის უთმობდა ჩოლოხა. თავისი კოჭლობა ინვალიდობად გაასაღა, ისე კი ჯან-ღონით სავსეა ის მამაძაღლი. ერთი არყის ხის არგანი გაიჩინა და პარმაღიდან იმ არგანს მოსდებს ხოლმე, ვინც სხვა ბრიგადასთან მიძვრება. ოღონდ ყველას კი არ ურტყამს — საზრიანი კაცია. ხალხს სიბნელეში ზურგიდანაც ცნობს და იმას ხელს არ ახლებს, ვისაც შეუძლია იქით მიაკეროს სიფათში. დაჯაბნებულებს ურტყამს. ერთხელ შუხოვსაც მოსდო.

„მორიგე" ჰქვია, ისე კი, კაცმა რომ შეხედოს, ნამდვილი თავადიშვილია! — მზარეულებთან ძმაკაცობს!

დღეს არ ვიცი ყველა ბრიგადა ერთ დროს მიაწყდა, არ ვიცი წესრიგს დიდხანს ამყარებდნენ, პარმაღს უამრავი ხალხი მისევია. პარმაღზე კი ჩოლოხა, მისი ნაბიჭვარი და თავად სასადილოს გამგე დგანან. უზედამხედველებოდ ართმევენ საქმეს თავს ოხრები.

სასადილოს გამგე ნაპატივები ღორია... თავი გოგრასავით ადგას, არშინის სიგანე მხარბეჭი ექნება. ძალა იმდენად მოსჭარბებია, რომ დადის, გეგონება ზამბარებზე შემდგარი მიქანაობსო, თითქოს ხელფეხიც ზამბარისა ჰქონდეს. თეთრი ბეწვის უნომრო ქუდში დაბრძანდება, არც ერთ თავისუფალს იმგვარი ქუდი არ გააჩნია. ცხვრის ბეწვის ჟილეტი აცვია და იმ ჟილეტზე გულთან ერთი ბეწო, საფოსტო მარკისოდენა ნომერი აქვს მიკრული — ვოლკოვოის ხათრით,

თორემ ზურგზე ნომერიც არ აკერია. სალამს არავის აძლევს სასადილოს გამგე, მისი კი ყველა პატიმარს ეშინია. ცალ ხელში ათასი სიცოცხლე უპყრია. ერთხელ ცემა დაუპირეს, მაგრამ ყველა მზარეული მის საშველად გამოვარდა.

უბედურება ის იქნება, თუ ას მეოთხემ უკვე გაიარა. ჩოლოხა მთელ ბანაკს სახეზე იცნობს და სასადილოს გამგის თანდასწრებით არასგზით არ გაატარებს, განზრახ ატეხავს ერთ ამბავს.

მართალია, ზოგჯერ ჩოლოხას ზურგს უკან პარმაღის მოაჯირზე ძვრებიან ხოლმე პატიმრები. შუხოვიც გადამძვრალა. მაგრამ სასადილოს გამგის აქ ყოფნისას არ გამოვა ეს ამბავი — შეიძლება ერთი ისეთი მოგაკეროს, სანიტნაწილში ამოგაყოფინოს თავი.

ჩქარა, როგორმე ჩქარა უნდა გააღწიოს პარმაღისკენ, გადაშავებულ, ერთნაირ ბუშლატებს შორის უნდა გაარჩიოს სიბნელეში — კიდევ აქ არის თუ არა 104-ე.

ამასობაში მიაწვენ და მიაწვენ ბრიგადები (მეტი რა გზა აქვთ — საცაა ძილის ზარს ჩამორეკავენ!), — თითქოს ციხის ასაღებად მიჩეხილიყვნენ — პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე საფეხური გადალახეს, პარმაღზე აიჭრენ.

— დადე-ექ! — ღრიალებს ჩოლოხა და მეწინავეებს არგანს უღერებს. — დაიხიე-ე! თავს გავუპობ ვიღაცა იქნება!

— ჩვენ რას გვერჩი! — ყვირიან მეწინავენი. — უკანები გვაწვებიან!

უკანანი კი აწვებიან, ეგ მართალია, მაგრამ არც წინანი უძალიანდებიან მაინცდამაინც, სასადილოში შევარდნას ლამობენ.

მაშინ ჩოლოხამ თავისი არგანი მიძალებულ მკერდებს გარდიგარდმო მიაბჯინა, თითქოს შლაგბაუმით გზა გადაეკეტოს, და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მიაწვა მეწინავეებს. ჩოლოხას თანაშემწეც იმ არგანს მიეტანა, ბოლოს სასადილოს გამგემაც იკადრა ხელის გასვრა.

მოდგენ და მოაწვნენ, ძალა არ ეყოფოდათ თუ რა — მაგათ ხორცი ეშოვებათ საჭმელად! მოაწვნენ და დაახევინეს, წინანი უკანებს შეაწყვიტეს, ძნებივით გადმოყარეს ზემოდან.

— ჩოლოხ, შე ჩათლახო... თავს გაგიხეთქავ!.. — ყვირის ვიღაც ხალხში შემალული. სხვები ხმის გაულებლად დაეცნენ და ხმის გაულებლადვე დგებიან, ჩქარობენ — არ გაგვთელონო.

დააცარიელეს კიბის საფეხურები. სასადილოს გამგე გვერდზე გადგა, ჩოლოხა კი ზედა საფეხურთან გაჩერდა და ჭკუა დაარიგა:

— ხუთ-ხუთი უნდა მოეწყოთ, ბრიყვებო, რამდენჯერ უნდა გითხრათ?! როცა საჭირო იქნება, მე თვითონ გაგატარებთ!

ზედ პარმაღთან სენკა კლევშინის მინაგვარ თავს ჰკიდა თვალი შუხოვმა, უცნაურად გაიხარა, იდაყვები იხმარა და იქით გზის გაკაფვა სცადა. ზურგები ერთიმეორეზე მიუბჯენიათ, რას გახვალ, რას გააღნევ. რა ძალა გეყოფა!

— ოცდამეშვიდე, შემოდი! — დაიძახა ჩოლოხამ.

ოცდამეშვიდე საფეხურებს მიანყდა და მირბის კარებისკენ. მის უკან ისევ გაიჭედა კიბეები და უკანანიც მოაწვნენ და მოაწვნენ. შუხოვიც აწვება, რაც გაეწყობა. პარმაღი ირყევა, მაღლა დაკიდებული ფანარი აქანავდა.

— კიდე-ევ?! — გაცეცხლდა ჩოლოხა, მოსდო და მოსდო ვიღაც-ვიღაცებს თავისი ჯოხი, ურტყამს და აყრის ერთმანეთზე.

ისევ დააცარიელა კიბე.

ქვემოდან ხედავს შუხოვი — კიბეზე პავლო ავიდა, ჩოლოხას გვერდით დადგა. ბრიგადა პავლოს დაპყავს სასადილოში, ტიურინი არ კადრულობს ამ ორომტრიალში გარევას.

— ას მეოთხე, ხუთ-ხუთი მოეწყეთ! — გადმოსძახის პავლო. — თქვენ ცოტა გვერდზე მიდექით, მეგობრებო!

ჩემ ფეხებს მიგიდგებიან გვერდზე მეგობრები!

— გამატარე, შე კაი კაცო, მეც იმ ბრიგადიდან ვარ! — ექაჩება შუხოვი.

კი გაატარებდა, მაგრამ თვითონაც ისეა გაჭედილი, ვერ განძრეულა.

ირწევა, ჯაჯგურობს, სულს იხუთავს ხალხი, — ბალანდა უნდა მოიპოვოს, კუთვნილი ბალანდა.

მაშინ შუხოვმა სხვა გზა აირჩია: მარცხნივ გადასწედა, მოაჯირს ჩააფრინდა. მერე სვეტს მოეპორწიალა და დაეკიდა, ფეხები მიწას

მოსნყვიტა. ვიღაცის მუხლი დაწიხლა, ვიღაცამ აქეთ უთაქა გვერდში, ერთი-ორჯერ მაგრადაც შემოუკურთხეს, მაგრამ ამასობაში გაძვრა კიდეც: ცალი ფეხი პარმაღის კარნიზზე შემოდგა და გაჩერდა. ის იყო, თავისიანებმაც დაინახეს და ხელი გამოუწოდეს.

მიმავალმა სასადილოს გამგემ კარებში მოიხედა:

— მიდი, ორი ბრიგადაც გამოუშვი!

— ას მეოთხე! — იყვირა ჩოლოხამ. — შენ სადღა მოძვრები, შენი...

თან არგანს ატრიალებს და უბარტყუნებს ერთს თუ მეორეს.

— ას მეოთხე! — ყვირის პავლო და თავისიანებს ატარებს.

— უ-უჰ! — შევარდა სასადილოში შუხოვი. მერე აღარ დაუცდია, ვიდრე პავლო უბრძანებდა — თავად გაეშურა დაცლილი სინების საძებრად.

სასადილოში, როგორც ყოველთვის, ორთქლი ბოლქვა-ბოლქვა მოდის კარებიდან. მაგიდებთან ერთიმეორეზე მიჭეჭყილა ხალხი, გასასვლელებში მიდი-მოდიან, ჯიკაობენ, სავსე სინებს დაატარებენ. მაგრამ შუხოვი რა ხანია შეეჩვია ამგვარ ამბებს, თვალი განაფული აქვს. ხედავს შჩ-208 სინით ხუთიოდე ჯამს მოარბენინებს. ესე იგი, უკანასკნელი ულუფები წამოუღია, თორემ რატომ მეტს არ დადგამდა?

წამოეწია და ყურში ეუბნება:

— მეგობარო, შენს მერე სინზე მე ვიდგები!

— სარკმელთან ერთი ბიჭი რომ მელოდება! იმას შევპირდი...

— იმას ბუს კვერცხები, რას დაუღია პირი!

მორიგდნენ.

მიიტანა სინი ადგილზე, დაცალა, ხელი წავლო შუხოვმა სინს და ამ დროს ის შეპირებულიც მოვარდა, მეორე მხრიდან ის ჩააფრინდა. არადა შუხოვზე მეტადაა ის უბედური დალეული. შუხოვმა იქითვე უბიძგა, საითაც მისი მოქიშპე ექაჩებოდა. მოქიშპეს ხელი გაეშვა, სვეტისკენ წაბარბაცდა, შუხოვმა კი სინი იღლიაში ამოიჩარა და სარკმლისკენ გაიქცა.

პავლო რიგში ჩამდგარა, ხელცარიელს მოუწყენია. გაიხარა:

— ივან დენისიჩ! — და ოცდამეშვიდის ბრიგადირის თანაშემწეს მუჯლუგუნი გაჰკრა: — გამატარე! ტყუილად რას დაყუდებულხარ? მე აგერ სინი მაქვს!

გაიხედეს და იმ ცულლუტ გოპჩიკსაც დაუთრევია სინი.

— პირი დაეღოთ იმ დოყლაპიებს და ავართვი, — იკრიჭება.

ჯიგრიანი პატიმარი დადგება გოპჩიკი. ერთი სამ წელიწადს კიდევ წამოიზარდოს და მერე — პურის მჭრელზე ნაკლებ კაცად ყოფნა არ უწერია.

მეორე სინის წამოღება პავლომ ჯანიან ციმბირელს ერმოლაევს უბრძანა (ესეც ტყვედ ნამყოფობისთვის ჩაუჯენიათ და ათი მიუციათ). გოპჩიკი გაგზავნა და დაავალა — ნახე, „სერობას“ რომელ მაგიდაზე ამთავრებენო. შუხოვმა კი თავისი სინი სარკმელს მიადგა და ელოდება.

— ას მეოთხე! — მოახსენებს სარკმელში პავლო.

სულ ხუთი სარკმელია: სამი — კერძების გასაცემი, ერთი იმათთვისაა, ვინც სიის მიხედვით ღებულობს საჭმელს (ათიოდე კუჭის წყლულით დაავადებული და აგრეთვე, ქურდული ავტორიტეტის წყალობით, მთელი ბუღალტერია), და ერთიც — ნახმარი ჭურჭლის დასაბრუნებელი (ამ სარკმელთან ჯამის მლოკავები ამტვრევენ ცხვირპირს ერთმანეთს). სარკმლები დაბალ-დაბალზეა დატანებული, მათში თავად მზარეულები არ ჩანან, მხოლოდ ხელები მოჩანს და ჩამჩები.

ნაპატივები, პუნტულა, ოღონდ ბალნიანი და ჯანმაგარი ხელები აქვს მზარეულს. ნაღდი მოკრივეა და არა მზარეული. ფანქარი აიღო და თავისთვის კედელზე დაინიშნა:

— ას მეოთხეს — ოცდაოთხი!

პანტელეევიც შემობრძანდა სასადილოში. არაფერი ავად არაა ის ძაღლიშვილი.

მზარეულმა ვეება, ასე — სამლიტრიანი ჩამჩა მოიმარჯვა, მიდგა და ურევს და ურევს ქვაბს (ახალავსებული ქვაბია, ლამის გაპიპინებული, სულ ოხშივარი ასდის). მერე შვიდას ორმოცდაათგრამიან ჩამჩას წამოავლო ხელი და დასხმას შეუდგა.

— ერთი, ორი, სამი, ოთხი...

შუხოვმა მოინიშნა, რომელი ჯამები შეივსო, ვიდრე სისქე ფსკერზე დაილექებოდა, და რომელი იყო უფრო წყალწყალა. სინზე ათი ჯამი დაიდგა და წაიღო. მეორე რიგის სვეტებიდან გოპჩიკი ხელს უქნევს:

— აქეთ, აქეთ, ივან დენისიჩ!

ჯამებს ჰაიჰარად ვერ წაიღებ. დინჯად მიდის შუხოვი, ფრთხილობს, არავინ უბიძგოს, ოღონდ პირს არ აჩერებს:

— ეი, ხ-ცხრაას მეოცე!.. მომეცალე, ძია კაცო!.. ჩამოდექი, ბიჭო!

ასეთ ორომტრიალში ერთი ჯამის დაუღვრელად წაღებაც მაგარი საქმეა, ათზე ხომ რაღა ითქმის! მაინც იმდენი მოახერხა, გოპჩიკის მიერ გაცლილი მაგიდის კუთხეში სინი შეუტოკებლად ჩამოდგა. ისიც მოისაზრა, სინი ისე დაედგა, რომ იმ კუთხეში, სადაც თავად აპირებდა ჩამოჯდომას, ყველაზე სქლად დასხმული ორი ჯამი მოხვედრილიყო.

ერმოლაევმაც მოიტანა ათი ჯამი. გოპჩიკი გაიქცა და პავლოს უკანასკნელი ოთხი ჯამი ხელით წამოაღებინა.

კილგასმა პურიანი სინი ჩამოდგა. დღეს პურს მუშაობისდა მიხედვით აძლევენ — ზოგს ორასი ერგება, ზოგს — სამასი, შუხოვმა კი ოთხასი დაიმსახურა. თავის ოთხასად პურის ყუა დაითრია, ცეზარის ორასი შუა ნაწილიდან შეარჩია.

ამასობაში ბიჭებიც მოგროვდნენ. ვახშამი მიიღე და მერე სადაც მოახერხებ, იქ ჩამოჯექი და ჭამე. შუხოვი ჯამებს არიგებს. თან იმას იმახსოვრებს, ვის მისცა, თან თავის ჯამებზეც უჭირავს თვალი. ერთ-ერთში კოვზიც ჩადო წინასწარ, ესე იგი — უკვე გაცემულიაო. ფეტიუკოვმა თავისი ჯამი პირველთაგანმა მიიღო და იქაურობას გაეცალა: ბრიგადაში მაინც არავინ მახეირებს და სჯობს მთელ სასადილოს ჩამოვუარო, იქნებ ვინმემ საჭმელი მოირჩინოსო — იფიქრა (თუკი ვინმეს საჭმელი მორჩა, იმის ჯამს ქორებივით დააცხრებიან, ზოგჯერ რამდენიმე ერთად წაეტანება).

პავლოც მოვიდა და ერთად გადათვალეს ჯამები. თითქოს სწორი უნდა გამოდიოდეს. შუხოვმა ბრიგადირისთვის ერთ-ერთი სქლად დასხმული ჯამი მიაწოდა და პავლომ ის ჯამი ვიწრო ქვაბში დაა-

პირქვავა: აქედან გასვლისას ქვაბს ბუშლატქვეშ ამოიდებს და ისე გაიტანს.

სინები დაუბრუნეს. პავლო თავის ორმაგ ულუფას მიუჯდა, შუხოვი — თავის ორ ჯამს. და მერე ხმა აღარც ერთს აღარ ამოუღია — ნეტარი წუთები დასდგომოდათ.

შუხოვმა ქუდი მოიხადა, მუხლებზე დაიდო. კოვზი მოურია, ჯერ ერთი ჯამი შეამოწმა, მერე მეორე. არა უშავს რა, თევზიც მოხვედრილა ცოტაოდენი. ისე კი ბალანდა საღამოს მუდამ უფრო წყალწყალაა ხოლმე, ვიდრე დილდილობით: დილით პატიმარი უნდა დააპურო, რათა მუშაობა შეძლოს, საღამოს კი ისედაც კარგად დაიძინებს.

შეუდგა ჭამას. ჯერ მარტო სითხე ხვრიპა. ცხელი წვენი რომ ჩაეღვარა და მთელ სხეულს მოედვა, შიგანმა სულ კანკალი დაუწყო. კარგია-ა! აი ის ხანმოკლე წუთი, რომლისთვისაც ცხოვრობს პატიმარი!

ამ წუთში არაფერი სწყინს შუხოვს: არც ის, რომ პატიმრობის გრძელი ვადა აქვს მისჯილი, არც ის, რომ დღეა ასე გრძელი, არც ის, რომ კვირადღე ისევ დაუკარგეს. ახლა მხოლოდ ერთ რამეს ფიქრობს: გავუძლებთ! ყველაფერს გავუძლებთ, ღვთის წყალობით დამთავრდება!

ორივე ჯამში წვენი რომ ამოხვრიპა, ერთი ჯამი მეორეში ჩააპირქვავა და კოვზით გამოფხიკა. ასე უფრო გულმშვიდად შეეძლება ჭამა, მეორე ჯამის თვალთვალი და დარაჯობა აღარ მოუხდება.

თვალებმა მოიცალეს თუ არა, მეზობლების ჯამებისკენ გაექცნენ. მარცხენა მეზობელს ცარიელი წყალი შეხვედრია. ხედავ, რას გვიკეთებენ ეგ ჩათლახები! მერე ვინ, ისევ ჩვენისთანა პატიმრები!

კომბოსტოსა და წვენის ნარჩენს შეექცა შუხოვი. კარტოფილი სულ ერთი ცალი შეხვდა — ცეზარის ჯამში აღმოჩნდა. ასე, საშუალო ზომის კარტოფილი იყო, რაღა თქმა უნდა, დამზრალი, შემაგრებული და სიტკბოდაკრული. თევზი თითქმის არსად ჩანს, ხანდახან თუ გამოკრთება ცარიელი ჩონჩხი. მაგრამ ძვალი იქნება თუ ფარფლი, გულდასმით უნდა დაღეჭო, გამონუწნო — მათში წვენია, მარგებელი წვენი! რაღა თქმა უნდა, ამას დრო სჭირდება, მაგრამ ახლა შუხოვს აღარსად ეჩქარება, დღეს აღდგომა გაუთენდა: სადილად

ორი და ვახშმადაც ორი ულუფა მოიგდო ხელში. ასეთ დროს კაცმა სხვა საქმეები შეიძლება გადადო კიდეც.

ერთი კია — ლატვიელთან უნდა შეიაროს თამბაქოზე. დილამდე იქნებ აღარ შერჩეს თუთუნი.

შუხოვი უპუროდ ვახშმობდა: ორი პორცია და ზედაც პური მეტი მოუვა. პური სახვალიოდ გამოადგება. სტომაქი დიდი ავაზაკია, ძველ სიკეთეს არ დაგიფასებს, ხვალაც აგიწრიალდება.

თავის ბალანდას შეექცეოდა შუხოვი და მაინცდამაინც არ ცდილობდა შეემჩნია, თუ რა ხდებოდა გარშემო, რადგან არც იყო საჭირო: კიდევ რამის შოვნას აღარ ფიქრობდა, თავის კანონიერსა და შესარგოს ჭამდა. და მაინც შენიშნა, რომ მის პირდაპირ ერთი მაგიდის იქით ადგილი გათავისუფლდა და იმ ადგილზე მაღალ-მაღალი ბერიკაცი ი-81 დაჯდა. შუხოვმა იცოდა, რომ ის მოხუცი 64-ე ბრიგადელი იყო, ხოლო საამანათოში შეიტყო, რომ დღეს ას მეოთხის ნაცვლად სნორედ სამოცდამეოთხე წასულა სოცქალაქში სამუშაოდ — იმ საყინულეში ეკლიანი მავთულის საჭიმავად და ისევ თავისთვისვე ზონის შემოსაღობად.

შუხოვს გაგონილი ჰქონდა: კაცმა არ იცის, რამდენი ხანია, რაც ეს ბერიკაცი ბანაკებსა და ციხეებში ზის, არც ერთი ამნისტია არ მიუდგა, ერთ ათ წელიწადს რომ მოათავებს, მაშინვე მეორეს აძლევენო.

ახლა ის მოხუცი ახლოდან შეათვალიერა შუხოვმა. მობანაკეთა გადრეკილ ზურგებს შორის მისი სწორი ზურგი მაშინვე გამოირჩეოდა. მაგიდასთან მიმჯდარს რომ შეხედავდი, იფიქრებდი — ქვეშ კიდევ რაღაც ამოუდვია და იმაზე დამჯდარაო. ტიტველ თავზე მოსაპარსი კარგა ხანია აღარაფერი ჰქონდა — კარგი ცხოვრების წყალობით თმა ერთიანად გასცვენოდა. ბერიკაცის მზერა ირგვლივ გამეფებულ ორომტრიალს კი არ იყო მიდევნებული, შუხოვს გადაღმა რაღაც სათავისოს მისციებოდა. წყალწყალა ბალანდას ხის კოვზით დინჯად ჭამდა, ოღონდ თავი სხვებივით ჯამში კი არ ჰქონდა ჩარგული, კოვზი მაღლა-მაღლა მიჰქონდა პირთან. არც ზედა კბილები ჰქონდა და არც ქვედა, არც ერთი კბილი არ მოეძევებოდა: გაქვავებული ნუნები ღეჭავდა პურს კბილების ნაცვლად. მოღლილი

სახე ჰქონდა, მაგრამ მაინც მისავათებული ინვალიდის სახეს კი არ უგავდა, არამედ თლილ ქვას, ჩამუქებულს. დიდრონ ხელებზეც, დამსკდარსა და ჩაშავებულ ხელებზე ეტყობოდა, რომ მთელი ამ წლების მანძილზე იშვიათად ეცხოვრა ნებივრად და მოსვენებით. და მაინც არ იშლიდა თავისას: პურის ნაჭრები ბინძურსა და დაწუწულ მაგიდაზე კი არ ედო სხვებსავით, გარეცხილ ჩვარზე დაელაგებინა.

მაგრამ შუხოვს მისი თვალიერებისთვის არ ეცალა. ჭამა მოათავა, კოვზი გალოკა და ჩექმაში ჩაიდო, ქუდი დაიხურა, წამოდგა, თავისსა და ცეზარის პურს ხელი დაავლო და გარეთ გამოვიდა. გამოსასვლელი მეორე პარმაღის მხარეს ჰქონდა სასადილოს. იქაც ორი მორიგე იდგა. მათი საქმე მხოლოდ ის იყო, რომ რაზა გაეწიათ, ხალხი გაეტარებინათ და მერე ისევ ჩაეკეტათ კარი.

გამოვიდა სტომაქამოვსებული, საკუთარი თავის კმაყოფილი შუხოვი და გადაწყვიტა: მართალია, ძილის ზარი მალე იქნება, მაგრამ მაინც შევირბენო ლატვიელთან. ამიტომ პურის შესანახად თავის ბარაკში აღარ შეუვლია, პირდაპირ მეშვიდესკენ გაალაჯა.

მთვარე ძალიან მაღლა ასულიყო, დაწმენდილი, ქათქათა — ცაზე ამოტვიფრულს ჰგავდა. ზეცა მოკრიალებულიყო. აქა-იქ ვარსკვლავები კაშკაშებდა. მაგრამ ცის საცქერლად კიდევ უფრო ნაკლები დრო ჰქონდა შუხოვს. ერთი კი გაიფიქრა — ყინვა არ აპირებსო დატკბობას. ზოგ-ზოგიერთებს ყური მოუკრავთ: საღამოს ოცდაათ გრადუსამდეა მოსალოდნელი, დილას — ორმოცამდეო.

შორით ისმოდა: სადღაც სოფელში ტრაქტორი თუხთუხებდა, ხოლო თემშარის მხარეს ექსკავატორი აჭრიალებულიყო. ეს ისმოდა და ბანაკში მოსიარულეთა თუ მორბენალთა ჩექმების ჭრაჭაჭრუჭი.

ქარი არ ქროდა.

ის შინაური თუთუნი შუხოვს იმავე ფასად უნდა ეყიდა, როგორც წინათ ყიდულობდა — ჭიქა მანეთად. თუმცა ბანაკს გარეთ ამგვარი ჭიქა სამ მანეთად და, ხარისხის მიხედვით, მეტადაც ფასობდა. საკატორღო ბანაკში ყველაფერს თავისი, უჩვეულო ფასი ჰქონდა, რადგან ბანაკში ფულის შენახვა არ შეიძლებოდა, ცოტა ვინმეს თუ მოეძევებოდა და ერთობ ძვირი ღირდა. ამ ბანაკში მუშაობისთვის კაპიკსაც არ იძლეოდნენ (უსტ-იჟმში შუხოვი თვეში ოცდაათ მანეთს

მაინც ღებულობდა). ხოლო თუ ვინმეს ნათესავები ფოსტით გადმოუგზავნიდნენ, იმ ფულს ხელზე მაინც არ იძლეოდნენ, პირად ანგარიშზე ურიცხავდნენ. პირად ანგარიშზე ჩარიცხული ფულით თვეში ერთხელ შეგეძლო ფარდულში გეყიდა ტუალეტის საპონი, დაობებული ნამცხვარი და სიგარეტი „პრიმა“. მოგწონს საქონელი თუ არ მოგწონს, რა თანხაზეც შეიტანეს უფროსთან განცხადება, იმდენისა იყიდე. არ იყიდი და სულ ერთია, ფული დაგეკარგება — ჩამოგანერენ.

შუხოვი ფულს კერძო სამუშაოთი თუ შოულობდა: ვინმეს ფაჩუჩებს შეუკერავ მისივე ჩვრებით — ორი მანეთი, სათბურს დაუკერებ და ამაშიც მოგცემენ გარიგების კვალობაზე.

მეშვიდე ბარაკი მეცხრეს არა ჰგავს, ორი დიდი ნაწილისაგან არ შედგება. მეშვიდე ბარაკში გრძელი დერეფანია, შიგ ათი კარი გამოდის, ყოველ ოთახში თითო ბრიგადაა, შვიდ-შვიდი ვაგონკა დგას. ჰო, კიდევ პარაშის დასადგმელი კაბინაა და ბარაკის უფროსის კაბინა. მხატვრებიც კაბინაში ცხოვრობენ.

იმ ოთახში შევიდა შუხოვი, სადაც მისი ლატვიელი ეგულება. ლატვიელი წამოწოლილა, ფეხები მაღლა შემოუწყვია და მეზობელს ეღარღალება ლატვიურად.

გვერდით მიუჯდა შუხოვი, გამარჯობათო. გაგიმარჯოს. ფეხები არ ჩამოუწევია. პაწაწკინტელა ოთახია, იმავე წუთში ყველამ ყური ცქვიტა — ვინ მოსულა, რაზე მოსულაო. ორივემ იცის ეს ამბავი და ამიტომ შუხოვი ზის და აჭიანურებს: — რაო, როგორ გიკითხოთ? რა გვიჭირს. ცივა დღეს ძალიან, ცივა, აბა!

ბოლოს, როცა ყველანი ისევ თავ-თავიანთ სალაპარაკოს მიუბრუნდნენ (კორეის ომის გამო დაობენ: რაკი ჩინელებიც ჩაერივნენ, მსოფლიო ომი ატყდება თუ არაო), შუხოვი ლატვიელისკენ დაიხარა:

— გაქვს თუთუნი?

— მაქვს.

— მაჩვენე.

ლატვიელმა ფეხები ჩამოიღო, წამოიწია. დიდი წუწურაქია ეს ლატვიელი, ჭიქას რომ გიესებს, სულ იმის კანკალშია — ერთი გახვევით მეტი არ გადმოგაყოლოს.

უჩვენა შუხოვს ქისა, პირი გაუხსნა.

შუხოვმა ხელისგულზე დაიყარა, დააკვირდა: იგივე თამბაქოა, ამას წინათ რომ ჰქონდა, ფერიც ისეთივე აქვს და დაჭრილიც ისეა. ცხვირთან მიიიტანა, დაყნოსა. მერე ლატვიელს ეუბნება:

— ის თუთუნი არ უნდა იყოს, მგონი.

— ისაა, ის! — გაწყრა ლატვიელი. — სხვანაირი არც როდის არ მომდის, ყოველთვის ამნაირი მაქვს ხოლმე!

— კარგი, — დაყაბულდა შუხოვი. — ერთი ჭიქა დამიტენე, მოვწევ და იქნება მეორეც წავიღო.

დამიტენეო, იმიტომ უთხრა, რომ იცის — უხვავოდ გაუვსებს ლატვიელი.

ლატვიელმა ბალიშქვეშიდან მეორე, უფრო გატენილი ქისა გამოაძვრინა, მერე ჭიქა გამოიღო. პლასტმასის ჭიქა, მაგრამ გაზომილი აქვს შუხოვს... თლილი ჭიქისოდენა ჩადის შიგ.

უყრის.

— დატენე ცოტა, დატენე! — შუხოვი თვითონ აშველებს თითს.

— მე უკეთ ვიცი! — ჯავრობით არიდებს ჭიქას ლატვიელი და თავად ტენის, ოღონდ ძალას კი არ ატანს. მერე ისევ უყრის.

ამასობაში შუხოვმა სათბური შეიხსნა და სარჩულს შიგნით, ბამბაში მხოლოდ მისი ხელისთვის საგრძნობი ქაღალდი მოსინჯა. მერე იმ ქაღალდს ორივე ხელით მოუნაცვლა და მოუნაცვლა ადგილი, ბამბას გამოაყოლა პატარა ნახვრეტისაკენ, რომელიც სულ სხვა ადგილას იყო გარღვეული და მერე მსუბუქად ამონემსილი. იმ ხვრელამდე რომ მოაღწევინა, ძაფი გაწყვიტა, ქაღალდი სიგრძეზე კიდევ ორად გაკეცა (თუმცა ისედაც გრძლად იყო გაკეცილი) და გამოაძვრინა. ორი მანეთი იყო. გაცრეცილი მანეთიანები. არ ტკაცუნობდა.

ზემოთ ვიღაც ღრიალებს:

— შეგიცოდებთ ულვაშიანი ძია, თქვენმა მზემ! საკუთარ ძმას არ ენდობა, თქვენისთანა ჩერჩეტებს კი არა!

საკატორღო ბანაკი იმითაა კარგი, ენაზე რაც მოგადგება, ილაპარაკე რამდენიც გინდა. უსტ-იუმის ბანაკში ჩურჩულით რომ გეთქვა — თურმე ასანთი არ იშოვნებაო, ჩაგსვამდნენ და მეორე ათ ნე-

ლინადს მოგარტყამდნენ. აქ კიდევ რაც გინდა იყვირე — მოენეები აღარ გაბეზღებენ, ოპერებს ხელი აქვთ ჩაქნეული.

ოღონდ აქ ბევრი ლაილაის დრო არაა ახლა...

— ეჰ, მეჩხრად მიყრი, — დაიჩივლა შუხოვმა.

— აჰა, აჰა, კარგი! — დაამატა ცოტაოდენი ლატვიელმა.

შუხოვმა გულის ჯიბიდან თავისი ქისა ამოიღო და თამბაქო ჩაიყარა.

— კარგი, — გადაწყვიტა მერე, არ უნდოდა პირველი სანუკვარი პაპიროსი გზადაგზა მორბენალს მოეწია. — მეორეც გამივსე.

კიდევ ედავა და ეკინკლავა, მერე ის მეორე ჭიქაც ჩაიყარა, ორი მანეთი დაუტოვა, დაემშვიდობა და წამოვიდა.

გარეთ გამოსული ისევ სირბილით გაეშურა, რათა ამანათიანად დაბრუნებულ ცეზარს არ ასცდენოდა.

ცეზარი უკვე თავის საწოლზე ჩამომჯდარიყო და ამანათში ბუჯურობდა. რაც მიიღო, ყველაფერი წინ გაეშალა, ოღონდ მის საწოლს ნათურის შუქი პირდაპირ არ ეცემოდა, შუხოვის საწოლით იყო დაჩრდილული, და ამიტომ ბევრი არაფერი ჩანდა.

შუხოვი დაიხარა, კაპიტნისა და ცეზარის საწოლებს შუა შეაბიჯა და ცეზარს საღამოს ულუფა გაუწოდა.

— თქვენი პური, ცეზარ მარკოვიჩ!

ის არ უთქვამს — ამანათი მიიღეთო? ამგვარად თქმა სიტყვის გადაკვრა იქნებოდა — რიგი რომ დაგიკავე, ახლა წილი მერგებაო. ისედაც იცოდა, რომ ერგებოდა წილი. მაგრამ შუხოვი რვა ნელიწადს საერთო სამუშაოზე ყოფნამაც არ გააწუწკა და, რაც დრო გადიოდა, მით უფრო უმტკიცდებოდა ხასიათი.

ოღონდ თავის თვალებს კი ვერაფერს მოუხერხებდა. მისმა თვალებმა, ბანაკის მკვიდრის ქორივით თვალებმა ერთ წამში მოიფათურეს ცეზარის მთელი ავლადიდება და, თუმცა ქაღალდის პარკებიც ბოლომდე არ იყო გაშლილი და რამდენიმე ტომსიკაც გაუხსნელად ეწყო, — ამ სწრაფი მიმოხილვისა და ყნოსვის მეოხებით შუხოვმა უნებურად შეიტყო, რომ ცეზარს ძეხვი, შედედებული რძე, დაშაშხული თევზი, ლორი, სურნელოვანი ორცხობილა, კიდევ სხვა სურნელის მქონე ნამცხვარი, ასე, ორ კილომდე შაქარი, მგონი, კარა-

ქი, სიგარეტები, ჩიბუხის თამბაქო და კიდევ რაღაც-რაღაცები მიეღო.

და ყოველივე ამას იმ ხანმოკლე დროის მანძილზე მიხვდა, ვიდრე მოასწრებდა ეთქვა:

— თქვენი პური, ცეზარ მარკოვიჩ!

მაგრამ აფორიაქებულმა და მთვრალივით არეულმა ცეზარმა (პროდუქტების ამანათის მიღებისას ყველა ასე იქცევა) ხელი ჩაიქნია:

— შენ გქონდეს, ივან დენისიჩ!

ბალანდა და ზედაც ორასი გრამი პური ერთი მომთავრებული ვახშამი იყო. და, რა თქმა უნდა, ცეზარის ამანათიდან შუხოვს თავისი წილი უკვე მიღებული ჰქონდა.

ამიტომ შუხოვი ფიცხლად გამოტრიალდა, ცეზარის წინ გაშლილი ნუგბარეულიდან სათავისოდ აღარაფერი მიუჩნევია. იმაზე ცუდი არაფერია, როცა სტომაქს ამაოდ დაიიმედებ და მოაღორებ.

ოთხასი გრამი პური აქვს აგერ და კიდევ ორასი, ლეიბშიაც ორასამდე იქნება ჩაკერებული. კმარა, ორასს ახლავე გადაუძახებს, ხვალ დილით ხუთას ორმოცდაათს დათოხლავს და ოთხასსაც სამუშაოზე გაიყოლებს — აშენდა და ესაა! ლეიბში ჩაკერებული იყოს თავისთვის. კარგი ქნა, რომ ჩააკერა — ეგერ, სამოცდამეთხუთმეტეში ვიღაცისთვის აუნევიათ. წადი ახლა და იჩივლე სადაც გინდა.

ზოგს ასე ჰგონია: ამანათის მიმღები დიდი ქონების პატრონია, რასაც მოასწრებ უნდა დაცინცლოო! სინამდვილეში — როგორც იოლად მოდის ამანათი, ისევე იოლად იფლანგება. ზოგჯერ ამანათის მომლოდინენი მისი მიღების წინაც კი ჩალიჩობენ — იქნებ როგორმე ზედმეტი ულუფა მოვიგდოთ ხელში, ვინმეს ნამწვი გამოვტყუოთო. ეს ზედამხედველსო, ეს ბრიგადირსო. მე შენ გეტყვი და, საამანათოს მუქთამჭამელს დატოვებ ხელცარიელს! დატოვებ და მეორეჯერ მაგ შენს ამანათს ისე მიჩქმალავს, ერთ კვირასაც არ იქნება სიაში. შემნახველი საკნის მეკუჭნავე? ის მეკუჭნავე, რომელსაც ყველა ეს პროდუქტი უნდა მიაბარო, რომლისკენაც ხვალ დილით სამუშაოზე გასვლის წინ გასწევს ცეზარი (რათა მპარავებსა და მჩხრეკელებს გადაარჩინოს სურსათი და თანაც ბანაკის უფროსის

მიერ დადგენილი წესი შეასრულოს)? იმ მეკუჭნავეს გვარიანად თუ არ უწილადე, ნამცეც-ნამცეც მეტს აგაღლიტავს, იცოდე! მთელ დღეს იქაა ჩამჯდარი ის ვირთხა, სხვის პროდუქტებთანაა ჩაკეტილი. მიდი და შეამოწმე! იმას არ უნდა მისცე, ვინც შუხოვისნაირ სამსახურს გაგიწევს? მეაბანოე რომ წესიერ საცვალს მოგაწვდის ჩუმად — იმას? პარიკმახერს, რომელიც უქაღალდოდ არასგზით არ გაგპარსავს (ესე იგი სამართებელს მუხლზე კი არ შეგაწმენდს, ქაღალდს შეახოცავს)? მეტი თუ არაფერი, სამი-ოთხი სიგარეტი ხომ მაინც უნდა უბოძო? კულტ-სააღმზრდელო ნაწილს, რათა შენი წერილები ცალკე გადაინ-ახონ და არ დაგიკარგონ ხოლმე? ის რომ მოგინდება — ერთ დღეს მაინც სამუშაოდენ ავითესო, ზონაში ვიკოტრიალოო, ექიმს არ უნდა მიართვა არაფერი? მეზობელს რაღას ეტყვი, იმ მეზობელს, შენს გვერდით რომ ჭამს და სვამს, შენს სასთუმალთანვე რომ სძინავს, როგორც, მაგალითად, კაპიტანია ცეზარის გვერდით, — იმას დაუკავებ? ხომ დათვლილი აქვს შენი ყოველი ლუკმა! ასეთ მეზო-ბელს ნამუსგარეცხილი კაციც კი მისცემს აუცილებლად.

ასე რომ, ამანათი იმას შურდეს, ვისაც მუდამ სხვის ქონებაზე ებრიცება თვალები, ხოლო შუხოვმა კარგად იცის, რაც არის ცხო-ვრება.

შუხოვმა ფეხზე გაიხადა, თავისთან აძვრა, ხელთათმანიდან ფოლადის ნაჭერი ამოიღო, დაათვალიერა და გადაწყვიტა, ხვალვე სალესი ქვა ეპოვნა სადმე და იმაზე სახარაზო დანად აელესა ის ნაჭერი. დილა-საღამოს რომ იმუშაოს, ერთი ოთხ დღეში მშვენიერი ბასრი დანა გაკეთდება.

მანამდე კი ეს ნაჭერი უნდა გადამალოს. კაპიტანი ჯერ არსად ჩანს და მტვერი არ დაეყრება თავზე. შუხოვმა წამოკეცა თავისი მძიმე ლეიბი, რომელიც ბურბუშელათი კი არა, ნახერხით იყო დატე-ნილი, და ფოლადი ჩამალა.

მისი ზედა მეზობლები — ბაპტისტი ალიოშა და ცოტა იქით, მეორე ვაგონკაზე ორი ესტონელი უყურებდა ამ ამბავს, მაგრამ შუხოვს მათი არ ეშინოდა.

ნელში გადრეკილმა ფეტიუკოვმა ჩაიარა სლუკუნ-სლუკუნით. ტუჩებთან სისხლი ჩამოსდიოდა. ეტყობა, ისევ უთაქეს ჯამების

მლოკავებმა. არც არავისთვის შეუხედავს, არც ცრემლი დაუმალავს, ბრიგადას ჩაუარა, საწოლზე აძვრა და ლეიბში ჩაემხო.

კაცმა რომ თქვას, ცოდვა კია ეგ უბედური. ვერ გააღწევს ვადის გასვლამდე. არ იცის, როგორ წაიყვანოს თავისი საქმე.

ამასობაში კაპიტანიც გამოჩნდა. კარგ გუნებაზე იდგა, საგანგებოდ დაყენებული ჩაი მოჰქონდა კარდალათი. ბარაკში ჩაის ორი კასრი დგას, მაგრამ რა ჩაია ის ჩაი? ერთი ეგაა, რომ ნელთბილია და ოდნავ შეფერილი, თორემ ისე ბურდოა და მეტი არაფერი. თანაც კასრიდან სუნიც მოჰყვება, ორთქლში გამოყვანილი მერქნის მყრალი სუნი. ეს უბრალო მუშა ხალხისთვის განკუთვნილი ჩაია. ბუინოვსკის კი, ეტყობა, ცეზარისთვის ნამდვილი ჩაი გამოურთმევია, კარდალაში ჩაუყრია და მდულარეზე გაქცეულა. ახლა ქვემოთ სუფრას ინყობს გაბრწყინებული და კმაყოფილი.

— კინაღამ თითები დავიმდუღრე! — იქადის.

იქ, დაბლა, ცეზარი ქაღალდს აფენს, ზედ რაღაც-რაღაცებს აწყობს და ალაგებს. შუხოვმა ლეიბი ისევ გადანია, რათა არ ეყურებინა და გუნება არ გაფუჭებოდა. მაგრამ უშუხოვოდ იმათ მაინც არაფერი გამოუდით — ცეზარი მთელი ტანით ნამოიმართა გასასვლელში, თვალებით სწორედ შუხოვს გაუპირისპირდა:

— ივან დენისიჩ! ის... ათი დღის კარცერი მჭირდება...

ეს იმას ნიშნავს, რომ პატარა დასაკეცი დანა დასჭირვებიათ. ამგვარი დანაც აქვს შუხოვს ლეიბქვეშ გადამალული. მოხრილ თითზე დიდი არ იქნება. ის დასაკეცი დანა, მაგრამ ხუთი თითის სისქე ლორსაც ადვილად ჭრის. თავად გააკეთა შუხოვმა და თავადვე ალესა.

ამოაძვრინა და მისცა დანა. ცეზარმა მადლობა გადაუხადა და ისევ თვალს მიეფარა.

დანითაც შეგიძლია შემოსავალი გაიჩინო. ამგვარი დანისთვის ხალხს კარცერში აჯენენ. ვინც ერთიანად ნამუსგარეცხილია, მხოლოდ იმას შეუძლია ამგვარად მოგექცეს: მოგვეცი დანა, ძეხვი უნდა დავჭრათ, შენ კი, ასემც გიქნია, პირში ჩალა გამოგივლიაო.

ახლა ცეზარი ისევ დავალებულია შუხოვისგან.

პურისა და დანის ამბებს რომ მორჩა, შუხოვმა ქისა ამოაძვრინა. ქისიდან ზუსტად იმდენი თამბაქო ამოიღო, რამდენიც დღისით ისესხა, და მეორე ვაგონკაზე ესტონელს გადააწოდა — მადლობელი ვარო.

ესტონელმა ტუჩები გაწელა, თითქოს იღიმებოდა, მერე მეზობელს — თავის ძმობილს რაღაც გადაულაპარაკა და ის თამბაქო ცალკე გაახვიეს, ვითომ — შუხოვის თუთუნიც ვნახოთ როგორიაო.

კი ბატონო, ნახეთ, ღმერთმა შეგარგოთ, თქვენსას არ ჩამოუვარდება! თავადაც გაიხვევდა შუხოვი, მაგრამ სხეულს შიგნით მოწყობილი რომელიღაც საათის მეოხებით გრძნობს, რომ საღამოს შემოწმებამდე თითქმის აღარაფერი დარჩენილა. ახლა სწორედ ის დროა, როცა ზედამხედველნი ბარაკ-ბარაკ დაეხეტებიან. მოსაწევად დერეფანში უნდა გახვიდე, შუხოვი კი მაღლა, თავის საწოლზე თითქოს უფრო თბილად გრძნობს თავს. ვერ იტყვი, რომ ბარაკში უფრო თბილოდეს, ჭერი აქაც ისევეა ჭირხლმოდებული. ღამით ბარაკშიაც გვარიანად გაითოშები, მაგრამ ჯერჯერობით ვითომ გაიძლება.

ორასგრამიან პურის ნაჭერს დაუწყო ციცქნა. თავისდაუნებურად ესმოდა, როგორ შეჰყვნენ ჩაის სმაში საუბარს ცეზარი და კაპიტანი.

— მიირთვით, კაპიტანო, მიირთვით, არ მოგერიდოთ! აგერ, დაშაშხული თევზი გასინჯეთ, ძეხვი ინებეთ!

— მადლობთ, გეახლებით.

— ბატონს კარაქი წაუსვით! ნამდვილი მოსკოვური ბატონია!

— ვაი-მე! აღარც კი მჯერა, რომ სადმე კიდევ ცხვება ბატონები. რომ იცოდეთ, ეს მოულოდნელი პურმარილი ერთ შემთხვევას მაგონებს. ერთხელ არხანგელსკში მოვხვდი და...

ბარაკის აქეთა ნახევარში ორასი ხორხი ყაყანებდა, მაგრამ შუხოვმა მაინც გაარჩია, თითქოს რელსზე ზარი ჩამოერეკოთ. არავის გაუგონია. იმასაც თვალი მოატანა: ბარაკში ზედამხედველი პაჭუა შემოვიდა, სახელაჟღაჟა ერთი ბეწო ბიჭი. ხელში რაღაც ქაღალდი ეჭირა და ამითაც ეტყობოდა, რომ მწეველების გამოსაჭერად ან შემოწმებაზე ხალხის გასარეკად კი არ შემოსულიყო, ვილაცას ეძებდა.

პაჭუამ ქალალდს დახედა და იკითხა:

— ას მეოთხე სადაა?

— აქაა, — უპასუხეს პაჭუას, ხოლო ესტონელებმა პაპიროსი გადამალეს და ბოლი გაფანტეს.

— ბრიგადირი სადღაა?

— ჰო! — ტიურინმა საწოლიდან წამოიწია, ფეხებიც ვითომ გადმოაწყო იატაკისკენ.

— ვისაც განმარტებითი ბარათები უნდა დაეწერა, დანერეს?

— წერენ! — გულდაჯერებულად მიუგო ბრიგადირმა.

— აქამდე უნდა ჩაებარებინათ.

— მე უნიგნურები მყავს, უძნელდებათ (ამას ცეზარზე ამბობს და ბუინოვსკიზე! მართლა ყოჩაღ, ბრიგადირო, ნამდვილად გიჭრის სიტყვა), არც კალმისტრებია, არც მელანი...

— უნდა იქონიოთ.

— რომ გვართმევენ?

— ჭკვიანად იყავი, ბრიგადირო, ენას თუ არ დააყენებ, შენც ჩაგაჯენ იცოდე! — უბოროტო ხმით თქვა პაჭუამ. — ხვალ დილითვე, სამუშაოზე გაყვანამდე განმარტებითი ბარათები საზედამხედველოში იყოს! ისიც აღნიშნეთ, რომ აკრძალული ნივთები საწყობშია ჩაბარებული. გასაგებია?

— გასაგებია.

(„გადარჩა კაპიტანი!" — გაიფიქრა შუხოვმა. თავად კაპიტანს კი არაფერი ესმის, ძეხვის ამბებითაა გართული).

— ახლა ასე-ე, — თქვა ზედამხედველმა. — შჩ-სამას თერთმეტი შენთანაა?

— სიაში უნდა მოიძებნოს, — კვალს ურევს ბრიგადირი. — მაგ საჯანდაბე ნომრებს რა დამამახსოვრებს? (საქმეს აჭიანურებს ბრიგადირი, იქნებ ამ ღამით მაინც გადაარჩინოს კაპიტანი, როგორმე შემოწმებამდე მიატანებინოს).

— ბუინოვსკი აქაა?

— ჰა? მე ვარ! — გამოეხმიანა კაპიტანი შუხოვის საწოლქვეშიდან, თავისი საფრიდან.

ასეა მუდამ — მოსწრაფე ტილი პირველი მოჰყვება ხოლმე სავარცხელს.

— შენ ხა-არ? ჰო, სწორია, შჩ-სამას თერთმეტი. აიბარგე!

— საი-ით?

— თავადაც მოგეხსენება.

მხოლოდ ოხვრა აღმოხდა კაპიტანს. მობობოქრე ზღვაში ბნელი ღამით ნაღმოსანთა ესკადრის გაყვანა უფრო გაუადვილდებოდა, ალბათ, ვიდრე ახლა იმ მეგობრული საუბრის შეწყვეტა და გაყინულ კარცერში ჩაჯდომა.

— რამდენი დღე მომიწევს? — ესღა იკითხა ჩამწყდარი ხმით კაპიტანმა.

— ათი. აბა, მიდი, მიდი ყოჩაღად! და იმავე წამს მორიგეებმა დაიყვირეს:

— შემოწმება! შემოწმება! გამოდით შემოწმებაზე!

ეს იმას ნიშნავს, რომ შემოწმების ჩასატარებლად გამოგზავნილი ზედამხედველი უკვე ბარაკში იმყოფება.

ერთი მოიხედა კაპიტანმა — ბუშლატი თუ წავიღოო. მაგრამ სულ ერთია, გახდიან იმ ბუშლატს, სათბურის ამარას დატოვებენ. ერთი სიტყვით, როგორც არის, ასევე უნდა გაჰყვეს. დაავიწყდებაო ვოლკოვოის, იმედი ჰქონია კაპიტანს (ხოლო ვოლკოვოის არაფერი არ ავიწყდება ხოლმე) და არც კი მომზადებულა, თუთუნიც კი არ ჩაუმალავს სათბურში. ხელით რომ წაიღოს, ტყუილად გაირჯება, გაჩხრეკისთანავე ჩამოართმევენ.

მაინც, ვიდრე ის ქუდს დაიხურავდა, ცეზარმა ერთი-ორი სიგარეტი მიაჩეჩა.

— აბა, ნახვამდის, ძმებო, — გამოეთხოვა 104-ე ბრიგადას დაბნეული კაპიტანი და ზედამხედველებს გაჰყვა.

რამდენიმე კაცმა კი მიადევნა — მაგრად იყავიო, არ დაიბნეო, მაგრამ აბა რა უნდა ეთქვათ? თავად ამოაშენეს ის შიდაციხე, კარგად იციან, — მთელმა ას მეოთხემ იცის: ქვის კედლები აქვს იმ ციხეს და ცემენტის იატაკი, სარკმელი არცა აქვს დატანებული, ღუმელს მხოლოდ იმიტომ ანთებენ, რომ კედლებზე ყინული ჩამოდნეს და იატაკზე დადგეს ტბორად. ძილით ცარიელ ფიცრებზე

უნდა დაიძინო. თუ კბილები არ ჩაგემტვრა ერთი-ერთმანეთზე ცემით. დღეში სამასი გრამი პური და მესამე, მეექვსე და მეცხრე დღეს ბალანდა გეძლევა.

ათი დღე-ღამე! აქაურ კარცერში ათ დღეს ჯდომა იმას ნიშნავს, საბოლოოდ და სამუდამოდ დაკარგო ჯანმრთელობა. ჭლექი შეგეყრება და მერე ვეღარც გამოხვალ საავადმყოფოდან.

ხოლო ვინც თხუთმეტდღიანი კარცერი მოიხადა, ისინი მიწაში წვანან უკვე.

ვიდრე ბარაკში გაქვს ბინა, ღმერთს მადლი შესწირე და ეცადე არსად ჩავარდე!

— აბა, გამოდით, სამამდე ვითვლი! — ყვირის ბარაკის უფროსი. — ვინც სამის დათვლამდე არ გამოვა, ნომრებს ჩავინერ და მოქალაქე ზედამხედველს გადავცემ!

ბარაკის უფროსიც ერთი უმთავრესი არამზადაა. ხომ ჩვენთან ერთად ამწყვდევენ ღამღამობით ბარაკში, მაინც გვეუფროსება, არავისი არ ეშინია. პირიქით, მისი ეშინია ყველას. ზოგს ზედამხედველებთან ასმენს, ზოგს თავად მიაფეთებს ხოლმე. ინვალიდად ითვლება, რადგან ჩხუბში ცალი თითი აქვს ნაწყვეტილი, თორემ სიფათზე ჯიბგირია ნამდვილი. ისე მართლა ქურდია, სისხლის სამართლის დამნაშავე, მაგრამ სხვა მუხლებთან ერთად ორმოცდამეთვრამეტე-თოთხმეტიც მიუყენებიათ და იმიტომ მოხვედრილა ამ ბანაკში.

იოლი საქმეა — ჩაინერს შენს ნომერს ქაღალდზე, ზედამხედველს გადასცემს და მოგართმევენ ორი დღის კარცერს სამუშაოზე გაყვანით. აქამდე ნელ-ნელა მიზოზინებდნენ კარებისაკენ, ახლა კი უცბად მიაწყდნენ და მიაწყდნენ, ზედა საწოლებიდანაც ხტებიან დათვებივით და გასასვლელ ვიწრო კარს ეტანებიან.

ნანატრი გახვეული პაპიროსი ხელში ეჭირა შუხოვს. მარჯვედ ჩამოხტა, თექურები ამოიცვა და ის იყო გაქცევას აპირებდა, რომ ცეზარს შეხედა და შეეცოდა. გამოსარჩენს კი აღარ ელოდა ცეზარისაგან, მართლა გულით შეეწყალა: თავის თავი რაღაც ჰგონია ცეზარს, მაგრამ ცხოვრებისა არაფერი გაეგება: ამანათი რომ მიიღო, ზედ კი არ უნდა გადაფოფრებოდა, შემოწმებამდე სასწრაფოდ

შესანახ საკანში უნდა წაელო. ჭამას მერეც მოასწრებდა. ახლა რაღა უნდა უქნას იმ ამანათს? შემონმებაზე გავიდეს და ამდენი ტომსიკა თან გაიტანოს? სიცილად არავის ეყოფა, ხუთასი ხორხი ერთბაშად ახარხარდება! აქ დატოვოს და — ააცლიან, შემონმებიდან ვინც პირველი შემოირბენს, იმას დარჩება (უსტ-იუმში უარესიც ხდებოდა: სამუშაოდან დაბრუნებისას „ბლატიანები“ ყველაზე წინ შემოდიოდნენ და სხვების შემომწკრივებამდე ერთიანად გაცლიდნენ ხოლმე მათს ტუმბოებს).

ხედავს შუხოვი: წრიალებს ცეზარი, აქეთ-იქით აწყდება, მაგრამ გვიანაა უკვე. ძეხვსა და ლორს უბეში იჩრის — ეს მაინც თან გავიყოლო, იქნებ ეს მაინც გადავარჩინოო.

შეეცოდა შუხოვს და ჭკუა ასწავლა:

— იჯექი, ცეზარ მარკოვიჩ, ფეხი არ მოიცვალო, მაგ ბნელ კუთხეში მიიმალე და დაელოდე, ვიდრე ყველანი გაიკრიფებოდნენ. ზედამხედველი და მორიგეები რომ ჩამოვლას დაიწყებენ, მაშინლა გამოდი, უქეიფოდ ვარ-თქო, უთხარი. ამასობაში მე პირველი გავვარდები და პირველი შემოვირბენ. ასე...

და გავარდა.

ჯერ ძნელად მიიკვლევდა გზას (მუჭში გახვეული პაპიროსი ჰქონდა დამალული და იმას უფრთხილდებოდა). ბარაკის ორივე ნახევრის საერთო დერეფანსა და წინკარში წინ-წინ უკვე აღარავინ გარბოდა — მარცხნივ და მარჯვნივ კედლებს აჰკვროდნენ ორ-ორ მწკრივად და შუაში ერთი კაცის გასასვლელი არე დაეტოვებინათ — ვინც უფრო შტერია, გავიდეს იმ ყინვაში, ჩვენ აქაც კარგად ვართო. ისედაც მთელ დღეს ყინვაში ვატარებთ და ახლაც კიდევ ათ წუთს დამატებით გავითოშოთო? ჩერჩეტები სხვაგან მოიკითხე! დღეს შენ ამოგძვრეს სული, ჩვენ ხვალაც მოვესწრებითო!

სხვა დროს შუხოვიც ასე ეკვრის ხოლმე კედელს. ახლა კი გამალებული მიალაჯებს და ქირქილობს კიდეც:

— რამ დაგაფრთხოთ, თქვე გლახებო? ციმბირის ყინვა არ გინახავთ? გამოეტიეთ და მგლის მზეს მიეფიცხეთ! ერთი მომიკიდე, ძია კაცო!

მოუკიდა წინკარში და პარმაღზე გავიდა. „მგლის მზე" — მისებურები მთვარეს ზოგჯერ ასე ეძახიან ხუმრობით.

მაღლა ასულა მთვარე! ერთი ამდენიც და შუაგულ ცაზე მოექცევა! ზეცა ერთიანად გადათეთრებულია, ალაგ-ალაგ ვარსკვლავები კაშკაშებს. ვერცხლისფრად ბრწყინავს თოვლი, ბარაკების კედლებსაც ვერცხლისფერი დასდებია, ნათურების შუქს ძალა აქვს ნართმეული.

ეგერ, იმ ბარაკთან ხალხის გროვა ჩამუქებულა — დასამნკრივებლად გამოდიან მეორე ბარაკთანაც. ხალხის ხმაური იმდენად არ ისმის ბარაკ-ბარაკ, რამდენსაც თოვლი ჭრაჭუნებს.

ხუთიოდე პატიმარი კიბეს ჩამოჰყვა და პირით კარებისკენ გაჩერდა. იმ ხუთს კიდევ სამიც მოჰყვა. იმ სამეულს ამოუდგა შუხოვი. ცოტა პურს რომ შეჭამ და პირშიც პაპიროსი გექნება, აქ დგომას გაუძლებ კაცი, კარგი თუთუნია, არ მოუტყუებია ლატვიელს, მაგარიცაა და სურნელოვანიც.

ნელ-ნელა ემატება ხალხი, შუხოვს უკან ორი-სამი ხუთეული ჩამწკრივდა უკვე. ახლა გამოსულებს მოსდით გული: რას დახროვილან ის მამაძაღლები დერეფანში და ფეხს არ დგამენ! იდექი ახლა და გაიყინე იმათ მაგივრად!

პატიმრები საათს ვერასდროს ვერ ნახულობენ, ან რა ჭირად უნდათ საათი? პატიმარს მხოლოდ იმის შეტყობა უნდა, თუ როდის დაჰკრავს ადგომის ზარი, ან სამუშაოზე რამდენ ხანში გაიყვანენ, ან სადილი თუ იქნება მალე, ან კიდევ ძილის ზარი.

ისე კი ამბობენ — საღამოს შემოწმება ცხრა საათზე ხდებაო. ოღონდ ცხრა საათზევე არასდროს არ მთავრდება. მეორედ, მესამედ ამოწმებენ ხოლმე. ათზე ადრე არავინ დაგაძინებს. ხოლო ხუთ საათზე უკვე ადგომის ზარს რეკავენო. რაღაზე გიკვირს, წელან სამუშაოს დამთავრების წინ იმ მოლდაველს რომ ჩაეძინა? პატიმარი სადაც შეთბება, იქვე მიეძინება კიდეც. მთელ კვირას ასე გამოუძინებელი დადიან და ამიტომაა რომ, თუ კვირადღე არ შეუხვილიფეს, ბარაკ-ბარაკ მიეყრებიან, ძილს ანდომებენ იმ კვირა დღეს.

ჰო-ჰო, გადმოცვივდნენ და გადმოცვივდნენ პატიმრები პარმაღიდან! ბარაკის უფროსმა და ზედამხედველმა უცხუნეს ზურგში და იმის ხათრით! ასე მოუხდებათ მაგ ნადირებს!

— რა, გამორჩენას აპირებდით, თქვე დამპლებო? — უყვირიან წინა რიგებიდან. — რწყილი გინდოდათ გაგეტყავებინათ? დროზე გამოგედგათ ფეხი და დროზე გადაგვთვლიდნენ!

მთელი ბარაკი გარეთ გამოეფინა. ოთხასი კაცია ბარაკში, ეს ოთხმოცი ხუთეულს შეადგენს. მიეწყვნენ და მიეწყვნენ ბოლოში, ჯერ ზუსტად ხუთ-ხუთნი დგებოდნენ, მერე კი აურიეს.

— მოეწყვეთ მანდ უკანა რიგებში! — კიბიდან უყვირის ბარაკის უფროსი.

მეტი არაა ჩემი მტერი! არ ეწყობიან ის ვირიშვილები!

კარებში ცეზარი გამოჩნდა, მობუზულა, ვითომ უქეიფოდაა. მის უკან მოდიან იქითა და აქეთა ნახევრის ორ-ორი მორიგე და ერთიც კოჭლი პატიმარი. ბარაკის პირველ ხუთეულად ისინი ჩადგნენ, ასე რომ, შუხოვი მესამეში მოექცა. ცეზარი ბოლოში გააგდეს.

ზედამხედველიც გამოვიდა პარმაღზე.

— ხუთ-ხუთი მოეწყე-ეთ! — უკანა რიგებისკენ გასძახის მაღალხმიანი.

— ხუთ-ხუთი მოეწყე-ეთ! — უფრო მაღალ ხმაზე ღრიალებს ბარაკის უფროსი.

არ ეწყობიან!

კიბეს მოსწყდა ბარაკის უფროსი, იქით გავარდა გინებ-გინებით.

უთაქა და უთაქა, ოღონდ გამორჩევით, თვინიერებს მიეტანა.

მოეწყვნენ. მობრუნდა ბარაკის უფროსი და ზედამხედველთან ერთად:

— პირველი! მეორე! მესამე!..

რომელ ხუთეულსაც იტყვიან, ადგილს მოსწყდება და ბარაკში მირბის თავქუდმოგლეჯილი. დღესდღეობით მორჩნენ საუფროსოს წილადობილას!

კი მორჩებოდნენ, მეორედ რომ არ გამოიყვანონ შემონმებაზე. ეს მუქთამჭამელები, ეს უტვინოები მწყემსზე უარესად ითვლიან: მწყემსი უწიგნურია, მაგრამ ნახირს კარგად მიერეკება, მიდის და

ზეპირად იცის, საქონელი აკლია თუ არა. ესენი კი უთავბოლოდ არბენინებენ ხალხს და მეტი არაფერი იციან.

შარშან ზამთარში ამ ბანაკში საშრობები სულაც არ ყოფილა, ღამით ყველას ფეხსამოსი ბარაკშივე რჩებოდა; მიდგებოდნენ და მეორე, მესამე, მეოთხე შემონმებაზე გამოყრიდნენ ხალხს გარეთ. ტანზე აღარც კი იცვამდნენ პატიმრები, საბანმოხვეულნი გამოდიოდნენ. წლეულს საშრობები მოაწყვეს, ყველას სამყოფი არაა, მაგრამ ყოველ მესამე დღეს თითო ბრიგადას უწევს თექურების შრობა. ახლა მეორე-მეორედ ბარაკებშივე ითვლიან: ბარაკის ერთი ნახევრიდან მეორეში გადარეკავენ ხოლმე.

შუხოვი პირველი არ შევარდნილა ბარაკში, მაგრამ დაწინაურებულებისთვის თვალი არ მოუცილებია. ცეზარის საწოლამდე მიატანა, ჩამოჯდა, თექურები ფიცხლად დაიხადა, ღუმელის ახლოს ვაგონკაზე აძვრა და იქიდან ღუმელზე მიაწყო თექურები. აქ მოსწრებაზეა. მერე უკან გამოიქცა ცეზარის საწოლისკენ. ჩამოჯდა, ფეხები ამოიკეცა, ცალი თვალით იმას უდარაჯებს — ცეზარის თოფრა სასთუმალქვეშიდან არავინ გააძვრინოსო, მეორეთი კი უთვალთვალებს — ღუმელის მოიერიშეებმა ჩემი თექურები არ გადამიყარონო.

— ეი, თავწითელა! — მაინც მოუხდა შეხმაურება. — ერთი მოგაფეთებ მაგ ჩექმებს! შენსას რომ ანყობ, სხვისას თავი დაანებე!

შემორბიან და შემორბიან ბარაკში პატიმრები. მე-20 ბრიგადაში დაიძახეს:

— თექურები ჩააბარეთ!

ახლა მაგათ თექურებიანად ბარაკიდან გაიყვანენ და ბარაკს ჩაკეტავენ. მერე უნდა ირბინონ:

— მოქალაქე უფროსო! შემიშვით ბარაკში!

ხოლო ზედამხედველნი შტაბის ბარაკში შეიყრებიან და თავთავიანთი დაფებით ბუღალტერიას მიჰყოფენ ხელს — ვინმე ხომ არ გაპარულა, ყველანი ადგილზე არიან თუ არაო.

მაგრამ შუხოვს ამ ამბებთან დღეს არაფერი ესაქმება. აგერ, ცეზარიც მოყვინთავს ვაგონკებსა და ვაგონკებს შუა.

— მადლობთ, ივან დენისიჩ!

შუხოვმა თავი დაუკრა და ციყვივით მარდად აძვრა თავისთან. ახლა შეგიძლია ის ორასგრამიანი პური მოათავო, შეგიძლია მეორე პაპიროსიც მოქაჩო, დაძინებაც შეგიძლია.

ესაა მხოლოდ — კარგად ჩავლილმა დღემ გული გაუმხიარულა შუხოვს, თითქოს აღარც კი ეძინება.

შუხოვის ლოგინის გაშლას არ უნდა დიდი ამბავი: ლეიბიდან გაბინძურებული საბანი უნდა წამოსწიოს, ლეიბზე წამოწვეს (ზენარზე მგონი ორმოცდაერთს აქეთ აღარ დაწოლილა, რაც სახლიდან წამოვიდა; ახლა კიდეც ეუცხოება — რას ჰყვებიან დედაკაცები იმ ზენრებს თან, ზედმეტ სარეცხს რაზე იჩენენო), ბურბუშელათი გატენილ ბალიშზე თავი მიდოს, ფეხები სათბურში წაჰყოს, საბანზე კიდევ ბუშლატი წაიხუროს და:

— მადლი უფალს, ერთმა დღემაც გაიარა!

იმისიც მადლობელია, რომ კარცერში არ უხდება დაძინება, აქ კიდევ გაძლებს კაცი.

თავი ფანჯრისკენ ქნა შუხოვმა, ხოლო იმავე ვაგონკაზე, ფიცრის ტიხარს იქით, ალიოშა მის თავშექცევით დაწვა, რათა ნათურის სინათლე დასცემოდა. ისევ სახარებას კითხულობს.

ნათურა არც ისე შორსაა მათგან, კითხვა შეიძლება, კერვასაც შეძლებს კაცი.

ყური მოჰკრა ალიოშკამ, შუხოვმა რომ ღმერთს მადლი შესწირა, გადმობრუნდა:

— ხომ ხედავთ, ივან დენისიჩ, თქვენი სული უფლისა მიმართ სალოცავად ისწრაფვის, რატომ არ მისდევთ მის ნებას?

ერთი გადახედა ალიოშას შუხოვმა. თვალები სანთელივით უციაფებს. ამოიოხრა:

— იმიტომ, ჩემო ალიოშკა, რომ ის ლოცვა, განცხადებების არ იყოს, ან ვერ აღწევს ხოლმე, ან კიდევ „განცხადებაზე უარი ეთქვას“...

შტაბის ბარაკის წინ ოთხი დალუქული ყუთია ჩამოკიდებული. თვეში ერთხელ რწმუნებული ცლის იმ ყუთებს. ბევრს ჩაუგდია და ბევრი აგდებს შიგ განცხადებას. ელოდებიან, დროს ანგარიშობენ: აი, ორ თვეში, აჰა, ერთ თვეში მომივაო პასუხი.

მაგრამ პასუხი არ მოდის. ან კიდევ: „უარი ეთქვას".

— იმიტომ, ივან დენისიჩ, რომ ცოტას ლოცულობდით, ცუდად ლოცულობდით, უგულოდ, იმიტომ არ შეგეწიათ არც ერთი ლოცვა. ლოცვა უქცეველი უნდა იყოს! და, თუკი რწმენა გექნებათ და ეტყვით ამ მთას — აღიფხვერო! — აღიფხვრება.

გაიცინა შუხოვმა და ერთი პაპიროსიც გაახვია. ცეცხლი ესტონელს მოაკიდებინა.

— მოეშვი მაგ ტრაბახს, ალიოშა! ჯერ არ მინახავს, მთები რომ დაძრულიყოს. კაცმა რომ თქვას, არც მთები მინახავს. მაგრამ თქვენი ბაპტისტების კლუბი ხომ უკლებლად ლოცულობდა კავკასიაში, — ერთი მაინც აღიფხვრა?

ესენიც კაი საწყლებია: ლოცულობდნენ თავისთვის, ვის რას უშლიდნენ? აიღეს და ყველას ოცდახუთ-ოცდახუთი მიარტყეს. იმიტომ, რომ ახლა ასეთი დროა: თანაბრად ჭრიან, ოცდახუთს აძლევენ.

— მაგრამ ჩვენ მაგის გამო არ გვილოცია, — შთააგონებს ალიოშა. თავისი სახარებიანად ახლოს მოუჩოჩდა შუხოვს, ზედ სახესთან მოუტანა პირი. — ყოველივე მიწიერისა და წარმავლის ნილ უფალმა მხოლოდ არსობის პურის გამო გვიბრძანა ლოცვა: „პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ დღეს!"

— ესე იგი — ულუფაო? — შეეკითხა შუხოვი.

ხოლო ალიოშა თავისას განაგრძობს, თვალებით უფრო ესაუბრება, ვიდრე სიტყვით, თანაც ხელზე ხელს უთათუნებს:

— ივან დენისიჩ, იმის გამო კი არ უნდა ილოცოთ, რომ ამანათი მოგივიდეთ ან მეტი ბალანდა შეგხვდეთ! სულის გამო უნდა ილოცოთ, რათა ღმერთმა თქვენს გულს ბოროტი განაშოროს...

— შენ გირჩევნია ყური დამიგდო. ჩვენს პოლომნის ეკლესიაში ხუცესი...

— არ გინდა მაგ შენი ხუცესის ამბავი! — ევედრება ალიოშა, გულისტკივილით შუბლიც კი დაეღარა.

— არა, მაინც ყური დამიგდე. — შუხოვი იდაყვს დაეყრდნო. — პოლომნაში, ჩვენს სამნყსოში, ხუცესზე მდიდარი არავინაა. მაგალითად, სახლის გადახურვაზე დაგვიძახეს, არა? ხალხს დღეში ოცდათხუთმეტ-ოცდათხუთმეტ მანეთს ვართმევთ ხოლმე, ხუცესს კი

ასსაც ვაკადრებთ. მერე თუ გგონია ხმას იღებდეს! ის ჩვენი მღვდელი სამ ქალაქში სამ ქალს ალიმენტს უხდის, მეოთხესთან ოჯახი აქვს მონყობილი. არქიელსაც თავის ნებაზე ატარებს, ისიც მოთაფლული ჰყავს. რამდენი მღვდელიც გამოგზავნეს, ყველას აჯობა, წილი არავის დაუდო...

— რატომ მიყვები მღვდლის ამბავს? მართლმადიდებელი ეკლესია სახარებას განუდგა. სწორედ იმიტომ არ იჭერენ იმათ, რომ მტკიცე რწმენა არ უპყრიათ.

შუხოვი პაპიროსს წევდა და მშვიდად შესცქეროდა აღელვებულ ალიოშას.

— ალიოშა, — მოიშორა მისი ხელი და სახეშიაც მიაბოლა. — მე ღმერთის წინააღმდეგი არა ვარ, გაიგე? ღმერთი კი მწამს, ოღონდ სამოთხე და ჯოჯოხეთი არ შემიძლია ვიწამო. რატომ გგონივართ ასე შტერები, სამოთხე და ჯოჯოხეთიო, რომ გვიჩიჩინებთ? აი, ეგ არ მომწონს თქვენი.

ისევ ზურგზე ნამონვა შუხოვი, ვაგონკასა და სარკმელს შუა ფერფლს ფრთხილად ყრის, რომ კაპიტნის ლოგინი არ გამოწვას. ფიქრმა წაიღო, აღარც ესმის, რას ღარღალებს ალიოშკა.

— ერთი სიტყვით, — დაასკვნა ბოლოს, — რამდენიც უნდა ილოცო, ვადას არავინ ჩამოგაკლებს. ზარის დარეკვიდან ზარის დარეკვამდე უნდა იცოდვილო და ისე გაიყვანო ვადა.

— მერე მაგის გამო არც უნდა ილოცო! — შეძრწუნდა ალიოშა. — რას აქნევ თავისუფლებას? აქედან რომ გახვალ, შენი რწმენის ნასახსაც ურწმუნოების ეკალნი შეაშთობენ! გიხაროდეს, საპყრობილეში რომ ხარ დამწყვდეული! აქ იმისი დრო მაინც გაქვს, რომ სულისთვის იფიქრო! პავლე მოციქული ამბობდა: „რასა სტირთ და შეაურვებთ გულსა ჩემსა? რამეთუ მე არა ხოლო პატიმარყოფად, მოსიკუდიდცა მზა ვარ სახელისათვის უფლისა იესოისა“.

შუხოვი უხმოდ შეჰყურებდა ჭერს. თავადაც აღარ იცოდა — სურდა თუ არა გათავისუფლება. თავდაპირველად კი ძალიან უნდოდა და ყოველ საღამოს ანგარიშობდა — რამდენმა დღემ გაიარა უკვე და რამდენი დამრჩაო. მერე მობეზრდა ეს ამბავი. მერე ისიც გაირკვა, რომ მისნაირებს სახლში კი არ უშვებდნენ, სასჯელის მოხდის

შემდეგ თავისუფალ გადასახლებაში აგზავნიდნენ. და კაცმა არ იცის, სად აჯობებს ცხოვრება — აქ თუ იქა.

გათავისუფლებას იმიტომ თუ ისურვებდა, რომ შინ დაბრუნებულიყო.

შინ არ გაგიშვებენო...

ალიოშა როდი ტყუის, ხმაზეც ეტყობა და თვალებზეც, რომ ნამდვილად უხარია ციხეში ჯდომა.

— ხედავ, ალიოშკა, — განუმარტა შუხოვმა. — შენ რაღაცნაირად დაწყობილად გამოგიდის: ქრისტემ გიბრძანა ციხეში ჯდომა და შენც ქრისტეს გულისთვის ჩაჯექი. მაგრამ მე რაღასთვის ჩავჯექი? ორმოცდაერთში რომ ომისთვის ვერ მოვემზადეთ, იმის გამო? მერე მე რა შუაში ვიყავი?

— რაღაც არ ჩანს მეორე შემოწმება, — ისმის კილგასის საწოლიდან.

— ჰო-ო! — გაეხმიანა შუხოვი. — ეგ საკვამლე მილში ნახშირით უნდა ჩაიწეროს, ისეთი ამბავია. — და დაამთქნარა. — დავიძინოთ?

ამის თქმა იყო და მიყუჩებულ ბარაკში კარის ჯახანის ხმა გაისმა. ორნი შემოიჭრნენ დერეფნიდან, ისინი, ვინც თექურების ჩასაბარებლად იყვნენ წასულნი, და დაიყვირეს:

— მეორე შემოწმებაა!

მათ ზედამხედველი შემოჰყვა ფეხდაფეხ:

— იქითა მხარეს გადადით!

ზოგიერთს ეძინა კიდეც! აბუზღუნდნენ, აიშალნენ, თექურებს იცვამენ (ბამბის შარვალს ღამით არავინ იხდის — უშარვლოდ გაითოშები საბნის ქვეშ).

— ფუი, ჯანდაბას თქვენი თავი! — ილანძღება შუხოვი, მაგრამ არც ძალიან გულმოსულია, რადგან ჯერ მაინც არ ეძინა.

ცეზარმა ხელი ამოყო და ორი ნამცხვარი, ორი ნატეხი შაქარი და ძეხვის მრგვალი ჩამონაჭერი დაუდო.

— მადლობთ, ცეზარ მარკოვიჩ, — გასასვლელისკენ დაიხარა შუხოვი, — აბა, ერთი თქვენი ტომსიკა მომაწოდეთ, აგერ სასთუმალქვეშ ამოვდებ, რომ ხელს არავინ გააყოლოს (ზემოთ დადებულს

გამვლელი ასე უცბად ვერ ასწევს, თანაც შუხოვთან ვინ რას დაუწყებს ძებნას?)

თავისი თეთრი თავმოკრული ტომსიკა მიაწოდა ცეზარმა. შუხოვმა ლეიბქვეშ ამოდო, მერე დაელოდა, ვიდრე მეტი ხალხი გაიკრიფებოდა, რათა ფეხშიშველს იატაკზე დიდხანს არ დასჭირვებოდა დგომა. მაგრამ ზედამხედველმა შემოუღრინა:

— აი, მანდ, კუთხეში!..

და ფეხშიშველა შუხოვი რბილად დახტა იატაკზე (მისი თექურები ფეხსახვევებიანად ისე კოხტად იდო ღუმელზე, დაენანა იქიდან აღება!). რამდენი ფაჩუჩიც შეკერა, სულ სხვებისთვის იყო, თავისთვის არც ერთი არ დაუტოვებია. არა უშავს, შეჩვეულია შუხოვი, თანაც დიდხანს არც მოუწევს დგომა.

ვისაც დღისით უნახავენ, ფაჩუჩებსაც ართმევენ.

— აბა! აბა! — ღრენდა ზედამხედველი.

— სულ უნდა იძინოთ, თქვე დამპლებო? — ბარაკის უფროსიც აქვეა.

ბარაკის მეორე ნახევარში გაყარეს ყველანი. ვინც ბოლოში მოექცა, დერეფანში მოუწია გასვლა. შუხოვიც იქ გაჩერდა კედელთან, პარაშის კამერის გვერდით. იატაკი მოსველებული იყო მის ფეხქვეშ, სუსხი შემოდიოდა.

ყველანი რომ გამოყარეს, ზედამხედველმა და ბარაკის უფროსებმა კიდევ ერთხელ ჩამოუარეს ბარაკს იმის შესამოწმებლად — ვინმე ხომ არ დამალულა, ხომ არ სძინავსო ვინმეს ბნელში. იმიტომ, რომ გადათვლის დროს ხალხი დაგაკლდება თუ მეტი გამოგივა, ორივე ერთი ჭირია, ხელახლა უნდა შეამოწმო. ჩამოიარეს და ისევ კარებთან მოვიდნენ.

პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე... ახლა თითო-თითოს ატარებენ ჩქარ-ჩქარა. მეთვრამეტე კაცად შუხოვიც შეჰყვა. სირბილით გაეშურა თავისი ვაგონკისაკენ და ერთ წამში ზემოთ მოექცა.

ესეც ასე. ფეხები ისევ სათბურის სახელოში ნაჰყო, საბანი წაიხურა, მერე ზემოდან ბუშლატი. ვიძინებთ! ახლა ბარაკის იმ ნახევარს ჩვენსაში გადმორეკავენ, მაგრამ ჩვენ რა გვედარდება!

ცეზარი დაბრუნდა. მიაწოდა შუხოვმა თავისი ტომსიკა.

ალიოშკაც მოვიდა. ხელმოცარული კაცია ალიოშა, ყველას გულს იგებს, მაგრამ შოვნა არაფრისა შეუძლია.

— აჰა, ალიოშკა! — და ერთი ნამცხვარი მიანოდა.

იღიმის ალიოშა.

— გმადლობთ! თქვენ თვითონაც რომ არ გაქვთ!

— ჭამე, ჭამე!

ჩვენ რომ არ გვაქვს, ჩვენ ყოველთვის ვიშოვნით.

მერე ძეხვის ნაჭერი პირისკენ გააქანა. მოსდე, მოსდე კბილები! ხორცის სურნელი, ხორცისა! და ხორცის წვენი, ნამდვილი წვენი! წავიდა, წავიდა სტომაქისკენ.

აღარსადაა ძეხვი!

დანარჩენი — დილას, დაასკვნა შუხოვმა.

და წაიხურა თავზე სიფრიფანა, გაურეცხავი საბანი, ყურს აღარ ათხოვებს იმ ამბავს, რომ ვაგონკებსა და ვაგონკებს შუა იქითა ნახევრიდან გამოყრილი პატიმრები გაჭედილან და შემოწმებას ელოდებიან.

სავსებით კმაყოფილი იძინებდა შუხოვი. დღეს ბევრი კარგი ამბავი შეემთხვა: კარცერში არ ჩასვეს, ბრიგადა სოცქალაქში არ გაურეკიათ, სადილობისას ერთი ფაფა ასწია, ბრიგადირმა საპროცენტო კარგად დახურა, კედელი ხალისით ამოჰყავდა, ჩხრეკის დროს ფოლადის ნაჭერი ვერ უპოვნეს, საღამოს ცეზარისგან ცოტა რაღაც იშოვნა, თამბაქოც იყიდა. და ავადაც არ გამხდარა, გაუარა.

არაფერს გაუფუჭებია ის დღე, თითქმის ბედნიერი დღე იყო.

სასჯელის მოხდამდე სამი ათას ექვსას ორმოცდაცამეტი ამგვარი დღე უნდა გაეტარებინა.

ნაკიანი წელიწადების გამოისობით სამი დღე ზედმეტი გამოუდიოდა...

მატრონას კარ-მიდამო

მოსკოვიდან მურომისა და ყაზანისაკენ მიმავალი რკინიგზის შტოს ასოთხმოცდამეოთხე კილომეტრზე იმ ამბის შემდეგ მთელი ნახევარი წლის განმავლობაში ყველა მატარებელი ძალიან ანელებდა სვლას. მგზავრები ეკვროდნენ ფანჯრებს, გადიოდნენ ტამბურში: გზას არემონტებენ? მოძრაობის გრაფიკი დაირღვა? — ფიქრობდნენ ისინი.

არა. გადასასვლელს რომ გაივლიდა, მატარებელი კვლავ გაიქროლებდა; მგზავრები დამშვიდდებოდნენ და დასხდებოდნენ. მხოლოდ მემანქანეებმა იცოდნენ და ახსოვდათ, რატომ ხდებოდა ასე.

მეც ვიცოდი.

I

1956 წლის ზაფხულში მტვრიანი თაკარა უდაბნოდან ალალბედზე ვბრუნდებოდი რუსეთში. მის არცერთ კუნჭულში არავინ მელოდა და არ მიხმობდა, რადგანაც დაბრუნება კაი ათი წლით დამაგვიანდა. მხოლოდ ის მინდოდა, რომ მოვხვედრილიყავი ზომიერ სარტყელში, სადაც არ იყო სიცხე და ტყე შრიალებდა. მინდოდა შეძრომა და გადამალვა შიდა რუსეთში, თუკი იყო სადმე ასეთი წყნარი კუნჭული.

მანამდე, მთელი ერთი წლის განმავლობაში, ურალის ქედის აქეთა მხარეში მხოლოდ მტვირთავად შემეძლო მუშაობა. რომელიმე რიგიან მშენებლობაზე ელექტრიკოსადაც არ მიმიღებდნენ. მე კი მასწავლებლობა მინდოდა. მცოდნე ხალხი მეუბნებოდა, ბილეთისთვის ტყუილად ნუ დახარჯავ ფულს, მაინც არაფერი გამოგივაო.

მაგრამ რაღაც ცვლილება იწყებოდა. როცა ვლადიმირის ოლქის განათლების განყოფილების კიბეები ავიარე და ვიკითხე, კადრების განყოფილება სად არის-მეთქი, გაოცებით შევამჩნიე, რომ კადრები შავტყავგადაკრული კარების მიღმა კი არ ისხდნენ, არამედ შემინული ტიხრის იქით, როგორც აფთიაქშია ხოლმე. მე მაინც მორიდებით მივედი სარკმელთან, მივესალმე და ვიკითხე:

— მათემატიკოსები არ გჭირდებათ სადმე რკინიგზისგან მოშორებით? იქ სამუდამოდ დავსახლდები.

ასო-ასო გაჩხრიკეს ჩემი დოკუმენტები, გადიოდნენ ერთი ოთახიდან მეორეში, სადღაც რეკავდნენ. უკვირდათ ეს იშვიათი შემთხვევა — ყველას ხომ ქალაქში სურს მუშაობა, თანაც დიდ ქალაქში. რა იქნება, რომ მომცენ ადგილი ვისოკოე პოლეში? მარტო ადგილის სახელწოდება ახარებს სულსა და გულს.

სახელწოდება არ ტყუოდა. ვისოკოე პოლე მდებარეობს ტაფობებით შემოსაზღვრულ ბორცვზე, შემდეგ სხვა ბორცვებია, მთლიანად გარშემორტყმულია ტყით, იქვეა გუბურა და საგუბარი. ეს არის სწორედ ის ადგილი, სადაც კაცი სიამოვნებით იცხოვრებს და არც სიკვდილს შეუშინდება. იქ დიდხანს ვიჯექი ხოლმე ტყეში კუნძზე და ვფიქრობდი: რა კარგი იქნება, რომ საჭირო არ იყოს ყოველდღე საუზმობა და სადილობა, რომ იყო აქ და ღამით უსმინო ტოტების შრიალს, როცა არსაიდან აღწევს რადიოს ხმა, ყველა და ყველაფერი სიჩუმეში განაბულა.

მაგრამ ვაი, რომ აქ არ აცხობენ პურს, არ არის სურსათის ყიდვა-გაყიდვა. მთელი სოფელი ტომრებით ეზიდება საზრდოს საოლქო ქალაქიდან.

დავბრუნდი კადრების განყოფილებაში და ვეხვეწებოდი სარკმლის მიღმა მყოფთ. თავიდან ჩემთან საუბარიც არ მოისურვეს. შემდეგ მაინც გავიდნენ ოთახიდან ოთახში, დარეკეს, ერთხანს იჭოჭმანეს და ბოლოს ჩამიწერეს ბრძანებაში: „ტორფოპროდუქტი“.

ტორფოპროდუქტი? ვაჰ, რა იცოდა ტურგენევმა, რომ რუსულად ასეთი რამის შეთხზვა შეიძლებოდა!

სადგურ ტორფოპროდუქტზე, დაძველებულ ხის ნაცრისფერ დროებით ბარაკზე, ეკიდა მკაცრი წარწერა: „მატარებელში ჩაჯდომა

შეიძლება მხოლოდ სადგურის მხრიდან!" დაფაზე ლურსმნით იყო ამოკანრული: „უბილეთოებიც აქედან". სალაროსთან კი ასეთივე მელანქოლიური გონებამახვილობით დანით იყო ამოჭრილი სამუდამო წარნერა: „ბილეთები არ არის". ამ დამატებათა ნამდვილი აზრი მოგვიანებით გავიგე. ტორფოპროდუქტში ჩასვლა ადვილი იყო, მაგრამ იქიდან წასვლა — ნურას უკაცრავად.

წინათ, რევოლუციამდე, აქაც უღრანი ტყე იყო. შემდეგ ის ტორფის დამამზადებლებმა და მეზობელმა კოლმეურნეობამ გაჩეხეს. მისმა თავმჯდომარე გორშკოვმა ამოძირკვა მრავალი ჰექტარი ტყე და სარფიანად გაასაღა ოდესის ოლქში. ამით დააწინაურა თავისი კოლმეურნეობა, თვითონ კი სოციალისტური შრომის გმირის წოდებას გამოჰკრა ხელი.

ტორფიან დაბლობში უწესრიგოდ იყო გაშენებული დაბა: ცუდად შელესილი ოცდაათიანი წლების ბარაკები და ორმოცდაათიან წლებში აგებული პატარა სახლები, რომელთაც ფასადის მხარეს მოჩუქურთმებული და შემინული ვერანდები ჰქონდათ. მაგრამ შიგ სახლში ვერ ნახავდით ჭერამდე აღმართულ ტიხრებს. ამის გამო იყო, რომ ვერ ვიქირავე ოთახი, რომელსაც ოთხი ნამდვილი კედელი ექნებოდა.

დაბის თავზე ბოლავდა ფაბრიკის მილი. ფაბრიკისკენ დაბაზე გავლით მიემართებოდა ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა. პატარა ორთქლმავლები, რომლებიც აგრეთვე გვარიანად ბოლავდნენ, გამაყრუებელი სტვენით ექაჩებოდნენ მატარებლებს და გადაჰქონდათ მურა ტორფი, ტორფის ფილები და ბრიკეტები. უშეცდომოდ შემეძლო მევარაუდა, რომ საღამოს კლუბის კარების ზემოთ აღგზნებით იქაქანებდა რადიოლა, ქუჩაში კი იხეტიალებდნენ მთვრალები, რომელნიც დანას ურტყამენ ერთმანეთს.

აი, სად მიმიყვანა ჩემმა ოცნებამ რუსეთის წყნარ კუნჭულზე. იქ კი, საიდანაც მე მოვედი, შემეძლო მეცხოვრა თიხით შელესილ ხატაში, უდაბნოს რომ გასცქერის. ღამღამობით იქ გრილი სიო უბერავდა და მხოლოდ ვარსკვლავებით მოჭედილი ცის თაღი დაგვცქეროდა.

სადგურის მერხზე ხომ ვერ გამოვიძინებდი და ინათა თუ არა, კვლავ დაბაში ხეტიალი დავიწყე. წავაწყდი პატარა ბაზარს. ამ სისხ-

ამ დილით ერთადერთი ქალი იდგა იქ — რძეს ყიდდა. გამოვართვი ბოთლი და იქვე დავიწყე სმა.

გამაკვირვა მისმა მეტყველებამ. კი არ ლაპარაკობდა, არამედ ნაზად მღეროდა, თანაც სწორედ იმ სიტყვებით, რომელთა მოსასმენადაც აზიიდან აქეთ მეწეოდა მწუხარე გული:

— დალიე, დალიე, ღმერთმა შეგარგოს. შენ აქაური არ უნდა იყო?

— თქვენ საიდანა ხართ? — გონს მოვეგე მე.

შევიტყვე, რომ აქ მხოლოდ ტორფის დამზადება როდი ხდება, რომ რკინიგზის ლიანდაგის გადაღმა გორაკია, გორაკის იქით კი არის სოფელი, რომელსაც ჰქვია ტალნოვო. იგი უხსოვარი დროიდან არსებობს. ამ სოფლის იქითაც მრავალი სოფელია: ჩასლიცი, ოვინცი, სპუდნი, შევერტნი, შესტიმიროვო. ისინი უფრო შორსაა, რკინიგზის იქით, ტბებისაკენ.

უდიდესი სიმშვიდე და სიამოვნება ვიგრძენი ამ სახელების გაგონებაზე. ვთხოვე ჩემს ახალ ნაცნობს, ბაზრობის მერე წამიყვანოს ტალნოვოში და მომაძებნინოს ქოხი, რომელშიც მდგმურად დავდგებოდი.

მე ხელსაყრელი მდგმური აღმოვჩნდი: ბინის ქირის გარდა სკოლა ერთ მანქანა ტორფსაც მაძლევდა საზამთროდ. ქალის სახეზე აღიბეჭდა ახალი საზრუნავი: მას თვითონ ადგილი არ ჰქონდა (მე და ჩემს ქმარს ღრმად მოხუცი დედაჩემი გვყავს საზრუნავიო), ამიტომ მიმიყვანა ერთ თავის ნათესავთან, შემდეგ სხვებთან. მაგრამ არსად აღმოჩნდა ცალკე ოთახი, ყველგან სივიწროვე იყო.

ასე მივადექით ბოლოს დაშრობის პირას მიმდგარ, თითქმის გუბურებად ქცეულ პატარა მდინარეს, რომელზეც ბოგირი იყო გადებული. ამაზე მშვენიერი ადგილი მთელ სოფელში არ მინახავს. იქ იდგა ორი თუ სამი ტირიფი, გადაფერდებული ქოხი, გუბურაში იხვები ცურავდნენ, ნაპირზე ამოდიოდნენ ბატები და ფრთებს აფათქუნებდნენ.

— მოდი, მატრონასთან შევიდეთ, — თქვა ჩემმა მეგზურმა, რომელიც გვარიანად დაქანცულიყო. — ოღონდ მასთან არცთუ მაინცდამაინც ნესრიგია, ავადმყოფი მარტოხელა ქალია.

მატრონას სახლი იქვე მახლობლად იდგა. სახლს ოთხი სარკმელი ჰქონდა ჩრდილის მხარეს, დახურული იყო ტკეჩით, სახურავი ორფერდა იყო და კოშკის ქვემოთ სხვენის სარკმელი ამშვენებდა. სახლი არ იყო დაბალი — თვრამეტი გვირგვინი ჰქონდა. მაგრამ ეს კია: საკმაოდ დაძველებული იყო და ბევრი ნაწილი შესაცვლელი ჰქონდა.

კუტიკარი დაკეტილი აღმოჩნდა, მაგრამ ჩემს მეგზურს არ დაუკაკუნებია, ქვემოდან შეყო ხელი და ადვილად გააღო. პატარა ეზო დახურული არ იყო, მაგრამ სახლში ყველაფერი ერთმანეთს უკავშირდებოდა. მარცხნივ, რამდენიმე საფეხურის ზემოთ, იყო განცალკევებული ძელური ოთახი ულუმელოდ, რამდენიმე საფეხურის ქვემოთ — პალატი. მარჯვნივ კი იყო თვით სახლი, რომელსაც ჰქონდა სხვენი და სარდაფი.

სახლი დიდი ხნის წინათ და ხარისხიანად იყო აგებული მრავალრიცხოვანი ოჯახისათვის, ახლა კი მასში ცხოვრობდა სამოცი წლის მარტოხელა ქალი.

ქოხში რომ შევედი, იგი რუსულ ღუმელზე იწვა იქვე, შესასვლელთან, ზემოდან ეფარა რაღაც თალხი ძონძმანძი, რაც ფრიად საჭიროა მშრომელი ადამიანის ცხოვრებაში.

ფართო ქოხი, განსაკუთრებით კი მისი საუკეთესო ნაწილი — ფანჯრების მხარე — გაჭედილი იყო ტაბურეტებითა და სხვანაირი უზურგო სკამებით, რომლებზეც ეწყო ფიკუსებიანი ქოთნები და კასრები. ეს უხმო, მაგრამ ცოცხალი არსებანი ავსებდნენ და ახალისებდნენ მარტოსული დიასახლისის ყოფა-ცხოვრებას. ისინი ლაღად გრძნობდნენ თავს ჩრდილოეთის მხრიდან შემოსულ მკრთალ სინათლეზეც. ამ ბინდბუნდში, თანაც საკვამლე მილის მიღმა, დიასახლისის მომრგვალო სახეზე სიყვითლე და ავადმყოფური იერი შევამჩნიე. მის ამღვრეულ თვალებში ჩანდა, რომ სნეულებას მოეტეხა ქალი.

იგი პირქვე იწვა და ისე მელაპარაკებოდა. იწვა უბალიშოდ, თავი კარისკენ ჰქონდა. მე ქვემოთ ვიდექი. ქალს არ გამოუხატავს დიდი სიხარული მდგმურის შოვნის გამო, უჩიოდა ავ სნეულებას, რომლის შეტევა ახლა თანდათან სუსტდებოდა.

— ყოველ თვეში კი არ შემომიტევს ხოლმე, მაგრამ როცა შემომიტევს, ორ-სამ დღეს ვერ ავდგები, ვერც თქვენ მოგემსახურებით. ქოხი კი არ მენანება, მოდით და იცხოვრეთ.

ქალმა ჩამომითვალა სხვა დიასახლისები, მათ მიაკითხე, მათთან უფრო მშვიდად და სიამოვნებით იცხოვრებთო, მაგრამ მე უკვე გავაკეთე არჩევანი: ავირჩიე სწორედ ეს თითქმის ბნელი ქოხი, ეს მქრქალი სარკე, რომელშიც არაფერი ჩანდა; კედელზე სილამაზისთვის გაკრული იყო ხასხასა ფერის ორი მანეთიანი პლაკატი წიგნის ვაჭრობისა და მოსავლის შესახებ. აქ ყოფნა ჩემთვის კარგი იყო იმიტომაც, რომ მატრონას არ ჰქონდა რადიო და მარტოობის გამო ხმისგამცემი არავინ ჰყავდა.

მატრონა ვასილევნამ მაინც მაიძულა, სხვებთანაც შემევლო სოფელში; მასთანვე რომ დავბრუნდი, დიდხანს კვლავ უარზე იდგა, მაგრამ უკვე აღარ ინვა და კმაყოფილებაც კი იგრძნობოდა მის თვალებში, ისევ მას რომ მივაკითხე.

მოვილაპარაკეთ ქირის თაობაზე, ისიც ვთქვით, რომ ტორფს სკოლა მოგვცემს.

მხოლოდ მოგვიანებით შევიტყვე, მრავალი წლის განმავლობაში მატრონა ვასილევნას ერთი მანეთიც არ გამოუმუშავებია. ამიტომაც არ აძლევდნენ პენსიას. ცოტათი ნათესავები ეხმარებოდნენ. კოლმეურნეობაში მუშაობისას ფულს კი არ აძლევდნენ, მხოლოდ შრომადღეებს უწერდნენ აღმრიცხველის გაზინთულ წიგნაკში.

ასე დავბინავდი მატრონა ვასილევნასთან. ოთახი არ გაგვიყვია. მისი საწოლი იდგა კარის კუთხეში ღუმელთან, ჩემი საწოლარი კი გავშალე ფანჯარასთან; მეორე ფანჯარასთან დავიდგი მაგიდა, რითაც მატრონას საყვარელ ფიკუსებს ცოტათი სინათლე შევუზღუდე. სოფელში ელექტრობა იყო — იგი ჯერ კიდევ ოციან წლებში გამოიყვანეს შატურიდან. მაშინ გაზეთებში წერდნენ — „ილიჩის ნათურებიო", თვალებდაჭყეტილი გლეხები კი ამბობდნენ: „მეფე ცეცხლი!"

შესაძლებელია, სოფელში ვინმე უფრო მდიდარ კაცს მატრონას ქოხი კარგ ბინად არც მიაჩნდა, მე და ჩემი დიასახლისი კი იმ შემოდგომასა და ზამთარში თავს ძალიან კარგად ვგრძნობდით: წვიმა არ ჩამოგვდიოდა, ცივი ქარი ღუმლის სითბოს გამთენიისას თუ

მოგვტაცებდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ფარღალალა კედლის მხრიდან უბერავდა.

მატრონასა და ჩემს გარდა ქოხში ცხოვრობდნენ კატა, თაგვები და ტარაკანები.

კატა ბებერი იყო; მთავარი კი ის არის, რომ კოჭლი გახლდათ. მატრონას იგი სადღაც უპოვია, შებრალებია, მოიყვანა და შეიჩვია. კატა ოთხი ფეხით კი დადიოდა, მაგრამ ძალიან კოჭლობდა: ერთი ფეხი სტკიოდა და მას ძალიან უფრთხილდებოდა. როცა იგი ღუმლიდან იატაკზე გადმოხტებოდა, კატისებური რბილი ნახტომის ხმა კი არ ისმოდა, არამედ — ერთდროულად სამი ფეხის დარტყმის ისეთი ძლიერი ხმა, რომ კარგახანს ვერ შევეჩვიე ამას — შევკრთებოდი ხოლმე. სამ ფეხზე ერთდროულად დახტებოდა იმიტომ, რომ მეოთხეს გაფრთხილებოდა.

მაგრამ ქოხში თაგვები იმიტომ კი არ იყვნენ, რომ კოჭლი კატა მათთან ვერაფერს გახდა. არა, იგი ელვასავით დააცხრებოდა თაგვს და კბილებში მოიქცევდა, მაგრამ ხშირად ვერ ახერხებდა ამას. ვერ ახერხებდა იმიტომ, რომ ვერ ხედავდა მათ, ვერ ხედავდა კი იმის გამო, რომ ოდესღაც, ჯერ კიდევ კაი ცხოვრების დროს, ვიღაცამ მატრონას ქოხში გააკრა მომწვანო დაღარული შპალერი, თანაც ერთი კი არა, ხუთი ფენა. შპალერი ერთმანეთს კარგად მიეწება, კედელს კი ბევრგან დაშორდა. ისე გამოვიდა, რომ ქოხს შიგნიდან გაუჩნდა ქერქი. სწორედ ქოხის ძელებსა და შპალერის ქერქს შორის გაიკეთეს თაგვებმა ხვრელები და თავხედურად დაშლიგინოდნენ შიგ, თვით ჭერქვეშაც კი. კატას ესმოდა მათი შლიგინი, კბილი კი არ მიუწვდებოდა მათზე.

კატა ხანდახან ტარაკანებსაც ჭამდა, მაგრამ ცუდად ხდებოდა. ტარაკანა განსაკუთრებით ბევრი იყო სამზარეულოში ღამღამობით. სკოლის ქიმიის კაბინეტიდან მომქონდა ბორაქსი, რომელსაც შევურევდით ცომში და მით ვწამლავდით ტარაკანებს. ტარაკანების რაოდენობამ იკლო, მაგრამ მატრონა შეშინდა, კატაც არ მოვწამლოთო. დავანებეთ თავი საწამლავის დაყრას და ტარაკანები ისევ მომრავლდნენ.

ღამღამობით, როცა მატრონას უკვე ეძინა, მე კი მაგიდასთან ვიჯექი და ვმუშაობდი, შპალერის ქვეშ თაგვების სწრაფ შარიშურს უერთდებოდა ტარაკანების გაბმული შრიალი ტიხარს მიღმა. მე შევეჩვიე ამას, რადგან რაიმე ბოროტებას, რაიმე სიყალბეს ვერ ვხედავდი მასში. ეს შარიშური და შრიალი მათი ცხოვრება იყო.

შევეჩვიე პლაკატზე გამოსახულ უხეშ ლამაზმანსაც, რომელიც მუდმივად მაწვდიდა კედლიდან ბელინსკის, პანფიოროვის და კიდევ სხვათა წიგნებს, მაწვდიდა, მაგრამ არაფერს ამბობდა. შევეჩვიე ყველაფერს, რაც მატრონას ქოხში იყო.

მატრონა დილის ოთხ-ხუთ საათზე დგებოდა. მისი კედლის საათი ოცდაშვიდი წლის წინათ ეყიდათ სოფლის მაღაზიაში. მისი ისრები ყოველთვის წინ გარბოდა, მაგრამ ეს არ ადარდებდა მატრონას — მთავარი იყო არ ჩამორჩენილიყვნენ, რომ დილით ადგომა არ დაგვიანებოდა. ჩართავდა ნათურას სამზარეულოში და ფრთხილად, უხმაუროდ აანთებდა რუსულ ღუმელს, წავიდოდა თხის მოსაწველად (პირუტყვთაგან მხოლოდ ეს რქებდაგრეხილი ნაცრისფერი თხა ჰყავდა), მოიტანდა წყალს და ხარშავდა საჭმელს სამ თუჯიაში: ერთ თუჯიაში ჩემთვის, ერთში თავისთვის და ერთშიც თხისათვის. სარდაფიდან ამოტანილ კარტოფილს გადაარჩევდა: ყველაზე უფრო წვრილი — თხას, წვრილი — თავისთვის, ქათმის კვერცხისხელა — ჩემთვის. მსხვილ კარტოფილს აღარ იძლეოდა მისი ქვიშნარი ბოსტანი, რომელშიც ომისწინა წლების შემდეგ სასუქი არ გაჭაჭანებულა და ითესებოდა კარტოფილი, კარტოფილი და მხოლოდ კარტოფილი.

მატრონას ფუსფუსი დილაობით ჩემთვის თითქმის შეუმჩნეველად მიმდინარეობდა. მეძინა დიდხანს, ზამთრის გვიანი დილის შუქზე ვიღვიძებდი, გავიზმორებოდი და თავს გამოვყოფდი საბნიდან და ტყაპუჭიდან. ესენი და კიდევ ბანაკისეული ტანსათბურა (იგი ფეხებზე მეფარა), ქვემოდან კი ჩალით გატენილი ტომარა მინარჩუნებდნენ სითბოს იმ ცივ ღამეებშიც კი, როცა ჩვენს უბადრუკ სარკმლებში სიცივე შემოიჭრებოდა ჩრდილოეთიდან. როცა ტიხარს მიღმა ოდნავ ხმაურს გავიგონებდი, ყოველთვის მოზომილი ხმით გავძახებდი:

— დილა მშვიდობისა, მატრონა ვასილევნა!

და ტიხარს იქიდან მესმოდა ერთიდაიგივე კეთილის მსურველი სიტყვები:

— თქვენც ამავეს გისურვებთ, იგნატიჩ!

იტყოდა ამას და ცოტა ხნის შემდეგ წამღერებით დაუმატებდა:

— საუზმე უკვე მოგიმზადეთ.

რისგან შედგებოდა საუზმე, იგი არ ამბობდა, მაგრამ ამას რა დიდი მიხვედრა უნდოდა: გაუფცქვნელი კარტოფილი, კარტოფილის წვნიანი ან ქერის ფაფა (სხვა ბურღულის ყიდვა ტორფოპროდუქტში შეუძლებელი იყო; ქერის ბურღულის შოვნაც არ იყო ადვილი — როგორც ყველაზე იაფს, ღორების საკვებად იყენებდნენ და ტომრობით იძენდნენ). ეს კერძები რიგიანად დამარილებული არ იყო, ჭამის შემდეგ სასაზე და ღრძილებზე ფიფქი რჩებოდა, რაც გულისწვას იწვევდა.

მაგრამ ეს მატრონას ბრალი არ იყო: ტორფოპროდუქტში არ იშოვებოდა კარაქი, მარგარინზეც ტაციობა იყო, ადვილად იშოვიდით მხოლოდ კომბინირებულ ცხიმს. როგორც შევამჩნიე, რუსული ღუმელიც არ არის მაინცდამაინც მარჯვედ სახმარი საჭმლის მოსამზადებლად: მზარეული ვერ ხედავს ხარშვის პროცესს, თუჯია თანაბრად არ ცხელდება ყოველი მხრიდან. მაგრამ ალბათ იმიტომ გადმოეცათ იგი ჩვენს წინაპრებს ქვის ხანიდან, რომ დილით ანთებული მთელი დღის განმავლობაში თბილად ინახავს პირუტყვის საკვებს და სალაფავს, ადამიანთა საჭმელს და წყალს. ძილის დროსაც სითბოა ქოხში.

მე მორჩილებით მივირთმევდი, რასაც მომიმზადებდნენ, უხმოდ გადავდებდი გვერდზე, თუ რაიმე საზიზღრობა შემხვდებოდა: თმა, ტორფის ნაკუნი თუ ტარაკანის ფეხი. ვერ ვბედავდი, საყვედური მეთქვა მატრონასთვის. ბოლოსდაბოლოს მან ხომ თავიდანვე გამაფრთხილა, ჩემთან მაინცდამაინც არხეინად ვერ იცხოვრებო.

— გმადლობთ, — სრულიად გულწრფელად ვეუბნებოდი მე.

— რისთვის? — სამადლობელი რა გაქვთ? — განმაიარაღებდა იგი შუქმფინარი ღიმილით. შემდეგ მიამიტად შემომხედავდა ოდნავ მოცისფრო თვალებით და შემეკითხებოდა: — ახლა ის მითხარით, გეთაყვა, ვახშმად რა მოგიმზადოთ?

ვახშამში საღამო იგულისხმებოდა. დღეღამეში ორჯერ ვჭამდი, როგორც ფრონტზე ყოფნისას. რა შეკვეთა უნდა მიმეცა სავახშმოდ? ისევ ის — კარტოფილი ან კარტოფილის წვნიანი.

მე შევეგუე ამას, რადგანაც ცხოვრებამ მასწავლა, ყოველდღიური არსებობის აზრი საჭმელში როდია. ჩემთვის უფრო ძვირფასი იყო მატრონას მომრგვალო სახეზე აღბეჭდილი ღიმილი, რომლის ფოტოფირზე გადატანას ამაოდ ვცდილობდი მას შემდეგ, რაც ფოტოაპარატის ფული ვიშოვე. ფოტოობიექტივის ცივ მზერას რომ იგრძნობდა, მატრონას გამომეტყველება იძაბებობა ან ზვიადურად მკაცრი ხდებოდა.

მხოლოდ ერთხელ აღვბეჭდე ფირზე, როცა იგი ფანჯრიდან ქუჩაში იცქირებოდა და ვიღაცას თუ რაღაცას ულიმოდა.

იმ შემოდგომაზე მატრონას ბევრი საწყენი შეხვდა. ცოტა ხნის წინათ ახალი საპენსიო კანონი შემოიღეს და მეზობელმა ქალებმა შთააგონეს, პენსიის ასაღებად იზრუნეო. მატრონა მარტოხელა იყო და მას შემდეგ, რაც დასნეულდა, კოლმეურნეობიდან დაითხოვეს. ბევრი უსამართლობა დაატყდა თავს მატრონას: იგი სნეული იყო, მაგრამ ინვალიდად არ ითვლებოდა; მეოთხედი საუკუნის განმავლობაში იმუშავა კოლმეურნეობაში, მაგრამ რაკი ქარხანაში არ უმუშავია, საკუთარი პენსია არ ერგებოდა, შეიძლებოდა მხოლოდ ქმრის პენსია მიეღო, როგორც მარჩენალის დამკარგველს. მაგრამ უკვე თხუთმეტი წელინადია, ომის დაწყებიდანვე, ქმარი არ ჩანდა და ახლა ადვილი როდი იყო, აეღო ცნობები სხვადასხვა ადგილას მისი მუშაობის სტაჟისა და ხელფასის რაოდენობის შესახებ. ამ ცნობების მოპოვება სახათაბალო საქმე იყო. უნდა აეღო იმის ცნობა მაინც, რომ ქმარი თვეში იღებდა თუნდაც სამას მანეთს; უნდა აეღო დამოწმებული ცნობა, რომ მარტოხელაა და დამხმარე არავინ ჰყავს; ცნობა ასაკის შესახებ. შემდეგ ეს ცნობები უნდა მიეტანა სოცუზრუნველყოფის განყოფილებაში; თუ რომელიმე ცნობა შესასწორებელი იქნებოდა, უნდა წაეღო აქედან იქ, იქიდან აქ; შემდეგ — ისევ სოცუზრუნველყოფაში და იწყებოდა მოლოდინი: მომცემენ თუ არა პენსიას?

ამ სახათაბალო საქმეს ის უფრო აძნელებდა, რომ სოცუზრუნველყოფა ტალნოვოდან აღმოსავლეთით იყო ოც კილომეტრზე, სოფ-

ლის საბჭო — დასავლეთით ათ კილომეტრზე, სადაბო საბჭო კი — ჩრდილოეთით ერთი საათის სავალზე. მატრონას კანცელარიიდან კანცელარიაში აგზავნიდნენ ორი თვის განმავლობაში, აქაოდა, აქ მძიმე აკლია, აქ წერტილიო. ყოველ წასვლა-მოსვლას ერთი დღე სჭირდებოდა. მივა სოფლსაბჭოში, ეტყვიან, დღეს მდივანი არ არისო, როგორც ხშირად ხდება სოფლებში. გამოდის, რომ ხვალ ისევ უნდა მივიდეს. მივა და რა: მდივანი არის, მაგრამ ბეჭედი არ აქვს. მესამე დღეს ისევ უნდა მივიდეს. მეოთხე დღეს კი იმიტომ უნდა მივიდეს, რომ თავიანთი სიბრმავის გამო სხვა ქაღალდზე მოუნერიათ ხელი და არა იმაზე, რომელზეც საჭირო იყო — მატრონას ხომ ყველა ქაღალდი ერთად აქვს შეკოწიწებული.

— მაწვალებენ, იგნატიჩ, — შემომჩიოდა ის ასეთი უნაყოფო წასვლა-მოსვლის შემდეგ. — ქანცი გამიწყვიტეს პირდაპირ.

მაგრამ დიდხანს როდი რჩებოდა შუბლშეკრული. შემჩნეული მქონდა: მატრონას გააჩნდა უებარი საშუალება, მოეკრიბა სულის სიმხნევე — მუშაობა. იგი მაშინვე ჰკიდებდა ხელს ბარს და თხრიდა კარტოფილს; იღლიაში ამოიჩრიდა ტომარას და ტორფის მოსატანად წავიდოდა; ან ხელში კალათს დაიჭერდა და კენკრის საკრეფად მიეშურებოდა შორეულ ტყეში, იქიდან კი თავის ქოხში ბრუნდებოდა დატვირთული, სახეგაბრწყინებული, ყველაფრით კმაყოფილი, კეთილად მომღიმარი მატრონა.

— ახლა კი მივაგენი კარგ ადგილს, იგნატიჩ, ვიცი, საიდან უნდა მოვიტანო, — მეუბნებოდა იგი ტორფის თაობაზე. — უჰ, რა ადგილია, ღვთის წყალობაა, პირდაპირ!

— მატრონა ვასილევნა, ნუთუ ჩემი ტორფი არ გვეყოფა? მთელი ერთი მანქანა მერგება.

— აჰ, შენი ტორფი! რას გვეყოფა ეგ! ორი მაგდენიც ან გვეყოფა, ან არა. აქ რომ ზამთარი მოუჭერს, იცი, როგორია?! უბერავს ფანჯრებიდან ისე, რომ სითბოს დიდი ნაწილი გარეთ მიაქვს. ზაფხულში რამდენი ტორფი მოვზიდეთ! ახლაც ერთ სამ მანქანას მოვზიდავდი, მაგრამ გვიჭერენ წყეულები. ერთი ჩვენი დედაკაცი სასამართლოს გადასცეს.

ეს მართლაც ასე იყო. უკვე იგრძნობა მრისხანე ზამთრის სუნთქვა და სევდისაგან გული ეკუმშება კაცს. ირგვლივ ტყე იყო, მაგრამ სათბობს ვერსად იშოვიდი. ექსკავატორები ღმუოდნენ ჭაობებში, მაგრამ მოსახლეობაზე ტორფს არ ჰყიდდნენ, მხოლოდ უფროსებთან მიჰქონდათ. თითო მანქანა ტორფი ეძლეოდათ მასწავლებლებს, ექიმებს, ქარხნის მუშებს. მოსახლეობას სათბობი არ ერგებოდა და არც უნდა მოეთხოვა. დადიოდა კოლმეურნეობის თავმჯდომარე სოფელში, უყურებდა ხალხს პირქუშად ან მიამიტად და ლაპარაკობდა ყველაფერზე, სათბობზე კი კრინტს არ ძრავდა. რა ენაღვლებოდა, თვითონ კი ჰქონდა მომარაგებული.

რა უნდა ექნა ხალხს. წინათ ბატონს ჰპარავდნენ ხეტყეს, ახლა ტრესტის მიერ დამზადებული ტორფი უნდა აეწაპნათ. შეიკრიბებოდა ხუთი, ათი ქალი ერთად, რომ უფრო თამამად ყოფილიყვნენ. მიდიოდნენ დღეში რამდენჯერმე. მათ შორის იყო მატრონაც.

გამოერეოდა ისეთი იღბლიანი დღეებიც, როცა მატრონა ექვს ტომარა ტორფს მოიტანდა. ჩემი ტორფი მან გამოსაჩენ ადგილას დაანყო, თავის მოტანილს კი გადახურულში მალავდა.

— რას მიხვდებიან ჩვენი მტრები! — ღიმილით ამბობდა ის და ოფლს იწმენდდა შუბლიდან. — აქ თავის დღეში ვერ იპოვიან.

რა უნდა ექნა ტრესტს? მას არ მისცეს შტატი, რომ დარაჯი დაეყენებია ყოველ ჭაობთან. ხდებოდა ისე, რომ გაგზავნიდნენ ცნობას დიდი რაოდენობით დამზადებული ტორფის შესახებ, შემდეგ კი ნანილს ჩამოსწერდნენ — ზოგი დაიფხვნა, ზოგიც წვიმამ გაგვიფუჭაო. ხანდახან პატრულს გამოიყვანდნენ და სოფელში შესვლისას იჭერდნენ ტორფით დატვირთულ ქალებს. ქალები დაყრიდნენ ტომრებს და გარბოდნენ. ხანდახან დამბეზღებლების შეტყობინებით სახლებს ჩხრეკდნენ. შეადგენდნენ ოქმს მოპარული ტორფის შესახებ და სამართალში მიცემით იმუქრებოდნენ. ქალები ერთხანს თავს ანებებდნენ ტორფის ზიდვას, მაგრამ ზამთარი რომ მოახლოვდებოდა, კვლავ განაახლებდნენ. ახლა უკვე ღამღამობით ეზიდებოდნენ მარხილებით.

მატრონას საქმიანობას რომ ვაკვირდებოდი, შევამჩნიე, რომ საჭმლის მზადებისა და დიასახლისობის გარდა ყოველდღე გამოუჩნ-

დებოდა მას რაიმე მნიშვნელოვანი საქმე. დილით რომ გაიღვიძებდა, ყოველთვის იცოდა, რა უნდა გაეკეთებინა დღეს. ეზიდებოდა ტორფს, აგროვებდა ტრაქტორის მიერ ჭაობში ამოთხრილ ხმელ კუნძებს, საზამთროდ ქილებში ალბობდა ნითელ მოცვს („გაისველე პირი, იგნატიჩ" — მთავაზობდა), თხრიდა კარტოფილს, დარბოდა პენსიის საქმეზე, მაგრამ იმაზეც უნდა ეზრუნა, რომ საკვები ეშოვა თავისი ნაცრისფერი თხისათვის.

— მატრონა ვასილევნა, ძროხა რატომ არა გყავთ?

— ეეჰ, იგნატიჩ, — ამოიხვნეშა მატრონამ და ჩემკენ შემობრუნდა. — მე თხის რძეც მყოფნის. ძროხა რომ ვიყოლიო, რა ჯანდაბა ვაჭამო. ლიანდაგთან არ მოთიბოო, იმას თავისი პატრონი ჰყავსო, არც ტყეში შეიძლება თიბვა — იქ მეტყევეა პატრონი, არც კოლმეურნეობაში მაძლევენ თიბვის ნებას — კოლმეურნე აღარა ხარო.

ასე რომ, მატრონა დიდი ჭაპანწყვეტით ახერხებდა, რომ ერთი გამწლეული თხისთვის თივა მოეგროვებინა. აიღებდა დილით ტომარას, ნამგალს და მიაშურებდა შეთვალიერებულ ბალახოვან ადგილებს — ღობისძირებს, გზისპირებს, ჭაობებში აქა-იქ ამოჩრილ პაწაწინა კუნძულებს. გატენიდა ტომარას ნედლი ბალახით, მოიტანდა შინ და ეზოში გააფენდა. რომ გახმებოდა, ერთი ტომარა ბალახი ორიოდე მუჭა თივა იყო.

ახალმა თავმჯდომარემ, რომელიც ქალაქიდან გამოგზავნეს, ყველა ინვალიდს საკარმიდამო ნაკვეთი შეუმცირა. მატრონას დაუტოვა თხუთმეტი მეასედი ქვიშნარი, ათი მეასედი კი ღობის მიღმა დარჩა გამოუყენებლად. თუმცა ეს თხუთმეტი მეასედიც არ იყო დაუყვედრებელი — კოლმეურნეობა მაინც აწუხებდა მატრონას. როცა მუშახელი არ ჰყოფნიდათ, როცა ქალები სამუშაოდ გასვლაზე მტკიცე უარს ამბობდნენ, მატრონას მიაკითხავდა თავმჯდომარის მეუღლე. ისიც ქალაქელი ქალი იყო, შეუპოვარი, ეცვა ნაცრისფერი მოკლე პალტო, სამხედრო პირივით მედიდურად გამოიყურებოდა. შემოვიდოდა ქოხში, მისალმებას საჭიროდ არ მიიჩნევდა და ისე შეაცქერდებოდა მატრონას. მატრონა შეცბუნებული იდგა.

— მაშასადამე, — დამარცვლით იტყოდა თავმჯდომარის ცოლი, — ამხანაგო გრიგორიევა, უნდა დავეხმაროთ კოლმეურნეობას! ხვალ უნდა წახვიდეთ ნაკელის გასატანად!

მატრონას ოდნავ გაეღიმებოდა, თითქოს მას რცხვენოდა თავმჯდომარის მეუღლის მაგივრად, რომ ის ქალი შრომას ვერ აუნაზღაურებდა.

— ეჰ, რას ვიზამთ, — ამოიხვნეშებდა ის. — მე დავსნეულდი და თქვენს საქმეში ვერ ვმონაწილეობ. — იტყოდა ამას და მაშინვე გამოასწორებდა: — რომელ საათზე უნდა წავიდე სამუშაოდ?

— და ფინალიც წამოიღე, — ასწავლიდა თავმჯდომარის ცოლი და ქვედატანის შარიშურით წავიდოდა.

— ოჰო! — ბუზღუნებდა მატრონა. — ფინალიც ჩემი უნდა წავიღო! არც ბარი, არც ფინალი კოლმეურნეობას არ აქვს. მე კი კაცი არ მყავს სახლში, რომ ფინალზე ტარი დამიგოს.

შემდეგ მთელ საღამოს ასეთ ლაპარაკში გალევდა:

— რა ჰქვია ამას, იგნატიჩ! წყლის ნაყვაა ეს მუშაობა. ბარს დაეყრდნობი და ელოდები, როდის გაიგონებ ფაბრიკიდან თორმეტი საათის საყვირის ხმას. ზოგჯერ იმას ანგარიშობენ ქალები, ვინ გამოვიდა სამუშაოდ, ვინ არ გამოვიდა. წინათ, როცა თავისთვის მუშაობდნენ, სრული სიმშვიდე იყო, მხოლოდ იმაზე იყო ლაპარაკი, აი, სადილობის დროა, აი, მოსაღამოვდაო.

მატრონა დილით მაინც აიღებდა თავის ფინალს და წავიდოდა.

მაგრამ არა მარტო კოლმეურნეობა, არამედ რომელიმე შორეული ნათესავი ან მეზობელი ქალი მოვიდოდა საღამოთი მატრონასთან და ეტყოდა:

— მატრონა, ხვალ უნდა მომეხმარო, კარტოფილი მაქვს ამოსაღები.

მატრონაც უარს ვერ ეუბნებოდა. იგი გადასდებდა თავის საქმეს, წავიდოდა მეზობლის დასახმარებლად და რომ დაბრუნდებოდა შინ, ყოველგვარი შურის გარეშე იტყოდა:

— აჰ, რა მსხვილი კარტოფილი აქვს იმ ქალს. დიდი სიამოვნებით ვთხრიდი, ბოსტნიდან წამოსვლა არ მინდოდა; ღმერთმანი, მართალს ვამბობ!

მატრონას გარეშე არ ხდებოდა განსაკუთრებით ბოსტნის დახვნა. ტალნოვოელმა ქალებმა კარგად იცოდნენ, რომ ბოსტნის დაბარვა ერთი ადამიანისათვის ძნელი იყო და დიდხანსაც მოუნდებოდნენ. ამჯობინებდნენ ექვსნი შებმოდნენ კავს და ასე დაეხნათ ექვსი ბოსტანი. ამიტომაც იწვევდნენ მატრონას დასახმარებლად. როცა მატრონას ეხმარებოდნენ, ვეკითხებოდი:

— გადაუხადეთ რამე იმ ქალებს?

— არა, ფულს არ იღებენ. ჩვენი სურვილით ვაკეთებთ ამას.

დიდი ფაციფუცი სჭირდებოდა მატრონას, როცა მოაწევდა მისი რიგი — გამოეკვება თხის მწყემსები: ერთი ახმახი ყრუმუნჯი და მეორე — პატარა ბიჭი, რომელსაც შეხვეული თუთუნი მუდმივად პირში ჰქონდა გაჩრილი. ეს რიგი მატრონას თვენახევარში ერთხელ უწევდა, მაგრამ დიდი ხარჯი კი სჭირდებოდა. იგი მიდიოდა სოფლის მაღაზიაში, ყიდულობდა თევზის კონსერვებს, შაქარსა და კარაქს, რასაც თვითონ არასოდეს ჭამდა. თურმე თხის პატრონები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ — ვინ უკეთ გამოკვებავდა მწყემსებს.

— უფრთხილდი თერძებს და მწყემსებს, — ამიხსნა მატრონამ. — თავს მოგჭრიან მთელ სოფელში, თუ რაიმე არ მოეწონათ.

ამ გაჯახირებულ სიცოცხლეში დროდადრო ჩაერთვებოდა მძიმე სნეულება. მატრონა ლოგინად ჩავარდებოდა და ორი დღეღამე გაშხლართული იწვა. იგი არ ჩიოდა, არ კვნესოდა, მაგრამ თითქმის არც ინძრეოდა. ასეთ დღეებში მატრონას ახლო მეგობარი ქალიშვილობის დროიდან — მაშა მოდიოდა, უვლიდა თხას და ანთებდა ღუმელს. თვითონ მატრონა არც ჭამდა, არც სვამდა და არც თხოულობდა რამეს. დაბის სამედიცინო პუნქტიდან ექიმის გამოძახება ტალნოვოში საოცრებად ჩაითვლებოდა, როგორღაც უხერხული იყო მეზობელთა წინაშე, იტყოდნენ: რომელი ქალბატონი ეგ არისო. ერთხელ მაინც გამოიძახეს. მოვიდა გაანჩხლებული ექიმი, მატრონას უბრძანა: როგორც კი წამოდგები, სამედიცინო პუნქტში შენი ფეხით მოდიო. მატრონა ძალაუნებურად წავიდა, აუღეს ანალიზები, გაგზავნეს რაიონის საავადმყოფოში და ამით გათავდა ყველაფერი.

საქმე სიცოცხლისაკენ უხმობდა მატრონას. იგი მალე წამოდგა, ჯერ ნელნელა მოძრაობდა, შემდეგ კი ძველებურად მკვირცხლად.

— შენ წინათ უნდა გენახე, იგნატიჩ, — თავს იმართლებდა მატრონა. — ტომარასთან ვერავინ მიმასწრებდა, ხუთ ფუთს ტვირთად არ მივიჩნევდი. მამამთილი დამიყვირებდა: „მატრონა, კისერს მოიტეხ!“ მაზლიც ვერ მჯობნიდა ამ საქმეში. ერთი სამხედრო ცხენი გვყავდა...

— რატომ სამხედრო?

— ჩვენი ომში წაიყვანეს, მის ნაცვლად მოგვცეს დანაჭერი ცხენი; ხუშტური მოუვლიდა ხოლმე. ერთხელ დაფრთხა და მარხილი ტბისაკენ გააქანა. კაცები განზე გახტნენ, მე კი, არ ვტყუი, აღვირში ვტაცე ხელი და გავაჩერე. შვრიის ჭამა უყვარდა. ჩვენი გლეხები ცხენს კარგად კვებავენ. შვრიის მჭამელ ცხენებს შეუძლიათ დიდი ტვირთი აიკიდონ.

მაგრამ ჩვენი მატრონა არც ისე უშიშარი იყო. მას ეშინოდა ხანძრისა, ეშინოდა ელვისა, მაგრამ ყველაზე მეტად რატომღაც მატარებელი აფრთხობდა.

— ჩერუსტიში წასვლა რომ მინდოდეს, ნეჩაევკადან მომავალი მატარებელი მოგანათებს და თვალებს დაგაჭყეტინებს, რელსები გუგუნებს, ტანზე ალმური მედება, მუხლები მიკანკალებს. ღმერთმანი, მართლა ასეა! — თვითონვე უკვირდა მატრონას და მხრებს იჩეჩავდა.

— მატრონა ვასილევნა, ეგებ იმიტომ ხდება ეგ, რომ ბილეთებს არ იძლევიან?

— სალაროში? იქ მხოლოდ რბილის ბილეთებს გაჩრიან ხელში. მატარებელი კი საცაა დაიძვრის! ვაწყდებით აქეთ-იქით. კაცები კიბით მატარებლის სახურავზე აძვრნენ, ჩვენ კი ღია კარები დავინახეთ და იმას მივცვივდით, უბილეთოები. ვაგონები კი ყველა ცარიელია, თუგინდ თაროზე წამოწექი. არ ვიცი, რატომ არ იძლევიან ბილეთებს ეს წყეული პარაზიტები...

იმ ზამთარს მატრონას ცხოვრება მაინც აეწყო ისე, როგორც არასდროს. როგორც იქნა, მისცეს პენსია ოთხმოცი მანეთი. ამის გარდა ასზე მეტს იღებდა სკოლისა და ჩემგან.

— ეჰა! ახლა სიკვდილიც არასოდეს მოუნდება მატრონას, — უკვე შენატროდა მატრონას ზოგიერთი ხარბი მეზობელი. — მეტ ფულს ეგ ბებერი ვერც მოიხმარს.

— პენსია? მერე რა! — თავს აქნევდნენ სხვები. — სახელმწიფო წუთისოფელია, დღეს მოგცემს, ხვალ კი ნაგართმევს.

მატრონამ თავისთვის ნაბდის ჩექმები შეუკვეთა, იყიდა ახალი ტანსათბურა, პალტოდ გადაიკეთა რკინიგზელის ნახმარი შინელი, რომელიც აჩუქა მას ჩერუსტელმა მემანქანემ — ოდესღაც მის მიერ აღზრდილი კირას მეუღლემ. სოფლის კუზიანმა თერძმა მაუდს ქვემოდან ბამბა დაუდო და ისეთი მშვენიერი პალტო გამოვიდა, როგორიც მატრონას არ ჩაუცვამს თავისი სამოცი წლის განმავლობაში.

ამ პალტოს შუა ზამთარში მატრონამ ჩააკერა ორასი მანეთი — თავის დასამარხი ფული. გამხიარულდა ქალი:

— ახლა ცოტათი მეც დავმშვიდდი, იგნატიჩ.

გავიდა დეკემბერი, გაილია იანვარიც. ამ ორი თვის განმავლობაში მატრონა ავად არ გამხდარა. საღამოობით მან მოუხშირა მაშასთან სიარულს — ისხდნენ და მზესუმზირას აკნატუნებდნენ. მატრონა პატივს სცემდა ჩემს საქმიანობას და საღამოობით არ იწვევდა სტუმრებს. მხოლოდ ნათლისღებას, სკოლიდან რომ მოვედი, წავაწყდი ასეთ სურათს: ქოხში ქალები ცეკვავდნენ. გავიცანი მატრონას სამი ღვიძლი და, რომლებიც მატრონას გამდელს ეძახდნენ, რაკი იგი უფროსი იყო. ამ დღემდე იშვიათად თუ გამიგონია ჩვენს ქოხში დების სახელი. ისინი არ გამოჩენილან, შეიძლება, იმის გამოც, რომ შიშობდნენ, მატრონამ დახმარება არ გვთხოვოსო.

მხოლოდ ერთმა ამბავმა თუ მინიშნებამ ჩაუმწარა მატრონას ეს დღესასწაული: იგი ნაკურთხი წყლის მოსატანად წავიდა ეკლესიაში ხუთი ვერსის იქით, დადგა თავისი კარდალა სხვების ჭურჭლებთან ერთად. როცა წყალკურთხევა დამთავრდა და ქალებმა ჭურჭლებს მიაშურეს, მატრონა უკან აღმოჩნდა და მისი კარდალა აღარ დახვდა. არც სხვა ჭურჭელი იდგა მის მაგივრად. თითქოს ავმა სულმა გააქრო მატრონას კარდალა.

— ქალებო, ვინმემ შეცდომით ხომ არ აიღო ჩემი ნაკურთხი წყალი? კარდალაში ესხა იგი, — ეკითხებოდა მატრონა მლოცველებს.

არავის უთქვამს, მე ავიღეო. იქნებ ბიჭუნებმა იცელქეს (იქ ბიჭუნებიც იყვნენ), ვინ იცის? დანაღვლიანებული დაბრუნდა შინ მატრონა. მას ყოველთვის მოჰქონდა ნაკურთხი წყალი, ამ წელს კი დარჩა უწყლოდ.

ვერ ვიტყვით, რომ მატრონა თავგამოდებული მორწმუნე იყო. მას წარმართი უფრო ეთქმოდა, ცრუმორწმუნეობა სძლევდა: ივანობას ბოსტანში შესვლა არ შეიძლება — გაისად მოსავალი არ იქნება; თუ ქარბუქი ამოვარდა — სადღაც ვიღაცამ თავი ჩამოიხრჩო; თუ კარში ფეხი დაინეწკე — სტუმარი მოვა. რაც მასთან ვცხოვრობდი, არასოდეს მინახავს, რომ მატრონა ლოცულობდა ან პირჯვარს იწერდა. ყოველგვარ საქმეს კი ასე იწყებდა: „ღმერთი შეგვეწიოს"; როცა სკოლაში მივდიოდი, ყოველთვის მეტყოდა — „შეგეწიოს ღმერთი!" შეიძლება, ის ლოცულობდა, მაგრამ არა ჩემს დასანახავად, ერიდებოდა ჩემი ან შიშობდა, არ შევაწუხოო. ქოხში იყო წმიდა კუთხე, სამზარეულოში — წმინდა ნიკოლოზის ხატი. მწუხრის ლოცვის დროს და დღესასწაულებზე კი დილიდანვე მატრონა კანდელს აანთებდა ხოლმე.

მატრონას უფრო ცოტა ცოდვა ედო, ვიდრე მის კოჭლ კატას — ეს ხომ თაგვებს ახრჩობდა.

ფული რომ ვიშოვე, რადიომიმღები შევიძინე. ოჯახურ ფაციფუცს თავს რომ დააღწევდა, მატრონაც უსმენდა ჩემს რადიოს. ისე მოხდა, რომ იმ წელიწადს საზღვარგარეთის ორი-სამი დელეგაცია ჩამოდიოდა კვირაში. დელეგაციას მიიღებდნენ, ატარებდნენ სხვადასხვა ქალაქში, აწყობდნენ მიტინგებს და ბოლოს გააცილებდნენ. ყოველდღე გადმოსცემდნენ უამრავ მნიშვნელოვან ცნობას ბანკეტის, საუზმისა და სადილის შესახებ. მატრონა შუბლს შეიკრავდა და უკმაყოფილოდ ამოიხვნეშებდა:

— მოდიან და მიდიან, მოდიან და მიდიან, რით ვერ მოიჯერეს გული!

როცა მოისმინა ცნობა ახალი მანქანების გამოგონების თაობაზე, სამზარეულოდან მატრონას ბუზღუნი მოისმა:

— სულ ახალი და ახალი, ძველს აღარ სჯერდებიან. კი მაგრამ, ეს ძველები სად დავაწყოთ?

იმ ნელინადს იმასაც შეგვპირდნენ, დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრებს გავუშვებთო. ღუმელზე მწოლარე მატრონა თავს აქნევდა:

— ოი, ოი, ოი, ყველაფერს ცვლიან, ალბათ, ზამთარ-ზაფხულსაც შეცვლიან.

შალიაპინი მღეროდა რუსულ სიმღერებს. მატრონა კარგახანს ისმენდა ფეხზე მდგომი, ბოლოს გადაჭრით თქვა:

— უცნაურად მღერიან, არა ჩვენებურად.

— რას ამბობთ, მატრონა ვასილევნა! აბა, კარგად დაუგდეთ ყური.

მატრონამ მოისმინა სიმღერა, ტუჩები დამუნა და გამოსცრა:

— არა, არა, ეს ჩვენებური კილო არ არის. თანაც როგორ ეფერება თავის ხმას!

მაგრამ მატრონამ ერთხელ გამახარა კიდეც. ერთ კონცერტზე გლინკას რომანსებს ასრულებდნენ. როცა კამერული რომანსები მოისმინა, აღგზნებული და ცრემლმორეული მატრონა გამოვიდა ტიხარს იქიდან და ჩაიჩურჩულა:

— აი, ეს მესმის, ეს ჩვენებურია!

II

მატრონა და მე ისე შევეჩვიეთ ერთმანეთს, რომ ძალზე შინაურულად ვცხოვრობდით. იგი ხელს არ მიშლიდა საღამოობით ჩემს საქმიანობაში, რაც კარგახანს გრძელდებოდა: თავს არ მაბეზრებდა ათასგვარი შეკითხვებით. მას იმდენად აკლდა ქალური ცნობისმოყვარეობა, იმდენად დელიკატური იყო, არასოდეს უკითხავს, ცოლი თუ მყავდა ოდესმე. ტალნოვოელი ქალები თავს აბეზრებდნენ მას, გაგვიგე მისი ამბავიო. მატრონა პასუხობდა:

— თუ თქვენ გჭირდებათ ამის ცოდნა, თვითონვე ჰკითხეთ. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ შორიდან არის მოსული.

და როცა მოგვიანებით მე თვითონ ვუთხარი, დიდხანს ციხეში ვიჯექი-მეთქი, მას არაფერი უთქვამს, მხოლოდ თავი გააკანტურა იმის ნიშნად, თითქოს ეგ აქამდეც ვიცოდიო.

მეც დღევანდელ მატრონას ვხედავდი, ერთ დაბნეულ დედაბერს; არც მე ვიქექებოდი მის წარსულში და ეჭვადაც არ ვიცოდი, რომ იგი ფრიად საინტერესო ქალი ყოფილა.

ვიცოდი ის, რომ მატრონა გათხოვდა ჯერ კიდევ რევოლუციამდე, იმთავითვე მოვიდა სწორედ ამ ქოხში და მაშინვე ღუმელთან ჰქონდა საქმე (ესე იგი ცოცხალი არ იყვნენ დედამთილი, გაუთხოვარი უფროსი მული და ქორწინების პირველივე დღიდან მატრონა ოჯახის უღელში შეება). ვიცოდი, რომ გაუჩნდა ექვსი ბავშვი, რომლებიც ერთიმეორის მიყოლებით დაეხოცა ჩვილობის ასაკში ისე, რომ ორი ბავშვი ერთად არ ჰყოლია. შემდეგ აღზარდა ვინმე კირა, ქმარი არ დაბრუნებულა ამ ომიდან. არ უგლოვიათ. მის ასეულში ნამყოფი თანასოფლელები ამბობდნენ: ან ტყვედ ჩავარდა, ან დაიღუპაო, მაგრამ გვამი ვერ იპოვეს. ომის დამთავრებიდან თერთმეტი წლის შემდეგ მატრონამაც ირწმუნა, ცოცხალი არ არისო. კარგიც იყო, რომ ასე ფიქრობდა. ახლა ცოცხალი რომც იყოს, ალბათ, ცოლიანია და სადმე ბრაზილიაში ან ავსტრალიაში ცხოვრობს; სოფელი ტალნოვო და რუსული ენა აღარც ეხსომებაო.

ერთხელ, სკოლიდან რომ მოვედი, ჩვენს ქოხში სტუმარი დამხვდა. ეს იყო მაღალი შავი მოხუცი; ქუდი მუხლებზე ედო, იჯდა სკამზე, რომელიც მატრონას დაედგა მისთვის „ჰოლანდიურ ღუმელთან". მთელი სახე დაფარული ჰქონდა შავი წვერით, რომელშიც თითქმის არ ერია ჭაღარა. შავ წვერს უერთდებოდა სქელი შავი ულვაშები ისე, რომ პირი ძლივს ჩანდა. მოხუცს გამოცდილი და ღირსეული კაცის იერი ჰქონდა. ის იჯდა ნელგამართული, იატაკზე დაებჯინა კვერთხი და ზედ ხელები ჩამოეწყო; იჯდა მშვიდად და მოთმინებით ელოდა ვიღაცას; ჩანდა, რომ იშვიათად თუ შეეხმიანებოდა მატრონას, რომელიც ტიხარს იქით ფუსფუსებდა.

რომ შემოვედი, მოხუცმა მედიდურად ნელნელა მოაბრუნა ჩემკენ თავი და უეცრად მომმართა:

— იგნატიჩ, შვილო! კარგად ვერ გხედავ... ჩემი შვილი სწავლობს თქვენთან, ანტოშკა გრიგორიევი...

მეტის თქმა არც იყო საჭირო. თუმცა მზად ვიყავი, მთელი სულითა და გულით დავხმარებოდი ამ საპატიო მოხუცს, მაგრამ წინასწარვე ვიცოდი, მის სათხოვარზე უარი უნდა მეთქვა. ის ლოყებღაჟღაჟა ჩამრგვალებული ყმაწვილი — ანტოშკა გრიგორიევი, რომელიც ბლინებით გამძღარ კატასავით გამოიყურებოდა, მე-8 „გ" კლასში იჯდა. იგი თითქოს დასასვენებლად დადიოდა სკოლაში, იჯდა მერხზე და ზანტად იღიმებოდა. შინ ხომ არასოდეს სწავლობდა გაკვეთილებს, მაგრამ მთავარი ის არის, რომ მოსწრების მაღალი პროცენტისათვის ბრძოლაში, რითაც სახელგანთქმული იყო ჩვენი რაიონის, ჩვენი და მეზობელი ოლქების სკოლები, ანტოშკა წლიდან წლამდე გადაჰყავდათ კლასიდან კლასში. ბიჭმა კარგად იცოდა, რომ როგორადაც არ უნდა დაემუქრონ მასწავლებლები, წლის ბოლოს მაინც გადაიყვანენ მომდევნო კლასში და ამისთვის სწავლა სულაც არ არის საჭირო. იგი პირდაპირ დაგვცინოდა ჩვენ. მე-8 კლასში კი იჯდა, მაგრამ არ იცოდა, რა არის წილადი და რით განსხვავდება ერთმანეთისაგან სამკუთხედები. პირველ და მეორე მეოთხედებში სულ ორიანებს ვუწერდი, იგივე ელოდა მესამე მეოთხედშიც.

მაგრამ როგორ უნდა მეთქვა ახლა ამ ნახევრად ბრმა მოხუცისათვის, რომელიც ანტოშკას ბაბუად უფრო შეეფერებოდა და ახლა თავმდაბლურად მოსულიყო ჩემთან, რომ სკოლა წლიდან წლამდე ატყუებდა მას. მე არ შემიძლია მისი მოტყუება, თორემ მთელი კლასი გაირყვნება, გავხდები ყბედი, რომელსაც ფეხებზე ჰკიდია მთელი თავისი შრომა და მასწავლებლის წოდება.

და ახლა მოთმინებით განვუმარტე მოხუცს, რომ მისი შვილი ძალიან ხელმიშვებულია, რომ იგი ტყუის სკოლაშიც და სახლშიც, რომ საჭიროა, უფრო ხშირად გაუსინჯონ დღიური და მაგრად აუწიონ ყურები.

— რაღა მაგრად, მამავ და შვილო, — მიმტკიცებს სტუმარი. — ყოველ კვირაში ვცემ, ხელი კი ძალიან მწარე მაქვს.

ამ საუბარში გამახსენდა, რომ ერთხელ მატრონამაც უშუამდგომლა ჩემთან ანტოშკა გრიგორიევს, მაგრამ მაშინ არ მიკითხავს, მისი

რა ნათესავია ანტოშკა, შუამდგომლობაზე კი უარი ვუთხარი. მატრონა ახლაც იდგა სამზარეულოს კარებში, როგორც უსიტყვო მთხოვნელი. როცა ფადეი მირონოვიჩი წავიდა იმ პირობით, რომ ხშირად შემოვივლი და ბიჭის ამბავს ვიკითხავო, მატრონას ვკითხე:

— მატრონა ვასილევნა, ვერ გავიგე, ეს ანტოშკა თქვენი რა არის?

— ჩემი მაზლის შვილია, — ცივად მითხრა მატრონამ და თხის მოსაწველად წავიდა.

გამოდის, რომ ეს შავწვერა კერპი მოხუცი უგზოუკვლოდ დაკარგული მატრონას ქმრის ღვიძლი ძმა ყოფილა.

მთელმა საღამომ ისე განვლო, რომ მატრონას ის საუბარი არ უხსენებია. მხოლოდ დაღამებისას, როცა ის მოხუცი აღარც მახსოვდა, რაღაცას ვწერდი და ტარაკანების შრიალთან ერთად კედლის საათის ნიკნიკი მესმოდა, უცბად მატრონას ბნელი კუთხიდან მისი ხმა მოისმა:

— იგნატიჩ, მე ოდესღაც კინაღამ მაგ კაცზე გავთხოვდი.

აღარც მახსოვდა, რომ მატრონა აქ იყო, მაგრამ მისი ხმა ისე აღგზნებულად მოისმა სიბნელიდან, თითქოს ის მოხუცი ახლაც ცდილობდა მისი ხელის მოპოვებას.

ჩანს, მატრონა მხოლოდ ამაზე ფიქრობდა მთელ საღამოს.

იგი ადგა თავისი უბადრუკი ჩვრებიანი საწოლიდან და ნელნელა წამოვიდა ჩემკენ, თითქოს თავის ნათქვამს მოპყვებოდა. მე უკან გადავიხარე და პირველად დავინახე სრულიად სხვა მატრონა. ჩვენს დიდ ოთახში ზემოთა სინათლე არ იყო, მაგიდის ლამპა კი წრიულად აშუქებდა მხოლოდ ჩემს რვეულებს, დანარჩენ სივრცეში ბინდბუნდი იყო. ამ ბინდბუნდიდან გამოდიოდა მატრონა. მომეჩვენა, რომ მისი ლოყები წინანდებურად ყვითელი კი არა, მოვარდისფრო იყო.

— პირველად იგი მთხოულობდა მე... ეფიმზე ადრე. იგი უფროსი ძმა იყო. მე ცხრამეტი წლის ვიყავი, ფადეი — ოცდასამისა. აი, ამ სახლში ცხოვრობდნენ მაშინ. მათი სახლი იყო, მათი მამის აშენებული.

— და თქვენ იგი...? დაიწუნეთ თუ რა?..

— იმ ზაფხულს... აი, იქ, ახლა რომ საჯინიბოა, წარაფი იყო. იქ დავდიოდით და ტყიანში ვისხედით... გაჩეხეს მერე ის წარაფი. ჩვენს

შეუღლებას თითქმის არაფერი აკლდა, იგნატიჩ, მაგრამ დაიწყო გერმანიის ომი. ფადეი ომში წაიყვანეს.

ეს თქვა მატრონამ და... თვალწინ დამიდგა ათას ცხრაას თოთხმეტი წლის ცისფერი, თეთრი და ყვითელი ივლისი, გაჩაღებულია პურის მკა, აი, ფადეის ცელი უჭირავს და იქნევს, ხალხი მღერის და ამ დროს... ომი...

— წავიდა იგი ომში და დაიკარგა... სამ წელს ველოდი სულგანაბული. არსაიდან არავითარი ამბავი არ ისმოდა...

ცხოვრება მიდიოდა თავისი გზით. ხეებს დასცვივდათ ფოთოლი, მოთოვა, დადნა თოვლი. ხალხი კვლავ ხნავს, თესავს, მკის. ისევ ფოთოლცვენა, ისევ თოვლი. შემდეგ ერთი რევოლუცია, მეორე რევოლუცია... აირია ქვეყანა.

— იმათი დედა გარდაიცვალა და ახლა ეფიმმა მთხოვა ხელი. ჩვენს ქოხში გინდოდა მოსვლა, ჰოდა, ადექი და მოდიო. ეფიმი ერთი წლით ჩემზე უმცროსი იყო. ოჯახში მუშახელი სჭირდებოდათ. მეც წავედი მათს ოჯახში. დავქორწინდით მე და ეფიმი. არ გასულა დიდი ხანი და... ფადეი დაბრუნდა — უნგრეთში ყოფილა ტყვეობაში.

მატრონამ თვალი დახუჭა.

მე ვდუმდი.

იგი შებრუნდა კარებისკენ და ცოცხალ არსებასავით მიაჩერდა მას:

— ზღურბლთან შეჩერდა. მე შევკივლე, მუხლებში ჩავუვარდებოდი, მაგრამ ნება არ მომცა. ჰო, კარგი, ამბობს, ჩემი ღვიძლი ძმა რომ არ იყოს, დაგკლავდით ორივეს!

მე შევკრთი. აღგზნებული თუ შეშინებული ქალის დანახვაზე ცხოვლად წარმოვიდგინე, როგორ დგას ზღურბლზე ის შავწვერა კაცი და ნაჯახს უქნევს მატრონას.

ქალი დამშვიდდა, დაეყრდნო სკამის საზურგეს და წამღერებით განაგრძო:

— ოი, ოი, ოი, საწყალო ჩემი თავო! ბევრი საპატარძლო იყო სოფელში, მაგრამ არავინ შეირთო. ასე თქვა: შენს სეხნიას მოვძებნი, მეორე მატრონასო. და მოიყვანა კიდეც მატრონა ლიპოვკიდან, ცალკე აიშენეს ძელური ქოხი და იქ ცხოვრობენ ახლაც. შენ რომ სკოლაში მიდიხარ, ყოველდღე გაივლი მათს ქოხთან.

აჰა, აი, თურმე, რა მომხდარა! ახლა მივხვდი, რომ ის მეორე მატრონა არაერთხელ მინახავს. არ მომწონდა იგი: ჩემს მატრონასთან ყოველთვის საჩივლელად მოდიოდა, ქმარი მცემსო, წუწურაქიაო, ნერვები დამანყვიტაო; დიდხანს ტიროდა; თუ არ ტიროდა, ხმა მაინც ცრემლნარევი ჰქონდა ყოველთვის.

გამოდის, რომ ჩემს მატრონას სანანებლად არ ჰქონდა საქმე: ფადეი მუდამ სცემდა თავის მატრÖონას, ახლაც სცემს და მთელი ოჯახი გამოჭერილი ჰყავს.

— ეფიმს არასოდეს უცემია ჩემთვის, — მეუბნებოდა მატრონა. — ქუჩაში მუშტებით დაერეოდა კაცებს, ჩემთვის კი არასდროს უხლია ხელი. არა, ერთხელ კი იყო — მთვრალს წავეჩხუბე და ეფიმმა კოვზით შუბლი გამიტეხა. წამოვხტი სუფრიდან და წავედი ტყეში. ამის მეტად ხელი არ უხლია.

მგონი, არც ფადეი უჩიოდა თავის ბედ-იღბალს: მეორე მატრონამ მასაც გაუჩინა ექვსი ბავშვი (ნაბოლარა ჩვენი ანტოშკა იყო) და ყველა გაიზარდა. ეფიმისა და მატრონას შვილებმა კი ვერ იცოცხლეს: სამ თვემდეც ვერ აღწევდნენ და ისე იხოცებოდნენ, რომ ავად არც გამხდარან.

— ერთი გოგონა დაიბადა, დავბანეთ და მალევე მოკვდა. ასე რომ, მკვდრის გაბანვა აღარ დაგვჭირვებია, — მიამბობდა მატრონა. — ჩვენ წმინდა პეტრეს სახელობის დღეს დავქორწინდით და მეექვსე ბავშვი, ალექსანდრე, პეტრეს დღესვე დავმარხეთ.

მთელმა სოფელმა გადაწყვიტა, რომ მატრონა გათვალულია.

— თვალნაკრავი ვარ მე, — ახლაც დარწმუნებით ამბობდა მატრონა. — ერთ ყოფილ მონაზონთან წამიყვანეს სამკურნალოდ. მან ხველების წამალი დამალევინა, ეგონა, რისგანაც თვალნაკრავია, ის ბაყაყის სახით ამოხტებაო. არა და არ ამოხტა...

ასე გადიოდა წლები, ბევრმა წყალმა ჩაიარა. ორმოცდაერთში ფადეი ომში არ წაიყვანეს ცუდი მხედველობის გამო, მაგრამ წაიყვანეს ეფიმი. როგორც უფროსი ძმა დაიკარგა უგზოუკვლოდ პირველი ომის დროს, მეორე ომის დროს ასევე დაიკარგა უმცროსი. მაგრამ ეს საერთოდ ვერ დაბრუნდა. ლპებოდა და ბერდებოდა ერთ დროს ხმაუ-

რიანი, ახლა ცარიელი ქოხი, რომელშიც ბერდებოდა მარტოხელა მატრონა.

და სთხოვა მან მეორე მატრონას და ფადეის — თქვენი სისხლი და ხორცი, უმცროსი გოგონა კირა მომეცით, მე გავზრდიო.

თავისი დახოცილი ნაშიერის ნაცვლად ათ წელიწადს ღვიძლი შვილივით ზრდიდა კირას. გაზარდა და ჩემს აქ მოსვლამდე ცოტა ხნის წინათ მიათხოვა ახალგაზრდა მემანქანეს, რომელიც ჩერუსტი-ში ცხოვრობდა. მხოლოდ იქიდან იღებდა იგი ახლა მცირეოდენ დახმარებას: ხან შაქარს, ხანაც ქონს უწილადებდნენ, როცა ბურვაკს დაკლავდნენ.

სნეულებისგან შეჭირვებულმა და მალე სიკვდილის მომლოდინე მატრონამ გააცხადა თავისი ნება: განცალკევებული ძელური ოთახი, რომელიც მიბმული იყო ქოხთან, ჩემი სიკვდილის შემდეგ კირას მიეცეს მემკვიდრეობადო. თვით ქოხის შესახებ არაფერი უთქვამს. მის სამ დას კაიხანია თვალი ეჭირა ამ ქოხზე.

მხოლოდ იმ საღამოს შევიცანი მატრონა სრულად. როგორც ეს ხშირად ხდება, მატრონას განზრახვის განხორციელებაც იმავე დღეებში დაიწყო. ჩერუსტიდან ჩამოვიდა კირა და ამბავი მოიტანა: მიწის ნაკვეთი რომ მივიღოთ და არ ჩამოგვართვან, საჭიროა მასზე რაიმე შენობა გვედგასო. საფიქრალი გაუჩნდა მოხუც ფადეის: ამისთვის პირდაპირ მისწრება იქნება მატრონას ძელურიო. ახალგაზრდა ცოლ-ქმარი რას ააშენებდა, სად იშოვიდა ხეტყეს! არა იმდენად კირამ ან მისმა ქმარმა, არამედ მოხუცმა ფადეიმ მოიწადინა ძალიან, ხელში ჩაეგდოთ ის ნაკვეთი.

და მოუხშირა ფადეიმ ჩვენთან სიარულს, მოვიდა ერთხელ, მოვიდა მეორედ, დამრიგებლური ტონით ელაპარაკებოდა მატრონას და მოითხოვდა, რომ ის ძელური ახლავე, სიცოცხლეშივე მიეცა კირასათვის. ამ მისვლა-მოსვლისას იგი აღარ ჰგავდა იმ ჯოხზე დაყრდნობილ ბერიკაცს, რომელიც ხელის კვრით ან მკვახე სიტყვის თქმაზე წაიქცევა. წელში კი იყო მოხრილი, მაგრამ მხნედ გამოიყურებოდა, სამოც წელს გადაცილებულ კაცს შავი თმა შერჩენოდა და დაჟინებით იმეორებდა თავისას.

მატრონას ორი ღამე არ უძინია. გაუჭირდა გადაწყვეტილების მიღება. მას როდი ენანებოდა ძელური ოთახი, არც თავისი შრომა და ქონება დანანებია არასდროს. ეს ძელური ხომ მაინც კირას უანდერძა. მას თავზარს სცემდა იმ სახურავის მოშლა, რომლის ქვეშაც ორმოც წელიწადს ცხოვრობდა. მეც კი, მდგმურს, მანუხებდა ის, რომ აშლიდნენ ფიცრებსა და მორებს. მატრონასთვის ხომ მთელი ცხოვრების დასასრული იყო ეს ამბავი.

მაგრამ მან, ვინც დანგრევას მოითხოვდა, იცოდა, რომ მატრონას სიცოცხლეშიც შეიძლებოდა ეს.

და ერთ თებერვლის დილას მოვიდნენ ფადეი, მისი ვაჟიშვილები და სიძეები, ატყდა ხუთი ნაჯახის კაკუნი, აჭრიალდა ფიცრები. თვითონ ფადეის საქმიანად უელავდა თვალები. იმის მიუხედავად, რომ წელში მთლიანად ვერ სწორდებოდა, იგი მარჯვედ აცოცდებოდა ნივნივასთანაც კი და მკვირცხლად ფაციფუცობდა ქვემოთაც, თანაც დამხმარეებსაც შეუძახებდა ხოლმე. იგი ჭაბუკობისას თვითონ აშენებდა ამ ქოხს მამასთან ერთად; ეს ძელური მისთვის აშენდა, როგორც უფროსი შვილისთვის, ახლა კი იგი გაშმაგებული ნაწილნაწილ შლიდა მას, რათა გაეტანა ახლა უკვე სხვისი ეზოდან.

ძელები და ჭერის ფიცრები დანომრეს, ძელური ოთახი დაშალეს, თვით ქოხს კი ყავრის დროებითი კედელი გაუკეთეს. კედელში ღრიჭეები დატოვეს. ყველაფერი იმას მიანიშნებდა, რომ მნგრეველები მშენებლები არ არიან და ვარაუდობენ, რომ მატრონას სიცოცხლე აქ დიდხანს არ გაგრძელდება.

სანამ კაცები ანგრევდნენ, ქალები დანგრეულის გადაზიდვის დღისათვის საჭირო შინნახადი არყის საშოვნელად ზრუნავდნენ — ქარხნის არაყი ძალიან ძვირი დაუჯდებოდათ. კირამ მოსკოვის ოლქიდან ჩამოიტანა ერთი ფუთი შაქარი, მატრონა ვასილევნამ ის შაქარი და ბოცა ღამით წაიღო არყის მხდელთან.

მორები გაიტანეს და ჭიშკრის წინ დააწყვეს; მემანქანე სიძე ჩერუსტიში წავიდა ტრაქტორის მოსაყვანად.

მაგრამ იმ დღესვე ამოვარდა ქარბუქი (მატრონა რომ მქროლავს ეძახდა). ორი დღეღამე ტრიალებდა და უბერავდა, გზა ვეებერთელა ნამქერებით აივსო. შემდეგ, როცა გზა ოდნავ გაკვალეს და რამდენ-

იმე სატვირთო მანქანამ გაიარა, უცბად დათბა, ერთ დღეში თოვლი დადნა, ჩამონვა ნოტიო ნისლი, არაკრაკდნენ ნაკადულები, გაჩნდა მუხლამდე ტალახი.

ორი კვირა ისე გავიდა, ტრაქტორი ვერ გაივლიდა გზაზე. ამ ორ კვირაში მატრონა თავგზადაბნეული დადიოდა. განსაკუთრებით მაშინ შეწუხდა, როცა თავისი სამი და ეწვია და ერთხმად გამოლანძღეს — ჩერჩეტი ხარ, ძელური რატომ მიეცი, დღეიდან თვალით აღარ დაგვენახოო, — უთხრეს და წავიდნენ.

ამას ისიც დაემატა, რომ კოჭლი კატა სადღაც წაჩანჩალდა და დაიკარგა. ამანაც დაამწუხრა მატრონა.

ბოლოს გამლხვალი გზა გაიყინა. გამოვიდა მზე და სულმა შვება იგრძნო. მატრონას რაღაც კარგი ესიზმრა იმ ღამეს. დილით გაიგო მან, რომ მე მინდა ვინმეს სურათი გადავუღო ძველებურ საქსოვ დაზგასთან (ასეთი დაზგა იდგა ორ ქოხში, მათზე უხეშ ფეხსაწმენდებს ქსოვდნენ). მატრონამ მორცხვად ჩაიცინა:

— ცოტა მოიცადე, იგნატიჩ, ერთი-ორი დღე. აი, მგონი, ძელური უნდა ნაიღონ და ჩემს დაზგას გავშლი. ღმერთმანი, მთელია ჩემი დაზგა, დავდგამ და მაშინ გადაიღე სურათი.

ჩანს, ძალიან უნდოდა ძველი დრო გაეხსენებია. სუსხიანი დღის მზემ ოდნავ ვარდისფრად შემოანათა დერეფნის გაყინულ ფანჯარაში და მატრონას სახე აუელვარდა. ყოველთვის სათნო სახე აქვს იმ ადამიანს, ვინც მართალია თავისი სინდისის წინაშე.

სკოლიდან რომ მოვედი, მწუხრის დადგომამდე ჩვენი სახლის ახლოს მოძრაობა შევამჩნიე. ახალი სატრაქტორო მარხილი უკვე დატვირთული იყო ძელებით, მაგრამ ყველა ვერ დატეულიყო; ფადეის ოჯახი და მოწვეული დამხმარენი ის-ის იყო, ამთავრებდნენ მეორე, თვითნაკეთი მარხილის შეკოწიწებას. ყველა მუშაობდა გაშმაგებული, გულმოდგინედ, ისე მუშაობდნენ, როცა ძალიან დიდ გასამრჯელოს ელიან ან კარგად გამასპინძლებას. უყვიროდნენ ერთმანეთს, დავობდნენ.

სადავო კი ის გამხდარიყო — მარხილები ერთ გზობაზე წაეღოთ თუ ცალ-ცალკე. ფადეის კოჭლი შვილი და მემანქანე სიძე ამბობდნენ, ორივე ერთად არ გამოვა, ტრაქტორი ვერ გასწევსო. ტრაქტორის-

ტი კი, თავდაჯერებული დიდცხვირა ახმახი, ხროტინით ამბობდა: ეგ მე მკითხეთ, წამყვანი მე ვარ და თქვენზე უკეთ ვიცი — ორივეს ერთად წავიღებო. მან სწორად იანგარიშა: მემანქანე ფულს უხდიდა მას ოთახის გადატანაში და არა რეისებში. ერთ ღამეში ორ რეისს — თითოეული 25 კილომეტრი — იგი ვერაფრით ვერ მოასწრებდა, დილით კი ტრაქტორი უნდა ყოფილიყო გარაჟში, საიდანაც ჩუმად წამოიყვანა სახალტუროდ.

მოხუც ფადეის ერთი სული ჰქონდა, ოთახი დღესვე გადაეტანათ მთლიანად და თავისიანებს ანიშნა — დასთანხმდითო. სახელდახელოდ შეკონინებული მეორე მარხილი პირველს მიაბეს.

მატრონა კაცებს შორის დარბოდა, ფაციფუცობდა და ეხმარებოდა მათ ძელების მარხილზე დაწყობაში. მას ეცვა ჩემი ტანსათბურა, რომლის სახელოები ძელებზე მოცხებული ტალახით გვარიანად გაესვარა. შევამჩნიე ეს და ვუსაყვედურე. ეს ტანსათბურა ბევრ რამეს მაგონებდა — იგი მათბობდა მე ძნელად გადასატან ნლებში.

ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ მატრონას გავუჯავრდი.

— ოი, ოი, ოი, ვაი ჩემს თავს, — შენუხდა იგი. — ამ განამაწიაში ჩამიცვამს იგი, სულ დამავიწყდა, რომ შენია. მაპატიე, იგნატიჩ! — მან გაიხადა ტანსათბურა და გასაშრობად ჩამოკიდა.

დამთავრდა დატვირთვა და ყველამ, ვინც ამ საქმეზე მუშაობდა — ათიოდე კაცმა — ხმაურით ჩაუარა ჩემს მაგიდას და ფარდის იქით სამზარეულოში შეყო თავი. და ისმოდა იქიდან ჭიქებისა და ბოცების წკარუნი; თანდათან აუწიეს ხმას, უმატეს კვეხნა-ყოყლოჩინობას. განსაკუთრებით ტრაქტორისტი ბაქიბუქობდა. შინნახადის უსიამოვნო სუნმა ჩემამდეც მოაღწია. მაგრამ სმა დიდხანს არ გაგრძელებულა — ბნელდებოდა და საჭირო იყო აჩქარება. ნელნელა გამოლაგდნენ სამზარეულოდან. ტრაქტორისტი თვითკმაყოფილი, მოღუშული გამოვიდა. ჩერუსტიმდე მარხილს უნდა გაჰყოლოდნენ მემანქანე სიძე, ფადეის კოჭლი შვილი და კიდევ ერთი ნათესავი. სხვებმა თავიანთ სახლებს მიაშურეს. ფადეი ჯოხის ქნევით დაეწია ვიღაცას და რაღაცას უხსნიდა გამალებით. მისი კოჭლი შვილი ჩემს მაგიდასთან შეჩერდა, გააბოლა და უცბად ალაპარაკდა: ბიცოლა მატრონა ძალიან მიყვარსო, დიდი ხანი არ არის, რაც ცოლი ვითხოვე

და ახლახან ბიჭი მეყოლაო. ამ დროს დაუძახეს და წავიდა. ფანჯრის მიღმა ტრაქტორი აგუგუნდა.

სამზარეულოდან ბოლოს გამოვიდა მატრონა. იგი შფოთავდა, ნასულებისკენ თავს იქნევდა. ჩაიცვა ტანსათბურა, მოიხვია თავშალი და გასვლისას მითხრა:

— ორი ტრაქტორი უნდა მოეყვანათ! თუ ერთი ვერ გასწევდა, მეორე მიეშველებოდა. ახლა კი ღმერთმა იცის, რა მოხდება!

თქვა ესა და სირბილით დაედევნა სხვებს.

ღრეობის, კამათისა და შესვლა-გასვლის შემდეგ განსაკუთრებული სიწყნარე ჩამოვარდა ცარიელ ქოხში, რომელიც გაცივებულიყო კარების ხშირად გაღების გამო. ფანჯრებს მიღმა უკვე მთლად ჩამობნელდა. ჩავიცვი ტანსათბურა და მაგიდას მივუჯექი. ტრაქტორის ხმა აღარ ისმოდა.

გავიდა ერთი, ორი, სამი საათი. მატრონა არ ჩანდა, მაგრამ არ გამკვირვებია ეს — მარხილები რომ გააცილა, ალბათ, თავის მაშასთან წავიდა-მეთქი.

გავიდა კიდევ ერთი საათი, გავიდა მეორეც. სოფელს არა მხოლოდ სიბნელე, არამედ რაღაცნაირი სიჩუმეც დაეუფლა. მაშინ ვერ მივხვდი, რატომ იყო ასეთი სიჩუმე. მოგვიანებით გავიაზრე, რომ მთელი საღამოს განმავლობაში ერთ მატარებელსაც არ გაუვლია ლიანდაგზე, რომელიც ჩვენგან ნახევარი ვერსის დაშორებით იყო. ჩემი რადიოც ჩუმად იყო და შევნიშნე, რომ წინანდელზე მეტად მომრავლებულიყვნენ თაგვები: უფრო თავხედურად, უფრო ხმაურით დარბოდნენ შპალერის მიღმა, ჭყიოდნენ და წრიპინებდნენ.

გამოვფხიზლდი, მიმოვიხედე: ღამის პირველი საათი იყო, მატრონა კი არ ჩანდა.

უცებ რამდენიმე კაცის ხმამაღალი ლაპარაკი მომესმა სოფელში. ისინი ჯერ კიდევ შორს იყვნენ, მაგრამ რაღაცამ მაგრძნობინა, რომ ჩვენკენ მოდიან. მალე მართლაც დააბრახუნეს ჩვენს ჭიშკარზე. ვიღაცა მბრძანებლური ტონით ყვიროდა, გააღეთო. ავიღე ელექტროფანარი და წყვდიადში გავალაჯე. მთელ სოფელს ეძინა, ფანჯრებში სინათლე არ ჩანდა. ამ ერთ კვირაში თოვლიც გამდნარიყო და არც ის ანათებდა. გავაღე ჭიშკარი და ოთხი შინელიანი კაცი ქოხისკენ წამ-

ოვიდა. ვერაფერი სასიამოვნოა, როცა ოთხი შინელიანი კაცი ღამით ხმაურით მოგადგება.

როცა სინათლეში შევხედე მათ, მხოლოდ მაშინ შევამჩნიე, რომ ორს რკინიგზელის შინელი ეცვა. უფროსმა, ჩასქელებულმა, რომელსაც იმ ტრაქტორისტს მიუგავდა სახე, მკითხა:

— სად არის დიასახლისი?

— არ ვიცი.

— მარხილებიანი ტრაქტორი ამ ეზოდან წავიდა?

— ამ ეზოდან.

— წასვლის წინ დალიეს?

ოთხივე თვალებს წკურავდა, აქეთ-იქით იცქირებოდნენ მაგიდის ნათურის ბუნდოვან სინათლეზე. მე ვივარაუდე, რომ ვიღაც დააპატიმრეს ან უნდა დააპატიმრონ.

— მოხდა რამე?

— იმაზე გვიპასუხე, რასაც გეკითხებიან!

— ჰო მაგრამ...

— მთვრალები წავიდნენ?

— ისინი სვამდნენ აქ?

ნეტავ, ვინმემ მოკლა ვინმე? ეგებ, ძელური ოთახის გადატანა არ შეიძლებოდა? ძალიან კი მომაწვნენ შინელიანები. ჩემთვის ცხადი იყო ერთი რამ: მატრონა შეიძლება გაასამართლონ არაყის შინ გამოხდისათვის.

მე სამზარეულოს კარისაკენ გადავინაცვლე და ავეფარე მას.

— მართალი გითხრათ, არ შემინიშნავს. აქედან არ ჩანდა. (მართლაც არაფერი დამინახავს, მხოლოდ ხმა მესმოდა).

როგორღაც დაბნეულად გავშალე ხელები და ქოხში არსებული დავათვალიერებინე: მაგიდის ნათურა აშუქებს წიგნებსა და რვეულებს; აგერ უამრავი შემკრთალი ფიკუსები დგას; აგერ მწირის მწირული საწოლი. ქეიფის არავითარი კვალი არ ჩანს აქ. ამდენი საათის შემდეგ ხომ არყის სუნი აღარ იგრძნობა.

მათ უკვე თვითონაც სინანულით შეამჩნიეს, რომ აქ არავითარი ღრეობა არ ყოფილა. ისინი გასასვლელისკენ შებრუნდნენ და ერთმანეთს ეუბნებოდნენ, რომ ღრეობა ამ სახლში არ ყოფილა. გავაც-

ილე სტუმრები და თან ვეკითხებოდი, რა მოხდა-მეთქი. მხოლოდ კუტიკარში გასვლისას წაიბუტბუტა ერთმა:

— რა მოხდა და, ისინი ყველა ისეა გასრესილი, ნაწილ-ნაწილ ვერ აკრეფ.

— ის კი არადა, ოცდამეერთე ნომერი ჩქარი მატარებელი კინაღამ რელსებიდან გადავიდა; მაშინ იქნებოდა, რაც იქნებოდა! — დაუმატა მეორემ და სწრაფად წავიდნენ.

ვინ ისინი?.. ვინ ყველა?.. მატრონა სადღაა?..

შევბრუნდი ქოხში, გადავწიე ფარდა და სამზარეულოში შევედი. იქ კვლავ იგრძნობოდა არყის მყრალი სუნი. ბრძოლის ველს ჰგავდა იქაურობა: ცარიელი ტაბურეტები და სკამები, ნაქცეული ცარიელი ბოთლები და ერთიც ბოლომდე დაუცლელი, ჭიქები, ნახევრად შეჭმული ქაშაყი, ხახვი და დანაკუწებული ქონი.

იდგა მკვდრული სიჩუმე. მხოლოდ ტარაკანები დაცოცავდნენ წყნარად ბრძოლის ველზე.

მაშინვე დავიწყე ალაგება. წყალში ამოვავლე ბოთლები, ავალაგე საჭმელი, გადავდგი სკამები, არყის ნარჩენი კი ბნელ სარდაფში გადავმალე.

როცა ყველაფერ ამას მოვრჩი, შუა ოთახში გავშეშდი, ვფიქრობდი: რაო, რა თქვეს ჩქარი ოცდამეერთეს შესახებ? რას ნიშნავდა ეს?.. ეგებ, ყველაფერი უნდა მეთქვა მათთვის? უკვე ვჭოჭმანობდი. არა, ეს რა წყეული ჩვევა აქვთ: თუ კაცს ჩინი არა აქვს, არაფრად არ უნდა ჩააგდო?

უცებ კუტიკარის ჭრიალი გაისმა. სწრაფად გავედი წინკარში.

— მატრონა ვასილევნა ხომ არ მოვიდა? — გავიფიქრე.

მაგრამ ქოხში ბარბაცით შემოვიდა მისი მეგობარი მაშა:

— მატრონა... ჩვენი მატრონა, იგნატიჩ...

დავსვი და აი, რა მიამბო ცრემლმორეულმა მაშამ:

რკინიგზის გადასასვლელზე შლაგბაუმი არ არის. პირველი მარხილი გადაათრია ტრაქტორმა, მაგრამ ტროსი გაწყდა, მეორე მარხილი, თვითნაკეთი, გადასასვლელზე გაიჩხირა და დაშლა იწყო — ფადეიმ მისთვის კარგი ხე-ტყე ვერ გაიმეტა. პირველი ცოტა გასწიეს და მიუბრუნდნენ მეორეს. ტრაქტორისტი და ფადეის კოჭლი შვილი

ტროსს ასწორებდნენ და მათთან, ტრაქტორსა და მარხილს შორის, აღმოჩნდა მატრონაც. რა უნდოდა იქ, რას დაეხმარებოდა კაცებს?! იგი მუდამ ეჩრებოდა კაცების საქმეში. ერთხელ ცხენმა კინაღამ ტბის ყინულჭრილში ჩააგდო იგი. ან რისთვის ნავიდა იმ წყეულ გადასასვლელთან. მისცა ძელური და მორჩა, თავისი მოვალეობა შეასრულა... მემანქანე გაფაციცებული იყო — ჩერუსტიდან მატარებელმა არ მოგვისწროსო — მისი ფანრების შუქი შორიდან გამოჩნდებოდა. მაგრამ ამ დროს მეორე მხრიდან, ჩვენი სადგურიდან მოდიოდა ორი გადაბმული ორთქლმავალი, რომლებსაც შუქი არ ენთოთ, თანაც უკანსვლით მოდიოდნენ. კაცმა არ იცის, რატომ არ ენთოთ შუქი. ამ დროს მემანქანე ვერაფერს ხედავს. ჰოდა, დაეჯახნენ ჩვენებს და ის სამი ადამიანი, ტრაქტორსა და მარხილს შორის რომ იყვნენ, გაჭეჭყეს. ტრაქტორი დაიმტვრა, მარხილები ნაფოტებად იქცა, რელსები ამოიბურცა და ორივე ორთქლმავალი გადაყირავდა.

— როგორ!.. რატომ ვერ გაიგეს მათ, რომ ორთქლმავლები მოდიან?

— არაფერი ისმოდა, დაქოქილი ტრაქტორი გუგუნებდა.

— ცხედრები რა დღეშია?

— მათთან ვერ მიაღწევს კაცი. ალყა შემოარტყეს.

— მე რაღაც გავიგე ჩქარი მატარებლის შესახებ... თითქოს ჩქარი...

— ათი საათის ჩქარმა მატარებელმა ჩვენს სადგურს ჩაუქროლა და გადასასვლელს მიაშურა. გადაყირავებული ორთქლმავლების მემანქანეები გადარჩნენ, გადმოხტნენ და ხელების ქნევით უკან გაიქცნენ, რელსებზე შედგნენ და მომავალი მატარებლის გაჩერება მოასწრეს... ფადეის ნათესავიც დააშავა ძელმა. ახლა კლავასთან იმალება, რომ ვერ გაიგონ, იგიც თუ იყო გადასასვლელზე. თუ გაიგეს, მოწმედ წაათრევენ. ნათქვამია, არვიცია ღუმელზეა წამონოლილი, ვიცია კი სახრჩობელაზე აპყავთო... კირას ქმარს ნაკაწრიც არა აქვს. საშინლად წუხს, თავის ჩამოხრჩობა უნდოდა, მარყუჟიდან ჩამოხსნეს. შფოთავს — ჩემი საქმისთვის ბიცოლა და ძმა დაიხოცნენო. თვითონვე წავიდა საპატიმროში. მაგრამ მისი ადგილი ახლა ციხეში კი არა, საგიჟეთშია. ოი, ოი, მატრონა, ჩემო კარგო მატრონა!..

აღარ არის მატრონა. მოკვდა მშობლიური ადამიანი. მე კი ტანსათბურას გამო ვუსაყვედურე მას თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეს.

წიგნის გამყიდველის პლაკატზე მხიარულად იღიმებოდა წითელ-ყვითელ ფერებში დახატული ქალი.

დეიდა მაშა ერთხანს კიდევ იჯდა, ტიროდა. ის იყო, წამოდგა წასასვლელად, რომ უცებ მკითხა:

— იგნატიჩ! გახსოვს, ალბათ, ერთი ნაცრისფერი ნაქსოვი ჰქონდა მატრონას... იგი ხომ შეჰპირდა ჩემს ტანიას, ამას ჩემი სიკვდილის შემდეგ შენ გიტოვებო. გახსოვს?

მკითხა და იმედიანად შემომაცქერდა ბინდბუნდში — ხომ არ დამვიწყებია ეს?

არა, მახსოვდა. ასეც ვუთხარი:

— მართალია, შეჰპირდა.

— თუ ასეა, ხომ არ მომცემ ნებას, ახლა წავიღო? დილით აქ მისი ნათესავები მოცვივდებიან და იმ ნაქსოვს არ მომცემენ.

და ისევ შემომხედა ვედრებითა და იმედიანად. ეს იყო ნახევარი საუკუნის განმავლობაში მატრონას მეგობარი, რომელიც ერთადერთი იყო ამ სოფელში, გულწრფელად რომ უყვარდა აწ უკვე დაღუპული ქალი.

— რაღა თქმა უნდა, ინებეთ, — დავეთანხმე მე.

მაშამ გახსნა სკივრი, ამოიღო ნაქსოვი, ამოიჩარა იღლიაში და წავიდა...

თაგვები თითქოს სულ გაგიჟდნენ, დარბოდნენ კედლებზე და მათი ზურგებისგან ამოზნექილი მწვანე შპალერი თითქოს ზღვასავით ღელავდა.

ვერსად წავიდოდი. ალბათ, კიდევ მოვლენ ჩემთან და დამკითხავენ. ღამის სამი საათი იყო. დილით სკოლაში უნდა წავსულიყავი. ისღა დამრჩენოდა, კარი ჩამეკეტა და დავწოლილიყავი.

ჩამეკეტა იმიტომ, რომ მატრონა აღარ მოვა.

დავწექი, შუქი არ გამომირთავს. თაგვები წრიპინებდნენ, თითქოს კვნესოდნენ, დარბოდნენ და დარბოდნენ. ჩემს დაღლილ-დაქანცულ გონებაში ძალაუნებურად ფართხალებდა ფიქრი: თითქოს მატრონა უხილავად ბორგავდა და ემშვიდობებოდა თავის ქოხს.

და უცებ წარმოვიდგინე: შემოსავლელ კარებთან, ზღურბლზე დგას ახალგაზრდა შავწვერა ფადეი, ნაჯახი მოუღერებია და ამბობს: „ჩემი ღვიძლი ძმა რომ არ იყოს, ორივეს დაგხოცავდით!"

ორმოცი წლის წინათ მოღერებული ნაჯახი მაინც თავს დააცხრა მსხვერპლს...

III

განთიადისას ქალებმა რკინიგზის გადასასვლელიდან მარხილით მოიტანეს ის, რაც დარჩენილიყო მატრონას სხეულისაგან. ჭუჭყიანი ტომარა ეფინა ზემოდან. გადახადეს ტომარა, რომ გაებანათ ცხედარი. მაგრამ რაღა ცხედარი, გამოჩნდა დომხალი — არც ფეხები ჰქონდა, არც მარცხენა ხელი, არც ტანის ნახევარი. ერთმა ქალმა პირჯვარი გადაიწერა და თქვა:

— მარჯვენა ხელი მაინც შეარჩინა ღმერთმა. იმქვეყნად ილოცებს უფლის წინაშე...

ქოხიდან გაიტანეს ფიკუსები, ის ფიკუსები, მატრონას რომ ძალიან უყვარდა; იმდენად უყვარდა, რომ ერთხელ, როცა ღამით კვამლმა გააღვიძა და ხანძარი ეგონა, ქოხის გადარჩენაზე კი არ უფიქრია, ფიკუსებს მივარდა და იატაკზე ჩამოალაგა — კვამლმა არ დაახრჩოსო. იატაკი გააკრიალეს. მატრონას მქრქალ სარკეს ფართო პირსახოცი ჩამოაფარეს. უმაქნისი პლაკატები კედლიდან ჩამოხსნეს. გადადგეს ჩემი მაგიდა. ფანჯრებთან, ხატების ქვემოთ, ტაბურეტებზე დადგეს სახელდახელოდ შეკრული უბრალო კუბო.

კუბოში მატრონა იწვა. მის დალეულ, დასახიჩრებულ სხეულს ეფარა სუფთა ზეწარი, თავზე მოხვეული ჰქონდა თეთრი თავსაფარი; სახე დაუზიანებელი იყო, გამოიყურებოდა მშვიდად, უფრო ცოცხალს ჰგავდა, ვიდრე მიცვალებულს.

სოფლელები მოდიოდნენ და კუბოსთან დგებოდნენ. ქალებს პატარა ბავშვებიც მოჰყავდათ, რათა მათ მიცვალებული ენახათ. თუ ვინმე ტირილს დაიწყებდა, ატირდებოდა კარებში თუ კედლებთან

მყოფი ყველა ქალი, ისინიც კი, ვინც მხოლოდ ცნობისმოყვარეობის გამო იყო მოსული. კაცებს ქუდები მოეხადათ და გაჭიმული იდგნენ.

დატირება ნათესავი ქალების მოვალეობა იყო. ტირილისას შევამჩნიე კარგად მოფიქრებული, ძველთაგანვე შემოღებული წესი: ვინც ახლობელი არ იყო, მცირე ხნით მივიდოდა კუბოსთან და ხმადაბლა მოთქვამდა; ვინც განსვენებულის ნათესავად თვლიდა თავს, ზღურბლთანვე იწყებდა ტირილს, მივიდოდა კუბოსთან, დაიხრებოდა და ისე დასტიროდა მიცვალებულს. ყოველ მომტირალს საკუთარი მელოდია ჰქონდა, საკუთარ აზრსა და გრძნობებს გამოხატავდა.

აქ გავიგე მე, რომ მიცვალებულის დატირება უბრალოდ ტირილი კი არ არის, არამედ თავისებური პოლიტიკაა. მოცვივდნენ მატრონას დები (სამნი), ხელთ იგდეს მატრონას ქოხი, თხა და ღუმელი, მის სკივრს კლიტე დაადეს, პალტოს სარჩულიდან ამოიღეს დასამარხად გადადებული ორასი მანეთი, ყველა მომსვლელს ეუბნებოდნენ, მატრონას ნათესავები მხოლოდ ჩვენ ვართო. კუბოს კი ასე დაატირეს:

— ოი, ოი, ჩვენო გამდელო! ოი, ჩვენო თვალის ჩინო! შენ ერთადერთი იყავი ჩვენთვის! გეცხოვრა შენთვის წყნარად და მშვიდად! ჩვენ არასოდეს დაგტოვებდით უნუგეშოდ! შენმა ძელურმა დაგღუპა! იმ წყეულმა მოგიღო ბოლო! რატომ დაანგრიე იგი? რატომ არ გაგვიგონე ჩვენ?!

ასე რომ, დების ტირილი იყო შეჩვენება მატრონას ქმრის ნათესავებისა: მათ იძულებით დაანგრევინეს მატრონას ძელური — არ უნდა ექნათ ეს! (იგულისხმებოდა: ძელური ხომ ნაიღეთ და ნაიღეთ, ქოხს კი, ნურას უკაცრავად, არ დაგანებებთ!)

ქმრის ნათესავები — მატრონას მულები (ეფიმისა და ფადეის დები), სხვანაირი ნათესავებიც მოდიოდნენ და ასე დასტიროდნენ:

— ოი, ძალუა, ბიცოლა, მამიდა! რატომ არ გაუფრთხილდი თავს! ისინი, ალბათ, ჩვენ გვამტყუნებენ ახლა! არადა, შენი ბრალია, ძვირფასო! რა შუაშია ძელური? რისთვის წახვედი იქ, სადაც სიკვდილი ყოფილა ჩასაფრებული? არავის უთქვამს შენთვის, აქ მოდიო! რატომ არ დაგვიჯერე ჩვენ?..

(ამათ მოთქმაში აშკარად გამოსჭვიოდა პასუხი: მის სიკვდილში ჩვენ ბრალი არ მიგვიძღვის, ქოხის თაობაზე კი, ვნახოთ, არც ეგრეა საქმე, თქვენ რომ გგონიათ!)

მაგრამ „მეორე" მატრონამ — განსვენებულის შემცვლელმა, რომელიც ოდესღაც მხოლოდ იმიტომ მოიყვანა ფადეიმ, რომ მასაც მატრონა ერქვა, გადაუხვია იმათი პოლიტიკური ხაზიდან; იგი გულამოსკვნილი დასტიროდა ცხედარს:

— ოი, ოი, ჩემო დაიკო! ხომ არ გაწყენინე რამე? ვაი და ვუი ჩემს თავს!.. ერთად რომ დავსხდებოდით და ვჭუკჭუკობდით!.. რა მეშველება მე უბედურს?.. ოოჰმე! შენ კი წახვედი შენს დედიკოსთან, ალბათ, მეც მალე გამიყოლებ! ოოჰმე და ვაიმეე!..

ამ ამოძახილს თითქოს მთელი სული ამოაყოლაო და მკერდით ეხლებოდა კუბოს კედელს. და როცა მატრონას ტირილი და თავშიცემა ჩვეულებრივ ზომას გადასცდებოდა, ქალები მოწონების ნიშნად ერთხმად ეუბნებოდნენ:

— კაი, გეყოფა! გეყოფა!

მატრონა გავიდოდა, მაგრამ შემდეგ ისევ მოდიოდა და უფრო გულმხურვალედ ქვითინებდა. მაშინ ერთი მოხუცი ქალი მივიდა მასთან, მხარზე ხელი დაადო და მკაცრად უთხრა:

— ორი გამოცანა აქვს წუთისოფელს: როგორ დავიბადე — არ მახსოვს, როგორ მოვკვდები — არ ვიცი.

გაჩუმდა მატრონა, სხვებიც გაჩუმდნენ და კრინტი არ ისმოდა არსაიდან.

მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ტიროდა ის დედაბერიც, რომელიც აქ მყოფ სხვა დედაბრებზე ბევრად უფროსი იყო და თითქოს მატრონას ახლობელი სულაც არ უნდა ყოფილიყო:

— ოი, ოი, ჩემო სულისდგმავ! ოი, ოი, ჩემო ვასილევნა! მომბეზრდა თავი, სანამდე უნდა გისტუმრებდეთ იმქვეყნად მე უბედური!

სულაც არ ფიქრობდა წესჩვეულების დაცვაზე და გულამომჯდარი ქვითინებდა მატრონას შვილობილი კირა, რომლისთვისაც დაანგრიეს და ჩერუსტიში მიჰქონდათ ის ძელური ოთახი. დახვეული კულულები ასწეწოდა, თვალები ჩასისხლიანებოდა; იგი ვერ გრძნობდა, რომ ამ ყინვაში თავშალი გადახდილი ჰქონდა, პალტოს კი ისე

იცვამდა, რომ სახელოებში ხელის გაყრა ავიწყდებოდა; გიჟივით დარბოდა სახლიდან სახლისაკენ, რომელთაგან ერთში მისი დედობილის კუბო იდგა, მეორეში — ძმისა. არ გაგიჟდესო, იმიტომაც შიშობდნენ, რომ კირას ქმარს სასამართლო ელოდა.

კირას ქმარი ორმაგ დამნაშავედ ითვლებოდა: ერთი ის, რომ ძელური მას გადაჰქონდა, მეორე — იგი რკინიგზის მემანქანე იყო, კარგად იცოდა დაუცველი გადასასვლელის წესები — სადგურში უნდა მისულიყო და გაეფრთხილებია, ლიანდაგზე ტრაქტორი გადაივლისო. იმ ღამით ურალის ჩქარ მატარებელში მშვიდად მძინარ ათასობით ადამიანს ხომ სიკვდილის საფრთხე ელოდა. ამის მიზეზი კი იყო რამდენიმე ადამიანის სიხარბე: ხელთ ეგდოთ მიწის ნაკვეთი ისე, რომ ტრაქტორს მეორე რეისი არ დასჭირვებოდა. მიზეზი იყო ძელური, რომელიც დაიწყევლა მაშინ, როცა ფადეიმ ხელი შემართა მის დასანგრევად.

თუმცა ხალხი ტრაქტორისტს არ ადანაშაულებდა. გზის სამმართველო თვითონ არის დამნაშავე იმის გამო, რომ ასეთი გადასასვლელი დაუცველი იყო, იმის გამო, რომ ორთქლმავალი უშუქოდ მოდიოდაო. ამიტომ იყო, რომ თავიდან ყველაფერი ლოთობას დააბრალეს, ახლა კი სასამართლოს საქმეც მიაფუჩეჩეს.

რელსები და ლიანდაგი ისე დაიბრიცა, რომ სამი დღის განმავლობაში, სანამ კუბოები იდგა იმ ორ სახლში, მატარებლები არ დადიოდნენ — რკინიგზის სხვა შტოზე გაუშვეს. პარასკევს, შაბათს და კვირას — ავარიიდან დაკრძალვამდე — გადასასვლელზე გაცხოველებული მუშაობა იყო — გზას არემონტებდნენ. მუშები იყინებოდნენ და გასათბობად, ღამით კი გასაშუქებლადაც ანთებდნენ კოცონს, რისთვისაც იყენებდნენ მუქთა შეშას — გადასასვლელის მახლობლად მიმოფანტულ ფიცრებსა და ძელებს, მეორე მარხილზე რომ ეწყო მანამდე.

პირველი მარხილი კი ისევ მთელი და დატვირთული იდგა გადასასვლელის მოშორებით.

მთელი პარასკევისა და შაბათის განმავლობაში შავწვერა ფადეი გულს ასკდებოდა: რა ვქნა, ვუშველო პირველ მარხილს, გამზადებული რომ დგას ტროსჩაბმული, თუ მეორე გამოვიხსნაო ცეცხლისგან.

მისი ქალიშვილი ჭკუაზე აღარ არის დარდისგან, სიძეს გასამართლება ელოდება, სახლში უსვენია თვითონ მის მიერ მოკლული შვილი, იმავე ქუჩაზე განისვენებს მის მიერვე მოკლული ქალი, რომელიც ოდესღაც უყვარდა კიდეც. ნვერში ხელჩაკიდებული ფადეი მცირე ხნით დგებოდა კუბოსთან. მისი მაღალი შუბლი შეეკუმშა მძიმე ფიქრს, მისი საფიქრალი კი ის იყო, როგორ გადაერჩინა ძელური დაწვისაგან და დაეღწია თავი მატრონას დების მზაკვრობისაგან.

როცა სათითაოდ გავიხსენე ტალნოვოელები, მივხვდი, ფადეისთანა კაცი საძებარი როდი იყო სოფელში.

ფადეი მუხლჩაუხრელი დარბოდა ხან დაბაში, ხან სადგურისაკენ გაუტევდა, ხან ერთ უფროსთან მივიდოდა, ხან მეორესთან და წელში მოხრილი, ჯოხზე დაყრდნობილი ყველას სთხოვდა, პატივი ეცით ჩემს სიბერეს და ნება მომეცით, ძელური დავიბრუნოო.

ვიღაცამ მისცა ნება. ფადეიმ შეაგროვა თავისი ცოცხლად დარჩენილი ვაჟიშვილები, სიძეები და ნათესავები, კოლმეურნეობისგან ცხენებიც იშოვა და დანგრეული გადასასვლელის იქითა მხრიდან სამი სოფლის შემოვლით ძელურის ნარჩენი თავის ეზოში შეზიდა. ეს საქმე შაბათ ღამეს დაამთავრა.

კვირა დღეს კი დაკრძალვა იყო. სოფლის შუაგულში ორი კუბო შეხვდა ერთმანეთს. ნათესავები წაკამათდნენ, რომელი კუბო წაეღოთ წინ. ბოლოს ორი კუბო — ბიცოლასი და მაზლიშვილისა — გვერდიგვერდ დადეს ერთ მარხილზე და თებერვლის ერთ ღრუბლიან დღეს მიცვალებულები ლიპიანი გზით წაასვენეს საეკლესიო სასაფლაოზე ჩვენგან ორი სოფლის იქით. ქარიანი უსიამოვნო ამინდი იყო, მღვდელი და დიაკვანი ეკლესიაში იცდიდნენ — ტალნოვოსკენ არ წამოსულან, რათა შეგებებოდნენ მიცვალებულებს.

ხალხი სასაფლაოს მიჯნამდე ნელნელა გალობით მიჰყვებოდა მიცვალებულებს, შემდეგ კი შეჩერდა.

კვირას ჩვენს ქოხში დილიდანვე ფუსფუსებდნენ ქალები: ერთი დედაბერი ფსალმუნს ღიღინებდა კუბოსთან, მატრონას დები რუსულ ღუმელს უჩუჩხურებდნენ, ღუმელში ვარვარებდა ტორფი, ის ტორფი, რომელიც შორეული ჭაობიდან ტომრით მოეზიდა მატრონას. ცუდი ფქვილისგან უგემურ ღვეზელებს აცხობდნენ.

კვირა საღამოს, დაკრძალვიდან რომ დაბრუნდნენ, ქელეხის სუფრას შემოუსხდნენ. ერთმანეთზე გადაბმულ მაგიდებს ის ადგილიც დაეკავებინათ, სადაც დილით კუბო იდგა. თავიდან მაგიდის ირგვლივ დადგნენ და ერთმა მოხუცმა, მულის ქმარმა, „მამაო ჩვენო" წაიკითხა. შემდეგ ყველას დაგვისხეს ცოტ-ცოტა თაფლწყალი — ძლივს ფარავდა ჯამის ფსკერს. იგი კოვზებით შევხვრიპეთ მიცვალებულის სულის მოსახსენებლად. შემდეგ რაღაცას ვჭამდით და ვსვამდით არაყს, საუბარი უფროდაუფრო გაცხოველდა. სანამ კისელს მოიტანდნენ, ყველა წამოდგა და იგალობეს „სამარადისო ხსოვნა" (მე ასე ამიხსნეს: კისელის ჭამის წინ სავალდებულოა ეს გალობაო). ისევ დავლიეთ. უფრო ხმამაღლა ალაპარაკდნენ. საუბარი სულაც აღარ ეხებოდა მატრონას. მულის ქმარმა წაიტრაბახა:

— შეამჩნიეთ თუ არა, მართლმადიდებელნო, რომ დღეს წესის აგება არ შეუმოკლებიათ? ეს იმიტომ, რომ მამა მიხაილმა მე დამინახა იქ. იცის მან, რომ მე ვიცი, როგორ უნდა წირვა. მე რომ იქ არ ვყოფილიყავი, ერთს შემოუვლიდნენ ირგვლივ და მორჩა...

ბოლოსდაბოლოს დამთავრდა ვახშმობა. კვლავ წამოდგა ყველა, იგალობეს „ღირს მყავ მე, უფალო!" და სამჯერ კვლავ წარმოთქვეს: სამარადისო ხსოვნა! სამარადისო ხსოვნა! სამარადისო ხსოვნა! მაგრამ ხმა ხრინწიანი ჰქონდათ. სახეზე სიმთვრალე აღბეჭდოდათ და ამ სამარადისო ხსოვნაში არავის ჩაუქსოვია გრძნობა.

სტუმართა უმეტესობა წავიდა, დარჩნენ ყველაზე ახლობლები, დააძრეს პაპიროსი და გააბოლეს, ხუმრობდნენ, იცინოდნენ. გაიხსენეს უგზოუკვლოდ დაკარგული მატრონას მეუღლე; მულის ქმარი მკერდში მჯიღის ცემით გვიმტკიცებდა მე და მეწაღეს — მატრონას ერთერთი დის ქმარს:

— არ არის ეფიმი ცოცხალი, არა! აქამდე როგორ არ მოვიდოდა, ცოცხალი რომ იყოს? რომ ვიცოდე, სამშობლოში ჩამომახრჩობენ, მაინც დავბრუნდებოდი!

მეწაღე თავს უქნევდა თანხმობის ნიშნად. იგი დეზერტირი იყო და მშობლიურ კუთხეს არ გაშორებია: მთელი ომის განმავლობაში დედასთან იმალებოდა სარდაფში.

მაღლა ღუმელზე იჯდა ის ყველაზე უხნესი სიტყვაძვირი დედაბერი, რომელიც აქ დარჩა ღამის გასათევად. იგი ზემოდან გადმოსცქეროდა უკადრისად გამოცოცხლებულ ორმოცდაათი და სამოცი წლის ახალგაზრდებს, ხმას არ იღებდა, მაგრამ ეტყობოდა, რომ ჰკიცხავდა მათ.

მხოლოდ ამ კედელთა შორის გაზრდილი ბედშავი შვილობილი გასულიყო ტიხარს იქით და ტიროდა.

ფადეი მატრონას ქელეხში არ მოსულა, ალბათ, იმიტომ, რომ შვილის აღაპი ჰქონდა. მაგრამ მომდევნო დღეებში მტრულად მოვიდა მატრონას დებთან და დეზერტირ მეწაღესთან მოსალაპარაკებლად.

სადავო გახდა ქოხი: ვის ეკუთვნის იგი — მატრონას დას თუ შვილობილს. საქმე იქამდე მივიდა, რომ სასამართლოში უნდა ეჩივლათ, მაგრამ ბოლოს შეთანხმდნენ — იფიქრეს, სასამართლო არც ამას მისცემს ქოხს, არც იმას, აიღებს და სოფლსაბჭოს გადასცემსო. მორიგდნენ ასე: ერთ დას ერგო თხა, ქოხი — მეწაღესა და მის ცოლს, ფადეის კი, რაკი აქ „ყოველი მორი მისი ხელმონაკიდები იყო", წილად ხვდა უკვე ნაღებული ძელური ოთახი, ფარდული (თხის საბინადრო) და მთელი მესერი, ეზოსა და ბოსტანს შორის რომ იყო.

და კვლავ გამოცოცხლდა გაუმაძღარი მოხუცი, დაივიწყა თავისი სისუსტე და ძვლების ტეხა. კვლავ თავი მოუყარა ცოცხლად დარჩენილ შვილებს, სიძეებს, დაშალეს ფარდული და მესერი; თვითონ ფადეიმ გადაზიდა მორები მარხილით, ბოლოს ეხმარებოდა მხოლოდ მე-8 „გ" კლასელი ანტოშკა, რომელიც ამ საქმეში სულაც არ ზარმაცობდა.

მე გადავსახლდი მატრონას ერთერთ მულთან, რომელიც მახლობლად ცხოვრობდა. ეს ქალი სხვადასხვა საბაბით რაიმეს გაიხსენებდა ხოლმე მატრონას შესახებ და რაღაც ახლებურად წარმომიდგა განსვენებული.

— ეფიმს არ უყვარდა იგი, ამბობდა: მე კულტურულად ჩაცმა მიყვარს, ჩემი ცოლი კი იცვამს უშნოდ, მთლად სოფლურადო. ერთხელ მე და ეფიმი ქალაქში ვიყავით საშოვარზე; მან იქ ერთი ქალი გაიჩინა და მატრონასთან დაბრუნება არც უნდოდა.

მული ყველაფერს უწუნებდა მატრონას: სისუფთავე არ უყვარდაო; შოვნა-შეძენა არ აინტერესებდა; არც მომჭირნე იყო; გოჭი რა არის, გოჭსაც კი არ იყოლიებდა — მისი გამოკვება ეზარებოდა; ბრიყვიც იყო — სხვებს უფასოდ ეხმარებოდა (მატრონას ხსენების ხელსაყრელი საბაბიც გაჩნდა — ვიღას დაუძახებდა, ბოსტნის დასახნავად კავის გაწევაში დამეხმარეო).

მატრონას გულთბილობასა და უბრალოებას არ უარყოფდა მული, მაგრამ ამაზეც დამცინავი სინანულით ლაპარაკობდა.

ამ შეფასებებს რომ ვისმენდი, მხოლოდ მაშინ დამიდგა თვალწინ იმ მატრონას სახე, რომელიც კარგად არ მცნობია, თუმცა მის გვერდით ვცხოვრობდი.

მართლაც რომ ასეა! — ყოველ ქოხში ჰყავდათ გოჭი, მას კი არ ჰყავდა! რაა იმაზე ადვილი, გამოკვებო გაუმაძღარი გოჭი, რომელსაც ჭამის მეტი არაფერი ადარდებს! გაუმზადე სალაფავი დღეში სამჯერ, გადაყევი თან, შემდეგ კი დაკალი და ქონი არ გამოგელევა.

მას კი არ ჰქონდა ქონი.

მატრონა ქანცგაწყვეტილი არ დარბოდა შოვნა-შეძენისათვის; არც იმისთვის იკლავდა თავს, რომ ეყიდა ნივთები და თავის სიცოცხლეზე მეტად გაფრთხილებოდა მათ; არც მორთვა-მოკაზმვას გადაჰყოლია თან; არ გიჟდებოდა ტანსაცმლისათვის, რომლითაც მახინჯები და ავკაცები თავს იწონებენ.

ქმრისგან თანაგრძნობას და ყურადღებას მოკლებულმა, ექვსი შვილის დამმარხველმა, დებისა და მულებისათვის უცხო, მათგან აბუჩად აგდებულმა, სხვისთვის უფასოდ ბრიყვულად მომუშავე მატრონამ თავის სიცოცხლეში ქონება ვერ დააგროვა. ნაცრისფერი თხა, კოჭლი კატა, ფიკუსები — აი, მთელი მისი ავლადიდება.

ჩვენ ყველა მის გვერდით ვცხოვრობდით და ვერ მივხვდით, რომ იგი სწორედ ის წმინდანი იყო, ურომლისოდ, ანდაზისა არ იყოს, გროშკაპიკად არ ღირს სოფელი.

არც ქალაქი...

არც მთელი დედამიწა...

1959

მარჯვენა ხელის მტევანი

იმ ზამთარს ცოცხალმკვდარი ჩავედი ტაშკენტში. უფრო სწორი იქნება, ვთქვათ — სიკვდილს ველოდი.

მაგრამ გამიხანგრძლივეს სიცოცხლე.

გავიდა სამი თვე. ფანჯრებს მიღმა უდარდელად ჩაიარა გაზაფხულმაც და კარს მოგვადგა ზაფხული. ირგვლივ ამწვანდა არემარე, გვარიანად დათბა და გაუბედავი ნაბიჯებით გასეირნება დავიწყე.

ჯერ კიდევ ვერ გამოვუტყდი თავს, რომ გამოვკეთდი, ჯერ კიდევ აფოფინებულ ოცნებაში ჩემი სიცოცხლის ვადას წლობით კი არა, თვეობით ვზომავდი და ნელნელა დავაბიჯებდი პარკის მოხრეშილ თუ მოასფალტებულ ბილიკებზე სამედიცინო ინსტიტუტის კორპუსებს შორის. ხშირად უნდა ჩამოვმჯდარიყავი, ხანდახან კი რენტგენის სხივების ზემოქმედების გამო უნდა შევჩერებულიყავი და თავი დამეხარა.

ვგავდი და არც ვგავდი ჩემს ირგვლივ მყოფ ავადმყოფებს: მე გაცილებით უფრო ნაკლები უფლებები მქონდა, ვიდრე მათ; რაიმეს თქმის უფლებაც ნაკლებად მქონდა მათთან შედარებით. მათთან მოდიოდნენ მნახველები, მათზე წუხდნენ ნათესავები და საზრუნავი ერთადერთი ჰქონდათ — განკურნებულიყვნენ. მე კი თითქოს არც მჭირდებოდა განკურნება: ოცდათხუთმეტი წლის კაცს არავინ მყავდა მშობლიური და ახლობელი. არც პასპორტი მქონდა და თუ მოვრჩებოდი, უნდა მიმეტოვებია ეს სიმწვანე, ეს ნაყოფიერი მხარე და დავბრუნებულიყავი ჩემს უდაბნოში, სადაც გადასახლებული ვიყავი სამუდამოდ, საქვეყნო ზედამხედველობის ქვეშ, დავბრუნებულიყავი იქ, სადაც ყოველ ორი კვირაში უნდა გამოვცხადებულიყავი კომენდატურაში, რომელმაც დიდხანს მაწვალა, სანამ მომაკვდავ კაცს სამკურნალოდ გამომიშვებდა.

მე უფლება არ მქონდა, ყველაფერი ეს მეთქვა ჩემთან მყოფი თავისუფალი ავადმყოფებისათვის.

კიდეც რომ მეთქვა, ვერ გამიგებდნენ...

მაგრამ რაკი ათი წლის განმავლობაში დინჯად ფიქრის საშუალება მქონდა, უკვე ჩავწვდი ასეთ ჭეშმარიტებას: კაცმა რომ სიცოცხლეს გემო გაუგოს, ამისთვის საკმარისია სულ ცოტა რამ: აი, ეს გაუბედავი გადაბიჯება ჯერ კიდევ სუსტი ფეხებით; ჩასუნთქვა-ამოსუნთქვა ფრთხილად, რომ გულში ჩხვლეტა არ ვიგრძნოთ; ერთი კინკილა გაუყინავი კარტოფილი, რომელიც წვნიანში იპოვე.

ასე რომ, ის გაზაფხული ჩემს სიცოცხლეში ყველაზე მტანჯველიც იყო და ყველაზე მშვენიერიც.

ყველაფერი, რასაც ახლა ვხედავდი, ან დავიწყებული მქონდა, ან არასოდეს მენახა. ყველაფერი საინტერესო იყო ჩემთვის: ნაყინის გამყიდველის ოთხთვალაც; მეეზოვის ბრანდსპოიტიც; თვის ბოლოკის გამყიდველი ქალებიც; და განსაკუთრებით საინტერესო იყო კვიცი, რომელიც ბალახისთვის შემოხეტებულიყო გარღვეული კედლიდან.

დღითიდღე უფრო თამამად გავცილდებოდი ხოლმე ჩემს კლინიკას — დავდიოდი პარკში, რომელიც, ეგონებ, გასული საუკუნის დამლევს იყო გაშენებული, როცა ამ გამძლე აგურის შენობებს აგებდნენ. მზე რომ ამოჩახჩახდებოდა, მთელი სამხრეთული დღის განმავლობაში გვიან საღამომდე პარკში გაცხოველებული მიმოსვლა იყო. ჯანმრთელები სწრაფად დადიოდნენ, ავადმყოფები ნელა დასეირნობდნენ.

იქ, სადაც რამდენიმე ხეივანი ერთიანდებოდა და ჭიშკრისკენ მიემართებოდა, თეთრად ქათქათებდა დიდი ალებასტრის სტალინი, რომლის ულვაშებში გაქვავებული ჩაცინება იგრძნობოდა. იმის იქით, ჭიშკრისაკენ, ერთმანეთისაგან თანაბრად დაშორებით ჩამწკრივებული იყო სხვა, უფრო პატარა ზომის ბელადები.

იმის იქით იდგა საწერი ნივთების კიოსკი, რომელშიც იყიდებოდა პლასტმასის პანაწინა ფანქრები და მიმზიდველი უბის წიგნაკები. მე კი მტკიცედ გადავწყვიტე თავის დროზე, არასოდეს მეყიდა უბის წიგნაკი არა მარტო იმიტომ, რომ რაღაც გროშების პატრონი ვიყავი, არამედ უფრო იმის გამო, რომ ადრინდელი ჩემი წიგნაკები იმათ ჩაუვარდათ ხელში, ვისაც ისინი არ უნდა ენახა.

თვით ჭიშკართან ხილის ჯიხური და ჩაიხანა იდგა. ჩვენ, ავადმყოფებს, რომელთაც ზოლიანი პიჟამები გვეცვა, ჩაიხანაში არ გვიშვებდნენ, მაგრამ მესერი ღია იყო და იქიდან შეიძლებოდა შეგვეჭვრიტა შიგნით. მე არასოდეს მენახა ნამდვილი ჩაიხანა — ყოველი მუშტრისთვის ცალკე ჩაიდანი, რომელშიც მწვანე ან შავი ჩაი ასხია. ჩაიხანას ჰქონდა ევროპული ნაწილი, სადაც მაგიდები იდგა, და უზბეკური ნაწილი საერთო ფიცარნაგით. მაგიდებთან მჯდომნი სწრაფად ჭამდნენ და სვამდნენ, დაცლილ ფიალაში ჩადებდნენ ხურდა ფულს და წავიდოდნენ. უზბეკურ ნაწილში კი სიცხის დროს ლერწმის ტენტის ქვეშ ჭილოფზე საათობით, ზოგიერთები კი მთელ დღეს, ისხდნენ თუ იწვნენ, ჩაიდანს ჩაიდანზე ცლიდნენ, აგორებდნენ კამათელს, თითქოს სხვა არაფერი საქმე ჰქონდათ გრძელი დღის განმავლობაში.

ხილის ჯიხურში ავადმყოფებსაც შეეძლოთ რამე ეყიდათ, მაგრამ ჩემი, გადასახლებული კაცის, გროშები ვერ აუდიოდა იქაურ ფასს. თვალს შევავლებდი დაზვინულ ჭერამს, ქიშმიშს, ახალდაკრეფილ ბალს და წავიდოდი.

იქით მაღალი კედელი იყო. ავადმყოფებს არც ჭიშკრის გარეთ უშვებდნენ. დღეში ორჯერ-სამჯერ ამ კედელს ჩაუვლიდა სამგლოვიარო პროცესია ორკესტრის თანხლებით (ქალაქში მილიონი კაცი ცხოვრობს, სასაფლაო კი აქვე იყო). ათი წუთის განმავლობაში ისმოდა სამგლოვიარო მარში, სანამ ნელა მიმავალი პროცესია სამედიცინო ქალაქს არ ჩაუვლიდა. ისმოდა დაფდაფის ხმა. ჯანმრთელ ხალხზე ეს ხმა არ მოქმედებდა — ცოტა ხნით უკან მოიხედავდნენ და თავის საქმეს მიაშურებდნენ. ავადმყოფები კი შეჩერდებოდნენ, დიდხანს ისმენდნენ, კორპუსში მყოფებს ფანრიდან თავი ჰქონდათ გამოყოფილი.

რაც უფრო აშკარა ხდებოდა, რომ გამომჯობინების გზას დავადექი, რაც უფრო ვრწმუნდებოდი, რომ ვიცოცხლებ, მით უფრო მწუხარედ ვიცქირებოდი ირგვლივ: უკვე მენანებოდა აქაურობის მიტოვება.

ექიმთა სტადიონზე თეთრხალათიანები ჩოგბურთის თეთრ ბურთებს ისროდნენ აქეთ-იქით. მთელ ჩემს სიცოცხლეში მსურდა

ჩოგბურთის თამაში, მაგრამ არ გამოვიდა. პარკში ხარობდა მაჩრდილობელი ნეკერჩხლები, ტოტებგაშლილი მუხები, სათუთი იაპონური აკაციები. რვანახნაგიანი შადრევანი მაღლა ისროდა ვერცხლისფერ შხეფებს. ახლა არ იკითხავთ, რა ბალახი იყო გაზონებზე?! — ნოყიერი და ქორფა, როგორიც დიდიხანია აღარ მენახა (ბანაკებში ამობუგეს იგი, როგორც მტერი, ჩემი გადასახლების ადგილას კი არავითარი ბალახი არ ხარობდა). ნეტარება იყო, დაწოლილიყავი მასზე თავქვე, მშვიდად ჩაგესუნთქა ბალახის სურნელი და მზით გამთბარი ჰაერი.

მარტო მე როდი ვწვებოდი ბალახში. საცა კი გაიხედავდი, მედინსტიტუტის სტუდენტი გოგონები იწვნენ და იზუთხავდნენ თავიანთ გაბერილ სახელმძღვანელოებს; ან ჩათვლებიდან ბრუნდებოდნენ და სულმოუთქმელად რაღაცას უამბობდნენ ერთმანეთს; ან სტადიონის საშხაპიდან მოდიოდნენ ტანმოქნილი გოგონები სპორტული ჩემოდნების ქნევით. საღამოობით ერთმანეთში განუსხვავებელი და ამიტომაც სამმაგად მიმზიდველი ქალიშვილები, ნახმარ თუ ახალ კაბებში გამოწყობილნი, შადრევანს უვლიდნენ გარს და ხეივნის ხრეშის ჩხრიალი ისმოდა მათს ფეხქვეშ.

გული მიკვდებოდა, როცა გავიხსენებდი, რომ ეს ქალიშვილები არ გვერგებოდა მე და ჩემს თანატოლებს: დემიანსკში დახოცილებს, ოსვენციმში დაბუგულებს, ჯეზკაზგანში ამოწყვეტილებს და არც იმათ, ახლა რომ ტაიგაში ხდებოდათ სული. ეს ქალიშვილებიც მებრალებოდა იმის გამო, რასაც მე ვერასოდეს ვუამბობდი, ისინი კი თვითონ ვერასდროს შეიტყობენ.

მთელი დღის განმავლობაში ხრეშიან და ასფალტიან ბილიკებზე მიმოდიოდა უამრავი ქალი: ახალგაზრდა ექიმები, მოწყალების დები, ლაბორანტები, რეგისტრატორები, თეთრეულის გამგენი, ულუფის დამრიგებელნი და ავადმყოფის სანახავად მოსული ნათესავები. ჩამოვლიდნენ გვერდით ქათქათა თეთრ ხალათებში და სამხრეთულ ღია ფერის ტანსაცმელში გამოწყობილი ქალები; ვინც უფრო შეძლებული იყო, სხვადასხვა ფერის ლერწმისტარიან მოდურ ჩინურ ქოლგებს ატრიალებდნენ თავს ზემოთ. ყოველი მათგანი შეიცავდა მთელ სიუჟეტს: მისი განვლილი ცხოვრება ჩემს დანახვამდე, მისი შესაძლებელი თუ შეუძლებელი ნაცნობობა ჩემთან.

მე საცოდავად გამოვიყურებოდი: ბანაკის იძულებითი პირქუშობისგან შეძენილი ნაოჭები, ნაცრისფერი მკვდრული კანი, ახლახან მოწამვლა ავადმყოფობისა და წამლების შხამით, რის გამოც ჩემი ლოყების ფერს სიმწვანეც დაემატა. მორჩილებისა და დამალვის ჩვევამ (თავი რომ გადამერჩინა) ნელში მომხარა და კუზი გამიჩინა. ზოლიანი მასხრული ქურთუკა მუცლამდე ძლივს მწვდებოდა, ზოლიანი შარვალი — კოჭებამდეც არა, საბანაკო ბრტყელცხვირა ქირზის ჩექმებიდან გამოჩრილი იყო წვივსახვევები, რომელთაც სიძველისაგან ყავისფერი დაჰკრავდა.

ამ ქალთაგან ყველაზე უკანასკნელიც კი არ მოისურვებდა ჩემს გვერდით გავლას!.. თვითონვე ვერ ვცნობდი ჩემს თავს.

ერთ საღამოს მთავარ ჭიშკართან ვიდექი და არემარეს გავცქეროდი. იქვე ჩვეულებრივ მიმოდიოდა ხალხი, ქანაობდა ქოლგები, გაიელვებდა აბრეშუმის კაბა, ჩესუჩის შარვალი, მოქარგული პერანგი და არახჩინი. ერთმანეთში ირეოდა სხვადასხვა ხმა, ყიდდნენ ხილს, მესერს მიღმა ჩაის სვამდნენ, ისროდნენ კუბიკებს. იქვე მესერზე მიყრდნობილი იდგა ერთი უშნო დაბალი კაცუნა, თითქოს მათხოვარიაო, სულშეხუთული ხანდახან მოგუდული ხმით წამოიძახებდა:

— ამხანაგებო... ამხანაგებო!..

თავისი საქმით გართული ჭრელი ბრბო არ უსმენდა მას. მე მივედი:

— რაო, რა გინდა, ძმობილო?

ამ კაცს უზარმაზარი მუცელი ჰქონდა, ორსულ ქალზე უფრო დიდი. ეცვა ტანზე ტომარასავით ჩამოკიდებული ტალახისფერი გიმნასტურა და შარვალი. ხელახლა ძირგამოკერებული მისი ჩექმები მძიმე და მტვრიანი იყო. მხრებს უმძიმებდა ამინდისათვის შეუფერებელი სქელი პალტო, რომლის საყელო გაქონილი იყო, ყოშები — გადაქექილი. თავზე ედო ძველისძველი გაცვეთილი კეპკა, რომელიც ბოსტნის საფრთხობელად გამოდგებოდა.

თვალები შეშუპებული და ამღვრეული ჰქონდა.

მან ძლივძლივობით ასწია მუშტად შეკრული ხელის მტევანი, საიდანაც ოფლიანი დაჭმუჭნული ქაღალდი გამოვაძრე. ეს იყო გამოუცდელი ხელით ქაღალდზე კალმის ფხაჭუნით დაწერილი განცხ-

ადება მოქალაქე ბობროვისა, რომელიც ითხოვდა, საავადმყოფოში გამამწესეთო. განცხადებას ალმაცერად ეწერა ორი ვიზა — ერთი ლურჯი და ერთი წითელი მელნით. ლურჯი მელანი ქალაქის ჯანგანისა იყო და გონივრულ-მოტივირებულ უარს ამბობდა, წითელი მელანი კი უბრძანებდა მედინსტიტუტის კლინიკას, ავადმყოფი სტაციონარში მიიღეთო. ლურჯი მელანი გუშინდელი იყო, წითელი — დღევანდელი.

— ჰოდა, ქსენონში უნდა მიხვიდეთ, პირველ კორპუსში, — ხმამაღლა ავუხსენი მას, როგორც ყრუს. — წახვალთ აი, ასე, პირდაპირ, ჩაუვლით ამ ძეგლებს...

მაგრამ ამ დროს შევამჩნიე, რომ მიზანთან უკვე მისულ კაცს ძალა გამოლეოდა; შემდგომი გამოკითხვა და სწორ ასფალტზე ფეხის გადადგმა კი არა, თავისი კილონახევრიანი გაქუცული ტომსიკის ხელში დაჭერაც არ შეეძლო. და ასე გადავწყვიტე:

— მაშ, კარგი, მამილო! წავიდეთ, მე მიგიყვან. მომეცი ეგ ტომსიკა.

კარგად გაიგონა ჩემი ნათქვამი. სიამოვნებით გადმომცა ტომსიკა, დაეყრდნო ჩემს განვდილ ხელს, ასფალტისთვის ფეხი თითქმის არ მოუცილებია და ასე ფოფხვით დაიძრა. იდაყვში ამოვდე ხელი და წავიყვანე. გაბერილი მუცელი თითქოს წინისკენ ექაჩებოდა მოხუცს. ხშირად მძიმედ ამოიხვნეშებდა ხოლმე.

ასე მივდიოდით ორი დაჩაჩანაკებული კაცი იმ ხეივანში, რომელშიც ტაშკენტელ ულამაზეს ქალიშვილებთან ხელკავით მავალს ვხედავდი თავს ჩემს ოცნებაში. დიდხანს ტაატით ვიარეთ ალებასტრის უტყვი ბიუსტების გასწვრივ.

ბოლოს განზე გადავუხვიეთ. გზად შეგვხვდა მერხი, რომელსაც საზურგე ჰქონდა. თანამგზავრმა მთხოვა ჩამოვჯდეთო. მეც ძლივს მივათრევდი ფეხებს, შევჩერდი და მერხზე დავჯექით. აქედან ის შადრევანიც მოჩანდა.

სიარულის დროს მოხუცმა რამდენიმე სიტყვა მითხრა და ახლა, სული რომ მოითქვა, განაგრძო: ურალში უნდა წავსულიყავი — ვაი ის არის, რომ პასპორტით იქ ვარ ჩაწერილი. ავად გავხდი სადღაც ტახია-ტაშის მახლობლად (მომაგონდა, რომ იქ რომელიღაც დიდი არხის

მშენებლობას იწყებდნენ, მაგრამ შემდეგ მიატოვეს). ერთ თვეს ურგენჩის საავადმყოფოში ვიწექი, მუცლიდან და ფეხებიდან წყალი გამომიღეს, უფრო ცუდად გავხდი და გამწერეს საავადმყოფოდან. ჩარჯოუში მატარებლიდან ჩამოვედი, ურსატიევსკშიც, მაგრამ მკურნალობაზე ორივეგან უარი მითხრეს — ნადი ურალში, სადაც ხარ ჩანერილიო. მატარებლით მგზავრობის ილაჯი აღარ მქონდა, აღარც ფული შემრჩა ბილეთისთვის. აი, ახლა ტაშკენტში ორ დღეში მივაღწიე იმას, რომ საავადმყოფოში დამანვინონ.

აღარ მიკითხავს, რას აკეთებდა სამხრეთში, როგორ მოხვდა აქ. სამედიცინო ცნობების მიხედვით, მისი სნეულება სერიოზული ჩანდა; ცნობა არც იყო საჭირო — რომ შეხედავდი, მიხვდებოდი, უკანასკნელად იყო ავად. ბევრი ავადმყოფი მინახავს და კარგად ვატყობდი, ამ კაცს სასიცოცხლო ძალა აღარ შერჩენოდა. ტუჩებს ძლივს ამოძრავებდა, ლაპარაკობდა ლუღლუღით, თვალები თითქოს ჩამქრალი, უსიცოცხლო ჰქონდა.

კეპკაც კი ტანჯავდა მას. ძლივს ასწია ხელი, მოიხადა ქუდი და მუხლებზე დაიდო. ისევ ძლივს ასწია ხელი და ჭუჭყიანი სახელოთი შუბლიდან ოფლი მოიწმინდა. კინკრიხო მელოტი ჰქონდა, ირგვლივ კი, კეფაზე, შემორჩენოდა დაუვარცხნელი და მტვრიანი ქერა თმა. სიბერემ კი არა, სნეულებამ ჩააგდო ამ დღეში.

საცოდავად დაწვრილებული კისერი ძალზე დანაოჭებოდა, ყელში კი სამწახნაგა ხვანჩი ადი-ჩადიოდა. რას უნდა დაყრდნობოდა თავი? დავჯექით თუ არა, მოხუცმა თავი ჩაქინდრა და ნიკაპი მკერდზე დაიბჯინა.

ასე გაირინდა იგი თვალდახუჭული. კეპკა ისევ მუხლებზე ედო. ეტყობა, დაავიწყდა, რომ მხოლოდ ერთი წუთით ჩამოვჯექით, რომ ქსენონში უნდა მივიდეს.

ჩვენ წინ ვერცხლისფერ ძაფებად თითქმის უხმაუროდ ჩქეფდა შადრევნის ჭავლი. იმ მხარეს ორმა ქალიშვილმა გაიარა. მე თვალი გავაყოლე მათ. ერთს შინდისფერი ქვედატანი ეცვა, მეორეს — ნარინჯისფერი. ძალიან მომეწონა ორივე.

ჩემმა მეზობელმა მძიმედ ამოიოხრა, მკერდზე ჩამოსვენებული თავი შეაბრუნა, ასწია ყვითელი ქუთუთოები და გვერდულად ამომხედა:

— ამხანაგო, მოსანევი ხომ არ გექნებათ?

— მამილო, მაგაზე ფიქრს თავი დაანებე! — დავუცაცხანე მე. — რაღა თუთუნის წევა გვინდა მე და შენ! სარკეში მაინც შეხედე შენს თავს. მონევა მოუნდა ახლა!

(მე თვითონ ერთი თვის წინათ მივატოვე თუთუნის წევა. ძალიან კი გამიძნელდა ეს).

მოხუცი აქშინდა. კვლავ ამომხედა ყვითელი ქუთუთოების ქვემოდან; რაღაც დატუქსული ძაღლივით გამოიყურებოდა.

— ერთი სამი მანეთი მაინც მომეცი, ამხანაგო!

ჩავფიქრდი — მივცე თუ არ მივცე. კაცმა რომ თქვას, მე ისევ პატიმარი ვარ, ეს თავისუფალია. მრავალ წელს ვიმუშავე იქ, არაფერს მიხდიდნენ; როცა გადახდა დაიწყეს, მიქვითავდნენ: ეს ბადრაგას, ეს ზონის განათებისთვის, ეს მაძებრებისთვის, ეს უფროსობას, ეს ბალანდისათვისო.

ქურთუკას პატარა გულისჯიბიდან ამოვიღე მუშამბის საფულე, შევამოწმე შიგთავსი, ამოვიხვნეშე და მოხუცს სამმანეთიანი გავუწოდე.

— მადლობელი ვარ, — ხრიანწიანი ხმით თქვა მან. ძლივს ასწია ხელი, გამომართვა სამმანეთიანი, ჩაიდო ჯიბეში და განთავისუფლებული მუშტი მუხლზე დაირტყა. კვლავ ჩაქინდრა თავი და ნიკაპით მკერდს დაებჯინა.

ერთხანს ჩუმად ვისხედით.

ამ დროს ჩვენ წინ გაიარა ქალმა, შემდეგ — ორმა სტუდენტმა გოგონამ. სამივე ძალიან მომეწონა.

წლების განმავლობაში არც ქალთა ხმა გამიგონია, არც მათი ქუსლების კაკუნი.

— კიდევ კარგი, რეზოლუცია დაგიდეს განცხადებაზე. ეს რომ არა, მთელი კვირა უნდა გეხეტიალა. ბევრია ამ დღეში.

კაცმა ასწია ნიკაპი მკერდიდან და ჩემკენ შემობრუნდა. მის თვალებში რაღაც აზრმა გაიელვა, ხმა აუკანკალდა და წინანდელზე უფრო მკაფიოდ წარმოთქვა:

-- შვილო, საავადმყოფოში იმიტომ მაწვენენ, რომ მე დამსახურებული კაცი ვარ. რევოლუციის ვეტერანი გახლავართ. სერგეი

მირონიჩ კიროვმა ცარიცინთან პირადად ჩამომართვა ხელი. პერსონალური პენსია უნდა მოეცათ ჩემთვის.

ლოყებისა და ტუჩების სუსტი მოძრაობით სიამაყის გამომხატველი ღიმილის მსგავსი რაღაც აღიბეჭდა მის გაუპარსავ სახეზე.

მე კიდევ ერთხელ შევათვალიერე მოხუცი და მისი ძონძები.

— მერედა, რატომ არ გაძლევენ?

— ასე ნავიდა ცხოვრება, — ამოიხვნეშა მან. — ახლა ღირსად აღარ მცნობენ. ზოგი არქივი დაიწვა, ზოგი დაიკარგა. მოწმეებსაც ველარ იპოვი. სერგეი მირონიჩიც მოკლეს... ჩემი ბრალია — ცნობებს არ ვაგროვებდი. აი, ეს ერთი მაქვს მხოლოდ...

მან მარჯვენა ხელის მტევანი — თითის სახსრები მთლად შეშუპებული იყო და თითები ერთმანეთს ეკვროდა — მიიტანა ჯიბესთან და შიგ ჩაყოფას ცდილობდა, მაგრამ ვერ მოახერხა; დაუშვა ხელი, ჩაქინდრა თავი და გაირინდა.

მზე გადაიხარა. საჭირო იყო აჩქარება ქსენონში წასასვლელად (იქამდე ასიოდე ნაბიჯიღა იყო): კლინიკებში ადგილის შოვნა ადვილი არასდროს ყოფილა.

მხარზე შევეხე მოხუცს.

— მამილო, გამოფხიზლდი! აი, კარებს ხედავ? ხომ ხედავ? ჯერ მე ნავალ, მოვსინჯავ. შენ კი ნელნელა ნამოდი. არა, არა, მომიცადე აქ. შენი ტომსიკა მიმაქვს.

მან თავი დააქნია, გავიგეო.

ქსენონი გახლდათ დიდი კედლებჩამოფლეთილი დარბაზის პატარა ნაწილი, რომელიც შემოზღუდული იყო უხეში ტიხრებით (იმათ მიღმა ოდესღაც აბანო, ტანსაცმლის გამოსაცვლელი ოთახი და საპარიკმახერო ყოფილა). იგი ყოველთვის გაჭედილი იყო ავადმყოფებით, რომელნიც გასავათებულნი საათობით იდგნენ და მიღებას ელოდნენ. მაგრამ, ჩემდა გასაოცრად, ახლა არავინ ჭაჭანებდა. დავაკაკუნე ფანერით დახშულ სარკმელზე. იგი გააღო ძალიან ახალგაზრდა ცხვირაპრეხილმა მოწყალების დამ, რომელსაც ტუჩებზე წითელი კი არა, იისფერი პომადა წაესვა.

— რა გნებავთ? — იგი მაგიდას უჯდა და აშკარად ჩანდა, რომ კითხულობდა კომიქსს ჯაშუშების შესახებ. სწრაფად აფახულებდა თვალებს.

მივანოდე განცხადება, რომელსაც ორი რეზოლუცია ედო, და ვუთხარი:

— ძლივს დადის იგი. ახლავე მოვიყვან როგორმე.

— არ გაბედოთ ვინმეს მოყვანა! — უკმეხად წამოიძახა მან ისე, რომ ქაღალდზე არც დაუხედავს. — წესი არ იცით? ავადმყოფებს მხოლოდ დილის ცხრა საათიდან ვიღებთ!

სწორედ მან არ იცოდა „წესი". სარკმელში შევყავი თავი და, რამდენადაც მომიხერხდა, ხელიც, რომ უცბად არ დაეკეტა იგი. ქვედა ტუჩი მოვიბრიცე, დავიღმიჭე გორილასავით და ქურდული ჟარგონით ნავუსისინე:

— გამიგონე, ქალბატონო! მე სულაც არ გახლავარ თქვენგან მასხარად ასაგდები.

ქალი შეკრთა, სკამი უკან დასწია და ხმასაც დაუწია:

— ახლა მიღება არ არის, მოქალაქე! მობრძანდით დილით, ცხრა საათზე.

— შენ გეუბნები, წაიკითხე ეგ ქაღალდი! — დაბალი მუქარანარევი ხმით გულითადი რჩევა მივეცი.

წაიკითხა.

— რა ვქნათ მერე! წესი საყოველთაოა. შეიძლება, ხვალაც არ იყოს ადგილი. დღეს დილით არ იყო, მაგალითად.

იგი თითქოს კმაყოფილებითაც ამბობდა — დღეს დილითაც არ იყო ადგილიო, ისე ამბობდა, თითქოს გულს მიკლავდა ამით.

— მაგრამ ის კაცი აქაური არ არის, გესმით? სად შეაფაროს თავი?

მე რომ თანდათან უკან ვიხევდი სარკმლიდან და ბანაკის კილოთი ლაპარაკსაც ვუკელი, ქალის გამომეტყველება წინანდებურად მკაცრი და ხალისიანი გახდა:

— ჩვენთან ყველა საიდანღაც ჩამოსულია. სად დავაწვინოთ ისინი? ელოდებიან!.. იშოვოს ბინა სადმე!

— ერთი გამობრძანდით და ნახეთ, რა დღეშია ის კაცი.

— ეგღა მაკლია! ვიარო და ავადმყოფები ვაგროვო! სანიტარი კი არა ვარ!

ახლა ცქვიტად, მკვირცხლად იძლეოდა პასუხებს, თითქოს ზამბარით არის მომართულიო.

— კი მაგრამ, თქვენ ვისთვის ზიხართ აქ? მაშინ აიღეთ და ჩაკეტეთ კარები! — ვთქვი ეს და ხელისგული ვთხლიშე ფანერის კედელს.

— თქვენ არავინ გეკითხებათ მაგას! თავხედო! — იფეთქა ქალმა, შეტრიალდა და დერეფანში გამოვიდა. — თქვენ ვინა ხართ? ჭკუას ნუ მასწავლით აქ! ჩვენთან სასწრაფო დახმარებას მოჰყავს ავადმყოფები.

რომ არა ეს იისფერი ტუჩები და ასეთივე მანიკურები, ეს ქალი უშნო სულაც არ იყო. ცხვირი ამშვენებდა მას. თვალ-ნარბიც ლამაზი ჰქონდა. ცხელოდა და ხალათი ფართოდ გადაეფინა მკერდზე, მოჩანდა ვარდისფერი ყელსახვევი და კომკავშირის ნიშანი.

— როგორ? იგი რომ თავისი ფეხით კი არ მოსულიყო, არამედ ქუჩიდან მოეყვანა სასწრაფოს, მიიღებდით? ასეთი წესი არსებობს?

მან ქედმაღლურად შეათვალიერა ჩემი უცნაური ფიგურა, მე კი ის შევათვალიერე. სულ დამავიწყდა, რომ წვივსახვევი ამოჩრილი მქონდა ფეხსაცმლიდან. ქალმა ჩაიფრუტუნა, მაგრამ გულგრილი ადამიანის იერი მიიღო და ცივად მიპასუხა:

— დიახ, ავადმყოფო! არსებობს ასეთი წესი.

ეს თქვა და მიიმალა ტიხარს იქით.

ზურგსუკან ფაჩუნი მომესმა. მოვიხედე — ჩემი თანამგზავრი უკვე მოსულიყო. მას მოუსმენია ჩვენი ლაპარაკი. იგი ოდნავ აქნევდა მარჯვენა ხელის მტევანს, რომლითაც გაცრეცილი საფულე ეჭირა.

— აი... — ამბობდა იგი ღონემიხდილი, — აი... აჩვენე მას... აი... ნახოს...

ხელი შევაშველე და დავსვი მერხზე, რომელიც მომსვლელთათვის დაედგათ აქ. ის ცდილობდა, უძლური თითებით საფულედან ამოეღო თავისი ერთადერთი ცნობა, ცდილობდა, მაგრამ ვერაფრით ახერხებდა. ბოლოს ამოაცოცა, როგორც იქნა.

გამოვართვი ეს დაფლეთილი ქაღალდი, რომელიც გადანაკეცებში დანებებული იყო. გავშალე და წავიკითხე საწერი მანქანით აცაბაცად ნაბეჭდი იისფერი სტრიქონები:

„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ცნობა

ეძლევა ცნობა ესე ამსაგან ნ. კ. ბობროვს დასტურად იმისა, რომ 1921 წელს იგი ნამდვილად ირიცხებოდა ამადაამ გუბერნიის მსოფლიო რევოლუციის სახელობის საგანგებო დანიშნულების რაზმში და თავისი ხელით ჩეხავდა აქამდე შემორჩენილ ქვეწარმავლებს.

კომისარი..."

ხელმოწერილია.
არტყია მკრთალი იისფერი ბეჭედი.

მკერდზე რამდენჯერმე მოვისვი ხელი და ჩუმად ვკითხე:

— ეს რაღაა — „საგანგებო დანიშნულების"? რას ნიშნავს ეს?

— ჰოო, — მიპასუხა მან და ძლივს მოახერხა, არ დაეხუჭა თვალი. — უჩვენეთ ეს ცნობა იმ ქალს.

ვუცქერდი მის ხელს, მის მარჯვენა მტევანს: იგი პატარა იყო, მურა ფერის ვენები — გაბერილი, სახსრები — მთლად შეშუპებული, თითები — ისე დაძაბუნებული, რომ ძლივს ამოაძვრინეს ცნობა საფულედან. და მომაგონდა, რომ იმ დროს მოდაში იყო: ცხენოსანი ქვეითს ჩეხავდა გეზად მოქნეული ხმლით.

საოცარია პირდაპირ... ეს მარჯვენა ხელის მტევანი ხმლის უძლიერესი მოქნევით თავს წააცლიდა კაცს, ყელს გამოჭრიდა, მხარიღლივ გადასხეპავდა. ახლა კი საფულესაც ველარ იჭერდა...

მივედი სარკმელთან და კვლავ დავაკაკუნე ფანერაზე. რეგისტრატორი თავაუღებლივ კითხულობდა თავის კომიქსს. წიგნის გადაშლილ გვერდზე დავინახე თავდაყირა მდგომი კეთილშობილი ჩეკი-

სტი, რომელიც ფანჯრის რაფაზე შემხტარიყო და ხელში რევოლვერი შეემართა.

ქალს წიგნზე უსიტყვოდ დავუდე გაცრეცილი ცნობა, შემოვბრუნდი და გასასვლელისაკენ წავედი. გული მერეოდა, ერთთავად მკერდზე ვისვამდი ხელს. თავი სასთუმლისკენ მეწეოდა, ჩქარა უნდა დავწოლილიყავი.

— ეს რა ქაღალდებს აწყობთ აქ? ავადმყოფო, წაიღეთ უკან! — მომაყვირა ქალიშვილმა სარკმლიდან.

ვეტერანი მერხზე მოკალათებულიყო. თავი და მხრებიც კი თითქოს ტანში ჩამჯდარიყო. უმწეო თითები გაეფარჩხა. გაღეღილი პალტო ძირს იყო ჩამოშვებული. მრგვალი გაბერილი მუცელი უცნაურად იდო ბარძაყთა შორის.

1960

ზახარ-კალიტა

მეგობრებო, თქვენ მთხოვთ, გიამბოთ რამე საზაფხულო ველოგადარბენის შესახებ? თუ თავს არ მოგაწყენთ, აი, კულიკოვოს ველის თაობაზე გიამბობთ.

დიდიხანია გვინდოდა მისი მონახულება, მაგრამ რატომღაც აქამდე ვერ გავიკვლიეთ გზა იქითკენ. არც ფერადი დაფები გვეპატიჟება იქით, ვერც გზის მაჩვენებელს წაწყდები სადმე, ყველა რუკაზეც კი არ არის აღნიშნული. არადა, ამ ბრძოლამ უფრო მეტი რუსული სული და ხორცი შეინირა მეთოთხმეტე საუკუნეში, ვიდრე ბოროდინოს ბრძოლამ მეცხრამეტეში. ასეთი ბრძოლა არა მარტო ჩვენთან, არამედ მთელ ევროპაში ხუთას წელიწადში ერთხელ თუ გამართულა. ეს იყო ბრძოლა არა სამთავროთა, არა სახელმწიფოთა არმიებს შორის, არამედ — ორი მატერიკის შეჯახება.

ვგონებ, მაინცდამაინც მარჯვე სვლაგეზი ვერ შევარჩიეთ: ვიარეთ ეპიფანიდან კაზანოვკისა და მონასტირშჩინის გავლით. მხოლოდ იმის წყალობით, რომ წინახანებში ხანგრძლივი წვიმა არ ყოფილა, ჩვენ ველოსიპედზე მჯდომარე ვიარეთ, დონსა და ნეპრიადვაზე საცალფეხო ბოგირით გადავიტანეთ ველოსიპედები.

მაღლიდან ადრევე დავინახეთ მეორე ფართო მაღლობზე ცისკენ აშვერილი წვეტი. დაბლა რომ დავეშვით, იგი აღარ ჩანდა. კვლავ შევუდექით აღმართს და ისევ გამოჩნდა ნაცრისფერი წვეტი. ახლა უფრო ნათლად ჩანდა იგი, მის გვერდით კი მოგვეზმანა თითქოს ტაძარი, მაგრამ რაღაც უცნაურად ანაგები, ისეთი, როგორიც მხოლოდ ზღაპარში თუ მოელანდება კაცს: მისი თითქოს გამჭვირვალე გუმბათები აგვისტოს ცხელ ჰაერში ქანაობდნენ, თვალს უხვევდნენ ადამიანს და აფიქრებინებდნენ — ნამდვილია ისინი თუ მოჩვენებაა მხოლოდ.

ვიარეთ გავერანებული შარაგზებით და ძეგლთან მისვლამდე რამდენიმე კილომეტრის მანძილზე კაცი არ შეგვხვედრია. ეს ჩვენ

არ გვინახავს იმ დღეს ვინმე სულიერი, თორემ მოშორებით სამკალი მანქანა იქნევდა ფრთებს; აქაც ბევრჯერ ყოფილან ადამიანები და კიდევ ბევრჯერ მოვლენ, რადგან ნათესი იყო ყველგან, სადაც თვალი მისწვდებოდა; უკვე მწიფდებოდა აქ წინიბურა, იქ ჭარხალი და შვრია, ჭვავი, ბარდა (ის ქორფა ბარდა ცოტაოდენი გამოვმარცვლეთ კიდეც). მაგრამ იმ დღეს არავინ გამოჩენილა და ჩვენ ისე გავიარეთ, როგორც წმიდა მდუმარე ნაკრძალში გაივლიან. ძალდაუტანებლად ვფიქრობდით იმ ქერათმიან მეომრებზე, რომელთაგან ათიდან ცხრა კაცი ერთი საჟენის სიღრმეში ინვნენ მინისქვეშ და ძვლებიანად გაიხრწნენ, რათა რუსეთი ბუსურმანებისგან განთავისუფლებულიყო.

მამაის მაღლობის დამრეცი და ფართო კალთები დიდად არ შეცვლილა ექვსი საუკუნის განმავლობაში; ტყე აღარ იყო მხოლოდ. სნორედ სადღაც აქ დაბანაკდა 7 სექტემბრის საღამოს და ღამით დონზე გადმოსული თითქმის მეოთხედი მილიონიანი (ორასი ათასზე მეტი) რუსული ლაშქარი, რათა ეჭმიათ ცხენებისთვის (ეს კია, რომ უმეტესობა ქვეითი იყო), გაელესათ ხმლები, მოეკრიბათ სიმხნევე, ელოცათ და ეფიქრათ იმაზე, თუ რა მოხდება ხვალ. მაშინ ჩვენი ხალხი ახლანდელის მეშვიდედი თუ იქნებოდა და ძნელი წარმოსადგენია, როგორ შეიკრიბა ასე ძლიერი ლაშქარი — ორასი ათასი!

და ყოველი ათი კაციდან ცხრას ხვალ უკანასკნელი დილა უთენდებოდა.

დონზე გადმოსვლაც იძულებითი იყო, მაგრამ რა ექნათ — თავისი ნებით ვინ დადგება ბრძოლის ველზე ისე, რომ უკან მდინარე უკეტავდეს გზას. მნარეა ისტორიის სიმართლე, მაგრამ მისი თქმა უფრო ადვილია, ვიდრე დამალვა: მამაის არა მარტო ჩერქეზები და გენუელები ახლდნენ, არა მარტო ლიტვის დიდი მთავარი იაგელო იყო მისი მოკავშირე, არამედ რიაზანის მთავარი ოლეგიც მას უჭერდა მხარს. (ოლეგსაც უნდა გაუგოს კაცმა: სხვანაირად იგი ვერ დაიცავდა თათრებისგან თავის მინაწყალს — შვიდი, სამი და ორი წლის წინათ ხომ გადაბუგეს მისი მინაწყალი). სნორედ ამიტომ გადმოლახეს რუსებმა დონი, რათა ამ მდინარეს დაეფარა ისინი ზურგიდან, რიაზანელებისაგან — ჩვენებმა, მართლმადიდებელმა ქრისტიანებმა არ დაგვარტყანო.

შორს გამოჩნდა წვეტი, არა, უკვე წვეტი კი არა, მოხდენილი უცნაური კოშკი, მაგრამ ერთბაშად ვერ მივაღწიეთ მასთან: შარაგზა გათავდა, მივადექით ნათესებს, ველოსიპედით გვერდს ვუვლით მიჯნებს. ბოლოს გამოჩნდა აბალახებული, მიტოვებული, დაბურდული ძველი გზა, რომელიც ძეგლის მახლობლად უკვე კარგად ჩანდა და საწრეტებიც კი გასდევდა.

ნათესებიც გათავდა. მაღლობზე ნამდვილი ნაკრძალი გადაშლილიყო. იქ დგას ძეგლი და ის ტაძარი, რომლის ზებუნებრივმა გუმბათებმა შორიდანვე გაგვაოცა. გამოცანა ადვილად ამოსაცნობი გამოდგა: მეზობლად მცხოვრებლებს თავიანთი საჭიროებისათვის ხუთიევ გუმბათიდან აეძროთ თუნუქი და გუმბათები გამჭოლი გახდა. მათი ფორმა არ დარღვეულა, მაგრამ მხოლოდ მავთულები აქვთ შერჩენილი და შორიდან ამიტომ ჰგვანან აჩრდილებს.

ძეგლი ახლოდანაც საოცარია. სანამ არ მიხვალ და ხელით არ შეეხები, ვერ გაიგებ, როგორ გააკეთეს იგი. ასზე მეტი წლისაა, გასულ საუკუნეშია აგებული, კოშკის ჩამოსხმა კი თანამედროვე გამოგონებაა, ოღონდ დღეს თუჯისგან არ ჩამოასხამენ. კოშკი აგებულია თუჯისა და ფიგურული ფილებისაგან.

ჩვენ დიდხანს ვიარეთ ცარიელ ველზე და აქაც არ ველოდით ვინმესთან შეხვედრას. მოვდიოდით და ვფიქრობდით: რატომაა ასე? აქედან ხომ არ დაწყებულა რუსეთის სვე-ბედი? აქ ხომ არ მომხდარა გარდატეხა მის ისტორიაში? ყოველთვის სმოლენსკისა და კიევის გავლით მოდიოდნენ ჩვენი მტრები? ალბათ, ვერავინ მიხვდება ამას.

თუ ვცდებით, ძალიანაც გაგვიხარდება! მოსვლისთანავე ძეგლის შორიახლოს დავინახეთ ჭაღარა მოხუცი და ორი ბიჭი. მათ ზურგჩანთა ძირს დაეგდოთ, ბალახზე იწვნენ და სასკოლო ჟურნალისოდენა წიგნში რაღაცას წერდნენ. მივედით, გავეცანით. კაცი ლიტერატურის მასწავლებელი ყოფილა, ამ ბიჭებს სადღაც აქვე შეხვედრია და წამოუყვანია. ის დიდი წიგნი სასკოლო სახელმძღვანელო კი არა, არც მეტი, არც ნაკლები, შთაბეჭდილებათა წიგნი იყო. მაგრამ აქ მუზეუმი არ არის, ამ უკაცრიელ მინდორში ვისთან ინახება ეს წიგნი?

თითქოს ამ შეკითხვის პასუხად მზის მხრიდან ზორბა ჩრდილი მოგვადგა. მოვიხედეთ — ჩვენ წინ იდგა კულიკოვოს ველის ზედამხედველი, ის კაცი, ვისაც წილად ხვდა ჩვენი სახელ-დიდების დაცვა.

ეჰ, ობიექტივის მომარჯვება ვერ მოვასწარით! თანაც მზის პირისპირ ვერც გადაიღებ. არც ზედამხედველი დაუდგებოდა წინ აპარატს (მან იცოდა თავისი ფასი და მთელი დღის განმავლობაში მისი გადაღება ვერ მოვახერხეთ), მაგრამ მისი აღწერა კი შეგვიძლია. თვითონ ის აღვწეროთ თუ ჯერ მისი ტომარა? (ხელში უბრალო გლეხური ტომარა ეჭირა, ნახევრად სავსე, მაგრამ ჩანდა, არც ისე მძიმე — ეჭირა და დაღლილობა არ ეტყობოდა).

ზედამხედველი შმაგი კაცი ჩანდა, რაღაცით ავაზაკს ჩამოჰგავდა. ჰქონდა ზორბა ხელ-ფეხი, პერანგი — გაღეღილი, ალმაცერად ეხურა კეპკა, საიდანაც ქერა თმა მოუჩანდა; ამ კვირაში წვერი არ გაუპარსავს, მაგრამ ლოყაზე მაინც ეტყობოდა იმ კვირაში გაპარსვისგან დარჩენილი მონითალო განაკაწრი.

— აჰა! — უხალისოდ მოგვესალმა იგი და ზემოდან გადმოგვხედა. — მოხვედით? რით მოხვედით?

იგი საგონებელში ჩავარდნილიყო: თითქოს აქაურობას ზღუდე ჰქონდა შემოვლებული, ჩვენ კი ნახვრეტი ვიპოვეთ და იქიდან შემოვძვერით. თავი გავიქნიეთ ველოსიპედებისკენ, რომლებიც ბუჩქებში ერთმანეთზე იყო მიყუდებული. ზედამხედველს მატარებელში ჩასაჯდომად გამზადებული კაცივით ტომარა ეჭირა ხელში, მაგრამ ისე გამოიყურებოდა, რომ აი ახლა პასპორტებსაც მოგვთხოვსო. ჰქონდა ჩამოგრძელებული გამხდარი სახე, რომელზედაც სიმტკიცე და შეუვალობა აღბეჭდილიყო.

— გაფრთხილებთ! ნარგავები არ გათელოთ მაგ თქვენი ველოსიპედებით!

ეს ისე თქვა, რომ მაშინვე მივხვდით: აქ, კულიკოვოს ველზე, ზედმეტი ლაპარაკი არ უყვართ.

ზედამხედველს ეცვა ბუშლატივით გრძელკალთებიანი და განიერი გახსნილი პიჯაკი, რომელიც ალაგალაგ ამოკემსილი იყო, ფერი კი ისეთი ჰქონდა, ზღაპარში რომ იტყვიან — ნაცრისფერ-

შინდისფერი. პიჯაკის გადანაკეცზე ბრნყინავდა ვარსკვლავი; პირველად ორდენის ვარსკვლავი გვეგონა, მაგრამ არა — იგი აღმოჩნდა ოქტომბრელის ვარსკვლავი, რომელზეც წრეში ჩასმული ლენინი იყო გამოსახული. პიჯაკის შიგნით ეცვა გადმოშვებული გრძელი თეთრზოლიანი ლურჯი ჩითის პერანგი, ისეთი, როგორიც მხოლოდ სოფელში შეიძლებოდა შეეკერათ მისთვის. მაგრამ პერანგზე შემორტყმული ჰქონდა ხუთქიმიანი ვარსკვლავით დამშვენებული არმიული ქამარი; ორგზის გამონაცვალი საოფიცრო დიაგონალის შარვალი ჩატანებული ჰქონდა ქირზის ჩექმებში (შარვალი მუხლისთავებთან გვარიანად გაცრეცილი იყო).

— აბა, როგორ არის საქმე? — უკვე რბილი ხმით ჰკითხა მან მასწავლებელს. — ნერთ?

— ახლავე, ზახარ დიმიტრიჩ, — პატივისცემით მიუგო მან, — აი, ვამთავრებთ უკვე.

— თქვენ კი, — ისევ გაიმკაცრა ხმა, — თქვენც ჩაწერთ რამეს?

— ჩვენ მოგვიანებით ჩავწერთ, — მივუგეთ და მისი შემოტევა რომ როგორმე მოგვეგერიებია, ახლა ჩვენ ვკითხეთ: — თქვენ გეცოდინებათ, ეს ძეგლი როდის არის დადგმული?

— აბა როგორ! — წყენით ასწია თავი და ახროტინდა, ბრაზისაგან ჩაახველა კიდეც. — აბა, რისთვის ვარ მე აქ?

ზედამხედველმა ფრთხილად დადო ტომარა (მასში რაღაცამ დაინკარუნა — ბოთლები ხომ არ არის?), ჯიბიდან ამოიღო სიგელი და გაშალა: ეს იყო რვეულის ფურცელი, რომელზეც ბეჭდური ასოებით ენერა მიძღვნა დიმიტრი დონელისადმი და თარიღი — 1848 წ.

— ეს რა არის? — ვკითხეთ.

— აი, ეს არის, ამხანაგებო, — ამოიხვნეშა ზახარ დიმიტრიჩმა და ამით გულწრფელად გაამჟღავნა, რომ იგი არც ისე ღონიერია, როგორც თავიდანვე მოგვაჩვენა, — აი, ნახეთ და გაიგეთ. ეს მე თვითონ გადმოვწერე ფილადან, რადგან ყველა მეკითხება: როდის დადგეს? თუ გნებავთ, იმ ადგილსაც გაჩვენებთ, სადაც ის ფილა იყო.

— ახლა სადღაა ის ფილა?

— ერთმა ჩვენსოფლელმა აწაპნა და ვერაფერი მოვუხერხეთ მას.

— იცით, ვინ ნაიღო?

— ძალიან კარგადაც ვიცი. ისღა მოვახერხე, რომ პატარა ასოების ნანილი წავართვი, ნანილი კი ისევ მასთანაა. თუნდაც ყველა ის ასო რომ ჩამაგდებინა ხელში, მე თვითონ მივუჩენდი თავის ადგილს.

— რისთვის მოიპარა იმ კაცმა ფილა?

— მეურნეობაში გამოიყენა.

— კი მაგრამ, არ შეიძლება ჩამოართვათ?

— ჰმ! — თავი გაიქნია ზახარმა ჩვენი სულელური შეკითხვის პასუხად. — საქმეც ეგ არის!.. ძალაუფლება არა მაქვს! თოფსაც კი არ მაძლევენ, აქ კი ავტომატია საჭირო.

ზედამხედველის გაკაწრულ ლოყას რომ ვუცქერდით, გულში გავიფიქრეთ: კიდევ კარგი, რომ ამ კაცს თოფს არ აძლევენ.

ამ დროს მასწავლებელმა წერა დაამთავრა და შთაბეჭდილებათა ნიგნი დაუბრუნა. ვიფიქრეთ, ზახარ დიმიტრიჩი იღლიაში ამოიდებს მას ან ტომარაში ჩადებსო. ვერ გამოვიცანით. მან გადასნია პიჯაკის კალთა და გამოჩნდა შიგნიდან გამოკერებული ტომრის ქსოვილის... ჯიბე კი არა, არც თოფრა, უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით — **კალიტა**, რომელიც ზუსტად შთაბეჭდილებათა წიგნის ზომისა იყო. წიგნი მჭიდროდ მოთავსდა ამ კალიტაში. იქვე იყო სათავსი კალმისათვის, რომელსაც ზახარი ათხოვებდა ხოლმე ძეგლის მნახველებს.

რაკი დარწმუნდა, რომ ჩვენ გაგვაცნობიერა, ზახარ-კალიტამ აიღო ტომარა (იქიდან სწორედ მინის წკარუნი მოისმა), მოიკუზა და გრძელი ნაბიჯებით ბუჩქებისაკენ წავიდა. ახლა აღარ ეტყობოდა ის ყაჩაღური სითამამე, რითაც თავიდან შეგვხვდა. იგი დაჯდა, უფრო მოიკუზა და გააბოლა. ენეოდა და ისეთი დაუძლეველი დარდი, ისეთი დაბნეულობა ეტყობოდა, თითქოს ყველა, ვინც ამ ველზე ბრძოლაში დაეცა, მისი ძმა, ნათესავი ან შვილი იყო, თითქოს ეს მხოლოდ გუშინ მოხდა და მან ახლა არ იცის, როგორღა იცოცხლოს.

გადავწყვიტეთ, რომ დღეს აქ დავრჩეთ და ღამეც აქ გავათიოთ: ბარემ ისიც ვნახოთ, როგორია კულიკოვოს ღამე, რომელსაც ბლოკი უმღეროდა. რაკი არ გვეჩქარებოდა, ხან ძეგლთან მივდიოდით, ხან დაცარიელებულ ტაძარს ვათვალიერებდით, ხან დავეხეტებოდით ველზე და ვცდილობდით წარმოგვედგინა — ვინ სად იდგა 8 სექტემ-

ბერს, ხანაც ძეგლის თუჯისგან ჩამოსხმულ კვარცხლბეკზე ავცოცდებოდით ხოლმე.

ჩვენამდე აქ სხვებიც ყოფილან, ოოო, სწორედ რომ აქ ყოფილან! საყვედურს ვერ იტყვი, ძეგლი არავის ახსოვსო. მოსულან, უნახავთ და ზოგს ღოჯით კერპები ამოუკვეთია თუჯზე, ზოგს ლურსმნით დაუფხაჭნია, ვინც უფრო სუსტი იყო, ნახშირით წაუწერია ტაძრის კედლებზე: „აქ იყვნენ მარია პოლუნეევას მეუღლე და ნიკოლაი ლაზარევი 8-V-50-დან 24-V-მდე", „აქ იყვნენ რაიონული თათბირის დელეგატები"..., „აქ იყვნენ კიმოვოს რაიკავშირის მუშაკები 23-VI-52"; „აქ იყვნენ...", „აქ იყვნენ...".

ამ დროს მოტოციკლით მოვიდნენ ნოვომოსკოვსკელი ახალგაზრდა მუშები. ისინი სამნი იყვნენ. მარჯვედ ახტნენ კვარცხლბეკზე, ათვალიერებდნენ და მოფერებით ხელს უთათუნებდნენ ძეგლის გამთბარ ტანს, უკვირდათ, რა კარგად არის იგი აგებული და თან ჩვენც გვიხსნიდნენ რაღაცას. სამაგიეროდ, ჩვენ ზედა ბაქნიდან გადავახედეთ და ვუამბეთ კულიკოვოს ბრძოლის შესახებ.

ახლა ზუსტად ვიღამ იცის, სად რა და როგორ მოხდა? მატიანე გვიამბობს, რომ მონღოლ-თათართა ცხენოსანი ჯარი შეიჭრა ჩვენს ქვეითთა პოლკებში, გაამეჩხრა მისი რიგები და დონისაკენ გარეკა. ისე მოხდა, რომ დონი ოლეგისაგან კი არ გვიცავდა — თვით გვიქადდა დაღუპვას. მაგრამ დიმიტრი დონელმა ყველაფერი ისე კარგად გაიაზრა, რომ ყველა დიდი მთავარი როდი მოახერხებდა ამას. მან თავისი დროშა და აღკაზმულობა ერთ ბოიარინს გადასცა და თვითონ იბრძოდა, როგორც რიგითი მეომარი. დაინახეს, რომ იგი ერთდროულად შეებრძოლა ოთხ თათარს. მაგრამ დიდი მთავრის დროშაც აკუნეს და ჯავშანშემოგლეჯილმა დიმიტრიმ ძლივს მიაღწია ტყემდე. ჩვენები გადათელეს და გარეკეს. ამ დროს თავგასულ თათრებს ტყის საფარიდან ზურგში დაარტყა მეორე დიმიტრიმ — მოსკოვის ვოევოდა დიმიტრი ვოლინელმა, დაარტყა და ნეპრიადვაში გადარეკა. ახლა კი გამხნევდნენ რუსები, წამოიჭრნენ და ეკვეთნენ თათრებს, ხანები და თვით მამაი ორმოცი ვერსის მანძილზე არბენინეს და მდინარე კრასივაია მეჩამდე მირეკეს (მაგრამ აქაც ლეგენდა ლეგენდას ცვლის; მეზობელი სოფლის — ივანოვკის მცხოვრები

მოხუცი ყველაფერს თავისებურად გვიამბობს: არ იქნა და არ გაიფანტა ნისლი; ამ ნისლში ახლომდებარე მუხნარი მამაის რუსის ჯარი ეგონა, შეეშინდა — „ქრისტიანთა ღმერთი რა ძლიერი ყოფილაო!" წამოიძახა და გაიქცა).

შეტაკების შემდეგ რუსებმა მოიარეს ბრძოლის ველი და რვა დღის განმავლობაში მარხავდნენ დახოცილებს.

— ერთი კი მაინც ვერ უპოვიათ და მიწის ზევით დარჩენიათ, — უსაყვედურა ძველებს ნოვომოსკოვსკელმა ხუმარა ზეინკალმა.

მივტრიალდით და ძალაუნებურად გადავიხარხარეთ. მართლაც, რას ვხედავთ! — ძეგლის მახლობლად დამხობილი გოლიათი გაშოტილა. წევს პირქვე მშობლიურ დედამიწაზე; მიწაზე უდევს მამაცი თავი, ვაჟკაცურად გაუჩაჩხავს ხელ-ფეხი, ოღონდ არც ფარი აქვს, არც ხმალი, ჩაჩქანის ნაცვლად გაცრეცილი კეპკა ახურავს, ხელთან ახლოს ტომარა უდევს. (მაინც ადვილი შესამჩნევი იყო, რომ პიჯაკის ის კალთა, რომელზეც გამოკერებული იყო კალიტა, სადაც შთაბეჭდილებათა წიგნი ინახებოდა, მუცელქვეშ კი არ მოექცია — განზე გაეწია და ბალახზე გაეფინა, რომ არ დაჭმუჭნულიყო). თუ იგი შეზარხოშებული არ იყო და ისე ეძინა ან ფიქრობდა, ამ გაშხლართულ კაცს დიდი მწუხარება ეტყობოდა, რაც ძალიან შეეფერებოდა კულიკოვოს ველს — თითქოსდა ჩამოსხმული თუჯის ფიგურა კი არ იდგა, არამედ ინვა ბრძოლის ველზე.

ეს კია, რომ ზახარი თუმცა მაღალი კი იყო, მაგრამ მისი ძალღონე გოლიათის შესაფერისი მაინცდამაინც ვერ იყო.

— აჰა, კოლმეურნეობაში მუშაობა არ ნებავს და აი, თანამდებობაც უშოვნია, მზეზე გაშავება მოუნდა! — ჩაიბურტყუნა მეორე ჭაბუკმა.

ჩვენ კი ყველაზე მეტად ის არ მოგვწონდა, რომ ზახარი ახალმოსულებს შეუტევდა ხოლმე. განსაკუთრებით იმათ, ვისი იერიც აფიქრებინებდა, ამან რამე არ მიხრიკოსო. იმ დღეს კიდევ ვილაცვილაცები მოვიდნენ. მოტორის ხმის გაგონებისას ზახარი წამოდგებოდა, მხრებს შეიბერტყავდა და მრისხანედ შეუტევდა მათ, თითქოს ძეგლის დაცვისთვის პასუხისმგებელი თვითონ კი არ იყო, არამედ ისინი. ზახარი ხომ მათზე ადრე და მათზე მეტად იყო აღშფოთებული

აქაურობის გაპარტახების გამო, ისე გაშმაგებული იყო, რომ ჩვენ გვიკვირდა, ამდენ ბრაზს რა გული იტევსო.

— აბა, რა გგონიათ თქვენ? — ხელების ქნევით მივარდა იგი „ზაპოროჟეცით" მოსულ ოთხეულს. — აი, ცოტას კიდევ მოვიცდი და რაიონის კულტურის განყოფილებას გადავაბიჯებ! — (მისი ფეხების პატრონს არც გაუჭირდებოდა ეს.) — ავიღებ შვებულებას და წავალ მოსკოვში, თვითონ ფურცევას ვნახავ! ვუამბობ ყველაფერს!

მაგრამ როგორც კი შეამჩნევდა, რომ მოსულები შეკრთნენ და მას არ ედავებიან, აიღებდა თავის ტომარას (ისე მედიდურად აიღებდა, როგორც უფროსი იღებს პორტფელს) და განზე გავიდოდა, რომ წამოწვეს, გააბოლოს.

აქეთ-იქით ხეტიალში იმ დღეს რამდენჯერმე შევხვდით ზახარს. შევამჩნიეთ, რომ სიარულისას ერთ ფეხს უფრო მეტად აწვებოდა. ვკითხეთ მიზეზი და ამაყად გვიპასუხა:

— ეს ფრონტის სახსოვარია!

არც ეს დავიჯერეთ.

ჩვენი მათარები დაიცალა და ზახარს მივადექით — წყალი სად ვიშოვოთო. წყალიო? მან გვითხრა, რომ წყალი არც ისე ადვილი საშოვარია, რადგან ჭა არ არის, მის ამოსათხრელად ფულს არ იძლევიან და მთელ ამ სახელგანთქმულ ველზე წყალს მხოლოდ გუბეში თუ დალევ. ჭა სოფელშია, რომელსაც კულიკოვკა ჰქვია.

უკვე გაგვიშინაურდა და ეს ისე გვითხრა, მიწიდან არ წამომდგარა.

ჩვენ საყვედური გამოვთქვით წარწერების გამო — ზოგი ამოჭრილია, ზოგი — ამოკაწრული, ზოგიც ნახშირითაა მიჩხაპნული. ზახარმა ასე აიცდინა ჩვენი საყვედური:

— დახედეთ კი, რომელი წლის წარწერებია? ერთს თუ იპოვით ახალს, მაშინ დამდეთ ბრალი. ყველა ჩემამდელი ნაჩხაპნია, ჩემს დროს კი აბა, მოსინჯონ! შესაძლებელია, ვინმე არამზადა ტაძარში შეიმალა და იქ წააწერა რამე, რა ვქნა მე, ათი ფეხი ხომ არა მაქვს!

ტაძარი სერგი რადონეჟელის სახელობისაა. მამა სერგიმ საბრძოლველად დარაზმა რუსის ჯარი, ბრძოლის შემდეგ კი მალე ერთმანეთთან დააძმობილა დიმიტრი დონელი და ოლეგ რიაზანელი.

იგი აგებულია, როგორც საიმედო სიმაგრე; შედგება ორი ნაწილისაგან, რომლებიც მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან: თვით ტაძარი და მასთან მიერთებული კოშკებიანი და სათოფურებიანი შენობა.

შიგნით ყველაფერი გავერანებულია, იატაკიც კი არ არის, ქვიშაზე დადიხარ. ამის თაობაზე ზახარს ვკითხეთ.

— ჰოო!.. დაიტაცეს ყველაფერი! — ნიშნის მოგებით გვითხრა მან. — ჯერ კიდევ ომის დროს სოფელ კულიკოვკას მცხოვრებლებმა იატაკის ყველა ფილა აჰყარეს, ქვაფენილი დაიგეს ეზოებში, ფეხი რომ არ დაესვაროთ. ჩაწერილიც მაქვს, ვის რამდენი ფილა აქვს აქედან წაღებული... აქ ფრონტის ხაზიც იყო და იმათაც მოითბეს ხელი. უფრო ადრე კანკელის ფიცრები გაზიდეს და მინურები მოაწყვეს ან შეშად გამოიყენეს.

ზახარი თანდათან შეგვეჩვია და აღარ ერიდებოდა ჩვენი. ჩვენს თვალწინ ხან რაღაცას ჩადებდა თავის ტომარაში, ხან რაღაცას ამოიღებდა იქიდან. ნელ-ნელა მივხვდით, რა უნდა ყოფილიყო ტომარაში. არავითარი სასმელი მასში არ იყო. ტომრით ის დაატარებდა ბუჩქებში აკრეფილ ბოთლებს (თორმეტი კაპიკი) და მინის ქილებს (შაური), რომლებსაც მომსვლელები ტოვებდნენ ნასაუზმევს. ტომარაშივე ედო წყლიანი ბოცა, რადგანაც სხვა სარწყულებელი არაფერი ჰქონდა მთელი დღის განმავლობაში. ორი ჭვავის პურიც დაჰქონდა, დროდადრო მოტეხავდა და ღეჭავდა:

— მთელ დღეს ხალხი ირევა აქ, ვერ ვიცლი იმისთვის, რომ სოფელში წავიდე და ვისადილო.

შესაძლებელია, ზოგჯერ ტომარაში სანუკვარი ორასორმოცდაათგრამიანი ბოთლი ან ერთი კოლოფი თევზის კონსერვიც ედო, რის გამოც ეშინოდა მისი სადმე დატოვება და თან დაათრევდა. იმ დღეს, მზე რომ გადახრაზე იყო, ერთმა ძმაკაცმა მოაკითხა მოტოციკლით; საათნახევარს ბუჩქებში ისხდნენ; ძმაკაცი წავიდა და ზახარი უკვე უტომროდ მოვიდა; ლაპარაკობდა ადრინდელზე ხმამაღლა და ფართოდ შლიდა ხელებს. როცა შეამჩნია, რაღაცას ვიწერ, გამაფრთხილა:

— არა, ძეგლს მზრუნველობა არ აკლია! ორმოცდაჩვიდმეტში დაადგინეს, რომ აქ კონსტრუქცია შეექმნათ. აი, ხედავთ, ბოძკინტე-

ბი რომ არის ჩასობილი ძეგლის ირგვლივ? მაშინდელია ეს. ტულაში ჩამოასხეს ისინი. ამ ბოძკინტებს შორის ჯაჭვები უნდა გაბმულიყო, მაგრამ ჯაჭვი ვერ მოიტანეს. და აი, მე დამაყენეს — მოუარეო. ვუვლი, მე რომ არ ვიყო, ნაცარტუტად იქცეოდა აქაურობა!

— ზახარ დიმიტრიჩ, ხელფასს რამდენს გაძლევენ?

— ოცდაშვიდ მანეთს.

— ეს როგორ შეიძლება? მინიმალური ხომ ოცდაათია.

— ასე კია და... მე ყოველდღე ვმუშაობ თანაც, დასვენების დღე არ ვიცი; შეუსვენებლად დილიდან საღამომდე. ღამითაც აქა ვარ.

არა, ზახარი აშკარად ცრუობდა.

— კი მაგრამ, ღამით რისთვის ხართ აქ?

— აბა, ისე როგორ შეიძლება? — იუკადრისა მან. — განა ღამით აქაურობის მიტოვება შეიძლება?! სწორედ ღამით არის საჭირო თვალყურის დევნება. თუ მანქანით მოვა ვინმე, ნომერი უნდა ჩავიწერო.

— ნომერი რის მაქნისია?

— თოფს მე არ მაძლევენ და! შიშობენ — მომსვლელებს ესვრისო. სხვა რა შემიძლია — ნომერი უნდა ჩავიწერო.

— მერე ვის გადასცემ ამ ნომერს?

— არავის, ჩემთან რჩება... ახლა სახლი ააშენეს ჩამოსულთათვის, ნახეთ? იმასაც დაცვა უნდა.

რაღა თქმა უნდა, ჩვენ ის სახლი ვნახეთ, — რამდენიმეოთახიანი ერთსართულიანი სახლი, რომელიც მთლად დამთავრებული არ იყო, ბოქლომი კი ედო. მინები უკვე ჩაესვათ, მაგრამ რამდენიმეს ჩამტვრევაც მოესწროთ. იატაკი დაგებული იყო, შელესვა — დაუმთავრებელი.

— იქ ღამის გასათევად შეგვიშვებთ? (მზის ჩასვლისას აგრილდა, ეტყობოდა, ღამით სიცივე იქნებოდა).

— მომსვლელთა სახლში? არავითარ შემთხვევაში!

— კი მაგრამ, ვისთვის არის ის?

— ვერ შეგიშვებთ! გასაღებიც არ მაქვს, ტყუილად ნუ მთხოვთ. აი, ჩემს ფარდულში შეგიძლიათ შეხვიდეთ.

ეს გადაფერდებული ფარდული ექვს ცხვარს თუ დაიტევდა. თავი დავხარეთ და შიგნით შევიხედეთ. ძირს ეფინა დატკეპნილი თივა,

იდგა კარდალა, რომელშიც რაღაც საჭმელი იყო ჩარჩენილი, იქვე იყო რამდენიმე ცარიელი ბოთლი და მთლად გამხმარი პურის ნაჭერი. ჩვენი ველოსიპედები მოთავსდებოდა იქ, ჩვენც დავწვებოდით და მასპინძელიც.

მაგრამ იგი არც ისეთი ბრიყვი იყო, რომ აქ დარჩენილიყო:

— ნავალ ჩემს კულიკოვკაში და ვივახშმებ, ცხელს შევჭამ რამეს. თქვენ კარი გადარაზეთ.

— თქვენ კი დააკაკუნეთ, როცა მოხვალთ, — გაგვეცინა ჩვენ.

— კარგი და კეთილი.

ზახარ-კალიტამ გადაიწია თავისი უცნაური პიჯაკის კალთა (არა ის, რომელშიც შთაბეჭდილებათა წიგნი იდო) და გამოჩნდა მასზე მიკერებული ორი მარყუჟი. შემდეგ იმ ნატვრის ტომრიდან ამოიღო მოკლეტარიანი პატარა ნაჯახი და იმ მარყუჟებში ჩაჩხირა.

-- აი, — ნაღვლიანად თქვა მან, — ეს არის ყველაფერი. მეტის ნებას არ იძლევიან.

ეს ისეთი ჭეშმარიტი განწირულობით თქვა მან, თითქოს მოსალოდნელი იყო, რომ ამაღამ ბუსურმანების ურდო ცხენდაცხენ მოვარდება ძეგლის გასანადგურებლად, ზახარს მარტოკას მოუწევს მათთან შებრძოლება ამ პატარა ნაჯახის ამარა. ისე თქვა, რომ შევკრთით ამ ბინდბუნდში: იქნებ, ეს კაცი სულაც არ არის ცუღლუტი? იქნებ, მართლა სჯერა, რომ თუ ღამით ის არ დაიცავს, კულიკოვოს ველი განადგურდება?

სასმელის, ხმაურისა და ამდენი სიარულის შედეგად ზახარი დაძაბუნებულიყო. იგი მხრებში მოიხარა, ფეხს აუჩქარა და ოდნავ კოჭლობით თავისი სოფლისკენ გაუტია. აკი თქვა, ღამით აქაურობის მიტოვება არ შეიძლებაო! ჩვენ კიდევ ერთხელ გავაქილიკეთ იგი.

აგვიხდა სურვილი — კულიკოვოს ველზე მარტონი დავრჩით. დაღამდა, სავსე მთვარე თავს დაგვნათოდა. მის შუქზე კიდევ უფრო გამოიკვეთა კოშკისა და ტაძრის გრძელი ჩრდილები. მთვარის სინათლემ დაჯაბნა ის სუსტი სინათლეები, შორს რომ ბჟუტავდა კულიკოვკასა და ივანოვკაში. ერთ თვითმფრინავსაც არ გადაუფრენია, არც ავტომობილის მოტორის ხმა ისმოდა, არც მატარებლის დაგადუგი გაგვიგონია. მთვარის შუქზე ახლომდებარე ნათესების მიჯნებიც არ

ჩანდა. ეს მიწა, ეს ბალახი, ეს მთვარე და ეს მიყრუებული ადგილი იგივე იყო, რაც 1380 წელს. ნაკრძალში საუკუნე გაქვავებულიყო; კულიკოვოს ველზე ღამით ხეტიალისას ადვილად წარმოიდგენდით ყველაფერს: კოცონებსაც, ცხენის ჯოგებსაც, ნეპრიადვას მხარეს ბლოკისეული გედების ხმასაც კი გაიგონებდით.

კულიკოვოს ბრძოლა უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც ერთი მთლიანი მოვლენა, ყური არ უნდა დავუგდოთ მემატიანეთა ჭრიალა შენიშვნებს. ეს არც უცბად მომხდარა და არც იოლად ჩაუვლია, ისტორია მეორდებოდა, მას მარყუჟები მოჰქონდა და გვახრჩობდა. იმ ძვირადღირებული გამარჯვების შემდეგ რუსეთის მხედრობა შემცირდა; მამაი მაშინვე შეცვალა თოხთამიშმა, რომელმაც კულიკოვოს შემდეგ უკვე ორ წელიწადში შემოუტია მოსკოვს; დიმიტრი დონელი კოსტრომაში გაიქცა, თოხთამიშმა კვლავ დაარბია რიაზანიც და მოსკოვიც, ცბიერებით აიღო კრემლი, ძარცვავდა, წვავდა, თავებს აჭრიდა ხალხს, თოკშებმული ტყვეები კი ურდოსაკენ გაირეკა.

ღამით ძალიან აცივდა; ჩავიკეტეთ თუ არა ფარდულში, ღრმად ჩაგვეძინა. ნასვლას ადრიანად ვაპირებდით; ოდნავ ინათა თუ არა, ველოსიპედები გამოვაგორეთ და დავტვირთეთ. სიცივე კბილს კბილზე გვაცემინებდა.

ბალახს თრთვილი დასდებოდა, კულიკოვკას მხრიდან ნისლი მოიზლაზნებოდა ზვინებით მოფენილ ველზე.

ის იყო, ფარდულს ოდნავ გავშორდით, რომ ველოსიპედზე შევმჯდარიყავით წასასვლელად, ერთერთი ზვინიდან ბრაზიანი ხმამაღალი ყეფა მოგვესმა და ჩვენკენ გამოქანდა დრუნჩბანჯგვლიანი ბებერი ძაღლი. იმავე დროს ზვინიც დაიშალა, იქიდან წამოდგა ვიღაც აყლაყუდა, რომელიც ძაღლის ყეფას გაელვიძებინა. მან შეუძახა ძაღლს და ნამჯა ჩამოიბერტყა. უკვე საკმარისი სინათლე იყო იმისათვის, რომ გვეცნო ჩვენი ზახარ-კალიტა, რომელსაც დამატებით ჩაეცვა რაღაც მოკლესახელოებიანი პალტო.

ზახარს ზვინში გაეთია ეს სუსხიანი ღამე! რისთვის? რა საწუხარმა ან სიყვარულმა აიძულა იგი?

ერთბაშად გაქრა ჩვენი გუშინდელი დამცინავი თუ შემწყნარებლური დამოკიდებულება ზახარისადმი, გაქარწყლდა ჩვენი გუშინდელი ნაფიქრალი. ამ სუსხიან დილით ზვინიდან გამომძვრალი ეს კაცი უკვე ზედამხედველი კი არ იყო, არამედ იგი გახლდათ კულიკოვოს ველის მფარველი სული, რომელიც უფრთხილდება აქაურობას, უვლის და არასდროს მიატოვებს მას.

იგი ჩვენკენ წამოვიდა, თან ტანიდან ნამჯას იბერტყავდა და ხელებს იფშვნეტდა. ჩამოწეული კეპკის ქვეშ ისე გამოიყურებოდა, რომ ჩვენს ძველ კეთილ მეგობრად ჩავთვალეთ იგი.

— ზახარ დიმიტრიჩ, რატომ არ დაგვიკაკუნეთ?

— არ მინდოდა შემეწუხებინეთ, — შეარხია გათოშილი მხრები და დაამთქნარა. ნამჯის ნაფხვენი კვლავ ბლომად ეყარა ტანსაცმელზე. მან გაიხსნა პიჯაკი, რომ მტვერი ჩამოიბერტყოს, და დავინახეთ — თავ-თავის ადგილას იყო შთაბეჭდილებათა ნიგნიც და პაწაწინა ნაჯახიც, მისი ერთადერთი ნებადართული იარაღი.

ბებერი ქოფაკიც აქვე იყო და კბილებს კრეჭდა.

გულთბილად დავემშვიდობეთ ზახარს და უკვე პედლებს ვატრიალებდით; იგი კი იდგა, გრძელი ხელი მაღლა აეშვირა და ჩვენს დასამშვიდებლად ყვიროდა:

— არაააა! არაააა, არ მოვეშვები ამ საქმეს, არამცდაარამც! ფურცევამდე ვივლი, ფურცევამდე!

1965

შემთხვევა კოჩეტოვკის სადგურში

— ალო, დისპეტჩერი ხართ?

— არის.

— ვინ ლაპარაკობს? დიაჩიხინი?

— არის.

— არის კი არა, იმას გეკითხებით — დიაჩიხინი ხართ?

— გადარეკე ცისტერნები მეშვიდიდან მესამეზე, გადარეკე! ჰო, დიაჩიხინი ვარ.

— გელაპარაკებათ სამხედრო კომენდანტის მორიგე თანაშემწე ლეიტენანტი ზოტოვი! რას აკეთებთ მანდ? რატომ აქამდე არ გაგიშვიათ ლიპეცკში ეშელონი ნომერ ექვსას სამოცდა... ვალია, რომელი?

— მეთვრამეტე.

— ჰო, ექვსას სამოცდამეთვრამეტე!

— გამწევი არა გვაქვს.

— ეს რას ნიშნავს — გამწევი არა გვაქვს?

— იმას ნიშნავს, რომ ორთქლმავალი არა გვაქვს.

— სამანევრო ხომ გაქვთ ორი?

— ამხანაგო ლეიტენანტო! სამანევრო ორი კი არა, სამი გვაქვს.

— ჰო, აგერ გვერდით მიდგას იმ ეშელონის ბადრაგის უფროსი, მან შემისწორა — სამი გაქვთ. მოგვეცით ერთი!

— იმათი მოცემა არ შემიძლია.

— რას ნიშნავს — არ შემიძლია? გესმით, რა მნიშვნელოვანია ეს ტვირთი? მისი დაყოვნება წუთითაც არ შეიძლება, თქვენ კი... თქვენ თითქმის ნახევარი დღეღამის განმავლობაში აჩერებთ მას.

— არა, ნახევარი დღეღამე ჯერ არ გასულა.

— ეს რა ამბავია, საბავშვო ბაგა გაქვთ მანდ თუ სადისპეტჩერო? რა აჭყივლებს მაგ ბავშვებს?

— ჰო, აქ მოიყარეს თავი, ავსებულია აქაურობა. ამხანაგებო, რამდენჯერ უნდა გითხრათ? დაცალეთ ოთახი! ვერავის ვერ გავამგზავრებ. ის კი არა, სამხედრო ტვირთიც ვერ გაგვიგზავნია.

— ამ ეშელონით დაკონსერვებული სისხლი მიაქვთ ჰოსპიტლისათვის! გაიგე?

— ყველაფერი გავიგე.

— მომისმინე კარგად! თუ ნახევარ საათში ეშელონს არ გაუშვებ, ზემოთ მოვახსენებ! ეს სახუმრო საქმე არ არის! პასუხს აგებთ ამისთვის!

— ვასილ ვასილიჩ! მომეცით ყურმილი, მე თვითონ...

— ელაპარაკეთ სამხედრო დისპეტჩერს!

— ნიკოლაი პეტროვიჩ, თქვენა ხართ? პოდშებიაკინა გელაპარაკებათ. როგორაა საქმე დეპოში?

— აი, ამხანაგო სერჟანტო, წადით საბადრაგო ვაგონში და თუ ორმოც წუთში... სულ ბევრი, თუ შვიდის ნახევრამდე არ გაგიშვებენ, მოდით და მომახსენეთ.

— არის, მოვიდე და მოგახსენოთ! შეიძლება წავიდე?

— წადით.

ბადრაგის უფროსი უცბად შეტრიალდა, ქუდთან მიტანილი ხელი დაუშვა და გავიდა.

ლეიტენანტმა ზოტოვმა გაისწორა სათვალე, რომელიც მკაცრ გამომეტყველებას აძლევდა მის არცთუ მკაცრ სახეს. მან შეხედა სამხედრო დისპეტჩერ პოდშებიაკინას — რკინიგზელის ფორმაში გამოწყობილ ქალიშვილს, რომელსაც ძველებური ყურმილი ეჭირა და ძველებური ტელეფონით ლაპარაკობდა. ქალიშვილმა დაამთავრა ლაპარაკი და ზოტოვი მისი პატარა ოთახიდან თავის ისეთსავე პატარა ოთახში გავიდა (ეს ბოლო ოთახი იყო).

რკინიგზის კომენდატურის ოთახი კუთხისა იყო, პირველ სართულზე, ზემოთ კი, სწორედ ამ კუთხის თავზე გაყვანილი იყო წყალსადენი მილი. მილი დაზიანებული იყო და იქიდან წყალი ჩამოდიოდა. ოქტომბრის სუსხიან დღეებში მთელ სადგურს დილიდანვე თრთვილი ედო, უკანასკნელ დღეებში ჰაერი დანესტიანდა, გუშინდელს აქეთ კი ცივი წვიმა ასხამდა შეუჩერებლად; ამდენი წყალი საიდან მოგროვდა ცაშიო, — იფიქრებდა გაოცებული კაცი.

მაგრამ ეს კია, რომ წვიმამ წესრიგი დაამყარა: უთავბოლოდ აღარ გროვდებოდა ხალხი, ბაქნებსა და ლიანდაგებზე აღარ ირეოდნენ

სამოქალაქო პირები, რომელნიც სახეს უცვლიან სადგურს, ხელს უშლიან მუშაობაში. ყველამ სადღაც შეაფარა თავი, აღარავინ დაძვრებოდა ვაგონის ქვეშ, ვაგონის კიბეებზე, ადგილობრივი მცხოვრებნი არ დაათრევდნენ მოხარშული კარტოფილით სავსე ვედროებს, საბარგო მატარებლის მგზავრები არ დაეხეტებოდნენ ვაგონებს შორის ძველი და ნახმარი თეთრეულის, ტანსაცმლის, შინნაქსოვი ნივთების გასაყიდად. (ეს ძველმანების ბაზარი ძალიან აშფოთებდა ზოტოვს: ვერც ნებას დართავდა და ვერც აკრძალავდა მას — ევაკუირებულებს საკვები პროდუქტები არ ეძლეოდათ).

მხოლოდ სამსახურის ხალხი ვერ შერეკა წვიმამ თავშესაფარში. ფანჯრიდან ჩანდა გალუმპული გუშაგი, რომელიც ბაქანზე იდგა ტვირთთან, იდგა და არც კი ცდილობდა, წვიმის წვეთები ჩამოებერტყა. მესამე ლიანდაგზე სამანევრო ორთქლმავალი ცისტერნებს მიათრევდა, მეისრე, რომელსაც კაპიშონიანი ბრეზენტის ლაბადა ეცვა, ალამს უქნევდა მას. კიდევ იქით მოჩანდა ჩია ტანის ვაგონების ოსტატი, რომელიც მეორე ლიანდაგის გასწვრივ მიდიოდა და ქვეშ უძვრებოდა ყოველ ვაგონს.

წვიმა კვლავ ასხამდა. გამუდმებით უბერავდა ცივი ქარი, წვიმა უშხაპუნებდა საბარგო ვაგონების სახურავსა და კედლებს, ორთქლმავლებს; ესხმებოდა ოთხ სადივიზიო ზარბაზანს, რომლებიც ღია ცისქვეშ იდგა. პირველი ბაქნის ასფალტი მთლიანად დაფარული იყო აქაფებული წყლით, წვეთები ბრწყინავდა რელსებზე ბინდბუნდშიც კი. ლიანდაგზე გუბეები იდგა.

ხმაური არ ისმოდა; მხოლოდ მინის ჩუმ ხრაშუნს და მეისრის საყვირის წრიპინს თუ მოჰკრავდით ყურს — ორთქლმავლების საყვირის ხმა ომის პირველ დღეებშივე აიკრძალა.

მხოლოდ წვიმა ჩხრიალებდა დაცხავებულ სანვიმარ მილში.

მეორე ფანჯრის მიღმა, პაკჰაუზის ღობის ახლოს, მუხა იდგა. მას აქამდე შემორჩენოდა გახუნებული ფოთლები, რომელთაგან უკანასკნელი დღეს დასცვივდა.

მაგრამ ახლა დგომის და მიდამოს თვალიერების დრო აღარ დარჩა. საჭირო იყო, ფანჯრებზე შემნიღბავი ქაღალდის ფარდები ჩამოე-

ფარებია, სინათლე აენთო და სამუშაოს მისჯდომოდა. საღამოს ცხრა საათამდე, სანამ შეცვლიდნენ, კიდევ ბევრი რამ უნდა მოესწრო.

მაგრამ ზოტოვმა ფარდები არ ჩამოუშვა, მოიხადა მეთაურის მწვანეძირიანი ქუდი, რომელიც მორიგეობისას ოთახშიც კი ყოველთვის ეხურა, მოიხსნა სათვალე და ნელნელა მოიფშვნიტა ტრანსპორტის დაშიფრული ნომრების უწყისიდან უწყისში გადაწერით დაღლილი თვალები. არა, დაღლილობა კი არა, სევდა დაეუფლა მას ამ ადრიანად ჩამობნელებულ დღეს. კბილები გააკრაჭუნა ზოტოვმა.

მისი დარდის მიზეზი არ ყოფილა არც ორსული ცოლი, რომელიც ჩარჩა სადღაც შორს, გერმანელთაგან დაპყრობილ ბელორუსიაში, არც დაკარგული წარსული, რადგან წარსული ჯერ არ დასდგომოდა მას; არც დაკარგულ ქონებას ნაღვლობდა ზოტოვი იმის გამო, რომ არ ჰქონია იგი და არც არასდროს მოინადინებდა მის შეძენას.

იგი იტანჯებოდა და უნდოდა ებღავლა, რის მიზეზიც იყო ყოვლად გაუგებარი მიმდინარეობა ომისა. საინფორმაციო ბიუროს ცნობების მიხედვით ვერ გაარკვევდით, სად იყო ფრონტის ხაზი, საკამათო იყო, თუ ვის ხელშია ხარკოვი ან კალუგა. რკინიგზელებმა კი კარგად იცოდნენ, რომ უზლოვაიას იქით ტულისაკენ მატარებლებს არ უშვებენ, ელეცის გავლით კი მხოლოდ ვერხოვიემდე შეიძლება მისვლა. ხან აქ, ხან იქ რიაზან-ვორონეჟის ხაზისკენაც გამოიჭრნენ ბომბდამშენები და რამდენიმე ბომბი ჩამოაგდეს; კოჩეტოვკასაც უწიეს. ათი დღის წინათ საიდანღაც გამოტყვრა ორი დამთხვეული გერმანელი მოტოციკლისტი, შემოიჭრნენ კოჩეტოვკაში და გზადაზგა ისროდნენ ავტომატიდან. ერთი მოკლეს, მეორე გაიქცა, სროლის ხმაზე კი სადგურში ერთი ალიაქოთი ატყდა. ხალხი აფორიაქდა. სპეცდანიშნულების რაზმის მეთაურმა ისღა მოახერხა, რომ ტოლით წყალსატუმბი ააფეთქა (სამ დღეს არემონტებდნენ ამის შემდეგ).

მაგრამ საქმე კოჩეტოვკა არ არის, საქმე ის არის, რატომ ასე მიმდინარეობს ომი? კარგი, ჩვენ არ შევჭრილვართ ევროპაში და რევოლუცია არ მოგვიხდენია იქ, მაგრამ ახლა აქეთ რომ შემოგვიტიეს? როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე? სამსახურში იყო თუ შინ, სულ ამაზე ფიქრობდა ზოტოვი: როდემდე? როცა სამსახურში არ იყო და შინ ეძინა, მაინც დილის ექვს საათზე დგებოდა რადიოს

ხბაზე იმ იმედით, რომ დღეს მაინც მოვისმენ გამარჯვების მაუწყებელ ცნობასო. მაგრამ შავი მილძაბრა უიმედოდ იუწყებოდა ვიაზმისა და ვოლოკოლამსკის ამბებს; ეჭვის მარწუხი უჭერდა გულს: მოსკოვსაც ხომ არ ჩააბარებენ? მაგრამ ხომ ვერ იტყოდა ამას (თქმა საშიში იყო), გულში გაფიქრებისაც ეშინოდა.

მაგრამ ეს ავბედითი კითხვაც არ იყო უკანასკნელი. მოსკოვის ჩაბარება ჯერ კიდევ არ იყო მთელი უბედურება. ნაპოლეონსაც ჩააბარეს მოსკოვი. ზოტოვს გულს უღრღნიდა სხვა კითხვები: რა იქნება შემდეგ? ურალამდე რომ მივიდნენ?..

ვასია ზოტოვს დამნაშავედ მიაჩნდა თავი, თუ ასეთი თავზარდამცემი აზრები გაურბენდა თავში. ეს იყო ძაგება, ეს იყო შეურაცხყოფა ყოვლისშემძლე, ყოვლისმცოდნე მამის და მასწავლებლისა, რომელიც ყოველთვის თავის ადგილზეა, ყველაფერს წინასწარ ჭვრეტს, ყველა ზომას მიიღებს და არ დაუშვებს, რომ...

მაგრამ შუა ოქტომბერში მოსკოვში ნამყოფი რკინიგზელები ჰყვებოდნენ რაღაც საოცარ ამბებს: ქარხნების დირექტორები გარბიანო, სადღაც რომელიღაც სალაროები და მაღაზიები დაარბიესო. ისმენდა ამას ლეიტენანტი ზოტოვი და გამოუთქმელი ტანჯვით გული ენურებოდა.

ამ ცოტა ხნის წინათ, აქეთ რომ მოდიოდა, ორ დღეს მეთაურთა რეზერვში იმყოფებოდა. იქ თვითმოქმედების საღამო გაიმართა. გამოვიდა ერთი გამხდარი ფერმკრთალი ლეიტენანტი და წაიკითხა თავისი ლექსები, რომლებიც არავის შეუმონმებია და გულღიად იყო ნათქვამი. ვასიას თავიდან არც ეგონა, რომ დაიმახსოვრა, მაგრამ შენდეგ მოაგონდა ცალკეული სტრიქონები. ლექსში ნათქვამი იყო, რომ ჩვენი სოფლები იწვის, ქალაქები კვამლშია გახვეული და გვანვალებს ერთი ფიქრი: როდის შევაჩერებთ მტრის შემოტევას? ვგონებ, ასეთი რამეც იყო ნათქვამი: თუ ამ დღეებში ლენინის საქმე დამარცხდება, რისთვისღა უნდა ვიცოცხლო მე?

არც ზოტოვს უნდოდა თავის გადარჩენა იმ დღიდან, ომი რომ დაიწყო. თავისი სიცოცხლის აზრს იგი ხედავდა იმაში, თუ რამდენად დაეხმარებოდა რევოლუციას. იგი ძალიან იხვეწებოდა — ცეცხლის

პირველ ხაზზე გამიშვითო, რკინიზნის ხაზის კომენდატურაში კი ამოჰყო თავი.

აზრი არ ჰქონდა — ეცოცხლა საკუთარი თავისთვის. ეცოცხლა ცოლისთვის და მომავალი ბავშვისთვის — არც ეს იყო აუცილებელი. მაგრამ თუ გერმანელები ბაიკალამდე მივიდოდნენ და ზოტოვი რაღაც სასწაულით ცოცხალი იქნებოდა, იგი კიახტას გავლით ფეხით ჩავიდოდა ჩინეთში ან ინდოეთში, ან ოკეანის გაღმა გავიდოდა, მაგრამ მხოლოდ იმიტომ წავიდოდა, რომ იქ რომელიღაც მოღონიერებულ სამხედრო ნაწილებს შეერთებოდა და შემდეგ სსრ კავშირსა და ევროპაში დაბრუნებულიყო იარაღით ხელში.

გარეთ თავსხმა იყო, ქარი ეხლებოდა ფანჯრებს, ზოტოვი კი იდგა ბინდბუნდში და იმ ლეიტენანტის ლექსს იმეორებდა.

რაც უფრო ბნელდებოდა, მით უფრო ვარვარებდა ღუმლის გაცხელებული კარი; ყვითელი გაფანტული სხივთკონა აშუქებდა მეზობელი ოთახიდან, სადაც სინათლეში იჯდა გზათა სახალხო კომისარიატის მორიგე სამხედრო დისპეტჩერი ქალი.

თუმცა ეს ქალი არ ექვემდებარებოდა სამხედრო კომენდანტის მორიგე თანაშემწეს, მაგრამ არც უმისობა შეეძლო, რადგან წესით თვითონ არ უნდა სცოდნოდა, რა ტვირთი იგზავნებოდა და რა მიზნით. მან მხოლოდ ვაგონების ნომრები იცოდა. ამ ნომრებს აწვდიდა დეიდა ფროსია, რომელიც სწორედ ახლა შემოვიდა ფეხების ბაკუნით.

— აჰ, რა თავსხმა წვიმაა! — ჩიოდა ის. — აჰ, რა კოკისპირულია! თუმცა ცოტათი კი იკლო.

— შვიდას სამოცდა მეხუთე გადასაწერია, დეიდა ფროსია, — უთხრა ვალია პოდშებიაკინამ.

— კეთილი, გადავწერ. მოდი, ჯერ ფანარს გავმართავ.

კარი თხელი იყო და არც მჭიდროდ მიეხურათ, ზოტოვს ესმოდა მათი ხმა.

— კიდევ კარგია, რომ ნახშირის შოვნა მოვახერხე, — ამბობდა დეიდა ფროსია. — ახლა აღარაფრის მეშინია, მარტო კარტოფილითაც გამოვკვებავ ბავშვებს. დაშკა მელენტიევას კი ჯერ არც ამოუთხრია. მიდი ახლა და ურიე ხელი ტალახში!

— ეგა თქვი და! ისე აცივდა, ყინვაც მოუჭერს, ალბათ.

— ადრეული ზამთარი იქნება. ოჰ, ეს წყეული ომი და თანაც ადრეული ზამთარი... კარტოფილი ბევრი ამოთხარეთ?

ზოტოვმა ამოიხვნეშა და ფანჯრების შენიღბვას შეუდგა: ჩამოუშვა ფარდები, ჩარჩოს მჭიდროდ მიაბჯინა, რომ ერთი ჭუჭრუტანაც არ დარჩენილიყო სადმე.

ერთი რამ ვერ გაეგო, რაც სწყინდა მას და მარტოობასაც მწვავედ აგრძნობინებდა. მის ირგვლივ მყოფი ეს მუშა ხალხი თითქოს ისევე ნაღვლიანად ისმენდა ცნობებს და უსიტყვო ტკივილით შორდებოდნენ რეპროდუქტორებს, როგორც თვითონ. მაგრამ ზოტოვმა შეამჩნია განსხვავებაც: იმ ხალხს ფრონტის ცნობების გარდა სხვა ინტერესებიც ჰქონდა — თხრიდნენ კარტოფილს, ძროხებს წველიდნენ, შეშას ხერხავდნენ, საგოზავს უსვამდნენ მინებს. ამ საქმეებს ისინი გაცილებით უფრო მეტ დროს ანდომებდნენ, ვიდრე ფრონტის ამბებზე ლაპარაკს.

აი, ეს ბრიყვი დედაკაცი აიღეთ! მოიტანა ნახშირი და „ახლა აღარაფრის ეშინია". გუდერიანის ტანკებისაც არ ეშინია?

პაკჰაუზთან მდგომ ხეს ქარი არხევდა და იმ მხარის ფანჯრის ერთ მინას ოდნავ ანკარუნებდა.

ზოტოვმა ბოლო ფარდაც ჩამოუშვა და სინათლე ჩართო. თბილ, სუფთად დაგვილ, თუმცა ცარიელ ოთახში ერთბაშად დაისადგურა მყუდროებამ; თითქოს იმედი გაუჩნდა კაცს და ყველაფერზე უფრო ხალისიანად ფიქრობდა.

პირდაპირ ნათურის ქვემოთ, ოთახის შუაგულში, მორიგის მაგიდა იდგა, მის უკან ღუმელთან — სეიფი, ფანჯარასთან — ძველებური საზურგიანი მუხის დივანი, რომელზეც სამი კაცი ეტეოდა. ამ დივანზე ღამით წამოწოლაც შეიძლებოდა, მაგრამ მუშაობისას ეს იშვიათად მოხდებოდა ხოლმე. იქვე იდგა ორი უხეში სკამიც. ფანჯრებს შორის ეკიდა რკინიგზელის მუნდირში გამოწყობილი კაგანოვიჩის ფერადი პორტრეტი. წინათ გზების მაჩვენებელი რუკაც ეკიდა, მაგრამ სადგურის კომენდანტმა კაპიტანმა ჩამოახსნევინა იგი, აქაოდა, ოთახში ათასი ვინმე შემოდის და მათ შორის მტერი რომ გამოერიოს, ამ რუკას მიაშტერდება და შეიტყობს, რომელი გზა საით მიემართებაო.

— წინდები ვიშოვე, წყვილი აბრეშუმის წინდა კარტოფილის ხუთ კვერზე გადავცვალე, — იკვეხნიდა ფროსია დეიდა მეზობელ ოთახში. ვინ იცის, შეიძლება ომის დამთავრებამდე წინდები ვერსად იშოვოს კაცმა. დედაშენს უთხარი, დროს ნუ დაკარგავს, დაამზადოს რამე კარტოფილისგან და თბილანებს მიაკითხოს — ხელიდან გტაცებენ პირდაპირ. გრუნკა მოსტრიუკოვამ რაღაც საოცარ პერანგზე გაცვალა — ქალის ღამის პერანგია, თანაც ისეთ ადგილებშია ჩაჭრილი... სიცილით მოკვდები მისი ნახვისას! გრუნკას ქოხში თავი მოიყარეს ქალებმა, უყურებდნენ, როგორ იზომებდა პერანგს და სიცილით იხოცებოდნენ. მათთან საპნის შოვნაც შეიძლება იაფად. საპონი ახლა დეფექტური პროდუქტია, ვერსად იყიდი. უთხარი დედაშენს, დროს ნუ დაკარგავს!

— რა ვიცი აბა, დეიდა ფროსია...

— რაო, წინდები არ გჭირდება?

— წინდები ძალიანაც მჭირდება, მაგრამ საჩოთიროა როგორღაც... ევაკუირებულებისაგან...

— სწორედ იმათგან უნდა ავიღოთ! ქსოვილები მოაქვთ, კასტუმები მოაქვთ, საპონი მოაქვთ, გეგონება, ბაზრობაზე მიდიანო. ისეთებიც არიან, რომ მოხარშული ქათმის გარდა არაფერს კადრულობენ. ხალხმა ნახა, რომ ზოგიერთს ასიანებიც აქვს დასტებად შეკრული, მთელი ჩემოდანი სავსეა ამ დასტებით. ბანკი გაძარცვეს თუ რა? ოღონდ ჩვენ ფული არ გვინდა, სადაც უნდათ, იქ წაიღონ.

— აი, შენი მდგმურები ხომ..

— ესენი სულ სხვა ხალხია, შედარებაც არ შეიძლება იმათთან. ესენი კიევიდან გამოიქცნენ ტანფეხშიშველი, იმის ამარა, რაც ზედ ეცვათ. საოცარია, როგორ მოაღწიეს ჩვენამდე. პოლინკა ფოსტაში მოეწყო, მაგრამ რას უშველის ერთი ბეწო ხელფასი? წავიყვანე ქალი სარდაფში, გავუღე კარი და ვეუბნები: აი, კარტოფილი, აი, მჟავე კომბოსტო, გამოიყენე, არც ოთახის ქირას მოგთხოვთ. ვალიუშა, ღარიბები ყოველთვის მებრალება, მდიდრებს კი ვერ დავინდობ!

ზოტოვის საწერ მაგიდაზე ორი ტელეფონი იდგა: ერთი რკინიგზისა, ისეთივე ძველებური, როგორიც სამხედრო დისპეტჩერს ჰქონდა; მეორე თავისი იყო, ზუმერიანი, საველე ტელეფონი, რომელიც

კაპიტნის კაბინეტს და სადგურის სასურსათო პუნქტის საყარაულოს უკავშირდებოდა. სასურსათო საწყობის მცველები კოჩეტოვკას კომენდატურის ერთადერთ სამხედრო ძალას წარმოადგენდა, თუმცა მათი მთავარი ამოცანა სურსათის დაცვა იყო.

რკინიგზის ტელეფონმა დაიწკრიალა. ზოტოვმა მიირბინა, აიღო ყურმილი, მეორე ხელით ქუდი ჩამოიწია და ყვირილით პასუხობდა ტელეფონს. როცა შორს ელაპარაკებოდა ვინმეს, იგი ყოველთვის ყვიროდა — ხან იმიტომ, რომ ცუდად ისმოდა ხმა, უფრო ხშირად კი იმის გამო, რომ ასეთი ჩვევა ჰქონდა.

რეკავდნენ ბოგოიავლენსკოედან, ითხოვდნენ ცნობას იმის შესახებ, თუ რომელი საგზურები მიიღო ზოტოვმა და რომელი ჯერ კიდევ არ მიუღია. ეს საგზურები იყო დაშიფრული მითითება წინა კომენდატურისაგან იმის თაობაზე, თუ რომელი ტრანსპორტი საით იგზავნება. მათ ტელეგრაფით გადასცემდნენ. ერთი საათის წინ ზოტოვმა თვითონ მიუტანა რამდენიმე ასეთი საგზური ტელეგრაფისტ ქალს და მისგანაც რამდენიმე მიიღო. სწრაფად უნდა გაერკვია, რომელი ტრანსპორტი რომელ სადგურში მივიდოდა და რკინიგზის სამხედრო დისპეტჩერისთვის მიეთითებია, რომელი ვაგონი რომელთან მიებათ. ზოტოვმა დადო ყურმილი, სწრაფად დაეხეთქა სკამზე, ახლომხედველივით დაიხარა მაგიდისკენ და საგზურებს ჩაუღრმავდა.

მაგრამ ცოტათი ხელს კი უშლიდნენ მეზობელი ოთახიდან. იქ ჩექმების ბრახუნით შევიდა კაცი და რკინებიანი ჩანთა იატაკზე დააგდო. დეიდა ფროსიამ ჰკითხა, წვიმამ იკლო თუ არაო. მან რაღაც ჩაიბურტყუნა და დაჯდა.

(დაცხავებული მილიდან ისეთი ჩხრიალი აღარ ისმოდა, მაგრამ მოძლიერებული ქარი ფანჯრებს ეხლებოდა).

— რა თქვი, მოხუცო? — დაიყვირა ვალია პოდშებიაკინამ.

— მე ვთქვი, რომ ძალიან აცივდა, — ხმადაბლა შეეპასუხა მოხუცი.

— გავრილა ნიკიტიჩ, ხომ გესმის? — დეიდა ფროსიამაც ყვირილით ჰკითხა.

— მესმის, — უპასუხა მოხუცმა, — მაგრამ ცოტათი კი მღალატობს ყური.

— კი მაგრამ, ვაგონებს როგორღა ამოწმებ, ბაბუა? იქ ხომ კაკუნია საჭირო.

— ისეც კარგად ჩანს.

— ვალია, შენ არ იცი, ეს კაცი, კორდუბაილო, ჩვენებურია, კოჩეტოვკელი. რაც კი ვაგონის ოსტატია სადგურებზე, ყველა ამის მონაფეა. ომის დაწყებამდე მთელი ათი წლის განმავლობაში ღუმელზე იჯდა იგი. მაგრამ ხომ ხედავ, ახლა სამუშაოდ გამოვიდა.

დეიდა ფროსიამ კვლავ წამოიწყო რაღაც ამბავი; ზოტოვს ყელში ამოუვიდა ამდენი ლაყბობა, უნდოდა შესულიყო და შეეწყვეტინებია, მაგრამ ამ დროს მეზობელ ოთახში იმ შემთხვევაზე დაიწყეს ლაპარაკი, გუშინ რომ მოხდა ლტოლვილთა ეშელონში.

ამ შემთხვევის შესახებ ზოტოვმა იცოდა თავისი შემცველელისაგან — სამხედრო კომენდანტის მორიგე თანაშემწისაგან, რომელსაც გუშინ მოუხდა ლონისძიებათა გატარება, რადგანაც კოჩეტოვკის სადგურს საკუთარი საეტაპო კომენდატურა არ ჰქონდა. გუშინ დილით სადგურში ერთად ჩამოდგა ორი ეშელონი: ერთი შჩიგრიდან მოდიოდა და ოცდაათი ვაგონით ალყაში ნამყოფი ლტოლვილები მოჰყავდა; ამ ოცდაათ ვაგონს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატიდან მხოლოდ ხუთი გამცილებელი ახლდა. მეორე იყო საპირისპირო მხარეს რტიშჩევოდან მომავალი ეშელონი, რომელიც ფქვილით იყო დატვირთული. ფქვილის ნაწილი დალუქულ ვაგონებში იყო, ნაწილი კი ტომრებით ეწყო ნახევარვაგონებში. ლტოლვილები უცბად გაერკვნენ ვითარებაში, მისცვივდნენ ნახევარვაგონებს, გაფატრეს ტომრები და კარდალები ფქვილით აივსეს; ზოგმა გიმნასტურა ჩანთად აქცია და შიგ ფქვილი ჩაყარა. ეშელონის ბადრაგიდან ლიანდაგზე სულ ორი კაცი იყო — ერთი თავში იდგა, მეორე — ბოლოში. თავში მდგომმა ჯერ კიდევ პირტიტველა გუშაგმა რამდენჯერმე დაიყვირა, ხელი არ ახლოთო, მაგრამ ვინ უგდო ყური მის ყვირილს?! არც ბადრაგის თბილანიდან მოეშველა ვინმე. მაშინ გუშაგმა გადმოიღო შაშხანა, გაისროლა და ამ ერთადერთი გასროლით თავი გაუხვრიტა ერთ ლტოლვილს, რომელიც ნახევარვაგონზე იდგა.

ზოტოვმა კარგახანს უსმინა ამ ლაპარაკს, არ მოეწონა მათი მსჯელობა, ვერ შეიკავა თავი და გადაწყვიტა შესულიყო და განემარტა, რა და რატომ მოხდა. შეაღო კარი, ზღურბლზე დადგა და ყველა შეათვალიერა.

მარჯვნივ მაგიდას უჯდა ტანთხელი ვალია; წინ ელაგა უწყისები და ჭრელუჯრედებიანი გრაფიკები. ფანჯრის გასწვრივ იდგა უბრალო მერხი, რომელზეც იჯდა დეიდა ფროსია — ვაუკაცური აღნაგობის ხანშესული რუსი ქალი, რომელიც ხელის ფანარის ჭრაქს აწესრიგებდა. კართან ახლოს ღუმლისაკენ პირდაპირ იატაკზე იჯდა ზურგით კედელს მიყრდნობილი მოხუცი კორდუბაილო. გვერდით ედო ტყავის ძველი ჩანთა, რომელშიც რაღაც მძიმე ინსტრუმენტი და მაზუთით გასვრილი ხელთათმანები ეწყო. ისინი საუბარს განაგრძობდნენ.

— აბა, სხვა რა უნდა ექნა მას? — ფანქარს აკაკუნებდა და ისე ამტკიცებდა ვალია. — იგი ხომ პოსტზე იდგა, იგი ხომ გუშაგია!

— ჰო, სწორია, — თავი დაიქნია მოხუცმა და წეკოს მსხვილი წითელი ფერფლი იატაკზე დაცვივდა. — სწორია... მაგრამ ჭამა ყველას უნდა.

— ამით რა გინდა თქვა? — მოიღუშა ქალიშვილი. — ვინ არის ეს ყველა?

— აი, თუნდაც მე და შენ, — ამოიხვნეშა კორდუბაილომ.

— ბენტერა კაცი ხარ შენ, ბაბუა! ისინი რა, მშივრები არიან? მათ ხომ სახაზინო ულუფას აძლევენ. შენ რა გგონია, იმათ გზაში ულუფას არ აძლევენ?

— ჰო, სწორია, — დაეთანხმა მოხუცი და ახლა უკვე მუხლებზე და ბუშლატის კალთაზე დააცვივდა თუთუნის გავარვარებული წითელი ნამცეცები.

— ფრთხილად, დაიწვები, გავრილა ნიკიტიჩ! — გააფრთხილა დეიდა ფროსიამ.

მოხუცს ფერფლი არ ჩამოუბერტყავს, გულგრილად უცქერდა, როგორ ქრებოდა წეკოს ნაპერწკლები სველ ბამბის შარვალზე. როცა ყველა ჩაქრა, ოდნავ ასწია გაბურძგნილი ჭაღარა თავი, რომელზედაც კარტუზი ეხურა.

— ქალებო, არ გქონიათ ისეთი შემთხვევა, რომ წყალში გახსნილი ნესტიანი ფქვილი უმად გეჭამათ?

— უმად რატომ? — გაოცდა დეიდა ფროსია. — მოვზელ და გამოვაცხობ.

მოხუცმა გაანკლაპუნა ფერმკრთალი სქელი ტუჩები და კარგახანს არაფერი უთქვამს — იგი ადვილად ვერ პოულობდა სიტყვებს. ბოლოს ესღა თქვა:

— გამოდის, რომ თქვენ შიმშილი არ გამოგიცდიათ, ჩემო ძვირფასებო.

ლეიტენანტმა ზოტოვმა გადააბიჯა ზღურბლს და საუბარში ჩაერია:

— გამიგონე, ბაბუა, იცი თუ არა შენ, რა არის ფიცი?

ბაბუამ ამღვრეული თვალებით შეხედა ლეიტენანტს. თვითონ ბაბუა დიდი არ იყო, მაგრამ ეცვა დიდი და მძიმე ჩექმები, წყლით გაჟღენთილი და აქა-იქ ტალახიანი.

— მაგის მეტი რა ვიცი! — წაიბურტყუნა მან. — მე თვითონ ხუთჯერ შევფიცე.

— ჰოდა, ვის შეჰფიცე? მეფე მიკოლაშკას?

— კიდევ უფრო ადრე, — თავი გაიქნია მოხუცმა.

— როგორ? ჯერ კიდევ ალექსანდრე მესამეს?

მოხუცმა მჭმუნვარედ გაანკლაპუნა ტუჩები და გააბოლა.

— ჰოდა, ახლა ხალხს აძლევენ ფიცს. არის თუ არა განსხვავება?

მოხუცს კვლავ დააცვივდა ფერფლი მუხლზე.

— და ის ფქვილი ვისია? — გაცხარდა ვალია. — ხალხის არ არის? ვისთვის მიჰქონდათ ფქვილი? გერმანელებისთვის ხომ არა?!

— ჰო, სწორია, — სავსებით დაეთანხმა მოხუცი. — მაგრამ ის ბიჭებიც ხომ არ არიან გერმანელები?! ჩვენი ხალხია.

— აი, შეუგნებელი მოხუცი! — გაბრაზდა ზოტოვი. — შენ იცი, რა არის სახელმწიფოებრივი წესრიგი? თუ ყველა წაიღებს იმას, რაც მოეწონება, მე წავიღებ, შენ წაიღებ — ასე მოვიგებთ ომს?

— კი მაგრამ, ტომრები რატომღა დაფატრეს დანით? — თქვა აღშფოთებულმა ვალიამ. — რა წესია ეს? ესაა ჩვენი ხალხი?

— ალბათ, დაკერებული ტომრები იყო, — ივარაუდა კორდუბაილომ და ხელით მოიხოცა ცხვირი.

— და უნდა გააოხრო, არა? — ბრაზობდა დეიდა ფროსია. — ის რა იყო, ძირს რომ ცვიოდა, ლიანდაგზე? რამდენი ტომარა გახიეს და რამდენი ფქვილი დაიბნა, ამხანაგო ლეიტენანტო! უამრავ ბავშვს გააძღებდი იმით!

— ჰო, ეგ მართალია, — თქვა მოხუცმა. — მაგრამ ამ წვიმაში ნახევარვაგონებში ისიც დასველდება, რაც დარჩა.

— რა უნდა ელაპარაკო ამას! — უფრო თავის თავს გაუჯავრდა ზოტოვი, ამ უმაქნის საუბარში რად ჩავერიეო, ისედაც ხომ ყველაფერი ცხადიაო. — ნუ ხმაურობთ, ხელი მეშლება მუშაობაში!

ამასობაში დეიდა ფროსიამ გაწმინდა პატრუქი, აანთო ჭრაქი და ფანარში ჩადგა. იგი წამოდგა და პოდშებიაკინას მიმართა:

— ვალიუშა, ერთი წვეტი წამითალე ფანქარს. წავალ და შვიდას სამოცდა მეხუთეს გავსინჯავ.

ზოტოვი თავის ოთახში გავიდა.

შესაძლებელია გუშინდელი ამბავი უარესად დამთავრებულიყო. ამხანაგი რომ მოუკლეს, ლტოლვილებმა თავი ანებეს ფქვილიან ტომრებს და ღრიალით მისცვივდნენ გუშაგ ბიჭუნას. ხელიდან გამოგლიჯეს შაშხანა (მგონი, მას არც გაუწევია წინააღმდეგობა), დაუწყეს ცემა და, ალბათ, გაგლეჯდნენ კიდეც, განმრინებელს რომ არ მოესწრო. მან ვითომ დააპატიმრა გუშაგი და წაიყვანა.

როცა ლტოლვილები გადაპყავთ, ყველა კომენდატურა ცდილობს, ისინი ჩქარა მოიშოროს თავიდან და გაამგზავროს. წინა ღამით ზოტოვმა მიიღო ერთი ასეთი ეშელონი. — 245413-ე (იგი პაველეციდან არჩედასკენ მიდიოდა) — და სწრაფად გაუშვა. ეშელონი ოც წუთს იდგა კოჩეტოვკაში, ლტოლვილებს ეძინათ და გარეთ არ გამოსულან. არადა, ალყაში ნამყოფი ლტოლვილნი, როცა ბევრნი არიან ერთად, საშიში, ულმობელი ხალხია. ისინი აღარ წარმოადგენენ სამხედრო ნაწილს, არა აქვს იარაღი, მაგრამ გუშინდელ არმიად მიიჩნევენ თავს? ეს ის ბიჭები არიან, რომელნიც ივლისში სადღაც ბობრუისკთან იდგნენ, ან აგვისტოში — კიევთან, ანდა სექტემბერში — ორიოლთან.

ზოტოვი უფრთხოდა მათ — ალბათ, ისეთივე განცდა ჰქონდა, როგორიც იმ გუშაგ ბიჭუნას, როელმაც ერთადერთხელ გაისროლა და შაშხანა ჩააბარა. მას რცხვენოდა, რომ ზურგში მსახურობდა კომენდანტად. იგი შენატროდა ალყაში ნამყოფებს და ვგონებ იმისთვისაც მზად იყო, რომ ეკისრა მათი ზოგიერთი ნაკლიც კი, ოღონდ მის ზურგსუკუნაც ყოფილიყო ბრძოლის, სროლის, მდინარეთა გადალახვის გამოცდილება.

ვასია ზოტოვის თანაკურსელები, მისი ყველა მეგობარი ფრონტზე იყვნენ.

ის კი... აქ არის.

ამიტომ მით უფრო გულდაგულ უნდა იმუშაოს! ისე იმუშაოს, რომ შემცვლელს ფაქიზად ნამუშევარი დაახვედროს და სხვა საქმეთა მოგვარებაც მოასწროს. ამ დღეებში რაც შეიძლება მეტი და უკეთ უნდა იმუშაოს — ახლა ხომ ოცდამეოთხე წლისთავია, სანატრელი დღესასწაული წელიწადში.

ყოველდღიურის გარდა ზოტოვს ჰქონდა ერთი საქმე, რომელიც მის ცვლაში დაიწყო ერთი კვირის წინათ: სადგურს ჰაერიდან თავს დაესხნენ გერმანელები და გვარიანად დაბომბეს ეშელონი, რომელშიც სამხედრო ტვირთის გარდა პროდუქტიც იყო. მთლიანად რომ გაენადგურებიათ ეშელონი, საქმე დამთავრებული იქნებოდა. მაგრამ, საბედნიეროდ, ბევრი რამ გადარჩა და ახლა ზოტოვს სთხოვდნენ, ოთხ ეგზემპლარად შეედგინა ვრცელი აქტი, რომელშიც ჩამოთვლილი იქნებოდა: ტვირთი, რომელიც სრულიად უვარგისი გახდა (ის უნდა ჩამოენერეთ ადრესატებისგან და გაემზადებიათ ახალი); ტვირთი, რომელიც უვარგისი გახდა ორმოცი-ოთხმოცი პროცენტით (მისი გამოყენების საკითხი ცალკე უნდა გადაწყვეტილიყო); ტვირთი, რომელიც უვარგისი გახდა ათი-ორმოცი პროცენტით (ის უნდა გაეგზავნათ დანიშნულებისამებრ ან ნაწილობრივ უნდა შეეცვალათ); ბოლოს, ის ტვირთი, რომელიც უვნებლად გადარჩა. საქმეს ის ართულებდა, რომ დაბომბილი მატარებლის ტვირთი ახლა თავმოყრილი იყო პაკჰაუზებში, მაგრამ ეს ერთბაშად არ მომხდარა; სადგურში გარეშე ხალხიც დაეხეტებოდა და შეიძლება მტაცებლობა მომხდარიყო. ამის გარდა, ვარგისიანობის პროცენტის დასადგენად

საჭირო იყო ექსპერტიზა (ექსპერტები მიჩურინსკიდან და ვორონეჟიდან ჩამოდიოდნენ), პაკჰაუზებში გაუთავებელი გადადგმა-გადმოდგმა ყუთებისა, ამისთვის კი მტვირთავები საკმარისად არ იყო.

დაბომბვა სულელსაც შეუძლია და იტეხე მერე თავი!

ზოტოვს ზედმიწევნითი სიზუსტე უყვარდა ყოველ საქმეში; მან შეადგინა ბევრი აქტი, დღეს კიდევ უნდა წაემუშავა ამ საქმეზე და იმედი ჰქონდა, ერთ კვირაში ყველაფერს მოაგვარებდა.

კარის მინაზე პოდშებიაკინამ დააკაკუნა:

— ვასილ ვასილიჩ, შეიძლება შემოვიდე? — პასუხს არ დალოდებია და შევიდა. ხელში უწყისი ეჭირა.

წესით იგი არ უნდა შემოსულიყო, საკითხი ზღურბლთანვე ან თავის ოთახში უნდა გაერკვია. მაგრამ ზოტოვს ხშირად უწევდა ვალიასთან ერთად მთელი დღეღამე მორიგეობა და თავაზიანობა ნებას არ აძლევდა, არ შემოეშვა ქალი.

— ვასილ ვასილიჩ, რაღაც ვერ გავარკვიე! აი, დახედეთ... — მახლობლად მეორე სკამი არ იდგა, ვალია მაგიდის კიდეს დაეყრდნო და ზოტოვს უწყისი გაუშვირა. — აი, ოთხას ორმოცდამეექვსე ეშელონში იყო ვაგონი ნომერ 5780031. საით უნდა გავუშვათ ის?

— ახლავე გეტყვი. — ზოტოვმა გამოაღო უჯრა, ამოიღო სამიდან ერთერთი სწრაფჩამკერი, გადაშალა (მაგრამ ისე კი, რომ ვალიას ვერ ჩაეჭვრიტა შიგ) და უცბად იპოვა: — 5780031 უნდა გავუშვათ პაჩელმისაკენ.

— ოჰო! — თქვა ვალიამ, მიაწერა უწყისს „პაჩ", მაგრამ არ გასულა, კვლავ ჩააცქერდა თავის უწყისს.

— აი, შენ „ჩ" გაურკვევლად დაწერე — შენიშვნა მისცა ზოტოვმა. — შემდეგ მაგას ამოიკითხავ როგორც „ვ" და პაველეცში გაუშვებ ვაგონს.

— ნუთუ მართლა ასე მოხდება? — წყნარად იკითხა ვალიამ. — ვასილ ვასილიჩ, აი, მაშინ კი გექნებათ საბაბი — შარი მომდოთ!

მან კულულებს ქვემოდან გახედა ზოტოვს, „ჩ" კი შეასწორა.

— კიდევ აი რა... რა ვუყოთ ვაგონ-ბაქანს ნოლი ხუთი ას ათი? სად არის ის?

— მოვძებნოთ! იმავე ეშელონისაა ხომ?

— ეგრეა.

ზოტოვმა ჩაიხედა სწრაფჩამკერში და ნომრებს ამოწმებდა.

— ეჰ, გასაწკეპლავი ხარ! — გაბრაზდა ზოტოვი. — ნოლი ხუთი კი არა, ორი ნოლი ხუთია, შე ჭკუის კოლოფო!

— ორი ნოლი! — გაოცდა ვალია და ნოლი ჩაამატა.

— არა გრცხვენია, შენ ხომ ათნლედი გაქვს დამთავრებული?

— ეგ რა სალაპარაკოა, ვასილ ვასილიჩ! რა შუაშია ათნლედი? საით გავუშვათ ის ვაგონ-ბაქანი?

— კირსანოვში.

— აჰა, — ჩაიწერა ვალიამ. ჩაიწერა, მაგრამ წასვლას არ ჩქარობდა. ზოტოვმა ძალაუნებურად თვალი შეავლო მაგიდისკენ დახრილი ქალწულის პატარა ძუძუებს, რომელიც ახლა კარგად ჩანდა, სხვა დროს კი რკინიგზელის ქურთუკი ფარავდა.

— მალე მორიგეობა დამთავრდება, — მოვარდისფრო ლოყები გაბერა ვალიამ.

— სანამ ეგ „დამთავრდება“ იქნება, კიდევ უნდა წავიმუშაოთ, — მოიღუშა ზოტოვი და თვალი აარიდა ქალიშვილს.

— თქვენ კვლავ ბებოსთან წახვალთ, არა?..

— აბა, სად უნდა წავიდე?

— რატომ ვინმეს არ ენვევით სტუმრად?

— ნახა ამანაც სტუმრობის დრო!

— და რა სიკეთეა იმ ბებოსთან? ხეირიანი საწოლიც არ გიდგათ. ზანდუკზე წევხართ.

— შენ რა იცი?

— ხალხმა იცის, ისინი ამბობენ.

— ვალეჩკა, ახლა ის დრო არ არის, საწოლში ინებივრო. მით უფრო — ჩემთვის. იმისაც მრცხვენია, რომ ფრონტზე არა ვარ.

— რას ამბობთ! რა არის სამარცხვინო? აქაც ხომ საქმეს აკეთებთ? ახლა სანგარში გორაობაც მოგინდათ ხომ? კაცმა არ იცის, ცოცხალი გადარჩებით თუ არა... სანამ შესაძლებელია, ადამიანურად უნდა იცხოვროს კაცმა.

ზოტოვმა ქუდი მოიხადა და შუბლი მოისრისა (ქუდი ცოტათი ვიწრო იყო მისთვის, მაგრამ სხვა ვერ იპოვა სანყობში)

ვალია უწყისის კუთხეში ფანქრით ხატავდა გრძელ მარყუჟს, რომელიც ბრჭყალს მოგაგონებდათ.

— ავდეევებისგან რატომ წახვედით? იქ ხომ უკეთ ცხოვრობდით!

ზოტოვმა თვალები დახარა და ძლიერ გაწითლდა.

— წავედი, მორჩა და გათავდა!

(ავდეევებმა ხომ არ გამივრცელეს ხმა, ა?..)

ვალია კვლავ აწვრილებდა და აწვრილებდა ბრჭყალს. მან ალმაცერად გადახედა ზოტოვის მრგვალ თავს და გაიფიქრა: სათვალეც რომ მოიხსნას, მთლად ბიჭუნას თავი ექნებაო.

— არც კინოში დადიხართ არასდროს. საინტერესო წიგნები გაქვთ, ალბათ. გეთხოვებინათ, წავიკითხავდი.

ზოტოვმა სწრაფად ასწია თავი. კვლავ გაწითლებული იყო.

— რა იცი, რომ წიგნები მაქვს?

— ასე მგონია.

— აქ არ მაქვს წიგნები. შინ კი მაქვს.

— გენანებათ და ეგ არის.

— არა მაქვს-მეთქი, გეუბნები. სად ვათრიო ისინი? ჯარისკაცს მხოლოდ ერთი ზურგჩანთის ტარების ნება აქვს.

— მაშინ ჩვენგან წაიღე წასაკითხად.

— თქვენ ბევრი წიგნი გაქვთ?

— ჰო, თაროზე აწყვია.

— რა წიგნებია?

— რა და... „ბრძმედის ღუმელი"... „თავადი სერებრიანი"... და კიდევ რაღაცეები.

— შენ ყველა წაკითხული გაქვს?

— მხოლოდ ზოგიერთი. — ვალიამ უცბად ასწია თავი, სახე გაუნათდა, ღრმად ამოისუნთქა და თქვა: ვასილ ვასილიჩ! გადმოდით ჩვენთან! ვოვას ოთახი თავისუფალია და თქვენ დაიკავეთ. იქ ღუმელი ანთია, თბილა. დედაჩემი მოგიმზადებთ საჭმელს. ძალიან გსიამოვნებთ იმ ბებოსთან ყოფნა?

და მათ ერთმანეთს შეხედეს; ორივეს თავისი საფიქრალი გასჩენოდა.

ვალიამ შეამჩნია, რომ ლეიტენანტი შეყოყმანდა, რომ აი, იგი დასთანხმდება. და რატომაც არ უნდა დასთანხმდეს ეს უცნაური კაცი? ყველა სამხედრო იმას ამბობს, უცოლო ვარო, ეს ერთია მხოლოდ ცოლიანი. დაბაში დაბინავებული ყველა სამხედრო კარგ ოჯახშია, თბილადაც არიან და მზრუნველობა არ აკლიათ. ვალიას ძალიან უნდოდა, რომ მათს სახლში, საიდანაც მამა და ძმა საომრად იყვნენ წასული, მამაკაცს ეცხოვრა. მაშინ გვიან საღამოს ბნელი ტალახიანი ქუჩების გავლით ისინი ერთად დაბრუნდებიან ცვლის დამთავრების შემდეგ (შეიძლება ხელკავგამოდებულიც კი), მხიარულად მიუსხდებიან სადილს, იხუმრებენ, რამეს უამბობენ ერთმანეთს...

ვასია ზოტოვმა კი თითქმის შიშით შეხედა ქალიშვილს, რომელიც აშკარად იწვევდა მას თავის სახლში. ვალია მხოლოდ სამი წლით იყო მასზე უმცროსი და თუ ის თქვენობით და მამის სახელით მიმართავდა, ამის მიზეზი იყო არა ასაკი, არამედ ის, რომ პატივს სცემდა ლეიტენანტის კუბიკებს. ზოტოვმა იცოდა, რომ მისი მშრალი ულუფისგან მომზადებული გემრიელი სადილით და თბილი ღუმლით არ დამთავრდებოდა საქმე. აღელდა კაცი, ძალიან მოუნდა შეხებოდა მის ხუჭუჭ თმას და აეწენა იგი.

მაგრამ არა, არ შეიძლებოდა ეს.

მან გაისწორა წითელკუბიკებიანი საყელო, თუმცა საყელოს რას დაეძებდა — სათვალე გაისწორა გულდაგულ.

— არა, ვალია, არსადაც არ წავალ. კაცმა რომ თქვას, რას ვლაყბობთ ჩვენ აქ? საქმე ყოვნდება. — თქვა ეს, ქუდი დაიხურა და მკაცრი გამომეტყველება მიიღო.

ქალიშვილმა წარბი შეიკრა და გაჭიანურებით თქვა:

— როგორც გენებოთ, ვასილ ივანიჩ!

მან ამოიხვნეშა, მაგიდისკენ დახრილმა როგორღაც მძიმედ აითრია წელი. აიღო უწყისი და გავიდა.

ზოტოვმა დაბნეულად დაახამხამა თვალები. შესაძლებელია, ვალია რომ დაბრუნებულიყო და მტკიცედ ეთქვა იგივე, ზოტოვი დასთანხმებოდა კიდეც.

მაგრამ იგი არ დაბრუნდა.

აქ ვერავის აუხსნიდა ვასია, რატომ ცხოვრობდა იმ დედაბრის ქოხში, რომელიც ცუდად თბებოდა, რატომ იწვა მოკლე და მოუხერხებელ ზანდუკზე. დედაბერს სამი შვილიშვილი ჰყავდა სახლში. ზოტოვი არაერთხელ აუგდიათ საცინლად, როცა კაცებს ხმამაღლა უმტკიცებდა, ცოლი მიყვარს, მთელი ომის განმავლობაში მას ვუერთგულებ და ისიც ჩემი ერთგული იქნებაო. ამის გაგონებისას მისი მეგობრები, კარგი ბიჭები, ერთხმად ხარხარებდნენ, მხარზე ხელს უთათუნებდნენ და ურჩევდნენ, გონზე მოდიო. იმის შემდეგ მას ხმამაღლა აღარ გამოუთქვამს თავისი აზრები, ძალიან კი წუხდა, განსაკუთრებით, ღამით რომ გაეღვიძებოდა და ჩაფიქრდებოდა: ნეტავ როგორაა იქ, გერმანელების ხელში, ჩემი ორსული ცოლი?

მაგრამ ვალიას უარი უთხრა მან სულაც არა ცოლის გამო, არამედ პოლინას გულისთვის...

არა, არც პოლინას გულისთვის, არამედ იმის...

პოლინა გახლდათ ის შავგვრემანი თმაშეკრეჭილი კიეველი ქალი, რომელიც დეიდა ფროსიასთან ცხოვრობდა და ფოსტაში მუშაობდა. თუ დროს მოიხელთებდა, ვასია ფოსტაში დადიოდა გაზეთების წასაკითხად (რამდენიმე დღისა ერთად მოჰქონდათ). რა თქმა უნდა, ფოსტა სამკითხველო არ არის, მაგრამ პოლინა გამოუტანდა გაზეთებს და ზოტოვი იქვე ფეხზე მდგომი კითხულობდა სიცივეში. როგორც ზოტოვისთვის, პოლინასთვისაც ომი იყო მისი დღევანდელი და მომავალი ცხოვრება. ეს მომავალი რომ გამოეცნო, იგი ხელების კანკალით შლიდა გაზეთებს და ეძებდა თუნდაც ერთი ბეწო ცნობას, რომელიც გააგებინებდა მას, თუ როგორ მიდის ომის საქმე. ვასია და პოლინა ხშირად ერთად იდგნენ, კითხულობდნენ და ერთმანეთს აჩვენებდნენ მნიშვნელოვან ადგილებს. ისინი წერილებს არ იღებდნენ და მათ მაგივრობას გაზეთი უწევდათ. პოლინა ყურადღებით ჩაეძიებოდა ცნობათა საბრძოლო ეპიზოდებს და ცდილობდა გამოეცნო — იქ ხომ არ იყო მისი ქმარი. ზოტოვის რჩევით, მან მსროლელთა და ტანკისტთა საბრძოლო ტაქტიკის შესახებ დაწერილი სტატიებიც კი წაიკითხა „კრასნაია ზვეზდაში". ერენბურგის სტატიები კი მას ხმამაღლა და მღელვარედ წაუკითხა თვითონ ვა-

სიამ. პოლინას ნებართვით ზოტოვმა ერენბურგის რამდენიმე სტატია ამოჭრა და შეინახა.

პოლინა, მისი ბავშვი და დედა ისე შეუყვარდა ზოტოვს, როგორც მხოლოდ გაჭირვებაში ჩავარდნილთ შეუძლიათ. ბიჭუნას თავისი ულუფიდან შაქარს უწილადებდა ხოლმე, მაგრამ როცა ერთად ფურცლავდნენ გაზეთებს, ზოტოვი თითითაც კი არასოდეს შეხებია პოლინას თეთრ ხელს — არა იმის ქმრის ან თავისი ცოლის რიდით, არამედ იმ წმიდათაწმიდა დარდ-ვარამის გამო, რომელიც აერთიანებდა მათ.

პოლინა გახდა ზოტოვისთვის კოჩეტოვკაში — არა, ფრონტის მთელ აქეთა მხარეში — ყველაზე ახლობელი ადამიანი, სინდისისა და ერთგულების განსახიერება. და როგორღა შეეძლო მას მდგმურად დამდგარყო ვალიასთან? რას იფიქრებდა პოლინა?

პოლინას რომ თავი დავანებოთ, მას არ შეეძლო უდარდელი გართობა რომელიმე ქალთან ახლა, როცა გაქრობის საფრთხე ემუქრებოდა ყველაფერს, რაც მას უყვარდა.

ზოტოვს ერთგვარად ისიც ეუხერხულებოდა, რომ ვალიასთვის და თავისი შემცვლელი ლეიტენანტებისთვის გაემხილა, რომ საღამოობით იგი მაინც კითხულობდა წიგნს. ეს იყო ერთადერთი წიგნი, რომელიც ამა წლის შფოთიან გზებზე ხეტიალისას რომელიღაც ბიბლიოთეკიდან წამოიღო და ზურგჩანთით დაატარებდა. რა წიგნი იყო ეს? რა და ოცდაათიან წლებში დაბეჭდილი ლურჯყდიანი სქელი პირველი ტომი „კაპიტალისა“.

სტუდენტობის მთელი ხუთი წლის განმავლობაში ოცნებობდა ზოტოვი, წაეკითხა ეს სანუკვარი წიგნი. რამდენჯერმე გამოიტანა ინსტიტუტის ბიბლიოთეკიდან, დაკონსპექტებასაც ცდილობდა, მაგრამ არასოდეს ჰყოფნიდა დრო — კრებები, საზოგადოებრივი დავალებები, გამოცდები ნთქავდა მას. ერთ გვერდს რომ დააკონსპექტებდა, წიგნი უნდა ჩაებარებია. როცა პოლიტეკონომიას გადიოდნენ, სწორედ დრო იყო „კაპიტალის“ წაკითხვისა, მაგრამ მასწავლებელი უშლიდა — „ვერ ასწევთ მაგას!“ — იტყოდა და ურჩევდა, ლაპიდუსის სახელმძღვანელო წაიკითხეთ, ლექციის კონსპექტი წაიკითხეთო. მართლაც, ამასაც ძლივს ასწრებდნენ.

მაგრამ ახლა, ორმოცდაერთის შემოდგომაზე, ამ გადაკარგულში ვასია ზოტოვმა გამონახა დრო „კაპიტალისთვის". ეს იყო დრო, რაც დარჩებოდა სამსახურის, საყოველთაო სწავლების და პარტრაიკომის დავალებების შესრულების შემდეგ. ავდეევის სახლში იგი მიუჯდებოდა დანჯღრეულ პატარა მაგიდას და ნავთის ლამპის შუქზე (დიზელის ძრავის სიმძლავრე მთელ დაბას არ ჰყოფნიდა) კითხულობდა: პირველად იმისთვის, რომ ჩასწვდომოდა არსს, მეორედ — ადგილების მოსანიშნად, მესამედ — კონსპექტის დასაწერად და საბოლოოდ დასამახსოვრებლად. რაც უფრო ცუდი ამბები მოდიოდა ფრონტიდან, მით უფრო დაჟინებით ჩაჰკირკიტებდა ზოტოვი სქელ ლურჯ წიგნს. ვასიას ასე ეგონა, რომ თუ კარგად აითვისებს თუნდაც პირველ ტომს და მთლიანად ჩაიბეჭდავს მეხსიერებაში, იგი გახდება უძლეველი და დაუმარცხებელი ნებისმიერ იდეურ ბრძოლაში.

მაგრამ ასეთი საღამოები თუ საათები ბევრი არ იყო: კონსპექტის რამდენიმე გვერდი ჰქონდა დაწერილი, როცა ხელის შემშლელი მოევლინა ანტონინა ივანოვნას სახით.

ანტონინა ივანოვნაც ავდეევების მდგმური იყო. კოჩეტოვკაში ჩამოსვლისთანავე მან სასადილოს გამგედ დაიწყო მუშაობა. იგი საქმიანი ქალი იყო, მტკიცე ნებისა — ვერავინ გაბედავდა, აურზაური აეტეხა მის სამფლობელოში. რაღა თქმა უნდა, სასადილოში წყალწყალა წვნიანი იყიდებოდა. საღამოთი შინ რომ მივიდოდა, ანტონინა ივანოვნა დაავალებდა ავდეევებს სამოვარი დადგითო, გამოიტანდა პურს, კარაქს და ასე მიირთმევდა ჩაის. ანტონინა სულ ოცდახუთი წლის ქალი იყო, მაგრამ დინჯი, თეთრგვრემანი, სახეზე კანგადატკეცილი. იგი ალერსიანად მიესალმებოდა ხოლმე ლეიტენანტს, ზოტოვი დაბნეულად პასუხობდა და კარგახანს დიასახლისის ნათესავი ქალისაგან ვერ ასხვავებდა მას. თავის ტომზე თავდახრილი ვასია ვერ ამჩნევდა, თავისი სამუშაოდან გვიან დაბრუნებული ანტონინა მის ოთახზე გავლით როგორ მიმოდიოდა თავის საძინებელსა და მასპინძლებს შორის. ქალი უცბად მივიდოდა და ეკითხებოდა: „ამხანაგო ლეიტენანტო, ეგ რა წიგნია, რომ სულ კითხულობთ და კითხულობთ?" ზოტოვი რვეულს დააფარებდა ტომს და ორჭოფულად უპასუხებდა. სხვა დროს ასეთი რამ ჰკითხა: „როგორ

ფიქრობთ, საშიში ხომ არ არის, რომ ღამღამობით ჩემი ოთახის კარს არ ვკეტავ?" ზოტოვმა უპასუხა: „საშიში არ არის! მე ხომ აქა ვარ და იარაღიც მაქვს". კიდევ რამდენიმე დღის შემდეგ წიგნის კითხვით გართულმა ზოტოვმა იგრძნო, რომ ქალმა აქეთ-იქით სიარული დაამთავრა და, მგონი, მისი ოთახიდან არ გასულა. მან მიმოიხედა და გაშეშდა: აქვე, მის ოთახში, ანტონინას დივანზე გაუშლია ლოგინი და წევს, თმა ბალიშზე აფენია, თეთრ მხრებზე კი საბანი არ აფარია. ზოტოვი მიაჩერდა ქალს და არ იცოდა, როგორც მოქცეულიყო. „ხელს ხომ არ შეგიშლით?" — დამცინავად იკითხა ანტონინამ. ვასიას საზრიანობა წაერთვა, წამოდგა და ერთი ნაბიჯიც კი გადადგა ქალისკენ, მაგრამ ამ ნასუქმა ქურდულმა სიმაძღრემ კი არ მიიზიდა, — უკან დაახევინა.

ზოტოვმა სიტყვაც ვერ დაძრა — მძულვარება მოანვა ყელში. იგი მიტრიალდა, ხმაურით დახურა „კაპიტალი", ისიც შეძლო, რომ ზურგჩანთაში ჩაედო იგი და მივარდა იმ ლურსმანს, რომელზეც შინელი და ქუდი ეკიდა, შემოიხსნა ქამარი პისტოლეტიანად და გასასვლელს მიაშურა.

ვასია გავიდა წყვდიადში, სადაც არც შენიღბული ფანჯრებიდან, არც ღრუბლიანი ციდან სინათლის ნასახიც არ ციალებდა, შემოდგომის ცივი ქარი და წვიმა კი დღევანდელივით ძვალ-რბილში ატანდა. გუბეებში, ოღროჩოღროებსა და ტალახში ბორძიკით ვასია სადგურისკენ წავიდა, გვიან მოაგონდა, რომ პისტოლეტჩამოკიდებული ქამარი ხელით მიჰქონდა. მიაბიჯებდა ამ თავსხმაში და ისე უმწეოდ, ისე შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს, რომ ტირილი მოუნდებოდა ხოლმე.

იმ დღიდან ავდეევებთან მისი ცხოვრება აუტანელი გახდა. ანტონინა ივანოვნა აღარ ესალმებოდა. მან გაიჩინა ვიღაც დრუნჩიანი ხვადი, რომელიც სამოქალაქო პირი იყო, მაგრამ დროის კვალობაზე ჩექმები და კიტელი ეცვა. ზოტოვს უნდოდა მეცადინეობა, მაგრამ ქალი განგებ არ ხურავდა კარს მჭიდროდ, რათა დიდხანს ესმინა კაცს, როგორ ხუმრობდნენ კარს იქით, როგორ წიოდა და კვნესოდა ანტონინა.

აი, მაშინ გადავიდა ზოტოვი ნახევრადყრუ დედაბერთან, სადაც ნვებოდა ზანდუკზე, რომელზედაც უხეში ტილო იყო გადაფარებული.

და აი, ეტყობა, ჭორი გავრცელდა კოჩეტოვკაში. პოლინას ყურამდეც ხომ არ მიაღწია, ნეტავ? სირცხვილია და თავის მოჭრა...

ამაზე ფიქრმა ერთხანს თითქოს საქმე მიავიწყა ზოტოვს. მან კვლავ დაავლო ხელი ქიმიურ ფანქარს და საგზურებს ჩაუღრმავდა: მკაფიო, მრგვალი ხელწერით აღნიშნავდა ტრანსპორტისა და ტვირთის ნომრებს, ადგენდა ახალ საგზურებს, იღებდა ასლებს. დაამთავრებდა კიდეც ამ სამუშაოს, მაგრამ გაურკვეველი იყო კამიშინიდან მოსული დიდი ტრანსპორტის საკითხი — როგორ უნდა გაენაწილებიათ იგი. ამის გარკვევა მხოლოდ კომენდანტს შეეძლო. ზოტოვმა საველე ტელეფონით დარეკა, აიღო ყურმილი და მოსასმენად მოემზადა. არავინ პასუხობს. დარეკა კიდევ, მერე კიდევ ერთხელ. კაპიტანმა არ უპასუხა. ალბათ, კაბინეტში არ არის იგი. ეგებ შინ ისვენებს სადილის შემდეგ, მორიგეთა შეცვლის წინ უთუოდ მოვა, რათა პატაკი მოისმინოს.

კარს მიღმა ხანდახან პოდშებიაკინა ურეკავდა სადგურის დისპეტჩერს. დეიდა ფროსია მოვიდა და წავიდა კიდეც. ამის შემდეგ ოთხი ჩექმის ბრახუნი მოისმა. კარზე დააკაკუნეს, შემოაღეს და ხმამაღლა იკითხეს:

— ნებას მოგვცემთ შემოვიდეთ?

არც დალოდებიან ნებართვას, ისე შემოვიდნენ. პირველი გრენადერის სიმაღლისა იყო, ტანმოქნილი; სიცივისგან სახე ავარდისფერებოდა. იგი დადგა ოთახის შუაში, ქუსლი ქუსლს მიარტყა და მოახსენა:

— გახლავართ 95-505 ტრანსპორტის ბადრაგის უფროსი სერჟანტი გაიდუკოვი! პულმანის ოცდათვრამეტი ვაგონი ნესრიგშია, მზადაა შემდგომი მსვლელობისათვის!

გაიდუკოვს ახალი საზამთრო ქუდი ეხურა, ეცვა კარგი გრძელი სამეთაურო შინელი,. ერტყა ტყავის ფართო ქამარი, რომლის ბალთაზე ვარსკვლავი უბრწყინავდა, ეცვა დეკეულის ტყავის გაკრიალებული ჩექმები.

მის ზურგს უკან ოდნავ გამოჩნდა მეორე — ჩასკვნილი, შავგვრემანი დაღვრემილი კაცი. იგი კარს დიდად არ გამოსცილებია, არცთუ დიდი ხალისით გაშლილი ხელი ბუდიონურ ქუდთან მიიტანა და კი არ უპატაკა — წყნარად თქვა:

— მე ვარ 71-628 ტრანსპორტის ბადრაგის უფროსი უმცროსი სერჟანტი დიგინი. ოთხი თექვსმეტტონიანი ვაგონია.

— კარგია, ძალიან კარგია! — თქვა ზოტოვმა და წამოდგა.

არც თავისი წოდების გამო, არც სამუშაოს მიხედვით იგი სულაც არ იყო ვალდებული ყოველი სერჟანტის შესახვედრად წამომდგარიყო. მაგრამ იგი ყველას შეჰხაროდა და ცდილობდა მათთან ერთად უკეთ გაეკეთებია საქმე. კომენდანტის თანაშემწეს ხელქვეითები არ ჰყავდა და ეს ხალხი, ხუთი წუთით თუ ორი დღეღამით მასთან მოსულნი, იყო ერთადერთი, ვისთანაც უნდა გამოეჩინა მეთაურული მზრუნველობა და თაოსნობა.

— ვიცი, ვიცი, თქვენი საგზურები უკვე მოვიდა. — მან მაგიდაზე მოძებნა ისინი და ათვალიერებდა. — აი ეს, აი ესეც... 95-505... 71-628... — ასწია თავი და კეთილმოსურნე თვალით შეხედა სერჟანტებს.

იმათი შინელები ოდნავ სველი იყო, მხოლოდ აქა-იქ დანინწკლული.

— ასე მშრალად რატომა ხართ? აღარ წვიმს?

— ოდნავ შეისვენა, — ღიმილით გააქნია თავი ტანადმა გაიდუკოვმა, რომელიც კვლავ გაჭიმული იდგა. — აი, ჩრდილოეთის ქარი კი ზორბად უბერავს!

იგი ცხრამეტი წლისა იყო, მაგრამ ჭაბუკური სიმამაცის იერი დაჰკრავდა, რაც ფრონტისგან ისე დაეტყობა მიამიტი ადამიანის სახეს, როგორც ნამზეური.

(სწორედ სახეებზე აღბეჭდილმა ფრონტის ნაკვალევმა წამოაყენა ფეხზე ზოტოვი).

კომენდანტის თანაშემწეს საქმე ბევრი არაფერი ჰქონდა მოსულებთან. ყოველ შემთხვევაში, სერჟანტებთან საჭირო არ იყო ლაპარაკი ტვირთის შემადგენლობის შესახებ, რადგან ისინი მიჰყვე-

ბოდნენ დალუქულ ვაგონებს, მიჰქონდათ დაკეტილი ყუთები და შესაძლებელია, თვითონ არც იცოდნენ, რა იყო იმ ყუთებში.

მაგრამ სერჟანტებს სჭირდებოდათ ბევრი რამ სადგურის კომენდანტისაგან. გაიდუკოვს უნდოდა სცოდნოდა, ის ზურგის ვირთხა, კომენდანტი, ხომ არ მოისურვებს გასინჯოს მისი ეშელონი და ტვირთი.

თუმცა ტვირთის თაობაზე სულაც არ შიშობდა გაიდუკოვი. იგი არა მარტო იცავდა, არამედ უყვარდა კიდეც თავისი ტვირთი: რამდენიმე ასეული საუცხოო ცხენი — საზრიანი ინტენდანტის მიერ გამოგზავნილი; გზაში ვერ იშოვიანო და ამ ცხენების სამყოფი დაწნეხილი თივა და შვრიაც ამავე ეშელონში იყო. გაიდუკოვი სოფელში გაიზარდა, ყრმობიდანვე უყვარდა ცხენები და ახლა მეგობრებივით ექცეოდა მათ. სამსახურით არ ევალებოდა, მაგრამ სიამოვნებით ეხმარებოდა მორიგე მებრძოლებს ცხენების მოვლაში, დარწყულებასა და გამოკვებაში. როცა გადასწევდა კარს და ვაგონში შეავიდოდა, იქ მყოფი თექვსმეტივე ცხენი — ნაბლა, ჟღალი თუ ნისლა — მისკენ მიაბრუნებდა ჭკვიანურ გრძელ დრუნჩებს, ზოგი ერთმანეთის ზურგზე გადასდებდა თავს და ნაღვლიანი თვალებით მიაჩერდებოდნენ გაიდუკოვს, თითქოს მარტო თივას კი არ სთხოვდნენ, არამედ კიდევაც ეკითხებოდნენ: რა არის ეს მოგუგუნე ყუთი, საით მიჭენაობს ის, რისთვის და საით მივყავართო ჩვენ. გაიდუკოვი გარს უვლიდა მათ, ხელს უსვამდა თბილ გავაზე, უწეწავდა ფაფარს და, თუ მებრძოლები არ ახლდა, ელაპარაკებოდა კიდეც. ცხენებისთვის უფრო ძნელი იყო ფრონტზე ნასვლა, ვიდრე ადამიანებისთვის. მათ ეგ ფრონტი ისევე სჭირდებოდათ, როგორც მეხუთე ფეხი.

გაიდუკოვს ახლა იმის ეშინოდა, ვაითუ, კომენდანტმა ჩემს თბილანაში შემოიხედოსო. (თუმცა შიშის საბაბს ვერ ხედავდა, რადგან კაპიტანი არც ისე მიუკარებელი ჩანდა). გაიდუკოვის ბადრაგაში უმეტესად გამოუცდელი ჯარისკაცები იყვნენ, მაგრამ თვითონ უკვე ნამყოფი იყო წინა ხაზზე, ივლისში დნეპრთან დაიჭრა, ორ თვეს ჰოსპიტალში ინვა და ახლა კვლავ ფრონტისაკენ მიდიოდა. ამიტომ მან წესდება იცოდა და ისიც იცოდა, როგორ უნდა დაარღვიო ეს წესდება. ეს ოცი ახალგაზრდა კაცი მხოლოდ გზაში მოჰყვებოდა ამ

ცხენებს; როცა მათ ჩააბარებდნენ პატრონს, თვითონ დივიზიას უნდა შეერთებოდნენ. შესაძლებელია, რამდენიმე დღეში ეს ახალი ფორმის ტანსაცმელი სანგრის ტალახით გათხუპნოდათ; კიდევ კარგი, თუ სანგარში იქნებოდნენ, თორემ ბორცვებს უნდა ამოფარებოდნენ, რომ გერმანელთა ნაღმს თავი არ წაესხიპა (ზაფხულში ყველაზე მეტად სწორედ გერმანელთა ნაღმსატყორცნებმა გააწვალა გაიდუკოვი). ამიტომ იყო, რომ ამ ბოლო დღეებში თბილად, მეგობრულად, მხიარულად ცხოვრება უნდოდათ. ფართო თბილანაში ენთო ორი თუჯის ღუმელი, რომლებშიც სხვა მატარებლებიდან მოძიებული ქვანახშირი იწვოდა. მათს ეშელონს გზაში არ აყოვნებდნენ, დიდხანს არსად აჩერებდნენ, მაგრამ ბიჭები როგორღაც მაინც ასწრებდნენ, დღეღამეში ერთხელ ცხენებისთვის წყალი დაელევინებიათ და სამ დღეში ერთხელ სასურსათო ბარათებით პროდუქტი მიეღოთ. რაკი ეშელონი სწრაფად მიდიოდა, ყველა მას ეტანებოდა. თუმცა წესდება გუშაგთა სადგომში სამოქალაქო პირთა შესვლას კრძალავდა, გაიდუკოვი და მისი თანაშემწე გულგრილად ვერ უყურებდნენ გათოშილ ადამიანებს, რომელნიც გაშმაგებულნი დარბოდნენ ლიანდაგზე მატარებლის გასწვრივ. ყველა მთხოვნელს ვერა, მაგრამ ბევრს კი უშვებდნენ ვაგონში. რომელიღაც ეშმაკ ინსპექტორს ერთი ლიტრა შინ გამოხდილი არაყი გამოართვეს საფასურად, ქერა მოხუცს — ქონის ნაჭერი, ზოგისთვის არაფერი არ გამოურთმევიათ. გული არ უძლებდათ და განსაკუთრებით ლმობიერად ექცეოდნენ პატარძლებსა და ქალიშვილებს — ხელს მიაშველებდნენ და ისე ამოჰყავდათ ვაგონში. ახლა იქ, სითბოში, ის ქერა მოხუცი რაღაცას დუდუნებს პირველი მსოფლიო ომის შესახებ, კინაღამ წმინდა გიორგის ჯვარი მივიღეო. ერთი უკარება ქალიშვილი ღუმელთან ზის. დანარჩენებს დიდიხანია დასცხათ და პალტოები, ტანსათბურა, კოფთაც კი გაუხდიათ. ერთი, წითელკაბიანი და თვითონაც განითლებული, ბიჭებს პერანგებს ურეცხავს, ორნი საჭმელს უმზადებენ ბიჭებს, მათს მშრალ ულუფას შინაური გადამდნარი ქონით აზავებენ; კიდევ ერთი ზის და თუ ვინმეს ტანსაცმელი გახევია, კერავს. ამ სადგურიდან რომ გავლენ, ივახშმებენ, ცეცხლთან დასხდებიან, წაიმღერებენ მქროლავი ვაგონის რყევის თანხლებით, შემდეგ კი

მიცოცდებიან გაურანდავი ფიცრის სანოლებთან და დაწვებიან დასაძინებლად. ვერც დღევანდელი თუ გუშინდელი პატარძლებისგან, ახლახან რომ ომში გაისტუმრეს ქმრები, ვერც ქალიშვილთაგან ყველა ვერ უძლებს ცდუნებას, ფანრის ბინდბუნდში ბიჭებს ჩაუნვებიან და ჩაეკონებიან.

აბა, როგორ არ შეგებრალება ფრონტის წინა ხაზზე მიმავალი ჯარისკაცი! შესაძლებელია, ეს მისი სიცოცხლის ბოლო დღეებია...

ახლა კომენდანტისაგან ერთადერთი რამ სურდა გაიდუკოვს — რაც შეიძლება, ჩქარა გაგვიშვიო. და კიდევ ერთი: იქნებ როგორმე გაეგო მისგან მარშრუტი, რათა სცოდნოდა, სად ჩამოესვა ეს ქალები და სად, ფრონტის რომელ უბანზე მოუწევდა მას ბრძოლა? ვინმეს თავისი სახლის ახლოს ხომ არ მოუწევს გავლა?

— მაშ ასე, — თქვა ლეიტენანტმა და საგზურებს დააცქერდა. — თქვენ ერთად გივლიათ, ხომ? თქვენი ვაგონი ახლახან ჩაუბეს?

— აი, რამდენიმე სადგურის იქით.

ლეიტენანტი სათვალით დააცქერდა ქაღალდს და ტუჩები მოებრიცა.

— კი მაგრამ, აქ რატომ მოგიყვანეს? — ჰკითხა მან დიგინს. — პენზაში იყავით?

— ვიყავით.

— მერედა, რა ეშმაკად გატარეს რიაჟსკის გავლით?! საოცარია პირდაპირ, ნამდვილი უთაურები არიან!

— ახლა ერთად წავალთ? — იკითხა გაიდუკოვმა.

— გრიაზამდე ერთად ივლით.

— იმის იქით?

— ეგ სამხედრო საიდუმლოებაა.

— არა, მაინც საით წავალთ? კასტორნოეს გავივლით, ხომ?

— მაგას იქ შეიტყობთ, — ეს მკაცრად უნდოდა ეთქვა ზოტოვს, მაგრამ ოდნავ გაიღიმა და გაიდუკოვი მიხვდა, რომ კასტორნოეს გავლით მიდიან.

— ამ საღამოსვე წავალთ?

— ჰო, თქვენი დაყოვნება არ შეიძლება.

— მე არ შემიძლია წასვლა, — უყოყმანოდ და არც ისე მეგობრულად თქვა დიგინმა.

— პირადად თქვენ? ავად ხართ?

— მთელი ბადრაგა ვერ წავა.

— ესე იგი... როგორ? არ მესმის თქვენი. რატომ ვერ წახვალთ?

— იმიტომ, რომ ძაღლები არა ვართ ჩვენ!! — აღმოხდა დიგინს და თვალებში მრისხანება შეეტყო.

— რა ლაპარაკია ეს, ფრთხილად, უმცროსო სერჟანტო! — ზოტოვი მოიღუშა და წელში გასწორდა.

ზოტოვმა ამ დროს შეამჩნია, რომ უმცროს სერჟანტს მწვანე სამკუთხედი საყელოს მხოლოდ ერთ მხარეზე ჰქონდა, მეორე ცარიელი იყო, მასზე სამკუთხედის ჩაჭყლეტილი ადგილი დარჩენილიყო. ბუდიონური ჩაფხუტის ყურები მკერდზე სცემდა. დიგინმა წარბშეკვრით გამოსცრა კბილებიდან:

— იმიტომ ვერ წავალთ, რომ მეთერთმეტე დღეა მშივრები ვართ.

— ეს როგორ?! — უკან გადაიხარა ლეიტენანტი, ცალი ყურიდან სათვალე ჩამოუვარდა, ნაავლო ხელი სახელურს და ისევ ჩამოიცვა. — ეს როგორ შეიძლება?!

— ასეა, ხდება ხოლმე... ძალიან ხშირადაც.

— სასურსათო ბარათები ხომ გაქვთ?

— რად გინდა მერე! ქაღალდს ხომ ვერ შეჭამ?

— კი მაგრამ, როგორ გაძელით აქამდე?

— აი ასე, ჯერ კიდევ ცოცხალი ვართ.

როგორ გაძელით! სათვალიანის ამ ბავშვურმა შეკითხვამ მთლად გააბრაზა დიგინი. არც აქ, სადგურ კოჩეტოვკაში დაგვეხმარებიანო — გაიფიქრა მან. როგორ გაძელით! თავისი ნებით კი არა, შიმშილმა და გულქვაობამ აიძულა ის, ყბა ყბას დააჭიროს. გაბრაზებული უცქერდა იგი სამხედრო კომენდანტის თანაშემწეს, რომელიც თბილ სუფთა ოთახში მოკალათებულიყო. შვიდი დღის წინათ ბადრაგამ ერთ სადგურში ჭარხალი იშოვა — მთელი ორი ტომარა. ერთი კვირის განმავლობაში მოშუშულ ჭარხალს ჭამდნენ. ყელში ამოუვიდათ ამდენი ჭარხალი, აღარ მიიღო კუჭმა. წუხანდლის წინა ღამით, როცა ალექსანდრო-ნევსკის სადგურში იდგნენ, დიგინმა გადახედა თავის

დაქანცულ თადარიგის ჯარისკაცებს — ყველა მასზე უფროსი იყო, თუმცა არც თვითონ გახლდათ ნორჩი — რაღაც გადაწყვიტა და ადგა. ქარი ღმუოდა ვაგონქვეშ. ცოტათი მაინც უნდა დაეწყნარებია გულმუცელი, რომელიც შიმშილით ეწვოდა. და მან გადააბიჯა წყვდიადში. საათნახევრის შემდეგ დაბრუნდა, სამი მთელი პური მოიტანა და საწოლზე დააგდო. მახლობლად მჯდომი ჯარისკაცი გაშეშდა: „ნახე, ერთი თეთრიც კია!" — „ჰოო? — გულგრილად დააცქერდა დიგინი პურებს, — ეგ არც კი შემიმჩნევია". ამას ხომ არ უამბობდა ახლა კომენდანტის თანაშემწეს! ჰმ, როგორ გაძელითო!.. ათ დღეს ეს ოთხი კაცი ისე მოდიოდა მშობლიურ ქვეყანაში, როგორც უდაბნოში დადიან. მათი ტვირთი იყო პირდაპირ ქარხნიდან გამოტანილი ოცი ათასი სასანგრე ნიჩაბი. დიგინმა თავიდანვე იცოდა, რომ ნიჩბები გორკიდან თბილისში მიჰქონდათ. ეტყობოდა, რომ ყველა სხვა ტვირთი უფრო საჩქაროდ გასაგზავნი იყო, ვიდრე ეს დანავსული, ცივი, საცხწასმული ნიჩბები. მესამე კვირა იწყებოდა, მათ კი თავისი გზის ნახევარიც არ ჰქონდათ გავლილი. ყველაზე უმნიშვნელო დისპეტჩერი, თუ არ დაეზარებოდა, ამათ ოთხ ვაგონს მოხსნიდა და ნებისმიერ პატარა სადგურში ჩატოვებდა ხოლმე. ბადრაგამ სასურსათო ბარათებით სამი დღის პროდუქტი გორკიში მიიღო, შემდგომი სამი დღისა — სარანსკში, ამის შემდეგ კი ვერსად ნახეს ღია პროდპუნქტი. მაგრამ ამას კიდევ გაუძლებდა კაცი, კიდევ იშიმშილებდნენ ხუთ დღეს, თუ ეცოდინებოდათ, რომ შემდეგ თხუთმეტი დღისას ერთად მიიღებენ. მაგრამ მუცელი ყმუოდა და სული კვნესოდა იმის გამო, რომ ყველა პროდპუნქტს ასეთი კანონი ჰქონდა: წინა დღეებისა არ გაიცემა. ააფრინე ალალიო, რაც არ არი, არ არიო.

— კი მაგრამ, რატომ არ გაძლევენ სურსათს? — დაინტერესდა ლეიტენანტი.

— თქვენ კი მოგვცემთ? — პირი დააღო დიგინმა.

მან ვაგონიდან ჩამოხტომისთანავე შეიტყო ერთი მეომრისაგან, რომ ამ სადგურში პროდპუნქტი არის. მაგრამ აი, უკვე დაღამდა და, იმ კანონის თანახმად, დაკეტილ სარკმელთან დგომას აზრი არ ჰქონდა.

სერჟანტი გაიდუკოვი დიგინისკენ შებრუნდა, მხარზე ხელი მოუთათუნა და უთხრა:

— რატომ მე არ მითხარი, ძმობილო? ჩვენ გიწილადებთ საჭმელს, თუთუნსაც.

გაიდუკოვი ახალგაზრდული შემართებით გასწორდა წელში.

— ამხანაგო ლეიტენანტო, ნებას მომცემთ წავიდე?

— წადით.

გაიდუკოვი გაიქცა. მის თბილანაში მყოფნი ახლავე უწილადებენ დიგინის ჯარისკაცებს ფეტვის ბურღულსაც და თუთუნსაც. იმ მტირალა დედაბრისთვის მგზავრობაში არაფერი გამოურთმევიათ, ახლა ნუ იძუნწებს და რამე გადადოს ბიჭებისათვის. ინსპექტორსაც მოვუჩხრიკოთ ჩემოდანი, ვალდებულია დაგვეხმაროს.

— უკვე მეშვიდე საათი დაიწყო, — თქვა ლეიტენანტმა. — ჩვენი პროდპუნქტი დაკეტილი იქნება ახლა.

— ისინი ყოველთვის დაკეტილია... ათიდან ხუთამდეა მხოლოდ... პენზაში რიგში დავდექი, ხმაურობენ, ეშელონი კი დაიძრა. მორშანსკი ღამით გავიარეთ, რიაჟსკიც.

— მოიცა, მოიცა! — აწრიალდა ლეიტენანტი. — ასე არ დავტოვებ ამ საქმეს! აბა, რა!

მან აიღო საველე ტელეფონის ყურმილი და კარგა ხანს რეკავდა.

არავინ უპასუხა.

ახლა უფრო დიდხანს აზუზუნა ზუმერი.

მაინც არავინაა.

— აი, ეშმაკმა დალახვროს! — კვლავ დარეკა. — გუსკოვი ხარ?

— მე გახლავართ, ამხანაგო ლეიტენანტო.

— რატომ ჯარისკაცი არ გიზის ტელეფონთან?

— გავიდა სადღაც. მაწონი ვიშოვე. თუ გნებავთ, მოგიტანთ.

— სისულელეა, არაფერი არ მინდა!

(ზოტოვს იმიტომ კი არ უთქვამს ასე, რომ დიგინი უსმენდა. იგი ყოველთვის უკრძალავდა გუსკოვს, რამე მოეტანა მასთან, პრინციპულად უკრძალავდა, რათა მათი საქმიანი ურთიერთობა უმწიკვლო ყოფილიყო. ზოტოვმა კაპიტანსაც მოახსენა, რომ გუსკოვმა ლაყბობას უმატა და გაცუღლუტდა).

— გუსკოვ! აი, რა საქმეზე გირეკავ: აქ ბადრაგა მოვიდა, ოთხი კაცია, მეთერთმეტე დღეა არაფერი მიუღიათ.

ტელეფონში გუსკოვის სტვენამ გაიუღერა.

— უნდა დავეხმაროთ, — განაგრძო ზოტოვმა. — მისმინე, უნდა როგორმე გამოვიძახოთ ჩიჩიშევი და სამორუკოვი, რომ მათ პროდუქტი მისცენ ბარათის მიხედვით.

— სად იპოვი ახლა იმათ, ასე ადვილია?!

— სად და თავიანთ ბინაში!

— უჰ, ისეთი ტლაპოა, მუხლამდე ჩაეფლობი, თანაც საშინლად ბნელა.

— ჩიჩიშევი ახლოს ცხოვრობს.

— და სამორუკოვი? ლიანდაგს გადაღმა ცხოვრობს. ის არაფრით არ წამოვა, ამხანაგო ლეიტენანტო!

— ჩიჩიშევი წამოვა.

ბუღალტერი ჩიჩიშევი თადარიგიდან გაწვეული სამხედრო მოსამსახურე იყო, მაგრამ სამხედრო პირად არავინ მიიჩნევდა მას — ჩვეულებრივი ბუღალტერი გახლდათ. საანგარიშეს გარეშე ლაპარაკიც არ შეეძლო. იკითხავდა, რომელი საათიაო და როცა ეტყოდნენ ხუთიო, მაშინვე ხუთ კოჭს ჩამოაგდებდა საანგარიშეზე. ჯარისკაცების მიმართ სიმკაცრეს იჩენდა, უფროსებს კი ელაქუცებოდა. პროდპუნქტი კომენდანტის მორიგე თანაშემწეს არ ექვემდებარებოდა, მაგრამ ზოტოვმა იფიქრა, მე უარს არ მეტყვისო.

— სამორუკოვი კი არ წამოვა, — თავის ნათქვამზე იდგა გუსკოვი.

სამორუკოვიც ზემდეგი იყო, მაგრამ ლეიტენანტ ზოტოვს არად აგდებდა. ეს ახოვანი ნასუქი მგელი პროდპუნქტის საკუჭნაოსა და სავაჭრო ფარდულს განაგებდა, მაგრამ თავისი ოთხი შპალით ამაყობდა და თავი მედიდურად ეჭირა. იგი თხუთმეტი წუთის დაგვიანებით მივიდოდა ფარდულთან, შეამოწმებდა ლუქს და გახსნიდა ბოქლომს. რაც უნდა ბევრი ნითელარმიელი მდგარიყო ფარდულთან,. სამორუკოვი მშვიდად გადაიკეცავდა სახელოებს, შეამონმებდა ჩიჩიშევის მიერ დაფხრეწილ ბარათებზე დასმულ შტამპს და აუჩქარებლად წონიდა პროდუქტს (რა თქმა უნდა, ნაკლებს უწონიდა),

სულ არ ნაღვლობდა იმას, მოასწრებენ თუ ვერ მოასწრებენ ბიჭები თავიანთ ეშელონთან მისვლას. ბინაც იმიტომ შეარჩია მოშორებით, რომ არასამუშაო დროს არ შემაწუხონო, თანაც ისეთი დიასახლისი გამოძებნა, ვისაც ბოსტანიც ჰქონდა და ძროხაც ჰყავდა.

ზოტოვს თვალწინ დაუდგა სამორუკოვი და ბოღმა მოაწვა ყელში. მას სძულდა ამნაირი ხალხი, ისე სძულდა, როგორც ფაშისტები. არანაკლებ საშიში არიან ისინიო. ზოტოვს უკვირდა, რატომ არ გამოსცა სტალინმა ბრძანება — ასეთი სამორუკოვები დახვრიტონ იქვე, ფარდულიდან ორიოდე ნაბიჯის მოშორებით, ხალხის თვალწინ.

„არა, სამორუკოვი არ წამოვა“ — გაიფიქრა ზოტოვმაც. და იგი თავს მიანებებდა მეკუჭნავეს, ეს უგერგილო ბიჭები სამი, ხუთი დღის კი არა, თერთმეტი დღის ნაშიმშილევი რომ არ ყოფილიყვნენ.

— გუსკოვ, მოდი ასე ვქნათ: ჯარისკაცს კი ნუ გაგზავნი, თვითონ მიდი მასთან და ის კი არ უთხრა, ოთხი კაცი მშიერიაო, არამედ ასე უთხარი: ზოტოვის პირით კაპიტანმა შემოგითვალა, სასწრაფოდ გამოცხადდი-თქო, გაიგე? გამოცხადდეს ჩემთან და მე ვაჩვენებ სეირს!

გუსკოვი დუმდა.

— რატომ ხმას არ იღებ, ა? ბრძანება გაიგე? თქვი „არის“ და წადი.

— კი მაგრამ, კაპიტანს ჰკითხეთ ამის თაობაზე?

— ეგ შენი საქმე არ არის. პასუხს მე ვაგებ. კაპიტანი გასულია, ამ წუთში ადგილზე არ არის.

— კაპიტანიც ვერ უბრძანებს ამას, — მსჯელობდა გუსკოვი, — არ არის ასეთი წესი, რომ ორი პურისა და სამი ქაშაყის გულისთვის ღამით ლუქი ახსნან და შემდეგ ისევ დალუქონ.

მართალს ამბობდა.

— ანკი რა ცეცხლი ეკიდებათ?! — მსჯელობა განაგრძო გუსკოვმა. — მოიცადონ დილის ათ საათამდე. ერთი ღამე კიდევ, რა დიდი ამბავია! არ დაიხოცებიან.

— კი მაგრამ, მათი ეშელონი ახლა გადის. ჩქარი ეშელონია, მათი ტვირთი ძალიან სჭირდებათ სადღაც, ძალიან ელოდებიან. ცოდვაა მათი ვაგონის მოხსნა, ისედაც დიდხანს დგანან.

— თუ ეშელონი გადის, სამორუკოვი მაინც ვერ მოასწრებს მოსვლას. ამ ტალახში იქ მისვლას და იქიდან მოსვლას, თუნდაც ფანარი გეჭიროს ხელში, საათნახევარი მაინც უნდა, ეგებ, ორი საათიც დასჭირდეს.

ახლაც ჭკვიანურს ამბობდა გუსკოვი...

დიგინი უსიტყვოდ მიშტერებოდა ყურმილს და ცდილობდა გამოეცნო, რას ამბობდნენ ტელეფონის იმ მხარეზე.

— დღესაც არაფერი გამოვა, ალბათ, — დაბნეულად გააქნია მან თავი.

ზოტოვმა ამოიხვნეშა, ყურმილის სარქველი დახურა, რომ გუსკოვმა არ გაიგონოს.

— რა ვქნათ, ძმობილო? დღეს არ მოხერხდება. ეგებ, გრიაზიმდე გაჰყვეთ ამ ეშელონს? კარგი ეშელონია, დილით იქ იქნებით.

იქნებ, დასთანხმებოდა კიდეც, მაგრამ დიგინმა უკვე შეამჩნია ლეიტენანტის სუსტი მხარე.

— არ წავალ. დამატუსაღეთ. არ წავალ, — თქვა მან.

ამ დროს კარის მინაზე დააკაკუნეს. ვიღაც ახოვანი კაცი იდგა იქ. ეხურა შალის ფართო კეპკა, სახეზე ნაყვავილარი ეტყობოდა. იგი თავაზიანად ითხოვდა შემოსვლის ნებას.

— შემობრძანდით! — დაიძახა ზოტოვმა და ყურმილის სარქველს დააწვა: — კეთილი, გუსკოვ, დადე ყურმილი, მოვიფიქრებ.

კარსიქით მდგომმა კაცმა, ეტყობა, ვერ გაიგონა ნათქვამი, ოდნავ შემოაღო კარი და ერთხელ კიდევ იკითხა:

— შეიძლება შემოვიდე?

ზოტოვი გააკვირვა მისმა ხმამ — ლაპარაკობდა მდიდრული, დაბალი, კეთილშობილური ტონით, რომელშიც არ იგრძნობოდა თავმოწონება. ეცვა რაღაც გრძელკალთებიანი, მაგრამ მოკლესახელოებიანი სამოქალაქო სქელი გახუნებული ქურთუკი, ფეხზე კი წითელარმიელის ყელიანი წაღები ეცვა. ხელში ეჭირა ასევე წითელარმიული პატარა გაქონილი ზურგჩანთა. შემოსვლისას მეორე ხელით კეპკა ოდნავ ასწია და ორივეს მიესალმა:

— გამარჯობათ!

— გაგიმარჯოს.

უცნაურად კი ეცვა, მაგრამ საკმაოდ რიგიანად. მან თავაზიანად იკითხა:

— მიბრძანეთ, გეთაყვა, ვინ არის აქ სამხედრო კომენდანტი?

— მორიგე თანაშემწე მე ვარ.

— ეტყობა, თქვენთან მქონია საქმე.

კაცმა მიმოიხედა, ეძებდა ადგილს თავისი დამტვერილი (მგონი, ნახშირითაც) ჭრელი კეპკისათვის. ვერ მოძებნა, კეპკა იდაყვქვეშ ამოიდო და მეორე ხელით თავისი მაუდის ქურთუკის სწორება დაიწყო. ამ ქურთუკს საყელო მოგლეჯილი ჰქონდა და შიშველ ყელს შალის თბილი შარფი უფარავდა. ქურთუკი რომ გაიხსნა, შიგნით გამოჩნდა ძალზე გახუნებული, ჭუჭყიანი ნითელარმიული საზაფხულო სამოსი.

— მოითმინეთ, ცოტა მოითმინეთ, — თქვა ზოტოვმა და თვალმოწკურული მიაჩერდა დაღვრემილ დიგინს. — რის უფლებაც მაქვს, იმას გაგიკეთებ: ახლავე მოვხსნი შენს ვაგონებს. დილის ათ საათზე მიიღებ სურსათს...

— გმადლობთ, — თქვა დიგინმა და ცრემლმორეული თვალებით შეხედა.

— მადლობა იქით იყოს და ეს ნებადართული არ არის. ასეთ კარგ ეშელონს მიჰყვები. ახლა რა ვიცი, რომელს გაგაყოლებენ!

— უკვე ორი კვირაა, მოვბობღავთ. ერთი დღეღამე გინდ აქეთ იყოს, გინდ იქით. აი, ჩემს ტვირთს ვხედავ კიდეც, — გამოცოცხლდა დიგინი.

— არაა, -- თითი გააქნია ზოტოვმა. — მე და შენ ვერ გავუგებთ ერთმანეთს. — მან ალმაცერად გახედა უცხო კაცს, ახლოს მივიდა დიგინთან და უთხრა: რაკი შენს ტვირთს ხედავ, იმაზეც იფიქრე, იმ შენი ნიჩბებით რამდენი სანგრის გათხრა შეიძლება. მთელ ორ დივიზიას ეყოფა! სანგარში ჩაძრომა კი იმას ნიშნავს, რომ ცოცხალი გადარჩები. ოცი ათასი ნიჩაბი ოცი ათასი წითელარმიელის სიცოცხლეს უდრის. ასე არ არის?

ზოტოვმა კვლავ გაიხედა ალმაცერად. შემოსულმა იგრძნო, რომ ხელს უშლის ამათ, კედლისკენ წავიდა, შებრუნდა და თავისუფალი

ხელი ხან ერთ ყურზე მიიფარა, ხან — მეორეზე, არა, უბრალოდ კი არ მიიფარა — ყურებს ითბობდა.

— რაო, გაიყინეთ? — ხმამაღლა გაიცინა ზოტოვმა.

ის კაცი ღიმილით შემობრუნდა:

— საშინლად აცივდა, ხომ იცით. ძლიერ უბერავს, თანაც რაღაც ნესტიანი ქარია.

ეს გაუპარსავი ახირებული კაცი ძალზე სიმპათიურად, სულისშემძვრელად იღიმებოდა. არც მებრძოლს ჰგავდა იგი და არც სამოქალაქო პირს.

— აი, — ხელში წინასწარ გამზადებული ქაღალდი ეჭირა, — აი, ჩემი...

— ახლავე, ახლავე. — ზოტოვმა ქაღალდი გამოართვა და ზედ არც დაუხედავს. — თქვენ... დაბრძანდით. აი, ამ სკამზე შეგიძლიათ დაჯდეთ. — ერთხელ კიდევ შეავლო თვალი მის მასხარულ ხიფთანს, მიბრუნდა მაგიდასთან, აკრიფა დაშიფრული დეპეშები და უწყისები, ჩაკეტა სეიფში, ანიშნა დიგინს და მასთან ერთად სამხედრო დისპეტჩერისკენ გაემართა.

პოდშებიაკინა ვიღაცას რაღაცას უმტკიცებდა ტელეფონით, დეიდა ფროსია ღუმელთან ჩაცუცქულიყო და ტანსაცმელს იშრობდა. ზოტოვი მივიდა ვალიასთან, ხელი მოჰკიდა იმ ხელზე, რომლითაც ყურმილი ეჭირა და უთხრა:

— ვალიუშა...

ქალიშვილი მკვირცხლად შემობრუნდა და კეკლუცად შეხედა ზოტოვს — მას მოეჩვენა, რომ კაცმა ალერსით მოჰკიდა ხელი ხელზე და მოეფერა, ტელეფონით ლაპარაკი კი მაინც დაამთავრა:

— პეტროვიჩ, ათას მეორე გავლით მიდის, ჩვენ მასთან არაფერი გვესაქმება. ტამბოვის ხაზზე მიიღე იგი.

— ვალეჩკა, ახლავე გაუშვი დეიდა ფროსია, რომ გადამბმელებს აჩვენოს ეს ოთხი ვაგონი. აი, უმცროსი სურჟანტი ნაჰყვება მას. დისპეტჩერმა უნდა მოხსნას ეს ვაგონები და გასასვლელი ხაზიდან სადმე გადააყენოს დილამდე.

დეიდა ფროსიამ მკაცრი სახე მიღო, ტუჩები მოკუმა და ლეიტენანტისკენ მიტრიალდა.

— კარგი, ვასილ ვასილიჩ, — გაიღიმა ვალიამ. ახლა უმიზნოდ ეჭირა ხელში ყურმილი, სანამ ზოტოვმა თითები არ გაშალა. — ახლავე გავუშვებ.

— მატარებელი კი პირველივე ორთქლმავლით გაუშვი. ეცადე ძალიან.

— კარგი, ვასილ ვასილიჩ, — მხიარულად იღიმებოდა ვალია.

— აი, ყველაფერი რიგზეა! — გამოუცხადა ლეიტენანტმა დიგინს.

დეიდა ფროსიამ მჭედლის საბერველივით დაიქშინა, დაიყიყინა და გასწორდა.

დიგინმა უხმოდ მიიტანა ხელი საფეთქელთან და ასე გაირინდა. იგი არაფრით არ ჰგავდა სამხედრო პირს.

— ახლახან გაგიწვიეს, არა? მუშათა რიგებიდან, ალბათ?

— დიახ. — დიგინი მადლიერი კაცის თვალით უცქერდა ლეიტენანტს.

— მეორე სამკუთხედიც გაიკეთე, — ზოტოვმა ცარიელ საყელოზე მიუთითა.

— არ არის. გატყდა.

ამასობაში დეიდა ფროსიას ლაბადა ჩაეცვა.

— წავიდეთ, საყვარელო! — უთხრა მან დიგინს.

— აბა, გზა მშვიდობისა! — ახლა ზოტოვმა თქვა. — ხვალ სხვა ლეიტენანტი იქნება ჩემს ადგილას, მიანექი მას, რომ გაგამგზავროს.

ზოტოვი დაბრუნდა და თავისი ოთახის კარი შეაღო. მისი შესვლისას მოსული უცხო კაცი სანახევროდ წამოდგა, მაგრამ ისეთნაირად კი, რომ გამოხატა მზადყოფნა — თუ საჭიროა, ავდგებიო. ზურგჩანთა ახლა იატაკზე იდო და ჭრელი კეპი ზედ ეფარა.

— იჯექით, იჯექით, — ზოტოვი მაგიდას მიუჯდა. — აბა, ვნახოთ, რა არის ეს?

მან გაშალა ქაღალდი.

— მე... ეშელონს ჩამოვრჩი, — დანაშავესავით გაიღიმა მოსულმა.

ზოტოვმა წაიკითხა ქაღალდი. ეს იყო რიაჟსკის სამხედრო კომენდანტის ცნობა, რომელიც იუწყებოდა — ეს კაცი თავის ეშელონს

ჩამორჩა და უნდა დაეწიოსო. ლეიტენანტი აკვირდებოდა უცნობს და საკონტროლო შეკითხვებს აძლევდა:

— რა გვარი ხართ?

— ტვერიტინოვი.

— რა გქვიათ?

— იგორ დემენტიევიჩი.

— ორმოცდაათ წელზე მეტისა ხართ?

— არა, ორმოცდაცხრისა ვარ.

— რა ნომერია თქვენი ეშელონი?

— წარმოდგენა არა მაქვს.

— როგორ, ნომერი არ გამოგიცხადეს?

— არა.

— აბა, აქ რომ წერია? ეს ნომერი თქვენ უთხარით კომენდანტს?

(ეს ნომერი იყო 245413-ე — იმ ეშელონის ნომერი, წინღამით რომ გაუშვა ზოტოვმა).

— არა, მე რიაჟსკში ვთქვი ის, თუ საიდან და როდის გამოვიდა ჩემი ეშელონი და კომენდანტმა, ალბათ, თვითონ ივარაუდა.

— სად ჩამორჩით ეშელონს?

— სკოპინში.

— როგორ მოხდა ეს?

— გულახდილად რომ ვთქვათ... — სინანულის ღიმილმა შესძრა ტვერიტინოვის სქელი ტუჩები, — რაღაც ნივთების რამე საჭმელზე გადასაცვლელად წავედი... ეშელონი კი წასულა. ახლა ისე მიდიან, არც საყვირს დააბღავლებენ, არც ზარს რეკავენ, არც რადიოთი აცხადებენ.

— როდის იყო ეგ?

— გუშინწინ.

— ვერ მოასწრებთ, რომ დაეწიოთ?

— ეტყობა, ვერ მოვასწრებ. თანაც, რით უნდა დავეწიო? ბაქანზე წვიმს, პლატფორმაზე საშინელი ორპირი ქარია, არც გუშაგები გაგაჩერებენ იქ; თბილანებში არ გვიშვებენ: ან უფლება არ აქვთ, ან ადგილი არ მოეძევებათ. საბარგოებია და — როცა უკვე დაიძვრება, დაჯდომას ვერ მოასწრებ, როცა დგას, მაინც ვერ დაჯდები — არ

იცი, საით მიდის. ვერც შეეკითხები ვინმეს — ჯაშუში ეგონები, მით უფრო — ჩემი სამოსის პატრონი. საერთოდაც საშიშია ჩვენში შეკითხვების დასმა.

— ომია, რა თქმა უნდა, არ შეიძლება.

— ომამდეც ასე იყო.

— ჰო, რა ვიცი, არ შემიმჩნევია.

— იყო, — ოდნავ თვალები მოჭუტა ტვერიტინოვმა. — ოცდაჩვიდმეტის შემდეგ ასეა...

— ოცდაჩვიდმეტი რა? — გაუკვირდა ზოტოვს. — რა მოხდა ოცდაჩვიდმეტში? ესპანეთის ომი?

— არა, კაცო... — კვლავ დამნაშავესავით გაიღიმა ტვერიტინოვმა და თვალები დახარა.

ყელზე მოხვეული შარფი გაიშალა და მისი ბოლოები ქამრის ქვემოთ ჩამოეშვა.

— რატომ ფორმის სამოსი არ გაცვიათ? თქვენი შინელი სადაა?

— შინელი არ მერგო, არ მოუციათ, — გაიღიმა ტვერიტინოვმა.

— ჰოოო... — ზოტოვი ჩაფიქრდა. — უნდა გითხრათ, რომ საკმაოდ ჩქარა მოგიღწევიათ ჩვენამდე. გუშინ დილით რიაჟსკის კომენდანტთან იყავით, დღეს საღამოს უკვე აქა ხართ. როგორ და რით მოდიოდით?

ტვერიტინოვი სრული ნდობით შესცქეროდა ზოტოვს. ზოტოვსაც ძალიან მოეწონა მისი ლაპარაკის მანერა: მზად იყო შეჩერებულიყო, თუ თანამოსაუბრეს შეკამათება სურდა; ხელებს არ იქნევდა, მხოლოდ თითების ნელი მოძრაობით განმარტავდა თავის ნათქვამს.

— ძალიან მწყალობდა ბედი. რომელიღაც სადგურში ნახევარვაგონიდან გამოვძვერი... ამ ორი დღის განმავლობაში თანდათან ავითვისე სარკინიგზო ტერმინოლოგია. აი, „ნახევარვაგონი", მაგალითად, მე მეგონა, რომ მას რაღაც მაინც უნდა ჰქონდეს ვაგონის, თუნდაც ნახევარსახურავი. კიბით ავძვერი ნახევარვაგონში, იქ კი რკინის ორმო დამხვდა — ვერსად დაჯდები, ვერც მიეყუდები რამეს, ადრე იქ ნახშირი ყოფილა და მტვრის ბუღი დგას. საშინელ დღეში ჩავვარდი. ახლა გაწვიმდა კიდეც...

— და ეგ არის ბედის წყალობა? — გადაიხარხარა ზოტოვმა. — არ მესმის თქვენი. სულ გათხვრილი გაქვთ ტანსაცმელი!

— ბედის წყალობა ის იყო, რომ ნახევარვაგონიდან გამოძრომის შემდეგ გავიბერტყე, პირი დავიბანე და რას ვხედავ: სამხრეთისაკენ მიმავალ ერთ შემადგენლობას ორთქლმავალი ჩაუბეს. გავიქეცი მატარებლის გასწვრივ — არ არის არცერთი თბილანა, თანაც ყველა კარი დალუქულია. ამ დროს უცებ დავინახე: ცივი ვაგონიდან ერთი ამხანაგი გამოძვრა, გვერდზე მიდგა, მოილია საჭირო საქმე და უკანვე შედის. მეც შევყევი. იქ კი, წარმოგიდგენიათ? — მთელი ვაგონი ბამბის საბნებითაა სავსე!

— დალუქული არ არის?

— არა! ალბათ, თავიდან ათ-ათი ან ხუთ-ხუთი დასტებად იყო შეკრული, ახლა კი ბევრი დასტა გახსნილია და ნეტარებაა მათში ჩაფლობა. რამდენიმე კაცს სძინავს კიდეც.

— უჰ, უჰ, რა კარგია!

— სამ თუ ოთხ საბანში გავეხვიე და მთელი დღეღამე დიდებულად, ტკბილად მეძინა. არ ვიცი, ვიდექით თუ მივდიოდით. მით უფრო, რომ მესამე დღეა, ულუფა არ მოუციათ — მეძინა და მეძინა, სულ დამავიწყდა ომი, გარემოცვა... ნათესავები ვნახე სიზმარში...

გაუპარსავი მოთენთილი სახე გაუნათდა კაცს.

— სდექ! — სკამიდან წამოხტა ზოტოვი. — ეს ის შემადგენლობაა... იმით მოხვედით?! როდის მოხვედით?

— აი, რამდენიმე წუთი იქნება... პირდაპირ თქვენთან მოვედი.

ზოტოვი კარებს მივარდა, მძლავრად გამოაღო და გავიდა:

— ვალია! ვალია! აი, ბალაშოვისკენ მიმავალი, ათას რომელიღაც...

— ათას მეორე.

— კიდევ აქ არის?

— წავიდა.

— ზუსტად იცი?

— ზუსტად.

— აჰ, ეშმაკმა დალახვროს! — თავზე ხელი წაივლო. — ვსხედვართ აქ ეს წყეული ბიუროკრატები, ქალალდებს ვალაგებთ აქეთ-

იქით, ვერაფერს ვხედავთ, მუქთად ვჭამთ პურს! აბა ერთი, მიჩურინსკ — ურალსკი გამოიძახე!

ზოტოვი კვლავ შემოვარდა და ტვერიტინოვს ჰკითხა:

— ვაგონის ნომერი გახსოვთ?

— არა, — გაიღიმა ტვერიტინოვმა.

— ორღერძიანი ვაგონია თუ ოთხღერძიანი?

— არ მესმის, რას ნიშნავს ეგ.

— როგორ არ გესმით! დიდია თუ პატარა? რამდენტონიანია?

— როგორც სამოქალაქო ომის დროს ამბობდნენ: „ორმოცი კაცი, რვა ცხენი“.

— მაშასადამე, თექვსმეტტონიანი ყოფილა. ბადრაგა ახლდა?

— მგონი არა.

— ვასილ ვასილიჩ! — დაიყვირა ვალიამ. — ხაზზეა სამხედრო დისპეტჩერი. თქვენ კომენდანტი გნებავთ?

— კომენდანტი იქნებ არც იყოს საჭირო; შესაძლებელია, სამხედრო ტვირთი არც არის.

— მაშინ ნება მომეცით, მე თვითონ გავარკვევ.

— გაარკვიე, ვალეჩკა! შესაძლებელია ეს საბნები ევაკუაციაში მიაქვთ, ეშმაკმა იცის მათი თავი! ყურადღების მიქცევაა საჭირო. იპოვონ ის ვაგონი, დაადგინონ, ვისია ტვირთი, შეადგინონ აქტი, დალუქონ — ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, გაარკვიონ!

— კეთილი, ვასილ ვასილიჩ.

— ასე, გეთაყვა, ვალეჩკა. დაუფასებელი მუშაკი ხართ პირდაპირ — ვალიამ გაიღიმა და მიჩურინსკ-ურალსკი გამოიძახა.

ზოტოვმა კარები დახურა და ხელების ფშვნეტით ოთახში გაიარ-გამოიარა. ღელავდა.

— ვეღარ ავუდივართ საქმეს, დამხმარესაც არ იძლევიან. სულ ადვილად შეიძლება, ეს საბნები მოიპარონ. იქნებ, უკვე არის დანაკლისი.

ტვერიტინოვი მოთმინებით ელოდა. მან ნაღვლიანად მიმოიხედა ირგვლივ: თვალი შეავლო ფარდებს, რკინიგზის მარშლის მუნდირში გამოწყობილი კაგანოვიჩის ფერად პორტრეტს, ღუმელს, ვედროს, აქანდაზს...

ლეიტენანტმა სათვალე გაიკეთა და კვლავ ჩააცქერდა რიაჟსკის კომენდანტის მიერ გაცემულ ცნობას. კაცმა რომ თქვას, ეს ცნობა ნამდვილი დოკუმენტი არც იყო. იგი განმცხადებლის ნათქვამის მიხედვით იყო დაწერილი და შეიძლება სიმართლეს შეიცავდა, შეიძლება — სიცრუეს. ტვერიტინოვი ვერ დაასაბუთებდა, რომ იგი სწორედ სკოპინში ჩამორჩა ეშელონს. შეიძლება პაველეცში მოხდა ეს? ისიც შეიძლება, ამ ხნის განმავლობაში მოსკოვში ან სადმე სხვაგანაც იყო რაღაც დავალების შესასრულებლად? მაგრამ მის სასარგებლოდ ლაპარაკობდა ის, რომ ასე სწრაფად მოაღწია აქამდე. თუმცა არც იმის გარანტია არსებობს, რომ სწორედ ამ ეშელონში იყო.

— ესე იგი ახლა თბილად მგზავრობდით?

— რა თქმა უნდა. ასე დიდი სიამოვნებით ვიმგზავრებდი ამის იქითაც.

— რატომლა ჩამოხვედით ვაგონიდან?

— თქვენთან რომ გამოვცხადებულიყავი. ასე მიბრძანეს რიაჟსკში.

ტვერიტინოვს დიდი თავი ჰქონდა და ამ თავის სხვა ნაწილებიც დიდი იყო: მაღალი და ფართო შუბლი, ხშირი წარბები, დიდი ცხვირი. ნიკაპსა და ლოყებს კი თანაბრად მოსდებოდა ჭაღარანარევი ჯაგარი.

— როგორ მიხვდით, რომ ეს კოჩეტოვკაა?

— ერთ ქართველს ეძინა ჩემს გვერდით, იმან მითხრა.

— სამხედრო იყო? რა წოდება ჰქონდა?

— არ ვიცი, მხოლოდ თავი გამოყო საბნიდან.

ტვერიტინოვის პასუხებს თანდათან დაეტყო რაღაც ნაღვლიანი კილო — თითქოს ყოველი პასუხის გაცემისას რაღაცას კარგავდა იგი.

— მაშ, ასე, — ზოტოვმა გვერდზე გადადო ქაღალდი. — კიდევ რა დოკუმენტები გაქვთ?

— არავითარი, — ნაღვლიანად გაიღიმა ტვერიტინოვმა. — საიდან უნდა მქონდეს დოკუმენტები?!

— სულ არაფერი?

— გარემოცვაში რომ ვიყავით, განგებ მოვსპეთ, ვისაც რა საბუთი გვქონდა.

— მაგრამ ახლა, საბჭოთა ტერიტორიაზე რომ მიგიღეს, ხომ უნდა მოეცათ რაღაც ქაღალდი?

— არაფერი არ მოუციათ. შეადგინეს სიები, დაგვანაწილეს ორმოცკაციან ჯგუფებად და გამოგვამგზავრეს.

ალბათ, ასეც უნდა ყოფილიყო. სანამ კაცი არ ჩამორჩენილა, იგი იმ ორმოცეულის წევრია და დოკუმენტები არც სჭირდება. მაგრამ ზოტოვს მაინც უნდოდა, თავისი უნებური კეთილგანწყობა ამ ზრდილობიანი და გონიერი კაცისადმი რაიმე მატერიალური საბუთით განემტკიცებია.

— აი, ქაღალდისგან დამზადებული რამე არაფერი გიდევთ ჯიბეში?

— აი, მხოლოდ... ფოტოსურათები მაქვს. ოჯახის წევრების ფოტოსურათები.

— მაჩვენეთ! — კი არ მოსთხოვა, არამედ სთხოვა ზოტოვმა.

ტვერიტინოვმა ოდნავ ასწია წარბები. მან კვლავ გაიღიმა დაბნეულად და გიმნასტურის ჯიბიდან ნარინჯისფერი სქელი ქაღალდის ბრტყელი შეკვრა ამოიღო, დაიდო მუხლებზე, გახსნა, აიღო ორი სურათი, ჯერ თვითონ დახედა ორივეს, შემდეგ წამოიწია, რომ კომენდანტს მიაწოდოს სურათები. მისი სკამი მაგიდასთან ახლოს იდგა, ზოტოვი გადაიხარა და სურათები გამოართვა. იგი ათვალიერებდა სურათებს, ტვერიტინოვი კი ნელში გასწორდა და ისიც ცდილობდა, შორიდან მაინც მოეკრა თვალი მათთვის.

ერთერთი სურათი გადაღებული იყო პატარა ბაღში მზიან დღეს, ალბათ, ადრეულ გაზაფხულზე (ამას მიანიშნებდა პაწაწინა ფოთლები). სურათზე აღბეჭდილი იყო თოთხმეტიოდე წლის გოგონა, რომელსაც საყელო გაეხსნა და გამხდარი გრძელი კისერი მოუჩანდა. რაღაც სევდის გამომხატველი სურათი იყო.

გოგონა ძალიან მოეწონა ზოტოვს. გაიღიმა.

— რა ჰქვია ამას? — ხმადაბლა ჰკითხა მან.

— ლიალია, — კიდევ უფრო ხმადაბლა უპასუხა კაცმა. — შემდეგ ქუთუთოები ასწია და შეასწორა ნათქვამი: — ირინა.

-- როდის არის ეს სურთი გადაღებული?

— ამ წელიწადში.

— სად?

— მოსკოვის მახლობლად.

ნახევარი წელიწადი გასულა მას შემდეგ! ათეული ათასობით ლულამ დაიქუხა ამ ხნის განმავლობაში, მილიონობით ადამიანი მოჰყვა წყეულ კარუსელში — ზოგი ქვეითად გამორბოდა ლიტვიდან, ზოგი მატარებლით მოდიოდა ირკუტსკიდან. და ახლა აქ, კოჩეტოვკაში, როგორ გინდა ირწმუნო, რომ ისევ არსებობს ის ბაღი და ის გოგონა!

მეორე სურათზე ქალი და პატარა ბიჭი დივანზე სხედან და სურათებიან დიდ წიგნს ათვალიერებენ. დედაც გოგონასავით გამხდარი იყო, შვიდი წლის ბუთხუზა ბიჭი ბრძნული გამომეტყველებით წიგნს კი არა, უყურებდა დედას, რომელიც რაღაცას განუმარტავდა. ბიჭსაც ისეთივე დიდი თვალები ჰქონდა, როგორიც მამამისს.

კარგი ოჯახი ჩანდა, რჩეული. ზოტოვი არასოდეს ყოფილა ასეთ ოჯახში, მაგრამ ტრეტიაკოვის გალერეის დათვალიერების, თეატრში ყოფნის თუ წიგნის კითხვის შედეგად მის მეხსიერებაში ჩარჩენილიყო წარმოდგენა, რომ ასეთი ოჯახები არსებობს. ამ სურათებიდან ზოტოვს სწორედ ისეთი ოჯახების სურნელი სცემდა.

მან სურათები დაუბრუნა პატრონს და უთხრა:

— ეტყობა, დაგცხათ. გაიხადეთ.

— მართლაც დამცხა, — დაეთანხმა ტვერიტინოვი და მაუდის გიმნასტურა გაიხადა. მიიხედ-მოიხედა — დასადებ ადგილს ეძებდა.

— აი, დივანზე დადეთ, — მიუთითა ზოტოვმა და ისე წამოიწია, თითქოს მზად იყო, თვითონ გაეკეთებია ეს საქმე.

ახლა კარგად გამოჩნდა ტვერიტინოვის საზაფხულო სამოსი: ალაგ-ალაგ საკერებლები ედო, აქა-იქ გარღვეული იყო, ღილები სხვადასხვანაირი ეკერა. მთელი მისი სამოსი ისეთი იყო, რომ ამ დიდი, ჭაღარა თავის პატრონის აბუჩად აგდებას მოასწავებდა.

ზოტოვი აღარ მალავდა თავის სიმპათიას ამ დინჯი კაცისადმი, რომელიც თავიდანვე მოეწონა არცთუ უსაფუძვლოდ.

— ვინ ბრძანდებით თქვენ? — თავაზიანად ჰკითხა მან.

ტვერიტინოვმა ნაღვლიანად შეახვია სურათები ნარინჯისფერ ქაღალდში და სიცილით უპასუხა:

— არტისტი გახლავართ.

— ააა? — გაუკვირდა ზოტოვს. — მაშინვე უნდა მივმხვდარიყავი ამას! ძალიან ჰგავხართ არტისტს. (ახლა კი სულაც არ ჰგავდა!..)

— დამსახურებული არტისტი, არა?

— არა.

— რომელ თეატრში გამოდიოდით?

— დრამატულში, მოსკოვში.

— მოსკოვში მხოლოდ ერთხელ ვარ ნამყოფი — მხატ-ში, ექსკურსია გვქონდა. ივანოვოში კი ხშირად ვყოფილვარ. ივანოვოს ახალი თეატრი არ გინახავთ?

— არა.

— გარედან — ისე რა, რუხი ყუთია, რკინაბეტონისა, შიგნით კი შესანიშნავია! ძალიან მიყვარდა თეატრში ყოფნა, ეს ხომ გართობა არ არის, თეატრში სწავლობ კიდეც. ასე არ არის?

(რა თქმა უნდა, ეშელონის თაობაზე აქტების შედგენა საჩქარო საქმე იყო, ეს საქმე უნდა მოეგვარებია, მაგრამ ამას მთელი ორი დღე დასჭირდებოდა. აქ კი გაჩნდა საცდური — გაიცნოს და ცოტა ხანს უსაუბროს დიდ არტისტს!)

— რა როლებს ასრულებდით?

— ბევრი შემისრულებია, — არც ისე ხალისიანად გაიღიმა ტვერიტინოვმა. — ვერც კი ჩამოთვლი.

— არა, მაინც რომელი, მაგალითად?

— ჰო... პოდპოლკოვნიკი ვერშინინი... დოქტორი რანკი...

— ჰმ... ჰმ... (ზოტოვს ასეთი როლები არ ახსოვდა) — გორკის პიესებში არ გითამაშიათ?

— რა თქმა უნდა, უთუოდ.

— მე ყველაზე მეტად გორკის პიესები მიყვარს. საერთოდ — გორკი მიყვარს. ის ყველაზე ჭკვიანი, ყველაზე ჰუმანური, ყველაზე დიდი მწერალია. არ მეთანხმებით?

ტვერიტინოვმა წარბები მოჭმუხნა — პასუხს ეძებდა, ვერ მიაგნო და არაფერი უთქვამს.

— მგონია, თქვენი გვარიც კი მეცნობა. თქვენ დამსახურებული არა ხართ?

— დამსახურებული რომ ვიყო, — ხელები ოდნავ გაშალა ტვერიტინოვმა, — ახლა აქ არ ვიქნებოდი, ალბათ.

— რატომ?.. აჰ, გასაგებია, არ გაგიწვევდნენ.

— არც გავუწვევივართ. ჩვენ ლაშქარში ჩავეწერეთ მოხალისედ.

— ალბათ, დამსახურებულნიც მოხალისედ ჩაეწერნენ?

— ჩაეწერა ყველა, მთავარი რეჟისორების მეთაურობით. მაგრამ შემდეგ ვიღაცამ რომელიღაც ნომრის ქვეშ ხაზი გაავლო და ხაზის ზემოთ ვინც მოხვდა — დარჩნენ, ხაზის ქვემოთ ვინც იყო — წამოვედით.

— სამხედრო წვრთნა ჩაგიტარეს?

— რამდენიმე დღეს ხიშტით ბრძოლას გვასწავლიდნენ ჯოხებით. ხის ყუმბარებსაც ვისროდით.

— შემდეგ იარაღიც მოგცეს?

— დიახ, გზაშივე გვაჩეჩებდნენ შაშხანებს — ოთხმოცდათერთმეტი წლის ნიმუშისას. ფეხით ვიარეთ ვიაზმამდე, ვიაზმასთან კი ხოცვა-ულეტაში მოვყევით.

— და ბევრი დაიღუპა?

— მე მგონია, უფრო მეტი ტყვედ ჩავარდა. ჩვენი პანაწინა ჯგუფი გარემოცვიდან მომავალ ფრონტელებს შეუერთდა და სწორედ მათ გამოგვიყვანეს. ახლა არც კი ვიცი, სად არის ფრონტი? თქვენ რუკა გაქვთ?

— რუკა არ გაქვს, ბევრი ცნობა ბუნდოვანია, მაგრამ ზოგი რამ შემიძლია გითხრათ: სევასტოპოლი ჩვენია, ტაგანროგი ჩვენს ხელთაა, დონბასსაც ვინარჩუნებთ. აი, ორიოლი და კურსკი კი იმათ ხელშია.

— ოი, ოი, ოი!.. მოსკოვთან რა ამბავია?

— იქაური ამბავი განსაკუთრებით გაურკვეველია. მგონი, გარეუბნებს უწიეს; ლენინგრადის გზა ჩაკეტილია...

ზოტოვი იტანჯებოდა, შუბლსა და თვალებზე ნაოჭები გაუჩნდა.

— ვერ იქნა და ვერ მოვხვდი ფრონტზე!

— მაგასაც მოესწრები.

— ალბათ, იმიტომ, რომ ეს ერთწლიანი ომი არ არის.

— თქვენ სტუდენტი იყავით?

— დიახ. ომის პირველ დღეებში ვიცავდით დიპლომს, მაგრამ რა დაცვა იყო ეს! ჩვენ რომ ინსტიტუტში შევედით, ფრანკომ ატეხა ჯანყი! შემდეგ ავსტრია ჩაბარდა! ჩეხოსლოვაკიაც! იქ მსოფლიო ომი ატყდა! აქ ფინეთის ომი გაჩაღდა! ჰიტლერი შეიჭრა საფრანგეთში! საბერძნეთში! იუგოსლავიაში!.. რა გულით უნდა შეგვესწავლა საფეიქრო მანქანები?! მაგრამ ეს არ არის მთავარი. დიპლომის დაცვისთანავე ბიჭები მოტორიზაცია-მექანიზაციის აკადემიის კურსებზე გაგზავნეს, მე გამომტოვეს თვალების გამო — ძალიან ბეცი ვარ. მაინც ყოველდღე ვაკითხავდი სამხედრო კომისარიატს. ოცდაჩვიდმეტი ნლიდანვე მქონდა გამოცდილება. მხოლოდ იმას მივაღწიე, რომ საინტენდანტო აკადემიის საგზური მომცეს. რაღას ვიზამდი! ამ საგზურით გავიარე მოსკოვში და თავდაცვის სახალხო კომისარიატს მივაკითხე. იქ გამომკითხა ერთმა მოხუცმა პოლკოვნიკმა, რომელსაც პორტფელი შეეკრა და ძალიან მიეჩქარებოდა სადღაც. მაშ, ინჟინერ კაცს ინტენდანტობა არ გინდაო? დიპლომი მომთხოვა, მე კი არ მქონდა იგი... „კარგი, ერთ შეკითხვას მოგცემ, თუ მიპასუხებ, ინჟინერი ყოფილხარო. რა არის მრუდმხარა?" მე მაშინვე ზუსტად ვუპასუხე. პოლკოვნიკმა გადახაზა „საინტენდანტო" და წააწერა: „სატრანსპორტო აკადემიაში", დაავლო პორტფელს ხელი და გაიქცა. გავიხარე და როგორ! მაგრამ სატრანსპორტოში რომ მივედი, აღმოჩნდა, მიღება არ არის, მხოლოდ სამხედრო კომენდანტების კურსებია. მრუდმხარამაც ვერ მიშველა!..

ვასიამ იცოდა, რომ ახლა ლაყბობის, მოგონებების დრო არ არის, მაგრამ ვერ გაუძლო ცდუნებას, რადგანაც ძალიან იშვიათად ეძლეოდა შემთხვევა — სული მოეთქვა ყურადღებიან ინტელიგენტ კაცთან საუბრით.

— ალბათ, ენევით, — გაახსენდა ვასიას. — მოსნიეთ, იგორ დემენტიევიჩ. აი თუთუნი, აი ქაღალდი — მაძლევენ მას, მე კი არ ვეწევი.

— ვეწევი, — გამოტყდა იგორ დემენტიევიჩი და სახე გაუბრწყინდა მომავალი სიამოვნების მოლოდინში. წამოიწია, დაიხარა თუთუნის დასტისაკენ და მაშინვე გახვევა კი არ დაიწყო, ჯერ დაყნოსა

და ნეტარებით დაიკვნესასავით. შემდეგ თუთუნის სახელწოდება ნაიკითხა და თავი დაატრიალა:

— სომხური ყოფილა!

გაახვია მსხვილი პაპიროსი, აუსვა ენა და ვასიამ ანთებული ასანთი მიაწოდა.

— იქ, ბამბის საბნებში, არავინ ეწევა? — დაინტერესდა ზოტოვი.

— არ შემიმჩნევია, — ნეტარებით გააბოლა იგორ დემენტიევიჩმა. — ეტყობა, არავის ჰქონდა თუთუნი.

— აი, ოცდაჩვიდმეტი რატომ ახსენეთ ნეღან? — მიამიტად ჰკითხა ტვერიტინოვმა.

— ხომ გახსოვთ იმ წლების ვითარება! — მგზნებარედ ჰყვება ვასია. — ესპანეთში ომია! საუნივერსიტეტო ქალაქში ფაშისტები არიან. ინტერბრიგადა! გვადალახარა, ხარამა, ტერუელი! რა გული გაგიძლებს?! ჩვენ ვითხოვდით, ესპანური ენა გვასწავლეთო, არა — გვასწავლიდნენ გერმანულს. ვიშოვე სახელმძღვანელო, ლექსიკონი და ესპანურის შესწავლა დავიწყე. მივაკითხე სამხედრო კომისარიატის მეოთხე ნაწილის უფროსს, მესამე, მეორე, პირველი ნაწილის უფროსებს, ვითხოვ — ესპანეთში გამგზავნეთ-მეთქი. იცინიან: შენ ხომ არ გაგიჟებულხარო, იქ ჩვენიანი არავინ არის, რა უნდა გააკეთო იქაო... ვხედავ, რომ მოწევა გიყვართ, წაიღეთ ეგ თუთუნი მთლიანად, სულერთია, მაინც ვინმეს უნდა მივცე. ბინაშიც მაქვს კიდევ. ჩაიდეთ ჩანთაში და წაიღეთ, გამოგადგებათ გზაში... და უცებ „კრასნაია ზვეზდაში“ ვკითხულობ ფრანგი ჟურნალისტის სიტყვებს: „გერმანიასა და სსრ კავშირს ესპანეთი საცდელ პოლიგონად მიაჩნიათ“. დიდი კირკიტა კაცი ვარ მე. ვინათხოვრე ბიბლიოთეკიდან გაზეთის ეს ნომერი, ვიცადე სამ დღეს — უარყოფას ხომ არ გამოაქვეყნებენ-მეთქი. არა, არ უარუყვიათ. მაშინ მივედი თვითონ სამხედრო კომისართან, ვაჩვენე გაზეთი და ვეუბნები: „ფაქტია, რომ ჩვენ ვიბრძვით იქ. გთხოვთ გამგზავნოთ ესპანეთში რიგით მსროლელად“. კომისარმა ხელი დაჰკრა მაგიდას: „პროვოკაციას ნუ მიწყობთ აქ! ვინ მოგაგზავნათ? თუ საჭირო იქნება — დაგიძახებთ. ახლა კი ზურგისაკენ“!

ამის გახსენებაზე ვასიამ გულიანად გაიცინა. იგი ძალიან თავისუფლად გრძნობდა თავს ამ არტისტთან და უნდოდა ეამბნა მისთვის, რომ ჩვენთან ჩამოვიდნენ ესპანელი მეზღვაურები, მათთან შეხვედრისას საპასუხო სიტყვა ესპანურად წარმოვთქვიო, გამოეკითხა, რა ვითარება იყო გარემოცვაში ყოფნისას, ესაუბრათ ომის მიმდინარეობაზე, მაგრამ...

კარი შემოაღო პოდშებიაკინამ.

— ვასილ ვასილიჩ! დისპეტჩერი გვეკითხება: თქვენ რამე საქმე ხომ არა გაქვთ შვიდას ოთხმოცდამეთოთხმეტესთან? თუ არა — გავუშვებთ მას.

ზოტოვმა გრაფიკს დახედა:

— ეგ რომელია, პოვორინოსკენ რომ მიდის?

— დიახ.

— ის უკვე აქ არის?

— ათი წუთის შემდეგ ჩამოდგება.

-- იქ ჩვენი ტვირთი ცოტა უნდა იყოს. კიდევ რა არის იქ?

— სამრეწველო ტვირთია და რამდენიმე სამგზავრო თბილანა.

— აჰა, ძალიან კარგია! ძალიან კარგი! იგორ დემენტიევიჩ, აი, ამ მატარებლით გაგამგზავრებთ. იგი ძალიან ხელსაყრელია თქვენთვის, გადმოსვლა არ დაგჭირდებათ. არა, ვალეჩკა, ჩემი ტვირთი იქ ხელუხლებელია, შეიძლება გაუშვათ. მიიღონ ეს მატარებელი, რაც შეიძლება, ახლოს, პირველ ან მეორე ლიანდაგზე. ასე უთხარი.

— კეთილი, ვასილ ვასილიჩ.

— აი, საბნების შესახებ შეატყობინე ყველაფერი?

— ყველაფერი ზუსტად, ვასილ ვასილიჩ.

ვალია ნავიდა.

— იმასლა ვნანობ, რომ საჭმელი არაფერი მაქვს თქვენთვის, ორცხობილაც კი აღარ დარჩა ყუთში. — ზოტოვმა მაინც გამოსწია ყუთი — ეგებ, ცოტა არის დარჩენილიო. თავისი ულუფა პური უკვე შეჭმული ჰქონდა. — თქვენ ხომ არაფერი გიჭამიათ მას შემდეგ, რაც მატარებელს ჩამორჩით.

— თუ ღმერთი გწამს, მაგაზე ნუ ნუხხართ, ვასილ ვასილიჩ. ისედაც უსაზღვროდ მადლობელი ვარ თქვენი. კეთილი კაცი ბრძანდებ-

ით. თქვენ გამითბეთ სულიც და ხორციც. ამ დუხჭირ დროში ეს ძალიან დასაფასებელია. ახლა ის მიბრძანეთ, გეთაყვა, საით გამამგზავრებთ და რა უნდა ვქნა ამის შემდეგ.

— ჯერ გრიაზიში ჩახვალთ, — კმაყოფილებით განუმარტა ზოტოვმა. — სანანური ის არის, რომ რუკა არა მაქვს. იცით, სად არის ეს გრიაზი?

— მგონი, სახელწოდება გამიგონია, მაგრამ ის კი არ ვიცი, სად არის.

— ეს ცნობილი სადგურია. თუ იქ დღისით ჩახვედით, ეს ცნობა — აი, მე აღვნიშნე მასზე, რომ ჩემთან იყავით — მიუტანეთ სამხედრო კომენდანტს, იგი განკარგულებას გასცემს და პროდპუნქტიდან ორი დღის ულუფას მიიღებთ.

— დიდად მადლობელი ვარ.

— თუ ღამე იქნა, არ გადმოხვიდეთ, იჯექით ვაგონში, ამ ეშელონს არ ჩამოსცილდეთ! გრიაზიდან თქვენი მატარებელი პოვორინოსკენ წავა. პოვორინოშიც მხოლოდ პროდპუნქტს მიაკითხეთ, არ ჩამორჩეთ მატარებელს! მიხვალთ არჩედამდე, იქ დაგხვდებათ თქვენი ეშელონი 245413-ე.

ზოტოვმა დაუბრუნა ტვერიტინოვს თავისი ქაღალდი. მან ჩაიდო ქაღალდი გიმნასტურის ჯიბეში და ზოტოვს ჰკითხა:

— არჩედა? არასდროს მსმენია ეს სახელი. სად არის იგი?

— სტალინგრადთან.

— სტალინგრადთან, — თავი დაიქნია ტვერიტინოვმა, შუბლი შეიჭმუხნა, თავს ძალა დაატანა და კვლავ ჰკითხა: სტალინგრადი... ნინათ რა ერქვა მას?

გაოცდა და გაბრაზდა ზოტოვი. როგორ შეიძლება ეს?! საბჭოთა ადამიანმა სტალინგრადი არ იცის? ეს ყოვლად შეუძლებელია! ყოვლად! კაცი ვერ დაიჯერებს ამას!

მაგრამ თავი შეიკავა, გაისწორა სათვალე და თითქმის მშვიდად თქვა:

— წინათ ცარიცინი ერქვა.

(გამოდის, რომ ეს კაცი გარემოცვიდან გამოსული არ არის. მოგზავნილია იგი! აგენტია! თეთრემიგრანტია, ალბათ! ამიტომაც აქვს ასეთი მანერები)

— აჰ, მართლა, მართლა, ცარიცინი ერქვა. ცარიცინის თავდაცვა.

(გადაცმული ოფიცერი ხომ არ არის? აკი, რუკაც მოიკითხა! თავისი ტანსაცმლით კი ნამეტანი გადაამლაშა).

ზოტოვს ხიშტივით უჩხვლიტა გულში ამ სიტყვამ — „ოფიცერი", რომელიც მხოლოდ ფიქრად გაივლო (რუსულ მეტყველებაში დიდიხანია გაქრა იგი). ახლაც ფიქრში ჩაეფლო იგი: როგორ მივენდე ალალი გულით და რამდენი რამ ველაპარაკე! ბრიყვი ვარ, ბრიყვი! სად არის სიფხიზლე, სად?! რა ვქნა ახლა, რა ვქნა?

ზოტოვმა დარეკა საველე ტელეფონით. ყურმილი კარგახანს ჰქონდა ყურთან მიტანილი იმ იმედით, რომ კაპიტანი აი, ახლა მიპასუხებსო. მაგრამ იგი არ პასუხობდა.

— ვასილ ვასილიჩ, მაინც მრცხვენია, რომ თამბაქო ნაგართვით.

— არა უშავს, ინებეთ, — არ მიიღო ზოტოვმა ტვერიტინოვის მობოდიშება.

(ვაი დედასა! როგორ მოვადუნე სიფხიზლე! ფეხქვეშ გავეგე მტერს, არ ვიცოდი, როგორ მესიამოვნებინა მისთვის).

— მაშინ ნება მომეცით, ერთხელ კიდევ გავაბოლო თქვენთან, თუ... ხომ არ გავიდე გარეთ?

(გავიდეს?! ცხადია ყველაფერი! მიხვდა, რომ რაღაც შეეშალა და ახლა სურს აითესოს).

— არა, რას ბრძანებთ! აქვე მოსნიეთ. თამბაქოს კვამლი მიყვარს.

(რა მოვიგონო ახლა? როგორ მოვახერხო ეს?)

სამჯერ დაანვა ზუმერს. ყურმილი აიღეს:

— საგუშაგო გისმენთ.

— ზოტოვი გელაპარაკებათ.

— გისმენთ, ამხანაგო ლეიტენანტო.

— სად არის გუსკოვი?

— იგი... გასულია, ამხანაგო ლეიტენანტო.

— რას ჰქვია — გასულია! სად წავიდა? მოაგვარე ისე, რომ ხუთ წუთში ადგილზე იყოს!

(ქალთან წავიდოდა ის არამზადა!)

— არის მოვაგვარო.

(მაინც რა მოვიგონო?)

ზოტოვმა აიღო ქაღალდის ფურცელი და ისე, რომ ტვერიტინოვს არ დაენახა, მსხვილი ასოებით დაწერა: „ვალია! შემოდით ჩვენთან და თქვით, რომ 794-ე ერთი საათით იგვიანებს“.

დაკეცა ქაღალდი, მივიდა კართან, ხელი გაიშვირა და ადგილიდანვე გასძახა:

— ამხანაგო პოდშებიაკინა! აი, გამომართვით. იმ ტრანსპორტის შესახებაა ეს.

— რომელი ტრანსპორტის, ვასილ ვასილიჩ?

— ნომერი აქ წერია.

პოდშებიაკინა განცვიფრდა, ადგა, გამოართა ქაღალდი. ზოტოვი მაშინვე უკან მობრუნდა.

ტვერიტინოვი უკვე იცვამდა.

— მატარებელი ხომ არ გაგვასწრებს? — კეთილმოსურნედ გაიღიმა მან.

— არა, გაგვაფრთხილებენ ამის შესახებ.

ზოტოვმა გაიარ-გამოიარა ოთახში (ტვერიტინოვს თვალს არიდებდა), გაისწორა გიმნასტურა ქამარქვეშ, პისტოლეტი ზურგიდან მარჯვენა თეძოსკენ გადმოსწია. მწვანე ქუდიც შეისწორა თავზე. აღარაფერი დარჩა საკეთებელი და სალაპარაკო, ტყუილის თქმა კი არ ემარჯვებოდა ზოტოვს.

ტვერიტინოვს მაინც ეთქვა რამე, მაგრამ ისიც თავმდაბლურად დუმდა.

ლეიტენანტი შეჩერდა მაგიდასთან, მის კუთხეს დაეყრდნო და თავის თითებს დაჰყურებდა.

(ტვერიტინოვს მომხდარი ცვლილება რომ არ შეემჩნია, საჭირო იყო, ზოტოვს წინანდებურად ეცქირა მისთვის, მაგრამ ვერ მოახერხა ეს).

— მაშ ასე, რამდენიმე დღის შემდეგ დღესასწაული გვაქვს! — თქვა ვასიამ. თქვა და გაფაციცდა.

(აბა, იკითხოს ერთი: **რომელი** დღესასწაული? თუ ეს იკითხა, უკანასკნელი ეჭვიც გაქრება).

მაგრამ სტუმარი ასე გამოეხმაურა:

— აბაა...

ლეიტენანტმა ჯიქურ შეხედა ტვერიტინოვს, რომელიც ეწეოდა და დიდხანს იქნევდა თავს.

— საინტერესოა, პარადი თუ გაიმართება წითელ მოედანზე?

(რა დროს პარადია! ამაზე არც უფიქრია, ისე თქვა დროის გასაყვანად).

კარზე დააკაკუნეს. ვალიამ შემოყო თავი. ტვერიტინოვმა დაინახა იგი და ჩანთას დასწვდა.

— ნება მიბოძეთ, ვასილ ვასილიჩ! შვიდას ოთხმოცდამეთოთხმეტე გადასარბენზე შეაჩერეს. ჩამოდგება ერთი საათის შემდეგ.

— ჰოოო, რა საწყენია! — (თავისი ხმის საზიზღარი სიყალბე თვითონვე სჭრიდა ყურს) — კარგი, ნაბრძანდით, ამხანაგო პოდშებიაკინა.

ვალია თვალს მიეფარა.

ფანჯრის მიღმა, პირველ ლიანდაგზე ორთქლმავლის ნელი სუნთქვა მოისმა — მატარებელი ჩერდებოდა. მინის ძიგძიგიც იგრძნობოდა.

მოვიდა!

— რა ვქნა? — ხმამაღლა თქვა ზოტოვმა. — პროდპუნქტში ვარ წასასვლელი.

— მე გავალ მაშინ, სადმე ვიპოვი ადგილს, გეთაყვა, — ღიმილით თქვა ტვერიტინოვმა; ჩანთა ხელში ეჭირა და უკვე დგებოდა.

ზოტოვმა შინელი ჩამოხსნა ლურსმნიდან.

— რატომ უნდა გაიყინოთ სადღაც? სადგურის დარბაზში ფეხს ვერ დადგამთ ვერსად — იატაკი მწოლიარე ხალხითაა მოფენილი. ჩემთან ხომ არ წამოხვალთ პროდპუნქტში?

ნათქვამი მთლად დამაჯერებელი არ იყო და დაუმატა:

— იქ... იქნებ, იქ რამე საჭმელიც გიშოვოთ.

ტვერიტინოვს სახე გაუბრწყინდა:

— თქვენი გულკეთილობა ყოველგვარ ზღვარს აჭარბებს. აბა, როგორ გთხოვდით ამას!

ზოტოვმა პირი მიიბრუნა, გადახედა მაგიდას, მოსინჯა სეიფის კარი და სინათლე ჩააქრო.

— აბა, წავედით.

კარს რომ კეტავდა, ვალიას უთხრა:

— თუ ტელეგრაფით გამომიძახებენ, უთხარი, რომ მალე მოვალ.

გაიარეს ცივი ბნელი დერეფანი და ბაქანზე გავიდნენ.

პირველ ლიანდაგზე მატარებელი იდგა. 794-ე. ბაქანზე გაჩქარებით მიმოდიოდნენ ნაღვლიანი ადამიანები, უმეტესად ქალები, მიჰყავდათ მტირალი და ჩუმი ბავშვები. ვიღაც ორ კაცს ვეება სკივრი თუ რაღაც მისი მსგავსი მიჰქონდა, იმათ კვალდაკვალ კიდევ ვიღაც ღრჭიალით მიათრევდა ბაქანზე რაღაც უფრო მძიმეს (ასეთი დუხჭირი მგზავრობის დროსაც თან მიჰყავდათ ბალღები, ბებიები, დაათრევდნენ უზარმაზარ ტომრებს, დივნისოდენა გოდრებს და კომოდისოდენა ზანდუკებს).

რომ არა ნაცარი ორთქლმავლის ქვეშ, რომ არა სემაფორი, რომ არა თბილანას მილებიდან ამოტყორცნილი ნაპერწკლები, ვერ დაიჯერებდით, რომ აქ ბევრ ეშელონს მოუყრია თავი და რომ ეს რკინიგზის სადგურია და არა უღრანი ტყე, ნაღვლიანი გაშლილი მინდორი, რომლებიც, წლის დროთა ზლაზვნით ცვლას დამორჩილებულნი, მოთმინებით ელოდებიან ზამთრის დადგომას.

მაგრამ ყურს რომ სწვდებოდა ვაგონთა გადასაბმელი ჯაჭვების ჩხარუნი, მეისრის საყვირის ხმა, ორი ორთქლმავლის ქშენა, აფორიაქებული ხალხის ფეხების ბაკუნი და ურიამული, ადვილად ირწმუნებდით, რკინიგზის სადგურში ვიმყოფებიო.

— ჩვენ აქეთ უნდა წავიდეთ, — ზოტოვმა პატარა გასასვლელისკენ მიიხმო სტუმარი, ჩამოაშორა იმ მატარებელს, რომელსაც შეეძლო არხეინად წაეყვანა ტვერიტინოვი.

ზოტოვს ჰქონდა პატარა ფანარი, რომლითაც ფეხქვეშ გზას ინათებდა და ტვერიტინოვსაც უნათებდა.

— უჰ, კინაღამ კეპკა წამგლიჯა ქარმა! — დაიჩივლა ტვერიტინოვმა.

— თოვლია თუ რა ჯანდაბაა! პირდაპირ საყელოში მიძვრება, — აჰყვა საუბარში ზოტოვი.

ტვერიტინოვს კი საყელოც არ ჰქონდა.

— აქ ტალახია, — გააფრთხილა ლეიტენანტმა.

თხლაპათხლუპით გატოპეს ტალახში.

— სდექ!!! ვინ მოდის? — სადღაც მახლობლად დაიყვირა გუშაგმა.

ტვერიტინოვი აცახცახდა.

— ლეიტენანტი ზოტოვი ვარ.

კოჭებამდე ტალახის გავლით შემოუარეს პროდპუნქტის ფლიგელს და მეორე მხრიდან შევიდნენ ნინკარში. დააბრახუნეს ფეხები, მხრებიდან წვეთები ჩამოიბერტყეს. ლეიტენანტმა ფანარით გააშუქა დერეფანი და ტვერიტინოვი შეიყვანა საერთო სადგომში, სადაც ცარიელი მაგიდა და ორი სკამი იდგა. მაგიდაზე დადგმული ფანარი უთანაბროდ ანათებდა ამ შეუთეთრებელ ფიცრულ ოთახს. კუთხეებში სიბნელე სუფევდა.

სამორიგეოს კარი გაიღო. ზურგის მხრიდან ელექტრონით განათებული ჯარისკაცი კარში ჩადგა.

— გუსკოვი სად არის? — მკაცრად ჰკითხა ზოტოვმა.

— სდექ!! ვინ მოდის? — მოისმა ღრიალი გარედან.

ნინკარში ფეხები დააბაკუნეს, შემოვიდა გუსკოვი და მის უკან მომყოლი წითელარმიელი.

— გამოვცხადდი, ამხანაგო ლეიტენანტო. — გუსკოვი მხოლოდ შეირხა, რაც მისალმებას ნიშნავდა თითქოს. მის ყოველთვის ოდნავ თავხედურ სახეზე ამ ბინდბუნდშიც ამჩნევდა ზოტოვი უკმაყოფილო კაცის გამომეტყველებას: რაღაც წვრილმანის გამო მაცდენს ეს ლეიტენანტი, რომელსაც თითქმის არც ვექვემდებარებიო.

ბრაზმორეულმა ზოტოვმა უცებ იყვირა:

— სერჟანტო გუსკოვ! რამდენი პოსტი უნდა იყოს თქვენს საგუშაგოში?

გუსკოვი არ დამფრთხალა, მაგრამ გაუკვირდა კი (ზოტოვი არასდროს არ ყვიროდა). მან ხმადაბლა უპასუხა:

— უნდა იყოს ორი, მაგრამ ხომ იცით, რომ...

— არაფერიც არ ვიცი! დააყენეთ ისე, როგორც საგუშაგოს განრიგშია, დაუყოვნებლივ!

გუსკოვს კვლავ აუთრთოლდა ტუჩები:

— ნითელარმიელო ბობნევ! აიღეთ იარაღი და პოსტზე დადექით!

იმ ჯარისკაცმა, რომელმაც გუსკოვი მოიყვანა, გვერდი აუარა უფროსებს და ფეხების ბრახუნით მეზობელ სადგომში გავიდა.

— სერჟანტო, თქვენ კი ჩემთან ერთად კომენდატურაში წამოხვალთ.

გუსკოვი ისედაც მიხვდა, რომ რაღაც მომხდარა.

წითელარმიელი დაბრუნდა, ხელში ეჭირა ხიშტჩამოცმული შაშხანა, გვერდი აუარა უფროსებს და დერეფანში კართან გუშაგის პოზაში გაიჭიმა.

(ახლა კი დაფრთხა ზოტოვი! არ იცოდა, რა ეთქვა).

— თქვენ... მე... — ზოტოვი ძლივს უსწორებდა თვალს ტვერიტინოვს, — ... მე ერთი სხვა საქმეც მაქვს... თქვენ აქ დაბრძანდით, გეთაყვა. ჯერჯერობით. დამელოდეთ.

— აქ მტოვებთ? ვასილ ვასილიჩ, მატარებელმა რომ გამასწროს?! ნება მომეცით, თვითონ გავალ ბაქანზე.

— არა, არა... აქ იყავით... — ზოტოვს კარისკენ მიეჩქარებოდა.

ახლა კი მიხვდა ტვერიტინოვი:

— უნდა დამაკავოთ?! — წამოიყვირა მან. — მაგრამ რატომ უნდა დამაკავოთ, ამხანაგო ლეიტენანტო?! მომეცით საშუალება, დავეწიო ჩემს ეშელონს!

და ტვერიტინოვმა ისევე მიიდო მკერდზე მარაოსავით გაშლილი ხუთი თითი, როგორც მაშინ, მადლობა რომ გადაუხადა ზოტოვს. ორი ნაბიჯი სწრაფად გადადგა ლეიტენანტის კვალდაკვალ, მაგრამ საზრიანმა გუშაგმა ხიშტჩამოცმული შაშხანით გადაუკეტა გზა.

ზოტოვმა ძალაუნებურად მოიხედა უკან და ერთხელ კიდევ — ამჯერად უკანასკნელად — ფანარის მკრთალ სინათლეზე დაინახა

მისი სახე, სახე სასონარკვეთილი ლირისა, რომელიც ძლივს მოჩანდა სამარისებურ შენობაში.

— რას შვრებით! რას შვრებით! — ზარიანი ხმით ყვიროდა ტვერიტინოვი. — ეს ხომ **გამოუსწორებელი შეცდომაა!!**

— ნუ შფოთავთ! ნუ წუხდებით, — ამშვიდებდა ზოტოვი. — მხოლოდ ერთი პატარა საკითხია გასარკვევი და...

და წავიდა.

გუსკოვიც უკან გაჰყვა.

სამხედრო დისპეტჩერის ოთახში რომ გაიარა, ზოტოვმა უთხრა მას:

— ეს მატარებელი ჯერ არ გაუშვათ.

იგი შევიდა თავის კაბინეტში, მაგიდას მიუჯდა და წერა დაიწყო.

„შინსახკომის ოპერატიული პუნქტი.

ამ მოწერილობასთან ერთად გიგზავნით დაკავებულს, რომელიც თავის თავს უწოდებს იგორ დემენტიევიჩ ტვერიტინოვს და ამბობს, თითქოს სკოპინში ჩამორჩა 245413-ე ეშელონს. ჩემთან საუბრისას მან...“

— მოემზადე! — უთხრა ზოტოვმა გუსკოვს. — გაიყოლე ჯარისკაცი და მიჩურინსკში ჩაიყვანე დაკავებული.

გავიდა რამდენიმე დღე, ჩაიარა დღესასწაულმაც.

მაგრამ ზოტოვის მეხსიერებაში არ წაიშალა ეს კაცი, რომელიც ასე საოცრად იღიმებოდა და ჯიბეში ედო თოთხმეტი ნლის ქალიშვილის სურათი.

თითქოს ყველაფერი ისე გაკეთდა, როგორც საჭიროა.

ისე თუ არც ისე...

ზოტოვს უნდოდა დარწმუნებულიყო, ის კაცი მართლა გადაცმული დივერსანტი აღმოჩნდა თუ დიდიხანია უკვე გაათავისუფლეს. დარეკა მიჩურინსკის ოპერატიულ პუნქტში:

— აი, პირველ ნოემბერს თქვენთან გამოვგზავნე დაკავებული ტვერიტინოვი. ხომ ვერ მეტყვით, რა გაირკვა მის შესახებ?

-- გაარკვევენ მაგას! — მტკიცედ და დაუყოვნებლივ უპასუხეს ტელეფონით. — ზოტოვ, თქვენ კი აი, რა უნდა გაარკვიოთ: ზოგი რამ გაურკვეველია აქტებში იმ ტვირთის თაობაზე, რომლის ოთხმოცი პროცენტი თითქოს დაიწვა. ეს ძალზე მნიშვნელოვანი საქმეა, შესაძლებელია, ვინმემ ხელი მოითბოს ამით.

ზოტოვი მთელ ზამთარს მსახურობდა იმ სადგურში, ისევ და ისევ კომენდანტის თანაშემწედ. არაერთხელ მოუნდა ისევ დაერეკა და ამბავი გაეგო, მაგრამ ვერ გარისკა — ჩემი ასეთი დაინტერესება, ეგებ, ვინმეს საეჭვოდ მოეჩვენოსო.

ერთხელ საკვანძო კომენდატურიდან გამომძიებელი ჩამოვიდა რაღაც საქმისთვის. ზოტოვმა თითქოსდა შემთხვევით ჰკითხა მას:

— ხომ არ გახსოვთ ვინმე ტვერიტინოვი? შემოდგომაზე დავაკავეიგი.

— რატომ მეკითხებით მაგას? — მრავალმნიშვნელოვნად მოიღუშა გამომძიებელი.

— ისე, უბრალოდ... საინტერესოა... რით დამთავრდა მისი საქმე?

-- მაგ თქვენი ტვერიტინოვის საქმესაც გაარკვევენ. ჩვენ არაფერი შეგვეშლება.

მაგრამ მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ზოტოვმა ვერასოდეს დაივინყა ის კაცი...

1962

ეგო

პავლე ვასილის ძე ეკტოვი ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ოცდაათი წლის გახდებოდა, ჯერ კიდევ გერმანიის ომამდე, მტკიცედ დარწმუნდა, რომ მისი საქმეა იყოს სოფლის კოოპერატორი და სულაც არ დაუსახავს სხვა რაღაც დიადი მიზნები. რომ ამ საქმეში მყარად მოეკიდა ფეხი, მან მძაფრ საზოგადოებრივ კამათშიც მიიღო მონაწილეობა და გაუძლო რევოლუციური დემოკრატების მაცდუნებელ საყვედურებს: ძალიან ცოტას ნიშნავს, რომ „კულტურის მუშაკი" იყო „პანანინა საქმეების" ასპარეზზე; ეს რაღაც წვრილმან სამუშაოზე არა მარტო ძალების ფუჭად ფლანგვაა, არამედ მთელი კაცობრიობის ღალატია რამდენიმე მახლობელი ადამიანის სასარგებლოდ; ეს იაფფასიანი უფხო ქველმოქმედებაა, რომელსაც კარგად დამთავრების პერსპექტივა არა აქვს. რაკი არსებობს კაცობრიობის ხსნის უნივერსალური გზა, რაკი გვაქვს სახალხო ბედნიერების იდეალის განხორციელების ჭეშმარიტი გასაღები, ამათთან შედარებით რის მაქნისია, რომ კაცი კაცს დაეხმაროს რაღაცა წვრილმანით და მხოლოდ საღღეისო ჭმუნვა გაუქარვოს?

კულტურის ბევრი მუშაკი დაირცხვენდა ხოლმე ამ საყვედურების გამო და თავს იმართლებდა: ჩვენი „მუშაობაც სასარგებლოა" კაცობრიობის მსოფლიო პრობლემების მოსაგვარებლადო. მაგრამ ეკტოვს კიდევ უფრო განუმტკიცდა აზრი, გლეხს რომ ყოველდღიური დახმარება გაუწიო, მისი საჭიროება გაითვალისწინო, ნებისმიერი ფორმით შეუმსუბუქო ხალხს გაჭირვება — ამას არავითარი თავის მართლება არ სჭირდება. სწორედ სოფლის საკრედიტო კოოპერაცია არის საყოველთაო ბედნიერების მოპოვების ჭეშმარიტი გზა.

ეკტოვმა კოოპერაციის ყველა სახეობა იცოდა და მტკიცედ უყვარდა კიდეც ეს საქმე. ციმბირში რომ იყო, იგი გააოცა იქაურმა კარაქის მწარმოებელმა კოოპერაციამ, რომელსაც დიდი ქარხნები არ ჰქონდა, მაგრამ მთელ ევროპას კვებავდა სურნელოვანი და გემ-

რიელი კარაქით. ტამბოვის გუბერნიაში რომ დაბრუნდა, ეკტოვი რამდენიმე წლის განმავლობაში გამსესხებელ-შემნახველი კოოპერაციის ენერგიული მუშაკი იყო. ომის წლებშიც იქვე მუშაობდა. იგი კოოპერატივს ხელმძღვანელობდა რევოლუციური ჩვიდმეტი წლის პერიოდშიც და მხოლოდ თვრამეტი წლის იანვარში, ყველა კოოპერაციული სალაროს უთუო კონფისკაციის წინადღეს, მოახერხა ის, რომ მისმა საკრედიტო საზოგადოებამ მეანაბრეებს ფარულად დაუბრუნა ანაბრები.

ამის გამო ეკტოვს უთუოდ დააპატიმრებდნენ, მაგრამ მოუსვენარი ბოლშევიკები კარგად ვერ გაერკვნენ საქმეში და არც ეცალათ ამისთვის. ეკტოვი გამოიძახეს ყაზანის მონასტერში, სადაც ჩეკა დაბინავებულიყო, ერთხელ ზერელად დაჰკითხეს და ამით დამთავრდა ყველაფერი. ბოლშევიკებს უფრო დიდი საზრუნავიც ბევრი ჰქონდათ. იმავე მონასტრის მახლობელ მთავარ მოედანზე ერთხელ თავი მოუყარეს ხუთი ასაკის ახალწვეულებს. უცბად გვერდიდან გამოხტა ერთი ლეგა ცხენზე მჯდომი ქოჩრიანი მხედარი და დაიყვირა: „ამხანაგებო! რას შეგვპირდა ლენინი? ანი აღარასოდეს ვიომებთო, ხომ! ჰოდა, დაბრუნდით შინ! ძლივს მოვრჩით ამ ომს, ახლა ისევ იქით გვერეკებიან? დაიფანტეთ და წადით შინ!!" ამ დაძახილმა თითქოს ცეცხლი შეუნთო გლეხურად ჩაცმულ ბიჭებს: სირბილით დაიფანტნენ, ვინ ქალაქგარეთ გაიქცა, ვინ ტყეს მიაშურა, ვინ ქალაქში დაძრწოდა და ბობოქრობდა. ხელისუფლებაც გაიქცა და ერთი დღის შემდეგ კიკვიძის კავალერიასთან ერთად დაბრუნდა.

სამოქალაქო ომის წლებში ეკტოვს წაერთვა სულის სიმშვიდე: თანამემამულეთა მიერ ურთიერთჟლეტის პირობებში და ბოლშევიკთა სასტიკი დიქტატურის ფეხქვეშ აზრი აღარ ჰქონდა არც მთელი რუსეთისა და არც მის საკუთარ სიცოცხლეს. ამის მსგავსი არასდროს არაფერი ყოფილა რუსეთში. საერთოდ გაქრა ადამიანთა გონიერი ცხოვრება, გონიერ არსებათა მოღვაწეობა ბოლშევიკების ხელში მიყუჩდა და დამახინჯდა. მაგრამ ურყევი დემოკრატი ეკტოვი ვერც თეთრების გამარჯვებასა და კაზაკთა მათრახების დაბრუნებაში ხედავდა გამოსავალს. როცა ცხრამეტი წლის აგვისტოში მამონტოვის კავალერია ორი დღით ტამბოვშიც შემოიჭრა, — თუმცა

ჩეკა ყაზანის მონასტრიდან გაიქცა, ეკტოვს მაინც არ უგრძვნია სულიერი თავისუფლება და კმაყოფილება. ტამბოვის მთელ ინტელიგენციას მიაჩნდა, რომ ბოლშევიკების რეჟიმს სულაც არ უნერია დიდი დღე: ჰა, ორი-სამი წელი თუ გაძლო, მერე დაემხობა და რუსეთში დემოკრატიული ცხოვრება დაინყებაო. ბოლშევიკების მეტისმეტ სიმკაცრეში არა მარტო მათი ბოროტი ვნება ვლინდებოდა, არამედ ის სიძნელეებიც, რაც სამნლიანმა საგარეო ომმა და მის კვალდაკვალ გაჩაღებულმა სამოქალაქო ომმა გამოიწვია.

ტამბოვი პურ-მოსავლიან გუბერნიაში მდებარეობს და იმ წლებში სრული შიმშილობა არ განუცდია, მაგრამ ზამთრობით მაინც სჭირდებოდათ ადამიანებს, ყოფაცხოვრებაში მეტი გერგილიანობა გამოეჩინათ. ტამბოვის ირგვლივ არსებულმა გლეხურმა ლაღმა ცხოვრებაც რღვევა ინყო იმის გამო, რომ სოფლებს სხვადასხვა რაზმები შეესეოდნენ ხოლმე და მარცვლეულსა თუ სხვა პროდუქტებს ართმევდნენ. ეს რაზმები სოფელში შესვლისას რამდენიმე გლეხს მაინც დახვრეტდნენ ხოლმე და ამით ჭკუას ასწავლიდნენ სოფელს. ძარცვა კი ყოველი რაზმის შემოსვლას მოჰყვებოდა ხოლმე. სურსათის დამამზადებელი რაზმი კარგახანს რჩებოდა სოფელში და უწინარეს ყოვლისა საკუთარ საკვებზე ზრუნავდა: „მოიტა ცხვარი! მოიტა ბატი! მოიტა კვერცხი, ქონი, რძე, პური!“ (ამის შემდეგ პირსახოცს, ზეწარსა და ჩექმებსაც ითხოვდნენ). მაგრამ ეს კიდევ არაფერი — გაუძლებდნენ როგორმე. საქმე ამით როდი თავდებოდა; ერთ-ორ დღეს რომ დაისვენებდნენ სოფელში, რაზმელები თავჩაქინდრული გლეხების აღალსაც გაირეკავდნენ წინ მათსავე ხორბალთან, ხორცთან, ცხიმეულთან, თაფლთან, ტილოსთან ერთად და მიჰქონდათ ეს ყველაფერი საჩუქრად პროლეტარული ხელისუფლებისათვის, რომელსაც გლეხისთვის არასოდეს უნილადებია არც მარილი, არც საპონი, არც რკინეული. (სოფლის მაღაზიაში ხანდახან შეიტანდნენ ხოლმე ქალის აბრეშუმის ჩულქებს, ლაიკის ხელთათმანებს ან ნავთის ლამპებს სანთურისა და ნავთის გარეშე). ხშირად ბეღელში ისე პირწმინდად ახვეტავდნენ მარცვალს, რომ გლეხს არ უტოვებდნენ რამეს არც საჭმელად, არც სათესლედ. მთელ ტამბოვის გუბერნიაში გააფთრებული ქუხდა სურსათის კომისარი გოლდინი, რომელ-

იც არად აგდებდა ადამიანის სიცოცხლეს, ადამიანის ჭირვარამს და ქალთა ცრემლებს. თავისივე რაზმის წევრებსაც კი ეშინოდათ მისი. მას დიდად არ ჩამოუვარდებოდა ბორისოგლებსკის მაზრის სურსათის კომისარი ალპეროვიჩი. (ხელისუფლება თვითონვე ირქმევდა ღირსეულ მეტსახელებს. მაგალითად, ვინმე ვეიდნერი იყო ნაჩპოგუბ. ეკტოვიც კი დიდხანს ვერ ჩასწვდა, რომ თურმე ეს საშინელი სიტყვა ნიშნავს შემდეგს: გუბერნიის პოლიტიკური განყოფილების ნაჩალნიკი).

გლეხები თავიდანვე ვერ გაერკვნენ, თუ რა ხდებოდა. გერმანიის ფრონტიდან, სათადარიგო პოლკებიდან თუ ტყვეობიდან დაბრუნებული (ბოლშევიკური პროპაგანდით გაბრუებული) ჯარისკაცები სოფელში ამბობდნენ, რომ აი, ახლა კი მოვა გლეხთა ხელისუფლება, რევოლუცია გლეხებისთვის მოხდაო, სწორედ გლეხები არიან დედამიწის უმთავრესი პატრონებიო. ახლა კი რა ხდება: ქალაქელები გზავნიან ვიღაც ურჯულოებს და მშრომელ გლეხობას ჩაგრავენ? თვითონ პური არ დაუთესავთ და ჩვენს ქონებაზე უჭირავთ თვალი? ლენინი კი ასე ამბობდა: ვისაც არ დაუხნავს, არ დაუთესავს, იმან არც უნდა ჭამოსო.

და სოფლებში ასეთი ხმაც გავრცელდა: ღალატი ჩაიდინეს! კრემლში ლენინი გამოცვალეს!

პავლე ვასილიევიჩი მთელი სიცოცხლის განმავლობაში იზიარებდა გლეხთა ჭირვარამს. მას მოსწონდა მათი ანგარიშიანობა და ყაირათიანობა: ეკლესიაში ნასვლისას ჩექმებს იცვამს, როცა სოფელში დადის — ქალამანი აცვია, თუ ხნავს — ფეხშიშველია. ჰოდა, ეკტოვს ახლა გული სტკიოდა სოფლის ასეთი გაპარტახების გამო: ტამბოვის გუბერნიის სოფლებს ბოლშევიკები პირწმინდად ძარცვავდნენ. (ამას ემატებოდა ყოველი რევიზორი თუ ინსტრუქტორი). სადღა ნახავ წინანდელ სურათს: საღამოს ზლაზვნით ბრუნდება სოფელში ასეულობით მაძღარი პირუტყვი, ბავშვებს სახრე უჭირავთ ხელში და თავიანთ საქონელს ეზოში მიერეკებიან, უფროსები წყალს იღებენ ჭიდან, რომ ძროხები დაარწყულონ და შემდეგ მოწველონ. ახლა კი ქოხებში სინათლე არ ინთება ღამით: უქმადაა ნავთის ლამპები და აქა-იქ ძლივსღა ბჟუტავს ქონის ჭრაქი.

ამასობაში სამოქალაქო ომი მთავრდებოდა; ტამბოველმა გლეხებმა თეთრებთან დაკავშირება ვერ მოახერხეს. აივსო ხალხის მოთმინების ფიალა; შფოთავდა ხალხი. 1919 წლის შემოდგომაზე გლეხებმა მოკლეს გუბაღმასკომის თავმჯდომარე ჩიჩკანოვი, როცა იგი გუბერნიაში მოგზაურობდა. ხელისუფლების პასუხი ასეთი იყო: გაგზავნეს ძლიერი დამსჯელი რაზმი (უნგრელები, ლატვიელები, ფინელები, ჩინელები...) და კვლავ ბევრი დახვრიტეს.

იმ ზამთარს გლეხთა მრისხანება მატულობდა. გაზაფხულის დამდეგს გლეხები დიდი მღელვარებით შეხვდნენ, ბევრს არც უნდოდა დაეთესა — მაინც წაგვართმევენო. მაგრამ საკვები ხომ უნდოდათ?

გლეხები თავს იყრიდნენ პატარა ტყეებსა და ხევებში, მსჯელობდნენ, როგორ დაეცვათ თავი. მაგრამ სხვადასხვა სოფლებს გაუჭირდათ ერთმანეთთან შეთანხმება, გაერთიანება, გაუძნელდათ იმ მომენტის შერჩევა, როცა გადამწყვეტი მოქმედება უნდა დაეწყოთ.

ამასობაში გოლდინის სასურსათო რაზმები ისევ შეესეოდნენ ხოლმე სოფლებს, ძარცვავდნენ ხალხს, თვითონ კი ქეიფობდნენ. (იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა რაზმის წევრები ბრძანებდნენ — ამაღამ ამდენი და ამდენი ქალი მოგვიყვანეთო და სოფელი უარს ვერ ამბობდა. რა ექნათ? — დახვრეტას ისევ ეს ერჩივნათ!) დეზერტირობის წინააღმდეგ მებრძოლი საგუბერნიო რაზმი სხვებისთვის ჭკუის სასწავლებლად ხვრეტდა იმათ, ვისაც ხელში ჩაიგდებდა. (ერთად გაიწვიეს 18-19-20 წლისანი. საყოველთაო გაწვევისაგან ათავისუფლებდნენ რკპბ-ს წევრებს).

ცხრაასოცი წლის აგვისტოში ამბოხებამ იფეთქა ტამბოვის მაზრის დაბა კამენკაში: გლეხებმა სასურსათო რაზმი გაანადგურეს და ხელთ იგდეს მისი იარაღი. იმავე დღეებში იგივე მოხდა ტრესკინოში: თემის სამმართველოს მახლობლად სასურსათო რაზმმა აქტივისტების კრება მოიწვია; ამ დროს ქუჩაში გამოიქცა უამრავი გლეხი, რომელთაც ხელში ეჭირათ ფიწლები, ბარები, ნაჯახები. რაზმმა სროლა აუტეხა მათ, მაგრამ აზვირთებულმა ხალხმა აჩეხა ოცამდე რაზმელი და მათთან ერთად კომუნისტთა რამდენიმე ცოლი. (მოკლეს ერთი პატ-

არა ბიჭიც, რომელიც ბრბოში მოჰყვა: მან ერთერთი მეამბოხე იცნო და უთხრა: „ძია პეტია, მე ხომ მიცანი?“ და იმან მოკლა ბიჭი — შემდეგში არ გამცესო). გრუშევკაში კი ასეთი რამ მოხდა: ძარცვისგან გამწარებულმა გლეხებმა სასურსათო რაზმის წევრი ნააქციეს და მორივით გადაუხერხეს კისერი.

ძნელია, ძალიან ძნელია რუსი გლეხის დაძვრა ადგილიდან, მაგრამ ხალხი თუ აზვირთდა, ვეღარ მოსთხოვ მას — გონიერების ფარგლებს არ გადააბიჯოო. ტამბოვის მაზრის ერთი სოფლიდან სამართლიანობის სულისკვეთებით აღგზნებულ ქალამნიან გლეხთა ბრბო, რომელიც ცულებით და ფიწლებით იყო შეიარაღებული, გაემართა „ტამბოვის ასაღებად“; გზად შემხვედრ სოფლებში ზარებს რეკდნენ და ხალხი თანდათან ემატებოდა მოლაშქრეებს. ასე მიემართებოდნენ ისინი საგუბერნიო ქალაქისაკენ მანამ, სანამ კუზმინო გატში ტყვიამფრქვევით ჩაცხრილავდნენ საგუშაგოებზე. ვინც ცოცხალი გადარჩა, აქეთ-იქით გაფანტეს.

და ცეცხლი რომ მოედება ჩალის სახურავს, ასე მოედო აჯანყების ალი მთელ მაზრას, გადაედო კირსანოვსა და ბორისოგლებსკსაც: ყველგან ხოცავდნენ ადგილობრივ კომუნისტებს (ქალებიც კი ნამგლებით ჩეხავდნენ მათ), არბევდნენ სოფსაბჭოებს, შლიდნენ საბჭოთა მეურნეობებს, კომუნებს. ცოცხლად დარჩენილი კომუნისტები და აქტივისტები ტამბოვში გაიქცნენ.

ადვილი მისახვედრია, საიდან იყვნენ მოსული არააქაური კომუნისტები. მაგრამ ადგილობრივი კომუნისტები საიდან გაჩნდნენ? პავლე ვასილიჩმა მათი გაჩენა სოფლებში მომხდარ სხვადასხვა შემთხვევებს მიაწერა; რამდენიმე მათგანს იგი წინათაც იცნობდა. თემისა და სოფლის თანამდებობის პირთა პირველი საბჭოთა არჩევნების დროს გლეხებმა ჯერ კიდევ არ იცოდნენ, ამ ახლებიდან რომელს რა ძალაუფლება ექნება. მათ ეგონათ — დიდი არაფერიო, რადგან ახლა ხომ ყველასთვის არის **თავისუფლობა** და მთავარი არჩევნები კი არ არის, არამედ ის, თუ როგორ ჩავიგდოთ ხელში მემამულის მიწაო. ანკი რომელი რიგიანი გლეხი მიატოვებს თავის მეურნეობას, რათა არჩევნებით რაღაც თანამდებობა მოიპოვოს?! ჰოდა, იმ თანამდებობებს დაეუფლენ ისეთი პირები, რომლებიც

გლეხები იყვნენ მხოლოდ წარმოშობით და არა შრომის მიხედვით: შფოთისთავები, დარდიმანდები, უსაქმურები, ღარიბ-ღატაკნი, ისინი, ვინც ყრმობიდანვე ქალაქსა და მშენებლობას მიაშურა, იქ შავ მუშად მუშაობდა და რევოლუციურ ლოზუნგებს გემო გაუსინჯა; აგრეთვე ცხრაასჩვიდ წელს ფრონტიდან გამოქცეული დეზერტირები, ახლა რომ ძარცვაზე ეჭირათ თვალი. აი, სწორედ ესენი იყვნენ სოფლის კომუნისტები, აქტივისტები, ხელისუფალნი.

თავისი აღზრდისა და ჰუმანისტური ტრადიციების თანახმად, პავლე ვასილიევიჩი ყოველთვის წინააღმდეგი იყო ყოველგვარი სისხლისღვრისა. მაგრამ ახლა, განსაკუთრებით კუზმინო გატისკენ იმ სახალხო ლაშქრობის შემდეგ, სამართლიანობისა და ძალადობის ურთიერთშეფარდება ისე აშკარად გამოჩნდა, რომ ეკტოვმა დაასკვნა: გლეხებს აღარ დარჩათ სხვა გზა გარდა იმისა, რომ იარაღისთვის მოეკიდათ ხელი. (გერმანიის ომიდან ჩამოტანილი შაშხანები, ვაზნები, ხმლები, ყუმბარები კიდევ იყო შემორჩენილი — ზოგმა მიწაში დამარხა, ზოგს სხვაგან ჰქონდა გადამალული).

ჰოდა, ხალხოსანმა, ხალხის სისხლმა და ხორცმა ეკტოვმა გადაწყვიტა, რომ სხვა გზა არა აქვს — ხალხს უნდა დაუდგეს გვერდით. თუმცა ერთი კია: დიდი სამოქალაქო ომი დამთავრდა — რის იმედით უნდა აჯანყებულიყვნენ ახლა გლეხები? მაგრამ ის კი უეჭველია, რომ გლეხებს მცოდნე და განათლებული ხელმძღვანელი არ ეყოლებათ. მართალია, სამხედრო არ არის, მხოლოდ კოოპერატორია, მაგრამ წიგნიერი და გონებამახვილი კაცია ეკტოვი — იგი რაღაცით წაადგება გლეხთა საქმეს.

მაგრამ რა ვუყო ცოლს, პოლინას, ჩემს სულსა და გულს! რა ვუყო მარინოჩკას, ხუთი წლის ლურჯთვალა პანანინას! როგორ დავტოვო ისინი? რა საფრთხეში? რა განსაცდელში? საშიმშილოდ გავწირო ისინი? ოჯახი არის ჩვენი უმაღლესი ბედნიერება, მაგრამ ჩვენი სუსტი წერტილიც ის არის.

პოლინა ძალიან შეშფოთდა, მაგრამ შეძლებისდაგვარად გული გაიმაგრა და ქმარს უთხრა: შენ მართალი ხარ. ჰო... მართალი... უნდა წახვიდე მათთან.

და დარჩა იგი გოგონასთან ერთად თავიანთ ქალაქურ ბინაში, ჰქონდა სურსათის ცოტაოდენი მარაგი და ცოტაოდენივე შეშა მო-

მავალი ზამთრისთვის. მაგრამ არა უშავს — პოლინა მასწავლებელია და ცოტა ხელფასს ხომ იღებს.

და წავიდა პავლე ვასილიჩი ტამბოვიდან, წავიდა აჯანყების სავარაუდო ცენტრის საძებრად.

ჰოდა, მიაგნო კიდეც. ეს იყო პატარა ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ალექსანდრ სტეპანოვიჩ ანტონოვი, წარმოშობით კირსანოველი მოქალაქე. 1905 წელს იგი იყო ექსპროპრიატორი ესერი (მაშასადამე, სისხლის სამართლის დანაშაულის ჩამდენიც?); 1917 წელს დაბრუნდა ციმბირში გადასახლებული; ბოლშევიკურ გადატრიალებამდე კირსანოვის მილიციის უფროსი იყო; შემდეგ კირსანოვში გამოვლილი ჩეხოსლოვაკური ეშელონების განიარაღებით დიდძალი იარაღი დააგროვა და უკვე 1919 წლის ზაფხულში პატარა რაზმით თავს ესხმოდა კომუჯრედებს, როცა თვით ესერების პარტია ვერ ბედავდა წინააღმდეგობა გაეწია ბოლშევიკებისათვის, რომ ამით თეთრებს არ დახმარებოდა. ახლაც ესერების სახელით კი არ მოქმედებდა ანტონოვი, არამედ — საკუთარი სახელით. გუბჩეკა 1919-1920 წლების მთელი ზამთრის განმავლობაში დასდევდა მას, მაგრამ ვერ დაიჭირა. ანტონოვს სამაზრო სასწავლებელიც არ დაუმთავრებია, არავითარი განათლება არ გააჩნდა, მაგრამ თავზეხელაღებული, გაბედული და გამჭრიახი კაცი კი იყო.

ანტონოვის შტაბში, რომელიც ის-ის იყო იქმნებოდა და ჯერ შტაბს ვერც კი დაარქმევდი, საშტაბო გამოცდილების მქონე ერთი ოფიცერიც კი არ მოიძევებოდა. იყო ერთი ადგილობრივი კაცი, სოფელ ინოკოვკაში მცხოვრები გლეხი პეტრე მიხაილოვიჩ ტოკმაკოვი. იგი მეფის არმიის უნტერ-ოფიცერი იყო, გერმანიის ფრონტზე პრაპორშჩიკობას მიაღწია, შემდეგ პოდპორუჩიკიც გახდა; შესანიშნავი მეომარი იყო, მაგრამ საეკლესიო-სამრევლო სკოლის მხოლოდ სამი კლასი ჰქონდა დამთავრებული. იყო კიდევ ერთი მებრძოლი და ფიცხი პრაპორშჩიკი (ყოფილი უნტერი), ძალზე ენერგიული ტერენტი ჩერნეგა. იგი ცხრაასჩვიდმეტში ბოლშევიკებს მიემხრო, ორ წელიწადს მათ ემსახურებოდა, მაგრამ ყველაფერი რომ თავისი თვალით იხილა, გლეხთა მხარეზე გადავიდა. კიდევ ერთი უნტერი, არტილერისტი არსენი ბლაგოდარიოვი სწორედ იმ კამენკიდან იყო, სადაც დაიწყო

ამბოხი (ერთ-ერთი დამწყები არსენიც იყო). ეს სამნი მეთაურობდნენ პარტიზანულ პოლკებს, ტოკმაკოვი ოთხი პოლკისგან შემდგარ ბრიგადასაც მეთაურობდა, მაგრამ არცერთ მათგანს ოდნავადაც არ შესწევდა საშტაბო მუშაობის უნარი. ანტონოვის ადიუტანტიც სამხედრო პირი კი არ იყო, არამედ — კალუგინოელი მასწავლებელი სტარიხი.

და როცა ეკტოვი გაეცნო ანტონოვს, იგი ჯერჯერობით ყველაზე შესაფერისი „შტაბის უფროსი" აღმოჩნდა: მხოლოდ განათლებული და საზრიანი კაცი თუ შეძლებდა ტოპოგრაფიული რუკის წაკითხვას. ანტონოვმა ჰკითხა, რა გვარი ხარო. საოცარია, მაგრამ ეკტოვს წინასწარ არ უფიქრია ამაზე. ის იყო თქვა „ეკ...", რომ გულმა რეჩხი უყო: არ შეიძლება გვარის გამხელა! და ყელში ძალაუნებურად აღმოხდა:

— ა.... გა...

— ეგოვი? — ასე მოესმა ანტონოვს.

ჰოდა, რა? კაი გვარიანი ფსევდონიმია! და ეკტოვმა მკაფიოდ თქვა:

— დიახ, ეგო ვარ.

ანტონოვი არ ჩასციებია, ეგო ხარ და იყავი ეგო.

მალე ყველამ იცოდა, რომ ის არის ეგო, პავლე კი ჰქვია, მაგრამ ტიმოფეევიჩია. ისიც მალე მოხდა, რომ ყველამ აღიარა მისი, როგორც „შტაბის უფროსის", ავტორიტეტი. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ეგო მხოლოდ ოდნავ აკავშირებდა ერთმანეთთან საერთო საქმეებს — ანტონოვიც და მისი პარტიზანული რაზმების მეთაურები უფრო ხშირად არავის არაფერს ეკითხებოდნენ და გარემოებათა ცვალებადობის გათვალისწინებით თავიანთი შეხედულებისამებრ მოქმედებდნენ.

ტამბოვის მაზრა არც ისე ხელსაყრელი იყო პარტიზანული ომისათვის: ისევე როგორც გუბერნიის უმეტეს ნაწილში, ტყეები ცოტა იყო აქ, ვაკე ადგილია, პატარა ბორცვებია, თუმცა კი ბევრია ღრმა ხევი და ხრამი, სადაც ცხენოსნებსაც კი შეუძლიათ თავის შეფარება.

მაგრამ როგორი ცხენოსნები იყვნენ ესენი?! უზანგები თოკისა ჰქონდათ, უნაგირის მაგივრად ბალიშზე ისხდნენ (გზადაგზა ბუმბუ-

ლი ცვიოდა მხედრის საჯდომიდან...); ზოგს ჯარისკაცის სამოსი ეცვა, ზოგს — გლეხური (ქუდზე წითელი ლენტები ჰქონდათ იმის ნიშნად, რომ ვითომ რევოლუციის მომხრე წითლები არიან! ერთმანეთს მიმართავდნენ არა სოფლური მეტსახელებით, არამედ სიტყვით „ამხანაგო“). სამაგიეროდ ყოველთვის ახალ-ახალ ცხენებზე ისხდნენ ამბოხებულნი — გლეხებთან დაუბრკოლებლად ცვლიდნენ მათ (თუმცა ცოტათი კი სწყინდათ გლეხებს: კი ბატონო, **ჩვენი** ბიჭები ხართ, მაგრამ ცხენი ხომ **ჩემია**...). თანდათან შეაგროვეს ბერდანები, ორლულიანები, გადაჭრილი შაშხანები (მისი დამალვა უფრო ადვილია, სროლის სიზუსტით კი ბევრად არ ჩამოუვარდება სხვას), ომში ნადავლი სხვადასხვა იარაღი. თავიდან ხუთი ვაზნა გამოყვეს ერთ შაშხანაზე, შემდეგ სასურსათო რაზმის წევრებს ართმევდნენ, ზოგჯერ იარაღის საწყობსაც კი იგდებდნენ ხელში. ერთხელ კი ანტონოვმა ასეთი გაბედული ოპერაცია ჩაატარა: წითლებს წაართვეს მატარებლის მთელი ეშელონი საბრძოლო მასალა და სასწრაფოდ ფორნებით გაზიდეს სოფლებში, რკინიგზისგან, რაც შეიძლებოდა, მოშორებით.

მაგრამ იმის გამო, რომ ამბოხებულნი ბევრნი იყვნენ, იარაღი მაინც არ ჰყოფნიდათ. საკმაოდ არ ჰქონდათ ხმლებიც კი და ნაბათის ხმაზე ისევ ფინლებით ხელში მორბოდნენ სოფლებიდან. ამბოხებულებს ასეთი სიგნალიც ჰქონდათ: სადაც ბოლშევიკთა რაზმი გამოჩნდებოდა, იმ სოფელში წისქვილის ფრთებს გააჩერებდნენ ან სოფლის მეორე ბოლოდან მაშინვე გასხლტებოდა მაცნე და მეზობლებს შეატყობინებდა მტრის მოახლოებას.

წარმატებით თავდასხმისა და ასევე წარმატებით გამორიდების სიხარული ამხნევებდა და აოცებდა ეკტოვს: როგორ ხერხდება ეს ყველაფერი? თითქოსდა მზად არ იყვნენ ამისთვის!

ასე გადიოდა კვირები, შემდეგ თვეებიც: დღისით გლეხებივით მუშაობდნენ, განგაშისას და საღამოობით შესხდებოდნენ ცხენებზე და სათარეშოდ მიდიოდნენ. ღრანტეებში დააჭენებდნენ რაზმელები, ისინიც და ესენიც. თუ დამარცხდებოდნენ, ამბოხებულნი დაიფანტებოდნენ, მალავდნენ იარაღს — თავიანთ ეზოებში კი არა, ხრამებში მალავდნენ.

ბრძოლის შემდეგ ხშირია ასეთი სურათი: წევს მოკლული კაცი, თავი ნაკადულისკენ აქვს. დაღვრემილი ცხენი საათობით დგას მოკლულის მახლობლად... ბალახებზე კი დახტის ბოლოქანქარა.

ანტონოვის კავალერიის საყვარელი თავშესაფარი ადგილი იყო მდინარე ვორონას დაბლობი. იქ არის მუხებით, ვერხვებით, თელებით, ტირიფებით გარშემორტყმული მდელოები. ქანცგაწყვეტილი ცხენოსნები წამოწვებოდნენ მდელოზე, ცხენები კი ნელნელა მიმოდიოდნენ და ბალახს წიწკნიდნენ. იმ ადგილებში მიტოვებული ბილიკებია, მოშორებით კი გაუვალი ჭალის ბუჩქნარია, რომელშიც ორარშინიანი გველგესლებიც ბინადრობენ (ერთ ყველაზე უფრო მიუვალ ადგილს ასეც ეწოდება — „გველების ჭაობი").

სექტემბერში აჯანყებამ იფეთქა პახოტნი უგოლში, ბევრად ჩრდილოეთით ტამბოვიდან, მორშანსკის მიმართულებით: ერთი წლის წინათ იქ კომუნისტებმა „სანიმუშო კომუნა" შეაკონიწეს, შემდეგ კი გონებაში ჩავარდნენ და ახლა აჯანყებულთა ერთერთ მძლავრ დაჯგუფებას წარმოადგენდნენ.

მეამბოხენი ისე მომრავლდნენ, რომ გაბედეს და ოქტომბრის დამდეგს სამხრეთიდან შეუტიეს კამენკას, რომ იგი იქ მდგომი წითელი გარნიზონისაგან გამოეხსნათ. გარნიზონმა ქვემეხების სროლით უპასუხა და კავალერიის გარდა ქვეითებითაც გადავიდნენ კონტრიერიშზე. აჯანყებულნი აჩქარდნენ და პირველად და უკანასკნელად სანგრები გათხარეს, რასაც მიჩვეული იყვნენ ომის დროიდან. მაგრამ ეს მათი შეცდომა იყო: ორი დღეღამის განმავლობაში რეგულარულ ბრძოლას ვერ გაუძლეს, მიატოვეს სანგრები. დაიხიეს ტუგოლუკოვისკენ, სადაც ცხენები უხვად იყო, და ცხენებზე შემჯდარი ბევრი გლეხი ტუგოლუკოვიდან გაემგზავრა **პარტიზანტებთან** ერთად.

აჯანყების რაიონი სახიფათოდ იყო გარშემორტყმული რკინიგზის სამკუთხედით — ტამბოვი — ბალაშოვი — რტიშჩევო, სადაც დიდ სადგურებში მუდმივად იდგა გარნიზონები. ეს გზა უნდა გაეფუჭებიათ, როცა კი შემთხვევა მიეცემოდათ. ანტონოველებმა რამდენჯერმე ალაგ-ალაგ აყარეს ლიანდაგი, ცხენის გამწევ ძალას იყენებდნენ და რკალივით ღუნავდნენ რელსებს.

რკინიგზის მოსამსახურენი, განსაკუთრებით ტელეფონისტები და ტელეგრაფისტები, მასობრივად თანაუგრძნობდნენ აჯანყებულებს. ზოგი მათგანი წითლების განკარგულებათა გადაცემას აყოვნებდნენ, ან კარგავდნენ მათ, ასხვაფერებდნენ, ზოგჯერ კი სულაც პარტიზანებს გადასცემდნენ. ბოლშევიკები საიმედოდ ვერ იყენებდნენ კავშირგაბმულობის თავიანთ ხაზებს. რტიშჩევოს კვანძის რკინიგზელებმა დელეგაციაც კი აირჩიეს აჯანყებულებთან გასაგზავნად და მათს მხარდასაჭერად, მაგრამ ჩეკისტებმა მოასწრეს დელეგატთა დატუსაღება, მთელ რტიშჩევოში კი საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადეს.

აჯანყებულთა რიცხვი თანდათან იზრდებოდა და ზედიზედ იქმნებოდა პარტიზანთა პოლკები, რომელთაგან თითოეულში ათას ხუთასი ან ორი ათასი კაცი ირიცხებოდა. ასეთი პოლკი უკვე ათზე მეტი ჩამოყალიბდა. პოლკებს ჰქონდათ თავიანთი დროშები, მაქსიმისა და ლუისის სისტემის ტყვიამფრქვევები. მეთაურები იყვნენ გერმანიის ომში მონაწილე უნტერები და ეფრეიტორებიც, კავის მუშა გლეხებიც. იყვნენ და საზრიანადაც მეთაურობდნენ.

ნოემბერში ანტონოვმა მთავარი ძალებით თვით ტამბოვსაც შეუტია, რითაც დიდი ალიაქოთი გამოიწვია ქალაქის ხელისუფალთა შორის (ისინი ჭრიდნენ საუკუნოვან მუხებს და ქალაქისკენ მიმავალ გზას ხერგავდნენ, ტყვიამფრქვევები დადგეს ქალაქის სამრეკლოებზე). ეკტოვს გაუჭირდა დაჯერება, რომ აი, თუნდაც სულ მცირე ხნით იგი ქალაქში შევა და ოჯახს გამოიყვანს. მართლა მოხდება ეს? (თუ მოხდა, სერდობსკში წაიყვანს ოჯახს — იქ პოლინას ბიძაშვილი ქალი ცხოვრობს და მასთან შეაფარებს თავს).

არა, არ მოხდა ასე. ტამბოვიდან ოცი ვერსის დაშორებით, პოდოსკლეი-როუდესტვენსკში დიდი ბრძოლის შემდეგ მეამბოხეებმა უკან დაიხიეს.

ვანდეაა? მაგრამ თვალსაჩინო იყო განსხვავება: ჩვენი მართლმადიდებელი სამღვდელოება არ შეუერთდა მეამბოხეებს, არ აღაფრთოვანა ისინი ისე, როგორც მებრძოლმა კათოლიკეებმა გააკეთეს. რუსული მართლმადიდებელი სამღვდელოება წინდახედულად იჯდა მრევლში, თავიანთ სახლებში, თუმცა კარგად იცოდნენ: წითლები

მოვლენ და თავს გაუჭეჭყენ. (კამენკაში მღვდელი მიხაილ მოლჩანოვი ტყუილუბრალოდ დახვრიტეს თავისივე სახლის კიბეზე).

ვანდეაა? ზოგჯერ ძალდატანებაც ხდებოდა: წითელარმიელი შვებულებით დაბრუნდა თავის სოფელში. თანასოფლელებმა ყველა დოკუმენტი მოუსპეს. რაღა უნდა ექნა მას? სად წავიდოდა უდოკუმენტებოდ? სხვა გზა არ ჰქონდა — უნდა პარტიზანებს შეერთებოდა. ანდა მეორე ამბავი: ერთ ქალს წითლებთან საუბარში წამოსცდა, მეამბოხენი აქეთ წავიდნენო. გაიყვანეს ეს ქალი მოედანზე ეკლესიის წინ და ხალხის თვალწინ წკეპლები დასცხეს შიშველ უკანალზე.

ტამბოვის მაზრის მშვიდობიანი გლეხები ორცეცხლშუა იყვნენ: თუ პატარა რაღაც შეგეშლება, ან წითლები დაგსჯიან, ან მეამბოხენი. ერთი ქალი დაკითხეს წითლებმა, შენი ვაჟი სად არისო. ქალმა უპასუხა, ვაჟი არ მყავსო. თურმე ჰყოლია და როცა მისი ვაჟი დაიჭირეს, იმან თქვა, ამადაამ ქალის შვილი ვარო. ახლა ამ ბიჭს არ დაუჯერეს — ტყუიხარო და დახვრიტეს.

იყო ასეთი შემთხვევაც: სოფელში მოსული სასურსათო რაზმი გაჟლიტეს. ორი რაზმელი — ჩინელი და ფინელი — ერთი ბერიკაცის უკანა ეზოში დამალულიყო. ჩინელი შეამჩნიეს და მოკლეს, ფინელი კი შეებრალა ბერიკაცს და ძნაში დამალა. ღამით გაუშვა იგი, იმან კი დაკრა ფეხი და თავის გარნიზონს მიაშურა ჩოკინოში. (მომდევნო ექსპედიციაში მონაწილეობის მისაღებად, ალბათ).

ტამბოვის გუბერნიის ესერები ყოყმანობდნენ: რევოლუციის საწინააღმდეგო აჯანყებას როგორ დაუჭირონ მხარი?! მაგრამ ახლა, როცა სამოქალაქო ომი დამთავრებულია, ხომ უნდა გამოიყენონ ხალხის აზვირთება კომუნისტების წინააღმდეგ. ისინი მიეკედლნენ ახალშექმნილ „მშრომელ გლეხთა საბჭოებს“ და წერდნენ სააგიტაციო ფურცლებს, აჯანყებას ესერთა პარტიის დამსახურებად მიიჩნევდნენ.

აჯანყებულებს უკვე ჰქონდათ თავიანთი ლოზუნგები: „ძირს საბჭოები!“ (არამცდაარამც ესერული, ესერები საბჭოებს უჭერენ მხარს); „არ გადავიხდით!“; „გაუმარჯოს წითელი არმიის დეზერტირებს!“.

ეკტოვის ხელთ აღმოჩნდა საბეჭდი მანქანა, რომელიც აღმასკომიდან დაითრიეს. იგი თვითონვე თხზავდა და გულმოდგინედ ბეჭდავდა პროკლამაციებს: „წითელარმიელებო! ჩვენ ბანდიტები არ ვართ! ისეთივე გლეხები ვართ, როგორიც — თქვენ. მაგრამ ჩვენ გვაიძულეს, მიგვეტოვებია მშვიდობიანი შრომა და ჩვენსავე ძმებს დავპირისპირებოდით. თქვენი და ჩვენი ოჯახები ერთნაირად ცუდ მდგომარეობაში არიან. ყველაფერი მოსპეს საბჭოებმა. გამხეცებული კომუნისტები უკანასკნელ მარცვალს ართმევენ და უმიზეზოდ ხვრეტენ ხალხს. თავებს გვიხეთქენ, ძვლებს გვიმტვრევენ და ამით გვიშენებენ ახალ სამყაროს? მოიშორეთ კომუნისტური უღელი, წაიღეთ იარაღი და წადით შინ! გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას! გაუმარჯოს მშრომელ გლეხთა საბჭოებს!"

ვისაც ემარჯვებოდა, მეამბოხენიც ქიმიური ფანქრით იწერდნენ ქაღალდის ფურცლებზე: „გვეყოფა, აღარ უნდა ვუსმინოთ თავგასულ კომუნისტებს, მშრომელი ხალხის პარაზიტებს!"; „მჩაგვრელთა და მძარცველთა ხელისუფლება უნდა მოისპოს!" იყო უფრო გაუბედავიც: „გლეხებო! გართმევენ პურს, საქონელს, თქვენ კი გძინავთ?"

კომუნისტები ამაზე პასუხობდნენ დიდი ტირაჟით სტამბურად დაბეჭდილი ფურცლებით ან სატირული სურათებით: ანტონოვს სისხლიანი ქუდი ახურავს და სისხლიანი დანა უჭირავს ხელში, მკერდზე კი ორდენებივით ჰკიდია ვრანგელისა და კერენსკის სურათები. მინაწერიც ახლავს: „ჩვენ, ანტონოვ პირველი, ტამბოველი ცეცხლის წამკიდებელი და დამანგრეველი, ყველა ქურდისა და ბანდიტის თვითმპყრობელი..."

ეს გუბკომის აგიტპროპის გამგის ეიდმანის შეთითხნილი იყო. ეიდმანი აქამდე არავის გაუგონია ტამბოვში. მრისხანე განკარგულებებს კი უფრო ხშირად ხელს აწერდნენ გუმბკომის მდივნები: პინსონი, მეშჩერიაკოვი, რაივიდი, მაიერი, გუბაღმასკომის თავმჯდომარის სახელით კი — ხან ზაგუზოვი, ხან შლიხტერი, ხან გუბჩეკას თავმჯდომარე ტრასკოვიჩი, პოლიტგანყოფილების უფროსი გალუზო. ესენიც მოსულები იყვნენ, ტამბოვი მათ არასოდეს იცნობდა. საგუბერნიო ხელისუფლებაში იყვნენ სხვებიც, რომელნიც მრისხანე ბრძანებებს ხელს არ ანერდნენ, მაგრამ გადაწყვეტილების მიღება-

ში კი მონაწილეობდნენ: სმოლენსკი, ზარინი, ნემცოვი, ლოპატო და ორი ქალიც კი — კოლეგაევა, შესტაკოვა... ეკტოვს არც ესენი გაეგონა წინათ, მხოლოდ ერთი იყო მათ შორის ადგილობრივი — ყველასათვის ცნობილი თავგასული ბოლშევიკი ვასილიევი, რომელიც მთელი ცხრაასჩვიდმეტი წლის განმავლობაში ხულიგნობდა ქალაქში, ნარიშკინის სამკითხველოში გამართულ დარბაისლურ კრებებზეც კი უსტვენდა და ფეხებს აბრახუნებდა. სხვებს არ იცნობდა ეკტოვი, არადა, ეს ხროვაც იმ ოპოზიციურ ინტელიგენციას ეკუთვნოდა, რომელსაც — თვითონ პავლე ვასილიჩი. შესაძლებელია, რამდენიმე წლის წინათ, რევოლუციამდე, სადმე რომ შეხვედროდა მათ, ალბათ, ხელსაც ჩამოართმევდა.

მაგრამ პროპაგანდა პროპაგანდაა, ბოლშევიკები კი ძალებს იკრებდნენ. ანტონოვის დაზვერვამ შეიტყო, რომ მოსკოვიდან ჩამოვიდა ჩეკას საგანგებო დანიშნულების პოლკი, ტულის ჩეკას ესკადრონი, 250 ცხენოსანი ყაზანიდან და თითქმის ასეული სარატოვიდან. კოზლოვიდანაც ტამბოვში იქნა მობილიზებული ორი „კომუნისტური რაზმი". ამათ დაემატა „სვერდლოვის სახელობის მებრძოლი რაზმი" და ერთი სარკინიგზო ბატალიონი. (სარისკო დაზვერვას ატარებდნენ ერთგული ქალიც და საიმედო გლეხიც, რომელთაც რძე და შეშა დაჰქონდათ ქალაქში. ერთი ასეთი ქალის მეშვეობით პავლე ვასილიჩმა სიტყვიერად შეატყობინა პოლინას თავისი ამბავი და მისგანაც პასუხი მოუვიდა: ჯანმრთელად ვართ, ჩეკამ ვერ მოგვაგნო, ღარიბულად ვცხოვრობთ, მაგრამ იმედი გვაქვს...).

ქალაქი ტამბოვი რომ ხელუხლებლად დაიგულეს, წითლების მეთაურებმა თავიანთი ჭარბი ძალები თანაბრად გაანაწილეს სამივე ამბოხებულ მაზრაში (განსაკუთრებით ტამბოვისაში) და მათი გეგმური ოკუპაცია მოახდინეს. (ერთ დიდ, ათიათასკაციან სოფელში მძევლად აიყვანეს 80 კაცი და მცხოვრებლებს გამოუცხადეს: ხვალ შუადღემდე თუ ცეცხლსასროლ იარაღს არ ჩაგვაბარებთ, ამ 80 კაცს დავხვრეტთო. მუქარა იმდენად გაზვიადებული იყო, რომ სოფელმა არ დაიჯერა იგი — იარაღი არავინ არ ჩააბარა და მეორე დღის შუადღისას ის ოთხმოცი კაცი მთელი სოფლის თვალწინ დახვრიტეს!).

გამოჩნდნენ ბოლშევიკთა თვითმფრინავებიც (სატრაბახოდ ზოგი ნითლად იყო შეღებილი); უთვალთვალებდნენ ზემოდან, ზოგჯერ ბომბსაც ჩამოაგდებდნენ, რაც ძალიან აშინებდა სოფლელებს.

ანტონოვმა მოსალოდნელ შემოტევას თავი აარიდა და შემოდგომაზე თავისი მთავარი ძალები დროებით სარატოვისა და პენზის გუბერნიებში გადაიყვანა. (სარატოველმა გლეხებმა კი შური იძიეს წართმეული თუ გამოცვლილი ცხენებისათვის და თვითონვე იჭერდნენ ტამბოველ მემბოხეებს და თვითგასამართლებას უწყობდნენ. ასეთია გლეხთა ჯანყის ბედი...)

მთავარ შტაბთან ერთად ეგოც მონაწილეობდა ამ რეიდებში. იგი უკვე მიეჩვია ასეთ ცხოვრებას: ზიხარ ცხენზე, დახეტიალობ, სახლკარი არა გაქვს, გცივა და შფოთავ, სულ იმას ფიქრობ, როგორ დააღწიო თავი მდევარს. იქცა იგი სამხედრო პირად? არა, ვერ იქცა, ეს ძნელი გამოდგა მისთვის, ამისთვის არასდროს მომზადებულა. ჰოდა, უნდა აიტანოს. მან გაიზიარა გლეხთა სატკივარი და კმაყოფილია ამით: იქ ვარ, სადაც უნდა ვიყოო. (არადა, თავი შეზიზღდებოდა, აქ რომ არ მოსულიყო და ტამბოვში სოროში შემძვრალიყო).

აჯანყებული მხარე კვლავ ბობოქრობდა. თუმცა გვიან შემოდგომაზე და ზამთარში ბევრად უფრო გაძნელდა დამალვა და ღამისთევა, პარტიზანთა პოლკებს მაინც ემატებოდა ხალხი. ამბოხებულებს ახალ ძალას მატებდა წითელი რაზმების აღვირახსნილობა: მძიმე გადასახადები, აშკარა ძარცვა — გლეხებს ართმევდნენ ქონებას და იქვე, მათივე თვალწინ ინაწილებდნენ, სცემდნენ მოხუცებს, პირწმინდად გადაბუგეს რამდენიმე სოფელი (აფანასიევკა, ბაბინო) და ეს გააკეთეს ზამთრის პირზე — დიდი და პატარა თოვლში გამორეკეს. (ამბოხებულებსაც ხომ ჭამა უნდოდათ. თავდაპირველად საბჭოთა აქტივის ოჯახებიდან მიჰქონდათ საკვები, შემდეგ წითელარმიელთა ოჯახებიდანაც, შემდეგ კი გლეხებსაც მოსთხოვეს. ზოგი ნებით აძლევდა, ზოგი კი — გაბრაზებით).

შუა ზამთარში უკვე ჩამოყალიბდა ორი პარტიზანული არმია. თითოში ათი პოლკი იყო. პირველ არმიას ტოკმაკოვი მეთაურობდა, მეორეს — თვითონ ანტონოვი. არმიის შტაბებში უკვე გამოჩნდნენ ნამდვილი სამხედროები, რომლებმაც წესრიგი დაამყარეს. თავდა-

პირველად ტანსაცმლის ფორმა დაუწესეს რიგითებს, მეთაურებს და ბრიგადის მეთაურებს. მეთაურთა შემადგენლობას პოლკის კრებაზე ირჩევდნენ (ირჩევდნენ აგრეთვე პოლიტკომს და პოლკის სასამართლოს). ბრძანებებსაც სცემდნენ: სავსებით აიკრძალა ტანსაცმლის, ნივთების კონფისკაცია სოფლებში, ჩხრეკა სურსათის მოსაძებნად; პარტიზანებს ნება არ ჰქონდათ, ძალიან ხშირად გაეცვალათ ცხენები გლეხის ცხენში — ეს უნდა მომხდარიყო მხოლოდ ფერშლის გადაწყვეტილებით. ყველაზე კარგი ის იქნება, თქვენს ცხენებს უკეთ მოუარეთო. როგორც ნამდვილ არმიაშია, პარტიზანებს დაუწესეს მორიგი შვებულება; სოფლებში თავისი მილიცია ჰყავდათ, რომელიც ჩამოსულ პარტიზანს დოკუმენტებს შეუმოწმებდა.

ზამთარში კიდევ უფრო გამწვავდა ურთიერთმტრობა. წითელი რაზმები ხვრეტდნენ მხილებულებსაც და ეჭვმიტანილებსაც; ესროდნენ ყოველგვარი ძიებისა და სასამართლოს გარეშე. დამსჯელთა შორის ისეთი ადამიანებიც გაჩნდნენ, რომელნიც იმდენად მიეჩვივნენ სისხლისღვრას, რომ მათი ხელი, თითქოს ბუზს უნდა აუქნიოსო, თავისთავად იწევდა მაღლა და რევოლვერიც თითქოს თვითონ ისროდა. პარტიზანები ვაზნებს ზოგავდნენ და შეპყრობილებს უფრო მეტად ხმლით ჩეხავდნენ, მძიმეწონოსნებს თავში ურტყამდნენ, კომისრებს სახრჩობელაზე ჰკიდებდნენ.

და იმდენად გააფთრებული იყო ორივე მხარე, რომ ტყვეს თვალებსაც კი თხრიდნენ სიკვდილის წინ.

ბავშვები მიდიოდნენ გაძარცვულ სოფლებში და იქიდან ციგებით ეზიდებოდნენ მოკლული ცხენების ხორცს. ამ ზამთარს ძალზე მომრავლდნენ გათავხედებული მგლები. ძაღლებიც ჭამდნენ გვამებს, რომლებიც ველზე და ხრამებში ეყარა, მიწიდანაც კი თხრიდნენ ზერელედ დამარხულებს.

ოკუპირებულ სოფლებში მიმოდიოდა გუბჩეკას გამსვლელი სესია — რამოშატი, რაკუცი და შაროვი, უხვად არიგებდნენ დახვრეტის განაჩენებს, ეჭვმიტანილებს კი, რომელნიც მეამბოხეობაში ვერ გამოიჭირეს, „საკონცენტრაციო ბანაკებში" გზავნიდნენ. იანვარში ანტონოვის შტაბმა ხელთ იგდო საიდუმლო წერილი: ბანაკების რესპუბლიკური სამმართველოდან ტამბოვის გუბჩეკამ დამატებით მი-

იღო 5 ათასი ადგილი ტუსაღთა ბანაკებში. გავრცელდა ხმა, რომ მახლობელ საკონცენტრაციო ბანაკებში მოთავსებულ ქალებთან და ქალიშვილებთან ბადრაგის წევრები გარყვნილებას ეწევიან, ვინც უარს ამბობს ამაზე, მას ძალით აუპატიურებენო.

სოფლები გაღატაკდა. ოდესღაც მდიდარ კამენკაშიც კი ოციოდე ცხენიღა დარჩა. დახეულ ფეხსაცმელებს ხის ძირებს უკეთებდნენ, ყინვაში ჩულქები არ ეცვათ ქალებს. ვინმე ნატვრით იტყოდა: „მეფის დროს ნახვიდოდი ბაზარში და ყველაფერს იყიდდი, რაც სულსა და გულს მოესურვებოდა: ჩექმები, ჩითი, კრენდელები". ახლა მხოლოდ თუთუნის გასახვევი ქაღალდი იშოვებოდა: მემამულეთა წიგნებში და ნითელ კუთხეებში.

ხუტორ სემიონოვსკოელ ღრმა მოხუცთან საუბრისას ეკტოვი ჩიოდა, როგორ გათახსირდა ყველაფერიო. ბაბუაც კვერს უკრავდა. სიცოცხლე თითქოს დამთავრდა, რაღა დარჩება ამის შემდეგ?

— აღარაფერი, — თქვა ჭაღარა ბაბუამ.

და მაინც მისწვდა კრემლს ტამბოველი გლეხების ხმა! შუა თებერვალში გამოაცხადეს, რომ ტამბოვის გუბერნიაში სასურსათო გაწერა აღარ იქნება.

არავინ დაიჯერა ეს.

მაშინ გაზეთებში დაბეჭდეს, რომ ლენინმა „ტამბოველ გლეხთა დელეგაცია მიიღო". (მართლა მიიღო? მოგვიანებით ანტონოვის შტაბში შეიტყვეს: ჰო, რამდენიმე გლეხი, რომლებიც ტამბოვის ჩეკაში იჯდნენ, შეუშინებიათ და მართლა მიუყვანიათ მოსკოვის კრემლში).

ეტყობა, ბოლშევიკები ჩქარობდნენ, უნდოდათ აჯანყება გაზაფხულისთვის დამთავრებულიყო, რომ გლეხებს ისევ დაეთესათ (შემოდგომაზე კი კვლავ წაერთმიათ პური).

მაგრამ ბრძოლის სიმძაფრე არ შენელებულა. მარტში ანტონოველთა ორი პოლკი თავს დაესხა გამაგრებულ საფაბრიკო სოფელ რასკაზოვოს (ტამბოვის ახლოს), გაანადგურეს გარნიზონი და მთელი საბჭოთა ბატალიონი ტყვედ ჩაიგდეს. მათი ნახევარი ნებაყოფლობით შეუერთდა **პარტიზანტებს.**

პავლე ვასილიჩს შემოდგომის აქეთ არ სჯეროდა, იმედი არ ჰქონდა, რომ დავიდარაბას გადაურჩებოდა, ზამთარს გადაიტანდა. მა-

გრამ აი, გაუძლო, მარტსაც მოესწრო. და იგი იმდენად ცნეს სამხედრო პიროვნებად, რომ პირველი არმიის შტაბში საგანგებო დანიშნულების პოლკის მეთაურის თანაშემწედაც კი დანიშნეს.

მან ისიც მოასწრო, რომ წაეკითხა გამხეცებული დამსჯელების მიერ მარტში გამოცემული ორი ბრძანება: „თითოეული სოფლის ყოველმა მცხოვრებმა იკისროს ურთიერთავდებობა, რომ თუ სოფელში ვინმე რაიმე დახმარებას გაუწევს ბანდიტებს, ამაზე პასუხს აგებს სოფლის ყველა მცხოვრები“, „ბანდიტები უნდა დავიჭიროთ და მტაცებელი ცხოველებივით უნდა მოვსპოთ“. შემდეგ მოდის უბრძნესი მოსაზრება: „ყველა ჯანსაღი მამაკაცი 17-დან 50 წლის ასაკისა უნდა დატუსაღდეს და საკონცენტრაციო ბანაკში მოთავსდეს“! მეამბოხეებს კი ასე მიმართავდნენ: „გახსოვდეთ: თქვენი უმეტესობის სია უკვე ჩეკაშია. გამოცხადდით ნებაყოფლობით, მოიტანეთ იარაღიც და შეწყალებულ იქნებით“.

მაგრამ გაყინულ ხრამებსა და ღრანტეებში ხეტიალით განამებულ მეამბოხეებზე უკვე აღარ მოქმედებდა არც გავარვარებული შანთით დამუქრება და არც რჩევა-დარიგება. თანაც აი, უკვე გაზაფხულიც მოდის და მაშინ სულ ვერას დაგვაკლებს მტერი!

და მარტში, ზამთარი რომ უკვე გადაიტანა, ეკტოვი ძლიერ გაციოდა, შეუძლოდ გახდა, უნდა ჩამოშორებოდა პოლკს და სოფელში თბილად დაწოლილიყო. ასეც მოიქცა.

ჰოდა, მეორე ღამესვე მეზობლის ქალმა იგი ჩეკისტებთან დააბეზღა.

შეიპყრეს.

მაგრამ ადგილზე არ დაუხვრეტიათ, თუმცა უკვე იცოდნენ, რა როლს ასრულებდა იგი ტოკმაკოვის შტაბში.

წაიყვანეს ტამბოვში.

ქალაქი სამხედრო ბანაკს ჰგავდა. ბევრი სახლი გამოკეტილი იყო. ტროტუარებზე ჭუჭყიანი თოვლი იდო (გვერდით ქუჩაზე მდებარე თავისი სახლი არ დაუნახავს).

ტამბოვშიც არ გააჩერეს. ჩასვეს გისოსებიან ვაგონში და მოსკოვისაკენ გაამგზავრეს.

მაგრამ არა ლენინის სანახავად.

II

იჯდა ეკტოვი ლუბიანკის ციხეში, რომელიც ჩეკას ეკუთვნოდა. იჯდა ნახევარსარდაფში, ერთი კაცის საკანში, რომლის პანაწინა კვადრატული სარკმელი ციხის ეზოს დონეზე იყო გამოჭრილი.

მთავარ განსაცდელად თავიდანვე ის მიაჩნდა, რომ როგორმე თავისი **ვინაობა არ გაემხილა**. ეს იგივე განსაცდელია, რომელიც ელის ტამბოვის გუბერნიის ყოველ მეორე გლეხს. არჩევანიც ისეთივეა: გაამხელ ვინაობას — დაიღუპები. არ გაამხელ — მაინც დაიღუპები, ოღონდ სხვანაირად.

ეკტოვმა გამოიგონა თავისი ბიოგრაფია: იგი კოოპერატორი კია, მაგრამ ბაიკალისპირეთიდანაა, იმ ადგილიდან, რომელსაც იცნობს. შესაძლებელია, ამ არეულ დროში შემოწმება გაუჭირდეთ.

დაკითხვისთვის სამი სართულით მაღლა აჰყავდათ, ყოველთვის ერთსა და იმავე კაბინეტში, რომელსაც ორი დიდი მაღალი ფანჯარა ჰქონდა და ძველებური ძვირფასი ავეჯით იყო განყობილი. გამომძიებლის თავს ზემოთ კედელზე ეკიდა ძვირფას ჩარჩოში ჩასმული ქაღალდზე დახატული ლენინის უხეირო პორტრეტი. გამომძიებელი სამი იყო. ისინი ერთმანეთს ცვლიდნენ.

ერთი იყო მარაგაევი, კავკასიური იერის კაცი. იგი ყოველთვის ღამით დაჰკითხავდა — დაძინების საშუალებას არ აძლევდა. დაჰკითხავდა მოუსაზრებლად, მაგრამ ყვირილით, მხეცივით ღმუოდა, სცემდა სახეზე და ტანზე ისე, რომ დაუეჟილობის ლურჯი ნაკვალევი რჩებოდა სხეულზე.

მეორე იყო ობოიანსკი. ისეთი ნაზი იერი ჰქონდა, რომ ცისფერსისხლიანს ჰგავდა. იგი ისე დაჰკითხავდა, რომ ბრალდებულს განწირულობის გრძნობას აღუძრავდა, თითქოს მის მხარეს იყო და თანაუგრძნობდა: სულერთია, **ისინი** მაინც გაიმარჯვებენ, უკვე ყველგან გაიმარჯვეს, ეს ტამბოვის გუბერნიაღა დარჩა; **მათ** ვერავინ დაუდგება წინ ვერც რუსეთში და ვერც მთელ მსოფლიოში, ეს ისეთი ძალაა, ჯერ რომ არ უნახავს კაცობრიობას; გონივრული იქნება მანამ დავნებდეთ მათ, სანამ დაგვსჯიან. იქნებ ამით შევიმსუბუქოთ ხვედრი.

მესამე გახლდათ ფუნთუშალოყებიანი, შავთმიანი ცქვიტი ლიბინი. მას ბრალდებულისთვის თითიც არ დაუკარებია არასდროს, არ ყვიროდა, მაგრამ ყოველთვის ლაპარაკობდა გამარჯვების მტკიცე რწმენით და, ეტყობა, არც თვალთმაქცობდა. იგი ცდილობდა, ბრალდებულში გაეღვიძებია დემოკრატიული სინდისი: როგორ შეიძლება, ინტელიგენციის ნათელ იდეალებს ვუღალატოთ? როგორ შეუძლია დემოკრატ კაცს, წინ აღუდგეს ისტორიის გარდუვალ წინსვლას, თუნდაც სისასტიკის დაღით აღბეჭდილს?

ეკტოვს შეეძლო უფრო მეტი სისასტიკე ეუწყებია გამომძიებლისთვის, ვიდრე მას წარმოედგინა. შეეძლო, მაგრამ ვერ გაბედა. ლიბინმა კი განაგრძო:

— მომავალში სასკოლო ქრესტომათიაში შეიტანენ იმ წითელი ჯარისა და იმ კომუნისტთა გმირობის არაერთ ეპიზოდს, რომლებმაც ჩაახშეს ეს კულაკური ჯანყი. კულაკობასთან ბრძოლის ეპიზოდები საპატიო ადგილს დაიკავებს საბჭოთა ისტორიაში.

შედავებას აზრი არ ჰქონდა და არც იყო საჭირო. მთავარი ის არის, შეიტყობენ თუ ვერა, **ვინ** არის ეკტოვი. კარგია, რომ მოსკოვში წამოიყვანეს — ტამბოვში მონმეების მეშვეობით ადვილად გაიგებდნენ მის ვინაობას. მხოლოდ ერთი რამ აშფოთებდა: სურათი გადაუღეს მთელი სახით და პროფილით. შეუძლიათ ის სურათი გაამრავლონ და ტამბოვში, კირსანოვში, ბორისოგლებსკში დაგზავნონ. თუმცა ერთი კია: მხედრული ცხოვრების ნახევარი წლის განმავლობაში ეკტოვი ისე შეიცვალა, სარკეში რომ ჩაიხედავდა, თვითონვე ვერ ცნობდა საკუთარ თავს.

სანამ მის ვინაობას არ შეიტყობდნენ, ოჯახს საფრთხე არ ელოდა. თვითონ კი ამ დაუნდობელი ომის პერიოდში შეეჩვია სიკვდილზე ფიქრს, მიხვდა, რომ მისი სიცოცხლე ბენვზე ეკიდა და ახლა დახვრეტისაც არ ეშინოდა.

იგი შეპყრობის დროსვე შეეძლოთ დაეხვრიტათ, მაგრამ არა — მოსკოვში წამოიყვანეს. გაუგებარია, ასე ძალიან რისთვის უნდათ მისი ამოცნობა? რისთვის წამოიყვანეს აქ? რატომ ხარჯავენ ამდენ დროს იმისთვის, რომ მას რწმენა შეაცვლევინონ?

ასე გადიოდა კვირები: შიმშილი, მწირი შეჭამანდი, პურის პაწაწინა ნატეხები; თეთრეულს არ ცვლიან, ტანი ეფხანება, იშვიათად მიჰყავთ აბანოში, სადაც თვითონვე ირეცხავს საცვლებს, როგორც მოუხერხდება.

ერთი კაცის საკნიდან სხვა საკანში გადაიყვანეს — ჯერ ერთში, შემდეგ მეორეში. მეზობლებმა გამოკითხვა დაუწყეს: ვინა ხართ? როგორ მოხვდით აჯანყებაში? რას აკეთებდით იქ? არ შეიძლება უპასუხო, მაგრამ არც ის შეიძლება, სულ არ თქვა არაფერი. ჰოდა, რაღაც მოჩმახა მათი შეკითხვების პასუხად. ეს მით უფრო საჭირო იყო, რომ ეკტოვს გულმა უგრძნო — ამათგან არც ერთი არ არის კაი კაციო.

გავიდა აპრილი — ვერ ამოიცნეს ეკტოვი.

ერთხელ კიდევ გადაუღეს სურათები.

მოუჭირეს მარნუხი.

ისევ ერთი კაცის საკანში გადაიყვანეს, სარდაფში.

მაისიც გავიდა.

გაიწელა დღეები, მაგრამ უფრო მტანჯველი იყო ღამეები. ღამით, როცა კაცი გაშხლართული წევს, თვითონაც სუსტდება და წინააღმდეგობის გაწევის უნარიც აკლდება. კიდევ ცოტაც და სულ გამომეცლება ძალღონეო — ფიქრობს იგი.

ობოიანსკი ტანჯული კაცის იერით ილიმებოდა და თავს იქნევდა:

— არა, ვერავინ დაუდგება წინ. გაიგეთ, რომ გაიღვიძა და მოვიდა ჩვენთან ჯერარნახული მძლავრი თაობა.

ლიბინი კი ცოცხლად ჰყვებოდა წითლების სამხედრო წარმატებების შესახებ: რომ ამდენი და ამდენი ჯარი შეიყვანეს ტამბოვის გუბერნიაში და, კერძოდ, რომელი ჯარი; რომ რამდენიმე სამხედრო სასწავლებლის კურსანტები განალაგეს ტამბოვის მაზრის სოფლებში, რათა ოკუპაცია გააძლიერონ.

დიახ, ანტონოველები უკვე განადგურებული არიან! რამდენიმე მცირე გროვაღა დარჩა და ახლა იმასაც მოუღებენ ბოლოს. თვითონვე ჯგუფ-ჯგუფად მიდიან წითელ შტაბებში და შაშხანებს აბარებენ. სხვების პოვნასა და განიარაღებაშიც ეხმარებიან წითლებს. ბანდიტთა ერთი პოლკი მთლიანად გადავიდა წითლების მხარეს.

— რომელი? — აღმოხდა ეკტოვს.

ლიბინი მზად იყო ამ შეკითხვისათვის და მკაფიოდ თქვა:

— ტოკაის მე-5 ბრიგადის მე-14 პოლკი.

ბრწყინვალედ იცოდნენ ყველაფერი.

მაგრამ თუ გინდა, შეამოწმე, ასეა თუ არა?..

და დაკითხვაზე საბუთად მოჰქონდა ტამბოვის გაზეთები.

იმ გაზეთების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ბოლშევიკებმა მართლაც გაიმარჯვეს.

ანკი შეიძლებოდა სხვანაირად? როცა აჯანყებულებს შეუერთდა, ეკტოვმა მაშინაც ხომ იცოდა, რომ საქმე მაინცდამაინც საიმედოდ არ იყო.

აი, 130-ე ბრძანება: დატუსაღებულ იქნეს ამბოხებულთა ოჯახები (მნიშვნელოვანი გამომეტყველებით წაიკითხა: **ოჯახები**), კონფისკებულ იქნეს მათი ქონება, დატუსაღებულნი კი საკონცენტრაციო ბანაკებში შერეკონ და შემდეგ შორეთში გადაასახლონ.

აი, 171-ე ბრძანებაც **ოჯახების** დასჯას მოითხოვს.

ეკტოვმა კარგად იცოდა, რომ ამ ბრძანებების შესრულებისას წითლები უკან არ დაიხევდნენ.

ლიბინიც არწმუნებდა მას, ამ ბრძანებებმა კარგი ნაყოფი გამოიღოო. რომ თვითონ არ გაწვალდნენ, გლეხები მოდიან და ამბობენ, ვინ სად იმალებაო.

ადვილი შესაძლებელია, რომ სწორედ ასეა. დიდებული ხერხი მოიგონეს ბოლშევიკებმა: მძევლად აიყვანონ **ოჯახები.**

ვინ გაუძლებს ამას? შვილი ხომ ყველას საკუთარ თავზე მეტად უყვარს?

— ამის შემდეგ, — ირწმუნებოდა ლიბინი, — დაიწყება სრული წმენდა სოფლებში, ყველას სათითაოდ გადავთვლით, ვერავინ დაიმალება.

ზოგიერთი გლეხი ხომ იცნობდა პავლე ვასილიჩს მშვიდობიანი დროიდან; შესაძლებელია, გაეცათ კიდეც.

მაგრამ აგერ მესამე თვეა საკანში ზის ეკტოვი, ტყუის, რაღაცას მიედმოედება და ჯერ ვერ შეიტყვეს მისი ვინაობა. მაგრამ ოჯახი რა

დღეშია? ეგებ, პოლინამ თადარიგი დაიჭირა და გოგონასთან ერთად სხვაგან გადავიდა საცხოვრებლად, ა?

მაგრამ ერთ დღეს ლიბინმა მხიარულად გაილიმა და უთხრა:

— პაველ ვასილიჩ, ამას წინათ ჩვენ ყველაფერი ბოლომდე არ გვითქვამს...

ეკტოვს გულმა რეჩხი უყო, ლიბინმა კი განაგრძო:

— თქვენი სიჯიუტე პოლინა მიხაილოვნასაც არ მოსწონს. მან იცის ფაქტები და უკვირს, რომ თქვენ დღეისთვისაც არ გაგიწყვეტიათ კავშირი ბანდიტებთან.

ეკტოვი რამდენიმე წუთს დარეტიანებული იჯდა ტაბურეტზე.

ლიბინი თვალს არ აშორებდა, მაგრამ დუმდა, არ აჩქარებდა.

პოლინა ასე ვერ იფიქრებდა, ვერც იტყოდა.

მაგრამ, შესაძლებელია, ძალიან გაწვალდა, ა?

— მომეცით ნება, ვნახო იგი! დამალაპარაკეთ მასთან!

— არაა, ეგ ჯერ კიდევ არ დაგიმსახურებიათ. უპირველეს ყოვლისა, უნდა მოინანიოთ.

ასე გავიდა ორი თუ სამი დღე: ეკტოვი მოითხოვდა — შემახვედრეთო, ლიბინი ამბობდა — ჯერ სრულად მოინანიეთო.

მაგრამ ეკტოვს არ შეეძლო უარეყო ის, რაც თავისი თვალით ნახა და რაც მტკიცედ იცოდა. მას თვალთმაქცობაც არ შეეძლო.

მაგრამ ლიბინიც არ თმობდა არაფერს (და სწორედ ამით მტკიცდებოდა, რომ პოლინა სულაც არ ფიქრობდა ისე! უთუოდ — არა!).

მაშინ ლიბინმა შენყვიტა ორთაბრძოლა — ამოსუნთქვის საშუალება მისცა: ჯანდაბას თქვენი თავი, ნუ მოინანიებთ! ჯანდაბას, დარჩით ისევ გამოტვინებულ ხალხისნად! მაგრამ იცოდეთ: თუ ჩვენთან თანამშრომლობას არ ინებებთ, თქვენს პოლინას თქვენსავე თვალწინ მადიარებს გადავცემ, გოგონას საბავშვო სახლს მივაბარებთ, თქვენ კი ტყვიას მიიღებთ კეფაში — ჩვენ შევცდით, მაშინვე რომ არ დაგხვრიტეთ.

თითქოს მარწუხი მოუჭირეს გულზე. განა არ იზამენ — ამათგან ყველაფერი მოსალოდნელია!

ერთხელ უქნიათ თუ ორჯერ! ამით გააქვთ თავი.

ნეტავ, რა დღეშია პოლინა?!

ეკტოვს კიდევ მისცეს ერთი დღე, შემდეგ ორი დღეც — **მოიფიქრეო.**

მაგრამ როგორ უნდა **იფიქროს** აქ — საწამებელში, საიდანაც თავს ვერ დააღწევს?

ხომ ვერ გაწირავს ცოლსა და მარინკას?!

ვინ ჰყავს ამქვეყნად მათზე ძვირფასი? ისინია მთელი მისი ცხოვრება!

და თვითონვე ჩაუგდოს ხელში მტერს? ვინ იზამს ამას?!.

პოლინასაც დახვრეტენ შემდეგ. არც მარინკას შეიბრალებენ. უკვე კარგად იცის ბოლშევიკების ზნე-ჩვეულება.

ვითომ გლეხებს ეშველებათ რამე ამით? რაღა ეშველებათ — აჯანყებულები დამარცხდნენ უკვე, აშკარად დამარცხდნენ.

ეს **თანამშრომლობა** რაღაა? რამეში ხომ არ წაადგება იგი დამარცხებულ მეამბოხეებს? ალბათ, არა.

მხოლოდ ოჯახის განირვა გამოვა, სხვა არაფერი შეიცვლება.

ო, როგორ ეზიზღება მას ლიბინის თავხედურად მოზეიმე სახე და მტაცებლური თვალთა ბრიალი!

მაგრამ დანებებასაც აქვს რაღაც გამართლება. ქალი ხომ წყვეტს ბრძოლას, რომ ძალა გამოელევა. თქვენ უფრო ძლიერი აღმოჩნდით, გნებდებით თქვენი მოწყალე გულის იმედით და იმ იმედით, რომ წითლებს მაინც არაფერში წავადგებიო.

ერთი პირობით კი: პოლინა უნდა მანახოთ.

ლიბინმა უყოყმანოდ მიიღო კაპიტულაცია. ცოლს კი მაშინ განახებთ, როცა ჩვენს დავალებას შეასრულებთო. მაშინ, კი ბატონო, ოჯახშიც გაგიშვებთო.

არც ობოიანსკის ბრტყელ-ბრტყელ ლაპარაკს ჩაუვლია უშედეგოდ. მართალი გამოდგა: ძლიერი თაობაა! ახალი ჰუნები, ოღონდ სოციალისტური იდეოლოგიის მიმდევარნი — საოცარი დომხალია...

ეგებ მართალიცაა: ჩვენ, ძველებურად ნაწრთობ ინტელიგენტებს, ზოგი რამ სხვანაირად გვესმის? მომავლის გზის განჭვრეტა არც ისე ადვილად შეუძლია ადამიანის თვალს.

დავალება კი ასეთი იყო: უნდა ეკისრა სამოქალაქო ომის გმირის, სახელგანთქმული გრიგორი კოტოვსკის კავალერიის ბრიგადის მეგ-

ზურობა (ამ ბრიგადამ ახლახან გადაუარა ამბოხებულ პახოტნი უგოლს და ხუთასი მეამბოხე აჩეხა). ამასთანავე, საჭირო არ არის არავითარი ნიღაბი, იქნები იგივე ცნობილი ეგო, ანტონოვის შტაბის ნევრი (ანტონოვი სავსებით განადგურებულია, არმია აღარ ჰყავს, თვითონ კი გაიქცა და სადღაც იმალება. იმას არც დავსდევთ).

აბა, რა ევალება მას?

ეს გზადაგზა გაირკვევა.

გრძელი გზა არ არის ტამბოვიდან კობილინკამდე, რომელიც პარტიზანთა საყვარელი რაიონების განაპირა ადგილია უკვე.

ყველა ცხენზე ზის (აქვე არიან სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ჩეკისტებიც. წითელარმიელთა ნახევარი ესკადრონიც ახლავთ).

ისევ ღია ცისქვეშაა ეკტოვი, სუფთა ჰაერზე.

ივლისის დამდეგია. ჰყვავის ცაცხვები. ჩაისუნთქე და დატკბი.

გვაგონდება ბევრი პოეტისა და მწერლის ნათქვამი: მშვენიერია სამყარო, ადამიანთა დაუშრეტელი ღვარძლინობა კი ამცირებს და შხამავს მას. როდისღა მოეღება ამას ბოლო? როდისღა დამშვიდდება მსოფლიო? როდისღა უნდა იცხოვროს ადამიანმა ლაღად და უშფოთველად?.. — ამაზე ოცნებობენ თაობები.

კობილინკამდე რამდენიმე ვერსიღა იყო გასავლელი, როცა თვით კოტოვსკის შეხვდნენ. ეს იყო ახოვანი მძლავრი ფიგურა, თავგადაპარსული და კატორღელის ცხვირპირიანი კაცი. კოტოვსკის ახლდა ესკადრონი, რომელიც წითელარმიული ფორმით კი არა, გლეხური ტანსაცმლით იყო შემოსილი, თუმცა ჩექმები ყველას ეცვა. ეხურათ ცხვრის ტყავის ფაფახები. ზოგიერთებს კაზაკური წითელი ლამპასები ეკერათ შარვლის გვერდებზე. თვითმარქვია კაზაკები არიან?

ასეც იყო. ასწავლიდნენ და აჩვევდნენ ერთმანეთს: „ამხანაგო" კი არ უნდა ვთქვათ, არამედ — „სტანიცელო".

ეკტოვის მხლებელ ჩეკისტთა უფროსმა ახლა განუმარტა მას, რა ევალებოდა: ამაღამ უნდა შევხვდეთ 450-500 კაციანი ბანდის წარმომადგენელს. ეგომ უნდა დაადასტუროს, რომ **ჩვენ** დონისა და ყუბანის აჯანყებული არმიის კაზაკები ვართ, ვორონეჟის გუბერნიის გავლით გამოვაღწიეთ და ანტონოვთან შესაერთებლად მივდივართ.

ღამით ეგოს მისცეს დაცლილი ნაგანი — გვერდზე ჩამოიკიდეო, შესვეს ყველაზე უხეირო ჯაგლაგ ცხენზე. (მის ახლოს იყო ოთხი გადაცმული ჩეკისტი — ვითომც მისი ახალი ამალაა ანტონოვის მთავარი ძალების განადგურების შემდეგ. მათ დატენილი ნაგანები ჰქონდათ, რაც ამას ნიშნავდა: „როგორც კი ხმას ამოიღებ, მაშინვე მოგკლავთო“).

თვითონ კოტოვსკი ესკადრონთან ერთად წავიდა შეხვედრაზე, რომელიც ტყის მდელოსთან მდგარ მეტყევის სახლში უნდა გამართულიყო. მეორე მხრიდან რამდენიმე ათეული ცხენოსნის თანხლებით მოვიდა მიშკა მატიუხინი, ჯერ კიდევ დაუმარცხებელი რაზმის მეთაურის — ივან სერგეევიჩ მატიუხინის ძმა. (ტამბოველთა აჯანყებაში ხშირად მონაწილეობდა რამდენიმე ძმა ერთი ოჯახიდან; მაგალითად, ალექსანდრ ანტონოვთან ერთად იბრძოდა მისი უმცროსი ძმა, სოფლის პოეტი მიტკა. ამჟამად ისინი ერთად იყვნენ მიმალული).

ცხენოსნები მდელოზე დარჩნენ. მოლაპარაკების მთავარი მონაწილენი შევიდნენ მეტყევის ქოხში, სადაც მაგიდაზე ორი სანთელი ენთო. სახეები ბუნდოვნად ჩანდა.

მიშა მატიუხინს ეგო არ იცნობდა, მაგრამ ივან მატიუხინს იცნობდა.

— გავიცნოთ ერთმანეთი, — ეკტოვმა თვითონ ვერ იცნო თავისი ხმა, — იგი ხომ გლეხებს ატყუებს. მაგრამ რაკი მოლიპულ გზას დაადგა, უკან აღარ დაიხია. ახლა კოტოვსკისკენ გაიხედა: ეს მათი რაზმის მეთაურია, არმიის ზემდეგი ფროლოვი.

(რომ ძალიან არ გადაემლაშებია, კოტოვსკიმ კაზაკთა პოლკოვნიკის სამხრეულები არ გაიკეთა, თუმცა ადვილად შეეძლო ეს).

მატიუხინმა მოითხოვა, ეგო რამდენიმე ვერსზე გამოგვყვეს უფროს ძმასთან შესახვედრადო, გაგვეცნოსო.

ჩეკისტთა ამალა არ შედრკა, დაეთანხმა — მათ კარგი ცხენები ჰყავთ და ნაგანებში ვაზნები საკმაოდ აქვთ.

ჯერ ტყის განაკაფში მიდიოდნენ, შემდეგ მინდორი გადაიარეს. ვარსკვლავიანი ცა იყო ზემოთ. მიდიოდნენ ნელი ჩორთით და სიბნე-

ლეში არავის შეუმჩნევია, რომ მისი ამალის ცხენებთან შედარებით ეგო ჯაგლაგ ფაშატზე ზის.

პავლე ვასილიევიჩი ინჯღრეოდა უნაგირზე და ფიქრობდა, ფიქრობდა, ფიქრობდა და საშინელი რამ მოიფიქრა: მოდი, ყველაფერს გავუმხელ მატიუხინს, მე მომკლავენ, მაგრამ ამ ოთხსაც ხომ მოკლავენ!

და გადარჩება მატიუხინის ხუთასი კაცი. ისინი ხომ საუკეთესო ძალაა!

მაგრამ არგუმენტები თავშია, გულში კი ცეცხლი გიზგიზებს. არა, თავის თავს სულაც არ ნაღვლობს, მაგრამ პოლინაზე რომ იძიონ შური? კიდევ უარესი: პაწაწინა გოგო რომ გაიმეტონ? ჩეკისტებს ადრეც იცნობდა იგი, ლუბიანკაში გატარებული თვეების შემდეგ და ამ დღეებში კი ზედმიწევნით გაიცნო ისინი...

და როგორ გაწიროს თავისიანები?.. თვითონვე გაწიროს?!.

ანტონოვის საბრძოლო კამპანია ხომ მარცხნით დამთავრდა! უფრო ფართო თვალსაწიერიდან, უფრო ფართო მასშტაბით თუ შევხედავთ საქმეს, ეგებ, მთელმა გუბერნიამ მშვიდად ამოისუნთქოს დაზავების შემდეგ. ხომ გააუქმეს ეს მძარცველური სასურსათო გაწერა! ამიერიდან სამართლიანი სასურსათო გადასახადი დაწესდება.

მაშ, დავაჩქაროთ დაზავება! ეგებ, ასე სჯობდეს? ჭრილობები თანდათან მოშუშდება, ცხოვრება ახლებურად აეწყობა.

გავწვალდით, ძალიან გავწვალდით ყველანი.

ამასობაში მეორე ქოხთან მივიდნენ. შევიდნენ. აქ მეტი სინათლეა, ვიდრე იქ.

შესახვედრად ნაბიჯი გადმოდგა ულვაშებიანმა გოლიათმა, დაუღალავმა მებრძოლმა ივან სერგეევიჩ მატიუხინმა. მან იცნო ეგო და მკლავგაშლით ჩამოართვა ხელი. ხელის ჩამორთმევაც მაგრად იცის. წმინდა წყლის მეომარია.

მან დაიჯერა, რომ აჯანყებულები მოვიდნენ და უხარია: მატება ჩვენს პოლკს! შავ დღეს დავაყრით ბოლშევიკებს!

მოილაპარაკეს: ხვალ საღამოს ამადაამ დიდ სოფელში თავს მოვიყრით ორივე რაზმი, ზეგ კი ბრძოლას დავიწყებთო.

იყო ისეთი მომენტიც, როცა ეკტოვს თავში გაუელვა: არა! მოდი, ყველაფერს გავამხელ! დაე, დამხვრიტონ, დატანჯონ ჩემი ოჯახი, მაგრამ ამ პატიოსან ხალხს ვერ ვუღალატებ!

მაგრამ იმ წამს ყელი გაუშრა, თითქოს ამოშანთესო.

სანამ ნერწყვს გადაყლაპავდა, ვიღაცამ რაღაც თქვა. შემდეგ მეორემ თქვა რაღაც, შემდეგ — მესამემ — ჩეკისტები ბრწყინვალედ ასრულებდნენ თავიანთ როლებს.

ეკტოვის გმირული შემართება უკვე ჩაიფერფლა.

ასე დაშორდნენ ერთმანეთს.

ამის შემდეგ კოტოვსკის რაზმში გაატარა გრძელზე გრძელი მტანჯველი დღე.

მოსძულდა თავი.

ჩაეფლო ღალატის წყვდიადში. აწამებდა მოღალატის დაღი.

ამ დაღით ვერც იცოცხლებს კაცი, უკვე აღარც ხარ კაცი. (ჩეკისტები კი თვალს არ აშორებენ, უთვალთვალებენ მისი წარბის თუ ქუთუთოს ყოველ მოძრაობას). ყველაფერს ის აჯობებს, გაემიჯნოს მათ და დახვრიტონ (ეგებ, მაშინ თავი დაანებონ პოლინას!).

საღამოს მთელი ბრიგადა ცხენებზე შეჯდა. მათში ბევრია გადაცმული კაზაკი.

გამწკრივდნენ. ეგოსთან მისი ამალაა. კოტოვსკის სქელბეწვიანი ყუბანური ფაფახი ახურავს, მხეცივით იყურება ფაფახის ქვემოდან.

კოტოვსკია იგი თუ კატოვსკი? კატორღაში იჯდა იგი რამდენიმე კაცის მოკვლის გამო. საშინელი კაცია, შეხედავ და ურუანტელი დაგივლის ტანში.

რაზმები შებინდებისას წავიდნენ დათქმული სოფლისაკენ. ორი სხვადასხვა მხრიდან მივიდნენ და ქოხებში განაწილდნენ. (ოღონდ კოტოვსკელები გულდაგულ არ დაბინავებულან, ცხენები შეკაზმული ჰყავთ — ორი საათის შემდეგ ხოცვა-ჟლეტა გაიმართება. მატიუხინის ხალხი კი შინაურულად მოეწყო).

სოფლის შუაგულში, ეკლესიის მახლობლად, ერთ მდიდრულ სახლში, ჯერ ისევ ჭარმაგი დიდებული დიასახლისი ქალიშვილებისა და რძლების დახმარებით სუფრას შლიდა ოცი კაცისათვის. ერთმანეთზე მიდგმულ მაგიდებზე ალაგებდნენ ცხვრის ხორცს, შემწვარ ქათმებს,

ქორფა კიტრებს, ახალ კარტოფილს. მაგიდაზე ჩამწკრივებული იყო შინნახადი არყით სავსე ბოთლები და თლილი ჭიქები. ნავთის ლამპები მაგიდაზეც იდგა და კედლებზეც ეკიდა.

მატიუხინის ხალხი ერთ მხარეს დაჯდა, კოტოვსკისა — უმეტესად მეორე მხარეს. ეგო თავმჯდომარის ადგილზე დასვეს.

მეამბოხეთა მეთაურებს დიდი სასიცოცხლო ძალა ეტყობოდათ. ბევრი მათგანი ხომ გერმანიის ომგამოვლილი უნტერი და ჯარისკაცი იყო, ახლა კი მეთაურის თანამდებობა ეკავათ.

კოტოვსკელები შეთანხმებული იყვნენ: უფრო მეტად იმათ უნდა ელაპარაკათ, ვინც ხოხოლურად, ყუბანურად უქცევდა კილოს. დონელი კაზაკი მათ შორის ერთიც არ იყო, მაგრამ გათვალისწინებული ჰქონდათ, რომ ტამბოველები ერთმანეთისგან ვერ გაარჩევენ ყუბანურ და დონურ კილოკავებს.

ერთ მატიუხინელს წინგაშვერილი ნიკაპი ჰქონდა და სახეზე უნდობლობა ეტყობოდა. ქუთუთოები ჩანთებივით ეკიდა, შავი ულვაშები ქვემოთ ჩაკიდებული ჰქონდა. ძალიან დაქანცული ჩანდა.

მეორე ტანადი იყო, მაგრამ თავზეხელაღებული, თვალმახვილი და მხიარული კაცი. ჰქონდა აპრეხილი ულვაშები. ფეხი ფეხზე გადაედო, კუთხეში იჯდა და ისე გამოიყურებოდა, თითქოს ყველა და ყველაფერი ფეხებზე ეკიდა.

ეგომ ვერ მოითმინა: ორჯერ შეახო ფეხი მალულად, მაგრამ მას აინუნშიც არ ჩაუგდია.

არყის ჭიქები კი ხელიდან ხელში გადადიოდა და მეგობრული შეხვედრის მონაწილეთა განწყობილებას უფროდაუფრო აღაგზნებდა. გრძელი დანებით ჭრიდნენ ცხვრის ხორცსა და დაშაშხულ ბარკლებს. ნეკოს ბოლი ჭერს ეფინებოდა. დიასახლისი ნარნარად მიმოდიოდა დარბაზში, ახალგაზრდა ქალები ცდილობდნენ სწრაფად გამოეცნოთ — რაიმეს მორთმევა იყო საჭირო თუ ალაგება.

მოხდება ახლა რაიმე სასწაული? მიხვდებიან მატიუხინელები, რა ელით? ეცდებიან თავის გადარჩენას?

„მედროშე" (ნამდვილად კი კომისარი და ჩეკისტი) „ბორისოვი" წამოდგა და დაიწყო კითხვა. კითხულობდა ვითომ „სრულიად რუსეთის აჯანყებულთა რაზმების რეზოლუციას" (ეს რაზმები ახლა უნდა

შეიკრიბოს). ჩვენ გვინდა საბჭოები უკომუნისტებოდ! მშრომელი გლეხებისა და კაზაკთა საბჭოები! ხელი არ ახლოთ გლეხთა მოსავალს!

ერთი შუახნის, წვერულვაშიანი, ცხოვრებისგან ნაწრთობი მატიუხინელი მშვიდი და ჭკვიანური თვალებით შესცქეროდა „რეზოლუციის" მკითხველს.

მის გვერდით იჯდა თითქოს თუჯისგან ჩამოსხმული, გვერდით თავმიბრუნებული ოდნავ ელამი კაცი. ისინი ოხრავდნენ და უკმაყოფილებას გამოხატავდნენ.

მატიუხინმა კი მედროშის მხარდასაჭერად მუშტი დაჰკრა მაგიდას და წამოიძახა:

— მოვსპოთ სისხლიანი კომუნია!

ერთმა მაღალშუბლიანმა კოხტაპრუნა ახალგაზრდამ მაგიდის ბოლოდან დაიყვირა:

— ჩამოვახრჩოთ ეგ არამზადები!

კოტოვსკი საქმეზე გადავიდა: კი მაგრამ, თვითონ ანტონოვი სად არის? უიმისოდ არაფერი გამოგვივაო.

ამაზე მატიუხინმა უპასუხა:

— ჯერ ვერ მივაგენით. ამბობენ, ბოლო ბრძოლაში კონტუზია მიიღო და მკურნალობსო. ჩვენც გამოვიყვანთ ყველა ტამბოველს. ჩვენი უპირველესი გეგმა ასეთია: თავს დავესხათ რასკაზოვოსთან მდებარე საკონცენტრაციო ბანაკს, სადაც შერეკეს და ტანჯავენ ამბოხებულთა ოჯახებს. ჩვენი პირველი საქმე ეს არის. თანახმა ხართ?

მაგრამ კოტოვსკიმ ანიშნა თავისიანებს და იმათ მყისვე დააძრეს ზოგმა ვეება მაუზერი, ზოგმა ნაგანი და მაგიდის მეორე მხარეს ტყვია დაუშინეს მოკავშირეებს.

სახლში გაისმა ზათქი და ქალების ნივილ-კივილი, დადგა კვამლი და ნამწვის სუნი. მატიუხინელები ერთიმეორის მიყოლებით წაიქცნენ: ვინ მკერდით დაემხო საჭმელზე, ვინ მაგიდაზე დაეცა, ვინ მეზობელს მიეყუდა გვერდით, ვინ უკან გადაყირავდა მერხიდან.

მაგიდაზე ლამპა დაეცა, მუშამბაზე ნავთი დაიღვარა და ცეცხლი წაეკიდა.

იმ თავზეხელაღებულმა და თვალმახვილმა, კუთხეში რომ იჯდა, ორჯერ გასროლა მოასწრო და ორ კოტოვსკელს სული გააფრთხობინა. ეს მოასწრო მხოლოდ — ხმალი ხეთქეს თავში და იატაკზე დასცეს. ყელიდან ამომსკდარი სისხლით შეიღება იატაკი.

ეკტოვი არ წამომხტარა, ადგილზე გაქვავდა. ნატრობდა: ნეტავ, მეც მომკლან ახლავე, გინდ ნაგანის ტყვია დამახალონ, გინდ ხმალი დამარტყანო.

კოტოვსკელები კი სახლიდან გამორბოდნენ, რათა შეეპყროთ გარეთ მდგომი მატიუხინის დაცვა, რომელმაც ჯერ არც იცოდა, რა მოხდა.

უკვე ამხედრებული კოტოვსკელები სოფლის მეორე ბოლოსკენ მიაჭენებდნენ ცხენებს, რათა ეზოებში, ქოხებში, საწოლებში აეჩეხათ და დაეცხრილათ მატიუხინელები, არ მიეცათ მათთვის ცხენებზე შეჯდომის საშუალება.

ვინც მოასწრო — ტყისკენ მიაჭენებდა ღამის წყვდიადში.

1994

ფრიად სამწუხაროა

ანა მოდესტოვნა ცნობის ასაღებად მივიდა ერთ დანესებულებაში, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იქ სადილობის შესვენებაა. ეწყინა, მაგრამ მაინც მოცდა სჯობდა: შესვენების დამთავრებამდე თხუთმეტი წუთი იყო დარჩენილი და თავისი შესვენების პერიოდში მოასწრებდა ცნობის აღებას.

კიბეზე ლოდინი არ უნდოდა და ანა მოდესტოვნა ქუჩაში გავიდა.

ოქტომბერი ილეოდა; ნესტიანი დღე იყო, მაგრამ არ ციოდა. ღამით და დილითაც წვიმა ცრიდა, მაგრამ ახლა გადაიღო. ტლაპოიან ასფალტზე მსუბუქი მანქანები დაჰქროდნენ — ზოგი ერიდებოდა გამვლელებს, უმეტესობა კი წუმპეს შეასხამდა ხოლმე. ქუჩის შუაში ნაცრისფრად მოჩანდა ბულვარი და ანა მოდესტოვნა იქით გადავიდა.

ბულვარში თითქმის არავინ იყო; ტბორს გვერდს აუვლიდი და მარცვლოვან ქვიშაზე ისე გაივლიდი, ფეხი არ დაგისველდებოდა. ხეების ქვეშ მოფენილი იყო მუქი სველი ფოთლები, რომელთა სუნი ბევრად სჯობდა გაზის გამონაბოლქვის სიმყრალეს, რითაც გაჟღენთილი იყო ბულვარის ორივე მხარეს გამავალი გზები.

ქარი არ ჰქროდა და წვიმის შემდეგ ხის ტოტებზე მარგალიტებივით ბრწყინავდა წყლის წვეთები. ანია შეჩერდა, დაკეცილი ქოლგა იმ ხელში გადაიტანა, რომელშიც ჩანთა ჰქონდა, გაიხადა ხელთათმანი, ტოტქვეშ შეაცურა ხელი და ცდილობდა წყლის წვეთები თავის თითებზე გადმოესვა. როცა მსხვილ წვეთს დაასკუპებდა თითის წვერზე, ბავშვივით ხარობდა.

ასე ერთობოდა კარგახანს, შემდეგ გზა განაგრძო და საგაზეთო დაფას მიადგა. დაფაზე შუშის ქვეშ გაკრული იყო გაზეთ „ტრუდ"-ის გარე და შიგნითა გვერდები. დაფის ერთ მხარეს, კუთხეში, მინა გატეხილი იყო და იმ ადგილას გაზეთი დასველებულიყო. მაგრამ სწორედ ამ მხარეზე, ქვემოთ, ანა მოდესტოვნამ წაიკითხა სათაური: „მდინარე ჩუს ხეობის ახალი სიცოცხლე".

ეს მდინარე კარგად იცოდა ანამ: იგი იქ დაიბადა, შვიდმდინარეთში. მან ხელთათმნით გადაწმინდა მინა და სტატიის თვალიერება დაიწყო.

სტატია სიტყვაგრძელი კორესპონდენტის დაწერილი იყო. იგი მოსკოვის აეროდრომიდან იწყებდა: როგორ ჩაჯდა თვითმფრინავში, თითქოსდა ღრუბლიანი ამინდის ჯიბრით როგორ მხიარულად გამოიყურებოდა ყველა მგზავრი. ავტორი აღწერდა თავის თანამგზავრებს, აღნიშნავდა — ვინ რისთვის მიფრინავდა, სტიუარდესაზეც ამბობდა ორიოდ სიტყვას. შემდეგ აღწერდა ფრუნზეს აეროდრომს და იუნყებოდა, რომ იქაური მზიანი ამინდის შესაბამისად ყველა მგზავრს ძალიან მხიარული განწყობილება ჰქონდა. ბოლოს აღწერდა საკუთრივ მდინარე ჩუს ხეობაში მოგზაურობას. საგანგებო ტერმინების გამოყენებით აღწერდა ჰიდროტექნიკურ სამუშაოებს, წყლის გადაშვებას, ჰიდროსადგურებს, სარწყავ არხებს, აღფრთოვანებული იყო მორწყული და ამჟამად ნაყოფიერი უდაბნოს ხილვით და გაოცებას ვერ მალავდა საკოლმეურნეო მინდვრებზე მოწეული უხვი მოსავლის გამო.

ბოლოს კორესპონდენტი წერდა:

„მაგრამ დღეს ცოტა ვინმემ თუ უწყის, რომ მთელი რაიონის ბუნების ეს გრანდიოზული და ძლევამოსილი გარდაქმნა დიდი ხნის წინათ იყო ჩაფიქრებული. ჩვენს ინჟინრებს არ დასჭირვებიათ, ხელახლა დაწვრილებით გამოეკვლიათ ხეობა, მისი გეოლოგიური შრეები და წყლის რეჟიმი. მთავარი დიდი პროექტი მთლიანად შედგენილი და დასაბუთებული იყო შრომატევადი გაანგარიშებებით ჯერ კიდევ ორმოცი წლის წინათ, 1912 წელს. ეს დიდი სამუშაო შეასრულა ნიჭიერმა რუსმა ჰიდროგრაფმა და ჰიდროტექნიკოსმა მოდესტ ალექსანდრეს ძე ვ-მა, რომელმაც საკუთარი პასუხისმგებლობითა და რისკით პირველი სამუშაოებიც ჩაატარა“.

ანა მოდესტოვნა არ შემკრთალა, არც სიხარული განუცდია, მან მთელ ტანში ურჟოლა იგრძნო, ის ურჟოლა, ავად გახდომის წინ რომ ვგრძნობთ ხოლმე. იგი დაიხარა, რომ უკეთ დაენახა ბოლო აბზაცები კუთხეში, კიდევ გადაწმინდა მინა და ძლივს ნაიკითხა:

„მაგრამ მის პროექტებს განხორციელება არ ეწერა ცარიზმის დამყაყებული რეჟიმის პირობებში, რეჟიმისა, რომელსაც ხალხის ინტერესები არად მიაჩნდა. პროექტები მინათმოწყობის დეპარტამენტში ჩაიმარხა და ნამოწყებული საქმეც მიატოვეს.

ფრიად სამწუხაროა! — (წამოძახილით ამთავრებდა კორესპონდენტი) — ფრიად სამწუხაროა, რომ ახალგაზრდა ენთუზიასტი ვერ მოესწრო თავისი ნათელი იდეების ზეიმს! რომ მას არ შეუძლია ნახოს სრულიად გარდაქმნილი ხეობა!“

შიშმა აიტანა ანია, რადგან უცბად მიხვდა, რას იზამდა ახლა: ეს გაზეთი უნდა ჩამოხსნას! ქურდივით გაიხედა მარჯვნივ, მარცხნივ — ბულვარში არავინ იყო, მხოლოდ შორს მოჩანდა ვიღაცის ზურგი. ძალზე უკადრისი, სამარცხვინო საქმე უნდა ჩაედინა, მაგრამ...

გაზეთი ზემოთ სამი ჭიკარტით იყო დამაგრებული. ანიამ ხელი შეჰყო მინის ნახვრეტში. გაზეთის სველი კუთხე ადვილად გამოძვრა ჭიკარტიდან. ანა თითის წვერებზე შედგა, შუა ჭიკარტსაც მისწვდა და ამოაძრო. მესამე ჭიკარტს, შორეულ კუთხეში რომ იყო, ვერ მისწვდებოდა. ანიამ ჩამოქაჩა გაზეთი და ჭიკარტს მოსწყვიტა.

ახლა გაზეთი კი ხელში ჰქონდა, მაგრამ უცბად ზურგსუკან მილიციონერის სასტვენის მკვეთრი ხმა გაისმა.

ანია დამდუღრულივით შეკრთა (იგი ძალიან მშიშარა იყო, მილიციონერის სასტვენი კი ყოველთვის აშინებდა), ცარიელი ხელი გამოაძვრინა შუშიდან და შემობრუნდა.

გაქცევა დაგვიანებულიც იყო და უიმედოც. მისკენ მოდიოდა ახოვანი მილიციონერი, რომელსაც ეცვა სველი ლაბადა, თავსარქმელი კი ზურგსუკან გადაეშვა.

მას შორიდანვე არ დაუწყია ლაპარაკი. აუჩქარებლად მოვიდა. ანა მოდესტოვნა თავიდან ფეხებამდე შეათვალიერა, მერე გადახედა შუშის მიღმა ჩაკეცილ გაზეთს და კვლავ ანა მოდესტოვნას შეხედა. მკაცრად დაჰყურებდა ზემოდან. მისი ღაჟღაჟა სახე და ხელები მოწმობდა, რომ ამ ჯანსაღ კაცს ადვილად შეუძლია ხანძრიდან გამოიყვანოს ადამიანი ან უიარაღოდ შეიპყროს ვინმე.

მილიციონერმა ხმადაბლა ჰკითხა ანა მოდესტოვნას:

— ეს რა ამბავია, მოქალაქევ? ოცდახუთი მანეთის გადახდა მოგინდათ?..

(ოო, ჯარიმის გადახდას თუ დამაჯერეს! ანას ეშინოდა — სხვანაირად გაიგებენ ჩემს საქციელსო!)

— ... ეგებ, თქვენ გინდათ, რომ ხალხმა გაზეთი არ წაიკითხოს?

— აჰ, რასა ბრძანებთ! აჰ, არა! მაპატიეთ! — მოიკაკვა კიდეც ანა მოდესტოვნა. — ძალიან ვნანობ... ისევ ჩამოვკიდებ ახლავე... თუ ნებას მომცემთ...

არა, კიდეც რომ ნება მიეცა, ერთ ბოლოში სველი, მეორე ბოლოში კუთხეჩამოხეული გაზეთის ჩამოკიდება უკვე ძნელი იყო.

მილიციონერი ზემოდან დაჰყურებდა ქალს და არ ეტყობოდა, რა გადაწყვიტა.

იგი უკვე დიდხანს მორიგეობდა, წვიმაშიც მოჰყვა და ახლა სწორედ დროული იქნებოდა, ეს ქალი განყოფილებაში წაეყვანა გაზეთთან ერთად: სანამ იქ ოქმს შეადგენენ, ცოტათი გაშრება მაინც. მაგრამ მას თვითონ უნდოდა გაეგო, რა მოხდა. ქალს რიგიანად აცვია, საკმაოდ ასაკოვანია, მთვრალიც არ არის. რატომ მოიქცა ასე?

ანა შესცქეროდა და სასჯელს ელოდა.

— რატომ არ მოგწონთ გაზეთი?

— იქ მამაჩემზე წერია! — მონანული ანა მკერდზე იკრავდა ქოლგის სახელურს, ჩანთასაც, ხელთათმანსაც. თვითონ ვერ ხედავდა, რომ მინით თითი გაეჭრა და სისხლი სდიოდა.

ახლა გუშაგმა გაუგო მას, თითის გამოც შეებრალა და ჰკითხა:

— ლანძღავენ?.. მერედა, ერთი გაზეთის დახევა რას უშველის?..

— არა! არა-არა! პირიქით — აქებენ!

(ეს კაცი სულაც არ ყოფილა ავი!)

ქალმა ახლაღა შეამჩნია სისხლი და თითის წუწნა დაიწყო. თან მილიციონერის ფართო და მოსულელო სახეს მისჩერებოდა.

— ეს რად ჰქენით? ჯიხურში ვერ იყიდდით გაზეთს? — წყნარად თქვა მილიციონერმა.

— აბა, შეხედეთ, რომელი რიცხვისაა! — ანამ სწრაფად მოაშორა ტუჩებს თითი და ვიტრინის მეორე ნახევარში გაკრულ გაზეთს მიაშვირა. — სამი დღის წინანდელია. ახლა სად ვიშოვი მას?!

მილიციონერმა დახედა რიცხვს, შემდეგ ისევ ქალს შეხედა, კიდევ ერთხელ შეავლო თვალი ჩამოვარდნილ გაზეთს და ამოიხვნეშა:

— ოქმი უნდა შევადგინო და დაგაჯარიმოთ... თუმცა კარგი, აღარასოდეს ჩაიდინოთ ეს, ჩქარა აიღეთ გაზეთი, სანამ ვინმე დაინახავდეს...

— ოი, გმადლობთ! გმადლობთ! რა კეთილშობილი ბრძანდებით! გმადლობთ! — ანა მოდესტოვნა ოდნავ მოიღუნა და თავი დაუკრა მილიციონერს. მან გადაიფიქრა ცხვირსახოცის თითზე შემოხვევა, მარჯვედ შეაცურა ვიტრინაში იგივე ხელი და გაზეთი გამოაძვრინა. — გმადლობთ! — კიდევ ერთხელ თქვა.

გაზეთი გაიშალა. ანიამ გაჭირვებით მოახერხა და ნაწილობრივ დასველებული გაზეთი ცალი ხელით დაკეცა. კიდევ ერთხელ თავაზიანად დახარა თავი და თქვა:

— დიდ მადლობას მოგახსენებთ! თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა სიხარულს მიანიჭებს ეს გაზეთი დედაჩემსა და მამაჩემს! შეიძლება წავიდე?

მილიციონერმა თავი დაუქნია.

ანა მოდესტოვნა სწრაფად წავიდა; სულ დაავიწყდა, რისთვის მოვიდა ამ ქუჩაზე. გულში ჩაეკრა ირიბად გაკეცილი გაზეთი, მიდიოდა და ხანდახან თითს წუწნიდა.

აბა, სწრაფად გავიქცეთ დედიკოსაკენ! რაც შეიძლება, სწრაფად წავიკითხოთ ორივემ ერთად! როგორც კი მამას ზუსტად მიუჩენენ საცხოვრებელ ადგილს, დედა გაემგზავრება მასთან და თვითონ მიუტანს ამ გაზეთს.

კორესპონდენტმა არ იცოდა! რომ სცოდნოდა, არ დანერდა ამ სტატიას. არც რედაქციამ იცოდა, თორემ არ დაბეჭდავდა. არ იცოდნენ, რომ ის ახალგაზრდა ენთუზიასტი ახლაც ცოცხალი იყო! იგი მოესწრო თავისი ნათელი იდეების ზეიმს, რადგანაც სიკვდილით დასჯა ოცი წლის პატიმრობით შეუცვალეს. ოც წელიწადს იჯდა იგი ციხეებსა და ბანაკებში. და ახლა, როცა სამუდამო გადასახლებაში გზავნიდნენ, მან თვითონ ბერიას მიმართა განცხადებით, ითხოვდა, მდინარე ჩუს ხეობაში გადამასახლეთო. მაგრამ მას სხვა ადგილი მიუჩინეს და ახლა კომენდატურამ ვერაფერი მოუხერხა ამ უსარგებლო მოხუცს: მისი შესაფერისი სამუშაო არა აქვთ, პენსია კი არ გამოუმუშავებია.

1965

სარჩევი

ივან დენისოვიჩის ერთი დღე 3
თარგმანი რევაზ თვარაძისა

მატრონას კარ-მიდამო 138
თარგმანი ვახტანგ პაიკიძისა

მარჯვენა ხელის მტევანი 179
თარგმანი მისივე

ზახარ-კალიტა 192
თარგმანი მისივე

შემთხვევა კოჩეტოვკის სადგურში 206
თარგმანი მისივე

ეგო 263
თარგმანი მისივე

ფრიად სამწუხაროა 295
თარგმანი მისივე

საგამომცემლო ჯგუფი

ლაშა გადელია
ირაკლი გელაშვილი
ანა კვანჭიანი
ნინო კოვზირიძე
დარეჯან მზარელუა
ლიკა სხირტლაძე

გარეკანის დიზაინი

ილია ხელაიასი